



[შემოგვიერთდით ჯგუფში : ელ წიგნები \(PDF\)](#)

ვლადიმერ ნაბოკოვი ლოლიტა

ექვანთა ჩემს ცოლს

ნაწილი I

1. ლოლიტა, ჩემი სიცოცხლის ნათელს, წილთა ჩემთა მხარდასა, ცოდვად ჩემო, სულს ჩემო. ლო-ლიტა: ენის წვერი სასაზღე სამი პანაწინა ნაბიჯით გადაადგილდებოდა, რათა მესამედ კბილებს შეეძახოს. ლო. ლი. ტა. დილაობით ის ლო იყო, უბრალოდ ლო, ხუთი ფუტი სიმაღლისა (ორი გოჯით უფრო დაბალი, ცალწინდა). გრძელ მარჯალში ლოლად იქცეოდა ხოლმე. სკოლაში დოლის ეძახდნენ. ბლანკების პუნქტირზე დოლორესი იწერებოდა, მაგრამ ჩემთან ჩაკონცეზული გოგონა ყოველთვის ლოლიტა იყო. წინამორბედნი თუ ჰყავდა? რა თქმა უნდა, ჰყავდა... შიტსაც ვიტყვი: ჩემს ცხოვრებაში არავითარი ლოლიტა არ შემოიჭრებოდა, ერთ შორეულ ზაფხულს სხვა, პირველი გოგონა რომ არ შემეგარებოდა. ზღვის პირას, ერთ სამთავროში (თითქმის პოს მსგავსად). ეს როდის იყო? ლოლიტას დებადებამდე თითქმის იმდენი წლით ადრე, რამდენისაც იმ ზაფხულს ვიყავი. დარწმუნებული ბრძანდებოდათ, რომ მკვლელობის პრეტენზია ყოველთვის წართაული იქნება. მდებარეობითი და მამრობითი სქესის პატრივცემოლო მსაჯულნი! ექსპონატი წომერი პირველი წარმოადგენს სწორედ იმას, რასაც ასე შენატროდნენ ადვარის სერაფიმები - მიუხედავად, მიამიტი, კეთილშობილურთიანე სერაფიმები... ერთი შეხედით ეკლებს ამ ხლართს.

2. დავიბადე პარიზში, 1910 წელს. მამაჩემი მარმონობარე გალითა და მსუბუქი ზნით გამოიჩინოდა. განების მთელი ვინეგარები გააჩნდა: შვიდიგარის მოქალაქე გახლდათ, დაუნაით შეზავებული ნახევრად ფრანგი - ნახევრად ავსტრიელი. ახლავი დავარეგებ რამდენიმე წარმტაც, პრიალა-ცისფერ ფეხ ბარათს.

ის რივიერაზე საუცხოო სასტუმროს ფლობდა. მამამისი და ორივე პაპა ღვინით, ბრილიანტებითა და აბრეშუმით ვაჭრობდნენ (თავითონვე დაანაწილათ). ოცდაათი წლისამ ცოლად შეირთო ინგლისელი ქალი, ალპინისტი ჯერომ დონის ქალიშვილი, ორი დორსეტელი პასტორის შვილიშვილი. პასტორები მწილსაგნაური საგნების - ზაღიპედილოლოგიისა და ეოლოლის ქნარების ექსპერტები იყვნენ (თავითონვე დაანაწილათ). ჩემი უაღრესად ფოტოგენური დედის სიკვდილის გარემოებები და მიზეზი საკმარისი ორიგინალურობით გამოიჩინოდა (პიკნიკი, ელვა); იმხანად სულ სამი წლისა ვიყავი და მის შესახებ უბნელისი წარსულის რაღაცნაირი თბილი ჩიხის გარდა მინსიერების ფოსოებმა და ტაფობებმა არაფერი შემომინახა. თუ ჯერ კიდევ შეგიძლიათ ჩემი კილოს ატანა (თვალყურს მადეგნებენ), დავძენ, რომ იმ ჩანსვანა ჩემი ყრმობის შზე. ალბათ, თქვენთვის კარგადაა ცნობილი დღის ეს სურნელოვანი წამუსრავი, რომელიც მუშლთან ერთად ხშირად ჰკიდია ამა თუ იმ აყვავებული სხლტის თაგზე და რომელსაც უცერად წააწყდები და გაარღვევ ხოლმე სეირნობისას, ბორცვის ძირას, ზაფხულის ბინდბუნდში - უშფოთველობა, სითბო, ოქროსფერი მუშლი. დედაჩემის უფროსი და, სიბილა, რომელიც მამაჩემის ბიძაშვილზე იყო გათხოვილი - მან,

სხვათა შორის, მალე მიატოვა ცოლი - ჩვენთან ცხოვრობდა, მუქთა გუვერნანტი თუ ეკონომი იყო. მოგვიანებით შევიტყვე, რომ მამაჩემი უყვარდა. ერთ წვიმიან დღეს მამამ ქარაფმუტულად ისარგებლა ქალის გრმობით - და ყველაფერი დაივიწყა, როგორც კი ამინდი შეიცვალა. დედაჩემი ძალიან მიყვარდა მისი სიმკაცრის - საბედისწერო სიმკაცრის მიუხედავად. შესაძლოა, მას სურდა, მამაჩემზე უფრო სათნო ქერივი აღეზარდა ჩემგან. დედა სიბილას ვარდისფერი ქუთუთოები, ლაყვარდისფერი თვალები და მქრქალი სახე ჰქონდა. ის ლექსებს წერდა. პოეტური ცრურწმენები სჩვეოდა. ამბობდა, რომ იცოდა, როდის მოკვდებოდა - სახელდობრ, მაშინ, როდესაც თექვსმეტისა შევსრულდებოდი. ასეც მოხდა. მისი ქმარი, საპარფუმერიო ფირმის გამოცდილი ვოიაჟორი, დროის უმეტეს ნაწილს ამერიკაში ატარებდა, სადაც, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი საქმე დაარსა და გარკვეული ქონებაც შეიძინა. მე, ბედნიერი, ჯანსაღი ბავშვი, ვიზრდებოდი დასურათებული

წიგნების, სპეტაკი ქვიშის, ფორთოხლის ხეების, გულითადი ძაღლების, ზღვის შორეთისა და მოდიმარი სახეების გარემოცვაში. „მირანა პალასის“ დიდებული სასტუმრო ჩემ გარშემო ბრუნავდა, როგორც განცალკევებული სამყარო ან ცარცით შეთეთრებული კოსმოსი. ის სხვა, ცისფერ, ვეებერთელა, გასხვიოსნებულ სამყაროში იყო მოქცეული. წინსაფრიალი მზარეულით დაწყებული, თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი მეფით დამთავრებული, ყველას ვუყვარდი და ყველა მანებივრებდა. ხელჯოხზე დაყრდნობილი ხნიერი ამერიკელი ქალები პიზის კომპივით იხრებოდნენ ხოლმე ჩემკენ. გაკოტრებული რუსი კნეინები ფულს ვერ უხდიდნენ მამაჩემს, მაგრამ ძვირად ღირებულ კანფეტებს მჩუქნიდნენ. ის კი, mon cher petit papa[1], ნავით და ველოსიპედით მასეირნებდა, ცურვას, ყვინთვას, წყლის თხილამურებით სრიალს მასწავლიდა, „დონ-კიხოტა“ და Les Misérables[2]-ს მიკითხავდა. მეც ვაღმერთებდი და ვეთაყვანებოდი მას. მიხაროდა, როდესაც ყურს მოვკრავდი მსახურთა მსჯელობას მის სატრფოებზე - ალერსიან მზეთუნახავებზე, რომლებიც ბევრ დროს მითმობდნენ, დამლულუნებდნენ და ძვირფას ცრემლებს აპკურებდნენ ჩემს საკმაოდ მხიარულ ობლობას.

ესწავლობდი ინგლისურ სკოლაში, ჩემი სახლიდან რამდენიმე კილომეტრის დაცილებით. იქ ვთამაშობდი რაკეტას და ფაივს (ბურთს ჩოგნით ან ხელისგულით ვურტყამდი კედელს), მშვენიერ შეფასებებს ვღებულობდი და შესანიშნავად შევეგუე ამხანაგებსა და აღმზრდელებს. მახსოვს, ცამეტ წლამდე (ესე იგი, ჩემს პატარა ანაბელასთან შეხვედრამდე) მხოლოდ ორ განცდას ჰქონდა აშკარად სქესობრივი ხასიათი: სკოლასთან გაშენებულ ვარდების ბაღში ამერიკელმა ბიჭუნამ დიდი ამბით, ზედმიწევნით თეორიულად და წესიერების დაცვით მომითხრო სიყრმესთან დაკავშირებული ზოგიერთი მოულოდნელი მოვლენის შესახებ. ის სახელგანთქმული კინომსახიობის ვაჟი იყო და დედამისს სამგანზომილებიან სივრცეში იშვიათად ხედავდა; ასევე, ჩემი ორგანიზმი ძალზე საინტერესოდ გამოეხმაურა პიშონის მდიდრული ალბომის - La Beauté Humaine[3] - მარგალიტისებრ მქრქალ ფოტოსურათებს ჩრდილების უსასრულოდ ნაზი ჩაღრმავებებით. ის ერთხელ აღმოვაჩინე სასტუმროს ბიბლიოთეკაში ლონდონის Graphic[4]-ის ტომებს შორის, რომელთაც მარმარილოსებრი ყდები ჰქონდა. მოგვიანებით მამაჩემმა, მისთვის ჩვეული უდარდებლობით, მომაწოდა ამ ხასიათის ცნობები, რომლებიც, მისი აზრით, გამომადგებოდა; ეს იყო 1923 წლის შემოდგომაზე, ლიონის გიმნაზიაში სწავლის დაწყების წინ (აქ სამი ზამთარი უნდა გამეტარებინა); სწორედ იმ წლის ზაფხულში მამაჩემი, სამწუხაროდ, ჩემ გვერდით არ იმყოფებოდა - იტალიაში მოგზაურობდა Mme de R.[5]-სთან და მის ქალიშვილთან ერთად. ასე რომ, ვერც ვერავისთან ვიწუწუნებდი და რჩევასაც ვერავინ მომცემდა.

3. ავტორის მსგავსად, ანაბელაც შერეული (მის შემთხვევაში - ინგლისური და ჰოლანდიური) წარმომავლობისა იყო. ამჟამად მისი სახის ნაკვთები გაცილებით ბუნდოვნად მახსენდება, ვიდრე ლოლიტას გაცნობამდე. მხედველობითი მეხსიერება ორგვარია: პირველის შემთხვევაში, თვალხილული მარჯვედ აღვადგენ ხოლმე სახეს ტვინის ლაბორატორიაში და მაშინ ანაბელა ზოგადი ტერმინების მიხედვით წარმომიდგება. ასეთებია: „თაფლისფერი კანი“, „თხელი მკლავები“, „შეკრეკილი ქერა თმა“, „გრძელი წამწამები“, „მსხვილი წითელი ტუჩები“, ანდა, მეორის შემთხვევაში, თვალდახუჭული ქუთუთოების შიდა მხარეს ზედმიწევნით ზუსტად იკვეთება საყვარელი სახის ობიექტური ოპტიკური იერი: ესაა ბუნებრივად შეფერილი პატარა ლანდი (სწორედ ასე ვხედავ ლოლიტას). ამიტომ, ნება მიბოძეთ, ანაბელას აღწერისას შემოვიფარგლო თავშეკავებული შენიშვნით, რომ ეს იყო ჩემზე რამდენიმე თვით უმცროსი, მომხიბვლელი გოგონა. მისი მშობლები, გვარად ლი

(Leigh), დეიდაჩემის ძველი მეგობრები იყვნენ. ისინი, დეიდა სიბილას მსგავსად, ერთგულად იცავდნენ წესიერებას. მირანას მახლობლად ვილას ქირაობდნენ. უსაზღვროდ მძულდა მელოტი, ყავისფერი ბატონი ლი და მსუქანი, დაპუდრული ქალბატონი ლი (ქალიშვილობაში ვანესა ვან ნესი). თავდაპირველად მე და ანაბელა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წრეს გარშემო ვუვლიდით. ის წამდაუწუმ პეშვით იღებდა პლაჟის წვრილ ქვიშას, შემდეგ მის თითებს შორის მიწაზე რომ ცვიოდა. გონება იმდროინდელი და იმ წრის ევროპელი მოზარდების ყაიდაზე გვქონდა მოწყობილი. ვეჭვობ, ოდნავი ინდივიდუალური ნიჭიერება გამოგვევლინა, როდესაც დასახლებულ სამყაროთა სიმრავლის, ჩოგბურთის შეჯიბრებების, უსასრულობის, სოლიფსიზმისა და სხვა ამგვარი ამბების მიმართ ინტერესს ვიჩენდით. ნორჩი პაწია ცხოველების სინაზე და სისათუთე ორივეს ერთნაირად მძაფრ თანაგრძნობას აღგვიძრავდა. ის ოცნებობდა, მოწყალების დად ემსახურა აზიის რომელიმე მოშიშმილე ქვეყანაში; მე მწადადა, სახელგანთქმული მზვერავი გავმხდარიყავი. უეცრად აღმოჩნდა,

რომ ერთმანეთი შეგვეყვარებოდა - გაგიჟებით, ულაზათოდ, ურცხვად, მტანჯველად; დაუშვებდით, უიმედოდ-მეთქი, რადგანაც ჩვენს გამმაგებულ ვნებას დააკმაყოფილებდა მხოლოდ თითოეული ჩვენგანის მიერ საყვარელი არსების სულისა და სხეულის თითოეული ნაწილაკის შესრუტვა და შეთვისება; ამასობაში ადგილიც კი ვერ მოვძებნეთ, სადაც შეერთებას შევძლებდით ისე, როგორც ამას ჯურღმულების მკვიდრი ბავშვები სჩადიან. მის ბაღში ღამით უნაყოფოდ ჩავლილი ერთი პაემნის შემდგომ (ამაზე - შემდეგ თავში) შეხვედრების ერთადერთი ვარიანტი, რის ნებაც დაგვრთეს, იყო უფროსების თვალსაწიერის არეში ყოფნა, პლაჟის იმ ნაწილში, სადაც ყველაზე მეტი ხალხი იყრიდა თავს, იქ, რბილ ქვიშაზე, უფროსებისგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, დილაობით, სასიყვარულო ტანჯვით გათანგულნი ვეყარეთ და დროისა და სივრცის ქსოვილის დალოცვილი ხარვეზებით ვსარგებლობდით, რათა ერთმანეთს შევხებოდით. მისი ხელი ქვიშაში ჩემკენ მოცოცავდა, სულ უფრო მიახლოვდებოდა, თხელი გარუჯული თითებით მოიწევდა, შემდეგ იმავე ხანგრძლივ, ფრთხილ გზას შეუდგებოდა ხოლმე მისი სადაფისმაგვარი მუხლი; ზოგჯერ შემთხვევითი მიწაყრილი, რომელსაც უფრო მცირე ასაკის ბავშვები აშენებდნენ, სწრაფ მარილიან კონცნას ეფარებოდა. ეს ნახევარშეხებები ჩვენს ჯანსაღ, გამოუცდელ სხეულებს ისერიგად აღიზიანებდა, რომ თვით გრილი ცისფერი წყალიც, რომლის საფარქვეშ კვლავ ჩვენი მიზნისკენ ვილტვოდით, ვეღარ გვამშვიდებდა. მოგვიანებით დაკარგულ საუნჯეთა შორის იყო დეიდაჩემის მიერ გადაღებული ფოტოსურათი: ტროტუარზე განლაგებულ პატარა კაფეში მაგიდას უსხედან ანაბელა, მისი მშობლები და მეტად დარბაისელი ექიმი კუპერი - კოჭლი მოხუცი, რომელიც იმ ზაფხულს დეიდა სიბილას ეარშიყებოდა. ანაბელა არცთუ ისე კარგად გამოვიდა, რადგან იმ წამს თავისი *chocolat glacé*[6]-ს მოსმას აპირებდა. გოგონას მხოლოდ გამხდარი, შიშველი მხრებითა და თმის განაყოფით თუ იცნობდით მზით გაჯერებულ მღვრიე სივრცეში, რომელსაც თანდათანობით და სამუდამოდ ერწყმოდა მისი სილამაზე; მე დრამატული რელიეფურობით ვიყავი გამოკვეთილი, პროფილში, ცოტათი მოშორებით მჯდარი: მუქი ფერის სპორტულ პერანგსა და თეთრ, კარგად შეკერილ მოვლელ შარვალში გამოწყობილი სქელწარბა ბიჭი. ფეხი ფეხზე გადაამედო.

ალმაცერად ვიმზირებოდი. ფოტოსურათი ჩვენი საბედისწერო ზაფხულის უკანასკნელ დღეს იყო გადაღებული. სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ბედის მოტყუების მეორესა და ბოლო ცდას მივმართეთ. რაღაც საკმაოდ ყალბი მიზეზით (სხვა შანსი აღარ გვეჩვენებოდა და უკვე აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა), კაფედან პლაჟისკენ გავემართეთ, სადაც ბოლოს და ბოლოს განმარტოებული ადგილი მოვძებნეთ და იქ, პატარა გამოქვაბულში, რომელსაც ვარდისფერი კლდეები წარმოქმნიდა, ლილისფერ ჩრდილში სულმოუთქმელად და ხარბად მოვეხვიეთ ერთმანეთს, რისი ერთადერთი მოწმეც ვიდაცის მიერ დაგდებული შავი სათვალე იყო. მუხლებზე ვიდექი და ის-ის იყო, ჩემს სატრფოს უნდა დავუფლებოდი, რომ წყლიდან უეცრად ორი წვეროსანი მობანავე ამოვიდა - ზღვის პაპა და მისი ძმა, მათ ხმამაღლა და უხამსად წამაქეხეს, ხოლო ოთხი თვის შემდეგ ანაბელა ტიფისგან გარდაიცვალა კუნძულ კორფუზე.

4. კვლავ და კვლავ ვფურცლავ ამ უბადრუკ მოგონებებს და განუწყვეტლივ ვეკითხები თავს, - იქ, იმ შორეულ ზაფხულს ხომ არ დაედო დასაბამი ბზარს, რომელიც მთელ ჩემს ცხოვრებას გასდევს. ან იქნებ ამ ბაღლით მძაფრი გატაცება თანდაყოლილი გარყვნილების პირველი ნიშანი იყო? როდესაც ვცდილობ, გავერკვე წინანდელ სურვილებში, ზრახვებში, მოქმედებებში, შებრუნებული წარმოსახვის ტყვედ ვიქცევი. ის ანალიტიკურ უნარს უსასრულო შესაძლებლობებით კვებავს, ასე რომ ყოველგვარი განვლილი გზა უსასრულო განტოტებებად იყოფა მესხიერების გამაბრუებლად რთულ პერსპექტივაში. და მაინც მწამს, რომ ლოლიტა ჯადოსნურად და საბედისწეროდ დაიწყო ანაბელათი. ისიც ვიცი, რომ ანაბელას სიკვდილმა იმ საზარელი ზაფხულით გამოწვეული დაუკმაყოფილებლობა გამწვავა და ჩემი სიყრმის სუსხიან წლებში ყოველგვარ სხვა სიყვარულს წინ გადაელობა. ჩვენს გრძნობაში სულიერი და ფიზიკური ლტოლვა იმგვარი სრულყოფილებით ერწყმოდა ურთიერთს, როგორც არც კი დაესიზმრებათ ახლანდელ მოზარდებს - მათი მარტივი აღქმით, ტლანქი განცდებითა და დაშტამპული ტვინით. ანაბელას სიკვდილის შემდეგ დიდხანს ვგრძნობდი, რომ მისი აზრები ჩემსას მსჭვალავდა. შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე ერთნაირი სიზმრები გვექონდა. ჩვენი ცხოვრების ძირითადი მოვლენები შევაჯერეთ და უცნაური მსგავსების ნიშნებიც აღმოვაჩინეთ. ერთი და იმავე წლის (1919-ის) ივნისში ორივე ჩვენგანის სახლებში, ორ არამეზობელ ქვეყანაში, ვიდაცის კანარის ჩიტი შეფრთხილდა. ო, ლოლიტა, შენ რომ ასე გიყვარდე!

ჩვენი პირველი სავალალო შეხვედრის აღწერა ანაბელას ამბის ბოლოსთვის შემოვიწახე. ერთხელ, გვიან საღამოს, მან მოახერხა, მშობლების სიფხიზლე მოედუნებინა. მოცახცახე, თხელფოთლიანი მიმოზების ჭალაში, ვილის უკან, დაბალი ქვის კედლის ნანგრევებზე მოვკალათდით. სიბნელეში, ნარნარი ხეების მიღმა მოჩანდა ვილის განათებული ფანჯრების არაბესკები - რომლებიც ახლა მგრძნობიარე მეხსიერებამ ნაირფერი მელნით შეასწორა და სათამაშო კარტს მიამსგავსა (ნაწილობრივ, ალბათ, იმიტომ, რომ მტრები იქ ბრიჯს თამაშობდნენ). ის თრთოდა და ტოკავდა, როდესაც ოდნავ ღია ტუჩების კუთხესა და ყურის ცხელ ბიბილოს ვუკოცნიდი. ჩვენს თავზე, მოგრძო ფოთოლთა შორის უამრავი უფერული ვარსკვლავი ციმციმებდა. ეს თანამგრძნობი უფსკრული ისევე შიშველი იყო, როგორც ანაბელას თხელი კაბით შემოსილი სხეული. ცის ფონზე მისი სახე ისეთი სიციხადით იკვეთებოდა, თითქოს საკუთარი მკრთალი ნათებით იყო გასხივოსნებული. მისი ფეხები, მისი თვალწარმტაცი, მკვირცხლი ფეხები არც ისე მჭიდროდ იყო შეტყუპებული და როდესაც ჩემი ხელი მისწვდა იმას, რასაც ეძებდა, ანაბელას სახეზე ზღაპრული ალის მეოცნებე გამომეტყველება აღიბეჭდა - არ ვიცი, ტკივილი თუ ტკბობა. ის ცოტათი ჩემზე მაღლა იჯდა, საკუთარ ნეტარებაში ჩაფლულიყო და ჩემკენ მოიწევდა, ხოლო მისი თავი დუნე, მიბნედილი, თითქმის ტანჯვის აღსავსე მოძრაობით წინ იხრებოდა. შიშველი მუხლები იჭერდნენ, იკავებდნენ ჩემს ხელს და კვლავ დუნდებოდნენ. გოგონას ათრთოლებული, იდუმალი ბანგის სიმწრისგან დაბრეცილი ტუჩები ნაზი ფშვინვით უახლოვდებოდა ჩემს სახეს. მას სასიყვარულო ღმობის დაშოშმინება სწადდა და მშრალი ტუჩებით ჩემსას ეკვროდა, მაგრამ უეცრად გადაიწყო და კულულებს მკვეთრად აიქნევა ხოლმე. შემდეგ კვლავ მეკონებოდა და გადახსნილი ბაგეებით ტკბობის უფლებას მაძლევდა. მზად ვიყავი, დიდსულოვნად მეჩუქებინა მისთვის ყველაფერი - ჩემი გული, ყელი, შიგნეული - და მოუხერხებელ, პატარა მუშტში დავაკავებინე ჩემი ვნების ვკერთხი. მახსოვს პუდრის სურნელი - რომელსაც ის, მგონი, დედამისის ესპანელ მოახლეს ჰპარავდა - მოტკბო, იაფფასიანი მუშკის სუნი; ის ერწყმოდა მის ბისკვიტისმაგვარ სურნელს და უეცრად ჩემი გრძნობების ფიალა პირთამდე აივსო; უახლოესი ბუჩქის ძირას ატეხილმა აურზაურმა ხელი შეუშალა მათ გადმოღვრას. გავშემდით და მარღვების მტკივნეული ცახცახით ყური მივუგდეთ ხმაურს, რომელიც, ალბათ, ნადირობით გართულმა კატამ თუ ატეხა. სამწუხაროდ, ამავე დროს სახლის მხრიდან გაისმა ქალბატონ ლის ხმა, რომელიც ქალიშვილს ეძახდა და ამ ხმაში თანდათანობით მზარდი გრგვინვა ისმოდა. ექიმი კუპერი მძიმედ, კოჭლობით ჩამოვიდა ვერანდიდან ბაღში. მაგრამ მიმოზათა ეს რაყა, ვარსკვლავების ეს ნისლეული, ჟრჟოლა, ცეცხლი, თაფლივით ტკბილი ნამი და ჩემი ტანჯვა მე შემომრჩა, და ეს გოგონა, რომელსაც ზღვისგან გადატყევილი ფეხები და ცეცხლოვანი ენა ჰქონდა, იმ დროიდან განუყრელად თან მდევდა - სანამ, ბოლოს და ბოლოს, ოცდაათხი წლის შემდეგ, საცთური არ დავმლიე და ის სხვაში არ გავაცოცხლე.

5. სიყრმის დღეები განმეორებადი ნაკუწების ფერმკრთალი ქარბუქივით ჩამიქროლებს ხოლმე, ისე, როგორც გამოყენებული ქალაქის ფურცლები, რომელთა ფრიალს ამერიკული ექსპრესის მგზავრი შეესწრება დილაობით, უკანასკნელი ვაგონის ბოლო სამხერი ფანჯრიდან. ქალებთან დამყარებულ ჩემს ჰიგიენურ ურთიერთობებში პრაქტიკული, დამცინავი და სწრაფი ვიყავი. ლონდონისა და პარიზის უნივერსიტეტებში სწავლისას ფასიანი ვარიკებით ვკმაყოფილდებოდი. მეცნიერებას მუყაითად დავეწაფე, თუმცა არცთუ წარმატებულად. თავდაპირველად ფსიქიატრობა მსურდა, როგორც ბევრ სხვა უიღბლო კაცს, მაგრამ მე განსაკუთრებული უიღბლო გახლდით. საოცარი დადლილობა დამეუფლა (ექიმთან უნდა მივიდე - ისე ვეწვალე) და ინგლისური ლიტერატურის შესწავლა დავიწყე. ამით თავი გააქვს ბევრ ფუჭყვავილა პოეტს, რომლებიც ბოლოს ჩიბუხიან, საუკეთესო შალის პიჯაკში გამოიწყობილ პროფესორებად გადაიქცევიან ხოლმე. ოცდაათიანი წლების პარიზი ზუსტად მომერგო. საბჭოთა ფილმების შესახებ ვმსჯელობდი ამერიკელ ლიტერატორებთან. ურანისტებთან ერთად ვიჯექი კაფეში Des Deux Magots[7] დვლარჭნილ ეტიუდებს ვაქვეყნებდი ნაკლებ პოპულარულ ჟურნალებში. ვთხზავდი პაროდიებს - მაგალითად, ელიოტზე: დაე ფროილიან ფონ კულჰმა, ჯერ კიდევ ხელი რომ უკიდია კარის სახელურზე, მოიხედოს... არა, არ გავყვები არც მას, არც ფრესკას. არც იმ თოლიას... ერთ-ერთი ჩემი ნაშრომი ამგვარად იყო დასათაურებული: „პრუსტისეული თემა კიტსის მიერ ბენჯამინ ბელისადმი გაგზავნილ წერილში“ - ექვსმა-შვიდმა მეცნიერმა ეს ნაშრომი მოწონების გამომხატველი ღიმილით წაიკითხა. სახელგანთქმული გამომცემლისთვის ინგლისური პოეზიის მოკლე ისტორიის წერას შევუდექი, შემდეგ კი ხელი მოვკიდე ფრანგული მწერლობის იმ სახელმძღვანელოს შედგენას (ინგლისური ლიტერატურიდან დამოწმებული პარალელებით), რომელიც ამერიკელი და ბრიტანელი მკითხველისთვის იყო განკუთვნილი. მასზე ორმოციანი წლების განმავლობაში უნდა მემუშავა, ხოლო ბოლო ტომი თითქმის გამზადებული მქონდა ჩემი დაპატიმრების დღეს.

სამსახური ვიშოვ: ინგლისურ ენას ვასწავლიდი მოზრდილი ასაკის პარიზელთა ჯგუფს; ისინი ქალაქის მეთექვსმეტე ოლქში ცხოვრობდნენ. შემდეგ ორი ზამთრის განმავლობაში ვაჟთა გიმნაზიაში ვასწავლიდი. ზოგჯერ ფსიქიატრიისა და საზოგადოებრივი მეურვეობის სფეროებში მომუშავე ჩემი ნაცნობების წყალობით ვწვევოდი ხოლმე სხვადასხვა დაწესებულებას,

მაგალითად, მცირეწლოვანი ბოროტმოქმედი გოგონებისთვის განკუთვნილ ობოლთა თავშესაფრებსა და სკოლებს. აჰ, როგორც ეს სიზმარში ხდება, დასჯის შიმშის გარეშე ვუმზერდი ფერმკრთალ ყმაწვილ ქალებს, რომელთაც შეწებებული წამწამები ჰქონდათ. ახლა კი მსურს, ამგვარი აზრი ჩამოვაცალიხო. გვხვდებიან ცხრიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის ისეთი გოგონები, რომლებიც ზოგიერთი მოჯადოებული (მათზე ორჯერ თუ სამჯერ უფროსი) მწირისთვის თავიანთ ჭეშმარიტ არსს ავლენენ; არა ადამიანურ, არამედ - ნიმფურ (ესე იგი, დემონურ) არსს; გთავაზობთ, ამ პატარა რჩეულ გოგონებს ნიმფეტები ვუწოდოთ. მკითხველი შეამჩნევს, რომ სივრცობრივ ცნებებს მე დროსთან დაკავშირებულ ცნებებს ვუნაცვლებ. უფრო მეტიც: მწადია, თვალნათლივ დაგანახოთ ეს ზღვრები, 9-14; ესაა იმ მოჯადოებული კუნძულის ხილული მოხაზულობა (მოსარკული მეჩრეები, ალისფერი კლდეები), რომელზეც ჩემი ნიმფეტები ცხოვრობენ და რომელიც გარშემორტყმულია ფართო, დანისლული ოკეანით. ისმის კითხვა: ამ ასაკობრივ საზღვრებში ყველა გოგონა ნიმფეტია? რა თქმა უნდა, არა. სხვაგვარად ჩვენ, ხელდასხმულნი, ჩვენ, მარტოსული მეზღვაურნი, ჩვენ, ნიმფოლეპტები, დიდი ხნის წინ გავვიწყდებოდით. მაგრამ სილამაზეც არაა კრიტერიუმი, მაშინ, როდესაც ვულგარულობა (ან თუნდაც ის, რასაც ამა თუ იმ წრეში ვულგარულობას უწოდებენ) აუცილებლად არ გამორიცხავს იმ იდუმალი თვისებების - ზღაპრული, უჩვეულო გრაციის, უჩინარი, ცვალებადი, სულისწამლები, შემპარავი ხიბლის არსებობას. ყოველივე ეს ნიმფეტს განასხვავებს თანატოლთაგან, რომლებიც გაცილებით მეტად არიან დამოკიდებულნი ერთჯერადი მოვლენების სივრცობრივი სამყაროსაგან, ვიდრე მოჯადოებულ დროში არსებული ჰაეროვანი კუნძული, სადაც ლოლიტა თავისნაირ გოგონებს ეთამაშება. ამავე ასაკობრივ საზღვრებში ჭეშმარიტი ნიმფეტების რიცხვი გაცილებით ნაკლებია ულამაზოთა, უბრალოდ „საყვარელთა“ ან თუნდაც „სანდომიანთა“ რაოდენობაზე. ესენი არიან სავსებით უფერული, ფუნთუშა, ულაზათო, ციკანინი, თავისი ბუნებით - მიწიერი გოგონები, რომელთაც მრგვალი მუცლები და ნაწნავები აქვთ. ზოგჯერ ისინი ლამაზ (როგორც იტყვიან) ქალებად გადაიქცევიან (შეხეთ ერთი, რომელიმე ულამაზო, ფუნჩულა, შევწინდებიანი და თეთრქუდიანი გოგონა ეკრანის მომხიბლავ ვარსკვლავად როგორ გარდაისახება ხოლმე). თუ ნორმალურ ადამიანს სთხოვთ, გამოარჩიოს ყველაზე ეშხიანი გოგონა მოსწავლეების ან გერლ-სკაუტების ჯგუფურ ფოტოსურათზე, ის ყოველთვის როდი მიუთითებს ნიმფეტზე. ხელოვანი და შემოღობილი უნდა იყო, მდულარე ბალღამი უნდა გქონდეს გამდგარი სხეულის ფესვში და უზომო ავხორცობის მარადიული ალი უნდა გიზგიზებდეს მგრძნობიარე ხერხემალში (ო, როგორი იდუმალეა და მალვა გვიწევს!), რომ მყისვე, ენით აუწერელი ნიშნებით - ყვრიმალეების ოდნავ კატისებრი მოხაზულობით, სხეულის ასოთა სინატიფითა და სილბილით და კიდევ სხვა ნიშნებით, რომელთა ჩამოთვლას წინ ეღობება ჩემი სასოწარკვეთილება, კრძალვა, სინაზის ცრემლი - იცნო პაწაწინა მომაკვდინებელი დემონი ჩვეულებრივი ზავშვების ბრბოში: ძნელად საცნობი ნიმფეტი მათ შორის დგას და თვითონაც ვერ გრძნობს თავის საარაკო ძალმოსილებას. და კიდევ: ამ ჯადოსნურ საქმეს დრო წარმართავს. ამიტომ მეცნიერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ აუცილებელია რამდენიმე (მე ვიტყვოდი, სულ ცოტა, ათი, მაგრამ, ჩვეულებრივ, ოცდაათი

ან ორმოცი - ზოგიერთ სახელგანთქმულ შემთხვევაში ოთხმოცდაათამდე) წლის განსხვავება გოგონასა და მამაკაცს შორის, რათა ეს უკანასკნელი ნიმფეტის ხიბლმა მონუსხოს. აჰ არსებითია თვალის ბროლის შეგუება. შინაგანი მზერა საამო მღელვარებით დასძლევს ხოლმე გარკვეულ მანძილს, გონი კი ბიწიერი ტკბობის კრუნჩხვით ითავისებს გარკვეულ კონტრასტს: „როდესაც ყრმა ვიყავი, ისიც პატარა გოგონა იყო“ (კვლავ ედგარისეული ზარხოშია). ანაბელა ჩემთვის ნიმფეტი როდი იყო: მისი კბილა გახლდით; წარსულის მოგონებისას მგონია, რომ მეც დროის იმ მოჯადოებული კუნძულის ბინადარი პაწია ფავნუსი ვიყავი. ახლა, ოცდაცხრა წლის შემდეგ, მასში საწყის საბედისწერო ცდუნებას ვამჩნევ. ნაადრევი სიყვარულით გვიყვარდა ურთიერთი, იმ სიმშაგით, რომელიც ეგზომ ხშირად ანგრევს მოწიფულ ადამიანთა ცხოვრებას. ჯანსაღი ჭაბუკი ვიყავი და გაუძელი, ბალღამი კი ჭრილობაში ჩამრჩა და აი, უკვე ვვაჟკაცდებოდი ჩვენი ცივილიზაციის წიაღში, რომელიც მამაკაცს უფლებას აძლევს, შეიყვაროს თექვსმეტი წლის ქალიშვილი, მაგრამ არა თორმეტი წლის გოგონა. ამგვარად, გასაკვირი არაა, რომ ევროპაში გატარებული ჩემი სიმწიფის წლები საოცრად გაორებული იყო. გარეგნულად ეგრეთ წოდებულ

ნორმალურ კავშირებს ვამყარებდი მიწიერ ქალებთან, რომელთაც გოგონების ან მსხლის ფორმის მუქუები ჰქონდათ, შინაგანად კი ყოველი შემხვედრი ნიმფეტის გამო გამაფრებელი ავხორცობის ჯოჯოხეთურ ღუმელში ვიწვოდი. კანონის მოშიში მხდალი, ვერ ვბედავდი მათთან მიახლოებას.

ადამის მოდემის ზორზოხა მდებდებთან ნებადართული კავშირი ჩემთვის მხოლოდ პალიატივს წარმოადგენდა. მზადა ვარ ვირწმუნო, რომ ჩემში ბუნებრივი შერწყმით აღძრული შეგრძნებები მეტ-ნაკლებად უტოლდებოდა იმას, რასაც განიცდიან ნორმალური მამაკაცები ნორმალურ ქალებთან შეერთებისას იმ რუტინულ რიტმში, რომლითაც სამყარო ირწყევა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ ბატონებს არ განუცდიათ გაცილებით მძაფრი ნეტარება, რომელიც მე განვიცადე. პოლუციის გამომწვევ ჩემ სიზმართაგან ყველაზე უღიმღამო ათასჯერ უფრო ხატოვანი იყო, ვიდრე ის სიძვა, რომლის წარმოდგენას შეძლებდა ყველაზე ვაჟკაცური ბუნების გენოსი ან ყველაზე ნიჭიერი ოპონენტი. ჩემი სამყარო გახლეჩილი იყო. ქალებში ორი სქესის არსებობას ვგრძნობდი, მაგრამ ვერც ერთს ვერ დავუფლებოდი. ანატომი ორივე სქესს მდებდრობითს მიაკუთვნებდა, ჩემთვის კი, გრძნობათა უჩვეულო პრიზმაში ჭვრეტისას, ისინი ისევე განსხვავდებოდა, როგორც „ზმანება“ და „ზმორება“. ახლა ყოველივე ამის რაციონალიზებას ვცდილობ, მაგრამ ოცი- ოცდახუთი წლის ასაკში ესოდენ ნათლად ვერ ვერკვეოდი საკუთარ ვნებებში. სხეულმა საუცხოოდ იცოდა, რა სწყუროდა, მაგრამ გონება მის ყოველ ვედრებას უარყოფდა. ხან შიში და სირცხვილი მეუფლებოდა, ხან კი - განუხჯელი ოპტიმიზმი; საზოგადოებრივი აკრძალვა ხომ მახრჩობდა. ფსიქოანალიტიკები ლიბიდოაბდაუბდისგან ფსევდოგათავისუფლებით მაცდუნებდნენ. სასიყვარულო ჟრუანტელის ერთადერთ ობიექტად ანაბელას დები, მისი მესაიდუმლენი და კორდებალეტი მესახებოდა, რასაც ზოგჯერ სიგიჟის შომასწავებელ ნიშნად მივიჩნევდი. ზოგჯერ კი თავს ვარწმუნებდი, რომ ყოველივეს ესა თუ ის თვალსაზრისი განსაზღვრავს და ცუდი არაფერი იყო იმაში, რომ მცირეწლოვანი გოგონებისგან თავბრუ მესხმოდა. ნება მიბოძეთ, შევასხენო მკითხველს, რომ ინგლისში ბავშვებისა და ყმაწვილი ქალების შესახებ კანონის მიღების შემდეგ (1933 წელს) ტერმინი „გერლჩაილდ“ (ესე იგი,

გოგონა) განისაზღვრება როგორც მდებდრობითი სქესის პირი, რომელიც არანაკლებ რვისა და თოთხმეტზე ნაკლები წლისაა (შემდგომ ასაკს, თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, სტატუსი განსაზღვრავს, როგორც „ყმაწვილ ქალს“). მეორე მხრივ, ამერიკაში, კერძოდ, მასაჩუსეტსში, ტერმინი „უეიუარდ ჩაილდ“ (გზასაცდენილი ბავშვი) ტექნიკურად გულისხმობს შვიდიდან ჩვიდმეტ წლამდე ასაკის გოგონას, რომელსაც „კავშირი აქვს უხნეო და ბიწიერ პირებთან“. ჰიუ ბროუტონმა, ჯემს პირველის თანამედროვე პოლემიკოსმა მწერალმა, დაამტკიცა, რომ რეჰაბი ათი წლის ასაკში მრუშობდა. ყოველივე ეს უკიდურესად საინტერესოა და, ალბათ, უკვე შეტევისწინა მდგომარეობაში - პირზე დუჟმორეული წარმომიდგინეთ. მაგრამ არა, არაფერი ქაფდება, უბრალოდ, ნეტარი აზრების ნაირფერ რწყილებს ერთი წვიპურტით ვყრი შესაბამის ფინჯანში. აი, კიდევ სურათები: ვერგილიუსი (ვიმონემბ ძველ ინგლისელ პოეტს) „ნიმფეტს უმღერდა ერთ ტონში“, თუმცა, ალბათ, ბიჭუნას პერიტონიუმს ამჯობინებდა. აი მეფე აქნატენისა და დედოფალ ნეფერტიტის ორი, ჯერ კიდევ ნორჩი ქალიშვილი. მათ ამგვარი სულ ექვსი ჰყავდათ - ნილოსელი, თავგადაპარსული, ტიტლიკანა (მხოლოდ მძივების უამრავი ასხმით შემკული) გოგონები, რომელთაც ყავისფერი, ლეკვის სხეულივით რბილი მუცლები და აბანოზის ხისფერი გრძელი თვალები ჰქონდათ. ისინი მშვიდად მოკალათებულან ბალიშებზე და სრულიად უვნებელნი არიან სამი ათასი წლის შემდეგ. აი, ათი წლის პატარძლები, რომელთაც კლასიკური განათლების ტაძრებში აიძულებენ, ფასცინუმზე - სპილოს ძვლის პალოზე დასხდნენ. ბავშვებზე ქორწინება და სქესობრივი კავშირი ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება ინდოეთის ზოგიერთ რაიონში. ასე, მაგალითად, ოთხმოცი წლის ლეფჩანელი ბერიკაცები კავშირს ამყარებენ რვა წლის გოგონებთან და ეს არავის ეკითხება. ბოლოს და ბოლოს, დანტეს გაგიჟებით შეუყვარდა თავისი ბეატრიჩე, როდესაც გოგონა ცხრა წლისა შესრულდა - ეგზომ მოელვარე, შემკული, მწყაზარი, პატიოსანი ქვებით მორთულ ალისფერ კაბაში გამოწყობილი. ეს იყო 1274 წელს, ფლორენციაში, ერთ ნადიმზე, მხიარულ მაისში. ხოლო როდესაც პეტრარკას გაგიჟებით შეუყვარდა თავისი ლაურინა, ის თორმეტი წლის ქერათმიანი ნიმფეტი იყო, რომელიც ქარში, მტვერსა და ყვავილებში მირბოდა, თვითონაც ატაცებული ყვავილის დარი, იმ მშვენიერ ველზე, ვოკლუზის ბორცვიდან რომ მოჩანს. მაგრამ მოდით, სიდარბაისლე და კულტურა შევინარჩუნოთ. ჰუმბერტ ჰუმბერტი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა კარგი ყოფილიყო. ღმერთმანი, მართლაც ცდილობდა. ის ძალზე ფრთხილად ეპყრობოდა ჩვეულებრივ ბავშვებს და მათ სათუთ სიწმინდეს; არასოდეს ხელყოფდა ბავშვის უბიწოებას, თუ

სკანდალის მცირეოდენი საფრთხე მაინც არსებობდა. ბეჩავს როგორ უცემდა გული, როდესაც უმანკო ბავშვთა ბრბოში ამჩნევდა დემონურ ბავშვს, „enfant charmante et fourbe“ [8], -

მიზნედილი თვალეზი, წითელი ტუჩეზი, ათი წლის კატორღა, გოგონას რომ შეემჩნია მისი მზერა. ასე მიედინებოდა ცხოვრება. ჰუმბერტს შეემლო, ევასთან დაემყარებინა კავშირი, მაგრამ საოცნებო არსება ლილითი იყო. მკერდის განვითარების კვირტისებრი სტადია (10 7/10 წლის ასაკში) იმ სომატურ ცვლილებებს ახლავს, რაც სქესობრივი სიმწიფის მოახლოებას მოჰყვება ხოლმე. შემდეგი თქვენთვის ცნობილი ნიშანია სხეულზე პიგმენტირებული ღინღლის პირველი გამოჩენა (11 2/10 წლის ასაკში). ჩემი ფინჯანი პირთამდე სავსეა რწყილებით.

დაიღუპა გემი. მარჯნის კუნძულზე ვიმყოფები დაღუპული მგზავრის გათოშილ პატარა ქალიშვილთან ერთად. ჩემო საყვარელო, ეს ხომ მხოლოდ თამაშია! რა შესანიშნავ თავგადასავლებს ვიგონებდი ხოლმე, როდესაც ქალაქის ბაღის მაგარ მერხზე ვიჯექი. თავს ვიკატუნებდი, თითქოს ამღვრეული მზერით წიგნს ჩავცქეროდი. მშვიდობიანი ერუდიტის გარშემო ნიმფეტები ლაღად დანავარდობდნენ, თითქოს ის ბაღის მომბეზრებელი ქანდაკება ან ბებერი ხის ჩრდილი იყო. ერთხელ შოტლანდიურ ქვედატანში გამოწყობილმა უნაკლო სილამაზის გოგონამ მერხზე ხმაურით დადგა მძიმედ შეიარაღებული ფეხი, რათა შიშველი ხელები ჩემში აეფათურებინა და გორგოლაქიანი ციგურის თასმა მოეჭირა - და მზის ათინათებში ჩავიძირე, ხოლო ლედვის ფოთლის ნაცვლად წიგნი ავიფარე. გოგონას ქერა კულულები მის დაკაწრულ მუხლს ეფინებოდა, ჩვენი საზიარო ხის ჩრდილი კი ფეთქავდა და დნებოდა მის წვივზე, რომელიც ჩემს ქამელეონისეულ ლოყასთან ასე ახლოს ლაპლაპებდა. ერთხელ წითური მოსწავლე გოგონა მეტროს ვაგონში თავს დამადგა და ჩამოეკიდა. მისი იღლის ნარინჯისფერმა ღინღლმა გამაოგნა და რამდენიმე კვირის განმავლობაში სისხლს მიჩქროლებდა. შემძლია მოგიტხროთ უამრავი ამგვარი ცალმხრივი რომანი. ზოგიერთი მათგანის დასასრული ჯოჯოხეთური წამლით იყო შეკავშული. ხანდახან, ღამით, ჩემი აივნიდან, ქუჩის გადაღმა, განათებულ ფანჯარაში ვამჩნევდი ნიმფეტს, რომელიც თავაზიანი სარკის წინ ტანსაცმელს იხდიდა. ამ განმარტობაში, ამ სიშორეში მისი მშვენება არაჩვეულებრივ სიმძაფრეს იძენდა, ხოლო მე, აივანზე გადმოდგარი მაყურებელი, გამალებით ვიკმაყოფილებდი ცალკერძ ვნებას. მაგრამ ჩემ მიერ უკვე თავყვანცემული სიშიშვლის ნაზი მოხაზულობა ეშმაკისეული უეცრებით იქცეოდა ხოლმე ღამით განათებული მამაკაცის შიშველ, ზიზღისმომგვრელ იდაყვად. ზაფხულის ცხელ, ნოტიო, უსასოო ღამეში საცვლებისამარა კაცი ღია ფანჯარასთან გაზეთს კითხულობდა. თოკზე ხტუნვა. ასკინკილაობა ცარცით დახაზულ პანელზე. თაღხებით მოსილი დაუვიწყარი დედაბერი, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა ბაღის მერხზე - აქ ვნეტარებდი და ვეწამებოდი (ნიმფეტი მერხის ქვეშ შეგორებულ მინის ზურთულას ეძებდა) - და იმ ღიზღმა კუდიანმა მკითხა, მუცელი ხომ არ გტკივათო. ოჰ, დამტოვებ ჩემს აბიზინებულ პარკში, ჩემს ხავსით დაფარულ ბაღში. დაე, მათ მარად ითამაშონ ჩემს ირგვლივ და არასოდეს დაქალდნენ!

6. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვაღიარო, რომ ხშირად ვეკითხებოდი თავს, რა მოსდიოდათ შემდეგ ამ ნიმფეტებს. შეიძლებოდა თუ არა, რომ ჩვენს მიზეზშედეგობრივ, თუჯის გისოსებთან

სამყაროში ჩემ მიერ ნაქურდალ ჟრუანტელს მათ მომავალზე გავლენა მოეხდინა? ის ჩემი იყო - რაც არასოდეს ეცოდინება. კეთილი, მაგრამ ეს თავს ხომ არ იჩენს შემდგომ? რაიმე ვნება ხომ არ მივაყენე გოგონას მომავალ ბედ-იღბალს იმით, რომ მისი ხატება ჩემს იღუმალ ნეტარებაში ჩავრთე? ო, ეს იყო და იქნება ჩემი უდიდესი, თავზარდამცემი ეჭვების საგანი. ამასთან, გამოვარკვიე, როგორ გარდაიქმნებიან დაქალებისას მომხიზველი, გამაგიჟებელი ნიმფეტები. მახსოვს, ერთ საღამოს, გაზაფხულზე, პარიზის ცენტრის ხალხმრავალ ქუჩაზე მივაბოტებდი. მომცრო ტანის მოხდენილმა გოგონამ მაღალი ქუსლების სწრაფი ბაკიბუკით ჩამიარა; ერთდროულად მივხედეთ ერთმანეთს, შეჩერდა და მასთან მივედი. მკერდის ბალნამდე ძლივს მწვდებოდა. მრგვალი პირისახე და ჩაჩვრეტილი ლოყები ჰქონდა, ისეთი, როგორც ხშირად აქვთ ხოლმე ფრანგ ყმაწვილ ქალებს. მომეწონა მისი გრძელი წამწამები და მარგალისტისფერ-რუხი *tailleur*[9], რომელიც ნორჩ ტანზე შემოტმასნოდა. გოგონას ჯერ კიდევ ბავშვური სხეული ჰქონდა (და სწორედ ეს აღვიქვი, როგორც ნიმფური ექო, როგორც ტკბობის ჟრუანტელი და წელის არეში განცდილი ჩქროლვა), რაც პატარა მარჯვე უკანალის პროფესიულ *frétillage*[10]-ს ერწყმოდა. ფასი ვიკითხე და მაშინვე მიპასუხა მუსიკალური, ვერცხლივით წკრიალა სიზუსტით (ჩიტო - ნამდვილი ჩიტო!) „Cent“. შევაჭრება ვცადე, მაგრამ მან აწონ-დაწონა მომძლავრებული ფარული ჟინი, რომელიც მის მრგვალ პაწია შუბლსა და ჩანასახოვან შლაპაზე (თაიგული და ბაფთა) მაღლიდან მიპყრობილ ჩემს თვალეზში გამოსჭვიოდა: „Tant pis“[11], წარმოთქვა თვალის ჩაკვრით და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს გზის გაგრძელებას აპირებდა. გავიფიქრე: სულ სამიოდე წლის წინ შეემძლო დამენახა, თუ როგორ ბრუნდებოდა ის სკოლიდან შინ-მეთქი. ამ სურათმა გაჭრა. გოგონამ ამიყვანა ჩვეულებრივ

კიბეზე, კარის ჩვეულებრივი სიგნალი რომ ჰქონდა. ის აფრთხილებდა ბატონს, რომელსაც სხვა ბატონებთან შეხვედრა არ სურდა, თავისუფალი იყო თუ არა გზა - ამაზრზენი ოთახისაკენ მიმავალი უხალისო გზა. ოთახში მხოლოდ საწოლი და ბიდე შევამჩნიე. როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, მან პირველ რიგში თავისი „petit cadeau“ [12] მოითხოვა და, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, მისი სახელი - Monique და ასაკი (თვრამეტი წელი) ვიკითხე. მეძავთა ბანალური ქცევა არ მეუცხოებოდა. ყველა ამ dixhuit-ს გაიძახის მკაფიო ჟღერტულით, რომელშიც ოცნებით აღსავსე სიცრუის ნოტი იგრძნობა. ეს უბედურები დღე-ღამის განმავლობაში ათჯერ მაინც ჟღერტულდნენ ამგვარად. მაგრამ ამ შემთხვევაში აშკარა იყო, რომ მონიკა ორიოდ წელს კი არ იკლებდა, არამედ იმატებდა. ეს დასკვნა გამოვიტანე მისი კომპაქტური, თითქოს ჩამოთლილი, საოცრად განუვითარებელი სხეულის ბევრი დეტალის საფუძველზე. მან განსაცვიფრებლად სწრაფად გაიხადა, წუთით ფანჯარასთან შეჩერდა, თითქმის გაეხვია ფარდის ჭუჭყიან მარმაში და ბავშვური სიამოვნებით ყური მიუგდო (რაც წიგნში, ალბათ, ხალტურად აღიქმებოდა) მეარდნეს, რომელიც ბნელ ეზოში უკრავდა. როდესაც მისი პაწია ხელები დავათვალიერე და ჭუჭყიანი ფრჩხილები ვაჩვენე, მონიკა გულუბრყვილოდ მოიღუშა და წაილაპარაკა: „Oui, ce n'est pas bien“ [13]. ის-ის იყო, ხელსაბანისკენ გაემართა, რომ ვუთხარი, ამას სულაც არა აქვს მნიშვნელობა, სულაც არა-მეთქი. შეკრეჭილი შავი თმა, ბაცი-ნაცრისფერი მზერა და მკრთალი კანი უკიდურეს მომხიბვლელობას ანიჭებდა. თემოები იმავე სიგანისა ჰქონდა, როგორც ჩაცუცქულ ბიჭს. მეტიც,

შემიძლია, უყოყმანოდ ვამტკიცო (და აი, რატომაა, რომ პატარა მონიკას მაღლიერებით ვუწილადებ მოგონებათა რუხ-მარმაშისებრ საკანში ჩემთან ერთად ყოფნას), რომ იმ ოთხმოც თუ ოთხმოცდაათ როსკის შორის, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩემი თხოვნით ჩემსავე შექცევას ცდილობდნენ, ეს გოგონა ერთადერთი იყო, ვინც მე ჭეშმარიტი ტკობის ჩხვლეტა მაგრძნობინა. „Il était malin, celui qui a inventé ce truc-là“ [14], თავაზიანად შენიშნა მან და ჩაცმულ მდგომარეობას მაღალი სტილისთვის ჩვეული იმავე სისწრაფით დაუბრუნდა, რომლითაც ადრე გაშიშვლდა. ვკითხე, კიდევ ერთი, უფრო საფუძვლიანი პაემნით ხომ არ დამაჯილდოებდა იმავე საღამოს. დამპირდა, რომ კუთხეში, კაფეს მახლობლად შემხვდებოდა. დაუმატა, რომ თავისი პაწია სიცოცხლის განმავლობაში არავინ მოეტყუებინა. ვერ მოვითმინე, რომ არ მეთქვა, რა ეშხიანი ხარ-მეთქი, რაზეც მან თავმდაბლად მომიგო: „Tu es bien gentil de dire ça“ [15]. შემდეგ კი, როდესაც ის შეამჩნია, რაც მე უკვე შევნიშნე ჩვენი ვიწრო ედემის ამსახველ სარკეში (კერძოდ, ალერსის გამომხატველი ულაზათო გრემასა, რომელმაც პირი მომიღრიცა), გულმოდგინე მონიკამ (ო, ის უთუოდ ნიმფეტი იქნებოდა თავის დროზე!) იკითხა, ტუჩებიდან საღებავი ხომ არ მოეწმინდა დაწოლის წინ, თუკი მის კოცნას მოვინდომებდი. რა თქმა უნდა, მოვინდომებ. მასთან გაცილებით უფრო გავლაადი, ვიდრე რომელიმე სხვა ჰეტერასთან. მონიკათი და მისი გრძელი წამწამებით გამოწვეული ჩემი იმდამინდელი შთაბეჭდილება რაღაც მხიარულს მაგონებს იმ მოგონებებისგან განსხვავებით, რომლებიც ჩემს დამამცირებელ, უბადრუკ და უღიმღამო სქესობრივ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. მას არაჩვეულებრივი კმაყოფილება გამოეხატა სახეზე, როდესაც შეპირებულ თანხას ორმოცდაათი ფრანკი დავუმატე. ამის შემდეგ გოგონა აპრილის ღამის ჟინჯღლში გაცუნცულდა, ტლანქი ჰუმბერტი კი მძიმედ გაჰყვა მის ვიწრო ზურგს. ვიტრინის წინ შეყოვნებისას მან დიდი სიამოვნებით წარმოთქვა: „Je vais m'acheter des bas!“ [16] - ღმერთმა დამიფაროს, ოდესმე დავივიწყო პაწაწინა პარიზელი გოგონას ბალღური ტუჩებით გამოცემული მსკდომი ბგერა სიტყვაში „bas“, რომელიც ისე მქდერად გაისმა, რომ „a“ კინაღამ მოკლე, მკვირცხლ „o“-დ გადაიქცა. ჩვენი შემდეგი პაემანი მეორე დღეს შედგა, ნაშუადღევს, ორ საათსა და თხუთმეტ წუთზე, ჩემს ბინაში. ის ნაკლებ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა: ღამის განმავლობაში გოგონა თითქოს დაქალდა, უფროს კლასში გადავიდა, თანაც გაცივდა. მისგან სურდო გადამედო და მეოთხე შეხვედრა გავაუქმე - მიხაროდა კიდევ, რომ დავაკე მზარდი გრძნობა, რომელსაც შეეძლო, სულისწამლები ზმანებებითა და დუნე გულგატეხილობით დავემძიმებინე. დაე, ის კრიალაკანიან წერწეტა მონიკად დარჩეს - ისეთად, როგორც იმ ორი-სამი წუთის განმავლობაში იყო, როდესაც საქმიან ყმაწვილ მეძავში უპატრონო ნიმფეტი გამოსჭვიოდა. მასთან ჩემმა ხანმოკლე ნაცნობობამ იმ აზრებამდე მიმიყვანა, რომლებიც უთუოდ ძალზე გასაგები იქნება საქმეში ჩახედული მკითხველისთვის. უხამს ჟურნალში გამოქვეყნებული განცხადებით ერთ მარჯვე დღეს ვიღაც Mlle Edith [17]-ის კანტორაში აღმოვჩნდი. მან შემომთავაზა, ცხოვრების თანამგზავრი ამერჩია ერთობ ფორმალური ფოტოსურათების დასტიდან, რომელიც საკმაოდ გაქონილ ალბომში იყო თავმოყრილი (“Regardez-moi cette belle

brune?"[18] - უკვე საქორწინო კაბა აცვია). როდესაც ალბომი გადავდე და უხეიროდ, ვაი-ვაგლახით გამოვთქვი ჩემი დანაშაულებრივი ოცნება, მან ისე შემომხედა, თითქოს კარში გაგდებას მიპირებდა. მაგრამ როდესაც გაიგო, რა თანხის გადახდისთვის ვიყავი მზად, ინება და აღმითქვა, გაეცნო პიროვნება, რომელიც საქმეს მოაკვარაჩინებდა. მეორე დღეს ასთმიანმა, სახეშეთითხნილმა, ლაქლაქა, ნივრის სუნიტ გაჟღენთილმა ქალმა, სასაცილო პროვანსული გამოთქმით რომ ლაპარაკობდა, იისფერ ტუჩებს კი შავი უღვაში უმშვენებდა, თავის სახლში წამიყვანა. იქ მან წინასწარ ხმაურით აკოცა თავის შეერთებულ კოტიტა თითებს, რათა ხაზი გაესვა კოკორი ვარდივით სანუკვარი საქონლის ხარისხისთვის და სათეატრო მოძრაობით გადასწია ფარდა. ფარდის უკან აღმოჩნდა ოთახი, რომელიც, ყველა ნიშნის მიხედვით, მრავალრიცხოვანი და არამომთხოვნი ოჯახის საძინებელი უნდა ყოფილიყო. სცენაზე ახლა არავინ იმყოფებოდა საოცრად ჩასუქებული, შავტუხა, ამაზრზენად ულამაზო ქალიშვილის გარდა, რომელიც თხუთმეტი წლისა მაინც იქნებოდა. მძიმე, შავ ნაწნავებში მუქი წითელი ლენტები ჰქონდა გაყრილი და ყალბი იერით უნანავებდა ქაჩალ თოჯინას. როდესაც უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე და ხაფანგიდან გათავისუფლება ვცადე, მაჭანკალი სწრაფად ალაპარაკდა და გოლიათ ყმაწვილ ქალს პერანგის გახდა დაუწყო, რათა მისი მკერდი გაემშველებინა. შემდეგ დარწმუნდა, რომ წასვლას ვაპირებდი და „son argent“[19] მოითხოვა. ოთახის სიღრმეში კარი გაიღო. ორი შავტუხა, დაღრეცილი აღნაგობის, კისერმოშიშვლებული მამაკაცი გამოვიდა სამზარეულოდან, სადაც ისინი სადილობდნენ, და კამათში ჩაერთვნენ. ერთს შავი სათვალე ეკეთა. სადღაც, მათ მიღმა ბუნდოვნად მოჩანდნენ პატარა ბიჭუნა და გათხუპნილი, ვოჭილი ჩვილი. თავხედური ლოგიკით, რომელიც კომმარების ნიშანია, გააფთრებულმა მაჭანკალმა შავსათვალთან მამაკაცზე მიუთითა და განაცხადა, რომ ის წინათ პოლიციის მსახურობდა - ასე რომ, უმჯობესია, ჯიბეზე ხელი გაიკრაო. მივუახლოვდი მარიამს (ეს მისი ვარსკვლავური სახელი იყო), რომელმაც ამ დროისთვის მშვიდად გადაანაცვლა თავისი მძიმე ბარძაყები საძინებელი ოთახის სკამიდან სამზარეულოს მაგიდასთან მდგარ ტაბურეტზე, რათა წვნიანის ჭამა განეგრძო, ჩვილი კი იატაკზე დაგდებულ მის თოჯინას დასწვდა. სიბრაღულმა გარკვეული დრამატიზმი მიანიჭა ჩემს იდიოტურ ჟესტს - მარიამს გულგრილ ხელებში ფული ჩავჩარე. მან ჩემი საჩუქარი ექს-მამებარს ჩააბარა და წასვლის ნება დამრთეს.

7. შესაძლოა, მაჭანკლის ალბომი ჩემი ბედის - გვირილების გირლანდის - დამატებით წწულს წარმოადგენდა. ასე იყო თუ ისე, მალე ცოლის შერთვა გადავწყვიტე. წარმოვიდგინე, რომ

მშვიდი ცხოვრება, შინაური კვება, ოჯახური ყოფის ყველა პირობითობა, დამეული მოღვაწეობის პროფილაქტიკური ერთფეროვნება და - ვინ იცის - ზოგიერთი ზნეობრივი ფასეულობის, ზოგიერთი წმინდა სულიერი ერზაცის როლის გაზრდა დამეხმარებოდა, აღმეკვეთა ბიწიერი და საშიში სურვილები, ან მშვიდად მაინც დამემლია ისინი. მცირე ქონებამ, მამაჩემის სიკვდილის შემდეგ რომ დავისაკუთრე (ბევრი არაფერი - „მირანა“ მან დიდი ხნის წინ გაყიდა) ჩემს განსაცვიფრებელ, თუმცა რამდენადმე ბრუტალურ, მამაკაცურ სილამაზესთან ერთად საშუალება მომცა, თავდაჯერებით დამეწყო შესაბამისი ადამიანის ძებნა. როდესაც კარგად ავწონ-დავწონე, არჩევანი პოლონელი ექიმის ქალიშვილზე შევაჩერე. ეს გულკეთილი კაცი მეხმარებოდა, როდესაც წყვეტილი გულისცემა და თავბრუსხვევა მაწუხებდა. ზოგჯერ ჭადრაკს ვეთამაშებოდი; მისი ქალიშვილი მოლბერტს უჯდა და ჩემგან ნასესხებ თვალებსა და ხელებს იმ კუბისტურ სისულელეში ამატებდა, რომელსაც იმდროინდელი განათლებული ქალიშვილები ატმებისა და ცხვრების ნაცვლად ხატავდნენ. თავს ნებას მივცემ, წყნარად, მაგრამ დამაჯერებლად გავიმეორო: ჩემი უბედურების მიუხედავად, ვიყავი და ახლაც ვარ უაღრესად ლამაზი მამაკაცი, დინჯი მოძრაობებით, ფაფუკი შავი თმითა და ზორბა სხეულის ერთგვარად სევდიანი, მაგრამ მით უფრო მიმზიდველი მოყვანილობით. ამგვარი ვაჟკაცური შესახედაობის სუბიექტები გარეგნულად ხშირად მიუკარებლობითა და აგზნებულობით გამოირჩევიან, რაც ფარული განცდებითაა გამოწვეული. ასე მომივიდა მეც. საუბედუროდ, კარგად ვიცოდი, რომ ჩემი ხელის ერთ დაქნევას ნებისმიერი მოწიფული ქალი დაემორჩილებოდა; მივევჩიე, ქალებისთვის არც ისე დიდი ყურადღება დამეთმო; მეშინოდა, რომ რომელიმე მათგანი წვენიტ გატიკნილი ნაყოფივით ზღართანს მოადენდა ჩემს ცივ წიაღზე. არ ვგავდი ეგრეთ წოდებულ საშუალო ფრანგს, რომელსაც გამოპრანჭული ქალბატონები უყვარს, ასე რომ გახელებულ ლამაზმანებს შორის, რომელნიც ჩემს პირქუშ კლდეს ეტლამუნებოდნენ, ადვილად ვიპოვიდი ვალერიასზე გაცილებით მომხიბვლელ არსებას. მაგრამ არჩევანისას ვხელმძღვანელობდი იმ მოსაზრებებით, რომლებიც - ამას კი ძალზე გვიან მივხვდი -

არსებითად დაიყვანებოდა უზადრუკ კომპრომისამდე. ყოველივე ეს ააშკარავებს, როდენ ბრიყვულად იქცეოდა საბრალო ჰუმბერტი სასიყვარულო საქმეებში.

8. თუმცა თავს ვუმტკიცებდი, რომ მხოლოდ სუბლიმირებული pot-au-feu[20] და ცოცხალი ქარქაში მჭირდებოდა, მაგრამ ვალერიაში მაინც პატარა გოგონას იმპერსონაცია მომწონდა. ის კი ბალღურად იმიტომ კი არ იქცეოდა, რომ საიდუმლოს მიმიხვდა; უბრალოდ, ასეთი იყო მისი

საკუთარი სტილი - და მეც მახეში გავები. სინამდვილეში ეს გოგონა ოცდაათი წლისა მაინც იყო (მისი ზუსტი ასაკი, ვერ იქნა, ვერ დავადგინე, რადგან თვით ვალერიას პასპორტიც ცრუობდა) და დიდი ხნის წინ გამოემშვიდობა ქალწულობას ისეთ ვითარებაში, მისი მეხსიერების განწყობის მიხედვით რომ იცვლებოდა. მე, ჩემი მხრივ, იმდენად გულუბრყვილო ვიყავი, როგორც შეიძლება იყოს მხოლოდ სექსუალური ნაკლის მქონე კაცი. ეს ფაფუკი და ანცი ვალერია გოგონასავით იცვამდა, უხვად აშიშვლებდა კრიალა ფეხებს, მაცდუნებდა ფეხსაცმლის შავი ხავერდის მეშვეობით მარჯვედ გამოკვეთილი ტერფის სითეთრით, ტუჩებს ბურცავდა, კანს აელვარებდა, ტიროლურ ქვედატანში გამოწყობილი ტრიალებდა და ძალზე ტრაფარეტულად აფრიალებდა მოკლე, ქერა თმას. რატუმში სწრაფად დაგვაქორწინეს. შემდეგ ცოლი ახალ ბინაში მივიყვანე და რამდენადმე გავაოცე იმით, რომ ხვევნა-კოცნის დაწყებამდე ვაიძულე, ჩაეცვა უბრალო, საბავშვო ღამის პერანგი, რომელიც ობოლთა თავშესაფარში მოვიპარე ტანსაცმლის კარადიდან. ქორწინების პირველმა ღამემ საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა და ჩემმა გულმოდგინებამ ჩერჩეტი ქალი ისტერიკამდე მიიყვანა. მალე ჭემმარიტებამ თავისი გაიტანა. ქერად შეღებილ კულულს შავი ძირი გამოეზარდა, გაპარსული წვივის ღინღმა ჩხვლეტა დაიწყო, ხოლო მოძრავმა სველმა ტუჩებმა, თუმცა გულმოდგინედ ვცდილობდი მათ დატენას სიყვარულით, უზადრუკი მსგავსება გამოავლინა მისი გომბეშოსებრი გარდაცვლილი დედის პორტრეტის შესაბამის ნაწილთან. ქუჩის ფერმკრთალი მოზარდის ნაცვლად ჰუმბერტ ჰუმბერტს შერჩა ზორბა, ჩათქვირული, ფეხმოკლე, მკვრდსავსე და სრულიად უტვირთ დედაკაცი. ეს მდგომარეობა 1935 წლიდან 1939 წლამდე გრძელდებოდა. ვალერიას ერთადერთ ღირსებას თვინიერება წარმოადგენდა. უცნაურია, მაგრამ ეს თვისება სიმყუდროვეს ანიჭებდა ჩვენს პატარა, ოროთახიან ღარიბულ ბინას, რომლის ერთი ფანჯრიდან კვამლიანი ხედი მოჩანდა, მეორიდან კი - აგურის კედელი; იყო ციციქნა სამზარეულო და ფეხსაცმლის ფორმის სააბაზანო. ამ უკანასკნელში თავი მარატად წარმომედგინა, თუმცა არსად ჩანდა თეთრკისერა გოგონა, რომელიც მომკლავდა. მე და ჩემმა ცოლმა ამ ბინაში არაერთი უშფოთველი საღამო გავატარეთ. ის თავის „Paris-Soir[21]“-ში იყო ჩაფლული, მე კი მორყეულ მაგიდას ვუჯექი და ვმუშაობდი. დავდიოდით კინოში, ველოდრომზე, კრივის შეჯიბრებებზე. მის უგემურ ხორცს ძალზე იშვიათად ვეტანებოდი, მხოლოდ უკიდურესი საჭიროების, უკიდურესი სასოწარკვეთილების წუთებში. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს საბაყლოს პატრონს პატარა ქალიშვილი ჰყავდა და ის მაგიჟებდა, თუმცა, ვალერიას დახმარებით ჩემი ფანტასტიური გასაჭირიდან გამოსავალს მაინც ვპოულობდი. რაც შეეხება შინაურ კვებას, უსიტყვოდ უარყვავით pot-au-feu და rue Bonaparte[22]-ზე, ვიწრო, პატარა რესტორანში ვიკვებებოდი. აქ ერთი გრძელი მაგიდა იდგა, საერთო სუფრას ღვინის ლაქები აჩნდა და უპირატესად უცხოენოვანი მეტყველება ისმოდა. ჩვენს მეზობლად, ანტიკვარიატის გაჭედულ ვიტრინაში გამოფენილი იყო შესანიშნავი, ფერადოვანი - მწვანე, წითელი, ოქროსფერი და მელნისფერ-ლურჯი - ესტამპი, რომელზეც გამოსახული იყო ორთქლმავალი ვეება საკვამურით, დიდი უცნაური ფარნებითა და უშველებელი საქონელჩამომგდებით. ის ტრამალების ქარიშხლიან

ღამეში იისფერ ვაგონებს მიაქროლებდა და ხშირ, შავ, ნაპერწკლებით აკიაფებულ კვამლს აზურბგნილ ღრუბლებს უერთებდა. მათში რაღაცამ გაიელვა. 1939 წლის ზაფხულში ჩემი ამერიკელი ბიძა გარდაიცვალა. მან რამდენიმე ათასი დოლარის ოდენობის ყოველწლიური შემოსავალი დამიტოვა, იმ პირობით, რომ საცხოვრებლად შეერთებულ შტატებში გადავსახლდებოდი და მისი ფირმის საქმეებს ჩავუდგებოდი სათავეში. ამ პერსპექტივამ ფრიად მომხიბლა. ვგრძნობდი, რომ ჩემი ცხოვრება აუცილებლად უნდა შეცვლილიყო. იყო კიდევ რაღაც: ჩრჩილმა ადგილ-ადგილ ამოჭამა ცოლქმრული სიმყუდროვის პლუმი. ბოლო დროს ვამჩნევდი, რომ ჩემი მსუქანი ვალერია როგორღაც შეიცვალა - უცნაური მოუსვენრობა დაეტყო, ზოგჯერ თითქოს კიდევ ღიზიანდებოდა და ეს არ შეესაბამებოდა იმ პერსონაჟის დადგენილ ხასიათს, რომელიც მას უნდა ეთამაშა ჩემს ცხოვრებაში. როდესაც შევატყობინე, რომ მალე ნიუ-იორკში უნდა გავემგზავრებულიყავით გემით, დადარდიანდა და ჩაფიქრდა. იყო მოსაწყენი ფუსფუსი ვალერიას საბუთების გამო. თურმე მას ნანსენის სულიერი პასპორტი ჰქონდა და ვიზის მიღებას რატომღაც

სულაც არ უწყობდა ხელს ქმრის შვეიცარული ქვეშევრდომობა. მის უხალისო და გულცივ განწყობილებას პრეფექტურაში ხანგრძლივი ლოდინის აუცილებლობითა და სხვა უსიამოვნო საქმეებით ვხსნიდი. ვალერიაზე არავითარი ზემოქმედება არ იქონია ჩემ მიერ ამერიკის - ვარდისფერი ბავშვებითა და უზარმაზარი ხეებით გავსებული ქვეყნის - აღწერამ, თუმცა ცხოვრება იქ, ალბათ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ვიდრე მომბეზურებელ, ნაცრისფერ პარიზში. ერთ დილას (მისი საბუთები უკვე თითქმის მოგვარებული იყო) რომელიღაც ოფიციალური შენობიდან გამოვედი. უცებ ჩემ გვერდით მობაჯბაჯე ვალერიამ ფინიას მსგავსი თავის ენერგიული და უსიტყვო ქნევა დაიწყო. ჯერ ამას არავითარი ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ შემდეგ ვკითხე, რატომ გგონია, რომ იქ, შიგნით, რაიმე არის-მეთქი. მან მიპასუხა (ვთარგმნი რომელიღაც სლავური უკბილო ფრაზის ფრანგული თარგმანიდან): „ჩემს ცხოვრებაში არის სხვა ადამიანი“. რა თქმა უნდა, ასეთი სიტყვები ქმარს მაინცდამაინც არ მოეწონებოდა. ვაღიარებ, რომ გავოგნდი. აქვე, ქუჩაში, ვერ ვცემდი, თუმცა ასე მოიქცეოდა ყოველი პატიოსანი მდაბიო. ფარული წამებით სავსე წლებმა თითქმის ზეადამიანურ თავშეკავებას მიმაჩვია. ამრიგად, მასთან ერთად საჩქაროდ ჩავჯექი ტაქსომოტორში, რომელიც უკვე რამდენიმე ხნის განმავლობაში ნელა მოგორავდა პანელის გასწვრივ, ისე, თითქოს გვეპატივებოდა. ამ შედარებითი განმარტობისას მშვიდად ვთხოვე, განემარტა თავისი უცნაური სიტყვები. სიშმაგე სულ უფრო მახრჩობდა - ო, არა იმიტომ, რომ ნაზ გრძნობებს განვიციდიდი მაღამ ჰუმბერტად წოდებული საბალანსო ფიგურის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ ჩემს გარდა არავის ჰქონდა უფლება, გადაეწყვიტა კანონიერი და უკანონო სქესობრივი კავშირების პრობლემები. ვალერიამ, როგორც ცოლქმრული ფარსის პერსონაჟმა, თავხედურად მოინდომა, თავისი ნება-სურვილის მიხედვით წარემართა ჩემი კვათილდებობა და ბედ-იღბალი. მოვითხოვე, რომ საყვარლის სახელი გაემხილა. შევითხვა გავიმეორე, მაგრამ მას არ შეუწყვეტია ტაკიმასხრული ყბედობა და

იმაზე ლაქლაქებდა, თუ რა უბედური იყო და რომ ჩემთან სასწრაფოდ სურდა დაცილება. „Mais qui est-ce?“ [23] - დავიყვირე ბოლოს და მუხლზე მუშტი დავკარი. ქალს წარბიც არ შეუხრია. ისე მომაჩერდა, თითქოს ამ ძალზე მარტივ პასუხს ახსნა არც სჭირდებოდა. შემდეგ მხარი სწრაფად აიჩეჩა და მძლოლის მსუქან კეფაზე მიმითითა. ამ უკანასკნელმა მანქანა პატარა კავესთან შეაჩერა და თავი გამაცნო. ვერ ვიხსენებ მის საცინარ გვარს, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ ჯერ კიდევ სრულიად მკაფიოდ წარმომიდგება გრძელუღვაშა ჯმუხი რუსი, თეთრი არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, რომელსაც, ბუმბურად გაკრეჭილი თმა ჰქონდა (პარიზში, მის მსგავსად, არაერთმა ათასმა ადამიანმა აირჩია ეს სულელოური პროფესია). მაგიდას მივუსხედით, თეთრგვარდიელმა ღვინო შეუკვეთა, ხოლო ვალერიამ დასველებული ხელსახოცი მუხლზე დაიდო და კვლავ განაგრძო ყბედობა. შეიძლება ითქვას, რომ მე კი არ მელაპარაკებოდა, არამედ ჩემში, ამ დიდებულ ჭურჭელში, იმგვარი თავშეუკავებლობით ყრიდა სიტყვებს, როგორც ადრე არ შემიმჩნევია მისთვის. ამასთან, ხშირად პოლონურ ან რუსულ ფრაზებს სტყორცნიდა თავის აუღელვებელ სატრფოს. მდგომარეობა აბსურდული იყო და კიდევ უფრო აბსურდული გახდა, როდესაც ტაქსომოტორულმა პოლკოვნიკმა მეპატრონის ღმილით შეაჩერა ვალერია და საკუთარი ვარაუდებისა და ზრახვების გადმოცემას შეუდგა. მან საძაგელი ფრანგული ენით აღწერა სიყვარულითა და შრომით აღსავსე სამყარო, სადაც თავის პატარა ცოლთან ერთად დამკვიდრებას აპირებდა. ჩვენ შორის მჯდომმა ვალერიამ ახლა თავის გალამაზებას მოჰკიდა ხელი: იღებავდა გამობურცულ ტუჩებს, თითებით წიწკნიდა და ასწორებდა ბლუზის წინა ნაწილს (ამ დროს ღაბაბი უსამმაგდებოდა) და ასე შემდეგ. პოლკოვნიკი ისე საუბრობდა ვალერიაზე, თითქოს ქალი ჩვენთან არ იმყოფებოდა და ობოლიც კი იყო. ეს ობოლი მისსავე სასიკეთოდ გადაჰყავდათ ერთი ბრძენი მეურვისგან მეორესთან, რომელიც ყველაზე ბრძენი იყო. ჩემი უმწეო სიშმაგე, ალბათ, აზვიადებდა და აყალბებდა ყველა შთაბეჭდილებას, მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ პოლკოვნიკი მშვიდად მეკითხებოდა რჩევებს ისეთ საკითხებზე, როგორც იყო ვალერიას დიეტა, რეგულები, ტანსაცმელი, წიგნები, რომლებიც მან წაიკითხა ან უნდა წაეკითხა. „მე მგონი“, ამბობდა ის, „ჟან-კრისტოფი [24] უნდა მოეწონოს - თქვენ რას ფიქრობთ?“ ო, ეს ბატონი ტაქსოვიჩი ნამდვილი ლიტერატურათმცოდნე იყო. მისი ზუზუნის შევაჩერე და ვალერიას შევთავაზე, დაუყოვნებლივ ჩაელაგებინა თავისი უბადრუკი ბარგი-ბარხანა. წუნკალმა პოლკოვნიკმა გალანტურად განაცხადა, რომ სიამოვნებით გადაიტანდა ბარგს თავის მანქანაში. ის ხელახლა შეუდგა თანამდებობის აღსრულებას და ჰუმბერტები, - მოსიე და მადამი - შინ წაიყვანა, მთელი ამ დროის განმავლობაში ვალერია ყბედობდა, ხოლო ჰუმბერტ მრისხანე ჰუმბერტ თვინიერს შინაგანად ეთათბირებოდა, სახელდობრ, ვინ უნდა მოეკლა ჰუმბერტ ჰუმბერტს - ცოლი თუ მისი სატრფო, თუ - ორივე, თუ - არავინ. მახსოვს, ერთხელ ჩემი თანაკურსელი სტუდენტის პისტოლეტი მოვიხელთე. ეს იყო

ცხოვრების ერთი პერიოდი (მგონი, ეს დრო არ მიხსენებია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს), როდესაც მისი პატარა დით (არაჩვეულებრივად სხივოსანი შავბაფთიანი ნიმფეტით) დატკობას და მერე თავის მოკვლას ვაპირებდი. ახლა კი თავს ვეკითხებოდი, ღირდა თუ არა ვალეჩკა (ასე უწოდებდა მას პოლკოვნიკი) იმად, რომ ტყვიით მომეკლა, მომეგუდა ან წყალში დამეხრჩო.

მგრძობიარე ხელ-ფეხი ჰქონდა და ამიტომ გადავწყვიტე, როგორც კი მარტო დავრჩებოდი, ძალზე მძაფრ ტკივილს მივაყენებ და ამით დავკმაყოფილდები-მეთქი. მაგრამ ამის განხორციელება არ მეღირსა. ვალეჩკა ამ დროისთვის კოსმეტიკის ცისარტყელით გათხუპნილ ცრემლთა ნაკადებს ღვრიდა და სკივრში, ორ ჩემოდანსა და გამსკდარ კოლოფში ნივთებს ალაგებდა. სამთო ჩექმების ჩაცმას და გაგაში პანდურის ამოკვრას, რა თქმა უნდა, ვერ მოვახერხებდი, სანამ წყველი პოლკოვნიკი იქვე ჯახირობდა. ვერ ვიტყვი, რომ უტიფრად იქცეოდა ან სხვა მსგავს რაიმეს აკეთებდა. პირიქით, ძველი ყაიდის დელიკატურ ზრდილობას იჩენდა (თითქოს იმ თეატრის გვერდით სცენაზე იმყოფებოდა, სადაც მე შემიტყუეს, თანაც თითოეულ მოძრაობას არასწორად გამოთქმულ ბოდიშებს ურთავდა (ჟე დემანდ პარდონ... ესკე ჟე პუი...[25]) და დიდი ტაქტით იბრუნა პირი, როდესაც ვალეჩკა თავის ვარდისფერ ქვედა საცვალს აზანაზანში გაბმული თოკიდან ხსნიდა; ეს არამზადა თითქოს ერთდროულად ყველგან იმყოფებოდა: საკუთარ შემადგენლობას ბინის ანატომიას უთავსებდა, ჩემს სავარძელში ჩემსავე გაზეთს კითხულობდა, თოკის კვანძებს ხსნიდა, პაპიროსს ახვევდა, ჩაის კოვზებს ითვლიდა, საპირფარეშოში საქმობდა, თავის გომბიოს ეხმარებოდა თმის ელექტრული საშრობის (მამამისის საჩუქრის) შეხვევაში, ხოლო მისი ხარახურა ქუჩაში გაჰქონდა. გულხელდაკრეფილი ვიჯექი ფანჯრის რაფაზე. მოწყენილობისა და სიძულვილისგან სულს ვდაფავდი. ბოლოს ორივე გავიდა აზანზარებული ბინიდან - თითოეულ ნერვში დიდხანს ხმაურობდა ჩემ მიერ მიჯახუნებული კარის ვიბრაცია. მან ყვრიმალზე გარტყმული, დამსახურებული იმ სილაქის მაგივრობა შეასრულა, რომლითაც ამგვარ ქალს ევრანზე დააჯილდოვებდნენ ამჟამინდელი კინოსურათების წესების მიხედვით. ჩემს როლს ტლანქად ვთამაშობდი - აზანანისკენ გავემართე იმის შესამოწმებლად, ჩემი ინგლისური ოდეკოლონი ხომ არ წაიღეს-მეთქი; არა, არ წაეღოთ; ღვარძლიანი ზიზღისგან მოვიკრუნჩხე, როდესაც შევნიშნე - მეფის ყოფილ მრჩეველს საფუძვლიანად დაეცალა შარდის ბუშტი და წყალი არ ჩაეშვა. უცხო წარმომავლობის ურინის ეს საზეიმო გუბე, რომელშიც პაპიროსის მუქი-ყვითელი სველი ნამწვი იძენებოდა, უდიდეს შეურაცხყოფად მომეჩვენა. გამხეცებულმა მივიხედე-მოვიხედე, იარაღს ვეძებდი. სინამდვილეში, ალბათ, სწორედ რუსულმა მეშჩანურმა ზრდილობამ (აზიური ელემენტის მინარევით) აიძულა კეთილი პოლკოვნიკი (მაქსიმოვიჩი! - მისი გვარი უეცრად კვლავ ჩემთან მოგორდა), ძალზე თავდაჭერილი კაცი (ისევე, როგორც ყველა რუსი), რომ ინტიმური მოთხოვნილება უხმაუროდ, ზრდილობის წესების დაცვით დაეკმაყოფილებინა. მან სხვისი ბინის ფართობის სიმცირეს ხაზი არ გაუსვა და საკუთარ მიყრუებულ ჩქერს წყლის ხმამალაი ნაკადი არ დაუმატა. მაგრამ იმ წუთს ეს ვერ მოვისაზრე და, გააფთრებული, ღმუილით დავძრწოდი სამზარეულოში, რათა ცოცხზე უფრო არსებითი რამ მეპოვა. უცებ ყველაფერი ეს მივატოვე და სახლიდან გმირული განზრახვით გავვარდი - მსურდა, მუშტების იმედით თავს დავსხმოდი მას. თუმცა ფიზიკურად ღონიერი ვარ, მაგრამ მოკრივე როდი გახლავართ. ტანდაბალი, მაგრამ მხარბეჭიანი მაქსიმოვიჩი კი თუჯისგან ჩამოსხმულს ჰგავდა. ცოლის გამგზავრება ქუჩაში მხოლოდ ტალახში მოელვარე სტრაზის ღილით ალბეტილიყო (რომელიც მანამდე გატეხილ ზარდახშაში სამი უსარგებლო წლის განმავლობაში ინახებოდა). ქუჩის სიცარიელემ, ალბათ, ცხვირის გატეხისგან გადამარჩინა. შესაბამის დროს შური მაინც ვიძიე: პასადენის ერთმა მკვიდრმა მითხრა, მისის

მაქსიმოვიჩი, ქალიშვილობაში - ზბოროვსკაია, მშობიარობას გადაჰყვა 1945 წელსო. ის, ქმართან ერთად, საფრანგეთიდან კალიფორნიაში გადასახლდა, სადაც ორივენი მთელი წლის განმავლობაში ცნობილი ამერიკელი ეთნოლოგის მიერ ჩატარებული ცდის ობიექტებად იქცნენ (მშვენიერი ანაზლაურების ფასად): ცდის მიზანი იყო გამუდმებით ოთხით მზობლავი ადამიანის ბანანებითა და ფინიკებით კვებისას ინდივიდუალური და რასობრივი რეაქციების დადგენა. ცნობების მომწოდებელი ექიმი იყო და ირწმუნებოდა, რომ საკუთარი თვალთ ნახა ისინი - ჩათქვირული ვალეჩკა და მისი პოლკოვნიკი, რომელიც გაჭადარავებულიყო და გასუქებულიყო. ორივენი ბეჯითად დაბობლავდნენ გაპრიალებულ იატაკზე, გაჩახახახებულ ოთახებში (ერთში ხილი იყო, მეორეში - წყალი, მესამეში - ქვეშაგები და ა.შ.). მათ გარდა, აქ იმყოფებოდნენ სხვა დაქირავებული, ოთხზე მზობლავი არსებებიც, რომლებიც მოსახლეობის ხელმოკლე, უქომაგო ფენებიდან შეეკრიბათ. ვეცადე, ანთროპოლოგიურ ჟურნალში მომეძებნა ამ ცდების შედეგები,

მაგრამ, ალბათ, ისინი ჯერ არ გამოექვეყნებინათ. რა თქმა უნდა, სამეცნიერო ნაყოფს გარკვეული დრო სჭირდება მოსაშწიფებლად. ვიმედოვნებ, რომ მისი გამოქვეყნებისას ჟურნალი კარგი ფოტოსურათებით იქნება ილუსტრირებული, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ციხის ბიბლიოთეკაში ამგვარი სამეცნიერო ნაშრომები მოიპოვებოდეს. ის, რომლითაც ახლა ვსარგებლობ, საუცხოო ნიმუშია უაზრო ეკლექტიზმისა, რომლითაც შერჩეულია წიგნები ამგვარ ბიბლიოთეკაში. აქ, რა თქმა უნდა, არის ბიბლია, დიკენსი (დილინჰამის მიერ გამოცემული ძველი მრავალტომეული, ნიუ-იორკი, MDCCCXXVII); არის „საბავშვო ენციკლოპედია“ (სადაც ნახავთ ტრუსემში ჩაცმულ მზისფერთმიანი გერლ-სკაუტების საკმაოდ სასიამოვნო ფოტოსურათებს) და აგატა კრისტის დეტექტიური რომანი „გამოცხადებულია მკვლელობა“, მაგრამ, გარდა ამისა, აქ შეკრებილია ისეთი უმნიშვნელო ნაწარმოებებიც, როგორცაა პერსი ელფინსტონის „მაწანწალა იტალიაში“ (მასვე ეკუთვნის „კვლავ ვენეცია“, ბოსტონი, 1868) და შედარებით ახალი (1946) **Who's Who is the Limelight**[26] - მსახიობების, რეჟისორების, დრამატურგების ნუსხა, და სტატიკურ სცენათა ფოტოსურათები. ამ უკანასკნელის დათვალიერებამ გუშინ ისეთი განსაცვიფრებელი თანხედენით გამახარა, რომელსაც ლოგიკოსი ვერ იტანს, პოეტი კი თავყვანს სცემს. გადავიწერე გვერდის დიდი ნაწილი: პიმი, როლანდ, დაიბადა ლუნდიში, მასაჩუსეტსი, 1922. სასცენო განათლება მიიღო ელსინორის თეატრში, დერბი, ნიუ-იორკი. დებიუტი შედგა „გარღვეულ მზეში“. იმ მრავალ პიესას შორის, რომლებშიც მონაწილეობდა, მივუთითებთ: „მეზობელ კვარტალში“, „მწვანეკაბიანი ქალიშვილი“, „შენაცვლებული ქმრები“, „უცნაური სოკო“, „ბეწვზე დაკიდებული“, „ჯონ ლოვლი“, „დამესიზმრე“. კულიტი, კლერ. ამერიკელი დრამატურგი. დაიბადა ოშან სიტში, ნიუ-ჯერსი, 1911. დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტი. თავდაპირველად მუშაობდა კომერციის ხაზით, მაგრამ შემდეგ პიესების წერა დაიწყო. ავტორია შემდეგი პიესებისა: „პატარა ნიმფა“, „მანდილოსანი, რომელსაც ელვა უყვარდა“ (ვივიან დამორ-ბლოკთან თანამშრომლობით), „ბნელი წლები“, „უცნაური სოკო“, „მამის სიყვარული“ და სხვა. საყურადღებოა მისი მრავალი საბავშვო პიესა. ვიდრე „პატარა ნიმფამ“ (1940) ნიუ-იორკს მიაღწია, 14,000 მილის ხანგრძლივობის ტურნეს

გაუძლო და პროვინციაში ერთი ზამთრის განმავლობაში 280-ჯერ დაიდგა. საყვარელი გართობები: ნახევრად სარბოლი ავტომანქანები, ფოტოგრაფია, შინაური პატარა ცხოველები. კვანინი, დოლორეს, დაიბადა 1882 წელს დეიტონში, ოჰაიო. სასცენო ხელოვნებას ეუფლებოდა ამერიკის აკადემიაში. დებიუტი შედგა ოტავაში 1900 წელს. ნიუ-იორკში დებიუტით წარსდგა 1904 წელს წარმოდგენაში - „ნუ ელაპარაკები უცხოებს“, ამის შემდგომ დაიკარგა ასეთ და ასეთ პიესებში... რა უსაშველო ტკივილით ვეწამები ჩემი საყვარელი გოგონას სახელის დანახვისას, აქაც კი, ვიღაც საზიზღარი კომედიანტი დედაბრის გვარის წაკითხვისას! ხომ შეიძლება, ისიც მსახიობი გამხდარიყო! დაიბადა 1935 წელს, მონაწილეობდა (ვამჩნევ, რომ წინამორბედი პარაგრაფის ბოლოს შეცდომა მომსვლია - თუ შეიძლება, ნუ გამისწორებთ, პატივცემულ გამოცემელო) „მოკლულ დრამატურგში“. კვანინი-შვანინი. ბილწი-კულიწი. ო, ჩემო ლოლიტა, ახლა მხოლოდ სიტყვებით თამაში თუ შემიძლია.

9. განქორწინება გაჭიანურდა, რის გამოც გამგზავრება გადავდე. დედამიწა უკვე მოიცვა კიდევ ერთი მსოფლიო ომის წყვდიადმა, როდესაც პორტუგალიაში გატარებული მოსაწყენი ზამთრისა და ფილტვების ანთების გადატანის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ამერიკის ნაპირებს მივადწიე. ნიუ-იორკში ხალისით დავთანხმდი ბედის მიერ შემოთავაზებულ იოლ სამსახურზე. ის ძირითადად საპარფიუმერო განცხადებების შეთხზვასა და რედაქტირებას გულისხმობდა. მომეწონა მისი ზედაპირული, ფსევდოლიტერატურული ხასიათი და დაუდევრად ვმუშაობდი, როდესაც მომეპრიანებოდა. მეორე მხრივ, ნიუ-იორკის ახალი, ომის პერიოდში შექმნილი უნივერსიტეტი მთხოვდა, დამესრულებინა ფრანგული ლიტერატურის შედარებითი ისტორიის სახელმძღვანელო. პირველ ტომზე მუშაობამ ორ წელს გასტანა, ამასთან, იშვიათად ვშრომობდი დღეში თხუთმეტ საათზე ნაკლებს. ეს პერიოდი ჩემს მეხსიერებაში ვრცელ ნათელ და ვიწრო ჩრდილოვან ნაწილებად იმიჯნება: სინათლე ბიბლიოთეკათა დარბაზებში წარმოებულ ძიებათა სიხარულს აღნიშნავს; ჩრდილი - ვნებებით გამოწვეულ ტანჯვას, უძილობას - ერთი სიტყვით, იმას, რის შესახებაც ზემოთ უკვე საკმარისად ითქვა. ჩემი ნაცნობი მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, მტვრიან სიცხეში რაოდენი გულმოდგინებით

ვათვალიერებდი - სამწუხაროდ, ყოველთვის შორიდან - ცენტრალურ პარკში მოთამაშე ნიმფეტებს. ასეთივე სიმძაფრით მეზიზღებოდა დეკორატიული, დეზოდორებით გაჟღენთილი კანტორის

მოსამსახურე ქალები და მდივნები, რომლებითაც ერთი ხუმარა საქმიანი პარტნიორი ჩემს ცდუნებას ცდილობდა. სულიერი ძალების დამღუპველმა დასუსტებამ მაიძულა, ორი წელი სანატორიუმში გამეტარებინა; დავუბრუნდი სამუშაოს - და მალე ისევ შეუძლოდ გავხდი. ჯანმრთელობას მხოლოდ სუფთა ჰაერზე ხალისიანი ცხოვრება დამიბრუნებდა. ჩემმა საყვარელმა ექიმმა, მომხიზვლელმა ცინიკოსმა, რომელსაც მოკლე შავი წვერი ჰქონდა, გამაცნო თავისი ძმა. ეს უკანასკნელი ექსპედიციის გაძლოვას აპირებდა კანადის პოლუსისპირა მხარეებში. მასთან განმაწესეს „ფსიქიკურ რეაქციებზე დამკვირვებლის“ თანამდებობაზე. დროდადრო ორ ახალგაზრდა ბოტანიკოსთან და ბებერ დურგალთან ერთად ვეწაფებოდი კვების ერთ-ერთი ჩვენი სპეციალისტის, ექიმ ანიტა ჯონსონის ფაფუკ სიტურფეს - ეს ქალი მალე თვითმფრინავით სამშობლოში დააბრუნეს, - რასაც სიამოვნებით ვიხსენებ. ექსპედიციის მიზანში ვერ გავერკვიე. მასში მონაწილე მეტეოროლოგთა სიმრავლის მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჩრდილოეთის ცდომილი და მერყევი მაგნიტური პოლუსის ბუნაგისაკენ (მგონი, სადღაც, უელსელი პრინცის კუნძულზე) გზას ვიკვალავდით. ერთ-ერთმა ჯგუფმა კანადელთა დახმარებით მეტეოროლოგიური სადგური დააარსა პიერის ისარაზე, მელვილის ზუნდში. ასევე შემცდარი მეორე ჯგუფი პლანეტონს აგროვებდა. მესამე - იკვლევდა კავშირს ტუბერკულოზსა და ტუნდრას შორის. ფილმების ფოტოგრაფ ბარტთან ერთად, ვისაც თავდაჯერების ნატამალიც კი არ გააჩნდა, რამდენიმე ხანს მაიძულებდნენ, გაძლიერებულად მემუშავა ფიზიკურად. წინაკემბრიული გრანიტული სამყაროთი გარემოცულნი ასაწყობ ქოხებში ვცხოვრობდით. ბევრი რამ გვქონდა მომარაგებული - Reader's Digest[27]-ის კომპლექტი, ნაყინის სათქვეფი, ქიმიური კლოზეტები, ფერადი ქაღალდის ჩაჩები, რომლებიც შობის ზეიმზე უნდა დაგვეხურა. ცხოვრების ენით აუწერელი სიცარიელისა და მოწყენილობის მიუხედავად, ძალზე გამოვმჯობინდი. არქტიკის უფერულ მცენარეთა - მეჩხერ ტირიფნარსა და ლიქენს - შორის მოსისინე ქარით გამსჭვალული, და, ალბათ, განწმენდილი, ხშირად ვიჯექი მრგვალ ქვაზე, სრულიად გამჭვირვალე ცის (სადაც არაფერი მნიშვნელოვანი არ ჩანდა) ქვეშ და საკუთარი „მე“ -სგან უცნაურ გაუცხოებას განვიცდიდი. ჩათქვირულ, პრიალა, პაწაწინა, ესკიმოს ქალებს მომცრო სახეები ზღვის გოჭებს მიუგავდათ, თევზის სუნი ასდიოდათ და ამაზრზენი, ყორნისფერი, სწორი თმა ჰქონდათ. ისინი კიდევ უფრო ნაკლებ გულისთქმას აღმიძრავდნენ, ვიდრე ჯონსონი. ნიმფეტები არქტიკულ ოლქებში არ ბინადრობენ. ყინულების, დრუმლინების, გრემლინების, კრემლინების ანალიზი საქმის ჩემზე უკეთ მცოდნე ადამიანებს მივანდე და გარკვეული დროის განმავლობაში ვცდილობდი ჩამეწერა ის, რაც მიამიტობის გამო ფსიქიკური რეაქციები მეგონა (მაგალითად, შევამჩნიე, რომ შუალამით მზის ნათებისას სიზმრები კაშკაშა შეფერილობას იძენდა, რაც ჩემმა ნაცნობმა ფოტოგრაფმა დამიმოწმა). გარდა ამისა, ჩემი ამხანაგები უნდა გამომეკითხა მრავალი მოვლენის შესახებ, როგორცაა: ნოსტალგია, შიში უცნობი ცხოველების წინაშე, გასტრონომიული და სქესობრივი სურვილები, გართობის საყვარელი სახეობები, საყვარელი რადიოპროგრამები, ცვლილებები

აზროვნებაში და ასე შემდეგ. ყველაფერი ეს იმ ზომამდე მომბეზრდა, რომ მივატოვე - და მხოლოდ თორმეტთვიანი „პოლარული კატორღის“ (როგორც ერთ-ერთმა ბოტანიკოსმა იხუმრა) ბოლოს სახელდახელოდ დავეწერე მთლიანად გამოგონილი და ძალზე შთამბეჭდავი პატაკი; ცნობისმოყვარე მკითხველი მას იპოვის 1945 ან 1946 წლის Annals of Adult Psychophysics[28]-ის, აგრეთვე, Arctic Explorations[29]-ის იმ გამოშვებაში, ჩვენს ექსპედიციას რომ მიეძღვნა. დასასრულ, შევნიშნავ, რომ ექსპედიციას სინამდვილეში არავითარი მიმართება არ ჰქონდა ვიქტორიას კუნძულზე განლაგებულ სპილენძის საბადოსთან და მსგავს უმნიშვნელო მოვლენებთან, რაც შემდგომ გავიგე ჩემი გულთბილი ექიმისგან. მისი ჭეშმარიტი მიზანი გასაიდუმლოებული იყო. ამიტომ დავძენ მხოლოდ, რომ როგორც უნდა ყოფილიყო ეს მიზანი, ის მთლიანად განხორციელდა. მკითხველი სინანულით გაიგებს, რომ ცივილიზებულ სამყაროში ჩემი დაბრუნების შემდგომ, მალე ხელახლა მომიხდა გონების დაზნეულებასთან ბრძოლა (თუკი ეს უმოწყალო განსაზღვრა გამოსადეგია მელანქოლიისა და გაუსაძლისი ჭმუნვის აღსანიშნავად). საბოლოოდ გამომაჯანმრთელა აღმოჩენამ, ძალზე ძვირადღირებულ სანატორიუმში ყოფნისას რომ გავაკეთე. ჯანსაღი გართობის უშრეტი წყარო იმაში აღმოვაჩინე, რომ ფსიქიატრს ვატყუებდი და ემშაკურად კვირს ვუკრავდი. არასოდეს შეუმჩნევეიათ, რომ ყველა მათი ოინი ჩემთვის ცნობილი იყო. ექიმების საამებლად წმინდა კლასიკური სტილის წინასწარმეტყველურ სიზმრებს ვთხზავდი (რომელთა გავლენით სიზმართა ეს გამომძალველები თვითონაც სიზმრებით იტანჯებოდნენ და ღამდამობით ყვირილით იღვიძებდნენ), ვადიზიანებდი მშობლების სქესობრივი თანაცხოვრების თითქოსდა ფარულად ნანახი სცენების შესახებ ყალბი მოგონებებით და საშუალებას არ ვაძლევდი, თუნდაც ბუნდოვანი წარმოდგენა შექმნოდათ მათი პაციენტის ნამდვილ გასაჭირზე. მოწყალების და

მოვისყიდე და საავადმყოფოს არქივებში შევალწიე. იქ სიცილით წავიკითხე, რომ პოტენციური ჰომოსექსუალისტი და აბსოლუტური იმპოტენტი ვიყავი. ეს გართობა მეტად შემაქცევარი იყო და იმდენად კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე, რომ გამოჯანსაღების შემდეგ იქ კიდევ ერთი თვე გავატარე (ამასთან, შესანიშნავად მეძინა და ისეთი მადა მქონდა, მოსწავლე გოგონებს რომ სჩვევიათ). ამის შემდეგ კიდევ ერთი კვირა დავიმატე, რათა „ადგილგადანაცვლებულ პირთა“ რიცხვში მოხვედრილ მძლავრ ახალ პროფესორს, ანუ დი-პი-ს („დემენტია პრეკოქსი“ -დან) გავჯიბრებოდი. ეს სახელგანთქმული მკურნალი იმით იყო ცნობილი, რომ შეემლო ავადმყოფის დარწმუნება, საკუთარ ჩასახვას დაესწარიო.

10.

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ გადავწყვიტე, ახალ ინგლისში მომეძებნა სოფელი ან რომელიმე ძილმორეული ქალაქი (თელამუშები, თეთრი ეკლესია), სადაც ლიტერატურულ ზაფხულს გავატარებდი, დაგროვილი ჩანაწერების გუდას დავამუშავებდი და მახლობელ ტბაში ვიბანავებდი. სახელმძღვანელოზე მუშაობამ ხელახლა გამიტაცა, ხოლო ბიძაჩემის სიკვდილის შემდეგ დროინდელ კეთილსურნელებში მონაწილეობა იმ დროისთვის მინიმუმამდე დავიყვანე. ბიძაჩემის ერთ-ერთმა ყოფილმა მოსამსახურემ, პატივცემული გვარის ნაშიერმა, შემომთავაზა, რამდენიმე თვით მისი გადარიბებული ნათესავების აგარაკზე დავსახლებულიყავი. ამ ნათესავებს, რომელთა გვარი მაკ-კუ იყო, სურდათ, გაექირავებინათ სახლის ზედა სართული, სადაც გარდაცვალებამდე დარბაისლურ ცხოვრებას ეწეოდა აქ შეჭუჭკული მოხუცი დეიდა. ბიძაჩემის მოსამსახურე მომიყვა, რომ მაკ-კუს ორი ქალიშვილი ჰყავდა. ერთი სულ პატარა, მეორე - თორმეტი წლისა. მათვე ეკუთვნოდათ საუცხოო ტბის ახლოს გაშენებული საუცხოო ბაღი და მე მივუგე, რომ ყველაფერი ეს სრულიად სრულყოფილ ზაფხულს მოასწავებდა. მიწერ-მოწერა გავმართეთ და ბატონი მაკ-კუ დავარწმუნე, რომ კუთხეებში მოსკორვა არა მჩვეოდა. მატარებელში ფანტასტიკური ღამე გავატარე: ცვდილობდი, წარმომედგინა ყველა სავარაუდო დეტალი იდუმალი ნიმფეტისა, რომელსაც ფრანგულ ენასა და ჰუმბერტულ ალერსში გავწერთნიდი. როდესაც მატარებლიდან პაწაწინა სადგურში ჩემი ახალი ჩემოდნით გამოვედი, არავინ დამხვდა. არც ტელეფონი აიღო ვინმემ. რამდენიმე ხნის შემდეგ მომწვანოვარდისფერი რამზდელის ერთადერთ სასტუმროში გამოცხადდა ნირწამხდარი, დასველებული მაკ-კუ და მაუწყა, რომ მისი სახლი ეს-ესა მთლიანად დაიწვა - შეიძლება, იმავდროული ხანძრის გამოისობით, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში ჩემს ძარღვებში გიზგიზებდა. მაკ-კუმ ამიხსნა, რომ მისი ცოლი, გოგონებთან ერთად, საოჯახო ავტომანქანით გამეზავრა მათ რომელიღაც აგარაკზე, მაგრამ ცოლის მეგობარი, ქალბატონი ჰეიზი, შესანიშნავი ქალი (342 ლოუნ სტრიტი), მზადაა, მომაქიროს ოთახი. ქალბატონ ჰეიზის პირდაპირ მცხოვრებმა დედაბერმა მაკ-კუს ათხოვა თავისი ვეება, ადამისდროინდელი ოთხკუთხასახურავიანი ლიმუზინი, რომელსაც მხიარული ზანგი მართავდა. გავიფიქრე, რომ რაკი რამზდელში ჩემი ჩამოსვლის ერთადერთი მიზეზი გაქრა, შემოთავაზებულ ახალ ბინაზე დათანხმება, უბრალოდ, სისულელე იქნებოდა. რა მენადვლებოდა, რომ მაკ-კუს ხელახლა უნდა აეშენებინა სახლი, რომელიც აუცილებლად საიმედოდ იქნებოდა დაზღვეული. გაღიზიანებას, გულგატეხილობასა და მოწყენას ვგრძნობდი, მაგრამ ზრდილი ევროპელი გახლდით და წინააღმდეგობა ვერ გავუწიე იმას, რომ ამ სამგლოვიარო ლიმუზინით წავეყვანე ლოუნ სტრიტზე. გარდა ამისა, ვვარაუდობდი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, მაკ-კუ ჩემს პერსონაზე მეურვეობის რაიმე სხვა, უფრო რთულ ხერხს მოიგონებდა. დავინახე, როგორ გაცუნცულდა ის და როგორ გადააქნია თავი ჩემმა შოფერმა ოდნავი ღიმილით. მგზავრობისას გამუდმებით ვეფიცებოდი ჩემს თავს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავრჩებოდი რამზდელში და იმავე დღეს გავფრინდებოდი ბერმუდის, ბაჰამის ან ჯანდაბის კუნძულებზე. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ზღვის კურორტების ფერად ფოტოსურათებთან დაკავშირებული ზოგიერთი ნეტარებით აღსავსე შესაძლებლობის გამო ხერხემალში ჟრუანტელი მივლიდა. მართალი რომ გითხრათ, სწორედ მაკ-კუს

კეთილგანზრახული, მაგრამ, როგორც ახლა გამოირკვა, აბსოლუტურად განუხორციელებელი წინადადების შედეგად ჩემმა ყურადღებამ უეცრად გადაუხვია ამ გეგმებს და სხვა საგანზე გადაინაცვლა. რაც შეეხება უეცარ გადახვევებს: როგორც კი ლოუნ სტრიტზე გადავუხვიეთ, კინაღამ გარეუბნის აბეზარი ძალი გავჭყლიტეთ (ერთ-ერთი იმათთაგანი, ავტომანქანებს რომ უსაფრდებიან ხოლმე). გამოჩნდა ჰეიზების ფიცრული, შეთეთრებული, საშინელი, სიძველისგან გაცრეცილი, უფრო რუხი, ვიდრე თეთრი სახლი. ცნობილია, რომ ამგვარ საცხოვრებელში შხაპის ნაცვლად აბაზანის ონკანზე ოყნის მილია ჩამოცმული. მძლოლს ფული მივცეცი და ვინატრე,

სწრაფად დაემრა მანქანა - ეს საშუალებას მომცემდა, მაშინვე შეუმჩნეველად გამეხვია სასტუმროსკენ, ჩემოდნის ასაღებად; მაგრამ ის, უბრალოდ, მოპირდაპირე სახლს მიადგა, რომლის ვერანდიდანაც ბებერი მისს ვიზავი ემახდა. რა მექნა? კარის დილაკს თითი დავაჭირე. შავკანიანმა მოახლემ შემიშვა და ასე, ფეხსაწმენდზე მდგომი, დამტოვა. თვითონ სამზარეულოსკენ გაქანდა; იქ რაღაც იწვოდა. წინკარს ამშვენებდა კარზე დასაკიდი ზანზალაკების აცმა, აგრეთვე - მექსიკური წარმომავლობის, ტურისტებისთვის განკუთვნილი ხის თეთრთვალა ურჩხული და ვან გოგი („არლელი ქალი“) - ბურჟუაზიული კლასის დახვეწილი ნაწილის ბანალური ნებიერი. მარჯვენა მხარეს, გაღებულ კარში, მოჩანდა სასტუმრო ოთახის კუთხე, სადაც მინის კარადაში დამატებითი მექსიკური სისულელე გამოეფინათ. კედელთან ზოლიანი დივანი იყო მიდგმული. წინკარის სიღრმეში კიბე დავინახე. სანამ გაოფლილ შუბლს ცხვირსახოცით ვიწმენდდი (მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ როგორ ცხელოდა გარეთ) და აქ შემთხვევით მოხვედრილ საგანს - ხის სკივრზე დაგდებულ ნაცრისფერ ტენისის ბურთს ვუცქერდი, - კიბის ზედა ბაქნიდან ქალბატონი ჰეიზის კონტრაქტო გაისმა. თვით ქალბატონი მოაჯირზე გადმოიხარა და მელოდიურად იკითხა: „ეს მოსიე ჰუმბერტია?“ - რის შემდეგაც ზემოდან პაპიროსის ცოტაოდენი ფერფლი გადმოცვივდა. მალე თვითონ მანდილოსანი (სანდლები, მუქი წითელი შარვალი, აბრემუმის ყვითელი ბლუზი, რამდენადმე მართკუთხა სახე - ამ თანმიმდევრობით) ჩამოვიდა, საჩვენებელ თითს ჯერ კიდევ უკაკუნებდა პაპიროსს. სჯობს, ქალბატონი ჰეიზი აქვე აღვწერო, რათა ის თავიდან მოვიცილოთ. საბრალო მანდილოსანი ოცდათხუთმეტი წლისა იყო. გადატყვევებული შუბლი, ამოქნილი წარბები და სახის ძალზე უბრალო, თუმცა მიმზიდველი ნაკვთები ჰქონდა. გარეგნობის ეს ტიპი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მარლენ დიტრიხის სუსტი ხსნარი. მან სასტუმრო ოთახში შემიყვანა, თან ხელს ისვამდა კეფაზე, ბრინჯაოსფერ შინიონზე. ერთი წუთის განმავლობაში ვსაუბრობდით მაკ-კუს დამწვარი სახლისა და რამზდელში ცხოვრების უპირატესობების შესახებ. მისი ფართოდ დასმული აკვამარინისფერი თვალები თანამოსაუბრის მხერას ერიდებოდნენ, მაგრამ თავით ფეხამდე ათვალიერებდნენ მას. ქალის ღიმილი ცალი წარბის გაოცებულ აწევაზე დაიყვანებოდა; ლაპარაკისას ის თითქოს სხეულის რგოლებს შლიდა - დივნიდან ფრთხილად გადმოიწეოდა სამი საფერფლისა და ბუხრის (რომელზეც ვაშლის ყავისფერი გული იდო)

მიმართულებით, რის შემდეგაც ხელახლა გადაწებოდა და ცალ ფეხს მოიკეცავდა ხოლმე. მისის ჰეიზი აშკარად მიეკუთვნებოდა იმ ქალთა რიცხვს, რომელთა გაპრიალებულ სიტყვებში გამოსჭვივის კითხვის მოყვარულ ან ბრიჯის მოთამაშე მანდილოსანთა წრის ზეგავლენა, სული კი არასოდეს ვლინდება; რომელნიც სრულიად მოკლებულნი არიან იუმორის გრძნობას და, არსებითად, სავსებით გულგრილნი არიან სალონური საუბრის მათთვის ცნობილი ათი-თორმეტი თემის მიმართ. ამასთან, აშკარა ქალები მეტად მომთხოვნები არიან საუბრის წესებისადმი, რომელთა მზიურ ცელოფანში აშკარად მოჩანს ღრმად ჩამარხული, გულში ჩაკლული და არცთუ მადისაღმძვრელი ამბები. კარგად მესმოდა, რომ თუ გარემოებათა არაჩვეულებრივი დამთხვევის შედეგად მისი მდგმური გავხდებოდი, ის მეთოდურად დაიწყებდა ჩემგან იმგვარი „მდგმურის“ ძერწვას, მის წარმოდგენებს რომ შეესაბამებოდა - და შეეძლო, ერთ-ერთ ისეთ მომაბეზრებელ სასიყვარულო ისტორიაში ჩავეთრიე, რომლებსაც ეგზომ კარგად ვიცნობდი. თუმცა, ლაპარაკიც ზედმეტი იყო იმაზე, რომ აქ დავსახლებულიყავი. ვერ წარმომედგინა, რომ შესაძლებელი იყო ბედნიერი ცხოვრება სახლში, სადაც ყოველ სკამზე დამენძილი ჟურნალი ეგდო და თანამედროვე ფუნქციური ავეჯის სამაგელი კომედია ერწყმოდა ტრაგედიას ძველი სარწმუნოებისა და მერყევი მაგიდებისა, რომლებზეც მკვდარი ლამპები იდგა. მაღამ ჰეიზმა ზემოთ და მარცხნივ, „ჩემი“ ოთახისკენ წამიყვანა. დავათვალიერე ჩემი უარის ნისლში გახვეული ეს სამყოფელი, მაგრამ ნისლის მიუხედავად, „ჩემი“ საწოლის თავზე შევამჩნიე რენე პრინეს „კრეიციერის სონატის“ რეპროდუქცია. მსახურთათვის განკუთვნილ ამ ხუხულას მაღამ ჰეიზი „ნახევარსტუდიას“ უწოდებდა! სასწრაფოდ წადი აქედან, დაუწყვირე გონებაში ჩემს თავს და ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს ვფიქრობდი სასაცილომდე დაკლებული ფასის შესახებ, რომელსაც დიასახლისი ოცნებითა და მრისხანე იმედით ითხოვდა სრული პანსიონისთვის. ძველებურმა ზრდილობამ მაიძულა, წამება გამეგრძელებინა. კიბის ბაქნი გავიარეთ და სახლის მარჯვენა მხარეს გადავინაცვლეთ („აქ მე ვცხოვრობ, ეს კი ლოს სამყოფელია“ - ლო, ალბათ, მოახლეა-მეთქი, ვიფიქრე). მდგმურმა-საყვარელმა ჟრჟოლა ძლივს შეიკავა, როდესაც მას, ძალზე დახვეწილ მამაკაცს, წინასწარ უჩვენეს ერთადერთი აბაზანა. ის სახლის ერთ-ერთ კუნჭულში იყო მოთავსებული (კიბის ბაქნისა და უკვე მოხსენიებული ლოს ოთახს შორის). მასში ფორმადაკარგული, სველი ტანსაცმელი ეკიდა არცთუ ისე სუფთა აბაზანის თავზე, რომელიც ჩარჩენილი თმის ღერის კითხვითი ნიშნით იყო შემკული; სწორედ აქ დამხვდა წინასწარ

ნაგულისხმევი რეზინის გველის ხვეულები და მეორე, რაღაცით მისი მონათესავე საგანი: ხაოიანი ვარდისფერი ქეჩა, კეკლუცად რომ ფარავდა კლოზეტის ფიცარს. „ვხედავ, რომ ხელსაყრელი შთაბეჭდილება ვერ დავტოვებ თქვენზე“, თქვა ჩემმა მანდილოსანმა და ხელი მოწყვეტით ჩამოაგდო ჩემს სახელოზე. მასში გულცივი ფხიანობა (მოჭარბებული თვისება, რომელსაც მგონი „მშვიდ გრაციას“ უწოდებენ) ერწყმოდა უჩვეულო კდემამოსილებასა და კაემანს. ამის გამო განსაკუთრებული გულმოდგინება, რომლითაც ის სიტყვებს ირჩევდა, დიქციის მასწავლებლის ინტონაციასავით არაბუნებრივი გეჩვენებოდათ.

„ჩვენი სახლი არც ისე სუფთაა, ვაღიარებ“, განაგრძობდა ბედშავი, განწირული ქალი. „მაგრამ გარწმუნებთ (აქ ჩემი ბაგეები აღმაცერად შეათვალიერა), რომ კარგად იცხოვრებთ, ძალიან კარგად. მოდით, სასადილო ოთახსა და ბაღსაც გიჩვენებთ“ (უკანასკნელი სიტყვა უფრო ცქვიტად წარმოთქვა და ხმა თითქოს მაცდუნებლად მოიქნია). უხალისოდ გავყევი და ქვედა სართულში ჩავედი, გავიარეთ წინკარი, სამზარეულო, რომელიც სასადილო და სასტუმრო ოთახების მახლობლად, სახლის მარჯვენა ნაწილში იყო განლაგებული (მაშინ, როდესაც წინკარისგან მარცხნივ, „ჩემი“ ოთახის ქვეშ, გარაჟის გარდა, არაფერი იყო). სამზარეულოში მყოფმა ჩასკვნილმა ახალგაზრდა ზანგმა ქალმა უკანა პარმალზე გასასვლელი კარის სახელურიდან დიდი ბრჭყვიალა შავი ჩანთა ჩამოხსნა და ჩაილაპარაკა: „ახლა კი წავალ, მისის ჰეიზი“. „კარგი, ლუიზა“, ამოიოხრა ქალბატონმა, „პარასკევს გადაგიხდი ფულს“. ჭურჭლისა და პურის შესანახად განკუთვნილი პატარა ოთახი გავიარეთ და სასადილო ოთახში აღმოვჩნდით. მის გვერდით ის სასტუმრო ოთახი იყო განლაგებული, რომლის ცქერითაც ეს-ესაა ვტკბებოდი. იატაკზე თეთრი წინდა შევამჩნიე. ქალბატონმა ჰეიზმა უკმაყოფილოდ ამოიხვნეშა, წინდის ასაღებად დაიხარა და რომელიღაც კარადაში შეაგდო. ჩვენ გაკვრით შევათვალიერეთ წითელი ხის მაგიდა, რომლის შუაგულში ხილის ვაზა იდგა. ვაზაში არაფერი იდო ქლიავის ერთადერთი, ჯერ კიდევ პრიალა კურკის გარდა. ამასობაში ჯიბეში მატარებლის მოძრაობის განრიგი მოვსინჯე და შეუმჩნევლად ამოვიღე, რათა ხელსაყრელ მომენტში გავცნობოდი. ჯერ კიდევ მივყვებოდი ქალბატონ ჰეიზს, როცა სასადილო ოთახის ბოლოში უცერად სიმწვანემ გამოანათა. „აი ვერანდაც“, წაიმღერა ჩემმა მეგზურმა და შემდეგ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, გულქვეშ ზღვის ცისფერი ტალღა ამომებურცა - და ვერანდაზე დაფენილი ჭილის ხალიჩიდან, მზის წრიდან, ნახევრად შიშველი, მუხლებზე დაჩოქილი რივიერისდროინდელი ჩემი სიყვარული მუხლებზევე ჩემკენ მოტრიალდა და შავი სათვალის ზემოდან ყურადღებით გადმოხედა. ეს იგივე ბალდი იყო - ისეთივე ნატიფი, თაფლისფერი მხრები, ისეთივე გლუვი, მოქნილი, შიშველი ზურგი, ქერა თმის ისეთივე ფაფარი. მკერდზე მოხვეული თეთრკოპლებიანი შავი თავსაფარი ჩემს ბებერ გორილასებრ თვალებს - მაგრამ არა უბერებელ მეხსიერებას - უმაღლავდა ოდნავ აკოკრილ მკერდს, რომელსაც ასე ვეფერებოდი იმ უკვდავ დღეს. პაწაწინა პრინცესას (რომელიც დაიკარგა, მოიტაცეს, ბოშის ძონძებით შემოსილი იპოვეს და ამ ძონძებიდან მეფესა და მამებრებს მისი სიშიშველე უღიმის) გადიას მსგავსად, ვიცანი მუქი ყავისფერი პატარა ხალი მის თემოზე. წმიდათაწმიდა შიშის ზართა და აღტყინებით (მეფე სიხარულისგან ქვითინებს, გაისმის ბუკის ხმა, გადია მთვრალია) კვლავ ვიხილე წარმტაცი შეწეული მუცელი, რომელზეც სამხრეთისკენ მიმართული ჩემი ბაგეები გზად შევაცოვნე, და ეს ბიჭური თემოები, რომლებზეც ტრუსების რეზინისგან დატოვებულ დაკბილულ ანაბეჭდს ვკოცნიდი - იმ გიჟმაჟ, უკვდავ დღეს, ვარდისფერ კლდეებთან. საუკუნის მეოთხედი, რომელმაც იმ დღიდან განვლო, დავიწროვდა, ათრთოლებულ დანის პირამდე დავიდა და გაქრა. ძალზე მიჭირს, შესატყვისი სიმდაფრით გამოვხატო მისი ცნობით გამოწვეული ეს მხურვალე აფეთქება, ეს ჟრჟოლა, ბიძგი. მზით გაჟღენთილ ამ წამს, რომლის განმავლობაში ჩემმა მზერამ

მოასწრო გოგონას სხეულის შემოვლა (ის მკაცრი შავი სათვალის ზემოდან მიყურებდა, წამწამებს ახამხამებდა - ო, პატარა Herr Doktor[30], რომელსაც ყველა ტკივილისგან ჩემი განკურნება უნდა ხვდომოდა წილად) და როდესაც, სიმწიფის ნიღაბაფარებულმა გვერდით ჩავუარე (მოხდენილი, ლამაზი ვაჟკაცის, ეკრანის გმირის სახით), ჩემმა ცარიელმა სულმა მოასწრო მისი უზადო მშვენიერების ყველა დეტალის შესრუტვა და გარდაცვლილი საცოლის ნაკვთებთან შედარება. უეჭველია, მოგვიანებით ეს ნოვა[31], ეს ლოლიტა, ჩემი ლოლიტა, მთლიანად დაჩრდილავდა თავის პროტოტიპს. მე მხოლოდ მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამერიკულ ვერანდაზე ხილული გამოცხადება სხვა არაფერი იყო, თუ არა ტანჯულ სიყრმეში მოზმანებული „ზღვისპირა სამთავროს“ შედეგი. ყოველივე, რაც ამ ორ მოვლენას შორის მოხდა, მრავალ ბრმა ძიებაზე, შეცდომასა და სიხარულის ყალბ ჩანასახოვან ფორმებზე დაიყვანებოდა. ის, რაც ამ ორ არსებას ამსგავსებდა, აერთიანებდა მათ ჩემს თვალში. თუმცა, არავითარი ილუზია არა მაქვს. ჩემი მოსამართლეები

ზემონათქვამში მხოლოდ იმ შემთხვევაში მანჭვა-გრეხას დაინახავენ, რომელსაც, უბრალოდ უყვარს le fruit vert[32]. ბოლოს და ბოლოს, ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვიცი მხოლოდ, რომ სანამ ქალბატონი ჰეიზი და მე სულგანაბულ ბაღში ჩავდიოდით, მუხლები მოლივლივე წყალში არეკლილ მუხლებს მიგავდა, ბაგეები კი ქვიშას. „ეს ჩემი ლო იყო“, თქვა მან, „ეს კი ჩემი შრომანებია“. „დიახ“, მივუგე მე, „დიახ. ისინი საოცარია, საოცარი, საოცარი“.

11. ექსპონატი ნომერი ორი - შავი ხელოვნური ტყავისგან დამზადებული უბის წიგნაკია, რომლის მარცხენა, ზედა კუთხეში კიბისებურად ამოტვიფრული წელია (1947). ბლანკის ფირმის (ბლანქტონი, მასაჩუსეტსი) ამ კობტა ნაკეთობას ისე აღვწერ, თითქოს მართლაც ჩემ წინ იდოს. სინამდვილეში წიგნაკი ხუთი წლის წინ მოვსპე და ის, რასაც ახლა განვიხილავთ (მნემოსინეს თავაზიანობის წყალობით), მხოლოდ მყისიერი ხორცმესხმა ან ფენიქსის ბუდიდან გადმოვარდნილი უსუსური ბარტყია.

სიცხადე, რომლითაც დღიურს ვიხსენებ, იმით აიხსნება, რომ ის ორჯერ დავწერე. პირველად დიდი ფორმატის ბლოკნოტით ვსარგებლობდი. მის ასახვე ფურცლებზე ფანქრით ვწერდი, ვასწორებდი და ვფხეკდი; ყოველივე ეს, ზოგიერთი შემოკლებით. შავ წიგნაკში გადავიწერე ძალზე წვრილი და ძალზე ემბაკეული ხელწერით. მაისის ოცდაათი ნიუ-ჰამპშირში ოფიციალურად სამარხვო დღედაა გამოცხადებული, მაგრამ კაროლინაში ეს, მგონი, ასე არაა. 1947 წლის ამ დღეს ეგრეთ წოდებული „კუჭ-ნაწლავის ინფლუნჯას“ გავრცელების გამო, რამზდელის ქალაქის გამგეობას უკვე საზაფხულოდ დაეხურა სკოლები. ცოტა ხნით ადრე ჰეიზების სახლში დავბინავდი და დღიურში, რომელიც ახლა უნდა გავაცნო მკითხველს (იმ მზვერავის მსგავსად, რომელიც ზეპირად ყვება გადაყლაპული პატაკის შინაარსს), ივნისის უმეტესი ნაწილია აღწერილი. მკითხველს შეუძლია, 1947 წლის ადგილობრივი გაზეთების ნომრებში შეამოწმოს ამინდის შესახებ ჩემი შენიშვნების სისწორე. ხუთშაბათი. ძალიან ცხელა. ხელსაყრელი სათვალთვალო პუნქტიდან (საბაზანო ოთახის ფანჯრიდან) დავინახე, რომ ეზოს მოპირდაპირე მხარეს ვაშლისფერ-მომწვანო შუქით განათებული დოლორესი თოკიდან თეთრეულს ხსნიდა. გამოვედი. თითქოსდა ვსეირნობდი. მას უჯრედებიანი პერანგი, კოვბოური ლურჯი შარვალი და ტილოს ფლოსტები ეცვა. მზის მრგვალი ათინათებით აჭრელებული გოგონა თავისი ყოველი მოძრაობით თითქოს ჩემი მდაბალი არსების ყველაზე იდუმალსა და მგრძნობიარე სიძს ეხებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ის უკანა პარმალის ქვედა საფეხურზე ჩამოჯდა, ჩემს მახლობლად, და ტერფებს შორის დაყრილი კენჭების - წვეტიანი, წვეტიანი კენჭების შეგროვებას შეუდგა, მერე მათ დაუმატა რძის ბოთლის გრეხილი ნატეხი, რომელიც გახელებული ცხოველის ტუჩს წააგავდა. იქვე თუნუქელა ეგდო და მას ესროდა. ძინკ. უკვე მეორედ ვერ ახვედრებ, - რა საშინელი წამებაა, - ვერ ახვედრებ. ძინკ. შესანიშნავი კანი აქვს, ნაზი და მზემოკიდებული, უნაკლო. ვაჟინიანი ნაყინი გამონაყარს აჩენს: კანის ფოლიკულების მკვებავი ცხიმის ჯირკვლების ზედმეტი გამონაყოფი გაღიზიანებას იწვევს, ეს კი დასწებობას უხსნის გზას. მაგრამ ნიშნულებს მუწუკები არ უჩნდებათ, მიუხედავად იმისა, რომ მადიანად მიერთმევენ ხოლმე ყოველგვარ ცხიმთან საჭმელს. ღმერთო, რა წამებაა - კანი საფეთქელთან ატლასივით უელვარებს და ხასხასა ქერა თმას ერწყმის! მტკრიანი ფეხის კოჭის მთრთოლვარე პაწია ძვალი კი...

„მისტერ მაკ-კუს ქალიშვილი? ჯენი მაკ-კუ? აჰ - საშინლად მახინჯია! და ფლიდია. და კოჭლი. კინაღამ გადაჰყვა პოლიომიელიტს“. ძინკ. მზინვარე ღინღლით დამტრიახული წინამხარი. ის ადგა, რათა თეთრეული სახლში შეეტანა. შორიდან მოსიყვარულე თვალი შევავლე გოგონას ლურჯ, აკაპიწებულ შარვალს, რომელიც უკან გამოხუნებულყო. ველობის შუაგულიდან ფაკირის ყალბ ხესავით მშვიდად ამოიზარდა კოდაკით შეიარაღებული ქალბატონი ჰეიზი და გარკვეული შუქტექნიკური ფუსფუსის შემდეგ - ზემოთ მიმართული კმაყოფილი მზერა, ქვემოთ მიმართული კმაყოფილი მზერა, - თავს ნება მისცა, საფეხურზე მჯდომი, შეცბუნებული Humbert le Bel[33] გადაელო.

პარასკევი. დავინახე, რომ ლოლიტა თავის შავთმიან მეგობართან, როზასთან ერთად სადღაც მიდიოდა. რატომღაც, რომ მისი ბავშვური - ხომ უბრალოდ ბავშვურია - სიარული ასე საოცრად მადლევეს? გავერკვეთ ამაში. ტერფებს ცოტათი მრუდედ ადგამს. მუხლქვეშა ნაწილის მოძრაობაში თავს იჩენს რადიკანირი მოთენთილობა. ოდნავ შესამჩნევი ფლატუნი. და ყოველივე ეს უსაზღვროდ ნორჩია, უსაზღვროდ გარყვნილი. ჰუმბერტ ჰუმბერტს, გარდა ამისა, ძალზე ადელვებს გოგოცუნას ჟარგონი და მკვეთრი, მაღალი ხმა. მოგვიანებით ესმოდა, რომ ღობის გადაღმა მდგარ როზას ლოლიტა უამრავი უხეში და სულელური ფრაზით პასუხობდა, რაც ჩემში აღმავალი რიტმით ჟღერიალგბდა. პაუზა. „ახლა კი უნდა წავიდე, ჩემო პატარავ“. შაბათი. (შესაძლოა აქ ავტორმა

რაც-რაცები შეასწორა). ვიცი, რომ დღიურის წერა სიგიჟეა, მაგრამ ეს უცნაურ, მძაფრ სიამოვნებას მანიჭებს; მოყვარული ცოლის გარდა, ვის ძალუძს ჩემი მიკროსკოპული ხელწერის გაშიფვრა? ნება მიბოძეთ, სლუკუნით განვაცხადო, რომ დღეს ჩემი ლ. მზის აბაზანას იღებდა ღია ვერანდაზე. სამწუხაროდ, დედამისი და ვიღაც სხვა ქალბატონები გამუდმებით ახლომახლო ტრიალებდნენ. რა თქმა უნდა, შემძლო, სარწეველაში ჩავმჯდარიყავი და თავი ისე მომეკატუნებინა, თითქოს ვკითხულობდი, მაგრამ ჩემს ოთახში დარჩენა ვამჯობინე. საშინელი, გიჟური, სასაცილო და უბადრუკი ციებ-ცხელებისგან მაჭრჯოლებდა. მეშინოდა, რომ გამოსვლისას უდარდელი იერი სულაც არ მექნებოდა. კვირა. ჯერ კიდევ იგრძნობა სიცხის ჭავლი; დალოცვილი კვირადღე იყო! ამჯერად წინასწარვე სტრატეგიული მდგომარეობა დავიკავე, სქელტანიანი საკვირაო გაზეთი და ახალი ჩიბუხი მოვიმარჯვე და სარწეველაში მოვკალათდი. სამწუხაროდ, ლოლიტა დედასთან ერთად მოვიდა. მათ ორნაწილიანი, ჩემი ჩიბუხით ახალთახალი შავი საბანაო კოსტიუმები ეცვათ. ჩემი სიყვარული, ჩემი მტრედი ჩემთან შეჩერდა - იუმორისტული განყოფილების ფურცლების აღება სურდა. ისეთივე სურნელი ასდიოდა, როგორც მეორეს, რივიერის დროინდელს, ოღონდ უფრო მძაფრი, თითქოს ხორკლიანი მინარევით. ეს იყო სიმბურვალის სურნელი, რომელმაც უმაღლესი ამომრავა ჩემი მამაკაცური ძალა; მაგრამ გოგონამ უკვე გამომგლიჯა გაზეთის გემრიელი ნაწილი და თავისი სელაპისმაგვარი დედიკოს გვერდით, გაშლილი საფენისკენ დაიხია. იქ ჩემი მშვენება პირქვე დაწვა და მე, ჩემს თვალხილულ სისხლში განხვნილ აურაცხელ თვალს შეუშვირა აწეული ბეჭები, და ატმისებრი ბუსუსები ჩაზნექილი ხერხემლის გასწვრივ და შავით შემოტმასნილი ყმაწვილური ბარძაყების პლაჟური სიშიშველე. მესამეკლასელი გოგონა უსიტყვოდ ტკბებოდა ნახატების მწვანე, წითელი, ლურჯი სერიებით. მწვანე-წითელ-ლურჯ პრიაპოსს არასოდეს მოზმანებია უფრო მშვენიერი ნიმფეტი. ტუჩები გამიშრა. მას სინათლის ფერადოვან შრეებში ვჭვრეტდი, ჟინს ერთ ფოკუსში ვაგროვებდი და, გაზეთით შენიღბული, ოდნავ ვირწეოდი. ვიცოდი, რომ თუ მთლიანად ამ აღქმას მივეცემოდი, მყისვე მივალწევდი ჩემი მათხოვრული ნეტარების უმაღლეს წერტილს. მტაცებელს, ჩვეულებრივ, მომრავი ნადავლი ურჩევნია გაშეშებულს. მის მსგავსად, ვესწრაფოდი ამ უბადრუკი ზეიმის თანხვედრას მკითხველი გოგონას რომელიმე მოძრაობასთან. ის დროდადრო ხერხემალს იფხანდა და ოდნავ შეღინდლულ იდლიას აჩენდა. მაგრამ მისმა ჩაგოდრებულმა დედამ ყველაფერი

QUEVELLY LIBRARY

გააფუჭა - ჩემკენ მოტრიალდა და სიგარეტი მთხოვა, რის შემდეგაც ერთი პოპულარული გაიძვერას შარლატანურ რომანზე ჩამოაგდო უსარგებლო საუბარი. ორშაბათი. *Dialectio morosa*[34]. „დამტანჯველ დღეებს ვატარებ დარდას და მწუხარებაში...“ ჩვენ (დედილო ჰეიზი, დოლორესი და მე) საუზმის შემდეგ ტბაზე წასვლას ვაპირებდით. იქ უნდა გვებანავა და ქვიშაში გვეკოტრიალა, მაგრამ სადავისებრი დილა წვიმიან შუადღედ გადაგვარდა და ლოლიტამ იჩხუბა. დადგენილია, რომ ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს მკვიდრი გოგონების სქესობრივი მომწიფების საშუალო ასაკი ცამეტი წელი და ცხრა თვეა; ინდივიდუალურად კი ეს ასაკი მერყეობს ათსა (ან ნაკლებს) და ჩვიდმეტს შორის. პატარა ვირჯინია თოთხმეტისაც არ იყო, როდესაც ედგარი დაეუფლა. ის აღგებრას ასწავლიდა გოგონას. წარმომიდგენია. თაფლობის თვე ფლორიდის დასავლეთ სანაპიროზე გაატარეს, სანკტ-პეტერბურგში. „მოსიე პო-პო“, როგორც ჰუმბერტ ჰუმბერტის ერთ-ერთი მოწაფე პარიზის ლიცეუმში უწოდებდა პოეტ პოეს. ყველა იმ თვისებით ვარ აღჭურვილი, რაც, ბავშვთა სექსუალური ინტერესების ექსპერტთა აზრით, საპასუხო ჟრუანტელს უღვიძებს გოგონებს. ქვედა ყბის ფაქიზი მოხაზულობა, ხელის ძლიერი მტევანი, მსუყე ხმა, ფართო მხარბეჭი. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, რომელიღაც მსახიობს თუ გიტარიან დუდლუნას ვგავარ, რომლითაც ლოს აბოდებს. სამშაბათი. წვიმა. არავითარი ტბა (მხოლოდ გუბეებია). დედიკო საყიდლებზე გაემგზავრა. ვიცოდი, რომ ლო სადაც ახლოს იმყოფებოდა. ფარული მანევრების შედეგად ის დედამისის საძინებელ ოთახში აღმოვაჩინე. სარკის წინ ქუთუთოს სწევდა, უნდოდა, მარცხენა თვალში ჩავარდნილი ბეწვი ამოეღო. უჯრედებიანი კაბა ეცვა. თუმცა მის წაბლისებრ დამატრობელ სურნელს ვაღმერთებ, მაგრამ კარგი იქნებოდა, თმა ხანდახან მაინც დაებანა. წამით ორივენი ავქანავდით სარკის თბილ სიმწვანეში, სადაც, ჩვენს გარდა, ალვის ხის კენწერო და ცა ირეკლებოდა. ხელი ტლანქად ჩავავლე მხრებში, შემდეგ - ალერსით - საფეთქლებში მოვკვიდე და სინათლისკენ მოვაბრუნე. „აი, აქაა“, თქვა მან, „ვგრძნობ“... „შვეიცარიელი გლეგლები ქალი ენის

წვეწვერით"... ..ამოლოკავდა?" „აგრეა. მოვსნჯთ?" „რა თქმა უნდა. მოსინჯეთ". მთრთოლვარე ნესტარი ნაზად გავუსვი მის მარილიან, მბრუნავ თვალის კაკალს.

„რა კარგია", თქვა მან თვალების ხამხამით. „ადარ არის". „ახლა მეორე თვალი"... „სულელიო", დაიწყო მან. „იქ სულაც"... მაგრამ იგრძნო თუ არა ჩემი მომუშაული ტუჩების მიახლოება, ხატრიანად მითხრა: „ოქეი". პირქუში ჰუმბერტი გოგონას აწეული, თბილი, ყირმიზი სახისკენ დაიხარა და მის აცახცახებულ ქუთუთოს ტუჩები მიადო. ლოლიტამ ჩაიცინა და სწრაფად გავიდა ოთახიდან. მოტრიალებისას კაბით შემეხო. ასე მეგონა, თითქოს გული ერთდროულად მთელ სხეულში მიფეთქავდა. არასოდეს, - მაშინაც კი, როდესაც რივიერაზე იმ გოგონას ვეფერებოდი, - არასოდეს. - დამე. არასოდეს გამწწარებულვარ ასერიგად. მინდა, მისი სახე, მისი მოძრაობები აღწერო და არ ძალმიძს. როდესაც ის ახლოსაა, ჟინი მაბრმავებს. ეშმაკმა დალახვროს - ნიმფეტების საზოგადოებას ჩვეული არა ვარ! როდესაც თვალებს ვხუჭავ, მხოლოდ მის ერთ, გაშეშებულ ნაწილს ვხედავ - სარეკლამო დიაპოზიტის, ბარდაყის შიდა ნაწილის წარმტაცი გადატკეცილი კანის ელვარებას, როდესაც დამჯდარი ლოლიტა უჯრედებიანი ქვედატანით დაფარულ მუხლს მაღლა სწევს და ფეხსაცმლის თასმას იკრავს. „დოლორეს ჰეიზ, ნე მუონტრე პა ვუა ჟიამბ" (ამას ამბობს დედამისი, რომელსაც ჰგონია, რომ ფრანგული ენა იცის). ვინაიდან á mes heures[35] პოეტი ვიყავი, მადრიგალი მივუძღვენი მის უნდილ ბაც-ნაცრისფერ თვალებს, მურივით შავ წამწამებს, აპრეხილ ცხვირზე დაჩნეული ჭორფლის ხუთ ასიმეტრიულ ლაქას და ყავისფერი კიდურების მოთეთრო ღინღას. სამწუხაროდ, ეს ლექსი დავხიე და ვედარ ვისხენებ. მხოლოდ ბანალური გამოთქმებით (აქ დღიურს ვუბრუნდები) თუ მოვახერხებ ჩემი ლოს ნაკვთების აღწერას: შემძლია, მაგალითად, ვთქვა, რომ თმა მუქი ქერა ფერისა ჰქონდა, ტუჩები - კოწახურის ალოკილი ყინულკარამელივით წითელი (ქვედა ტუჩი მომხიბლავად შემუშუბოდა) - აჰ, მწერალი ქალბატონი მანც ვყოფილიყავი, რომლის წინაშე გაშიშვლებული გოგონა შიშველ შუქზე პოზირებას შეძლებდა. მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ აყლაყუდა, გამვალტყავებული ჰუმბერტ ჰუმბერტი ვარ, ბალნიანი მკერდი და ხშირი, შავი წარბები მაქვს, უცნაური გამოთქმით ვლაპარაკობ და ნელი, ყმაწვილური ღიმილით ვნიღბავ დამპალი ურჩხულებით სავსე სანაგვე ორმოს. ისიც არ ჰგავდა ქალთათვის განკუთვნილი რომანის გმირ ნაზ გოგონას. მაგიჟებს ჩემი ნიმფეტის - და, ალბათ, ყოველი ნიმფეტის - გაორებული ბუნება: ლოლიტაში შერწყმული იყო ნაზი, მეოცნებე ბავშვურობა და შემზარავი ვულგარულობა, რომელიც საჟურნალო სურათებზე აღბეჭდილ ნოღაცხვირიან სანდომიან სახეებს ახასიათებს. ამით ის მაგონებდა მღვრიე-ვარდისფერ არასრულწლოვან მოახლებს, რომლებიც ჩვენთან, ევროპაში გვხვდებიან (მათ დაფხვნილი გვირილისა და ოფლის სუნი ასდით); ასეთივენი არიან ნორჩი მებავეები, რომელთაც პროვინციულ საროსკიპოებში ბავშვების ტანსაცმელში გამოაწყობენ ხოლმე. მაგრამ, ამას გარდა, მასში იგრძნობა ენით აუწერელი, უბიწო სინაზე, რომელიც მუშკისა და სისამაგლის, სიმყრალისა და სიკვდილის მიღმიდან გამოსჭვივის. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... და, ბოლოს, რაც ყველაზე უფრო გასაოცარია, ამ

ლოლიტამ, ჩემმა ლოლიტამ ისე გაამძაფრა ავტორის ძველთაძველი ოცნება, რომ ყველაფერზე მაღლა და ყველაფრის მიუხედავად, არსებობს მხოლოდ - ლოლიტა. ოთხშაბათი. „აიძულეთ დედაჩემი, რომ ხვალ ჩვენ (ჩვენ!) სათვალისებრ ტბაზე წაგვიყვანოს". აი, სიტყვასიტყვით, ის ფრაზა, რომელიც ჩემმა თორმეტი წლის პასიამ ვნებიანი ჩურჩულით წარმოთქვა, როდესაც წინკარში შემეფეთა - გავდიოდი, ის კი შემორბოდა. ავტომანქანის მრგვალ ზურგზე ცისარტყელისებრი ნაშუადღევის მზის ანარეკლი უამრავი ნემსით გარემოცული, დამაბრმაველად თეთრი ალმასივით კამკამებდა. სახლის ფიცრულ კედლებს ხშირფოთლიანი ფაფუკი თელამუშის ოღნავ მოციმციმე ჩრდილი ეცემოდა. ორი ალვის ხე ლივლივებდა და ირხეოდა. ქუჩიდან მოძრაობის შორეული, უფორმო ბგერები აღწევდა. ვიღაც ბავშვური ხმით იძახდა: „ნანსი! ნანსი!". სახლში ლოლიტა თავის საყვარელ ფირფიტას „პატარა კარმენს" უსმენდა - მე მას ყოველთვის „ჯიბის კარმენს" ვეძახდი. პასუხად ის ფრუტუნებდა, თვალთმაქცობდა, თითქოს ჩემს თვალთმაქცურ ენამახვილობას დასცინოდა. ხუთშაბათი. გუშინ სადამოს ღია ვერანდაზე ვისხედით - ქალბატონი ჰეიზი, ლოლიტა და მე. თბილი ბინდბუნდი ნელ-ნელა გარდაიქმნებოდა ნეტარებით აღსავსე დამედ. სულელმა ბებერმა ეს-ესაა დაამთავრა იმ კინოსურათის შინაარსის მოყოლა, რომელიც ლოსთან ერთად ნახა ნახევარი წლის წინ. ძალზე ხელმოცარული მოკრივე გაიცნობს კეთილ მღვდელს (რომელიც ოდესღაც, ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდობისას, თვითონაც მოკრივე იყო. ახლაც შეეძლო ცოდვილის მიწაზე განრთხმა მუშტის ერთი დაკვრით). იატაკზე დაგდებულ ბალიშებზე ვისხედით; ლო მადამსა და ჩემს შორის მოთავსდა (თვითონ ჩაეტენა ჩვენ შორის - ჩემი მხეცუნია). ვოხუნჯობდი და ჩემი არქტიკული თავგადასავლების შესახებ ვყვებოდი. გამოგონების

მუხამ შაშხანა მომწოდა და ვესროლე თეთრ დათვს, რომელიც დაჯდა და ამოიხვნეშა. ამავე დროს მძაფრად ვგრძნობდი ლოს სიახლოვეს. სანამ ვლაპარაკობდი და ლმობიერ წყვილადმი ხელებს ვიქნევდი, ამ უჩინარი ქესტებით ვსარგებლობდი - ხან მის ხელს ვეხებოდი, ხან მხარს ველამუნებოდი, ხან კი ვეფერებოდი მატყლისა და მარმარისგან გაკეთებულ თოჯინას, რომელსაც ლო წეწავდა და განუწყვეტლივ მუხლებზე მისვამდა; ბოლოს, როდესაც ჩემი აქომინებული გოგონა მთლიანად გავაბი ამ ჰაეროვანი ალერსის ბადეში, გავბედე, მის ფეხზე ხელი მომესვა, მივალერსებოდი ხურტკმლისებრ დინდლს. საკუთარ ოხუნჯობაზე თვითონვე ვიცინოდი და ვთრთოდი, და თრთოლას ვფარავდი, და ტუჩებით ორჯერ ვიგრძენი მისი კულულების სითბო, როდესაც მას სწრაფი, სასაცილო აპარტებით ვეხლებოდი და სათამაშოს ვეფერებოდი. ლოლიტა ძალზე ცმუტავდა და დედამისმა ბოლოს უკმეხად უბრძანა, დაწყნარდიო, მისი თოჯინა კი უცერად სიბნელეში ისროლა, და მე კვლავ და კვლავ ვხარხარებდი და ლოს ფეხებს გადადმა ქალბატონ ჰეიზს მივმართავდი, თანაც ჩემი ხელი ნიმფეტის ბიჭური პერანგით შემოსილ გამხდარ ზურგზე მიცოცავდა და მის კანს ეპოტინებოდა. ვიცოდი, რომ ყოველივე უიმედო იყო, ვნებისგან გულს მაზიდებდა, ტანსაცმლის სივიწროვისგან ვიტანჯებოდი და გამიხარდა კიდევ, როდესაც დედის მშვიდმა ხმამ სიბნელეში გამოაცხადა: „ახლა კი, ვფიქრობთ, ლოს დაძინების დროა“. „მე კი ვფიქრობ, რომ ღორები ხართ“, უპასუხა ლომ. „შესანიშნავია, მამასადამე, ხვალ პიკნიკი არ შედგება“, თქვა ქალბატონმა ჰეიზმა. „ჩვენ

თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ“, მიუგო ლომ. მას შემდეგ, რაც გაბრაზებულმა ლომ ეგრეთ წოდებული „ბრონქსის ყიჟინა“ (გულისრევისა და ზიზღის გამომხატველი მსუყე ბგერა) გამოსცა და წავიდა, ინერციით ვერანდაზე დავრჩი, ქალბატონი ჰეიზი კი უკვე მათე სიგარეტს ეწეოდა და ლოს გამო წუწუნებდა. თურმე ლო უკვე ერთი წლის ასაკში ამჟღავნებდა ავ ზნეს, როდესაც საწოლიდან ბადის გადადმა ისროდა სათამაშოებს ისე, რომ ამ საძაგელი ბავშვის საცოდავ დედას მათი აკრეფა უხდებოდა! ახლა, თორმეტი წლისა, ის, ქალბატონი ჰეიზის სიტყვით, პირდაპირ ღვთის რისხვავა. ერთადერთი, რაზეც ოცნებობს, ესაა ჯაზის მუსიკის რიტმზე ფეხების ბაკუნნი ან სპორტულ მსვლელობებში ნავარდი, რასაც მუხლების მალლა აწევა და ჯოხით ჟონგლირება ახლავს. ცუდი ნიშნები აქვს, მაგრამ აქ, ახალ სკოლაში, ის უკეთ შეეგუა სასკოლო ყოფას, ვიდრე პისკიში (პისკი შეერთებული შტატების შუაგულ ნაწილში განლაგებული მათი მშობლიური ქალაქი იყო; რამზედელის სახლი გარდაცვლილ დედამთილს ეკუთვნოდა; აქ ისინი ორი წლის წინ გადმოსახლდნენ). „რატომ იყო ლო უბედური იმ პირველ სკოლაში?“ „აჰ“, თქვა ქვრივმა, „კარგად ვიცი, რატომაც. მე, საცოდავმა, ეს უკვე განვიცადე ბავშვობაში; სამინელებაა ეს ბიჭები, რომლებიც ხელს გიგრეხენ, განგებ გეჯახებიან წიგნების დასტით, თმას გწიწვნიან, მწარედ გქმეტენ მკერდზე, ცდილობენ, ქვედატანი აგიწიონ. რა თქმა უნდა, ჭირვეულობა ნორმალური განვითარების თანმხლები გარემოებაა, მაგრამ ლომ ყველაფერს გადააჭარბა. ის კუმტია და გაქნილი. გამომწვევად და თავხედურად იქცევა. ამას წინათ მისი თანაკლასელი იტალიელი გოგონა ვიოლა ჩიოდა, რომ ლოლიტამ მას კალამი უჩხვლიტა საჯდომზე. იცით, თქვა ქალბატონმა ჰეიზმა, რა მინდა? თუკი თქვენ, მონსიეურ, შემოდგომაზე შემთხვევით აქ იქნებით, გთხოვდით, რომ მას გაკვეთილების მომზადებაში დაეხმაროთ - ასე მგონია, ყველაფერი იცით - გეოგრაფია, მათემატიკა, ფრანგული“. „ყველაფერი, ყველაფერი“, უპასუხა „მონსიეურ“-მა. „აჰ“, შესძახა ქალბატონმა ჰეიზმა, „მამასადამე, თქვენ ჯერ კიდევ აქ იქნებით?“ მზად ვიყავი, მეყვირა, რომ სამუდამოდ აქ დავრჩებოდი, თუკი დანაპირებ მოწაფესთან ერთად, თუნდაც იშვიათად, განცხრომის საშუალება მომეცემოდა. მაგრამ ქალბატონ ჰეიზს არ ვენდობოდი. ამიტომ მხოლოდ „ჰმ“ -მეთქი,

ჩავიდუდუნე, გავიზმორე და რადგან არ მინდოდა, ავყოლოდი მის დაწვრილებითობას (le mot juste [36]), მალე ჩემი ოთახისკენ გავემართე. კოპწია ქვრივი, როგორც ჩანს, ვერ მიხვდა, რომ დღე დასრულდა. ჩემს ცივ სარეცელზე განვისვენებდი და ხელისგულს, რომელსაც ლოლიტას სურნელოვანი ჩრდილი შერჩენოდა, სახეზე ვიხუტებდი. გავიგონე, როგორ მოიპარებოდა მოუსვენარი დიასახლისი კარისკენ, და ჩურჩულით მომმართავდა: „მხოლოდ ის მაინტერესებს, წაიკითხეთ თუ არა „მზერა და ოხვრა?“ (ილუსტრირებული ჟურნალი, რომელიც ამას წინათ მათხოვეს). გოგონას ოთახიდან ყვირილი გაისმა: ჟურნალი მას ჰქონდა, ეშმაკმა წაიღოს, სახლი კი არა, გამქირავებელი ბიბლიოთეკაა. პარასკევი. საინტერესოა, რას იტყოდა იმ საუნივერსიტეტო გამომცემლობის დარბაისელი დირექტორი, რომელშიც ჩემი სახელმძღვანელო გამოდის, მასში რონსარის გამოთქმა რომ მომეყვანა „პაწია ალისფერი ნაპრალის“ შესახებ ან დამემოწმებინა რემი ბელოს სტრიქონები: „მომცრო ბორცვი, შემოსილი ნაზი ხავსით, გაყოფილი ალისფერი ხაზით“ და ასე შემდეგ. მეშინია, რომ კვლავ ნერვული აშლილობა დამემართება, თუ ამ სახლში დავრჩები. ვერ

გავუძღვებ აუტანელი ცდუნებით გამუდმებულ გაღიზიანებას აქ, ჩემი თვალისჩინის - ჩემი და ედგარის თვალისჩინის - „ჩემი სიცოცხლის, ჩემი საბედოს“ სიახლოვეს. ნეტავი, დედაბუნებამ აზიარა თუ არა მენარქიის საიდუმლოებას? გაბერილობის შეგრძნება. „წყევლა“, როგორც მას ირლანდიელი ქალები უწოდებენ... ქარაგმულად: „სახურავიდან გადმოვარდნა“ ან „ბეზიას სტუმრობა“.

„ქალბატონი საშვილოსნო (მომყავს ციტატა გოგონებისთვის განკუთვნილი ჟურნალიდან) იწყებს ფუმფულა მგიდის შენებას - გამოადგება, თუკი შიგ ჩვილი ჩაწვება“. ერთი ბეწო შეშლილი შლეგთათვის განკუთვნილ, კედლებზე ქეჩაკრულ პალატაში. სხვათა შორის: თუ ოდესმე ნამდვილ მკვლელობას ჩავიდენ (დაიმახსოვრეთ ეს „თუ“) - ამის გაცილებით მძაფრი სურვილი უნდა აღმეძრას, ვიდრე ვალერიას მიმართ განვიცადე. გულმოდგინედ ჩაინიშნეთ, რომ მაშინ საკმაოდ უთავბოლოდ ვმოქმედებდი. როდესაც მოინდომებთ - თუ მოინდომებთ - ელექტროსკამზე ჩემს შეწვას, გაითვალისწინეთ, გეთაყვა, რომ მხოლოდ სიგიჟე თუ ამავეს მხეცისთვის დამახასიათებელი პრიმიტიული ენერგიით (შესაძლოა, ეს ადგილი რამდენადმე შესწორებული იყოს დღიურთან შედარებით). ზოგჯერ სიზმარში მკვლელობის ჩადენას ვაპირებ, მაგრამ, იცით, რა ხდება? მაგალითად, პისტოლეტი მიჭირავს ხელში და ვუმიზნებ აუღელვებელ მტერს, რომელიც უნიათო ინტერესს იჩენს ჩემი ქცევის მიმართ. დიახ, სასხლეტს, წესისამებრ ვაჭერ თითს, მაგრამ მოსულელო ლულიდან ტყვიებს ერთიმეორის მიყოლებით დუნედ ცვივა იატაკზე. ამ სიზმრებში მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს - ჩემი მარცხი დავუმალო მტერს, რომელსაც ამასობაში ნელ-ნელა სიბრაზე ეუფლება. დღეს, სადილობისას, ბებერმა ასპიტმა აღმაცერად დააკვესა თვალები, დამცინავი დედობრივი მხერით გადახედა ლოს (ის იყო, წავიხუმრე, ჯაგარა უღვაშების მოშვებას ვაპირებ-მეთქი) და თქვა: „არ გინდათ, თორემ ერთ ვიღაცას სულ აებნევა თავგზა“. ლომ მყისვე გასწია თავისი თევში, რომელზეც მოხარული თევზი იდო, კინაღამ გადააპირქვევა რძით სავსე ჭიქა და სასადილო ოთახიდან გავარდა. „ძალიან ხომ არ შეწუხდებით“, წარმოთქვა ქალბატონმა ჰეიზმა, „ხვალ რომ ჩვენთან ერთად წამოხრძანდეთ ტბაზე საბანაოდ, თუკი ლო პატიებას ითხოვს თავისი უსაქციელობისთვის?“ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემს ოთახში მყოფმა გავიგონე კარის ხმაურიანი გაჯახუნება და სხვა ბგერები, სახლის აზანზარებული წილიდან რომ მოისმა - იქ გააფთრებული მეტოქეები ჩხუბობდნენ. მან პატიება არ ითხოვა. მგზავრობა არ შედგა. შეიძლებოდა კი, თავი შემეცქია. შაბათი. აი, უკვე რამდენიმე დღეა, რაც მუშაობისას ჩემი ოთახის კარს ღიად ვტოვებ; ფანდმა მხოლოდ დღეს გაჭრა. ლო განუწყვეტელი მანჭვა-გრეხითა და ფეხსაცმლის ფლატუნით შემოვიდა - უხერხულობას გრძნობდა, რომ დაუკითხავად მესტუმრა. ის შეტრიალ- შემოტრიალდა და იმ საშინელი ნაჯღაბნის თვალთვლებას შეუდგა, რომლითაც ქალაქის ფურცელი გავავსე. არა, ეს არ გახლდათ ესეისტის მიერ ორ პარაგრაფს შორის გაკეთებული შთაგონებული პაუზის შედეგი; ეს იყო ჩემი საბედისწერო ჟინის ბილწი კრიპტოგრაფია

(რომლის გაგება მას არ შეეძლო). გოგონამ ქერა კულულები მაგიდას მიუახლოვა და ჰუმბერტ ხრინწიანმა მას ცალი ხელი მოხვია; რაც სისხლით ნათესაობის უბადრუკ მიზამვას წარმოადგენდა. ჩემი მიაშიტი პატარა სტუმარი მუხლზე დამიჯდა, თან ხელში ფურცელი ეჭირა და ოდნავ ბეცი თვალებით აკვირდებოდა. მის მომხიბვლელ პროფილს, გადახსნილ ტუჩებს, თბილ თმას სულ ორი გოჯი აცილებდა ჩემი დაკრეჭილი საჭრელი კბილისგან. ბიჭური ტანისამოსის უხემ ქსოვილში მისი სხეულის სიმხურვალე იგრძნობოდა. უეცრად ნათლად მივხვდი, რომ სრულიად დაუსჯელად შემემლო მისი კოცნა კისერზე ან ტუჩის კუთხეში - მივხვდი, რომ ამის უფლებას მომცემდა და, ჰოლივუდის წესების მიხედვით, თვალებსაც დახუჭავდა. ეს ისევე მარტივი იყო, როგორც ნაღების ნაყინის ორმაგი ულუფა ცხელი შოკოლადის სოუსით. ჩემს სწავლულ მკითხველს (რომელმაც, ალბათ, ისე მაღლა აჭიმა წარბები, რომ მათ თავის მელოტი ნაწილის გავლით უკვე კეფას მიაღწიეს) ვერ განვუმარტავ, როგორ მივხვდი ამას; შესაძლოა, ნადირის ალლოთი შევამჩნიე მისი სუნთქვის რიტმის ოდნავი შეცვლა, რადგან ლოლიტა უკვე ჩემს ნაჯღაბნს კი არ ათვალთვლებდა - ო, ჩემო გულუბრყვილო ნიმფეტო! - არამედ, წყნარად, ცნობისმოყვარედ ელოდა, როდის მოხდებოდა ის, რასაც მისი მომჯადოებელი მდგმური ასე უსაზღვროდ ელტვოდა. ის ჩვენი დროის ღვიძლი შვილი იყო, ხარბად ეწაფებოდა კინოჟურნალებს, ერკვეოდა მსხვილი პლანით გადაღებულ, ვნებიან, შენელებულ კადრებში. ამიტომ არ გაუკვირდებოდა, თუ უფროსი მეგობარი, წარმოსადეგი მამაკაცი - გვიანაა! მთელი სახლი ააგუგუნა ლაქლაქა ლუიზას ხმამ, რომელმაც ახლახან დაბრუნებულ ქალბატონ ჰეიზს მოახსენა, რომ მან და ტომსონმა (მეზობლის მძღოლმა) სარდაფში რაღაცა მკვდარი ცხოველი იპოვეს - და, რა თქმა უნდა, ჩემს ლოლიტუნას არ შეეძლო, ხელიდან გაეშვა ასეთი საინტერესო შემთხვევა. კვირადღე. მას მერყევი ხასიათი აქვს, ჭირვეულია, ტლანქი. ის თავით ფეხებამდე აღსავსეა ანცი მოზარდის უმწიფარი გრაციით (მთელ ახალ ინგლისს მივცემდი პოპულარული რომანისტი ქალის კალამში!) - თმაში გაბნეული სამაგრებითა და ბაფთით

დაწყებული და კოხტა წვივის ზედა ნაწილზე, ზუსტად შალის თეთრი წინდის თავზე დაჩნეული პატარა ნაჭდევით დამთავრებული (პისკიში მას ერთმა ბიჭმა გორგოლაჭიანი ციგურა ჩასცხო ფეხში). ლოლიტა ეს- ესაა ჰამილტონებთან წავიდა დედამისთან ერთად - ალბათ, მეგობრის დაბადების დღეა. უჯრედებიანი (ფართო ქვედატანიანი) ბამბის ქსოვილის კაბა. მკერდის კოკრები, მგონი, უკვე კარგად გამოეკვეთა. როგორ ჩქარობ, ჩემო მშვენიერო! ორშაბათი. წვიმიანი დილა. „Ces matins gris si doux...!“ [37] ზურგზე იისფრად მოხატული თეთრი პიჟამა მაცვია. გაბერილ მარგალიტისფერ ობობას ვგავარ. ასეთებს ხშირად წააწყდებით ძველ ბაღებში. ზის ბრწყვიალა ქსელის შუაგულში და დროდადრო მოსწევს ხოლმე ამა თუ იმ ძაფს. ჩემი ქსელი მთელ სახლშია გაბმული, თვითონ კი ვერაგი გრძნეულივით ვზივარ სავარძელში და ყურს ვუფდებ. სადაა ლო? თავის ოთახში? ოდნავ ვქაჩავ ძაფს. არა, ის იქიდან გამოვიდა; ახლახან გავიგონე, რომ ტუალეტის მაგიდა ვიღაცამ ლაწანით გასწია; მაგრამ ჩემ მიერ გადაგდებულმა სასმენმა ბოჭკომ ვერ აღბეჭდა სააბაზანოდან თავის ოთახში დაბრუნებული გოგონას ნაბიჯები. შესაძლოა, ის ჯერ კიდევ კბილებს იწმენდს

(ესაა ერთადერთი ჰიგიენური ქმედება, რომელსაც ლოლიტა ჭეშმარიტი გულმოდგინებით ახორციელებს). არა. სააბაზანოს კარი ეს-ესაა გაჯახუნდა. მამასადამე, სახლის სხვა ადგილები უნდა გაეჭხრიკო მშვენიერი ნადავლის მოსამებნად. მოდი, აბრეშუმის ძაფს ქვედა სართულზე ჩავუშვებ. ვრწმუნდები, რომ ის სამზარეულოში არ იმყოფება, ბრახუნით არ კეტავს მაცივრის კარს და არ უწივის საძულველ დედას (რომელიც, ჩემი ვარაუდით, ამ დილას უკვე მესამედ ტკბება - ვიღაცას ჟღურტულით, თავმეკავებულად, მხიარულად ელაპარაკება ტელეფონით). რას იზამ. იმედი არ უნდა დავკარგო და ჩხრეკა გავაგრძელო. სხივივით უხმაუროდ ვიპარები სასტუმრო ოთახში და ვრწმუნდები, რომ რადიო ჩუმადაა (მაშინ, როდესაც დედამისი ჯერ კიდევ მისის ჩატვილდს ელაპარაკება, ძალზე ჩუმადა, ღიმილით; სახე წითლად უღვივის, თავისუფალ ხელისგულს ყურმილს აფარებს, უარყოფს და გადაკვრით მიანიშნებს, რომ მთლიანად არ უარყოფს მდგმურის შესახებ გავრცელებულ სასაცილო ჭორებს. აჰ, გეყოფათ, და ამ ჩურჩულში არნახულ გულითადობას იჩენს). ამგვარად, ჩემი ნიმიფეტი, უბრალოდ, შინ არაა! წაეცრიალდა! ფერადოვანი ქსოვილი სიძველისგან ფერგაცლილ ობობას ქსელად გადაიქცა, სახლი ცარიელია, სახლი მკვდარია. უცებ - ნახევრად გაღებულ კარში ლოლიტას ნაზი სიცილი მოისმის: „დედას არ უთხრათ, რომ თქვენი ბეკონი მთლიანად შევჭამე“. როდესაც ბაქანზე გამოვრბივარ, ის უკვე არსად ჩანს. ლოლიტა, სად ხარ? სინი, რომელზეც დიასახლისის მიერ მზრუნველად მომზადებული ჩემი ყავა დგას, უკბილოდ იღრიჭება და იცდის, როდის ავიღებ ზღურბლიდან და საწოლში შევიტან. ლოლა! ლოლიტა! სამშაბათი. ღრუბლიანმა ამინდმა კვლავ ხელი შეუშალა მიუწვდომელ ტბაზე პიკნიკის გამართვას. იქნებ ბედისწერა მზაკვრობს? გუშინ სარკის წინ საცურაო ტრუსების ახალ წყვილს ვიზომებდი. ოთხშაბათი. დღეს „ტაიორსა“ და დაბალქუსლიან ფეხსაცმელში გამოწყობილმა ქალბატონმა ჰეიზმა გამოაცხადა, რომ ქალაქს მიემგზავრება მეგობრის ამხანაგისთვის საჩუქრების საყიდლად. შემომთავაზა, წავყოლოდი, რაკი ასე კარგად ვერკვევი ნაჭრებსა და სუნამოებში. „აირჩიეთ თქვენი საყვარელი ცდუნება“, წაიკრუტუნა მან. როგორ შეეძლო პარფიუმერიული ფირმის პატრონს, ჰუმბერტს, მიპატიჟების თავიდან აცილება? მან ჩიხში - წინა პარმადსა და ავტომანქანას შორის - მომამწყვდია. „იჩქარეთ!“, დაიძახა, როდესაც ზედმეტი გულმოდგინებით შევუდექი ჩემი ზორბა სხეულის მანქანაში შელაგებას (ჯერ კიდევ გამწარებით ვეძებდი თავის დასამძვრენ საბაზს). მან უკვე ჩართო ძრავა და მანდილოსნისთვის შესაფერი სიტყვებით წყევლიდა უკან სვლით დამრულ საბარგო მანქანას, რომელიც ტრიალდებოდა. ამ მანქანით პირდაპირ მცხოვრებ სამაგელ დედაბერს ეს-ესაა მიუტანეს ბორბლებიანი ახალი სავარძელი; ამ დროს სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან ლოლიტას მკვეთრი ხმა გაისმა: „ჰეი, თქვენ! სად მიდიხართ? მეც მოვდივარ! დამიცადეთ!“ „ყურს ნუ უფდებთ!“, წამოიკვილა ქალბატონმა ჰეიზმა (და უცაბედად ძრავა გამორთო). ამ დროს ჩემი მშვენიერი ავტომედონის საუბედუროდ ლო უკვე კარის სახელურს ეპოტინებოდა, რათა ჩემ გვერდით დამჯდარიყო. „ეს აღმაშფოთებელია“ - დაიწყო ჰეიზმა, მაგრამ სიამოვნებისგან ათრთოლებული ლო უკვე დაჯდა. „აბა, გასწიეთ უკანალი“, მომმართა მან. „ლო!“ წამოიძახა ქალბატონმა ჰეიზმა (და აღმაცერად გადმოშხედა იმ იმედით, რომ თავხედ გოგონას გავაგდებდი). „ლო-თოხლო“, თქვა ლომ (ეს პირველად არ

ხდებოდა) და ჩემსავით უკან გადავარდა, რადგან ავტომანქანა წინ გაქანდა. „სრულიად დაუშვებელია“, თქვა ქალბატონმა ჰეიზმა და გააფთრებით გადართო მეორე სიჩქარე, „რომ გოგონამ ასე უტიფრად ილაპარაკოს. და ასეთი აბეზარი იყოს. მან ხომ მშვენივრად იცის, რომ ზედმეტი, თანაც დასაბანია“. მარჯვენა ხელის თითებით გოგონას კოვბოურ ლურჯ შარვალს ვეხეობდი. ის

ფეხშიშველი იყო და ფეხის ფრჩხილებზე ალუბლისფერი ლაქის კვალი შერჩენოდა. ერთი თითის გასწვრივ საღებუნის თეთრი ზოლი მოუჩანდა. ღმერთო ჩემო, რას არ მივცემდი, რომ აქვე, დაუყოვნებლივ მეკოცნა ამ თხელ, გრძელთითა, მაიმუნისებრ ფეხებზე. უცებ მისი ხელი ჩემსაში შესრიალდა და ჩვენი დუენიასგან უჩუმრად მაღაზიამდე დარჩენილი მთელი მანძილის განმავლობაში მიჭირა ეს ცხელი პატარა თათი, ვეფერებოდი და ვსრესდი მას. ჩვენს მარლენისმაგვარ მძღოლს ცხვირის ნესტოები უპრიალებდა - ალბათ, პუდრი ჩამოსცვივდა ან აორთქლდა. მას არ შეუწყვეტია კეკლუცი მონოლოგი რამზადელის ქუჩებში მოძრაობის შესახებ, და პროფილში ილიმებოდა, და პროფილში ბურცავდა ტუჩებს, და პროფილში ახამხამებდა შეღებილ წამწამებს, მე კი ვლოცულობდი, - სამწუხაროდ, უშედეგოდ, - რომ მაღაზიამდე არასოდეს მიგვეღწია. მეტს ვერაფერს გაუწყებთ, იმის გარდა, რომ შინ დაბრუნებისას ქალბატონმა ჰეიზმა ლოლიტას უბრძანა, უკან დამჯდარიყო, შემდეგ გადაწყვიტა, ჩემ მიერ შერჩეული სუნამო საკუთარი მოხდენილი ყურების ბიბილოებისთვის დაეტოვებინა. ხუთშაბათი. თვის ტროპიკული დასაწყისის საზღაური ახლანდელი ქარიშხალი და სეტყვაა. ყმაწვილთათვის განკუთვნილი ენციკლოპედიის ერთ-ერთ ტომში ვიპოვე შეერთებული შტატების რუკა, აგრეთვე - თხელი ქაღალდის ფურცელი, რომელზეც ბავშვურ ხელს ამ რუკის აბრისის ხაზვა დაეწყო. ფურცლის უკანა მხარეს, ფლორიდის დაუმთავრებელი მოხაზულობის პირდაპირ აღმოჩნდა რამზადელის გიმნაზიის საკლასო სიის მიმეოგრაფიული ასლი. ეს ლირიკული ქმნილება უკვე ზეპირად ვიცი. ანჯელი, გრაცია აუსტინი, ფლოიდ ბაირონი, მარგარიტა ბიელი, მერი ბიელი, ჯეკ ბუკი, დანიელ გრაცი, როზალინა გრინი, ლუცინდა გუდეილი, დონალდ

დუნკანი, ვალტერ ვილიამსი, რალფ ვინდმიულერი, ლუიზა კამელი, ალისა კარმინი, როზა კაუანი, მარიონ კაუანი, ჯონ მაკ-კრისტალი, ვივიან მა-კუ, ვირჯინია მაკ-ფატუმი, ობრეი მირანდა, ანტონიუს მირანდა, ვიოლა ნაიტი, კენეტ როზატო, ემილ სკოტი, დონალდ სმიტი, ჰეზელ ტალბოტი, ედგარ ტალბოტი, ედვინ უენი, ლულ ფალტერი, ტედ ფანტაზია, სტელა ფლეიშმანი, მოსე ფოქსი, ჯორჯ შერვა, ოლეგ შერიდანი, ალისა შლენკერი, ლენა

ჩატვილი, ფილის ჰაველი, მაბელ ჰამილტონი, როზა ჰეიზი, დოლორეს პომეა, ჭემმარიტი პომეა! რა უცნაური და საამო იყო ამ „ჰეიზი, დოლორეს“ -ის (მისი!) პოვნა სახელების ამ ცოცხალ ტალავერში; ვარდების საპატიო ყარაულით გარემოცული, ის ზღაპრული მეფის ასულივით დგას ფრეილინებს შორის! ვცდილობ, გავანალიზო აღტაცებით გამოწვეული ღიტინი, რომელსაც მთავარ ღერძში ვგრძნობ, როდესაც ყველა სხვა სახელს შორის მის სახელს ვხედავ. რა მადელვებს - და რა მადენს ცრემლს (ცხელ, ოპალისფერ, ბლანტ ცრემლებს, რომელთაც პოეტები და მიჯნურები ღვრიან) - სახელდობრ, რა? მანტილიას შავი მაქმანით შენიღბული ნაზი ანონიმურობა („დოლორეს“)? გვარისა და სახელის გადასმის მიღწეული განყენებულობა, რომელიც რაღაცით ორ გრძელ, შავ ხელთათმანს თუ ნიღაბს მაგონებს? სიტყვა „ნიღაბი“ ხომ არ შეიცავს განმარტებას? თუ მაქმანისეული იდუმალეობა და ვუალი, რომელშიც მხოლოდ შენთვის, რჩეულისთვის ნაცნობი თვალების ღიმილი გამოკრთის, ყოველთვის ნეტარების მომგვრელია? გარდა ამისა, შემიძლია, ძალზე მკაფიოდ წარმოვიდგინო ჩემი მიზნედილი, ვარდისფერი მტრედის გარშემო შეკრებილი ამ ფერადოვანი კლასის დანარჩენი ნაწილი. ვხედავ გრაცია ანჯელს და მის მწიფე მუწუკებს; აგრეთვე - როგორ ითრევს ფეხს ჯინი მაკ-კუ; აქვეა ონანიზმისგან გასავათებული კლარკი, მყრალი მასხარა დუნკანი, აგნესა - დაღრღნილი ფრჩხილებით და ვიოლა, რომელსაც ფერისმჭამელებიანი სახე და მკვრივი კუნთები აქვს; ვამჩნევ ეშხიან როზალინას, შავთმიან როზას. მომხიბვლელ სტელას, უცხო მამაკაცებს მისი სხეულის შეხების უფლებას რომ აძლევს; შარიან ვილიამსს, რომელიც ქურდობს; ფლეიშმანს, რომელიც მეცოდება - ყველა განკიცხული მეცოდება. და აი, მათ შორის - ის, ამ ბრბოთი გარემოცული, ფანქარს წუწნის. მასწავლებლებს ლოლიტა სძულთ, ხოლო ბიჭები თვალებით ჭამენ. მათი მზერა შენს თმასა და კისერზეა მიპყრობილი, ჩემო ლოლიტა. პარასკევი. საშინელ კატასტროფაზე ვოცნებობ. მიწისძვრაზე. გრანდიოზულ აფეთქებაზე. დედამისი უსუფთაოდ, მაგრამ მყისიერად და საბოლოოდ ქრება ყველა იმ ადამიანთან ერთად, ვინც ჩვენ გარშემო მრავალი მილის მანძილზე ცხოვრობდა. ჩემთან ჩახვეული ლოლიტა ქვითინებს. თავისუფალი ვარ და ვეუფლები მას ნანგრევებს შორის. მისი გაოცება. ჩემი ახსნა- განმარტება. თვალსაჩინო ნიმუშები, რომელთაც ცხოველური ბგერების გამოცემა ახლავს. ყოველივე ეს უსაქმური კაცის სულელური მონაჩმახია! ჰუმბერტი ლაჩარი რომ არ იყოს, უსაზიზღრესად შეიქცევადა თავს მასთან (ისარგებლებდა მის ოთახში ლოლიტას სტუმრობით - გუშინ, მაგალითად, კვლავ ჩემთან იყო, თავის ნახატებს - სასკოლო ხელოვნების ნიმუშებს მიჩვენებდა). ჰუმბერტ გულადს შეეძლო, ქრთამი შეეთავაზებინა მისთვის, თანაც - ყოველგვარი რისკის გარეშე. უფრო

მარტივი და უფრო პრაქტიკული კაცი გონივრულად დაკმაყოფილებოდა კომერციული ერზაცებით, მაგრამ უნდა იცოდე, ვის მიმართო - მე კი არ ვიცი. ვაჟკაცური გარეგნობის მიუხედავად, საშინლად მოკრძალებული ვარ. ჩემი რომანტიკული

სული ერთიანად ცახცახებს რაღაცნაირი მწებვარე ჟრუანტელისაგან, როდესაც რაიმე ბინძურ, საშინელ ამბავში გახვევას ვვარაუდობ. მაგონდება უწმინდური ზღვის ურჩხულები, რომლებიც გაიძახოდნენ „Mais allez-y, allez-y!“ [38], თვალწინ მიდგას ანაბელა, რომელიც ცალ ფეხზე ხტის, რათა ტრუსები ჩაიცვას; მე კი, ზიზღითა და სიშმაგით შეპყრობილი, ვცდილობ, გადავეფარო მას. იგივე დღე, მაგრამ უფრო გვიან, გაცილებით გვიან. შუქი ავანთე, სიზმრის ჩაწერა მინდოდა. მისი წარმომავლობა ჩემთვის აშკარაა. სადილობისას ქალბატონმა ჰეიზმა იკადრა და გამოაცხადა, რომ მეტეოროლოგიური ბიურო კვირის ბოლოს მზიან ამინდს გვპირდება. ამიტომ კვირადღეს, წირვის შემდეგ, ტბაზე გავემგზავრებით. როდესაც ლოგინში ჩავწევი და ძილის წინ ოცნებებს მივეცი თავი, ვფიქრობდი და გეგმებს ვსახავდი, თუ როგორ გამოიმეყნებინა მომავალი პიკნიკი. კარგად ვიცოდი, რომ დედილო ჰეიზს ჩემი მტრედი სძულდა, რადგან გოგონა ჩემით იყო გატაცებული. ჩავიფიქრე, ტბაზე დღე ისე გამეტარებინა, რომ დედაც მომეთაფლა. გადავწყვიტე, რომ მხოლოდ მასთან ვისაუბრებდი, მაგრამ ხელსაყრელ წუთს ვეტყოდი - აი, იმ წარაფში საათი ან შავი სათვალე დამრჩამეთქი და ჩემი ნიმიფეტთან ერთად დაუყოვნებლივ გავემურებოდი ტევრისკენ. აქ სინამდვილე გაუჩინარდა და სათვალისებრ ტბაზე სათვალის ძებნა წყნარ, პატარა ორგაოდ გადაიქცა, რომელშიც უცნაურად გამოცდილი, მხიარული და თვინიერი ლოლიტა მონაწილეობდა, ოღონდ ჩემმა გონებამ იცოდა, რომ გოგონა სინამდვილეში ასე ვერ მოიქცეოდა. რიჟრაჟზე დასამინებელი აბი დავლიე და ისეთი სიზმრები ვნახე, ჩემი ოცნებების გაგრძელებას კი არა, მათ პაროდისა რომ წარმოადგენდა. მრავალმნიშვნელოვანი სიცხადით ვიხილე ტბა, სადაც არასოდეს ვყოფილვარ: ის ზურმუხტისფერი ყინულის საბურველით იყო დაფარული. ჩოფურა ესკიმოსი ამაოდ ცდილობდა, წერაქვით ყინულჭრილი გაეჭრა, თუმცა ტბის ღორღიან ნაპირებზე იმპორტული ოლეანდრები და მიმოხები ჰყვავოდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ დოქტორი ბიანკა შვარცმანი ავსტრიული შილინგების მთელი ტომრით დამაჯილდოვებდა, თუ ამ ლიბიდოსიზმარს მის ლიბიდოსიეს მივუმატებდი. სამწუხაროდ, სიზმრის დანარჩენი ნაწილი აშკარად ეკლექტიკური იყო. ცხენებზე ამხედრებული ქალბატონი ჰეიზი და პაწაწა ჰეიზი ტბის გარშემო დაჯირითობდნენ და მეც ამასვე ვაკეთებდი, ფეხებგაჩაჩხული გულმოდგინედ ვხტუნავდი, თუმცა ფეხებს შორის, ცხენის ნაცვლად, მხოლოდ მკვრივ ჰაერს ვგრძნობდი - მცირედი გაუგებრობა, სიზმრის რეჟისორის დაბნეულობის შედეგი. შაბათი. გული ჯერ კიდევ ძალუმად მიცემს. ჯერ კიდევ ვიკლავნები უხერხულობისგან და ჩუმი ვზომი. ზურგის ხედი. თეთრ მაისურსა და თეთრ ტრუსებს შორის კანის ოქროსფერი ზოლი მოჩანს. ფანჯარაში გადაყუდებული ლოლიტა მექანიკურად წყვეტს ალვის ხის ფოთლებს, რომლებიც ფანჯარას სწვდებიან. ის გატაცებით ემასლაათება გაზეთების დამტარებელ ბიჭს (მგონი, ეს კენეტ ნაიტია), ქვემოთ რომ დგას. ბიჭმა ეს-ესაა დახვეული „რამზდედ ჯორნალი“ ხმაურით გასტყორცნა და ზუსტად მოახვედრა მიზანს - ჩვენი პარმალის საფეხურს. გოგონას, როგორც პანტომიმისტები ამბობენ, „ხეიბარი კოლოს“ მსგავსად მივეპარე. ჩემი კიდურები წარმოადგენდა წამოზნექილ ზედაპირებს; რომელთა შორის - ან, უფრო ზუსტად, რომლებზეც - ნელა

მივფორთხავდი და გადაადგილების რომელიღაც ნეიტრალური საშუალებით ვსარგებლობდი; კუტი კოლო ჰუმბერტი. უამრავი დრო დამჭირდა, რათა ლოლიტამდე მიმეღწია. მას თითქოს დურბინდის ვიწრო ბოლოდან ვაკვირდებოდი და გოგონას მკვრივ გავას ისე ვუახლოვდებოდი, თითქოს დამბლადაცემული ადამიანი ვიყავი, რომელსაც უძვლო, ამოტრიალებული კიდურები ჰქონდა და ნებისყოფის საშინელი დამაბვის ფასად მოძრაობდა. ბოლოს ზუსტად მის უკან აღმოვჩნდი; მაგრამ აქ უკუღმართი აზრი დამეზადა. მოვინდომე, მოჩვენებითი სიცელქით ქეჩოში ხელი წამევილო ლოლიტასთვის, რათა ჩემი ჭეშმარიტი თამაში შემენიღბა. მან მოკლედ, მწივანა ხმით მითხრა: „თავი დამანებეთ!“ (რაც ძალზე უხეშად გამოუვიდა) და ჰუმბერტ თვინიერმა საზარელი ღრეკით დაიხია, ფანჯარაში გადაკიდებულმა სამაგელმა გოგომ კი ქაქანი გააგრძელა. ახლა კი მომისმინეთ, რა მოხდა შემდეგ, როდესაც ვისაუბრე, ბადის დაბალ მერხზე დავეჯექი და შევეცადე, კითხვით თავი შემექცია. უცებ თვალეზე ორი მარჯვე ხელი ამეფარა. ეს ლოლიტა მომეპარა და, თითქოს საბალეტო სცენებისთვის დამახასიათებელი თანმიმდევრობით ჩემი ძილის მანევრი გაიმეორა. მის თითებში, რომლებიც მზის შუქს ჩრდილავდა, ჭიაფერი ილანდებოდა. გოგონა სულმოუთქმელად ხარხარებდა და ხან ერთ მხარეს იხრებოდა, ხან - მეორეს, როდესაც ხელს უკან ან გვერდზე ვწევდი ისე, რომ არ ავმდგარვარ. ვეფერებოდი მის მკვირცხლ და თითქოს მოკისკისე ფეხებს, და წიგნი

ჩემს სხეულზე ჩამოსრილადა, და მოსეირნე მისტრის ჰეიზი მოგვიახლოვდა და შემწყნარებლურად თქვა: „უბრალოდ, ღონივრად სთხოიმეთ, თუ თქვენს ფიქრებს ხელს უშლის. როგორ მიყვარს ეს ბალი“. განაგრძო მან ძახილის ნიშნის გარეშე. „ეს მზე განა სამოთხე არ არის“ (კითხვის ნიშნის კვალიც არ შეიმჩნეოდა) და მოჩვენებითი ნეტარების გამომხატველი ოხვრით ეს აუტანელი ქალბატონი ბალახზე დაჯდა, ზურგს უკან გაფარჩხულ ხელებს დაეყრდნო და ცას თვალი გაუშტერა. უცებ მას ტენისის ძველი, რუხი ბურთი დაახტა და სახლიდან ლოლიტას რამდენადმე ქედმაღლური ხმა გაისმა „Pardonne, maman[39]. შენ არ გიმიზნებდი“. რა თქმა უნდა, არა, ჩემო მხურვალე, სათუთო მშვენიეზავ!

12.

დღიური აქ მთავრდებოდა. აშკარაა, რომ ეშმაკის გამომგონებლობის მიუხედავად, მისი მოქმედების სქემა ყოველდღიურად მეორდებოდა: ჯერ მაცდუნებდა, შემდეგ მეურჩებოდა, ბოლოს კი გამირბოდა, რის შემდეგაც მთელ ჩემს არსებას ყრუ ტკივილი ძირისძირობამდე ღრღნიდა. ზუსტად ვიცოდი, რა უნდა მომემოქმედა, როგორ უნდა გავფრთხილებოდი პატარა გოგონას უბიწოებას. ბოლოს და ბოლოს, ჩემს მანიასთან ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება ხომ დამიგროვდა. საზოგადოებრივ პარკებში თვალთ არაერთხელ დავუფლებივარ შუქრდილით აჭრელებულ ნიმფეტებს; ყოფილა ისეც, რომ ძლივძლივობით, ზნედაცემული ავხორცის სიფრთხილით, გამიღწევა ქალაქის ავტობუსის ძალზე თბილ, მეტისმეტად გაჭედულ ბოლოში, სადაც ღვედებზე მოსწავლე გოგონების მთელი ჯგრო უვიდა. მაგრამ ახლა, თითქმის სამი კვირის განმავლობაში, ჩემს უბადრუკ სურვილებს ფრთები შეეკვცა. დაბრკოლებებს, ჩვეულებრივ, ქალბატონი ჰეიზი წარმოქმნიდა (მას - ჩაინიშნეთ, მკითხველო, - ეშინოდა, ლოლიტას არ გაეხარა ჩემთან სიახლოვით და გაცილებით ნაკლებად ადარდებდა, რომ შეიძლებოდა, მე დავმტკბარიყავი ლოლიტათი). მხეცური ჟინი, რომელსაც ამ ნიმფეტის მიმართ ვგრძნობდი (ეს იყო პირველი ნიმფეტი, რომელთანაც მოუხეზავი, მტკივანი, გაუბედავი ჭანგებით მივბობდი) კვლავ სანატორიუმში ამომყოფინებდა თავს; საბედნიეროდ, ეშმაკმა იაზრა, რომ ცოტაოდენი სიამოვნება უნდა ებოძებინა ჩემთვის, რათა თამაშის გაგრძელების საშუალება მისცემოდა. მკითხველს, ალბათ, შეუმჩნეველი არ დარჩა ტბის თავშესაქცევი მირაჟი. მისტერ მაკ-ფატუმის (ასე ვუწოდებ ჩემს ეშმაკს) მხრივ ლოგიკური იქნებოდა, მცირეოდენი საჩუქარი დაეხვედრებინა ჩემთვის იქ - ალექსანდრე ნაპირზე, წინასწარ ნაგულისხმევ ფიჭვნარში. სინამდვილეში ქალბატონი ჰეიზის ჩანაფიქრი გარკვეულ ფანდს შეიცავდა: მან არ გამაფრთხილა, რომ პიკნიკზე როზა ჰამილტონი (კოპწია შავტუხა გოგონა) წამოვიდოდა, რომ ნიმფეტები ერთმანეთში იჩურჩულებდნენ, ერთმანეთთან ითამაშებდნენ და ჩვენგან სრულიად განცალკევებით იმხიარულებდნენ - ხოლო ცნობისმოყვარე თვალთვალს მოშორებით, ნახევრად შიშველი მისტრის ჰეიზი და მისი ლამაზი მდგმური დარბაისლურად იმასლაათებდნენ. ჩვენ ხომ თვალყურს გვადევნებდნენ და ჭორობდნენ. რა უცნაური ცხოვრება! ჩვენ წინააღმდეგ ბედისწერის სწორედ იმ ძალებს ავამხედრებთ ხოლმე, რომელთა მომადლიერებასაც ვცდილობდი: ჩემი ჩამოსვლის წინ ჩემი დიასახლისი ერთი შინაბერას, გვარად ფალენის (დედამისი ოდესღაც მზარეულად მუშაობდა ქალბატონ ჰეიზის ოჯახში) მოხმობას აპირებდა, რათა ის ლოლიტასა და ჩემთან დასახლებულიყო. თვით დიასახლისის ბუნებას კანტორაში სამსახური შეესატყვისებოდა და დიდ ქალაქში სამუშაო უნდა ეპოვა. მან ყველაფერი ძალზე მკაფიოდ წარმოიდგინა: ჩამოდის წელში მოხრილი, სათვალისანი ჰერ ჰუმბერტი თავისი შუასაუკუნეობრივი სკივრებით; ის ძველისძველი წიგნების საფარქვეშ ნელ-ნელა ეფლობა მტვერში; უსახური გოგონა, რომელიც არავის უყვარს, მისს ფალენის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იქნება - ადრე, 1944 წელს, მან უკვე გადააფარა თავისი აბეზარი ფრთები ლოს (რომელიც იმ ზაფხულს ზიზღნარევი ძრწოლით იხსენებდა),

ხოლო მისტრის ჰეიზი ელეგანტურ ფირმაში იმსახურებს. გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა საკმაოდ უბრალო შემთხვევამ: რამზდელში ჩემი ჩამოსვლის დღეს მისს ფალენმა სავანაში (ჯორჯია) ბარძაყის ძვალი გადაიმსხვრია.

13. უკვე აღწერილ შაბათს ზუსტად ისეთი დარიანი კვირადლე მოჰყვა, როგორსაც მეტეოროლოგიური ბიურო გვპირდებოდა. კარს უკან დადგმულ სკამზე დავდგი საუზმის ნარჩენებიანი სინი (რომელიც ჩემს კეთილ დიასახლისის მისთვის ხელსაყრელ დროს უნდა წაეღო), გაქუცული ფლოსტებით (ეს ჩემი ერთადერთი გაქუცული ნივთია) კიბის ბაქნის მოაჯირთან ფეხაკრებით მივედი, მივაყურადე და შემდეგი რამ გამოვარკვიე: სახლში კვლავ უსიამოვნება

სუფევდა. მისტრის ჰამილტონმა ტელეფონით გვაუწყა, რომ მის შვილს სიცხე ჰქონდა. მისტრის ჰეიზმა ქალიშვილს აუწყა, რომ პიკნიკის გადადება მოუწევდათ. ფიცხმა პატარა ჰეიზმა დიდ, ცივ ქალბატონ ჰეიზს მიახალა, რომ თუ ასეა, ეკლესიაში არ წაჰყვებოდა. დედამ - კეთილიო, - თქვა და მარტო გაემგზავრა წირვაზე. როდესაც ოთახიდან გამოვედი, ის-ის იყო, პირის პარსვას მოვრჩი, ყურებზე საპნის ქაფი შემრჩენოდა და ზურგზე ღიღილოსფრად (არა იისფრად) მოხატული, თეთრი პიჟამა მეცვა. ქაფი სწრაფად მოვიწმინდე, თმასა და ილიებში სუნამო ვიპკურე, იისფერი აბრეშუმის ხალათი ჩავიცვი, ნერვული ღიღინით კიბეზე დავეშვი და ლოლიტას საძებრად გავეშურე. მინდა, ჩემმა სწავლულმა მკითხველებმა მონაწილეობა მიიღონ იმ სცენაში, რომლის ხელახლა გათამაშებასაც ვაპირებ; მინდა, რომ ისინი დააკვირდნენ ყოველ დეტალს და თვითონვე დარწმუნდნენ, როგორი სიფრთხილითა და უმანკოებითაა გამსჭვალული მთელი ეს მუსკატურ-ტკბილი ეპიზოდი - თუკი მას „მიუკერძოებელი სიმპათიით“ მოეკიდებით, როგორც კერძო საუბარში ბრძანა ჩემმა ადვოკატმა. დავიწყეთ. ჩემ წინაშე რთული ამოცანაა. მთავარი მოქმედი პირი: ჰუმბერტ კრუტუნა. მოქმედების დრო: ივნისის დილა, კვირადღე. ადგილი: მზით გაცისკროვნებული სასტუმრო ოთახი. რეკვიზიტი: ძველი ზოლიანი ტახტი, ილუსტრირებული ჟურნალები, გრამოფონი, მექსიკური სამშვენისები (განსვენებულმა ჰაროლდ ე. ჰეიზმა - ღმერთმა აცხონოს ეს კეთილი კაცი! - ჩემი თვალისჩინი სიესტის დროს, ვერა კრუსში საქორწინო მოგზაურობისას, ცისფერკედლებიან ოთახში ჩასახა. ამიტომ ახლა მთელ სახლში სუვენირები იყო მიმოფანტული, დოლორესის ჩათვლით). იმ დღეს მას იგივე

წარმტაცი ვარდისფერი ჩითის კაბა ეცვა, მუქი-ვარდისფერი უჯრედებით რომ იყო მოხატული და მოკლე სახელოები, ფართო ქვედატანი და ფიწრო ლიფი ჰქონდა. ფერადოვანი კომპოზიციის დასაგვირგვინებლად ლოლიტას ტუჩები ხასხასა ფერის პომადით შეეღება და მუჭში საუცხოო, ბანალური, ედემურ-წითელი ვაშლი ეჭირა. მხოლოდ წინდები და ფლოსტები იყო საშინაო. მისი თეთრი საკვირაო ჩანთა მაგნიტოფონთან ეგდო. გული გამალებით ამიძგერდა, როდესაც ის დივანზე ჩემ გვერდით დასკუპდა (კაბა ჰაეროვნად აფრიალდა, შემდეგ - დაეშვა) და პრიალა ნაყოფით თამაშს შეუდგა: ზევით, მზის მტვერში ისროდა მას და მცვრევადი, ცარიელი, მოციმიციმე ხმით იჭერდა. ჰუმბერტ ჰუმბერტმა ვაშლს ჰაერში ხელი სტაცა. „მომეცით!“ შემევედრა გოგონა და ხელისგულების ვარდისფერი მარმარილო მომიშვირა. დავუბრუნე „ოქროს თესლი“. მან ის ჩაკბიჩა და სიფრთხანა ალისფერ კანში გახვეული ჩემი გული თოვლივით გალღვა. ამ ამერიკელმა ნიმფეტმა მისთვის ასე დამახასიათებელი მაიმუნისებრი სიმკვირცხლით წამართვა ჟურნალი, რომელიც მექანიკურად გადავშალე (სამწუხაროდ, არავის შეეძლო, კინოფირზე აღებეჭდა ჩვენი ერთდროული ან ურთიერთშემხვედრი მოძრაობების ქარგა). ლოლიტას ცალ ხელში შელახული ნაყოფი ეჭირა, თან მოუსვენრად და სწრაფად ფურცლავდა ჟურნალს - უნდოდა, ერთი სურათი ეჩვენებინა ჰუმბერტისთვის. ბოლოს იპოვა. მოჩვენებითი ინტერესით თავი ისე ახლოს მივწიე, რომ მისი თმა საფეთქელზე მომელამუნა, შიშველი ხელი კი ლოყაზე ოდნავ შემეხო, როდესაც მან მაჯით ტუჩები მოიწმინდა. თვალთ მიბნელებოდა, ამიტომ ფოტოსურათის აღქმა დავაყოვნე და ლოლიტამ მუხლები მოუთმენლად მიუსვ-მოუსვა ერთმანეთს. ზინდბუნდში სურათი გამოიკვეთა: ცნობილი სიურრეალისტი მხატვარი პლაჟზე, ქვიშაში გულადმა იწვა, ხოლო მის გვერდით აგრეთვე გულადმა იდო ქვიშაში ნახევრად ჩაფლული ვენერა მილოსელის თაბაშირისაგან გაკეთებული ასლი. სურათს ახლდა წარწერა: „ამ კვირის საუკეთესო ფოტოსურათი“. ბილწი ჟურნალი ელვის სისწრაფით წავართვი. მომდეგნო წამს მან თავი ისე მომაჩვენა, თითქოს ჟურნალის დაბრუნება სწადდა და მთელი სხეულით დამაწვა. გამხდარ მაჯაში ხელი წავავლე. ჟურნალი დამფრთხალი ქათამივით გადახტა იატაკზე. ლოლიტა ხელიდან გამისხლტა, განზე გაიწია და ჩემს მარჯვნივ, დივანის კუთხეში აღმოჩნდა. შემდეგ, თითქოს არაფერიაო, თავხედმა ბავშვმა არხეინად გადამადო ფეხები მუხლებზე. ამ დროისათვის ისე ვიყავი აგზნებული, რომ გაგიჟებას არაფერი მაკლდა; ამასთან, გიჟისთვის დამახასიათებელი ეშმაკობა გამოვიჩინე. წინანდებურად დივანზე ვიჯექი, მაგრამ მალე ფრთხილი მოძრაობების მთელი სერიის დახმარებით მოვახერხე, ჩემი შენიღბული ავხორცობა მის მიამიტ ფეხებთან მიმერეკა. ადვილი როდი იყო გოგონას ყურადღების გაფანტვა, სანამ შესაბამის მდგომარეობას მივიღებდი. სწრაფად, სულმოუთქმელად ვლაპარაკობდი, უეცრად ატკივებულ კბილს ვიმოწმებდი, რათა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლულულულის მიზეზი განმემარტა - თან მანიაკის შინაგანი თვალთახედვით განუწყვეტილვ ვაფიქსირებდი შორეულ ცეცხლოვან მიზანს და მალულად ვამაფრებდი იმ ჯადოსნურ ხახუნს, რომელიც ფიზიკურად გადაულახავი, მაგრამ ფსიქოლოგიურად მეტად უმნიშვნელო დაბრკოლების (პიჟამის ქსოვილისა და ხალათის

კალთის) დაძლევის ილუზიას მიქმნიდა, დაბრკოლებისა, რომელიც ურთიერთისგან აშორებდა ჩემი სხეულის ქვედა ნაწილის გარდიგარდმო გამოტოლ ორ გარუჯულ ფეხსა და გამოსათქმელად უხერხული ჟინის ფარულ სიმსივნეს. ჩემს ლულულულში შემთხვევით გამოერია მექანიკურად ადვილად განმეორებადი სიტყვები: იმ წელიწადს მეტად პოპულარული, სულელური სიმღერის ოდნავ შეცვლილი ტექსტის დეკლამირება დავიწყე: „ო, კარმენ, კარმენსიტა, გაიხსენე ბარელამ... გიტარები, და ბარები, და ფარები, ტრა-ტატამ“, - ეს იყო ავტომატური აბდაუბდა, რომლის განმეორებისა და დამახინჯების მეშვეობით - ესე იგი, ენაბრგვილობის განსაკუთრებული გრძნებით - ჩემი კარმენი მოვუნუსხე. მეტისმეტად მეშინოდა, რომ რაიმე სტიქიური უბედურება უეცრად ხელს შემიშლიდა და ჩემს ოქროს ტვირთს წამართმევდა. მთელი არსებით მივეცი შეგრძნებებს, მაგრამ ეს შიში მაიძულებდა, დასაწყისში ძალზე აჩქარებით მემოქმედა, რაც არ შეესაბამებოდა შეგნებული ტკბობის თანაბარზომიერებას. ლოლიტა აპყვა ფანფარებსა და ფარებს, დომხალსა და ალს: წკრიალა ხმით ამღერდა და შეასწორა ჩემ მიერ გაყალბებული მოტივი. იგი მუსიკალური იყო, იგი ვაშლის სიტკბოთი გაჟღენთილიყო. ოდნავ ატოკებდა ჩემს ცოცხალ წიაღზე გადადებულ ფეხებს, რომლებსაც მე ვეფერებოდი. ასე იწვა დივნის მარჯვენა კუთხეში - მოკლენინდებიანი მოსწავლე გოგონა, რომელიც თავის ოდინდელ ვაშლს ნთქავდა და მისი წვენიტ პირგავსებული მღეროდა; თან ფეხიდან ფლოსტი ძვრებოდა, წინდაჩაწეულ ქუსლს ჩემ გვერდით, დივნის მარცხენა მხარეს დაყრილ ძველ ჟურნალებზე იფხანდა - და მისი ყოველი მოძრაობა, თითოეული შერხევა და ფეხის ფრატუნნი მებმარებოდა, მიმეჩქმალა და გამეუმჯობესებინა ფარული შეხებითი ურთიერთობა - საოცრებასა და საშინელებას შორის, ჩემს მოუთოკავ მხეცს, და ამ უმწიკვლო, ჩითის კაბით მოსილი მთრთოლვარე სხეულის სილამაზეს შორის. თითების სწრაფი მოძრაობით ველაციცებოდი მისი წვივების ოდნავ ამაგრულ დინლლს. ვიძირებოდი მძაფრ, მაგრამ ჯანსაღ მხურვალეებაში, რომელიც ზაფხულის ბუღივით გარს შემოხვეოდა პატარა დოლი ჰეიუს. აჰ, ნეტავ, არ გაინძრეს, ნეტავ, სამუდამოდ ასე დარჩეს... მაგრამ აი, წამოიწია, რათა ვაშლის ნარჩენი ბუხარში მოესროლა და მისი ნორჩი სიმძიმე, მისი ურცხვი, უმანკო ბარძაყები და მრგვალი პატარა გავა რამდენადმე მიუახლოვდა ჩემს დაძაბულ, გათანგულ, შეუმჩნეველად მომუშავე წიაღს, და ანაზდად გრძნობების იდუმალი ცვლილება განვიცადე. ყოფიერების იმ სიბრტყეში გადავინაცვლე, სადაც ყველაფერმა დაკარგა მნიშვნელობა, გარდა ბედნიერების იმ ნაყენისა, რომელიც ჩემს სხეულში, სადაცაა, დუღილს მიაღწევდა. ის, რაც ჩემი სიღრმისეული ფესვების საამური ზმორებით დაიწყო, მწვავე ქავილად გადაიქცა, რომელიც ახლა სრულიად საიმედო, მტკიცე და უხიფათო გახდა - სიცოცხლის სხვა სფეროებში ასეთი მდგომარეობა არ წარმოიშობა ხოლმე. თანაბრად ღრმა, მძაფრი ტკბობა უკვე უკანასკნელ კრუნჩხვას უახლოვდებოდა, ამიტომ შემემლო, მოძრაობა შემენელებინა და ნეტარება გამეხანგრძლივებინა. ლოლიტას რეალურობა მშვიდად გავაუქმე. ნაგულისხმევი მზე ყალბ ალვის ხეებში ფეთქავდა. ისე მარტონი ვიყავით, როგორც თავბრუდამსხმელ გამონაგონში ხდება ხოლმე. ვუმზერდი მას, ვარდისფერს, ოქროსფერი მტვრით გარემოცულს; ვგრძნობდი, რომ ის მხოლოდ ჩემთვის ხელმისაწვდომი ბედნიერების საბურველში იმყოფებოდა, რომლის არსებობაზეც მან არაფერი იცოდა და უცხოც იყო მისთვის; მზის სხივები

ლივლივებდა მის ტუჩებზე, ჯერ კიდევ „ჯიბის კარმენის“ სიტყვებს რომ იმეორებდნენ - უკვე აღარაფერი მესმოდა. ახლა კი ყველაფერი მზად იყო. ტკბობისთვის განკუთვნილი ნერვები გამიმვლდა. კრაუზის კორპუსკულებისთვის სიშმაგის ფაზა დადგა. ოდნავი დაწოლა საკმარისი იქნებოდა, რომ სამოთხისეული ქარიშხალი ამოვარდნილიყო. უკვე ჰუმბერტ მალბერტი აღარ ვიყავი - თვალბსევდიანი დოგი, რომელიც ჩემს ჩახუტებია, თუმცა მისგან კინწისკვრას მოელის. ყოველგვარ სასაცილო ფათერაკებზე ავმალდი და სასაჯელისთვისაც მიუწვდომელი გახლდით. ჩემს თვითნაკეთ სერალში გალაღებული, გულადი თურქი ვიყავი და შეგნებულად, თამამად, თავისუფლების მკაფიო შეგნებით ვაჭიანურებდი იმ წამის დადგომას, როდესაც ყველაზე ნორჩი, ყველაზე ნაზი მხეველის მთლიანად დაუფლებას ვინებებდი. ავხორცობის ამ უფსკრულზე დაკიდული (ეს ფიზიოლოგიური წონასწორობის მეტად მარჯვე მდგომარეობაა, რომელიც შეიძლება შევადართო ლიტერატურისა და მუსიკის ზოგიერთ ტექნიკურ ხერხს), ლოლიტას კვალდაკვალ ვიმეორებდი და ვიმეორებდი შემთხვევით, უაზრო სიტყვებს - „კარმენ, კარმინ, ამინ“, - თითქოს ძილში ვბუტბუტებდი და ვიცინოდი, ამავე დროს კი ჩემი ბედნიერი ხელი მისი მზიური ფეხის ზემოთ, წესიერების აჩრდილით მონიშნული მიჯნისკენ მიცოცავდა. წინაღედს გოგონა სირბილისას გაქანებით შეეჯახა მოზრდილ ყუთს, წინკარში რომ იდგა და ახლა, სულშეგუბებული, ვამბობდი: „შეხედე, შეხედე ერთი, რა გიქნია, აჰ, შეხედე!“ - რადგან, გეფიცებით, მოყვითალო ლიბრი აჩნდა მის წარმტაც ნიმფეტურ ბარძაყს, რომელსაც ჩემი ბანჯგვლიანი თათი სრესდა და ნელა ეკრობოდა - და რადგან ლოლიტას სრულიად ჩანასახობრივი სახეობის პანტალონები ეცვა, ჩემი კუნთოვანი

ცერისთვის თითქოს არაფერს უნდა შეეშალა ხელი, მისი საზარდულის ცხელ ფოსომდე მიეღწია - ისე, როგორც უღიტინებ ხოლმე და ეფერები აკისკისებულ ბაღს - ასე და მხოლოდ ასე, და პასუხად მან მოულოდნელად მწივანა ხმით წამოიძახა: „აჰ, ეს არაფერია!“, თან ფეხების ქნევას მოჰყვა; იკლავებოდა, შემდეგ თავი უკან გადააგდო, სველ პრიალა ტუჩზე იკბინა და მიტრიალდა, და ჩემი მგმინავი ტუჩები, ბატონო მსაჯულებო, თითქმის შეეხო გოგონას შიშველ კისერს, სანამ მის მარცხენა თემოზე ვასრესდი უკანასკნელ ჟრუანტელს ყველაზე ხანგრძლივი ალტაცებისა, რომელიც ოდესმე განუცდია ადამიანურ თუ ეშმაკულ არსებას. ამის შემდეგ ლოლიტა მყისვე (თითქოს აქამდე ვეჭიდავბოდი, ახლა კი დავშვერი და ხელები გაუშვი) ჩამოგორდა ტახტიდან და ფეხზე წამოხტა, რათა ყურისწამდებად აწვრიანებული ტელეფონის ყურმილი აეღო - ის ალბათ, უკვე დიდი ხნის განმავლობაში რეკავდა, მე კი არაფერი გამიგია. ლოლიტა გაშტერებული იდგა, ლოყები უვარვარებდა, კულულები გასწეწოდა და მზერა განურჩევლად გადმოჰქონდა ავეჯიდან ჩემზე, სანამ სხვის ლაპარაკს ისმენდა ან თვითონ პასუხობდა (დედა უბრძანებდა, მისულიყო ჩატფილდებთან, რომლებმაც ისინი საუზმეზე დაპატიჟეს - ამასთან, არც ლომ, არც ჰუმმა არ იცოდნენ, რა ჩაიფიქრა ამ აბეზარმა ქალმა); მას ჯერ კიდევ ფეხსაცმელი ეკავა და სატელეფონო მაგიდას უკაკუნებდა. გმადლობ, უფალო, მან ვერაფერი შენიშნა. ამოვიღე ფერადოვანი აბრეშუმის ცხვირსახოცი, რომელზეც მისი მზერა წამით შეჩერდა. შემდეგ ოფლით დაცვარული შუბლი შევიმშრალე და, ტანჯვის უღლისგან გათავისუფლებულმა, შვებით შევისწორე ჩემი სამეფო სამოსი. სანამ ის დედას ეჯიჯღინებოდა (პატარა კარმენსიტას სურდა,

რომ დედას მანქანით წაეყვანა), ხმამაღლა სიმღერით სულმოუთქმელად ავირბინე კიბე და აბაზანა მჩქეფარე, ოხშივრიანი წყლით ავავსე. აქ თავს ნებას მივცემ, მოვიყვანო ზემონახსენები მოდური სიმღერის ტექსტი ან, ყოველ შემთხვევაში, ის, რაც დამამახსოვრდა: ასე მგონია, იგი ბოლომდე არასოდეს ვიცოდი. მაშ ასე: ო, კარმენსიტა, კარმენ, ის დრო გახსოვდეს, როცა მტირალ შადრევნის ხმაზე ჟრჟოლამ ჩვენ აგვიტანა, გიტარის კვნესა, ტავერნები, სანთლები, კოცნა, ყველა ღალატი შენი, ხიტანა. ღამის ქალაქში ხეტიალი რომ ვეღარ გვდლიდა, ის ბოლო ჩხუბიც გაიხსენე, როს ვგავდი შეშლილს, ის ტყვია, მე შენ მოგკალი რითაც, ის კოლტი, მე რომ ვათამაშებ, მიჭირავს ხელში... (ალბათ, მომცრო კოლტი ამოიღო და ღამაზმანს შუბლში ტყვია მიაჭედა).

14. ქალაქში ვისაუზმე - დიდი ხანია, ასე არ მომშვივებია. როდესაც დავბრუნდი, სახლი ჯერ კიდევ ულოლიტო იყო. მთელი დღის განმავლობაში ვოცნებობდი და გეგმებს ვსახავდი, ნეტარებით ვითავისებდი დილანდელ განცდას. ვამაყობდი: ორგაზმის ნექტარი ისე მოვიპარე, რომ მცირეწლოვანი ბავშვი არ შემიცდენია. არავითარი ზიანი არ მიმიყენებია. მეფოკუსემ ქალიშვილის ახალ თეთრ ჩანთაში რძე, ბადაგი, ქაფიანი შამპანური ჩაასხა - ერთი, ორი სამი - და ჩანთა უვნებლად გადარჩა. ამგვარად - მეტისმეტად დახვეწილად - აღვასრულე ჩემი სამარცხვინო, სანუკვარი ოცნება; და მაინც, ლოლიტა გადარჩა, მეც გადავრჩი. არსება, ვისითაც ასე გაშმაგებით დავტკბი, თავად კი არ იყო, არამედ ჩემ მიერ შექმნილი სხვა, წარმოსახული ლოლიტა (შესადლოა, ნამდვილ ლოლიტაზე

გაცილებით უფრო ჭეშმარიტი), რომელიც მას აღემატებოდა და მოიცავდა; ჩემსა და მას შორის ირწეოდა; ნების, თვითშეგნებისა - და, ალბათ, ყოველგვარი საკუთარი არსებობისაგან გამარცხული იყო. გოგონა ვერაფერს მიხვდა. მისთვის არაფერი დამიშავებია და შემემლო, წინანდელი მოქმედება განმემორებინა. ეს მას ისევე უმნიშვნელოდ შეეხებოდა, თითქოს ლოლიტა ეკრანზე მოკიაფე ფოტოგრაფიული გამოსახულება ყოფილიყო, მე კი - უწყინარი ქონდრისკაცი, რომელიც სიბნელეში ონანირებდა. მდუმარე და მწიფე დღე მდოვრედ მიედიანებოდა. მაღალი, წვენით გავსებული ხეები თითქოს მიმიხვდნენ საიდუმლოს. მისი ალერსის წყურვილი ახლა უფრო მწვავედ მტანჯავდა, ვიდრე ადრე. „ნეტავ, მალე დაბრუნდეს-მეთქი“, ვლოცულობდი და ნასესხებ ღმერთს მივმართავდი, „და ნეტავ, ტახტის სცენა კვლავ განმეორდეს, სანამ დედამისი სამზარეულოში იქნება! გვედრები! რა საძაგლად ვეთაყვანები მას!“ არა, „საძაგლად“ შეუსაბამო სიტყვაა. აღტყინება, რომელსაც ახალი ნეტარების მოლოდინი აღმიძრავდა, საძაგელი არა, - უბადრუკი იყო, უბადრუკი - რადგან დაუოკებლად აზავთებული ვნების მიუხედავად, სრულიად გულწრფელად მწადდა ამ თორმეტი წლის ბავშვის შეუბღალავი სიწმინდის დაცვა. იცით, რა მერგო ჩემი წამების საფასურად? ლოლიტა დედამისს არ წამოჰყვა - ჩატფილდებთან ერთად კინოში წავიდა. სასადილო მაგიდა საგანგებო სიკვლევით იყო გაწყობილი ორი ადამიანისთვის: ზედ სანთლები კიაფობდა (შეხე ერთი!). ამ კეკლუცი აურით გარემოცული ქალბატონი ჰეიზი ოდნავ ათამაშებდა თეფშის ორივე მხარეს დაწყობილ ვერცხლის დანა-ჩანგალს. თითქოს კლავიმებს ეხებო, და თავის ცარიელ

თეფშს უღიმოდა (დიეტას იცავდა), და მეკითხებოდა, მომეწონა თუ არა სალათი (რომელიც ქალთა ჟურნალში ამოკითხული რეცეპტის მიხედვით იყო მომზადებული). მას სურდა, გაეგო, გემრიელი იყო თუ არა ცივი ხორცი. ამბობდა, რომ დღე კარგად გაატარა. მისტრის ჩატვილდი მშვენიერი ადამიანია. ფილიდა (მისი ქალიშვილი) ხვალ გოგონათა საზაფხულო ბანაკში მიემგზავრება სამი კვირით. გადაწყდა, რომ ლოლიტაც იქ წავა უახლოეს ხუთშაბათს. იმის ნაცვლად, რომ ივლისამდე მოიცადოს, როგორც თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული. იქ ფილიდაზე მეტ ხანს დაჰყოფს - სკოლაში მეცადინეობის დაწყებამდე. რა საუცხოო პერსპექტივაა, ჩემო ბედშავო გულო! თავხარი დამეცა! ჩემს მიჯნურს სწორედ მაშინ მართმევდნენ, როდესაც მას ფარულად დავეუფლე. უგუნებობის მიზეზის ასახსნელად კვლავ კბილის ტკივილი მოვიმიზეზე, რისი სიმულირებაც დილით მომიხდა. ალბათ, უკანა კბილი იყო, უზარმაზარი, კომპოტის ალუბლისხელა ჩირქროვით. „ჩვენს ქალაქში“, წარმოთქვა ქალბატონმა ჰეიზმა, „მშვენიერი დანტისტია. სახელდობრ, ჩვენი მეზობელი, ექიმი კუილტი, ცნობილი დრამატურგის ნათესავი. გგონიათ, რომ გაგივლით? როგორც გინდათ. შემოდგომაზე გოგონას წინა კბილებზე „რგოლს“ ჩამოაცვამენ, (როგორც დედაჩემი იტყოდა ხოლმე). შეიძლება, ამან მთარჯულოს ჩვენი პაწია ლოლიტა. ვშიშობ, რომ

ძალზე შეგიშალათ ხელი ამ დღეებში და, ალბათ, ორი-სამი საკმაოდ ბობოქარი დღე მოგველის, სანამ გავამგზავრებდეთ. თავიდან მან გადაჭრით უარი თქვა წასვლაზე და ვალიარებ, ჩატვილდებთან იმიტომ დავტოვე, რომ მასთან პირისპირ დარჩენისა მეშინია, სანამ ასეთ განწყობილებაზეა. შესაძლოა, კინომ დაამოშმინოს. ფილიდა შესანიშნავი გოგონაა და ლოლიტას არავითარი მიზეზი არა აქვს მის ასათვალწუნებლად. მერწმუნეთ, მოსიე, სულითა და გულით თანავუგრძნობ თქვენს კბილის ტკივილს. გაცილებით უფრო გონივრული იქნება, თუ ნებას მომცემთ, ხვალ დილით პირველ რიგში აივორ კუილტის დაუკავშირდე, თუ კიდევ გეტკინებათ. ვფიქრობ, საზაფხულო ბანაკი გაცილებით სასარგებლოა გოგონასათვის, გაცილებით აზრიანია, როგორც ყოველთვის ვამბობ, ვიდრე გარეუბნის გაზონზე უსაქმოდ გორაობა, დედისთვის ტუჩის ფანქრის აწაპნა და მორიდებული ჯენტლმენის საქმიანობაში ჩარევა, აგრეთვე - ყოველგვარი უმნიშვნელო მიზეზების გამო აურზაურის ატეხა". „დარწმუნებული ბრძანდებით“, ვთქვი ბოლოს (როდესაც უმნიშვნელო, ჩემდა სავალალოდ, სრულიად უმნიშვნელო საწინააღმდეგო მოსაზრება მოვიფიქრე), „რომ დოლი იქ უბედური არ იქნება?“ „ერთი გაბედოს და უბედური იყოს! თუმცა იქაური ცხოვრება მხოლოდ გართობისგან როდი შედგება. ბანაკს ხელმძღვანელობს შერლი ჰოლმსი, - ალბათ, გაგიგიათ მისი სახელი - მან დაწერა წიგნი „მოსწავლე გოგონები კოცონთან“. ბანაკში ცხოვრება დაეხმარება დოლი ჰეიზს, მრავალმხრივ განვითარდეს - ჯანმრთელობის, ხასიათის, განათლების და, განსაკუთრებით, სხვების წინაშე პასუხისმგებლობის შეგნების მხრივ. თუ გინდათ, ეს საწინააღმდეგო და ვერანდაზე გავიდეთ. იქნებ ლოგინში ჩაწოლა და რაიმე ტკივილგამაყუჩებლის მიღება გირჩევნიათ?“ რაიმე ტკივილგამაყუჩებლის მიღება...

15. მეორე დღეს ისინი ქალაქს გაემგზავრნენ ბანაკისთვის საჭირო ნივთების საყიდლად. ყოველგვარი ახალი ტანსაცმელი ლოზე ჯადოსნურ ზემოქმედებას ახდენდა. სადილობისას ის თითქოს ჩვეულ, დამცინავ ნორმას დაუბრუნდა. ისადილა თუ არა, თავის ოთახში წავიდა, რათა „კუდრაჭაში“, ანუ „კუ“ -ში, როგორც შემოკლებით უწოდებდნენ ბანაკს, წვიმიანი დღეების გასატარებლად შეძენილი კომიქსები დაეთვალიერებინა და ისე საფუძვლიანად გაეცნო მათ, რომ შემდეგ თან აღარ წაუღია.

ჩემს ბუნაგს შევაფარე თავი და წერილის წერა დავიწყე. ზღვაზე გამგზავრებას ვაპირებდი, რათა შემდეგ, სასწავლო წლის დასაწყისში, კვლავ ჰეიზების სახლს დავბრუნებოდი. უკვე ვიცოდი, რომ ამ გოგონას გარეშე სიცოცხლე არ შემემლო. სამშაბათს ისინი კვლავ საყიდლებზე გაემგზავრნენ. დამავალეს, ტელეფონთან მივსულიყავი, თუ მათი არყოფნისას ბანაკის უფროსი დარეკავდა. მან მართლაც დარეკა და რამდენიმე კვირის შემდეგ შემთხვევა მოგვეცა, ჩვენი სასიამოვნო საუბარი გაგვეხსენებინა. ამ სამშაბათს ლომ თავის ოთახში ისადილა. დედასთან ხელახალი ჩხუბის შემდეგ მან ერთი საათის განმავლობაში იტირა და ახლა, როგორც ადრეც ყოფილა, არ მოისურვა, ნამტირალევი თვალებით დამნახვებოდა: სახის ფერის განსაკუთრებული სისათუთის გამო, ხანგრძლივი ტირილის შემდეგ ნაკვთები უშუპდებოდა და უსივდებოდა - რაც ავადმყოფურ მიმზიდველობას ანიჭებდა. მისი მცდარი წარმოდგენა ჩემს ესთეტიკურ გემოვნებაზე ძალზე მტკენდა გულს, რადგან მართლაც რომ ვადმერთებ ამ ბოტიჩელისეულ სივარდისფერს, ამ მკვეთრად დაჩნეულ არშიას ანთებული ტუჩების გარშემო, ამ სველ, შეწებებულ წამწამებს. გარდა

ამისა, მისი მოკრძალებული ახირება ბევრ შესაძლებლობას მართმევდა, რათა ნუგეშისცემის ყალბი ნიღბით... მაგრამ საქმის ვითარება არც ისე მარტივი გახლდათ. როდესაც საღამოს მადამ ჰეიზი და მე სიბნელეში ვერანდაზე ვისხედით (უტიფარმა ქარმა ჩააქრო მისი ალისფერი სანთლები), ქალმა დაღვრემილი ღიმილით მითხრა: „ვალღარებ, - ლოლიტას განვუცხადე, რომ მისმა უსაყვარლესმა ჰუმბერტმა მთლიანად მოიწონა ბანაკთან დაკავშირებული გეგმა. მან გადაწყვიტა, ნამდვილი სკანდალი მოეწყო იმ საბაბით, თითქოს ჩვენ მისი თავიდან მოშორება გვსურდა. ჭეშმარიტი მიზეზი კი სხვაა: ვუთხარი, მოდი, შენი ზოგიერთი, ძალზე გადაპრანჭული ღამის სამოსი (რომელიც იძულებით მაყიდინე) უფრო სადა ტანსაცმელზე გადაცვალოთ- მეთქი. ჩემს ჭირვეულ გოგონას თავი ეკრანის ვარსკვლავი ჰგონია, მე კი მასში ჯანმრთელ, მხნე, მაგრამ საოცრად ულამაზო მოზარდს ვხედავ. ვფიქრობ, სწორედ ესაა ჩვენი უსიამოვნების მიზეზი“. ოთხშაბათს ლოლიტა რამდენიმე წამით მოვიხელთე: ეს მოხდა კიბის ბაქანზე, სადაც მაისურსა და თეთრ - უკან მწვანედ დასვრილ - ტრუსებში ჩაცმული გოგონა სკივრში იქექებოდა. რაღაც ძალზე მეგობრული და სასაცილო ვუთხარი, მაგრამ მან მხოლოდ გამქირდავად ჩაიფრუტუნა, ისე, რომ არც კი მოუხედა. შეჩვენებული, მომაკვდავი ჰუმბერტი მორიდებით მიეფერა კუდუსუნზე, გოგოცუნამ კი ძალზე მტკივნეულად გაარტყა განსვენებული ბატონი ჰეიზის ერთ- ერთი ჩექმის კალაპოტი. „უნამუსო მოღალატე“, თქვა მან და მე კიბეზე ჩავლასლასდი, თან ძალზე განაწყენებული გამომეტყველებით მხარს ვისრესდი. მან არ მოისურვა, ჰუმბერტსა და დედიკოსთან ერთად ესადილა: თავი დაიბანა და ლოგინში ჩაწვა თავისი სულელური წიგნებითურთ, ხოლო ხუთშაბათს გულგრილმა დედამ ლოლიტა ბანაკ „კუ“ -ში წაიყვანა. როგორც ჩემზე უკეთესი ავტორები წერენ: „მკითხველი ადვილად წარმოიდგენს...“ და ასე შემდეგ. თუმცა, მირჩევნია ეს ნაქები წარმოსახვა ჭიტლაყით გავაგდო წინ. ვიცოდი, რომ ლოლიტა სამუდამოდ შემიყვარდა; ამასთან, ისიც ვიცოდი, რომ გოგონა სამუდამოდ არ

დარჩებოდა ლოლიტად: პირველ იანვარს ცამეტი წლისა გახდებოდა და გადაიქცეოდა „ქალიშვილად“, შემდეგ კი „კოლეჯ-გერლად“, - ესე იგი „სტუდენტ ქალიშვილად“, - ამაზე მეტი საზიზღრობა კი წარმოუდგენელია. სიტყვა „სამუდამოდ“ შეეხებოდა მხოლოდ ჩემს ვნებას, მხოლოდ იმ ლოლიტას, რომელიც ყოველთვის მიჩქროლებდა სისხლს. რაც შეეხება ლოლიტას, რომელიც მისაწვდომი იყო ჩემი შეხებისა და ყნოსვისათვის, ჩემი სმენისა და მხედველობისათვის, ლოლიტას - მწივანახმიანსა და ელვარეთმიანს (თმა შუბლზე სწორად ჰქონდა შეკრეჭილი, ყურებთან - ტალღისებურად, კეფაზე კი კულულებად ეფინებოდა), ლოლიტას, რომელსაც კისერი ეგზომ ცხელი და მწებვარე ჰქონდა და რომლის ლექსიკონი ჭარბი ვულგარულობით გამოირჩეოდა - ეს ლოლიტა, ჩემი ლოლიტა, მე (საბრალო კატულუსს) სამუდამოდ უნდა დამეკარგა. მაშ როგორ გავძლო უმისოდ ორი თვის - ზაფხულის ორი უძილო თვის განმავლობაში? ნიმფეტობის ორი დარჩენილი წლიდან ამოგდებული მთელი ორი თვე! ვფიქრობდი, იქნებ გადავიცვა და კუმტ, ძველმოდურ, მოუხეშავ მადმუაზელ ჰუმბერტად ვიქცე-მეთქი. შეიძლებოდა, ბანაკ „კუ“-ს მახლობლად კარავიც გამეშალა იმ იმედით, რომ მისი მკვიდრი, მზემოკიდებული ნიმფეტები ატიტინდებოდნენ, აჰ, მოდით, ჩვენს საერთო საცხოვრებელში დავასახლოთ ეს მსუყეხმიანი

ლტოლვილიო, და თავიანთი კოცონისკენ წაიყვანდნენ ნაღვლიან, მორცხვად მოდიმარ Berthe au Grand Pied[40]-ს. ბერტა დოლორეს ჰეიზთან გაიყოფდა საწოლს! მოცლილი კაცის უდიდამო სიზმრები... სილამაზისა და ალერსის ორი თვე სამუდამოდ უნდა განაივებელიყო და ამას არაფერი ეშველებოდა, სრულიად არაფერი. ამ ხუთშაბათმა საუცხოო თაფლის ერთი წვეთი მაინც შემომინახა თავის რკოს ფინჯანში. ქალბატონ ჰეიზს გოგონა ადრინადა უნდა წაეყვანა ბანაკში. როდესაც გამგზავრებასთან დაკავშირებული ხმაური მომესმა, საწოლიდან ჩამოვსრიალდი და ფანჯარაში გადავეყუდე. ავტომობილი უკვე რახრახებდა ქვემოთ, ალვის ხეებთან. ტროტუარზე მდგარი ლუიზა თვალეზზე ხელს იჩრდილებდა, თითქოს დილის მზის დაბალი სხივებით გაცისკროვნებული პატარა მოგზაური უკვე გვშორდებოდა. „იჩქარე!“ - დაუძახა საჭესთან მჯდარმა ქალბატონმა ჰეიზმა. ლოლიტამ, რომელიც ნახევრად უკვე შეძვრა ავტომობილში და აპირებდა, კარი მიეხურა, ხრახნიანი სახელურით ფანჯრის მინა ჩაეწია, ლუიზასა და ალვის ხეებისთვის (რომელთა ნახვა აღარ ეწერა) ხელი დაექნია, ბედის მდინარეა შეაჩერა: ზემოთ ამოიხედა და ისევ სახლში შემოვარდა (თან ამ დროს დედამისი გააფთრებით უყვიროდა რაღაცას). ერთი წამის შემდეგ ჩემი მიჯნურის ნაბიჯების ხმა გავიგონე - კიბეზე ამორბოდა. გული მძლავრად გამებერა, თითქმის მთელ სამყაროს გადაეფარა. პიჟამის შარვალი გავისწორე და კარი გავადე; იმავე წუთს ფეხების ბაკუნით ამოირბინა აქომინებულმა, ძალზე თხელ კაბაში ჩაცმულმა ლოლიტამ და, აი, უკვე მკლავებში ჩამივარდა, და მისი უმანკო ბაგეები დნებოდა მამაკაცის მუქი, მტაცებლური ყბების წნეხქვეშ - ო, ჩემო მთრთოლვარე თვალისჩინო! მომდევნო წამს ის - ცოცხალი, უვნებლად

გადარჩენილი - ბრავაბრუვით ჩარბოდა ძირს. ბედის მდინარება განახლდა. ოქროსფერი წვივი თვალს მიეფარა, მანქანის კარი დაიკეტა - ოდნავ გაიღო და უფრო საიმედოდ დაიკეტა. მძღოლმა, საჭეს მკვეთრი მოძრაობებით რომ ატრიალებდა და

თავის მძვინვარე ლაპარაკს წითელი, რეზინისმაგვარი ტუჩების მანჭვას ურთავდა, წაიყვანა ჩემი სიყვარული. მხოლოდ მე შევამჩნიე, რომ მის ვიზავი (ავადმყოფი დედაბერი, რომელიც პირდაპირ ცხოვრობდა) ხელს სუსტად, მაგრამ რიტმულად აქნევდა ვაზის ფოთლებით დაჩრდილული ვერანდიდან.

16. ხელისგულის ფოსოს ჯერ კიდევ შემორჩენოდა ლოლიტას ბავშვურად შეხნიეკილი ზურგისა და თხელი კაბით შემოსილი, კლავიშებივით კრიალა კანის გლუვი შეგრძნება (სანამ გოგონას ვეხვეოდი, კაბას ვუჭმუჭნიდი და ზევით-ქვევით ვწევდი). მის აქოთებულ ოთახში შევევარდი, კარადის კარი გამოვადე და ნახმარი საცვლების გროვაში ჩავყვინთე. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი გაცვეთილი, დახეული, ვარდისფერი ქსოვილი, რომელსაც ნაწიბურთან რაღაცნაირი მძაფრი სუნი ასდიოდა. სწორედ მასში გავახვიე ჰუმბერტის ვეებერთელა, გათანგული გული. ცეცხლოვანმა ქაოსმა უკვე თითქმის მთლიანად მომიცვა - მაგრამ იძულებული გავხდი, ყოველივე შემეწყვიტა და თავი სწრაფად მომეწესრიგებინა, რადგან მოახლის ხავერდოვანი ხმა მომესმა - ის კიბიდან წყნარად მეძახდა. კეთილმა ღუიზამ ჩემს მექანიკურ „მადლობას“ „არაფერსო“ გულითადად დააყოლა და აკანკალებულ ხელში სუფთა, უმანკო წერილი შემაჩეჩა. „ვალარებ: მიყვარხართ“ - ასე იწყებოდა წერილი და ერთი უკუღმართი წამის განმავლობაში ეს ისტერიული ხელწერა მოსწავლის ბატიფეხურ ნაჯღაბნად მივიჩნიე: „ამასწინათ, კვირადღეს, წირვისას (სიტყვამ მოიტანა და უნდა დაგტუქსოთ, რომ ჩვენი ეკლესიის ახალი, საუცხოოდ მოხატული ფანჯრების დათვალიერება არ მოინდომეთ), დიახ, უკანასკნელ კვირადღეს, სულ ახლახან, ღმერთს ვკითხე, რა მომემოქმედა; მეუწყა, რომ ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც ახლა ვიქცევი. სხვა გამოსავალი არ არსებობს. დანახვისთანავე, პირველივე წუთიდან შემიყვარდით.

მარტოხელა და ვნებიანი ქალი ვარ, თქვენ კი ჩემი სიცოცხლის ერთადერთი სიყვარული ხართ. ახლა კი, ჩემო ძვირფასო, ჩემო ყველაზე ძვირფასო, *mon cher, cher Monsieur*[41], თქვენ უკვე წაიკითხეთ ეს, თქვენ ახლა ყოველივე იცით. გთხოვთ, გეთაყვა, დაუყოვნებლივ ჩაალაგეთ ბარგი და გაემგზავროთ. ამას გიბრძანებთ თქვენი დიასახლისი. გაემგზავრეთ! წადით!

Départez![42] თუკი ორივე მიმართულებით საათში ოთხმოცი მილის სისწრაფით უხიფათოდ ვივლი (თუმცა, ვის რა ენადვლება?), საღამო ხანს დავბრუნდები და არ მსურს, შინ დამხვდეთ. გევედრებით, გევედრებით, სწრაფად გაემგზავრეთ. ახლავე. ამ სასაცილო წერილსაც ნუ ჩაიკითხავთ ბოლომდე. გაემგზავრეთ. მშვიდობით. საქმის ვითარება, *mon chéri*[43], ძალზე მარტივია. რა თქმა უნდა, დანამდვილებით ვიცი, რომ თქვენს თვალში არაფერს წარმოვადგენ, სრულიად არაფერს. ო, რა თქმა უნდა, გიყვართ ჩემთან მასლაათი (და კიდევ დამცინით ხოლმე მე, უბედურს); შეგიყვარდათ ჩვენი სტუმართმოყვარე სახლი, მოგწონთ ჩემი საყვარელი წიგნები, ჩემი შესანიშნავი ბაღი და თვით ჩემი ხმაურიანი ქალიშვილის ცელქობა; მაგრამ მე თქვენთვის არაფერს წარმოვადგენ. ასეა? დიახ, სრულად არაფერს. მაგრამ თუ ჩემი აღსარების წაკითხვის შემდეგ თქვენ (ევროპელი კაცი და პირქუში რომანტიკოსი) გადაწყვეტთ, რომ საკმარისად მიმზიდველი ვარ და საშუალება გემლევათ, მსუბუქი ურთიერთობა გააბათ ჩემთან - იცოდეთ რომ ეს დანაშაული იქნება, - ისეთივე დანაშაული, როგორც მოტაცებულ ბავშვზე ძალის ხმარებაა. ხომ გესმით, ჩემო საყვარელო, რომ თუ დარჩენას გადაწყვეტთ, თუ შინ დამხვდებით (რაც, უეჭველია, არ მოხდება და ამიტომ შემძლია, ამაზე ვიოცნებო), მაშინ თქვენი დარჩენის ფაქტი მხოლოდ ერთი მნიშვნელობით შეიძლება განიმარტოს: თქვენ გასურთ, ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდეთ (რაც ჩემს სურვილს ემთხვევა) და მზადა ხართ, სამუდამოდ დაუკავშიროთ თქვენი ცხოვრება ჩემსას, ჩემს გოგონას კი მამობა გაუწიოთ. ნება მიბომეთ, ცოტათი კიდევ ვიბოდო და წარმოსახვაში ვიბორიალო, ჩემო ყველაზე ძვირფასო; კარგად ვიცი, რომ უკვე დახიეთ ეს წერილი და მისი ნაკუწები კლოზეტის მორევი (გაურკვეველად). ჩემო ყველაზე ძვირფასო, *mon très, très cher*, რომ იცოდეთ, სიყვარულის რამხელა მთა აღვმართე ამ ჯადოსნური ივნისის განმავლობაში! ვიცი, რომ თავშეკავება გჩვევიათ და ბრიტანელის თვისებები გახასიათებთ. შესაძლოა, თქვენი ძველებური გულჩახვეულობისა და წესიერების გამო გეხამუშოთ საბრალო ამერიკელი ქალის უშუალოება! ისე ძალავთ ყველაზე მძაფრ გრძნობებს, რომ ურცხვ და სულელ არსებად უნდა მიმიჩნიოთ, რადგან ასე ფართოდ გადაგიხსენით ჩემი უბედური, დაკოდილი გული. წარსულში არაერთხელ გამცრუებია იმედები. მისტერ ჰეიზი - შესანიშნავი, საიმედო, მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანი, სამწუხაროდ,

ოცი წლით უფროსი იყო ჩემზე, ასე რომ - მაგრამ სჯობს, არ ვიჭორაოთ წარსულზე. ჩემო საყვარელო, შენი ცნობისმოყვარეობა მთლიანად დაკმაყოფილდება, თუ ჩემი თხოვნა უკუაგდე და წერილი მწარე დასასრულამდე ჩაიკითხე. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. გაანადგურე ის და წადი. არ დაგავიწყდეს გასაღების დატოვება მაგიდაზე, რაიმე მისამართიც დატოვე, რომ შენ მიერ თვის ბოლომდე გადახდილი ქირა - თორმეტი დოლარი - დაგიბრუნო. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო. ილოცე ჩემთვის, თუ ოდესმე ლოცულობ". შ. ჰ. ზემომოყვანილი ტექსტი წერილის ის ნაწილია, რომელიც დამამახსოვრდა, თანაც ზედმიწევნით ზუსტად დამამახსოვრდა. წერილი ორჯერ უფრო გრძელი მაინც იყო. გამოვტოვე ლირიკული ნაწყვეტი, რომელიც მაშინ მეტ-ნაკლებად სწრაფად გადავიკითხე - ლოლიტას ძმის შესახებ,

რომელიც ორი წლისა გარდაცვლილიყო (ლოლიტა მაშინ ოთხი წლისა იყო): შარლოტა ვარაუდობდა, რომ ის ძალზე მეყვარებოდა. კიდევ რა იყო? ჰო. შესაძლოა, სიტყვები: „კლოზეტის მორევი“ (სადაც წერილი მართლაც ჩავაგდე) - ჩემი საკუთარი პროზაული წვლილი იყოს. ის, ალბათ, მთხოვდა, რაიმე საგანგებო ცეცხლი დამენთო მისი უსტარის დასაწვავად. ზიზღი - აი რა იყო ჩემი პირველი საპასუხო გრძნობა, რომელსაც დაემატა გაპარვის სურვილი, მაგრამ შემდგომ ვიგრძენი, თითქოს ჩემს მხარზე მეგობრის მშვიდი ხელი დაეშვა და შემომთავაზა, არ მეჩქარა. გავუგონე. გონს მოვეგე და დავინახე, რომ კვლავ ლოლიტას ოთახში ვიმყოფებოდი. მას პრიალა ჟურნალიდან ამოგლეჯილი რეკლამის მთელი გვერდი კედელზე, სასთუმალთან მიეწებებინა, გულის ამაჩუყებელი სიმღერების შემსრულებლის დინგსა და ვინომსახიობი ქალის გრძელ წამწამებს შორის. ამ ფერად სურათზე გამოსახული იყო შავგვრემანი ახალგაზრდა ქმარი. მისი ირლანდიური თვალების გამოხედვაში რაღაც არაქათვაცვლილობა აღბეჭდილიყო. ის რომელიღაც (ამა და ამ „სახლის“) ხალათს „წარადგენდა“ და თან სხვა ფირმის მიერ გამოშვებული ხიდისებური სინი ორივე კიდით ეჭირა. წარწერა მღვდლის, ტომას მორელის შეთხზული საგალობლიდან იყო ნასესხები: „აი, მოდის გამარჯვებული გმირი“. ალბათ, უნდა გვევარაუდა, რომ საფუძვლიანად დამარცხებული პატარძალი (რომელიც სურათზე არ იყო ნაჩვენები) ორადგილიანი საწოლის ბალიშებში იჯდა და მზად იყო, ლანგრის კუთვნილი კიდე მიეღო. ამასთან, როგორ მოახერხებდა მისი საწოლის პარტნიორი, თვითონ ამ ხიდის ქვეშ კატასტროფის გარეშე მისწოლოდა, გაუგებარი რჩებოდა. ლოლიტას ხუმრობით ისარი დაეხატა ღონემიხდილი ახალგაზრდა კაცის მიმართულებით და დიდი ასოებით მიეწერა: „ჰ. ჰ.“. მართლაც, უმნიშვნელო ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, ჩვენ შორის განსაცვიფრებელი მსგავსება შეიმჩნეოდა. ამ სურათის ქვეშ სხვა ფერადი ფოტოსურათი იყო გაკრული. მასზე ცნობილი დრამატურგი თავდავიწყებით ქაჩავდა პაპიროს „დრომადერს“ (ის, თურმე, ყოველთვის „დრომებს“ ეწევა). დრამატურგი მხოლოდ ოდნავ წააგავდა ჰ. ჰ.-ს. ქვემოთ ლოლიტას ქალწულებრივი საწოლი იდგა, რომელზეც იაფფასიანი ჟურნალები იყო მიმოფანტული. სასთუმალთან რკინის შტანგებს თეთრი ემალი აქა-იქ მომრგვალოდ ატკეცოდა. როდესაც დავრწმუნდი, რომ ლუიზა შინ წავიდა, ლოლიტას საწოლში შევძვერი და წერილი გადავიკითხე.

17.

ბატონო მსაჯულნო! ვერ დავიფიცებ, რომ ზოგიერთი მოქმედება, რომელიც - მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის - დღევანდელ კვერცხს ეხებოდა, ადრე არ მომსვლია თავში. თუმცა გონებამ ისინი ლოგიკური ფორმით ვერ შემოინახა. ვიმეორებ, ვერ დავიფიცებ, რომ ამ წარმოდგენებს არ ვეალერსებოდი (თუ ნებას მომცემთ, ამგვარი გამოთქმა ვინმარო) ზმანებათა ბურუსში, ცდუნების უკუნეთში. ისეც ხდებოდა - არ შეიძლებოდა, არ მომხდარიყო (კარგად ვიცნობ ჰუმბერტს) - რომ გაუცხოებული თვალსაზრისით განვიხილავდი ხოლმე ჩაბერებულ ქვრივზე (ვთქვათ, შარლოტა ჰეიზზე) ქორწინების იდეას. ეს უნდა ყოფილიყო ისეთი ქვრივი, რომელსაც არავითარი ნათესაობა არ ჰყავდა უსაზღვრო, ნაცრისფერ სამყაროში. ჩემი ერთადერთი მიზანი ამ შემთხვევაში იქნებოდა მისი პატარა ქალიშვილის (ლოს, ლოლას, ლოლიტას) ხელში ჩაგდება. მზად ვარ, ისიც კი ვუთხრა ჩემს ჯალათებს, რომ ზოგჯერ შემფასებლის გულგრილი მზერაც მიტყორცნია შარლოტას მარჯნისფერი ტუჩების, ბრინჯაოსფერი თმისა და გადაჭარბებული დეკოლტეს მიმართულებით - თითქოს ანგარიშმიუცემლად მივისწრაფოდი, დამაჯერებელი ოცნების ჩარჩოში ჩამეტია ქალი. ამას წამების ზეგავლენით ვადიარებ: შესაძლოა, ეს წარმოსახული წამებაა, მაგრამ მით უფრო საშინელია. აქ უნდა შევჩერდე და დაწვრილებით მოგიტხროთ pavor nocturnus[44]-ის შესახებ, რომლის გამო გაუსადლისად ვიტანჯებოდი და ვიტანჯები ხოლმე, როდესაც სიყმაწვილის დროს უწესრიგოდ წაკითხული წიგნებიდან შემორჩენილი შემთხვევითი ტერმინი გონებაში იჭედება - მაგალითად,

„peine forte et dure“[45] (ჯურღმულის რომელმა გენიოსმა მოიგონა ეს!) ან ამაზრზენი, იდუმალი, შემპარავი სიტყვები: „ტრავმა“, „ტრავმატული ფაქტი“ და „ფრამუგა“. თუმცა, ჩემი ნაამბობი გადახვევათა გარეშეც საკმაოდ გაუმართავია. წერილი გავანადგურე და ჩემს ოთახში დავბრუნდი. გარკვეული ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, თანაც თავს ვიქეპავდი, იისფერ ხალათში გამოწყობილი ბოლთას ვცემდი, კრიჭაშეკრული ვკვნესოდი - და უეცრად... უეცრად, ბატონო მსაჯულნო, მივხვდი, რომ ამ გრიმასაში, პირი რომ მომიდრიცა, შორეული და შემადრწუნებელი რიჟრაჟით გამოსჭვიოდა დოსტოვესკისეული ქირქილი. ხედვის გაუმჯობესებული არის ახალ პირობებში იმ ალერსის წარმოდგენას შევუდექი, რომელსაც, სხვათა შორის, ლოლიტას უხვად უწილადებდა დედამისის ქმარი. შევძლებდი დღეში სამჯერ - ყოველდღე - გული მეჯერებინა მასთან ალერსით. ყველა ჩემი საზრუნავი გაქრებოდა. ჯანმრთელობას დავიბრუნებდი. „მსუბუქად, ფრთხილად დაგიჭერდი ჩემს მუხლებზე მჯდომს და ნაზ ლოყაზე აღვბეჭდავდი მამობრივ ამბოროს“ - როგორც ინგლისელმა პოეტმა თქვა ოდესღაც. ო, ნაკითხო ჰუმბერტო! შემდეგ ძალზე წინდახედულად, თითქოს ფეხაკრეფით, შარლოტა ჩემს მეუღლედ წარმოვიდგინე. ნუთუ თავს ვერ ვაიძულებდი, მისთვის ლოგინში მიმერთმია ეს ორ ულუფად მომჭირნედ გაყოფილი პომპლიმუსი, ეს უშაქრო ბრეკვასტი?

უმოწყალო თეთრი შუქის სხივებქვეშ, ოფლში გადვრილი ჰუმბერტ ჰუმბერტი, რომელსაც ასევე ოფლში გახვითქული პოლიციელები უყვირიან და აპანდურებენ, ახლა მზადაა, კიდევ რაღაც „აჩვენოს“ (quel mot![46]) - იგი სინდისს უკულმა ამოატრიალებს და ნელ-ნელა აძრობს ფარულ სარჩულს. შარლოტაზე დაქორწინებისას არ ვვარაუდობდი, რომ ცოლს რომელიმე უხამსი, უკადრისი და სახიფათო ხერხით მოვკლავდი (ასეთია, მაგალითად, სადილის წინ დასალევად განკუთვნილ ხერხის სირჩაში სულემის ხუთი აბის გაზავება ან სხვა რამ ამგვარი); მაგრამ ჩემს მოგუგუნე და დაბინდულ გონებაში დროდადრო მაინც ჩხაკუნებდა აზრი, რომელსაც ფაქიზი კავშირი ჰქონდა ფარმაცევტიკასთან. რატომ უნდა შევიზღუდო თავი ამ მორცხვად მიჩუნათებული ტკობით, რაც ერთხელ ვიგემე? წარმომიდგებოდა ავხორცობის სხვა სახეებიც, რომლებიც ტანის რხევითა და ღიმილით გამოდიოდნენ სცენაზე. ვხედავდი, როგორ ვაძლევდი ძლიერმოქმედ საძინებელ წამალს ერთდროულად დედასაც და შვილსაც, რათა მთელი ღამის განმავლობაში ამ უკანასკნელის ალერსის შეუზღუდავი საშუალება მქონოდა. სახლში შარლოტას ხვრინვა გაისმოდა, ძილსმიცემული ლოლიტა ოდნავ შესამჩნევად სუნთქავდა და თავისი უძრობით ზეთის საღებავებით დახატულ ყრმა გოგონას პორტრეტს წააგავდა. „დედა, გეფიცები, კენის ხელი არ უხლია ჩემთვის!“ „შენ ან ცრუობ, დოლორეს, ან ეს ღამის მატყია იყო“. თუმცა, შევეცდებოდი, მეუცელქმნისგან დამეცვა ჩემი პატარა გოგონა. ასე ოცნებობდა და მისნობდა ჰუმბერტ უკულმართი - და სურვილისა და შემართების (სწორედ ეს ორი რამეა ცოცხალი სამყაროს არსებობის საფუძველი!) ალისფერი მზე სულ უფრო მალლა იწვევდა, ხოლო ურთიერთმონაცვლე აივნებზე ურთიერთმონაცვლე სიბარიტები გასული და მომავალი დამეგების სადღეგრძელოებს სვამდნენ: შემდეგ, მეტაფორულად რომ ვთქვათ, სასმისი ნამსხვრევებად ვაქციე და გაბედულად წარმოვიდგინე (რადგან იმ დროისთვის ზმანებებმა დამათრო და ჩემს ზუნებრივ თვინიერებას ვედარ ვითვალისწინებდი), რომ თანდათანობით შანტაჟს მოვკიდებდი ხელს - ო, ეს იქნებოდა დანისლული პაწია შანტაჟი - და დიდ ქალბატონ ჰეიზს ვაიძულებდი, პატარასთან ურთიერთობის საშუალება მოეცა; ჩემს თავგანისმცემელ საბრალო მანდილოსანს მიტოვებით დავემუქრებოდი, თუკი კანონიერ გერთან თამაშს ამიკრძალავდა. ერთი სიტყვით, ამ სენსაციური ოფერტის (როგორც კომერსანტები იტყვიან ხოლმე), აგრეთვე - ეგზომ ფართო და მრავალმხრივი პერსპექტივების წინაშე ისევე დამყოლი ვიყავი, როგორც ადამი - მცირე აზიის ისტორიის წინასწარი გადათვალთვლებისას, რომელიც მირაჟის სახით იქნა გადაღებული ცნობილ ხეხილის ბაღში. ახლა კი შემდეგი საგულისხმო შენიშვნა ჩაიწერეთ: ჩემმა მხატვრულმა მიდრეკილებებმა სძლია თანდაყოლილ წესიერებას. მით უფრო მეტი ძალისხმევა დამჭირდა, რათა ამ ჩანაწერებში ძველი დღიურის თავხედური კილო აღმედგინა (მაშინ ქალბატონი ჰეიზი ჩემთვის მხოლოდ დაბრკოლებას წარმოადგენდა). დღიური უკვე აღარ არსებობს, მაგრამ ხელოვნების წინაშე ჩემს მოვალეობად მივიჩნეე მისი ინტონაციების შენარჩუნება, რაგინდ ყალბი და ბრუტალურიც უნდა მეგონოს ისინი ამჟამად. საბედნიეროდ, თხრობამ ახლა იმ პუნქტს მიაღწია, როდესაც რეტროსპექტული ჭეშმარიტების გადმოსაცემად საბრალო შარლოტას ლანძღვა უნდა შევწყვიტო.

მსურდა, დაკლავნილ გზაზე მომავალი შარლოტასთვის ამეცილებინა ორი საათით გაჭიანურებული გულისფანცქალი (და, შესაძლოა, გადამერჩინა ავტოკატასტროფისგან, რომელიც ჩვენს არაერთგვაროვან ოცნებას დაამსხვრევდა). ამიტომ ძალზე წინდახედულად, მაგრამ წარუმატებლად

შევეცადე, ტელეფონით დავკავშირებოდი. დავრეკე ბანაკში, მაგრამ ის უკვე ერთი საათის წასული აღმოჩნდა. მის ნაცვლად ლოლიტას წავაწყედი და აცახცახებულმა, ბედისწერაზე გამარჯვებით გაბედნიერებულმა, ვუთხარი, დედაშენზე ქორწინებას ვაპირებ- მეთქი. „რა კარგია“, წაილაპარაკა მან სიცილით. „ქორწილი როდისა? ერთი წამით დაიცადეთ - აქ ლეკვია - ლეკვი ჩემს წინდას ჩააფრინდა. ალო - „. მან დასძინა, რომ, ალბათ, ბევრი გასართობი ექნებოდა... ყურმილი დავკიდე და მივხვდი, რომ ბავშვთა ბანაკში გატარებულმა ორიოდ საათმა და ახალმა შთაბეჭდილებებმა პატარა ლოლიტას თავიდან სრულიად გამოდევნა თვალისმომჭრელი ბატონი ჰუმბერტის ხატება. თუმცა ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მას ჯვრისწერის შემდეგ სათანადო ვადის გასვლისას დავიბრუნებ. „საფლავზე დადებული საქორწინო თაიგული ძლივს მოასწრებს დაჭკნობას“, როგორც პოეტი იტყოდა. მაგრამ პოეტი როდი ვარ. მხოლოდ ძალზე კეთილსინდისიერი ისტორიოგრაფი გახლავართ. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ შევათვალაიერე სამზარეულოში მდგარი მაცივრის შიგთავსი. ის ძალზე ასკეტური მომეჩვენა. ამიტომ ქალაქში წავედი და ვიყიდე ყველაზე ცხარე და ცხიმიანი პროდუქტები. გარდა ამისა, ვიყიდე საუკეთესო სპირტიანი სასმელები და სხვადასხვაგვარი ვიტამინები. ექვი თითქმის არ მეპარებოდა, რომ ამ აღმგზნები საშუალებებისა და პირადი რესურსების წყალობით მოვახერხებდი, გადამელახა გარკვეული, ასე ვთქვათ, მარცხი, რომელიც შეიძლებოდა გრძნობის უკმარისობას წარმოემგა, როდესაც მძლავრი და მოუთმენელი ცეცხლის გამოვლენის საჭიროება წარმოიქმნებოდა. გაქნილი ჰუმბერტი მამაკაცური წარმოსახვის ჭუჭრუტანაში კვლავ და კვლავ ცდილობდა შარლოტას დანახვას. სხეული ნამდვილად მოვლილი და მოხდენილი ჰქონდა და, ალბათ, შეიძლებოდა დავერდნობოდი აზრს, რომ ის თითქოს ლოლიტას უფროსი და იყო - თუკი ზედმეტად რეალურად არ წარმომიდგებოდა მისი სრული თემოები, მრგვალი მუხლები, სავსე მკერდი, კისრის ხორკლიანი ვარდისფერი კანი (ხორკლიანი - აბრეშუმთან და თაფლთან შედარებით) და იმ სავალალო და უინტერესო მოვლენის ყველა სხვა ნაკვთი, რომელსაც „ლამაზი ქალი“ ეწოდება. მზემ ჩვეულებისამებრ შემოუარა სახლს. დღე მომწიფდა და სალამოსკენ გადაიხარა. სპირტიანი სასმელით სავსე ჭიქა გადავკარი. კიდეც ერთი. კიდეც. ჩემი საყვარელი სასმელი, ჯინანასი - ჯინისა

და ანანასის წვენი ნარევი - ყოველთვის მიორკვეცხს ენერგიას. გადავწყვიტე, ჩვენი ბაღის გავერანებული ველოები გამეთიბა. *Une petit attention*[47]. აქ ბაბუაწვერები იყო მოდებული და ვიღაცის ძალს - ვერ ვიტან ძალებს - გაესვარა ქვის ფილები, რომლებზეც ოდესღაც მზის საათი იდგა. თითქმის ყველა ბაბუაწვერა აღარ მზეობდა, - მთვარეობდა. ჩემს ძარღვებში ჯინი და ლოლიტა ანკობდნენ და კინაღამ წამოვედე დასაკეც სკამებს, რომელთა ალაგებაც მიწოდდა. წითელხოლიანი ზებრები! არის ისეთი ბოყინი, რომელიც ოვაციად ქლერს - ჩემი, ყოველ შემთხვევაში, ასე ქლერდა. ბაღის უკანა მხარეს მიდგმული ძველისძველი ღობე ამ

ბაღს მეზობელთა ნაყარწყარისა და იასამნისგან მიჯნავდა, მაგრამ ჩვენი მდელობის წინა ნაწილს (აქ ის დამრეცად ეშვებოდა სახლის ერთი კედლის გასწვრივ) არავითარი ღობე არ აცილებდა ქუჩისგან. ამიტომ შემეძლო, მედარაჯა (იმ ადამიანის ღიმილით, რომელიც სიკეთეს სჩადის) შარლოტას დაბრუნებისთვის: ეს კბილი უცებ უნდა ამომემძრო. ხელით სათიბი მანქანა წინ მიმათრევდა, ვბარბაცებდი - მოთიბული ბალახი ტოკავდა, თითქოს ქლურტულებდა კიდეც და ჩამავალი მზის სხივებში ბრწყინავდა. გარეუბნის ქუჩის იმ ნაწილს, რომელიც მოჩანდა, თვალს არ ვაცილებდი. ის ვეება ჩრდილოვან ხეებქვეშ ჩვენკენ უხვევდა, შემდეგ სულ უფრო ციცაბოდ ეშვებოდა მოხუცი ვიზავის აგურის სახლისკენ (რომელსაც ვაზი შემოხვეოდა) და მისი დამრეცი, ჩვენსაზე გაცილებით უფრო ფაქიზად მოვლილი მდელოს გასწვრივ, რათა ბოლოს ჩვენს წინა პარმალს მოფარებოდა. იმ ადგილიდან, სადაც მხიარულად ვაბოყინებდი და ვშრომობდი, პარმალს ვერ ვხედავდი. ბაბუაწვერები დამარცხდნენ. ბალახის მსუყე სუნი ანანასისას ერწყმოდა. ორმა გოგონამ, მარიონმა და მახელმა, რომელთაც ზოგჯერ ანგარიშიშეცემლად ვაკვირდებოდი (მაგრამ ვინ შეედრებოდა ჩემს ლოლიტას?), პროსპექტისკენ (საიდანაც ჩვენი ლოუნ სტრიტი ეშვებოდა) აიღეს გეზი. ერთი მათგანი ველოსიპედს მიაგორებდა, მეორე კი ქაღალდის პარკიდან რაღაცას მიირთმევდა - და ორივე ხმამაღლა, მზისებრ წკრიალა ხმით ლაპარაკობდა. ათლექტური აღნაგობის სიმპათიურმა ზანგმა, რომელიც პირდაპირ მცხოვრებ დედაბერთან მეზაღედ და მძლოლად მუშაობდა, გამიღიმა, დამიძახა, და ისევ დამიძახა (თან ხელის მოძრაობით კომენტარი დაურთო), დღეს ძალზე ენერგიული ხარო. ჩვენი მეზობლის, გამდიდრებული მეძველმანის ბრიყვი ძალდი ლურჯ ავტომობილს გაეკიდა (ეს შარლოტას მანქანა არ იყო). ერთ-ერთმა გოგონამ, რომელიც შედარებით უფრო ლამაზი იყო (მგონი, მახელმა) ქუჩაზე გაირბინა. მოკლე შარვალსა და ძალზე ნაადრევად ჩაცმულ ბიუსტჰალტერში იყო გამოკვართული და ხასხასა ფერის თმა ჰქონდა (ნიმფეტია, პანს ვფიცავ;) ხელით ქაღალდის ცარიელ პაკეტს ჭმუჭნიდა და ზემონახსენები მწვანე

ვაცის მხედველობის არეს გასცდა - ბ-ნი და ქ-ნი ჰუმბერტების სახლის ფრონტონს მიეფარა. საოჯახო ტიპის ავტომობილი პროსპექტის ფოთლოვანი ჩრდილიდან გამოვარდა და მისი ერთი ნაწილი გაიყოლია, შემდეგ ეს მოხატულობა დაიშალა ავტომობილის სახურავზე, რომლის კიდეს მარცხენა ხელით ჩასჭიდებოდა ნახევრად შიშველი მძღოლი. მან იდიოტური ალურით გაირბინა, გვერდით კი ყოფილი მეძველმანის ძალი მისდევდა. ამას ნაზი პაუზა მოჰყვა - შემდეგ მკერდში ჟრუანტელმა დამიარა, როდესაც ლურჯი „სედანის“ დაბრუნება ვიხილე. ის დადმართზე ჩამოსრიალდა და სახლის კუთხესთან გაუჩინარდა. გავიფიქრე, სანამ შარლოტა მეორე სართულზე არ ავა, არ ეცოდინება, წავედი თუ არა-მეთქი. ერთი წუთის შემდეგ მან ძალზე გატანჯული გამომეტყველებით გადმოძხედა ლოლიტას ოთახის ფანჯრიდან. კიბეზე სწრაფად ავირბინე და ოთახში მანამ შევასწარი, სანამ იქიდან გამოვიდოდა.

18. როდესაც საცოლე და საქმრო ქვრივებია, როდესაც პატარძალმა „ჩვენს შესანიშნავ ქალაქში“ ორ წელზე ნაკლები დაჰყო, სასიძომ კი - ერთი თვე; როდესაც მოსიე სულმოუთქმელად მოელის, როდის დამთავრდება სულელური, გაჭიანურებული ცერემონიალი, მადამი კი მას შემწყნარებლური ღიმილით ემორჩილება, მაშინ ქორწილი, ჩვეულებრივ, სადაა. პატარძალს შეუძლია, უარი თქვას ფორთოხლის ყვავილებისგან დაწნულ გვირგვინსა (რომელზეც მოკლე ფატაა მიმაგრებული) და ლოცვანში ჩადებულ თეთრ ორქვიდეაზე. პატარძლის ქალიშვილი, ალბათ, ცხოველმყოფელ მეწამულ ათინათს შეიტანდა 3-სა და 3-ს ქორწინების ცერემონიაში, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩიხში მომწყვდეული ლოლიტას მიმართ ჩემი მხრივ ზედმეტი გულთბილობის გამოჩენა სარისკო იქნებოდა. ამიტომ დავთანხმდი, რომ არ ღირდა გოგონას წამოყვანა მისი საყვარელი „კუ“-დან. ჩემი ეგრეთ წოდებული „მარტოხელა და ვნებიანი“ შარლოტა ყოველდღიურ ცხოვრებაში პრაქტიკული და გულღია ქალი აღმოჩნდა. გარდა ამისა, დავადგინე, რომ თუმცა ვერ იკავებდა ვერც გულითად სწრაფვებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვერც კვილს - სიყვარულის სარეცელზე, მაინც პრინციპული ქალი გახლდათ. როგორც კი მეტ-ნაკლებად ჩემი საყვარელი გახდა (აღმზნები საშუალებების მიღების მიუხედავად, მისმა ნერვულმა, მოუთმენელმა chéri-მ [48] - სიმართლე რომ ითქვას, გამირმა chéri-მ - დასაწყისში თავი ვერ აარიდა ზოგიერთ დაბრკოლებას, თუმცა სავსებით მიაგო სამაგიერო ძველი ყაიდის ალერსის უმრავალფეროვანესი ასორტიმენტით), ძვირფასმა შარლოტამ დაკითხვა ჩამიტარა უფალ ღმერთთან ჩემი ურთიერთობის შესახებ. შემეძლო მეპასუხა, რომ არავითარი აკვიატებული თვალსაზრისი არ გამაჩნდა; ამის ნაცვლად - საყოველთაოდ მიღებული, უხიფათო შეხედულების მიხედვით - ვუპასუხე, რომ მწამდა კოსმოსის გასულიერებულობისა. ქალი ხელის ფრჩხილებს ისინჯავდა. კვლავ მკითხა, შენს გვარეულობაში გარეშე მინარევი ხომ არ ყოფილაო. შემხვედრი კითხვით ვუპასუხე - მონდომებდი თუ არა ჩემზე გათხოვებას, მამაჩემის დედის პაპა, ვთქვათ, არაბი რომ ყოფილიყო-მეთქი. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო, მითხრა, მაგრამ თუ ოდესმე გავიგებ, რომ ჩვენი ქრისტიანული ღმერთი არა გწამს, თავს მოვიკლავო. მან ეს ისე საზეიმოდ გამოაცხადა, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მაშინ მივხვდი, რომ პრინციპიბიანი ქალი გახლდათ. ო, ძალზე ზრდილი მეშჩანი იყო! მაპატიეთო, ამბობდა ყოველთვის, როდესაც მის მწყობრ მეტყველებას ოდნავ შესამჩნევი ბოყინი წყვეტდა; ერთ-ერთი ინგლისური სიტყვის („კონვერტი“) პირველ მარცვალს ცხვირში წარმოთქვამდა, ფრანგულ ყაიდაზე, ნაცნობ მანდილოსნებთან საუბარში „მისტერ ჰუმბერტს“ მიწოდებდა. გავიფიქრე, რომ სიამოვნებას მივანიჭებდი, თუ ადგილობრივ საზოგადოებაში რომანტიკულ ჩრდილს შევიტანდი. ჩვენი ქორწინების დღეს „რამზდელის გაზეთის“ იმ რუბრიკაში, რომელიც მაღალი საზოგადოების ცხოვრებას ასახავდა,

გამოქვეყნდა პატარა ინტერვიუ ჩემთან, აგრეთვე - შარლოტას ფოტოსურათი, რომელზეც ჩემს ცოლს ცალი წარბი მაღლა აეჭიმა. გვარი შეცდომით დაებეჭდათ: ჰეიზერი. ამ უბედურების მიუხედავად, რეკლამამ მისი გულის ფაიფურის სარქველები გაათბო, ჩემი გველისეული ჩხრიალი კი დამცინავ ჟღარუნად აქცია. შარლოტა მონაწილეობდა საეკლესიო-საქველმოქმედო წრეების მუშაობაში და გაიცნო ლოლიტას ამხანაგების ყველაზე ყოყლოჩინა დედები, რის მეშვეობითაც წელიწადნახევარში ადგილობრივი საზოგადოების თუ პირველხარისხოვანი არა, ყოველ შემთხვევაში, მისაღები წევრი მაინც გახდა. ამასთან, ის არასოდეს მოხვედრილა ამ შესანიშნავ რუბრიკაში და იქ აღმოჩნდა მწერლისა და მკვლევარის ბ-ნი ედგარ ჰ. ჰუმბერტის წყალობით (ეს „ედგარი“ ტრაბახნარევი სიმარჯვით მივაწოდე გაზეთს). რეპორტიორმა, ჩემი მაკ-კუს ძმამ მკითხა, სახელდობრ, რა გაქვთ დაწერილიო. ჩემი პასუხი არ მახსოვს, მაგრამ მას ასე გამოუვიდა: „რამდენიმე ნაშრომი ვერლენის, რემბოდლერისა და სხვა პოეტების შესახებ“. ინტერვიუში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ მე და შარლოტა რამდენიმე წლის განმავლობაში ვიცნობდით ერთმანეთს და

რომ მისი პირველი ქმრის შორეული ნათესავი ვიყავი. მივანიშნე, ცამეტი წლის წინ შარლოტასთან რომანი მქონდა-მეთქი, მაგრამ გაზეთში ეს არ დაბეჭდეს. ცოლს ავუხსენი, რომ მაღალი საზოგადოების ცხოვრებისადმი მიძღვნილ რუბრიკას მხოლოდ ამშვენებს შეცდომათა კილიტების ბრჭყვიალი. გავაგრძელოთ ეს საინტერესო ამბავი. როდესაც მდგმურიდან თანამეცხედრედ გადავიქეცი, განა მხოლოდ სიმწარე და უხალისობა ვიგრძენი? არა. ჰუმბერტს შეეძლო ელიარებიანა, რომ პატივმოყვარეობის ოდნავი ქავილი და ოდნავ საგრძნობი გულის აჩვილებაც განიცადა, ხოლო შეთქმულის სატევარზე, რომელიც მას ხელთ ეპყრა, დახვეწილი მონანიების მოხატულობაც კი აღიბეჭდა. არასოდეს ვიფიქრებდი, რომ საკმაოდ უცნაური, თუმცა საკმაოდ კეთილსახიერი ქალბატონი ჰეიზი, რომელსაც ბრმად სწამდა თავისი რელიგიის და თავისი წიგნის კლუბის სიბრძნისა, კეკლუცი დიქციით მეტყველებდა და ცივ, მკაცრ, დამცინავ დამოკიდებულებას იჩენდა თორმეტი წლის მომაჯადოებელი, შიშველმკლავებიანი, ფაფუკი გოგონას მიმართ, ესოდენ უმწეო არსებად იქცეოდა, როგორც კი ხელს მივაკარებდი - ეს ლოლიტას ოთახის ზღურბლზე მოხდა. ის უკან-უკან იხევდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლულულუღებდა: „არა, არა, თუ შეიძლება, არა“... გარდასახვამ სასიკეთო ზეგავლენა მოახდინა მის გარეგნობაზე: რამდენადმე ხელოვნურ ღიმილში ახლა სრული, სათუთი და ცრემლიანი თავყვანისცემა კიაფობდა. განცვიფრებით აღმოვაჩინე, რომ მისი გამოხედვა ძალზე წაგავდა ლოლიტას მომხიბვლელ, უნდილ, დაბნეულ მზერას, როდესაც გოგონა რძის ბარში სიროფების ახალი ნაზავით ტკებოდა ან მდუმარედ, სიამოვნებით ათვალთვლებდა ჩემს ძვირადღირებულ, ყოველთვის კარგად გაუთოებულ ტანსაცმელს. მონუსხულივით თვალს ვერ ვაცილებდი შარლოტას, როდესაც ის თავის დედობრივ შეჭირვებას სხვა მანდილოსანს უზიარებდა. მის სახეზე ქალთა რეზიგნაციის გამოხატველი ამერიკული გრიმასა აღიბეჭდებოდა ხოლმე (რაც თვალების გადატრიალებასა და პირის ერთი კუთხის ჩამოწევაში მდგომარეობდა); ამ გამომეტყველების ბავშვური ვარიანტი არაერთხელ შემიმჩნევია ლოლიტას სახეზე. ძილის წინ ვისკის ან ჯინს ვსვამდით და ეს მეხმარებოდა, დედის ალერსისას შვილი წარმომედგინა. აი თეთრი მუცელი, სადაც ჩემი

ნიმფეტი დახვეული თევზის სახით იწვა 1934 წელს. გულდასმით შედებულ უსიცოცხლო თმას, რომელსაც ასევე უსიცოცხლო სურნელი ასდიოდა, ზოგჯერ (ლამპის შუქზე, ორადგილიან საწოლში, რომლის კუთხეებში ოთხი სვეტი იყო აღმართული) ლოლიტას კულულების ფერი დაჰკრავდა. როდესაც ჩემს ახლად გამომცხვარ, ნატურალური სიმაღლის ცოლს განვაგებდი, თავს ვარწმუნებდი, რომ ჩემთვის ხელმისაწვდომ არსებათა შორის ბიოლოგიური თვალსაზრისით შარლოტა მაქსიმალურად ახლოს იდგა ლოლიტასთან; რომ ლოლიტას ასაკში ლოტა არანაკლებ მომხიბვლელი მოსწავლე გოგონა იქნებოდა, ვიდრე მისი ქალშვილი იყო, - და ვიდრე ოდესმე იქნებოდა თვით ლოლიტას ქალიშვილი. ცოლი ვაიძულე, ფეხსაცმელების ვეება კოლეჯის ქვეშ (განსვენებულ ბ-ნ ჰეიზს, როგორც აღმოჩნდა, ფეხსაცმლისადმი პათოლოგიური ლტოლვა ახასიათებდა) შენახული ოცდაათი წლის წინანდელი ალბომი მოემეხნა, რათა მენახა, როგორ გამოიყურებოდა ლოტა ყმაწვილობისას; არასწორი განათებისა და ულაზათო ტანისამოსის მიუხედავად, მოვახერხე, მასში ლოლიტას ფეხების, ვიწრო თეძოებისა და აპრებილი ცხვირის პირველი ბუნდოვანი მონახაზისთვის მიმეგნო. ლოტელიტა! ლოლიტჰენ! ამგვარად, დროის მიერ აღმართულ ზღუდეებს მიღმა ცოდვილი მზერით ვუთვალთვალე სხვისი სამყოფის დაბინდულ ფანჯრებს და როცა დამდამობით ეს ქალი, რომელსაც დედოფლური კერტები და სრული თეძოები ჰქონდა, უზადრუკი, მხურვალე, გულუბრყვილოდ ავხორცი ალერსის მეშვეობით მამზადებდა იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს ჩემი ყოველდამეული მოვალეობის შესრულება შემძლებოდა, ამ წუთებშიც კი ნიმფეტის სურნელოვანი ნაკვალევს აღმოჩენას ვცდილობდი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყვეფით დავძრწოდი უღრანი ტყის მიდამოებში. ვერ აგიწერთ, რაზომ თვინიერი და გულის ამაჩუყებელი იყო ჩემი საწყალი მეუღლე! ყოველ დილას ყავას ვსვამდით დამთრგუნველად მყუდრო სამზარეულოში, სადაც ქრომი ელვარებდა, კედელზე კი დიდი კალენდარი ეკიდა (ეს ქვაბების მწარმოებელმა ფირმამ გამოგზავნა საჩუქრად). ადრიათი საუზმისთვის განკუთვნილი კოხტა კუთხე იმ დახვეწილ კაფეს ჰგავდა, სადაც შარლოტა და ჰუმბერტი თითქოსდა ექლურტულეობდნენ ერთმანეთს სტუდენტობისას. მას წითელი კაპოტი ეცვა, მაგიდის პლასტმასის ზედაპირს ეყრდნობოდა, ლოყა მომუშტულ ხელზე ედო და აუტანელი სინაზით მიმზერდა, სანამ ერბო-კვერცხსა და ლორს მივირთმევდი. თუმცა ჰუმბერტს სახე ნევრალგისგან უტოკავდა, ცოლის აზრით, ის მზის შუქსა და თეთრ რეფრიჟერატორზე მოლივლივე ფოთოლთა ჩრდილებზე უფრო მშვენიერი იყო. ქმრის მიუკარებლობა და უგუნებობა სიყვარულისთვის დამახასიათებელი დუმილი ეგონა. ჩემი მცირე შემოსავალი, თავის კიდევ უფრო უმნიშვნელო სახსრებთან ერთად, ბრწყინვალე ქონებად მიაჩნდა (არა იმიტომ, რომ ერთობლივი თანხა ახლა საშუალობურჟუაზიულ შემოსავალს

წარმოქმნიდა, არამედ იმიტომ, რომ თვით ჩემს ფულსაც ჩემი მამაკაცური ღირსებების ბრწყინვალე გამოვლინებად აღიქვამდა). ამის გამო შარლოტას ჩვენი საერთო მიმდინარე ანგარიში ერთ-ერთ ისეთ სამხრეთულ ბულვარად წარმოედგინა, რომლის ცალი მხარე ჩვეულებრივ მრუმე ჩრდილითაა დაფარული, მეორე კი მზის სხივებში ციაგებს და ასე გრძელდება პერსპექტივის ბოლომდე, სადაც ვარდისფერი მთებია აღმართული.

ჩვენი თანაცხოვრების ორმოცათდღიანი პერიოდი შარლოტამ მრავალი წლის სამყოფი მოღვაწეობით აავსო. საბრალო ქალმა ხელი მოჰკიდა ისეთ საქმეებს, რომლებიც წინათ არ აინტერესებდა და უკუაგდებდა ხოლმე. იმით, რომ (უნდა განვაგრძო პრუსტიესული ინტონაციების სერია) ჩემთვის ძვირფასი ზავების დედაზე ვიქორწინე, ცოლს თითქოს დავეხმარე, მინდობილობით უხვად ზიარებოდა სინორჩეს. „ახალგაზრდა დიასახლისის“ უხამსობითა და თავდავიწყებით ის „ოჯახური კერის სუბლიმირებას“ შეუდგა. კარგად ვიცნობდი ამ კერის ყოველ ბზარს - იმ დროიდან, როდესაც ჩემს მაგიდასთან მჯდარი, წარმოსახულ რუკაზე აღვნიშნავდი ხოლმე სახლში ლოლიტას მოძრაობის მარშრუტს. ამ ულამაზოსა და მოუვლელ შენობას კარგა ხნის წინ შევეთვისე და ახლა თითქმის ვგრძნობდი, როგორ იმშუმნებოდა ეს ბედშავი ეკრიუში, ჟანგმიწასა და თამბაქოსფერწითურ საგოზავში ამოვლების საშიშროების წინაშე, რასაც შარლოტა უმზადებდა. მადლობა ღმერთს, მან ეს ვერ მოახერხა, მაგრამ სამაგიეროდ, ენერგიის უდიდესი რაოდენობა დახარჯა ფარდების გარეცხვის, ჟალუზის გასანთვლის, ახალი ფარდებისა და ახალი ჟალუზის შეძენის, შემდგომ - მაღაზიაში მათი დაბრუნების, გამოცვლისა და ასე შემდეგ პროცესში, აგრეთვე - სინათლისა და წყვიადის, ღიმილისა და უგუნებობის, ეჭვისა და სინანულის განუწყვეტელი ურთიერთშენაცვლებისას. ის კრეტონსა და კოლენკორს აცოდვილებდა; დივანს სხვა ფერის შალითას აკრავდა - წმინდა დივანს, რომელზეც იმ დაუვიწყარ დილას სამოთხისეული ნეტარების ბუმტი შენელებული ტემპით გასკდა ჩემში. შარლოტა ავეჯსაც ალაგებდა. ძალიან გაუხარდა, როდესაც ოჯახური მეურნეობის საკითხებისადმი მიძღვნილი ტრაქტატიდან გაიგო, რომ „სავსებით დასაშვებია დივანის, ორი კომოდისა და მათი ლამპების ცალ-ცალკე დადგმა“; მან წაიკითხა წიგნი „შენი სახლი - ეს შენა ხარ“ და, მისი ავტორი ქალის კვალობაზე, შეიძულა სათუთი პატარა სკამები და წვრილფეხებიანი მაგიდეები; სჯეროდა, რომ ფართოფანჯრიანი ოთახები, რომლებშიც მრავლადაა საუცხოო გალახული სიბრტყეები, მამაკაცური ტიპისაა, ოთახების ქალური ტიპი კი ხასიათდება ფანჯრების უფრო თხელი ჩარჩოებით და ხის ნატიფი მოსართავებით. რომანები, რომელთაც შარლოტა ადრე კითხულობდა, გამოდევნა ილუსტრირებულმა კატალოგებმა და საცხოვრებელი ადგილის მოწყობისთვის განკუთვნილმა სახელმძღვანელოებმა. ფილადელფიაში, რუზველტის ბულვარზე, 4640 ნომერ სახლში განლაგებულ ერთ ფირმას ჩვენი ორადგილიანი საწოლისთვის მან საგანგებოდ შეუკვეთა შტოფგადაკრული ზამბარიანი ლეიბი, 321-ე მოდელი, - თუმცა, ჩემი აზრით, ძველი ლეიბი საკმარისად დრეკადი და გამძლე იყო იმისთვის, რისი გამღებაც უხდებოდა. წარმომავლობით შარლოტა, თავისი პირველი ქმრის მსგავსად, ამერიკის შუა-დასავლეთი ნაწილიდან იყო. აღმოსავლეთის ერთ-ერთი შტატის მარგალიტში, გაპრანჭულ რამზდეღში, მან ძალზე ცოტა ხანი დაჰყო და ვერ მოასწრო ყველა ღირსეულ მცხოვრებთან მჭიდროდ დამეგობრება. ის არცთუ ახლოს იცნობდა ჟოვიალურ დანტისტს, რომელიც ჩვენი ბადის უკან, ნახევრად დანგრეული ხის ციხე-დარბაზის მსგავს შენობაში ცხოვრობდა. ეკლესიასთან არსებულ კლუბში ჩაის სმისას გაიცნო ყოფილი მეძველმანის მედიდური მეუღლე - მათ ეკუთვნოდათ პროსპექტის კუთხეში აშენებული თეთრი, ამაზრზენი ეგრეთ წოდებული „კოლონიალური სტილის“ ვეება სახლი. დროდადრო შარლოტა „ვიზიტით ეწვეოდა“ ხოლმე

მოხუც ვიზავის; ბაღში გამართულ წვეულებებზე ხვდებოდა, ან ესტუმრებოდა, ან კიდევ ტელეფონით დიდხანს ესაუბრებოდა სხვა მანდილოსნებს - მაგრამ უფრო წარჩინებული, დახვეწილი ბანოვანები, მაგალითად, ქ-ნი შერიდანი, ქ-ნი მაკ-კრისტალი, ქ-ნი ნაიტი და სხვები, როგორღაც იშვიათად მოდიოდნენ მაღალი საზოგადოებისგან აბუჩად აგდებულ ჩემს შარლოტასთან. მან ნამდვილად მეგობრული, ფარული აზრებისა და პრაქტიკული ზრახვებისგან თავისუფალი ურთიერთობა გააბა მხოლოდ ერთ წყვილთან. მათი გვარი ფარლო იყო. ისინი სწორედ დროზე დაბრუნდნენ შორეულ ჩილეში საქმიანი მოგზაურობიდან, რათა ჩატფილდებთან, ცოლ-ქმარ მაკ-კუსა და ზოგიერთ სხვასთან (მაგრამ არა ქ-ნი მეძველმანესთან და კიდევ უფრო მედიდურ ქ-ნი ტალბოტთან) ერთად დასწრებოდნენ ჩვენს ქორწინებას. ჯონ ფარლო ხნიერი, მშვიდი, მშვიდათლექტური, მშვიდილბლიანი ვაჭარი იყო. ის სპორტული საქონლით ვაჭრობდა და კანტორა პარკინგტონში ჰქონდა, ჩვენგან ორმოცი მილის დაშორებით; სწორედ მან აღმჭურვა სახელგანთქმული კოლტისთვის საჭირო ამუნიციით და ამ კოლტის ხმარებაც მასწავლა (ერთ

კვირადღეს, ტბისპირა ტყეში სეირნობისას); ის „ნაწილობრივ ადვოკატიც“ იყო (რასაც ღიმილით აღიარებდა) და თავის დროზე შარლოტას ზოგიერთი საქმე მოაწესრიგა. ჯოანა, მისი ახალგაზრდული გარეგნობის მქონე ცოლი, ჯონს ბიძაშვილად ერგებოდა. ეს იყო გრძელკიდურებიანი მანდილოსანი, რომელიც ირიბი ფორმის სათვალეს ატარებდა; ორი ჩალისფერი ბულდოგი ჰყავდა, ორი წვეტიანი ძუძუ და დიდი, წითელი პირი ჰქონდა. პეიზაჟებსა და პორტრეტებს ხატავდა - კარგად მახსოვს, რომ ერთხელ, როდესაც კოქტილის სირჩა მეჭირა, შევაქე მისი პატარა დისწულის, გრაციოზული, ვარდისფერი, გერლსკაუტების ფორმაში გამოწყობილი როზალინა გრაცის პორტრეტი (მწვანე შალის ბერეტი, მწვანე ნაქსოვი ქამარი, წარმტაცი კულულები, მხრებამდე რომ სწვდებოდა). ჯონმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო და თქვა: „რა დასანანია, რომ დოლი (ჩემი დოლიტა) და როზალინა ასე ქიშპობენ ურთიერთთან, თუმცა (გამოთქვა მან იმედი, ჩვენ კი კვერი დავუკარით), ისინი უკეთ მორიდდებიან, როდესაც სკოლაში დაბრუნდებიან თავიანთი საზაფხულო ბანაკებიდან“. ვილაპარაკეთ სკოლის შესახებ. მას გარკვეული ნაკლოვანებები და ღირსებები გააჩნდა. „რა თქმა უნდა, ჩვენს ვაჭრებს შორის ბევრი იტალიელია“, თქვა კეთილგონიერმა ჯონმა. „მაგრამ სამაგიეროდ, აქამდე არ გვაწუხებდნენ ური...“ ჯოანამ სწრაფად შეაწყვეტინა: „რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს გოგონებს ეს ზაფხული ერთად გაეტარებინათ!“ უცრად წარმოვიდგინე ბანაკიდან დაბრუნებული გარუჯული, თბილი, ძილმორეული, გაბრუებული ლოლიტა - და ვნებისა და მოუთმენლობისგან კინაღამ ავტირდი.

19. მსურს, კიდევ რამდენიმე სიტყვა ვუძღვნა ქ-ნ ჰუმბერტს (მალე მძიმე კატასტროფა მომელის). ყოველთვის ნათლად ვგრძნობდი, რომ ძალაუფლება უყვარდა, მაგრამ სულაც არ მეგონა, რომ ასე მძაფრად იეჭვიანებდა ყველაფრის გამო, რაც ჩემს ცხოვრებაში მას არ ეხებოდა. შარლოტას ჩემი წარსულისადმი მძვინვარე, დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა გაედვიძა. მოითხოვდა, გამეხსენებინა ყველა ქალი, რომელიც კი მყვარებია. შემდეგ მაიმულებდა, დამეცინა მათთვის, გამეთელა, ვერაგულად და საბოლოოდ უარი მეთქვა მათზე და ამით გამენადგურებინა ჩემი წარსული. მან გამომტყუა ჩემი და ვალერიას ქორწინების ამბავი, რომელიც, რა თქმა უნდა, ძალზე სასაცილო იყო; გარდა ამისა, მომიხდა სატრფოების გამოგონება ან უსინდისოდ შელამაზება, რათა შარლოტას მათი დაცინვის მეშვეობით გული მოეოხებინა. ქალების მთელი ილუსტრირებული კატალოგი წარვუდგინე, თითოეული მათგანი კი ფაქიზი განმასხვავებელი ნიშნებით აღვჭურვე, ამერიკული განცხადებების ტრადიციათა თანახმად - ეს უკანასკნელნი თავიანთი მიზნებისთვის იყენებენ ხოლმე მოსწავლეთა ჯგუფს, რომელსაც დახვეწილი რასობრივი პროპორციების მიხედვით ანაწილებენ, კერძოდ, თეთრკანიან ბავშვებს შორის აუცილებლად ათავსებენ მხოლოდ ერთ - მაგრამ ძალზე მიმზიდველ - მრგვალოფეხა, შოკოლადისფერ ბაღს, თანაც - მერხების პირველი რიგის თითქმის (მაგრამ არა ზუსტად) შუაგულში. როდესაც ჩემს ქალბატონებს წარვადგენდი, ვაიძულებდი, გაეღიმათ და ტანი შეერხიათ. ყველანი - ნაზი ქერათმიანი არსება, ტემპერამენტიანი ზანგი, წითური გარყვნილი ქალიშვილი - თითქოს საროსკიპოს პარადზე იყვნენ ჩამწკრივებულნი. რაც უფრო ცხადსა და ვულგარულ სურათს ვხატავდი, მით უფრო მოსწონდა ქ-ნ ჰუმბერტს ჩემი ვოდვეილი. არასოდეს მომისმენია ამდენი აღსარება. მეც არასოდეს გამინდვია ამდენი გულისხნადები. გულწრფელობა და ბუნებრიობა, რომლითაც ის მსჯელობდა თავისი ეგრეთ წოდებული „სასიყვარულო ცხოვრების“ შესახებ, დაწყებული პირველი ხანგრძლივი კოცნით და დამთავრებული ცოლქმრული თავისუფალი ჭიდაობით, მორალური თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდებოდა ჩემი ურცხვი სიცრუისგან, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით ორივე სერია ერთგვაროვანი იყო, რადგან ორივეზე ერთი და იგივე მასალა მოქმედებდა (რადიომელოდრამები, ფსიქონალიზი, იაფფასიანი რომანები), საიდანაც ჩემი მოქმედი პირები ვისესხე, მან კი - თავისი ენა და სტილი შეიმუშავა. რიგიანად გამართო პატივცემული ჰაროლდ ჰეიზის ზოგიერთმა არაჩვეულებრივმა სქესობრივმა ახირებამ, რის შესახებაც შარლოტამ მომითხრო; მან ჩემი როხროხი უწესობად მიიჩნია; საერთოდ კი, შარლოტას გადაშლილი სული ისევე უინტერესო იყო, როგორც მისი სხეულის გაკვეთა იქნებოდა. დიეტური შიმშილობების მიუხედავად, უფრო ჯანმრთელი ქალი არასოდეს მინახავს. ჩემს ლოლიტას იშვიათად ახსენებდა - გაცილებით იშვიათად, ვიდრე მამრობითი სქესის ქერათმიან ბავშვს, რომლის ფოტოსურათიც (სახის გაურკვეველი ნაკვთებით) ჩვენი პირქუში სამინებელი ოთახის ერთადერთ სამკაულს წარმოადგენდა. უგემოვნო ოცნებებით გატაცებულმა შარლოტამ ინება, წინასწარ განეჭვრიტა, რომ გარდაცვლილი ჩვილის სული

დედამიწაზე იმ ბავშვის სახით დაბრუნდებოდა, აწინდელ ქორწინებაში რომ უნდა ეშვა. და თუმცა განსაკუთრებულ მისწრაფებას არ განვიცდიდი, რომ ჰუმბერტის საგვარეულო ნუსხა ჰაროლდ ჰეიზის ნაყოფის ნატვიფრით შემევსო (ლოლიტას ჩემს ბავშვად ვთვლიდი, რასაც სისხლის აღრევის

ტკბილი განცდა ახლდა), მაგრამ გავიფიქრე, რომ ხანგრძლივი მშობიარობა, საკეისრო გაკვეთა და სხვა გართულებები მყუდრო სამშობიარო თავშესაფარში, ასე, მომავალ გაზაფხულზე, საშუალებას მომცემდა, ზედიზედ რამდენიმე კვირის განმავლობაში მარტოდმარტო მომეხელთებინა ჩემი ლოლიტა - და უილაჯო ნიმფეტი საფუძვლიანად გამომეკვება საძილე ფხვნილებით. აჰ, როგორ სძულდა თავისი ქალიშვილი! განსაკუთრებულ ბოროტებად მომეჩვენა, რომ მან სრულიად ამაოდ, მაგრამ უდიდესი გულმოდგინებით უპასუხა ჩიკაგოში გამოცემული წიგნის - „შეიცანი საკუთარი შვილი“ - უაზრო კითხვებს. ეს სისულელე რამდენიმე წელიწადზე იყო გაწელილი: დედას ევალეობდა, ბავშვის სიცოცხლის ყოველი წლის ინვენტარული აღწერის მსგავსი რამ შეედგინა. ლოლიტას დაბადების თორმეტი წლის თავზე, 1947 წლის 1 იანვარს, შარლოტა ჰეიზმა, ქალიშვილობაში - ბეკერმა, ორმოცი ეპითეტიდან ქვემოჩამოთვლილ ათს გაუსვა ხაზი (რუბრიკაში „ბავშვის ხასიათი“): აგრესიული, დაუდგრომელი, დუნე, ნეგატივისტური (ორჯერაა ხაზგასმული!), უნდობელი, მოუთმენელი, მიზეზიანი, გაქნილი, ფიცხი, პირქუში. მან არავითარი ყურადღება არ მიაქცია დანარჩენ ოცდაათ ზედსართავს, რომელთა შორის იყო „მხიარული“, „ხათრიანი“, „ენერგიული“ და სხვ. ეს პირდაპირ აუტანელი იყო! მძვინვარებით, რომელიც სხვა დროს არ შემიმჩნევია ჩემი მოყვარული ცოლის სათნო ხასიათში, ის უტევდა და დევნიდა ხოლმე ლოლიტას ყოველგვარ პატარა ნივთებს, რომლებიც სახლის სხვადასხვა კუთხეებისკენ მიცოცავდნენ და იქ მონუსხული კურდღლებივით გახევდებოდნენ ხოლმე. ჩემს კეთილმორწმუნე მეუღლეს არც კი დასიზმრებია, რომ ერთ კვირადღეს, როდესაც კუჭის აშლილობამ (ეს იმის შედეგი იყო, რომ მისი სოუსების გაუმჯობესება ვცადე) ხელი შემეშალა, ეკლესიაში წავყოლოდი, მას ლოლიტას პაწაწინა თეთრ წინდასთან ვუღალატე. ახლა ნახეთ, რა აუტანელი დამოკიდებულება ჰქონდა ჩემი შრომანას, ჩემი თვალისჩინის წერილების მიმართ! „საყვარელო დედიკო და ჰუმბოკო, ვიმედოვნებ, ჯანმრთელად ხართ. კანფეტებისთვის დიდი მადლობა. მე (გადაჯღაბნილია და შემდეგ ხელახლა დაწერილი) ახალი სვიტერი ტყეში დავკარგე. ბოლო დროს გრილი ამინდებია. მე აქ ძალიან. თქვენი მოყვარული დოლი „აი უტვინო“, თქვა ქალბატონმა ჰუმბერტმა. „ძალიან“-ის შემდეგი სიტყვა გამოტოვა. ეს წმინდა შალის სვიტერი იყო. და კიდევ, იცი, რა, სანამ კანფეტებს გაუგზავნიდე, გთხოვ, რჩევა მკითხო ხოლმე“.

20. ივლისის ერთი განსაკუთრებით ცხელი კვირის განმავლობაში ყოველდღე დავდიოდით ტყეში, რამზდელიდან რამდენიმე მილის დაშორებით მდებარე სათვალისებრ ტბაზე (რომელიც უკვე ვახსენე). ახლა იძულებული ვარ, საკმაოდ მოსაზერებელი დეტალებით აღწეროთ ჩვენი უკანასკნელი ბანაობა იქ, ერთ სამშაბათს, ტროპიკულ დილას. ავტომობილი საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას დავტოვე, გზატკეცილთან ახლოს, და ფიჭვნარში გაკვალული ბილიკით ტბისკენ გავემართეთ. შარლოტამ მითხრა, რომ იშვიათი შუქური ეფექტების ძებნისას ჯოანა ფარლომ (ის ფერწერის ძველი სკოლის ერთგული იყო) კვირადღეს დაინახა, როგორ ბანაობდა „დამიშობილა“ (ასე იოხუნჯა ჯონმა) ლესლი ტომსონი დილით ხუთ საათზე. „ალბათ, წყალი ძალზე ცივი იქნებოდა“, ვთქვი მე. „საქმე ეს როდია“, შემეპასუხა ჩემი ლოგიკური, თუმცა განწირული გვრიტი, „ის ჭკუასუსტია და ვალიარებ“, განაგრძო მან (თან ფრაზებს ძალზე გულმოდგინედ გამოყოფდა, რაც მავნე ზეგავლენას ახდენდა ჩემს ჯანმრთელობაზე), „რომ ამკარად ვგრძნობ: ჩვენი ლუიზა ამ კრეტიწზეა შეყვარებული“. გრძნობა. „ვგრძნობთ, რომ დოლი ისე კარგად არ სწავლობს, როგორც შეუძლია...“ და ასე შემდეგ (ძველი სასკოლო შეფასებიდან) - ცოლსა და ქმარს ტანთ ხალათები ეცვათ, ფეხზე კი - სანდლები. „იცი, ჰუმ, ერთი კადნიერი ოცნება მაქვს“, წაილაპარაკა ლედი ჰუმმა და თავი დახარა - თითქოს ამ ოცნებისა რცხვენოდა და წითურ მიწას რჩევას ეკითხებოდა. „ძალიან მინდა, მართლაც რომ გაწაფული მოახლე ვიშოვო, იმ გერმანელი ქალის მსგავსი, რომელიც ტალბოტებმა ახსენეს; და რომ ჩვენთან იცხოვროს“. „ადგილი არა გვაქვს“, ვუპასუხე მე. „რას ამბობ!“, თქვა მან ვითომდა იდუმალი დიმილით, „ძვირფასო, შენ სათანადოდ ვერ აფასებ ჰუმბერტების სახლის შესაძლებლობებს. მას ლოლიტას ოთახში მოვათავსებდით. ისედაც ვაპირებდი, სახლის ეს ყველაზე ცივი და საძაგელი სორო სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახად გადამეკეთებინა“.

„რაზე ლაპარაკობ?“ ვკითხე და ჟრუანტელმა დამიარა (ეს მხოლოდ იმიტომ აღვნიშნე, რომ ჩემს გოგონასაც მსგავსი რამ ემართებოდა გაოცების, ზიზღის, ბრაზის განცდისას). „შეიძლება, რაიმე რომანტიკული ასოციაცია გიშლის ხელს?“ დაინტერესდა ჩემი ცოლი და ჩვენს პირველ კონცაზე მიმანიშნა. „არაფერიც“, მივუგე, „უბრალოდ, მსურს გავიგო, სად მოათავსებ ქალიშვილს, როდესაც შენს სტუმარს ან შენს მოახლეს იშოვი“. „ო!“, თქვა ქ-ნმა ჰუმბერტმა, მეოცნებედ გაიღიმა, ეს „ო“ გააგრძელა, ცალი წარბი აჭიმა და ნაზად ამოისუნთქა. „ვმიშობ, რომ პატარა ლოს ეს სრულიად არ

ეხება. პატარა ლო ბანაკიდან პირდაპირ პანსიონატში გაემგზავრება - კარგ პანსიონატში, სადაც მკაცრი დისციპლინა სუფევს და რელიგიურ განათლებას სოლიდური პროგრამით იძენენ. შემდეგ კი - ბერდსლეი კოლეჯი. ნუ წუხარ, ყველაფერი ეს ძალზე ზუსტად მაქვს მოფიქრებული". შარლოტამ დაუმატა, რომ აპირებდა, საკუთარი სიზარმაცე გადაეღებინა და წერილი გაეგზავნა ბებრუხანა ფალენის დისთვის, რომელიც „წმინდა ალგებრის“ პანსიონატში ასწავლიდა. ფიჭვებს შორის მოციმციმე ტბა გამოკრთა. მოვიმიზეზე, ავტომობილში შავი სათვალე დამრჩა და ახლავე დაგეწევი-მეთქი. ყოველთვის მეგონა, რომ ხელების მტვრევა მოგონილი ჟესტი იყო ან რომელიმე შუასაუკუნეობრივი რიტუალის ბუნდოვან გამოძახილს წარმოადგენდა. მაგრამ როდესაც სასოწარკვეთილებითა და ძრწოლით შეპყრობილმა ტყეს შევაფარე თავი, ჩემი განწყობილება ყველაზე უკეთ სწორედ ამ ჟესტმა გამოხატა („შეხედე, ღმერთო, ამ ბორკილებს!“). შარლოტა ვალერია რომ ყოფილიყო, მეცოდინებოდა, რა მომეოქმედა. - დიახ, „მომეოქმედა“ სწორედ შესაფერი სიტყვაა; საკმარისი იქნებოდა, ამომეტრიალებინა მსუქანი ვალეჩკას სათუთი მაჯა (რომელიც ველოსიპედიდან ჩამოვარდნისას იღრმო), რათა მყისვე შეეცვალა თვალსაზრისი; მაგრამ შარლოტას მიმართ ეს წარმოუდგენელი იქნებოდა. გულცივი ამერიკელი შარლოტასი მეშინოდა. იმ დაუდევარი იდეიდან, რომ მისი ნებისყოფა სიყვარულის მეშვეობით დამეთრგუნა, არაფერი გამოვიდა. ის თავყვანს სცემდა ჩემს ხატებას და ვერაფერს ჩავიდენდი ისეთს, რაც ამ ხატებას ხელყოფდა. სანამ ჩემი გოგონას მრისხანე დუენიას წარმოადგენდა, ველაქუცებოდი და მამებლობის კვალი ჩემს ამჟამინდელ დამოკიდებულებასაც შერჩა. შარლოტას წინაშე მხოლოდ ერთი უპირატესობა მქონდა - ის, რომ მან არაფერი იცოდა მისი შვილისადმი ჩემი შემზარავი ლტოლვის შესახებ. აღიზიანებდა, რომ გოგონას მოვწონდი; მაგრამ ჩემი გრძნობების ამოცნობა არ ძალუძდა. ვალერიას ვეტყვი: „შე მონძროხა ბრიყვო, c'est moi qui décide[49], რა არის სასიკეთო დოლორეს ჰუმბერტისთვის“. შარლოტას კი ვერ ვუბედავდი, მეთქვა (პროფესიული სიმშვიდით): „მაპატიე, ჩემო კარგო, მაგრამ ვერ დაგეთანხმები. გოგონას კიდევ ერთი შანსი უნდა მივცეთ. მზად ვარ, შინ ვამეცადინო ერთი ან ორი წლის განმავლობაში. შენ ხომ ერთხელ თვითონ თქვი ასე“. მაგრამ შარლოტას გოგონას შესახებ ვერაფერს ვეტყვი ისე, რომ თავი არ გამეცა. აჰ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ (მეც არასოდეს წარმომედგინა), როგორები არიან ეს პრინციპული ქალები!

შარლოტა, რომელიც ვერ ამჩნევდა ყოველდღიური პირობითობების, ქცევის წესების, პატენტისანი საკვების, წიგნებისა და იმ ადამიანების დამახასიათებელ სიყალბეს, რომელთაც ის აღმერთებდა, მყისვე შეამჩნევდა არასწორ ინტონაციას, რაც არ უნდა მეთქვა ლოლიტას ჩემს მახლობლად შენარჩუნების მიზნით. ის იმ მუსიკოსს ჰგავდა, რომელიც შეიძლება ცხოვრებაში ძალზე უხამსი იყოს, ინტუიცია და გემოვნება არ გააჩნდეს, მაგრამ ჯოჯოხეთურად ზუსტი სმენის წყალობით ორკესტრის ყველაზე კნინ ბგერასაც კი აღიქვამს. შარლოტას ნების დასამსხვრევად გული უნდა მომეკლა მისთვის. მე რომ გული მომეკლა მისთვის, ეს ჩემს ხატებასაც დაამსხვრევდა მასში. მისთვის რომ მეთქვა: „ან ლოლიტას ისე მოვექცევი, როგორც მსურს - და შენ მომეხმარები საიდუმლოს შენახვაში, - ან ახლავე დავცილდებით ერთმანეთს“, - მას მქრქალი მინის ფერი დაედებოდა და დინჯად მიპასუხებდა: „კეთილი: გინდ დაუმატე რამე, გინდ უკან წაიღე, - ყველაფერი დამთავრებულია“. და ასეც იქნებოდა. აი, რა უბედურება შემემთხვა. მახსოვს, როგორ მივედი მანქანების გასაჩერებლად განკუთვნილ მოედანთან, როგორ ავივსე პატარა მადრევენიდან პეშვი წყლით, რომელსაც ჟანგის გემო დაჰკრავდა. ისე ხარბად დავეწაფე, თითქოს ჯადოსნური სიბრძნით, ახალგაზრდობით, თავისუფლებითა და პაწია მხევლით დამაჯილდოებდა. შემდეგ შრიალა ფიჭვებქვეშ ტლანქად შეკოწიწებული საპიკნიკო მაგიდის კიდებზე ჩამოვჯექი (ჩემი იისფერი ხალათი მეცვა) და ფეხების ქნევას მოვეყევი. შორიახლოს ტრუსებისა და ლიფების ამარა ორი გოგონა გამოვიდა ათინათებით აჭრელბული კლოზეტიდან, რომელსაც ეწერა: „ქალებისათვის“. მახელი (ან მახელის დუბლიორი) რეზინს ღეჭავდა. ის ნელა, დაუდევრად შეაჯდა ველოსიპედს, მარიონი კი, რომელიც ბუხების მოსაგერიებლად თავს აქნევდა, ფეხებგაჩაჩხული უკან მოუჯდა; ველოსიპედი აქეთ-იქით ირწეოდა, ისინი ნელა, უგულისყურად შეუერთდნენ შუქრდილს. ლოლიტა! მამა-შვილი, რომელიც ამ უკაცრიელ ადგილას უჩინარდება. ამოცანის ბუნებრივი გადაწყვეტისთვის საჭირო იყო ქნი ჰუმბერტის მოკვლა. მაგრამ როგორ? თავისთავად არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ბოროტმოქმედების იდეალურად ჩადენა; ამასთან, ეს ძალუძს შემთხვევას. კრიმინალისტებს, მაგალითად, ახსოვთ არლელი მადამ ლაკურის განმაურებული მკვლელობა სამხრეთ საფრანგეთში გასული საუკუნის ბოლოს. წვეროსანი აყლაყუდა ხალხმრავალ ქუჩაში მიეპარა ამ ქალბატონს (რომელთანაც, შესაძლოა, სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა გაბმული) პოლკოვნიკ ლაკურზე მისი გათხოვების რამდენიმე დღის შემდეგ და ზურგში სამჯერ ჩასცა

ხანჯალი. ამასობაში პოლკოვნიკი, ბულდოგისმაგვარი დაბალი კაცი, მკვლელის ხელს იყო ჩაფრენილი. სასწაულებრივი, შესანიშნავი დამთხვევის შედეგად, სწორედ მაშინ, როდესაც ბოროტმოქმედი დაეჭიდა განრისხებული პატარა ქმრის მოკუმულ ყბებს (ამ დროს ხალხმა უკვე შეგროვება დაიწყო) - ვიღაც მეოცნებე იტალიელი მეზობელ სახლში ჭურვს აცოდვილებდა და სრულიად შემთხვევით აუფეთქდა. ქუჩა მყისვე კვამლის, ჩამოცვნილი აგურებისა და გაქცეული ადამიანების ჯოჯოხეთურ ქაოსად გადაიქცა. აფეთქებას არავინ დაუსახიჩრებია (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მან ნოკაუტში ჩააგდო მამაცი პოლკოვნიკი ლაკური); შურისმაძიებელი მიჯნური სხვებთან ერთად გაიქცა, რის შემდეგაც ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრების გზა განვლო.

ახლა ვნახოთ, რა ხდება, როდესაც ბოროტმოქმედი თავად ცდილობს იდეალური მკვლელობის ჩადენას. სათვალისებრი ტბისკენ თავქვე დავეშვი. პატარა ყურესთან ჩვენ და კიდევ რამდენიმე „რიგიანმა“ ოჯახმა (ფარლომ, ჩატვილდებმა) საბანაო ადგილი შევარჩიეთ: ჩემს შარლოტას ეს ადგილი იმით მოსწონდა, რომ თითქმის „კერძო პლანს“ წარმოადგენდა. მობანავეთათვის (ან თვითმკვლელთათვის, როგორც რამზდელის ფურცელში ეწერა) საგანგებოდ კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი პლაჟი ტბის მარცხენა (ესე იგი, აღმოსავლეთ) რგოლში მდებარეობდა და ჩვენი ყურედან თითქმის არ ჩანდა. მარჯვნივ ფიჭვნარს ჭაობი ენაცვლებოდა, რის შემდეგაც, ნახევარწრის გავლით, დასავლეთი რგოლის მეორე მხარეს, ნაპირი კვლავ ფიჭვნარით იყო შემოსილი. ცოლის გვერდით ქვიშაზე ისე უჩუმრად დავვეშვი, რომ შეკრთა. „წყალში ჩავიდეთ?“ იკითხა. „ამ წუთას. ერთი კომბინაცია უნდა მოვიფიქრო“, ფიქრი განვაგრძე. წუთზე მეტმა დრომ განვლო. „კეთილი. ჩავიდეთ“. „ამ კომბინაციაში თუ ვმონაწილეობდი?“ „აბა როგორ!“ „კიდევ კარგი!“ თქვა შარლოტამ და წყალში შევიდა. მალე წყალმა მის მსუქან, ხორკლიან ბარძაყებამდე მიაღწია; შავი რეზინის ქუდი ძალზე უბრალო იერს ანიჭებდა; შეტყუპებული ხელისგულები წინ გაიშვირა, ტუჩები მაგრად მოკუმდა და ხმამაღლა დგაფუნით გაცურა. მოელვარე ტბას ნელ-ნელა მივარღვევდით. მოპირდაპირე მხარეს, ჩვენგან დაახლოებით ათას ნაბიჯზე (წყალზე სიარულის საშუალება რომ გვექონოდა) ორი ადამიანის პატარა გამოსახულება გავარჩიე. ისინი ბეჯითად მუშაობდნენ თავიანთ ნაკვეთზე. მათი ვინაობა ზუსტად ვიცოდი. ერთი იყო პოლონური წარმომავლობის გადამდგარი პოლიციელი, ხოლო მეორე - ყოფილი მეწყალსადენე, რომელსაც ტბის იმ მხარეს ტყის უმეტესი ნაწილი ეკუთვნოდა. ისიც ვიცოდი, რას აკეთებდნენ - სულელური გართობის მიზნით ხის ნავმისადგომს აშენებდნენ. უცნაურია, მაგრამ ვაკუნნი, ჩვენამდე რომ აღწევდა, ძალზე ხმამაღალი იყო და არ შეესაბამებოდა მათ პატარა ხელებსა და ხელსაწყოებს: შეიძლებოდა, გვეფიქრა, რომ ბგერითი ეფექტების გამგე ვერ მოურიგდა პუპენმაისტერს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ყოველი დარტყმის ხმა მის მხედველობით ხორცშესხმასთან შედარებით აგვიანებდა. „ჩვენი“ პლაჟის მოკლე ბაცი-ქვიშისფერი ზოლი - რომელსაც ახლა რამდენადმე დავცილდით და ღრმა წყალს მივადწიეთ - სამუშაო დღეებში უკაცრიელი იყო ხოლმე. გარშემო არავინ ჩანდა

ამ ორი თავგამოდებით მომუშავე ადამიანისა და მუქ-წითელი, კერძო თვითმფრინავის გარდა, რომელმაც მაღლა, ლურჯ ცაში გაიზუილა და გაქრა. სწრაფი, ბუყბუყიანი მკვლელობისთვის უკეთეს დეკორაციას ვერ მოიფიქრებდი, და აი, უფაქიზესი პუანტი: კანონის დამცველი და წყალგამყვანი იმდენად ახლოს იყვნენ, რომ უბედური შემთხვევის მოწმეები უნდა გამხდარიყვნენ და, ამასთან, საკმარისად შორს იმყოფებოდნენ, რათა ბოროტმოქმედება ვერ დაენახათ. ისინი საკმარისად ახლოს იყვნენ, რომ გაეგონათ, როგორ ითხოვდა შველას და განწირულად ყვიროდა წყალში აფართხალეული მობანავე და საკმარისად შორს იმყოფებოდნენ იმისთვის, რათა ვერ გაერჩიათ (თუკი დროზე ადრე გამოიხედავდნენ), რომ მობანავე დაბნეული კი არ იყო, არამედ ცოლის წყალქვეშ ჩატკეპნას ამთავრებდა. ეს სტადია ჩემთვის ჯერ მიუწვდომელი იყო. მინდა მხოლოდ ავიხსნათ მოქმედების სიმარტივე, დადგმის სიცხადე! მაშ ასე, შარლოტა ტლანქი გულმოდგინებით მიცურავდა (მეტად უხარისხო უნდინა გახლდათ) და სიამოვნების საზეიმო განცდით ტკბებოდა (მისი წყლის კაცი ხომ იქვე იყო); ყოველივე ამას - ქალის სველი სახის მზინვარე სითეთრეს (მზეზე ვერაფრით ვერ გაშავდა, თუმცა ძალიან ესწრაფვოდა ამას), და გაცრეცილ ტუჩებს, და შიშველ, ამოზურცულ შუბლს, და ვიწრო შავ ქუდს, და სველ, სავეს კისერს - მომავალი მოგონების თვითკმარი სიცხადით ვაკვირდებოდი (ასე ხდება, როდესაც საგნებს ისეთად აღიქვამ, როგორადაც შემდგომ გაიხსენებ). ვიცოდი, რომ საჭირო იყო, ოდნავ ჩამოვრჩენოდი, შემდეგ კოჭში ხელი ჩამეწყო და დატყვევებულ გვამთან ერთად ელვისებური სისწრაფით ჩამეყვინთა წყალში. ვამბობ „გვამთან- მეთქი“, ვინაიდან მოულოდნელობის, შიშისა და გამოუცდელობის ზეგავლენით საწყალი უნდინა ერთბაშად ჩაყალბავდა ტბის მომავდინებელი წყლის მთელ ვედროს, მე კი ერთ წუთს მაინც გავძლებდი წყალქვეშ, თანაც თვალდაუხუჭავად.

ჩაფიქრებული ბოროტმოქმედების წყვილიადაში საბედისწერო მოძრაობამ ჩამოვარდნილი ვარსკვლავის კუდივით გამიელვა თვალი. ასე უჭირავს ხოლმე მოცეკვავს პარტნიორი ქალის ფეხი მდუმარე თვალებით ბალებში და ისარივით სწრაფად ჩაეჭანება ნაყალბევ, მაგრამ დამაჯერებელ წყალქვეშა სიბნელეში. ჰაერის ჩასასუნთქად ამოვცურდებოდი (მას კვლავ წყალქვეშ დავაკავებდი), შემდეგ კი იმდენჯერ ჩავყვინთავდი, რამდენჯერაც ამის საჭიროება შეიქმნებოდა. მხოლოდ ფარდის საბოლოოდ დაშვებისას მივცემდი თავს ნებას, შველა მეთხოვა. და როდესაც ოციოდე წუთის შემდეგ მოპირდაპირე ნაპირზე მომუშავე ის ორი მამაკაცი თანაბარზომიერად გადიდდებოდა და ნიჩბიანი ნავით (რომლის ცალი მხარე ახლახან შეეღებათ) მომიახლოვდებოდა, კრუნჩხვის ან გულის შეტევის, ან ორივეს მსხვერპლი, საწყალი ქ-ნი ჰუმბერტი უკვე ყირამალა ჩაერჭობოდა მელნისფერ შლამში, სათვალთან-გველური ტბის სარკისებრი ზედაპირიდან ხუთი საჟენის სიღრმეზე. რა ადვილია, არა? მაგრამ, ჩემო ბატონებო, ამის შესრულება ჩემთვის აბსოლუტურად შეუძლებელი იყო! ის ჩემ გვერდით მიმდობი, მოუქნელი სელაპივით მიცურავდა და ვნების მთელი ლოგიკა ყურებში ჩამყვროდა: „ნუ იცდი!“. მე კი, ჩემო ბატონებო, არა და არ შემეძლო! მდუმარედ შევბრუნდი ნაპირისკენ და ისიც დინჯად, კეთილსინდისიერად გამომყვა. ყვირილისგან ხმაჩახლეჩილი ეშმაკი კვლავ თავის რჩევას იმეორებდა. მაინც ვერ ვაიძულე თავი, დამეხრჩო

უბედური, სველი, ჩათქვირული არსება. ყვირილი თანდათან მიწყნარდა, რადგან შევიგნე სამწუხარო ჭემმარტება, რომ ვერც ხვალ, ვერც პარასკევს და ვერც ერთ დღეს ან ღამით ვერ ვაიძულებდი თავს, ცოლი მომეკლა. ო, მშვენივრად წარმომედგინა, როგორ დავარღვევდი ვალეჩკას მკერდის სიმეტრიას უხეში გატყლაშუნებებით, ან როგორ მივაყენებდი მას სხვაგვარ ტკივილს. ასევე მკაფიოდ შემეძლო დამენახა, როგორ ჩავარჭობდი ტყვიას მუცელში მის საყვარელს, ის კი ამოიხვნეშებდა და ჩაჯდებოდა. მაგრამ შარლოტას ვერ მოვკლავდი - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მდგომარეობა არც ისე უიმედო იყო, როგორც იმ ამაზრუნენ დილას მეჩვენებოდა. ხელი რომ მეტაცა მისი ღონიერი ფეხისთვის (რომელსაც ის თავის დასახსნელად დაიქნევდა), მისი გაცეცხლებული მზერა რომ დამენახა, მისი საშინელი ყვირილი რომ გამეგონა და მაინც გადამეტანა ეს განსაცდელი, შარლოტას აჩრდილი არასოდეს მომასვენებდა. 1947 წლის ნაცვლად 1447 წელს რომ გვეცხოვრა, ჩემს დამყოლ ბუნებას იმით მოვატყუებდი, რომ ცოლს ბეჭედში ჩასმული ამოღრუებული აქატიდან ჭიქაში კლასიკურ შხამს ჩაუყრიდი და ტკბილ, საბედისწერო ბანგს დავალევივინებდი. მაგრამ ჩვენს ბურჟუაზიულ ეპოქაში, როდესაც ყველა ცხვირს ჰყოფს სხვის საქმეებში, ეს ისე უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა, როგორც წარსული დროის მიყრუებულ, ფარჩაკრულ დარბაზებში. ამჟამად მკვლეელი ქიმიკოსი უნდა იყოს. არა, არა, არც ერთი ვიყავი, არც - მეორე. ბატონო მსაჯულნო, მოწყალე ხელმწიფენო და არანაკლებ მოწყალე ქალბატონებო! ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულთა უმეტესობა სევდიანად ელტვის მოზარდ გოგონასთან მთრთოლვარე, ტკბილ-მკვნესარე, ფიზიკურ, მაგრამ არა აუცილებლად სქესობრივი აქტით შეზღუდულ ურთიერთობებს - ყველა ესენი არიან უწყინარი, უხეირო, პასიური, მორიდებული განკიცხულები, რომლებიც მხოლოდ ერთს რასმე სთხოვენ საზოგადოებას - კერძოდ, იმას, რომ მან ნება დართოს მათ, დაჰყვნენ თავიანთ სრულიად უწყინარ, აბერაციულ, როგორც ამბობენ ხოლმე, მიდრეკილებებს და ისე განახორციელონ სქესობრივი გარყვნილების კერძობითი, უმნიშვნელო, სასიამოვნოდ მწველი და უსიამოვნოდ ნესტიანი აქტები, რომ პოლიცია ან მეზობლები უხეშად თავს არ დაესხან. ჩვენ სქესობრივი ბოროტმოქმედები როდი ვართ! ძალადობას როდი მივმართავთ, როგორც ამას ყოჩადი ჯარისკაცები აკეთებენ ხოლმე. ბედშავი, მშვიდი, კარგად აღზრდილი ადამიანები გახლავართ ძალღური თვალებით. საკმარისი უნარი გამოვიმუშავეთ, რათა მოზრდილების გარემოცვაში ჩვენი ლტოლვები შევიკავოთ. ამასთან, ნიმფეტის შეხების შესაძლებლობა რომ მოგვეცეს, სიცოცხლის მრავალ, მრავალ წელს გავიმეტებდით. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მკვლელები არა ვართ არავითარი გაგებით, პოეტები არ ჰკლავენ! ო, ჩემო საწყალო შარლოტა, სიძულვილით ნუ მიყურებ შენი სამარადისო სამოთხიდან, რომელიც ასფალტის, რეზინის, ლითონისა და ქვის (მაგრამ, მაძლობა ღმერთს, არა წყლის, არა წყლის) ალქიმიურ ნაერთს შორის მდებარეობს. და მაინც, სასწაულით გადავურჩი განსაცდელს, ობიექტურად რომ ვთქვათ. ამის შემდეგ გამოვლინდა იდეალური მკვლელობის შესახებ ჩემ მიერ მოთხრობილი იგავის არსი. ხარბი მზის სხივებქვეშ დავსხედით ხაოიან პირსახოცებზე. შარლოტამ გარშემო მიმოიხედა, ბრეტელები შეიხსნა და პირქვე დაწვა, რათა მზისთვის მისი ზურგით პირის ჩატკბარუნების საშუალება მიეცა. მითხრა, რომ ვუყვარდი. ღრმად ამოიოხრა, გვერდით დაგდებულ

ხალათისკენ ხალი გაიწვდინა და მის ჯიბეში პაპიროსის კოლოფი მოძებნა. შემდგომ დაჯდა, გააბოლა. თავისი მარჯვენა მხარი შეათვალიერა. ბოლით გავსებული პირი გააღო და ძალუმი კოცნით დამაჯილდოვა. უცრად ჩვენს უკან, ბუჩქებიდან, ქვიშიან ფერდობზე ორი-სამი კენჭი ჩამოგორდა. „საძაგელი, მოთვალთვალე ბავშვები“, წაილაპარაკა შარლოტამ, დიდი შავი ლიფი გაისწორა და კვლავ მუცელზე გაწვა. „ამაზე პეტრე კრესტოვსკის მოველაპარაკებო“. ბილიკის გამოსასვლელთან ჩქამი მოისმა და ჯოანა ფარლო გამოჩნდა, თან მოლბერტი და სხვა ნივთები მოჰქონდა. „შეგვაშინე“, უთხრა შარლოტამ. ჯოანამ აუხსნა, რომ ფერდობის თავზე ხეების დარანში იჯდა. იქიდან „ბუნებას ზვერავედა“ (მზვერავეებს, ჩვეულებრივ, ხვრეტენ) და ცდილობდა, პეიზაჟი დაესრულებინა - მაგრამ არაფერი გამოვიდა, ნიჭი არ მეყოლო, აღიარა (რაც სრული სიმართლე გახლდათ). „თქვენ, ჰუმბერტ, თუ გისინჯიათ ხატვა?“ შარლოტამ, რომელიც ჯოანაზე ცოტათი ეჭვიანობდა, ჰკითხა, ჯონი მოვა თუ არაო? დიახ, მოვა. დღეს ის შინ საუზმობას აპირებდა. პარკინგტონში მანქანით მიმავალმა ცოლი აქ მოიყვანა და მალე უკან წაიყვანს. რა მშვენიერი დილაა! ის ყოველთვის მოღალატედ გრძნობს თავს, როდესაც ასე საუცხოო ამინდში მელამპიუსსა და კავალას შინ ტოვებს, დაბმულებს. ჯოანა თეთრ ქვიშაზე დაჯდა შარლოტასა და ჩემ შორის. მისი გრძელი, ყავისფერი ფეხები ჩემთვის დაახლოებით ისევე მიმზიდველი იყო, როგორც წაბლა ცხენის ტორები. გაღიმებისას ღრძილებს აჩენდა. „კინაღამ ჩემს ტბაში არ ჩაერთეთ?“ თქვა მან. „სხვათა შორის, ისეთი რამ შევნიშნე, რაც თქვენ არ შეგიძინებიათ. თქვენ (ჰუმბერტის მიმართ ითქვა) მაჯის საათის მოხსნა დაგავიწყდათ, დიახ, სერ, დაგავიწყდათ“. „უოტერპრუფია“ (ულტობია), ჩუმად წარმოთქვა შარლოტამ, ტუჩები თევზივით მომუწა. ჯოანამ ჩემი ხელი მუხლზე დაიდო და შარლოტას საჩუქარი შეათვალიერა, შემდეგ ჰუმბერტის ხელი კვლავ ქვიშაზე დადო, ხელისგულით ზემოთ. „ღმერთმა იცის, რისი დანახვა შეგეძლო ზემოდან“, კეკლუცად შენიშნა შარლოტამ. ჯოანამ ამოიოხრა. „ერთხელ, სადამოს“, თქვა მან, „დავინახე ბიჭი და გოგონა, რომლებიც სწორედ ამ ადგილას ენერგიულად ეძლეოდნენ სიყვარულს. გიგანტური ჩრდილები ჰქონდათ. მგონი, მოგიყვებით ლესლი ტომსონის შესახებ, რომელიც აქ განთიადზე შიშველი ბანაობს ხოლმე. ახლა გამუდმებით ველოდები, რომ შავი ათლეტის შემდეგ დედიშობილა გამოჩნდება მსუქანი კატლეტი, აივორ კულიტი (ჩვენი დანტისტი). ეს მოხუცი, სხვათა შორის,

წარმოუდგენელი ორიგინალია. ბოლოს, როდესაც მასთან ვიყავი, თავისი ძმისწულის შესახებ ძალზე უწმაწური ამბავი მომითხრო. თურმე - „აი, მეც მოვედი“ - გაისმა ჯონის ხმა.

21. გაბრაზებისას, ჩვეულებრივ, ვდუმვარ. ჩემი მრისხანებით აღსავსე, ცივი და თითქოს ხორკლიანი დუმილი ვალერიას ძალზე აშინებდა: „არ ვიცი, რაზე ფიქრობ, როდესაც ასეთი ხარ და ეს მაგჩეხს“, წუწუნებდა ის. ვცდილობდი, შარლოტა დუმილით დამესაჯა, მაგრამ ქალი, ვითომც არაფერიაო, კვლავ ღუღუნებდა, ან მდუმარე ქმარს ნიკაპზე ხელს ავლებდა. გასაოცარი არსება იყო! ვბურტყუნებდი - მეცნიერული ნაშრომი ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დავწერო-მეთქი და ჩემს ყოფილ ოთახს ვაფარებდი თავს; შარლოტა კი სულ უფრო ხალისიანად უვლიდა ჩვენს სახლს, ტელეფონით ტიტინებდა, წერილებს წერდა. ჩემი ფანჯრიდან ალვის ხის კროიალა, მოლივილივე ფოთლებს შორის ჩანდა, როგორ კვეთდა ის ქუჩას და ფოსტის ყუთში კმაყოფილი სახით აგდებდა მისს ფალენთან გასაგზავნად წერილს. მას შემდეგ, რაც სათვალისებრი ტბის მდუმარე ქვიშას ვწვივით, გაწვიმდა. ერთი კვირის განმავლობაში ბურუსიანი ამინდი იდგა. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე შავნელი დღეები. შემდეგ იმედის ორი-სამი მკრთალი სხივი აკიაფდა, რაც წინ უსწრებდა მზის საბოლოო გამობრწყინებას. მოვისაზრე, რომ მახვილი გონება მქონდა, რომელიც ჩინებულად მუშაობდა და ამით უნდა მესარგებლა. ვერ ვბედავდი ლოლიტას (რომელიც ყოველდღე სულ უფრო მეტად თბებოდა და ირუჯებოდა უიმედო შორეთში, ნათელი ცის ქვეშ) გამო ცოლის მიერ შემუშავებულ გეგმებში ჩარევას; და მაინც შემეძლო, მომეებნა რაიმე ძირითადი ხერხი ჩემი საერთო ავტორიტეტის განსამტკიცებლად, რასაც შემდეგ კერძო შემთხვევებში გამოვიყენებდი. ერთ სადამოს თვითონ მომცა საამისო საბაზი. „შენთვის სიურპრიზი მაქვს“, თქვა მან (წვნიანით სავსე კოვზი ეჭირა) და ალერსიანი მზერა მესროლა. „შემოდგომაზე ინგლისში მივემგზავრებით“.

აუჩქარებლად გადავყლაპე ერთი კოვზი სუპი, ტუჩები ვარდისფერი ქაღალდით გავიწმინდე (ო, გრილი, სიფრიფანა ტილოს თეთრეული ჩემს მირანაში!) და მივუგე: „მეც მაქვს შენთვის სიურპრიზი, ჩემო კარგო. მე და შენ არ მივემგზავრებით ინგლისში“. „რატომ? რა ხდება?“ იკითხა მან გაცილებით მეტი გაოცებით, ვიდრე მოველოდი, თან ჩემს ხელებს დააკვირდა (უნებურად კვეცავდი, ვხევდი, ვჭიმუჭნიდი და კვლავ ვხევდი უდანაშაულო ვარდისფერ ხელსაწმენდს). მაგრამ ჩემმა ღმილმა ცოტათი დაამშვიდა. „ყოველივე ძალზე მარტივია“, მივუგე მე. „თვით ისეთ

ჰარმონიულ ქორწინებაში, როგორც, მაგალითად, ჩვენია, ყველა გადაწყვეტილებას ცოლი როდი ღებულობს. ზოგიერთი საკითხი ქმარმა უნდა გადაწყვიტოს. მშვენივრად წარმომიდგენია ამაღლებელი სიამოვნება, რომელსაც შენ, ნორმალურ ამერიკელ ქალს მოგანიჭებდა ოკეანის გადალახვა იმავე ტრანსატლანტური გემით, რომლის მგზავრებიც იქნებიან ლედი ბიმბომი, ინგლისის მეფის ბიძაშვილი, და ბილ ბიმბომი, გაყინული ხორცის მეფე, ან კიდევ - ჰოლივუდელი როსკიპი. ეჭვი არ მეპარება, რომ ტურისტულ კანტორას შესანიშნავ რეკლამად გამოადგებოდა ასეთი სურათი: ლონდონში მეფის სასახლის მცველებს, ამ ჟოლოსფერ გვარდიელებს ვუმზერთ, შენ - დაუფარავი თავყანისცემით, მე - თავშეკავებული, შურიანი აღტაცებით. ევროპაზე, ინგლისის ჩათვლით, ალერგია მაქვს. ხომ კარგად იცი, რომ ძალზე სევდიანი მოგონებების გარდა, არაფერი მაკავშირებს ქვეყნიერების ძველ და საკმაოდ დამპალ ნაწილთან. ამ დამოკიდებულებას შენ ჟურნალების ვერავითარი ფერადი განცხადებები ვერ შეცვლის"... „ჩემო ძვირფასო“, თქვა შარლოტამ, „მერწმუნე, რომ -“ „არა, დამაცადე. ეს წვრილმანია, კერძო დეტალი; მე კი მინდა, განვაზოგადო. როდესაც მოისურვე, მუშაობის ნაცვლად მთელი დღეები ტბაზე გაგვეტარებინა, სიამოვნებით დაგთანხმდი და, შენი ხათრით, ბრინჯაოსფერი ახალგაზრდობის ერთ-ერთ წარმომადგენლად ვიქეცი, იმის მაგივრად, რომ ლიტერატურისმცოდნისა და... ვთქვათ, პედაგოგის საქმიანობა გამეგრძელებინა. როდესაც ფარლოსთან ბრიჯის სათამაშოდ მიგყავარ, თვინიერად მოგყვები ხოლმე. არა, თუ შეიძლება, დამაცადე. როდესაც შენ გადაწყვეტილებებს ღებულობ, მე, შეიძლება, წინააღმდეგი ვიყო, გადაჭრით - ან, ვთქვათ, ნაწილობრივ - წინააღმდეგი, მაგრამ ვდუმვარ. შემიძლია ცალკეული შემთხვევების უგულვებლყოფა, მაგრამ ზოგადი პრინციპის უგულვებლყოფა არ ძალმიძს. მიყვარს, როდესაც მბრძანებლობ, მაგრამ ყოველგვარ თამაშს თავისი პრინციპები აქვს. არა, არ ვბრაზობ. სულაც არ ვბრაზობ. ნუ შვრები ამას. მე ოჯახური კერის მოზიარეს წარმოვადგენ და საკუთარი სუსტი, მაგრამ გარკვეული ხმა გამაჩნია“. ამასობაში მან მაგიდასთან ჩემ მხარეს გადმოინაცვლა, ნელა, მაგრამ დაჟინებით აქნევდა თავს და მოვლილი ფრჩხილებით ჩემს შარვალს ეპოტინებოდა. მითხრა, რომ აზრადაც არ ჰქონია, ასე მოქცეულიყო. მითხრა, რომ მისი ღვთაება და მბრძანებელი ვიყავი. მითხრა, რომ ლუიზა უკვე წავიდა და შეგვეძლო, დაუყოვნებლივ მივეცემოდით სიყვარულს. მითხრა, რომ თუ არ ვაპატიებდი, მოკვდებოდა.

ამ პატარა ინციდენტმა მნიშვნელოვნად გამამხნევა. მშვიდად ვუპასუხე, რომ მთავარი პატიება კი არაა, არამედ - სწორი ქცევა; გადაწყვიტე, მიღწეული უპირატესობა განმეტკიცებინა და ამის შემდეგ დროის დიდი ნაწილი გამეტარებინა პირქუშ განმარტობაში, წიგნზე მუშაობაში, ანდა თავი ისე მომეჩვენებინა, თითქოს ვმუშაობდი. ჩემს ოთახში მდგარი საწოლი-ტახტი, კარგა ხანია, უბრალოდ, ტახტად გვემსახურებოდა (გუნებაში ის ასეთად დარჩა) და შარლოტამ ჩვენი თანაცხოვრების დასაწყისში გამაფრთხილა, რომ ოთახს თანდათანობით მწერლის ნამდვილ კაბინეტად გადააკეთებდა. „ბრიტანული ინციდენტის“ შემდეგ ორმა დღემ განვლო. ახალ და ძალზე მოხერხებულ სავარძელში ვიჯექი და მუხლებზე დიდი ტომი მედო, როდესაც შარლოტამ კარზე ბეჭდით დააკაკუნა და შემოგოგმანდა. როგორ არ ჰგავდა მისი მოძრაობები ჩემი ლოლიტას მოძრაობებს, როდესაც ეს უკანასკნელი, თავის საყვარელ, ჭუჭყიან, ლურჯ შარვალში ჩაცმული, ჩემთან შემოდოდა და ნიმფეტების ქვეყნიდან ხეხილის ბაღების სურნელება შემოჰქონდა. მოუხეშავი, და ზღაპრული, და ოდნავ ბიწიერი იყო; ბიჭური პერანგის ქვედა ღილებს არ იკრავდა; მაგრამ, ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ პატარა ჰეიზის სიფიცხისა და დიდი ჰეიზის მედიდურობის ქვეშ სიცოცხლის ერთი და იგივე (გემოთი და ხმით) ნაკადული ჩქეფდა. გამოჩენილმა ფრანგმა ექიმმა ერთხელ მამაჩემს უთხრა, რომ ახლო ნათესავების მუცლის ოდნავი ბუყბუყიც კი ერთი და იმავე მუსიკალური ტონისაა. ამგვარად, შარლოტა შემოგოგმანდა. გრძნობდა, რომ ჩვენ შორის ყველაფერი რიგზე ვერ იყო. წინა დღეს (ისევე, როგორც უფრო ადრე), როგორც კი დავეწყეთ, თავი მოვიმძინარე, დილით კი მის გაღვიძებამდე ავდექი. ალერსიანად მკითხა, ხელს ხომ არ გიშლიო. „ამ წუთას - არა“, ვუპასუხე და გოგონათა ენციკლოპედიის „კ“ ასოზე გადაშლილი ტომი მოვატრიალე - მსურდა, უკეთ დავეკვირვებოდი სურათს, რომელიც ჩამონაჭრის გასწვრივ იყო დაბეჭდილი. შარლოტა მაგიდას მოუახლოვდა (ის ნაყალბევი წითელი ხისა იყო და ერთი უჯრა ჰქონდა). მაგიდაზე ხელი დადო. მაგიდა ძალზე ულახათო გახლდათ, მაგრამ მის წინაშე არავითარი ბრალი არ მიუძღოდა. „დიდი ხანია, მინდა გკითხო“, თქვა მან (საქმიანი კილოთი, ყოველგვარი სიკეკლეუცის გარეშე), „რატომ კეტავ მაგიდას? გსურს, რომ კაბინეტში დავტოვოთ? ძალიან უშნო კია“. „თავი დაანებე“, გამოვცერი კბილებში. გერლ-სკაუტებთან ვიყავი კალგარიში. „გასაღები სადაა?“ „დამალულია“. „ოჰ, ჰუმპიკო...“ „აქ სატრფიალო წერილებია ჩაკეტილი“.

შარლოტამ დაჭრილი ქურციკის მზერა მტყორცნა, რომელიც ეგზომ მაშმაგებდა; ვერ გაეგო, ვხუმრობდი თუ არა. არ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა საუბარი, რამდენიმე წყნარი გადაფურცვლის განმავლობაში („კანადა“, „კანფეტი“, „კინო“) უფრო ფანჯრის მინას უცქერდა, ვიდრე მასში იყურებოდა და ბასრი, ჭიაფერის, ნუშისებრი ფრჩხილებით უკაკუნებდა. ორი წუთის შემდეგ („კრუხზე“ თუ „კუნელზე“) ის ჩემს სავარძელთან მოვიდა და შოტლანდიური შალის ქსოვილით შემოსილი ძალუმი გავით მის სახელურზე დაეშვა, სწორედ იმ სუნამოს სურნელში გამახვია, რომელსაც ჩემი პირველი ცოლი ხმარობდა. „თქვენ ბრწყინვალეხას ხომ არ სურს, შემოდგომა აი, აქ გაატაროს?“ მკითხა და ნეკით აღმოსავლეთის ერთ-ერთი შტატის ზედმეტად ლამაზ შემოდგომის პეიზაჟზე მიმითითა. „რატომ?“ (მკაფიოდ და დინჯად). მან მხარი აიჩეჩა. (ალბათ, ჰაროლდს უყვარდა წლის ამ დროს შვებულების აღება. ნადირობის სეზონი. თბილი ამინდი. პირობითი რეფლექსი შარლოტას მხრივ). „მგონი, ვიცი, სადაა ეს“, თქვა მან, თან თითი არ მოუცილებია. „მახსოვს, იქაურ სასტუმროს რომანტიკული სახელწოდება აქვს: „მოჯადოებულ მონადირეთა თავშესაფარი“. იქ შესანიშნავი კვებაა და ხელს არავინ უშლის ერთმანეთს“. ლოყით საფეთქელზე მომელამუნა. ვალეჩკა სწრაფად გადავაჩვიე ამას. „რაიმე განსაკუთრებული ხომ არ გინდა სადილად, ჩემო ძვირფასო? მოგვიანებით ჯონი და ჯოანა გვესტუმრებიან“. ამოვიხვნეშე. მან ქვედა ტუჩზე მაკოცა და მხიარულად მითხრა, ტორტს გამოვაცხოზო (იმ დროიდან, როდესაც მისი მდგმური ვიყავი, შემორჩა ლეგენდა, თითქოს შარლოტას ტორტებზე ჭკუას ვკარგავდი,) და ჩემი უსაქმურობის ამარა დამტოვა. გაშლილი წიგნი წესიერად დავდევი მის მიერ მიტოვებულ ადგილას (წიგნმა სცადა, ტალღისებურად გადაშლილიყო, მაგრამ ფანქარმა ეს მოძრაობა შეაჩერა). შევამოწმე, თავის ადგილას იყო თუ არა გასაღები: ის ინახებოდა საკმაოდ მოუხერხებელ ადგილზე, სახელდობრ, ძველი, მაგრამ ძვირადღირებული უსაფრთხო სამართებლის ქვეშ, რომელსაც მანამ ვხმარობდი, სანამ ცოლმა სხვა, უკეთესი და უფრო იაფი სამართებელი არ მიყიდა, საიმედოდ იყო თუ არა დამალული გასაღები ამ სამართებლის ხავერდის ბუდეში? ბუდე სკივრში იდო, სადაც საქმიან ქალაქებს ვინახავდი. ხომ არ შეიძლებოდა, უფრო საიმედოდ დამეცვა? გასაოცარია, რა ძნელია რაიმეს დამალვა - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცოლს გამუდმებით ადგილიდან ადგილზე გადააქვს ნივთები.

22. რამდენადაც მახსოვს, ჩვენი ბანაობიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე ყოველდღიურმა ფოსტამ მეორე მის ფალენის პასუხი მოიტანა. ის წერდა, რომ დის დაკრძალვის შემდეგ ეს-ესაა დაბრუნდა „წმინდა ალგებრის“ პანსიონატში. „ეფემია, არსებითად, ველარ გამოჯანმრთელდა ბარძაყის მოტების შემდეგ“. რაც შეეხება ქ-ნი ჰუმბერტის ქალიშვილს, მას პატივი აქვს, გვაუწყოს, რომ ამ წელიწადს უკვე გვიანაა, მაგრამ მას (ჯანსაღ ფალენს) ეჭვი თითქმის არ ეპარება, რომ შეძლებს გოგონას სკოლაში მიღებას, თუ ბ-ნი და ქ-ნი ჰუმბერტები იანვარში მიუყვანენ დოლორესს. როგორ მოვითქვი სული! მეორე დღეს, საუზმის შემდეგ, „ჩვენს“ ექიმს (სიმპათიურ უვიცს) ვეწვიე. ავადმყოფებთან მარჯვე მოპყრობა და ორი-სამი პატენტიაწი წამლისადმი სრული ნდობა წარმატებით ნიღბავდა მის სრულ გულგრილობას მედიცინის მიმართ. ის ფაქტი, რომ ლო რამზდელში უნდა დაბრუნებულიყო, მომავლის მღვიმეს აცისკროვნებდა და მსურდა, თავი სავსებით მომემზადებინა ამ მოვლენისათვის. სწორედ რომ ვთქვათ, კამპანიას მანამდე შევუდექი, სანამ შარლოტა თავის უმოწყალო გადაწყვეტილებას მიიღებდა. დარწმუნებული უნდა ვყოფილიყავი, რომ ჩემი თვალწარმტაცი გოგონას დაბრუნების შემდეგ ყოველ ღამეს, სანამ მას წმ. ალგებრა არ წამართმევდა, ორ ცოცხალ არსებას ისე საფუძვლიანად დავამინებდი, რომ მათ ძილს ვერავითარი ხმაური და ვერავითარი შეხება ვერ დაარღვევდა. ივლისის განმავლობაში შარლოტაზე (რომელსაც აბები დიდად უყვარდა) სხვადასხვაგვარი საძინებელი წამლებით ცდებს ვატარებდი. ბოლო დოზამ (მას ეგონა, რომ ეს ბრომის სუსტი პრეპარატი იყო, რომელიც ნერვებს აშოშმინებდა) ჩემი ცოლი თითქმის ოთხი საათით წააქცია. რადიოს მთელი ძალით ვაყვირებდი, სახეზე ფალიკური ფორმის ფარნის ძალზე კამკამა სხივს ვანათებდი. ხელს ვკრავდი, ვზელდი, ვჩქმეტდი, ვჩხვლეტდი, - და მისი მშვიდი და მძლავრი სუნთქვის რიტმს ვერაფერი არღვევდა. ამასთან, სულ უბრალო მოქმედებისგან - ლავიწზე კოცნისგან შარლოტამ მყისვე გაიღვიძა. ძალ-ღონით სავსესა და რვაფუნასავით მტაცებელ ქალს ძლივს დავუძვერი. მაშასადამე, არ ვარგა-მეთქი, ვიფიქრე. რაღაც უფრო საიმედო უნდა მეშოვა. როდესაც ექიმ ბაირონს ვუთხარი, რომ მისი ბოლო წამალი ჩემს უძილობას ვერ მოერია, თავიდან თითქოს არ დამიჯერა. მირჩია, კიდევ რამდენჯერმე დამეღია ის და წუთით გაფანტა ჩემი ყურადღება, როდესაც ოჯახური ფოტოსურათები მიჩვენა: დოლის ასაკის მომხიბვლელი გოგონა ჰყავდა; მივხვდი, რომ ჩემს მოტყუებას ლამობდა და მოვთხოვე, არსებულ საძინებელ წამალთაგან ყველაზე ძლიერმოქმედი გამოეწერა. მირჩია, გოლფი მეთამაშა, - მაგრამ ბოლოს და ბოლოს დამთანხმდა, მოეცა წამალი, რომელიც „აუცილებლად იმოქმედებდა“; ეს

ენაჭარტალა კაცი მივიდა კარადასთან და გამოიღო მინის სინჯარა, რომელშიც იისფერ-ლურჯი ვაზნები იდო (ერთ ბოლოზე მათ მუქი იისფერი ზოლი აჩნდა). ეს წამალი ახლახან დაემვათ გასაყიდად. ის განკუთვნილი იყო არა ნევრასტენიკებისათვის, რომელთაც საქმის მცოდნე ადამიანი ერთი ყლუპი წყლითაც დააწყნარებს, არამედ - მხოლოდ გამოჩენილ ხელოვანთათვის. ამ

უკანასკნელთა მარადიული სიცოცხლის უზრუნველსაყოფად ხომ დროდადრო რამდენიმე საათით სიკვდილია აუცილებელი. მიყვარს ექიმების გასულელება და, თუმცა შინაგანად ვზეიმობდი, აბების ჯიბეში შენახვისას მხრები სკეპტიკურად ავიჩიე. სხვათა შორის, მასთან ფიზიკურად ყოფნა მიხდებოდა. ერთხელ, სრულიად სხვა შემთხვევის გამო, სულელური შეცდომა დავუშვი - ჩემი უკანასკნელი სანატორიუმი ვახსენე. მომეჩვენა, თითქოს მან ყურები ცქვიტა. სულაც არ მინდოდა, რომ შარლოტას ან სხვა ვინმეს სცოდნოდა ჩემი წარსულის ამ პერიოდის შესახებ და სწრაფად ავუხსენი, რომ რომანის წერისას ზოგიერთი რამის საგიჟეებში შესწავლა მომიხდა. მაგრამ ჯანდაბას მისი თავი! ერთი რამ უეჭველია - გაიძვერას მშვენიერი გოგოცუნა ჰყავდა. უცნაურია - ისინი ახლა უკვე დაბერდნენ, ჩვიდმეტისანი არიან... მისგან რომ გამოვედი, მშვენიერ განწყობილებაზე ვიყავი. ცოლის ავტომობილს ცალი თითით ვმართავდი და მხიარულად მივისწრაფოდი შინისკენ. რამზდეღს, საერთოდ, სილამაზე არ აკლდა. ჭრიჭინობელები ხმაურობდნენ, ბულვარი ახლახან მოერწყათ. ჩვენს ციცაბო, აბრეშუმით გლუვ ქუჩაზე ჩავუხვიე. ამ დღეს როგორღაც ყოველივე ხელსაყრელად გვარდებოდა. ლურჯად და მწვანედ. ვიცოდი, რომ მზე კამკამებდა, რადგან სტარტერის მონიკელებული გასაღები მანქანის საქარე მინაში ირეკლებოდა; ისიც ვიცოდი, რომ ზუსტად ოთხის ნახევარი იყო, რადგან დავინახე, როგორ მიცუნცულებდა ვიწრო ტროტუარზე თეთრწინდებიანი და თეთრფეხსაცმლიანი მოწყალეების და, რომელიც დედაბერ ვიზავისთან ყოველდღე დადიოდა მასაჟისთვის. ყოფილი მეძველმანის ისტერიული სეტერი მანქანას ჩვეულებისამებრ შეებრძოლა დადმართზე და, ჩვეულებისამებრ, ადგილობრივი გაზეთი იდო პარმალზე, საითვენაც ის გადმოისროლა კენიმ. წინა დღეს შევწყვიტე გაუცხოების რეჟიმი, რომელიც თვითონვე დავუწყე ჩემს თავს და ახლა მხიარული ყიჟინით (რომელიც ჩემს მოსვლას მოასწავებდა) შევადე სასტუმრო ოთახის კარი. შარლოტა მაგიდასთან, კუთხეში იჯდა და წერილს წერდა. ჩემკენ თეთრკარაქისფერი კისრით და წაბლისფერი თმის შინიონით იყო მობრუნებული. ისევე ეცვა (ყვითელი ბლუზი და მუქი წითელი ფერის შარვალი), როგორც ჩვენი პირველი შეხვედრის დღეს. ჯერ კიდევ კარის სახელური მეჭირა და მისასალმებელი ყიჟინა გავიმეორე. შარლოტამ წერა შეწყვიტა. წამის განმავლობაში გაუნძრევლად იჯდა; შემდეგ ნელა მოტრიალდა სკამზე და იდაყვით მის გახუნეილ ზურგს დაეყრდნო. განცდებისგან სახე ისე შეცვლოდა, რომ არცთუ სასიამოვნო სანახავი იყო. „სამუღველი ქალბატონი ჰეიზი. ჯოჯოხეთის მამხალა, ბებერი კუდიანი, ბებერი... ყეყეჩი... ამ ბებერმა ყეყეჩმა ახლა ყველაფერი იცის... მან... მან...“ ჩემი მშვენიერი ბრალმდებელი შეჩერდა, ბალდამი და ცრემლი გადაყლაპა. სახელდობრ, რა თქვა ჰუმბერტ ჰუმბერტმა - ან რისი თქმა სურდა - ამას მნიშვნელობა არა აქვს. ქალმა განაგრძო: „თქვენ მხეცი ხართ. საზიზლარი, უნამუსო, უკეთური მატყუარა. თუ მომიახლოვდებით, ფანჯრიდან დავიკვივლებ. გამშორდით!“ ვფიქრობ, აქ კვლავ შეიძლება იმის გამოტოვება, რასაც 3. 3. ბურტყუნება.

„დღესვე წავალ აქედან. ეს ყველაფერი თქვენია. მაგრამ იმ წამხდარ გოგოს ვერასოდეს იხილავთ. გაეთრით ოთახიდან!“ მკითხველო, მე დავემორჩილე. ავედი ჩემს ექს-ნახევრად-კაბინეტში. ზღურბლზე დოინჯი შემოვიყარე. გაუნძრევლად, სრულიად მშვიდად ვუყურებდი გაუპატიურებულ მაგიდას: უჯრა გამოღებული იყო. ერთი გასაღები ჭუჭრუტანას ენით წამოსდებოდა და მასზე ეკიდა. კლიტის სხვა, შინაურული საღებელები მაგიდაზე ეწყო. კიბის ბაქანი გადავჭერი და ბალიშქვეშ შენახული დღიური აუღელვებლად ჩავიდე ჯიბეში. ამის შემდეგ ქვემოთ ჩავედი, მაგრამ შუაგზაზე შევჩერდი: ის ლაპარაკობდა ტელეფონით, რომლის მავთული იმ დღეს შემთხვევით სასადილო ოთახის შტეფსელში იყო ჩართული, სასტუმრო ოთახის კარის მახლობლად. მინდოდა, მომესმინა, რას ამბობდა: რომელიღაც შეკვეთა გააუქმა და სასტუმრო ოთახში შებრუნდა. სული მოვითქვი და წინკარიდან სამზარეულოში შევედი. იქ შოტლანდიური ვისკის ბოთლი გავხსენი (ჩემ ცოლი სკოტჩით ცდუნებას ვერ უძლებდა ხოლმე), შემდეგ სასადილო ოთახში გადავედი და ნახევრად ღია კარიდან შარლოტას ფართო ზურგს შევხედე. „ჩემს ცხოვრებასაც ანგრევ და საკუთარსაც“, ვუთხარი მშვიდად. „მოდი, საქმე ისე განვიხილოთ, როგორც ორ კულტურულ ადამიანს შეშვენის. ეს ყველაფერი შენი ჰალუცინაციაა. შენ ჰკუიდან შეიშალე, შარლოტა. შენ მიერ ნაპოვნი ჩანაწერები მხოლოდ რომანის მონახაზია. შენი და მისი სახელები შემთხვევით ვიხმარე. მხოლოდ იმიტომ, რომ პირველად მომივიდა თავში. იფიქრე ამაზე, მე კი

დასაღვეს მოვიტან!" მან არ მიპასუხა და არ მობრუნებულა. კვლავ სწრაფი ტემპით წერდა. ეს, ალბათ, მესამე წერილი იყო (ორი - უკვე დაწებებული, მარკებდაკრული, გამზადებული - მაგიდაზე ელაგა). სამზარეულოში შევტრიალდი. აქ ორი ჭიქა ავიღე (წმ. ალგებრაში? ლოლიტასთან?) და გამოვადე ელექტრული მაცივარი, რომელიც მრისხანედ მიბღაოდა, სანამ მისი გულიდან ყინულს ვიღებდი. ყველაფერი თავიდან უნდა დავწერო. გადაიკითხოს, დეტალები არ ეხსომება. უნდა შევცვალო. რომანის ნაწყვეტი დავწერო და ვაჩვენო, თუ მის დასანახად დავტოვო სადმე? რატომ წივიან ონკანები ზოგჯერ ასე საშინლად? საშინელი მდგომარეობაა, კაცმა რომ თქვას. ყინულის პაწია ბალიშები - შენი სათამაშო პოლარული დათუნისთვის გამოსადეგი ბალიშები, ლო! - ტკაცუნა, გულის გამგმირავ ბგერებს გამოსცემდნენ, როდესაც ონკანის ცხელი წყალი მათ ლითონის ფიჭიდან ათავისუფლებდა. ორივე ჭიქა ერთად დავდგი, შიგ ვისკი ჩავასხი და თითო უნცია სელტერის წყალი ჩავუმატე. სამწუხაროა, რომ ჩემი საყვარელი ჯინანასი აკრძალა. მაცივარმა დაიბღავლა და დაიგრუხუნა. ჭიქებით ხელში, სასადილო ოთახი გავიარე და სასტუმრო ოთახის კარებში (რომლებიც ახლა ოდნავ იყო გამოღებული, ისე, რომ იდაყვი ვედარ შევყავი) შევძახე: „სკოტჩი მოგიმზადე!" ამ გიჟმა ალქაჯმა არ მიპასუხა და ჭიქები ბუფეტზე დავდგი, ტელეფონის გვერდით, რომელიც ზუსტად ახლა აწკრიალდა:

„ლაპარაკობს ლესლი - ლესლი ტომსონი“, თქვა ლესლი ტომსონმა, სწორედ იმან, განთიადზე ბანაობა რომ უყვარდა: „მისის ჰუმბერტი, სერ, მანქანის ქვეშ მოჰყვა და სჯობს, მალე მოხვიდეთ“. ვუპასუხე - შეიძლება, გაღიზიანებულადაც - ჩემი ცოლი საღ-სალამათად არის-მეთქი; ჯერ კიდევ ყურმილი მეჭირა, კარი ბიძგით გავადე და ვთქვი: „აი, ლესლი ამბობს, შარლოტა, რომ მოგკლეს“. მაგრამ სასტუმრო ოთახში არანაირი შარლოტა არ იყო.

23. გარეთ გამოვვარდი. ჩვენი ციცაბო ქუჩის მოპირდაპირე მხარეს უჩვეულო სანახაობა წარმომიდგა: დიდ, შავ, პრიალა „პაკარს“ ტროტუარი (სადაც ვიღაცის მიერ დაგდებული პლედი აბურცულიყო) გადაეჭრა, მისს ვიზავის დამრეც გაზონზე ასულიყო, კარები ფრთებივით გაეშალა და მზის სხივებში ელვარებდა. მანქანის ბორბლები ბუქსში ღრმად ჩაფლულიყო. მის მარჯვენა მხარეს, ფერდობის კოხტად გათიბულ მდელოზე, გულაღმა იწვა საკმაოდ კარგად ჩაცმული (რუხი ორბორტიანი კოსტიუმი, თეთრკოპლებიანი ჰალსტუხი-ბაფთა) ბერიკაცი. ფეხები შეეტყუპებინა და ცვილისგან ჩამოსხმულ, ჩვეულებრივი ზომის გვამს წააგავდა. მსურს, მყისიერი შთაბეჭდილების ბიძგი, ელდა, განმუხტვა გამოვხატო სიტყვების მეშვეობით; ამასთან, ფურცელზე მათი მატერიალური დახვავება აბათილებს თვით ამ მყისიერებას და არღვევს სურათის მძაფრ ერთიანობას: პლედის პატარა ბორცვი, მანქანა, ბერიკაცი-მუშია, დედაბრის მასაჟისტი ქალი, რომელსაც ხელში ნახევრად ცარიელი ჭიქა ეჭირა და გახამებული კაბის შრიალით გარბოდა ვერანდისკენ - იქ, ალბათ, ბალიშებზე მიყრდნობილი, ტყვექმნილი, მიხრწნილი მისს ვიზავი მოთქვამდა, თუმცა, არც ისე ხამამღლა, რომ მეძველმანის სეტერის თანაბარზომიერი ყეფა ჩაეხშო. ძალი ადამიანთა ჯგუფებს შორის დამრწოდა: ხან ტროტუარზე უჯრედებიან საგანთან შეკრებილ მეზობლებთან მივბოდა, ხან ავტომობილს (რომლის დაჭერაც ბოლოს და ბოლოს მოახერხა) უბრუნდებოდა, ხანაც გაზონზე მოქუჩებულ ხალხში ერეოდა - მათ შორის იყვნენ ლესლი ტომსონი, ორი პოლიციელი და რქისსათვალისანი, ჩასკვნილი ვაჟბატონი. საგზაო პოლიცია სწრაფად იმიტომ გამოჩნდა (უბედური შემთხვევიდან

ორი წუთიც არ გასულიყო), რომ პატრული სწორედ იმ დროს საჯარიმო ბილეთებს ამაგრებდა იქვე ახლოს, შესახვევში წესის დარღვევით გაჩერებულ მანქანებზე. სათვალისანი კაცი „პაკარის“ მძღოლი იყო, - ფრედერიკ ბიელი-უმცროსი; მოცელილ ბალახზე მწოლიარე კაცი გახლდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოცელილი ბანკირი - ბიელის სამოცდაცხრამეტი წლის მამა, რომელსაც მასაჟისტმა ქალმა ის-ის იყო, წყალი დააღვეინა. მას გრძნობა კი არ დაუკარგავს, არამედ მხნედ და მეთოდურად იკრებდა ძალებს გულის მსუბუქი შეტევის ან მისი შესაძლებლობის შემდეგ. და, ბოლოს, ტროტუარის იმ ადგილას დაგდებული პლედი, სადაც ჩემს ცოლს არაერთხელ უკმაყოფილოდ უჩვენებია დაღრეცილი მწვანე ნაპრალეები, შარლოტა ჰუმბერტის დასახიჩრებულ გვამს ფარავდა. ქალს ბიელების ავტომობილი დაეჯახა (და შემდეგ რამდენიმე ფუტით გაათრია), როდესაც ის გზაზე გადარბოდა - მას მისს ვიზავის ნაკვეთის კუთხეში დადგმულ საფოსტო ყუთში სამი წერილი უნდა ჩაეგდო. ჭუჭყიან ვარდისფერ კაბაში ჩაცმულმა ეშხიანმა გოგონამ აკრიფა და გადმოძგა ეს წერილები, რომლებიც შარვლის ჯიბეში დავაქუცმაცე და ნაკუწებად ვაქციე. სამი ექიმი და ცოლ-ქმარი ფარლო მალე მოვიდნენ შემთხვევის ადგილას და განკარგულებების გაცემას შეუდგნენ. ქვრივი განსაკუთრებულ თავდაჭერილობას იჩენდა, არ ქვითინებდა და გვამისკენ არ

მიიწევდა (მართალია, ოდნავ ბარბაცებდა). პირს მხოლოდ იმისთვის აღებდა, რათა საჭირო ცნობები ეუწყებინა და მიცვალებულის ამოცნობის, გასინჯვისა და წასვენებისთვის აუცილებელი განმარტებები მიეცა. შარლოტას კეფა ძვლების, ტვინის, ბრინჯაოსფერი თმისა და სისხლის ნარევეს წარმოადგენდა. მზე ჯერ კიდევ კაშკაშებდა, როდესაც მეგობრებმა - კეთილმა ჯონმა და ნამტირალემა ჯოანამ - ქვრივი დოლის ოთახში შეიყვანეს და ლოგინში ჩააწვიეს; თვითონ კი, ახლოს რომ ყოფილიყვნენ, ღამის გასათევად ჰუმბერტების საძინებელ ოთახში მოეწვივნენ. არ ვიცი, იმდენად ზნეობრივად გაატარეს ღამე თუ არა, როგორც ამას საგანგებო შემთხვევა მოითხოვდა. ალბათ, ამ ძალზე სპეციალური ხასიათის თხზულებაში არ უნდა შევჩერდე ფორმალობებზე, რომლებიც წინ უსწრებდა დაკრძალვას; არც დაკრძალვა უნდა აღვწერო, - მან არანაკლებ სადად ჩაიარა, ვიდრე არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოწყობილმა ქორწილმა. ამასთან, იმ ოთხი- ხუთი დღის რამდენიმე ეპიზოდი მაინც უნდა გავიხსენო. დაქვრივების პირველ ღამეს ძალზე დავთვერი და იმ ბალღევით ღრმად ჩამეძინა, რომელსაც ამ ლოგინში ადრე ეძინა ხოლმე. მეორე დილას პირველ რიგში ჯიბეში ჩარჩენილი წერილების ნაფლეთები დავათვალიერე. ისინი ისე საფუძვლიანად იყო დანაწევრებული, რომ ვერ შევძელი მათი დალაგება სამ დასრულებულ ტექსტად. ვფიქრობ, რომ სიტყვები „...კეთილინებე და იპოვე ის, რადგან არ შემძლია, გიყიდო...“ ლოსადმი მიმართულ წერილს განეკუთვნებოდა. სხვა ნაკუწები თითქოს მიუთითებდა შარლოტას განზრახვაზე, ლოსთან ერთად პარკინგტონში ან პისკიში გაქვეულიყო, რათა მერას არ მოეტაცა მისი ძვირფასი კრავი. სხვა ნაკუწები და ნაფლეთები (რა ღონიერი ჭანგები მქონია!) აშკარად გამოხატავდა თხოვნას, მიეღოთ გოგონა არა წმ. ალგებრის პანსიონატში, არამედ სხვა დახურულ სასწავლებელში. ამ უკანასკნელის შესახებ ამბობდნენ, რომ მისი აღმზრდელითი მეთოდები მეტად მკაცრი, ერთფეროვანი და

უსულგულყო იყო (თუმცა პროსპექტში ნახსენები იყო „თელამუმების ჩრდილში კროკეტის თამაში“) და სკოლას დამსახურებულად შეარქვეს „კეთილშობილ ქალთა გამოსასწორებელი სასწავლებელი“. ბოლოს, მესამე წერილი უეჭველად ჩემთვის იყო განკუთვნილი. გავარჩიე ფრაზების ისეთი ნაწყვეტები, როგორიცაა: „...შეიძლება, ერთი წლის დაცილების შემდეგ ჩვენ...“; „...ო, ჩემო საყვარელო, ო, ჩემო...“; „...ან, შეიძლება, მოვკვდე...“, მაგრამ, საერთოდ, ის, რაც მოვარგოვე, საკმაოდ უშინაარსო იყო. ამ სწრაფად დაწერილი უსტარების განსხვავებული ნაწილები ისევე არეული იყო, როგორც საბრალო შარლოტას ტვინი. ჯონს იმ დღეს კლიენტთან შეხვედრა ჰქონდა დანიშნული, ჯოანას კი ძაღლები უნდა დაეპურებინა. ასე რომ მეგობრები ცოტა ხნით დამშორდნენ. ამ კეთილ ადამიანებს ეშინოდათ, უპატრონოდ მიტოვებისას თავი არ მომეკლა. სხვა ნაცნობებს არ ეცალათ (მისს ვიზავი ლოგინად ჩავარდა, მაკ-კუს ოჯახი შორეულ რაიონში სახლს იშენებდა, ჩატფილდები ახლახან გამოიძახეს ჩრდილოეთის ერთ-ერთ შტატში, სადაც მათ ნათესავს უბედურება შემთხვა), ამიტომ ჩემთან ლუიზა გამოგზავნეს, იმ საბაბით, რომ ის უამრავი დაობლებული ნივთის გადარჩევასა და დალაგებაში მომეხმარებოდა. შთაგონების შესანიშნავ წუთებში კეთილ, მიმნდობ ჯონსა და ჯოანას (მათთან ერთად ლესლის ვუცდიდი - ის ლუიზასთან უნდა მისულიყო ფასიან პაემანზე) შარლოტას ნივთებში ნაპოვნი ფოტოსურათი ვუჩვენე: კაჭარზე მდგარი, ქარისგან თმაგაწეწილი ქალი ილიმებოდა. ფოტოსურათი 1934 წლის აპრილში, ღირსსახსოვარ გაზაფხულზე იყო გადაღებული. იმ წელიწადს ჩემი საქმეების მოსაგვარებლად ამერიკაში ჩამოვედი, პისკიში რამდენიმე თვე გავატარე, შარლოტა გავიცანი და მასთან წინდაუხედავი რომანი გავაბი. სამწუხაროდ, მეუღლე მყავდა, შარლოტა კი ჰეიზის საცოლე იყო...

ევროპაში ჩემი დაბრუნების შემდეგ, აწ გარდაცვლილი ერთი მეგობრის დახმარებით, მიწერ-მოწერა გავაბით. ჯოანამ წაიჩურჩულა, რომ ყური მოჰკრა ზოგიერთ ჭორს - შემდეგ სურათი კვლავ შეათვალიერა და ჯერ კიდევ აკვირდებოდა, როდესაც ჯონს გადასცა, და ჯონმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო, და დააცქერდა მშვენიერ, ქარაფშუტა შარლოტა ბეკერს, და ფოტოსურათი დამიბრუნა. შემდეგ მათ რამდენიმე საათით დამტოვეს. კმაყოფილი ლუიზა სარდაფში კუჭკუჭებდა და კავალერს ტუქსავდა. ჯონისა და მისი ცოლის წასვლისთანავე ლურჯნიკაპიანი მღვდელი მესტუმრა - და შევეცადე, ინტერვიუ მინიმუმამდე დამეყვანა, ისე, რომ არ შეურაცხმეყო მისი გრძნობები ან ეჭვი არ აღმემრა. დიახ, ვაპირებ, მთელი სიცოცხლე ბავშვის კეთილდღეობისთვის ზრუნვას მივუძღვნა. აი პატარა ჯვარი, რომელიც შარლოტა ბეკერმა მარუქა ახალგაზრდობისას. ნიუ-იორკში ბიძაშვილი მყავს. ამ დარბაისელ შინაბერასთან ერთად დოლისთვის კარგ კერძო სკოლას მოვძებნი. ო, მზაკვარო ჰუმბერტო! ლესლისა და ლუიზას წინაშე გავითამაშე არაჩვეულებრივად ხმამაღალი საქალაქთაშორისო მონოლოგი (სამართლიანად ვივარაუდე, რომ ისინი ჯონსა და ჯოანას მოახსენებდნენ ამის შესახებ), თითქოს ტელეფონით დავუკავშირდი შერლი ჰოლმსს, ბანაკ „კუ“-ს უფროსს. როდესაც ჯონი და ჯოანა დაბრუნდნენ, ადვილად მოვატყუე ისინი - განზრახ აღვლევებული

ხმით, დაბნეულად წავიბუტბუტე, ლოლიტა, შუალედურ ჯგუფთან ერთად, ხუთდღიან ექსკურსიაზე წასულა და ვერაფრით დაუკავშირდი-მეთქი. „ღმერთო ჩემო“, წამოიძახა ჯოანამ, „რაღა ვქნათ?“ ჯონმა მითხრა, რომ ყოველივეს მოაგვარებდა - იქაურ პოლიციას დაუყოვნებლივ მოამბნინებდა ექსკურსანტებს - ამას ერთი საათიც კი არ დასჭირდებოდა. ამასთან, ის თვითონაც კარგად იცნობდა იმ ადგილებს და... „ყური დამიგდე“, თქვა მან. „შემიძლია, ახლავე გავემგზავრო იქ ავტომობილით, თქვენ კი ამასობაში ჯოანასთან ისიამტკბილეთ“ (სინამდვილეში უკანასკნელი ფრაზა არ დაუმატებია, მაგრამ ჯოანამ ისეთი აღფრთოვანებით დაუჭირა მხარი ამ წინადადებას, რომ ეს შეიძლებოდა გვეგულისხმა), ისტერიკა გავითამაშე. ვაფიცვბდი ჯონს, არაფერი მოემოქმედა. ვუთხარი, რომ ვერ ავიტანდი ატირებულ გოგონას, რომელიც მე ჩამებლაუჭებოდა; მივანიშნე, რომ მგრძობიარე ბავშვის მომავალზე, ალბათ, გავლენას მოახდენდა ასეთი ელდა, ფსიქიატრებმა გააანალიზეს მსგავსი შემთხვევები... ანაზდად სიჩუმე ჩამოვარდა. „კარგი, ეს თქვენი საქმეა“, წაილაპარაკა ბოლოს ჯონმა საკმაოდ ცივად... „მაგრამ მე ხომ, ბოლოს და ბოლოს, შარლოტას მეგობარი და მრჩეველი ვიყავი. საერთოდ, მინდა ვიცოდე, რას უპირებთ გოგონას“. „ჯონ!“ წამოიძახა ჯოანამ, „ის მისი ქალიშვილია და არა ჰაროლდ ჰეისისა. ნუთუ ვერ მიხვდი? საწყალი ჰუმბერტი - დოლის მკვიდრი მამაა!“ „მესმის“, თქვა ჯონმა და ჩემკენ მოტრიალდა. „მაპატიეთ. მესმის. აი, თურმე რაშია საქმე. უცებ ვერ მოვისაზრე. ეს, რა თქმა უნდა, ამარტივებს საქმის ვითარებას. როგორც გული გიკარნახებთ, ისე მოიქცით“. ღრმად დამწუხრებულმა მამამ განუმარტა, რომ ცოლის დაკრძალვისთანავე ქალიშვილთან გაემართებოდა, შემდეგ კი სრულიად ახალ გარემოცვაში მის გართობას შეეცდებოდა. შესაძლოა, ახალ მექსიკაში ან კალიფორნიაშიც ამოეყო თავი, თუკი, რა თქმა უნდა, მანამდე სიცოცხლეს არ მოისპობდა. უკიდურესი სასოწარკვეთილების გამოსახატავად ისე ოსტატურად გავირინდე, გაუგონარი გაშმაგების წინ ისე დამაჯერებლად გავყუჩდი, რომ ამ უნაკლო ცოლ-ქმარმა თავის სახლში წამიყვანა. ამერიკელთათვის უჩვეულოდ კარგი ღვინო ჰქონდათ, რამაც ძალა შემმატა. მეშინოდა უძილობისა - და აჩრდილისა. ახლავე აგიხსნით ჰემმარიტ მიზეზს, რის გამოც დოლორესის შორს ყოფნა ვამჯობინე. შარლოტას ლიკვიდირების შემდეგ შინ დაბრუნებისას მარტოხელა მამის როლში აღმოვჩნდი და სულმოუთქმელად გადავყლაპე ჩემ მიერ მომზადებული ორი ჭიქა ვისკი, და მაშინვე დავაყოლე ჩემი ჯინანასის ერთი-ორი პინტა, და მეზობელთა და მეგობართაგან თავის

დასაცავად სააბაზანოში ჩავიკეტე. ცხადია, გონებასა და სისხლში ერთი რამ მიტრიალებდა: სულ რამდენიმე საათის შემდეგ თბილი, ქერათმიანი და მთლიანად, მთლიანად ჩემი ლოლიტა ჩემს მკლავებში ატირდებოდა, მე კი კოცნით უფრო სწრაფად შევეშურობდი ცრემლებს, ვიდრე ისინი თვალებზე მოადგებოდა. სანამ სარკეში საკუთარ გაწითლებულ სახესა და გუგებგავართობულ თვალებს ვუმხერდი, ჯონ ფარლომ მორიდებით მომიკაკუნა და იკითხა, ხომ არაფერი გიჭირთო. მაშინვე ვიაზრე, რომ ჩემი მხრივ სიგიჟე იქნებოდა, ამ სახლში ლოლიტას დაბრუნება დამეშვა. აქ ხომ ამდენი უცხო მზრუნველი იყო, ვინც გოგონას წამართმევდა. თვით ახირებულ ლოსაც შეეძლო - ვინ იცის? - უცერად გამოემქლავნებინა სულელური უნდობლობა, მოულოდნელი სიძულვილი, ბუნდოვანი შიში და ასე შემდეგ - რის შედეგადაც, სწორედ საზეიმო წუთში, სამუდამოდ გამოვეშვიდობებოდი ჯადოსნურ ჯილდოს. სიტყვამ მოიტანა და კიდევ ერთი აბეზარი სტუმარი მეწვია. ეს იყო თავაზიანი ბიელი (სწორედ ის, რომელმაც ჩემი ცოლის ლიკვიდირება განახორციელა). ამ დარბაისელსა და სერიოზულ კაცს სქელჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, ბულდოგისმაგვარი დრუნჩი, პატარა, შავი თვალები და ამოტრიალებული ნესტოები ჰქონდა. რატომღაც ჯალათის თანაშემწეს მაგონებდა. ჯონმა ის შემოუშვა, შემდეგ მარტო დაგვტოვა და უდიდესი ტაქტით მიიხურა კარი. თავაზიანმა სტუმარმა ძალდაუტანებლად მაუწყა, რომ მისი ტყუპები ჩემს გერთან ერთად სწავლობდნენ. შემდეგ გრაგნილივით გაშალა დიდი დიაგრამა, რომელზეც კატასტროფის ყოველი წვრილმანი აღენიშნა. ამ „გადასარევ“ (როგორც ჩემი გერი იტყოდა) დიაგრამაზე სხვადასხვა ფერის მელნით უამრავი შთამბეჭდავი ისარი და წყვეტილი ხაზი იყო გავლებული. ქ-ნი ჰ. ჰ.-ს გადაადგილების ტრანექტორია ბიელს პატარა სილუეტების სერიით დაესურათებინა; სილუეტები წააგავდა სიმბოლურ პაწაწა ფიგურებს - ქალთა სამხედრო-დამხმარე კორპუსის საკადრო მონაწილეებს - რომლებსაც სტატისტიკაში თვალსაჩინოებისთვის იყენებენ ხოლმე. ეს გზა ძალზე თვალნათლივ და დამაჯერებლად კვეთდა გაბედულად გახაზულ კლავნილს, რომელიც ავტომობილის ორჯერად მოხვევას გამოსახავდა. პირველი მოხვევისას ბიელის მანქანამ აიციდინა მეძველმანის სეტერთან (ის დიაგრამაზე ნაჩვენები არ იყო) შეტაკება, მეორე - გაზვიადებულად იმეორებდა პირველს და, თურმე, მიზნად ისახავდა უბედურების თავიდან აცილებას. მოზრდილი შავი ჯვარი აღნიშნავდა იმ ადგილს, სადაც კოხტა პატარა სილუეტები ბოლოს და ბოლოს ტროტუარზე დაწვა. ამგვარი ნიშანი არ იყო დასმული ფერდობზე, სადაც ჩემი სტუმრის

მამის აღმნიშვნელი, ცვილისგან ჩამოსხმული ვეება ფიგურა განისვენებდა. ამ მოხუცმა (როგორც შემთხვევის მოწმემ) ხელი მოაწერა დოკუმენტს ლესლი ტომსონის, მისს ვიზავისა და სხვათა ხელმოწერებს ქვემოთ. ფრედერიკის ფანქარი კოლიბრის სიზუსტით და სილაღით დაფრინავდა ერთი პუნქტიდან მეორისაკენ. ის ააშკარავებდა თავის სრულ უდანაშაულობას და ჩემი ცოლის უგუნურ წინდაუხედაობას: იმ წამს, როდესაც ფრედერიკმა ძაღლს გვერდი აუარა, შარლოტას ფეხი დაუცდა ახალმორწყულ ასფალტზე და პირქვე დაეცა, მაშინ, როდესაც უკან უნდა დაეხია (ფრედმა მიჩვენა, სახელდობრ, როგორ უნდა მომხდარიყო ეს და ღონივრად დაიქნია ბამბით დატენილი მხრები). მივუგე, რომ ის, რა თქმა უნდა, უდანაშაულო იყო და გამოძიებამ დაადასტურა ჩემი შეხედულება.

ფრედერიკმა დაღვრემით დააქნია თავი და ხელი ჩამომართვა. დაძაბული შავი ნესტოებით ძალუმად ქმინავდა; შემდეგ დახვეწილობა და ჯენტლმენის შესაფერი გულუხვობა გამოიჩინა და შემომთავაზა, დამკრძალავი ბიუროს ხარჯებს გადავიხდით. ეგონა, უარს ვეტყვოდი. მთვრალი კაცისთვის დამახასიათებელი სლუკუნით დავეთანხმე. მან ყურებს არ დაუჯერა და მკაფიოდ გამიმეორა ადრე ნათქვამი, მე კვლავ მადლობა მოვახსენე, კიდევ უფრო მხურვალედ, ვიდრე ადრე. ამ, ცოტა არ იყოს, საზარელი პაემნის შემდეგ ჩემი სულიერი უშფოთველობა წუთით დაირღვა. რა გასაკვირია! საკუთარი თვალთ ვიხილე ბედისწერის მაკლერი; ხელით შევეხე თვით ბედისწერის სხეულს - და მის ბუტაფორულ მხარს. განხორციელდა ბრწყინვალე და შემამრწუნებელი მუტაცია და, აი, მისი იარაღი. ნახატის რთულ დეტალებში მოჩქარე დიასახლისი, მოლიპული ქვაფენილი, ანჩხლი ძაღლი, ციცაბო დაღმართი, დიდი მანქანა, საჭესთან მჯდომი ყვეყი) ბუნდოვნად გავარჩიე ჩემ მიერ შეტანილი ბილწი წვლილი. სისულელის (ან ინტუიტიური გენიალობის) წყალობით დღიური რომ არ შემომენახა, მისი წაკითხვის შურისმგებლური გულისწყრომისა და აგზნებული თავმოყვარეობის ზეგავლენით გამოყოფილი თვალის ტენი არ დააბრმავებდა შარლოტას, როდესაც ის ფოსტის ყუთისკენ გარბოდა. თუმცა, მაინც არაფერი მოხდებოდა, შეუცდომელ ბედისწერას (სინქრონიზატორ აჩრდილს) თავის რეტორტაში რომ არ შეერია ავტომობილი, ძაღლი, მზე, ჩრდილი, ტენი, სისუსტე, ძალა, ქვა. მშვიდობით, მარლენა! ბედისწერამ ხელი ჩამომართვა (რაც ბიელმა ღონივრად გაიმეორა გამომშვიდობებისას) და დაარღვია ჩემი უდრტვინველობა. ავქვითინდი. ბატონო და ქალბატონო მსაჯულებო, მე ავქვითინდი!

24. როდესაც გამგზავრების წინ უკანასკნელად მივიხედ-მოვიხედე, თელამუშები და ალვები მოლივლივე ზურგს აქცევდნენ უეცრად ამოვარდნილ ქარს, საავდრო შავი ღრუბელი კი თავს ადგა რამზდელის ეკლესიის თეთრ კოშკს. ვტოვებდი მკვდრისებრ ფერმკრთალ სახლს, სადაც სულ ათიოდ კვირის წინ ოთახი ვიქირავე, და იღუმალი თავგადასავლებსთვის ვემზადებოდი. უკვე ჩამოშვებული იყო ჟალუზი - ბამბუკის იაფფასიანი, პრაქტიკული ჟალუზი. „ვერანდებსა და სახლის შიდა მორთულობას მოდერნულ დრამატულ ხასიათს ანიჭებს მათი საუცხოო მასალა“, ნათქვამი იყო პრეისკურანტში. ამის შემდეგ ციურ სავანეს საკმაოდ გამარცხული იერი უნდა მისცემოდა. ხელზე წვიმის წვეთები დამეცა. სანამ ჯონი ჩემს ჩემოდნებს მანქანაში აწყობდა,

სახლში რაღაცისთვის შევბრუნდი და კურიოზული ამბავი შემემთხვა. არ ვიცი, ამ სევდიან ჩანაწერებში საკმარისად მკაფიოდ მივუთითე თუ არა განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, მომნუსხველი ზემოქმედების შესახებ, რომელსაც ავტორის ეშხიანი ფსევდო-კულტური, მაიმუნისებრ მომხიბვლელი, მამაკაცური (ოდნავ ბიჭურიც) გარეგნობა ახდენდა ნებისმიერი ასაკისა და წოდების ქალზე. რა თქმა უნდა, საკუთარი მონაცემების ასეთი აღიარება შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ; მაგრამ დროდადრო იძულებული ვარ, შევახსენო მკითხველს ჩემი გარეგნობა. როდესაც ამა თუ იმ პერსონაჟს მანჭვა სჩვევია, ან თუ მას ძაღლი ჰყავს, პროფესიონალი რომანისტი ყოველთვის იძულებულია, მიუთითოს ამ მანჭვაზე ან ძაღლზე, როდესაც მოცემული პერსონაჟი მოქმედებაში ერევა. ჩემ მიმართ ეს ხერხი, ალბათ, ღრმა მნიშვნელობას იძენს. ჩემი სახის პირქუში ხიბლი ყოველთვის უნდა იგულისხმებოდეს იმ მკითხველის თვალთახედვის არეში, რომელიც ამ თავგადასავლის ჭეშმარიტი არსის წვდომას ესწრაფვის. მცირეწლოვანი ლო ისევე იბნიდებოდა ჰუმბერტის შარმისგან, როგორც - აღზნებული მუსიკისგან; მოწიფულ ლოტას ვუყვარდი ძალუმი ვნებით, რომლის მიმართ ახლა სიბრალულს ან გაცილებით მეტ პატივისცემას განვიცდი, ვიდრე ამის გამოთქმის უფლება მაქვს. ოცდათერთმეტი წლის ჯოანა ფარლოს, რომელიც ნამდვილი ნევრასტენიკი იყო, მგონი, უზომოდ შევუყვარდი. მისი სილამაზეში შეიმჩნეოდა მკვეთრი, ინდიელებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მზისგან ყავისფრად იყო გარუჯული. ტუჩები დიდ წითელ ლოქორებს მიუგავდა და როდესაც მისთვის ჩვეული ყეფისმაგვარი სიცილი აუტყდებოდა

ხოლმე, მსხვილ, მქრქალ კბილებსა და მკრთალ ღრძილებს აჩენდა. ძალზე მაღალი იყო. სანდლებსა და ვიწრო შარვლებს ატარებდა, ან კიდევ ფართო ქვედატანსა და საბალეტო ფეხსაცმელს იცვამდა; სკოტჩს ნებისმიერი რაოდენობით სვამდა, ორჯერ მოეშალა მუცელი, თხზავდა საყმაწვილო მოთხრობებს ცხოველებზე; ხატავდა (რაც ჩემი მკითხველისთვის ცნობილია) ტბის ხედებს; სხეულში უკვე ატარებდა კიბოს ჩანასახს, რისგანაც ორი წლის შემდეგ გარდაცვალება ეწერა. ის, ჩემი აზრით, ძალზე შეუხედავი იყო და, თვითონ განსაჯეთ, როგორ შემეშინდა, როდესაც გამგზავრებამდე რამდენიმე წამით ადრე (წინკარში ვიდექით) ჯოანას მოკამკამე ლურჯ თვალებში ცრემლი აუკიაფდა, შემდეგ თავისი ყოველთვის მთრთოლვარე თითები საფეთქლებზე წამავლო და საკმაოდ წარუმატებლად დამაცხრა ტუჩებზე. „თავს გაუფრთხილდით - მითხრა მან, - და თქვენი ქალიშვილი დამიკოცნეთ“. მთელ სახლში მეხის გრგვინვა გაისმა და ჯოანამ დასძინა: „შეიძლება, სადმე, ოდესმე, უკეთეს ვითარებაში კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს“ (ჯოანა! რასაც უნდა წარმოადგენდე ახლა, სადაც უნდა იმყოფებოდე, მინუს-სივრცესა თუ პლუს-დროში, შემინდე ყოველივე - ამ ფრჩხილების ჩათვლით). ერთი წუთის შემდეგ ცოლ-ქმარს უკვე ვემშვიდობებოდი ქუჩაში, ციცაბო ქუჩაში, და ყველაფერი ბზრიალებდა და დაქროდა თეთრი მერების მოლოდინში, და ფურგონი, რომელსაც ფილადელფიიდან გამოგზავნილი ლეიბი მოჰქონდა, თავდაჯერებით მოგორავდა

დადმართზე, დაცარიელებული სახლისკენ, და მტვერი ფარფარებდა და იკლავებოდა ტროტუარის სწორედ იმ ფილაზე, სადაც, პლედის ახდის შემდეგ, მოკუნტული შარლოტა დავინახე. თვალები უვნებლად გადარჩენოდა, ჯერ კიდევ ნამიანი წამწამები კი შენი წამწამებივით შესწებებოდა, ლოლიტა!

25. ახლა, როდესაც ყველა დაბრკოლება გადავლახე და ჩემ წინ უსაზღვრო ნეტარების პერსპექტივა გადაიშალა, შეემძლო, ტკბილი, შვების გამომხატველი ოხვრით მოვდუნებულიყავი. Et bien, pas du tout[50]. იმის ნაცვლად, რომ მოლიმარი ბედის სხივებში მენებივრა, წმინდა ეთიკური ხასიათის ექვები და შიში ამეკვიატა. მაგალითად: ადამიანებს უცნაურად ხომ არ მოეჩვენებათ, რომ ლოლიტა ჯიუტად არ დავასწართ ოჯახის არც სასიხარულო და არც სამგლოვიარო მოვლენებს? როგორც გახსოვთ, ის არ იყო ჩვენს ქორწილში. ანდა, აი კიდევ რა: თუ მივიჩნევ, რომ სრულიად უდანაშაულო ქალი თანხვედრის საიდანდაც გამოშვერილმა გრძელმა, ბანჯგვლიანმა ხელმა ამაცილა, განა მას არ შეემძლო, ურჯულოების წუთებში მისივე მარჯვენა ხელით ნამოქმედარი დაევიწყებინა და ლოლიტასთვის მარცხენა ხელით გადაეცა ვიღაცის მიერ უდროოდ დროს გაგზავნილი, თანაგრძნობის გამომხატველი წერილი? მაგრამ უბედური შემთხვევის აღწერა მხოლოდ რამზდელის პატარა გაზეთში გამოქვეყნდა; ის არ მოიხსენია არც „პარკინგტონის უწყებებმა“, არც „კლიმაქსის მოამბემ“: ადგილობრივი გარდაცვალებები მოკლებულია ფედერალურ ინტერესს, ხოლო ბანაკი „კუ“ ჩვენს შტატში არ მდებარეობს; მაინც გამუდმებით წარმომიდგებოდა, თითქოს დოლის როგორღაც უკვე შეატყობინეს ეს ამბავი. მისკენ მიმავალი, ვშიშობდი, რომ ამ დროს ჩემთვის უცნობ მის მეგობრებს გოგონა რამზდელში მოჰყავდათ. ამ ვარაუდებსა და საზრუნავზე გაცილებით უფრო საგანგაშო იყო ის, რომ ჰუმბერტ ჰუმბერტს, საკმაოდ გაურკვეველი ევროპული წარმომავლობის ახლად გამომცხვარ ამერიკელ მოქალაქეს, არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რათა ცოლის გარდაცვალების შემდეგ ობლად დარჩენილი (თორმეტი წლისა და შვიდი თვის ასაკის) გოგონას კანონიერი მეურვე გამხდარიყო. გავბედავ თუ არა ამ ნაბიჯის გადადგმას? ცახცახმა ამიტანა, როდესაც წარმოვისახე სამოქალაქო კანონთა კრებულის დამაბრმავებელი შუქით განათებული და იდუმალი სტატუსებით შეცბუნებული საკუთარი სიშიშველე.

ჩემი გეგმა პირველყოფილი ხელოვნების სასწაული გახლდათ. გადავწყვიტე, ბანაკ „კუ“-ში მივსულიყავი, ლოლიტასთვის მეთქვა, დედაშენს არარსებულ საავადმყოფოში სერიოზული ოპერაცია უნდა გაუკეთონ-მეთქი, შემდეგ კი, ჩემს გაბრუებულ ნიმფეტთან ერთად, ერთი სასტუმროდან მეორეში შემოგზავურა; ამასობაში დედამისი ნელა, მაგრამ საიმედოდ გამოჯანსაღდებოდა, საბოლოოდ კი - მოკვდებოდა. ბანაკისკენ მიმავალმა მზარდი მღელვარება ვიგრძენი. ვშფოთავდი, ვაითუ გოგონა იქ არ დამხვდეს-მეთქი. იმასაც ვვარაუდობდი, რომ უზრუნველი ლოლიტა შეიძლებოდა ქვეულიყო დამფრთხალ, ატირებულ, ობოლ ბაღდად და ოჯახის ახლო მეგობრების მიყვანა მოეთხოვა ჩემთვის. მადლობა ღმერთს, ცოლ-ქმარ ფარლოს ის თითქმის არ იცნობდა, მაგრამ სხვა, ჩემთვის უცნობი პირები რომ დაესახელებინა? ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე, შემეკვეთა საქალაქთაშორისო საუბარი, რომლის სიმულირებაც ახლახან ასე

წარმატებით მოვახერხე. წვიმა მოშაპუნებდა, როდესაც პარკინგტონის ავდრით ჩაბინძურებულ გარეუბანში შევჩერდი, ტროტუართან, ასახვევის შორიახლოს. მისი ერთი განშტოება ქალაქს გარს უვლიდა და იმ გზატკეცილს უერთდებოდა, ბორცვების გრეხილის გადაკვეთით „კლამაქსის ტბისა“ და ბანაკ „კუ“ -სკენ რომ მიემართებოდა. ძრავა გამოვრთე; თითქმის ერთი წუთის განმავლობაში ავტომობილში ვიჯექი, თავს ვიმხნევებდი და გავცქეროდი წვიმას, წყლით დაფარულ ტროტუარსა და ჰიდრანტს. ეს იყო წითელი და ვერცხლისფერი საღებავით დაფარული ულაზათო ბოძკინტი, რომლის წითელ ტაკვებს წვიმა აპრიალებდა და სტილიზებული სისხლივით ჩამოედინებოდა ჰერალდიკურ ჯაჭვებზე. გასაკვირი როდია, რომ აკრძალულია ავტომობილების დაყენება ამ მახინჯი პატარა ხეიბრების გვერდით. ძრავა კვლავ ჩავრთე და მანქანა ტელეფონის ჯიხურთან მივავლო. როდესაც უკანასკნელი საჭირო მონეტა წკარუნით ჩავარდა და სხვის ხმას ჩემს ხმაზე გამოხმაურების საშუალება მიანიჭა, უცნაური რამ შემემთხვა. ბანაკის უფროსმა შერლი ჰოლსმა მაუწყა, რომ ორშაბათს (ახლა უკვე ოთხშაბათი იყო) ჩემი დოლი თავის ჯგუფს გაჰყოლოდა მთებში, ექსკურსიაზე, და მხოლოდ ღამით დაბრუნდებოდა. მან შემთავაზა, მეორე დღეს მივსულიყავი; იკითხა, რაიმე ხომ არ შეგემთხვათო. ვუპასუხე, რომ ჩემი ცოლი კლინიკაში გადაიყვანეს და რომ მისი მდგომარეობა სერიოზული იყო. გავაფრთხილე, გოგონას ყოველივე ეს არ უნდა ვუთხრათ, მაგრამ ხვალ უნდა წავიყვანო- მეთქი. დამშვიდობებისას მხურვალე კეთილგანწყობილების მწვერვალს მივალწიეთ და მექანიზმის რაღაც ორიგინალური ხარვეზის შედეგად მონეტები ავტომატიდან კვლავ ჩამოცვივდა იმ ჩხრიალით, რომელიც ნეცადაში სათამაშო მანქანებით განხორციელებულ მნიშვნელოვან მოგებას ახლავს ხოლმე. ბედნიერების ვადის გადაწევის დასანანი აუცილებლობის მიუხედავად, გამეცინა: საკითხავია, მაკ-ფატუმის გონებაში ფულის ეს უცაბედი გამოყოფა როგორღაც იმ ფაქტს ხომ არ უკავშირდებოდა, რომ ექსკურსია მანამ მოვიგონე, სანამ მის შესახებ შევიტყობდი? შემდეგ რა მოხდა? პარკინგტონის სავაჭრო რაიონისკენ შევუხვიე და დღის დანარჩენი ნაწილი (ამინდი გაუმჯობესდა, ქალაქი მინისებურად ალაპლაჰდა) ლოსთვის მშვენიერი ტანისამოსის შეძენას დავუთმე. ღმერთო ჩემო, რა არ იყიდა უჯრედებიანი ქსოვილებით, ხასხასა ჩითებით,

არშებით, ფუჭფუჭა მოკლე სახელოებით, რბილი პლისეთი და წელს ზემოთ მჭიდროდ მორგებული, ფართო ქვედატანიანი კაბებით გატაცებულმა ჰუმბერტმა. შემიყვარდა ლოლიტა, როგორც პოს - ვირჯინია, როგორც დანტეს - ბეატრიჩე თავისი, დაბზრილდნენ გოგონები, დაებერათ კაბები: მოკლე-მოკლე საცვლები - სირცხვილისგან დავიწვი. ალერსიანი ხმები მეკითხებოდნენ, სახელდობრ, რისი ნახვა მსურდა? საბანაო კოსტიუმებისა? ყველა ფერის კოსტიუმები გვაქვს: ვარდისფერი ოცნება, მქრქალი აქვამარინი, ლილისფერი სოსანი, წითელი ტიტა, შავი კან-კანი. საპლაჟო სამოსი? შალითები? შალითები არ მინდა. მე და ლოს ისინი ყოველთვის გვეჯავრებოდა. ამ საქმეში დამეხმარა ლოლიტას ანთროპოლოგიური აღწერა, რომელიც დედამისმა გოგონას დაბადების თორმეტი წლის თავზე ჩაინიშნა (ვფიქრობ, მკითხველს ახსოვს წიგნი „შეიცანი შენი შვილი“). ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ქვეშეცნეული შურისა და ანტიპათიის ზეგავლენით, შარლოტამ ზოგან ზედმეტი დუიმი დაუმატა, ზოგან კი - ფუტი; მაგრამ უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში ნიმფეტი უეჭველად გაიზრდებოდა. ამიტომ მივიჩნიე, რომ შემეძლო, დავყრდნობოდი იანვრისდროინდელ უკანასკნელ გაზომვას: თეძოები - ოცდაცხრა დუიმი; ზარდაყის სიგანე (საჯდომთან) - ჩვიდმეტი; წვივისა და კისრის გარშემოწერილობა - ჩვიდმეტი; მკერდისა - ოცდამეტი; მკლავისა - რვა; წელისა - ოცდასამი; სიმაღლე - ორმოცდაჩვიდმეტი; წონა - სამოცდათვრამეტი ამერიკული ფუნტი, აგებულია - წაგრძელებული; გკ (გონებრივი განვითარების კოეფიციენტი) - ასოცდაერთი; ბრმა ნაწლავი ამოუჭრელია (მადლობა ღმერთს). ამ ზომებს გარდა, რა თქმა უნდა, ლოლიტა ისე მკაფიოდ წარმომიდგებოდა, ჰალუცინაციებს რომ სჩვევია. გამუდმებით მეწვოდა და ძალზე ველოლიავებოდი მკერდის ძვლის იმ ნაწილს, სადაც ლოლიტას აბრეშუმისებრ ლბილმა კევამ ორჯერ მიაღწია ჩემი გულის სიმაღლეს. მუხლებზე ყოველთვის ვგრძნობდი მის თბილ სიმძიმეს (რის გამოც ნიადაგ „ფეხმძიმედ“ ვიყავი ლოლიტათი); ამიტომ არ გამკვირვებია, როდესაც ჩემ მიერ ნავარაუდევო ზომების სისწორე მეტ-ნაკლებად დადასტურდა. ცოტა ხნის წინ საზაფხულო ტანისამოსის კატალოგი შევისწავლე, რამაც საშუალება მომცა, მცოდნე კაცის გამომეტყველებით შემერჩია სხვადასხვაგვარი კოხტა ნივთები: სპორტული ფეხსაცმელი, ფლოსტები, ჭმუჭნილი გოგონებისთვის განკუთვნილი ჭმუჭნილი ტყავის ფეხსაცმელი და სხვა. სახეშედეგილი, შავკაბიანი გამყიდველი ქალი ამ მწვავე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში მეხმარებოდა. მშობლის ცოდნას და ზომის ზუსტ აღწერას ის აქცევდა კომერციულ ევფემიზმად „საშუალოზე ნაკლები“. მასზე უფროსი მეორე გამყიდველი, რომელსაც თეთრი კაბა ეცვა, სახეზე თეატრალური გრიმი ჰქონდა წასმული, რამდენამდე განაცვიფრა ჩემმა

ფართო ცოდნამ უმცროსი თაობისთვის განკუთვნილი მოდების შესახებ. ალბათ, ეგონა, ცირკის ჯუჯას ვყვარობდი. ამიტომ განზრახ დავუსვი გულუბრყვილო

მამაკაცური შეკითხვა, როდესაც მიჩვენეს წინა მხარეს ორი პატარა პიკანტური ჯიბის მქონე ქვედატანი. გამყიდველებმა ღიმილით დამაჯილდოვეს და ამიხსნეს, როგორ მოქმედებდა უკანა მხარეს ჩაკერებული ელვა-შესაკრავი. დიდი სიამოვნება მომანიჭა აგრეთვე ყოველგვარმა საცვლებმა და საბანაო ტრუსებმა. მათში გამოწყობილი ლოლიტას პაწაწინა აჩრდილები მთელ დახლზე ცმუტავდნენ, ზღართანს ადენდნენ, საჯდომით სრიალებდნენ. გარიგება დავასრულეთ ზამბის ქსოვილის ორი პიჯამით, რომელთაც „ყასბის შევირდის“ (ყასაბ ჰუმბერტის) ფასონის მრგვალი საყელო ჰქონდათ. ამ დიდ მაღაზიებს ჯადოსნური ხიბლი აქვთ. თუ განცხადებებს დავუჯერებთ, მოხელე ქალიშვილს შეუძლია, აქ იყიდოს ტანისამოსი დღის ყველა დროისათვის - დილას სამსახურში გამოცხადებით დაწყებული და საღამოს კავალერთან გასეირნებით დამთავრებული. მისი უმცროსი დაიკო კი დატკბება შალის სვიტერის ხილვით და იოცნებებს იმ დღეზე, როდესაც, ამ სვიტერში ჩაცმული, სკოლაში გამოცხადდება და სწავლაში ჩამორჩენილ გიმნაზისტებს გულს აუბგერებს. ყველგან ვაწყებოდი პლასტმასისგან დამზადებულ, ნატურალური სიმაღლის მანეკენებს. ისინი გამოსახავდნენ ნოლაცხვირიან ბავშვებს, რომელთაც ფავნულების ჩალისფერი, წენგოსფერი და წაბლისფერი დაჭორფლილი სახეები ჰქონდათ. უცერად შევნიშნე, რომ ამ საკმაოდ იდუმალ ადგილას ერთადერთი მუშტარი ვიყავი და მომწვანო აკვარიუმში ჩადებული თევზივით ვმოძრაობდი. ვგრძნობდი, რომ ჩემს მეგზურ მიზნედილ ქალიშვილებს უჩვეულო აზრები ებადებოდათ; წყალქვეშა კლდიდან ზღვის მცენარეთა კორომისკენ ვინაცვლებდით და ჩემ მიერ შერჩეული სარტყლები და სამაჯურები სირინოზების ხელებიდან თითქოს გამჭვირვალე წყალში ცვიოდა. ბოლოს კოხტა ჩემოდანი ვიყიდე, ვუბრძანე, ნავაჭრი შიგ ჩაელაგებინათ და უახლოესი დუქნისკენ გავწიე. ძალზე კმაყოფილი ვიყავი გატარებული დღით. ნატიფი ნივთების ამ წყნარ, პოეტურ სამყაროსთან დაკავშირებით რატომღაც განახსენდა ოტელი, რომელსაც მაცდუნებელი სახელწოდება ჰქონდა: „მოჯადოებულ მონადირეთა თავშესაფარი“. ის შარლოტამ ახსენა ჩემს გათავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე. გზის მაჩვენებელი წიგნაკიდან გამოვარკვიე, რომ „თავშესაფარი“ ბრაისლანდში იყო, - ლოლიტას ბანაკიდან ოთხი საათის სავალზე, ერთ მივარდნილ ქალაქში. შემემლო, დამერეკა, მაგრამ მეშინოდა, რომ ხმას ვერ დავიმორჩილებდი და დამტვრეული ინგლისურით კეკლუცად ავყიყინებოდი. გადავწყვიტე, მომავალი ღამის გასათევად ტელეგრაფით შემეკვეთა ორსაწოლიანი ოთახი. ძალზე ტლანქი, გაუბედავი, სასაცილო ზღაპრული უფლისწული ვიყავი! ზოგიერთი მკითხველი დამცინებს კიდევ იმის გაგებისას, როგორ გამიჭირდა დეპეშის შედგენა. რა დავწერო: ჰუმბერტი და ქალიშვილი? ჰუმბურგი პატარა ქალიშვილითურთ? ჰომბერგი და მცირეწლოვანი გოგონა? ჰომბურგი და მისი შვილი? კურიოზული შეცდომა, რომელიც ბოლოს დეპეშაში აღმოჩნდა - ეს „გ“ ბგერა გვარის ბოლოს - ჩემი მერყეობის ტელეპათიურ გამოძახილად აღიბეჭდა. შემდეგ, ზაფხულის ღამის ხვერდოვან წყვდიადში, ვოცნებობდი ჩემს მიერ შემონახული სასიყვარულო თილისმის შესახებ! ო, ძუნწო ჰომბურგო! მართლაც მოჯადოებული მონადირე ხომ არ იყო ეს ჩაფიქრებული კაცი, თავისი ჯადოსნური ამუნციციით სავსე კოლოფს რომ

დაჰყურებდა? გაბედავდა თუ არა, გადაეყლაპა ერთ-ერთი იისფერი კაფსულა და უძილობის დემონი დაეძლია? სულ ორმოცი კაფსულა იყო - ორმოცი ღამე, გატარებული სათუთი არსების გვერდით, რომელსაც ჩემი აჩქროლებული გულის მახლობლად ჩაემინებოდა... განა შემემლო, ძილმონატრებულს, ერთი ასეთი ღამე მომეკლო? რა თქმა უნდა, არა! უზომოდ ძვირფასი იყო თითოეული პაწაწინა ქლიავი, ვარსკვლავებით მოჭედილი ყოველი მიკროსკოპული პლანეტარიუმი. ო, ნება მომეცით, ერთხელ მაინც გამოვიჩინო სანტიმენტალობა! ცინიზმმა დამღალა.

26. ამ აკლდამისმაგვარი დილეგის დახშული ჰაერი თავს მატკივებს, მაგრამ ქედს მაინც არ მოვიხრი. უკვე ასზე მეტი ფურცელი შევავსე და ჯერ არაფერი მითქვამს. ჩემი კალენდარი აირია. ლოლიტას წამოსაყვანად 1947 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში გავემგზავრე. არა, მგონი მეტი აღარ შემიძლია. გული, თავი, ერთი სიტყვით, ყველაფერი მტკივა. ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა, ლოლიტა. ასოთამწყობო, გაიმეორე ეს სიტყვა, სანამ ფურცელი არ გაივსება.

27. ჯერ კიდევ პარკინგტონში ვარ. ძლივს მოვახერხე, ერთი საათით დამემინა. ჩემთვის სრულიად უცნობ, პატარა, ბანჯგვლიან ჰერმაფროდიტთან უსაზმნო და საშინლად მომქანცველმა სქესობრივმა აქტმა გამომაღვიძა. უკვე დილის ექვსი საათი იყო და უცერად გავიფიქრე, რომ აჯობებდა, ბანაკში

დათქმულ დროზე ადრე ჩავსულიყავი. მანქანით ასი მილი უნდა გამეგლო, შემდეგ კი „ნისლიან მთებამდე“ და ბრაისლანდამდე მიმეღწია. ბანაკის უფროსს იმიტომ ვუთხარი, დოლის წამოსაყვანად შუადღეს ჩამოვალ-მეთქი, რომ ჩემი სულწასული წარმოსახვა

ლმობიერი ღამის მალე დადგომას ესწრაფოდა; ამასთან, ახლა ყოველგვარი დაბრკოლებები მეღანდებოდა. როდესაც ვვარაუდობდი, რომ ჩემი დაგვიანების შემთხვევაში მას რამზედელში დარეკვა შეეძლო, მთელი ტანით მაცხცახებდა. მაგრამ როდესაც დილის ათის ნახევარზე ძრავის ჩართვა ვცადე, აღმოჩნდა, რომ ბატარეა სამუდამოდ დამჯდარიყო. პარკინგტონიდან მხოლოდ შუადღისას გავემგზავრე. დანიშნულების ადგილას სამის ნახევარზე აღმოვჩნდი; ავტომობილი დავტოვე ფიჭვნარში, სადაც ხულიგნური გარეგნობის, წითური, მწვანეპერანგიანი, პირქუშად განმარტოებული ბიჭი ძველებური თამაშით იქცევდა თავს - მიწაში ჩაჭედულ სოლს ნალებს ესროდა. მან მდუმარედ მიმითითა მოხატაშებულ პატარა სახლზე, სადაც ბანაკის კანტორა იყო მოთავსებული. მღელვარებისგან გატრუნულს, რამდენიმე წუთის განმავლობაში მომიხდა ბანაკის უფროსის თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვების მოსმენა. ეს იყო უსუფთაო, ჟანგისფერთმიანი, ცხოვრებისგან მოქანცული ქალი. მან მითხრა, დოლიმ ბარგი ჩაალაგა და გასამგზავრებლად გაემზადაო. გოგონას გაეგო დედის ავადმყოფობის ამბავი, მაგრამ არ იცოდა, რამდენად სერიოზული იყო ეს ავადმყოფობა. ბ-ნ ჰეიზს ანუ ბ-ნ ჰუმბერტს ბანაკის აღმზრდელების გაცნობა ხომ არ სურს? ან იქნებ მომცრო სახლები დაათვალიეროს, სადაც გოგონები ცხოვრობენ? თითოეულ მათგანს უოლტერ დისნეის ერთ-ერთი ცხოველის სახელი ჰქვია. მთავარ შენობას არ ნახავთ? ჩარლი დაუყოვნებლივ ხომ არ გავგზავნოთ დოლორესის მოსაყვანად? გოგონები სწორედ ახლა ამთავრებენ სასადილო ოთახის მორთვას სადამოს წვეულებისთვის (შეიძლება, შერლი ჰოლმსი შემდგომ ვისმე მოუყვებს: საწყაღს, ადამიანის სახე აღარ ჰქონდაო). მინდა, წუთით გავაჭიანურო ეს სცენა მისი ყველა საბედისწერო დეტალითურთ: დედაბერი, რომელიც ხელწერილს წერს, თავს იქეჩავს, მაგიდის უჯრას ალებს, მოუთმენელ ხელისგულზე ხურდას მიყრის, შემდეგ მონეტებზე წესიერად ალაგებს რამდენიმე ასიგნაციას და რიხიანად ამბობს: „აი კიდევ ათი!“ გოგონების ფოტოსურათები; კედელზე საიმედოდ მიხნული ჯერ კიდევ ცოცხალი ჭრელი პეპელა (ბუნებისმცოდნეობის განყოფილება); ბანაკის დიეტისტის ჩარჩოში ჩასმული დიპლომი; ჩემი მთრთოლვარე ხელები; ბანაკის გულმოდგინე უფროსის მიერ შედგენილი შეფასება ივლისის განმავლობაში დოლი ჰეიზის ქცევის შესახებ („ფრიად დამაკმაყოფილებელი, აინტერესებს ცურვა და ნიჩბოსნობა“); ხეების შრიალი, და ჩიტების ჭიკჭიკი, და ჩემი გულის ძგერა. ღია კარისკენ ზურგმუქცევით ვიდექი და უცებ თავში სისხლი მომაწვა - მისი სუნთქვა და ხმა მომესმა. ლოლიტა მძიმე ჩემოდანს მოათრევდა. „სალამი, სალამი“, და წყნარად შეჩერდა. ცუდლუტი, სიხარულით აღსავსე თვალებით მომაშტერდა. ნაზ, გადახსნილ ბაგეებზე ოდნავ სულელური, მაგრამ საოცრად მიმზიდველი ღიმილი დასთამაშებდა. გამხდარიყო და გაზრდილიყო. წამით მომეჩვენა, თითქოს სახე დაუშნოებოდა იმ წარმოსახულ ფოტოსურათთან შედარებით, მეხსიერებაში თვეზე მეტი ხნის განმავლობაში რომ ვინახავდი. ჭარბი ჭორფლი ჩრდილავდა მისი ნაკვეთების ვარდისფერ, სოფლურ სილამაზეს. ეს პირველი შთაბეჭდილება (ხარბი გულის ორ ძგერას შორის ჩატეული პაწაწინა ადამიანური ინტერვალი) მკაფიოდ მიუთითებდა იმაზე, რომ დაქვრივებულ ჰუმბერტს უნდა გაეკეთებინა ყველაფერი, რის

გაკეთებასაც აპირებდა და რისი გაკეთებაც სურდა - სახელდობრ, გამხდარი, *aux yeux battus*[51], თუმცა მზით შეფერადებული ობლისთვის (რომელსაც თვალებქვეშაც კი ჭორფლი აჩნდა) უნდა მიეცა რიგიანი განათლება, ჯანსაღი, ბედნიერი ბავშვობა, წესიერი ოჯახი, საყვარელი მეგობრები. ამ უკანასკნელთა შორის (თუკი პარკები ინებებდნენ ბედმავე კაცისთვის სამაგიეროს მიზღვას), ალბათ, აღმოჩნდებოდა მხოლოდ და მხოლოდ დოქტორ ჰუმბერტისთვის განკუთვნილი ეშხიანი გოგონა. მაგრამ, როგორც გერმანელები ამბობენ ხოლმე, თვალის ერთ დახამხამებაში ქცევის ეს ზეციურ-ზნეობრივი მიმართულება წაიშალა და ნადავლს დავეწიე (დრო ჩვენს ფანტაზიებზე უფრო სწრაფია) და ის კვლავ ჩემი ლოლიტა იყო - კიდევ უფრო მეტად ჩემი, ვიდრე ოდესმე. თბილ ქერათმიან თავზე ხელი გადავუსვი და შემდეგ ჩემოდანი გამოვართვი. ლოლიტა მთლიანად ვარდებისა და თაფლისგან იყო შეზავებული; ყველაზე ხასხასა ჩითის კაბა ეცვა, რომელიც პატარა წითელი ვაშლებით იყო მოხატული. ხელები და ფეხები ოქროსფრად გარუჯოდა; მათზე დაჩნეული ნაკაწრები პატარა შედედებულ ლალებს მიუგავდა, ხოლო თეთრი შალის წინდების ზოლიანი გადანაკვეცი ჩემთვის ღირსახსოვარ ადგილამდე სწვდებოდა; მისი ბავშვური სიარულის გამო (ან იმიტომ, რომ ის ყოველთვის დაბალქუსლიან ფეხსაცმელს ატარებდა) მომეჩვენა, რომ თეთრ-ყავისფერი დახურული ფეხსაცმელი ძალზე სრული იყო და ზედმეტად მაღალი ქუსლი ჰქონდა.

მშვიდობით, ბანაკო „კუ“, მხიარულო „კუ“, მშვიდობით, უბრალო, არაჯანსაღო საჭმელებო, მშვიდობით, მეგობარო ჩარლი! ცხელ ავტომობილში ლოლიტა ჩემ გვერდით დასკუპდა და მის მშვენიერ მუხლზე დამჯდარ ცეკიტ ბუზს ხელის ერთი დარტყმით სული გააფრთხოვინა. შემდეგ განაგრძო რეზინის ენერგიული ლექვა, სწრაფად დაატრიალა ფანჯრის ჩამოსაწვევი სახელური და კვლავ მიეყრდნო საზურგეს. ზოლიან, დაწინწკლულ ტყეში მივქროდით. „დედა როგორა?“ - იკითხა ზრდილობიანად და ვუთხარი, რომ ექიმებმა ჯერ ვერ დაადგინეს, რაშია საქმე. ყოველ შემთხვევაში, ეს კუჭია-მეთქი. „ფუჭი?“ „არა, კუჭია“. ავუხსენი, რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში დედამისის შორიახლოს ყოფნა მოგვიწევდა, რომ საავადმყოფო მდებარეობდა მხიარული ქალაქის - ლეპინგვილის მახლობელ სოფელში, სადაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გამოჩენილი პოეტი ცხოვრობდა, და რომ უკლებლივ ყველა კინოპროგრამას ვნახავდით. მან დაასკვნა, ეს შესანიშნავი პროექტიაო და იკითხა, სადამოს ცხრა საათამდე თუ მივაღწევდით ლეპინგვილამდე. „ბრაისლანდში სადილობისას ვიქნებით“, მივუგე მე, „ხვალ კი ლეპინგვილს ვეწვევით. როგორი იყო გუშინდელი ექსკურსია? ბანაკში მხიარულად ატარებდი დროს?“ „მამ“. „არ გინდოდა წამოსვლა?“ „უნგ-უნგ“.

„ილაპარაკე, ლო, ნუ დრუტუნებ. მომიყევი რამე“. „მანც, რა, მა-მი-ლო?“ (უკანასკნელი სიტყვა ირონიულად დამარცვლა). „სულ ერთია, რა“. „შეიძლება, შენობით მოგმართოთ და მამა გიწოდოთ?“ (თვალეზმოჭუტული ლოლიტა გზას გაჰყურებდა). „შეიძლება“. „რა სასაცილოა! როდის ჩაიწვით დედაჩემში?“ „დადგება დრო, ჩემო კარგო ლო, როდესაც ჩასწვდები ბევრი გრძნობისა და მდგომარეობის არსს, მაგალითად, წმინდა სულიერი ურთიერთობების ჰარმონიასა და სილამაზეს“. „ვერ მოგართვეს!“ - შემესიტყვა როეიო ნიმფეტი. დიალოგში ჩამოვარდა გაურკვეველი პაუზა, რომელიც წარმტაცმა შემოგარენმა შეავსო. „შეხედე, ლო, რამდენი ძროხაა იმ ფერდობზე!“ „მგონი, გული ამერევა, თუ კიდევ ერთ ძროხას შევხედავ“. „იცი, ლო, ძალზე მენატრებოდი“. „მე კი არ მენატრებოდი. მეტიც - საშინლად გღალატობდი, მაგრამ ეს არაფერია, შენ ხომ მანც აღარ გიყვარვარ. მაგრად კი მიქრიახართ, ბატონო. გაცილებით სწრაფად, ვიდრე - დედაჩემი“. სამოცდაათი მილის ბრმა სიჩქარიდან ორმოცდაათი მილის ნახევრად ბრმა სიჩქარეზე გადავედი. „რატომ გგონია, რომ არ მიყვარხარ?“ „უპირველეს ყოვლისა, ჯერ არ გიკოცნია ჩემთვის“. შინაგანად გარინდულმა, გულშეღონებულმა, ბუნდოვნად დავინახე შედარებით ფართო გზისპირი. მანქანა რხევითა და ხტუნვით გადავიყვანე ბალახზე. გახსოვდეს, რომ ის ბავშვია, გახსოვდეს, რომ ის... მანქანის შეჩერება ძლივს მოვასწარი, რომ ლოლიტა მართლაც რომ შემოფრინდა ჩემს მკლავებში. ვერ გავბედე, ვერ გავბედე, გავკადნიერებულიყავი და მეგონა, რომ სწორედ ეს (ტკბილი სისველე, მთრთოლვარე ცეცხლი) იყო იმ საზღაპრო ცხოვრების დასაწყისი, რომელსაც ნებისყოფის დამაბვისა და ბედის მარჯვე დახმარების მეშვეობით ხორცი შევასხი - ვერ გავბედე, მართლაც მეკოცნა და მის მხურვალე, გადახსნილ ბაგეებს უდიდესი მოწიწებით შევეხე, ყლუპ-ყლუპად დავეწაფე - ო, სრულიად უცოდველად! მაგრამ ლოლიტა მოუთმენლად შეტოკდა და პირი ისე მაგრად შემაწება, რომ გოგონას მსხვილი წინა კბილები შევიგრძენი და

მისი ნერწყვის პიტნისებურ გემოს ვეზიარე. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ მოზარდის უმანკო თამაში, ანცობა იყო, მდარე რომანის ყალბი ეპიზოდის მიბამვა. ბავშვების სულიერი მომღვრები (აგრეთვე - ისინი, ვინც მათი გახრწნით იქცევენ თავს) დაგიდასტურებენ, რომ ამ თამაშების საზღვრები და წესები ბუნდოვანი და იმდენად მერყევია, რომ მოზრდილი პარტნიორი მათ ვერ ჩასწვდება. მეშინოდა, შორს არ შემეტოკა და ლოლიტას, ძრწოლითა და ზიზღით, ზურგი არ შეექცია ჩემთვის. მძაფრად, მტანჯველად ვილტვოდი, ჩემი კალთის ქვეშ დამალული ლოლიტა სასწრაფოდ შემეპარებინა „მოჯადოებული მონადირეების“ ჰერმეტულ განმარტოებაში (იქამდე კი 80 მილი იყო). კურთხეულმა ზეშთაგონებამ მიკარნახა, წამის მეოთხედით უფრო უფრო ადრე შემეწყვიტა ხვევნა, ვიდრე საგზაო პოლიციის ავტომობილი ჩვენს შორიახლოს შეჩერდებოდა. მისი სახედაჟღაჟა, სქელწარბა მძლოლი ჩაგვაშტერდა. „მითხარით, გზაჯვარედინთან ლურჯმა „სედანმა“ ხომ არ გაგასწროთ? თქვენი მანქანის ფირმისაა, არ შეგიმჩნევიათ?“ „არ გვინახავს“, თქვა ლომ. სწრაფად, თავაზიანად გადაიხარა მისკენ და უმანკო ხელები მუხლებზე დამადო; - მაგრამ თქვენ სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ ის ლურჯია, იმიტომ რომ...“ პატრულმა (ჩვენს რომელ აჩრდილს მისდევდა?) პატარა ლამაზმანი თავისი საუკეთესო ღიმილით დააჯილდოვა და მანქანა მიატრიალა. გზა გავაგრძელებთ. „რა რეგვენია! - წამოიძახა ლომ. - შენ უნდა დაეჭირე“. „კი მაგრამ, რატომ - მე?“ „იმიტომ, რომ ამ სულელურ შტატში უკიდურესი სიჩქარე საათში სულ ორმოცდაათი მილია, ჩვენ კი - არა, არა, სვლა ნუ შეანელებ, შენც სულელი ხარ, ის ხომ შორსაა“. „წინ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს“, ვუთხარი მე, „და მინდა, სიბნელის ჩამოწოლამდე მოვასწროთ. ახლა ისე

მოიქეცი, როგორც კარგ გოგონას შეეფერება". „ცუდ, ცუდ გოგონას", წყნარად წაიდუღუნა ლომ. „სიწორფელისა და მიძიხიდველობის მიუხედავად, ის მცირეწლოვანი დამნაშავეა. შუქი კი წითელი იყო. ასე სიარული სად გაგონილა". მდუმარე ქალაქი მდუმარედ გავიარეთ. „უჰ, როგორ გაცოფდება დედაჩემი, თუ გაიგებს, რომ ჩვენ საყვარლები ვართ". „ღმერთო ჩემო, ლოლიტა, როგორ ამბობ ამას?" „კი მაგრამ, ჩვენ ხომ მართლაც საყვარლები ვართ, არა?"

„სულაც არა. ამინდი კვლავ ფუჭდება. მომიყევი, როგორ ანცობდი ბანაკში". „რაც ძალიან მწიგნობრულად მეტყველებ, საყვარელო მამილო". „შენი განცვიფრება ადვილია?" „არა, მითხარი". „დაბეჯითებით მოვითხოვ, მიპასუხო". „მოდით, წყნარ გზაზე გადავუხვიოთ და მოგიყვები". „ლო, სერიოზულად გთხოვ, ნუ სულელობ. აბა?" „აბა და, - აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ბანაკის ცხოვრებაში". „Ensuite?" [52] „ანსუიტ, მასწავლიდნენ, როგორ მეცხოვრა ჯგუფური, ბედნიერი და სავსე ცხოვრებით და, ამასთან, როგორ გამევიტარებინა ჩემი ჰარმონიული პიროვნება. ერთი სიტყვით დამჯერი ვიყავი". „ჰო, რაღაც ასეთი წავიკითხე თქვენს ბროშურაში". „გვიყვარდა საგუნდო სიმღერების შესრულება დიდ ბუხართან ან ვარსკვლავებით მოჭედილი ქეციანი ცის ქვეშ, და თითოეულ ჩვენგანში საკუთარი ბედნიერების ჟღერა ერწყმოდა ჯგუფის ხმას". „ციტატები შესანიშნავად გახსოვს, ლო, მაგრამ გთხოვ, თავი შეიკავო უგვანი გამოთქმებისგან". „გერლ-სკაუტების დევიზი", აღტაცებით განაგრძო ლოლიტამ, „ჩემი დევიზიცაა. ცხოვრებას ღირსეულ საქმიანობაში ვატარებ, როგორც, მაგალითად - არა, სჯობს, მაგალითებს თავი დავანებო. ჩემი მოვალეობაა, კეთილი ვიყო. მამრობითი სექსის ყველა ცხოველის მეგობარი გახლავარ. მათ ყოველგვარ წადილს ვასრულებ. ყოველთვის კარგი განწყობილება მაქვს. აი, პოლიციის კიდეც ერთმა მანქანამ გაიარა. მომჭირნე ვარ და ყოველთვის ვცოდავ აზრით, სიტყვითა და საქმით". „ვიმედოვნებ, რომ სულ ესაა, ჩემო გონებამახვილო გოგონა". „დიახ. სულ ესაა. თუმცა, აი კიდეც რა: რეფლექტორიან მზის ქურაზე დვეზელებს ვაცხოვრებ. რა საინტერესოა, არა?" „რა თქმა უნდა, საინტერესოა". „ამ ხნის განმავლობაში ბევრმილიონი თევზი გავრეცხეთ. ბევრმილიონი - მასწავლებელთა ენაჩლექია დიალექტზე - ნიშნავს ბევრი-ბევრი-ბევრი. ჰო, მართლა, კინაღამ ყველაზე მთავარი

დამავიწყდა (დედაჩემისა არ იყოს), რენტგენის სურათებს ვიღებდით, ითვლებოდა, რომ ეს ძალზე სასაცილო რამ იყო". „C'est bien tout?" [53] „C'est. მაგრამ ერთ პატარა რაღაცაზე ისე ვერ მოგიყვები, მთლად რომ არ გავწითლდე. „მერე მომიყვები?" „კი - სიბნელეში და ჩურჩულით. შენ რა - ისე მარტო გმინავს თუ ერთად ყრიხართ?" „ძველებურად მარტო მმინავს. დედაშენს, ალბათ, ძალზე სერიოზული ოპერაცია უნდა გაუკეთონ, ლო". „რძის ბართან შეჩერდი", მიბრძანა ლომ. მაღალ ტაბურეტზე მჯდარ ლოლიტას შიშველ ყავისფერ ხელზე ნათელ ზოლად აჩნდა მზის სხივი; მან შეუკვეთა მთელი კომპი სხვადასხვანაირი ნაყინისა, რომელსაც სინთეტური სიროფი ჰქონდა მოსხმული. ეს კომპი ააგო და ლოლიტას მიართვა ბუგრანმა, ჩასხმულმა ყმაწვილმა, რომელსაც კისერზე გაქონილი ჰალსტუხი-ბაფთა ეკეთა. ის ურცხვი, ავხორცული მზერით დააშტერდა ჩემს ნატიფ, შილიფად ჩაცმულ გოგონას. ბრაისლანდში, „მოჯადოებულ მონადირეთა თავშესაფარში" მოხვედრის გაუსაძლისმა სურვილმა შემიპყრო. საბედნიეროდ, ლოლიტამ, ჩვეულებისამებრ, სწრაფად გადასანსლა ნაყინი. ვკითხე, ხურდა ფული თუ გაქვს-მეთქი. „ერთი გროშიც არა მაქვს", მიპასუხა მან, წარბები ნაღვლიანად აწვიპა და ცარიელი საფულე მაჩვენა. „ამას გამოვასწორებთ, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს", ვუთხარი მაღალფარდოვნად. „აბა, წავიდეთ?" „მისმინე, საპირფარეო სადაა?" „იქ არ გაგიშვებ. ეს უეჭველად ბინძური სორო იქნება. წავიდეთ!" ლოლიტა, არსებითად, დამჯერი გოგოცუნა იყო. ამიტომ ვერ მოვითმინე და, ავტომობილში ჩასხდომისას, ყელზე ვაკოცე. „როგორ ბედავ!" წამოიძახა მან და გულწრფელი გაცეცხით შემომხედა. „ვერ ვიტან, როდესაც მლომნიან. საზიზღარო სალახანავ!" და ყელი მხარს შეაწმინდა. „მაპატიე", წავიბურტყუნე, „ძალიან შეგეთვისე, ეს არის და ეს". მოქუფრული ცის ქვეშ კლაკნილ აღმართს დავადექით, შემდეგ კი თავქვე დავეშვიტე.

„მერე რა მოხდა, მგონი, მეც შეგეთვისე", მითხრა ლოლიტამ დინჯი, ალერსიანი კილოთი და, მგონი, თითქოს ამოიოხრა და, მგონი, თითქოს ჩემკენ გადმოიხარა. (ო, ჩემო ლოლიტა, ასე ვერასოდეს ჩავალთ ბრაისლანდში). მწუხრი უკვე დაეშვა მშვენიერ პატარა ბრაისლანდზე, მის ცრუკოლონიური სტილის არქიტექტურაზე, სუვენირების მაღაზიებსა და ევროპულ ცაცხვებზე, როდესაც ქალაქის მკრთალად განათებულ ქუჩებში „მოჯადოებული თავშესაფრის" ძებნა დავიწყეთ. თბილ, მწვანე ჰაერში ნელი წვიმის წვეთები მძივებდა იყო მიმოზნეული. ბდღვრიალა ფერადი შუქით გაჩახჩახებული კინემატოგრაფის სალაროს წინ უკვე რიგი გაჭიმულიყო. ძირითადად

ბავშვები და მოხუცები შევამჩნიე. „ოჰ, როგორ მინდა ამ ფილმის ნახვა! როგორც კი ვისადილებთ, აქ მოვიდეთ, გეხვეწები, მოვიდეთ!“ „რატომაც არა, შეიძლება“, აუჩქარებლად წარმოთქვა ჰუმბერტმა, თუმცა ამ მზაკვარმა, ვნებააშლილმა ემშაკმა კარგად იცოდა, რომ სადამოს ცხრა საათისთვის (ჰუმბერტის საკუთარი წარმოდგენის დაწყებისას) ლოლიტას მკვდარივით ჩაემინებოდა მის მკლავებში. „ფრთხილად!“ წამოიძახა ლომ და წინ გადავარდა, როდესაც წყეულმა სატვირთო მანქანამ უკანა კარბუნკულები ააციმციმა და გზაჯვარედინზე შეჩერდა. გავიფიქრე, თუ სასწრაფოდ არ მოვძებნი სასტუმროს (ახლავე, სასწაულებრივად, უახლოესი შენობის კუთხეში), ჰეიზების ურმის მართვას ვეღარ შევძლებ-მეთქი (უმოდრაო მინასაწმენდები და გადარეული მუხრუჭები ჰქონდა). სამწუხაროდ, გამვლელი არ იცნობდნენ ქალაქს, ან შუბლს იჭმუხნიდნენ და მეკითხებოდნენ: „მოჯადოებულ...?“ თითქოს გიჟი ვიყავი; ან კიდევ მიკიბულ-მოკიბულ განმარტებებს იძლეოდნენ, რომელთაც გეომეტრიულ ჟესტებს, გეოგრაფიულ მსჯელობებს ურთავდნენ და წმინდა ადგილობრივი ხასიათის ნიშნებს უთითებდნენ (...შემდეგ... სასამართლოს შენობამდე მიხვალთ... სამხრეთისკენ მოუხვევთ...). ამ კეთილმოსურნეობით გამსჭვალული აბდაუბდის ლაბირინთში გზა აუცილებლად უნდა ამზნეოდა. ლოლიტა, რომლის თვალწარმტაცმა ნაირფერადმა შიგნეულობამ უკვე მოინელა მირთმეული სასუსნავი, წინასწარ ტკვებოდა მამღრისი სადილის მოლოდინში და ცმუტავდა, მე კი კარგა ხნის წინ შევურიგდი იმ აზრს, რომ არსებობს მეორეული ბედისწერა. მას განაგებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაკ-ფატუმის უიღბლო მდივანი ქალი, წვრილმანებით გულს რომ გვიწყალებს და ხელს უშლის მისი სულგრძელი უფროსის გრანდიოზულ გეგმებს. მიუხედავად ამისა, მანქანის ღრჭიალი, ბრაისლანდის ბულვარებზე განუწყვეტელი შეჩერებები და ალაღბედზე ხეტიალი, ალბათ, ყველაზე საშინელი განსაცდელი იყო, რაც კი ცხოვრებაში შემხვედრია. შემდგომში მეცინებოდა ჩემს მიაბიტობაზე - როგორი ბავშვური სიკერპით ვლამობდი სწორედ ამ სასტუმროს პოვნას, რომელსაც უჩვეულო სახელწოდება ჰქონდა - მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი გზის გასწვრივ ჩარიგებული უთვალავი მოტელის ნეონის წარწერები გვთავაზობდნენ თავისუფალ ოთახებს და მზად იყვნენ, მიეღოთ ყველა - კომივოიაჟორები, გაქცეული კატორღელები, იმპოტენტები, მრავალრიცხოვანი ოჯახები, აგრეთვე - მრუში და

უძლები წყვილები. ეს კეთილმოწყობილი თავშესაფრები რომ ყოველგვარი პიგმენტაციისგან განიმარცვოს და მინის ზარდახშების გამჭვირვალეობა შეიძინოს, ზაფხულის დამის წყვდიადში სადღაც მიმავალი მშვიდობიანი ავტომობილისტები ავხორცობის რა გამოვლინებებს იხილავდნენ სრულიად გლუვი გზატკეცილიდან! სანუკვარი სასწაული მაინც განხორციელდა. წვიმით დაცვარული ხის ძირას მდგარ ჩაბნელებულ ავტომობილში მეტ-ნაკლებად ურთიერთგადაჭდობილმა ქალ-ვაჟმა გვაუწყა, რომ ქალაქის პარკის შუაგულში ვიმყოფებოდით და, მომდევნო შუქნიშანთან მარცხნივ გახვევისას, მიზანს მივადწევდით... ვერავითარი შუქნიშანი ვერ ვიპოვეთ - პარკი იმ შეცოდებასავით ბნელი იყო, თავად რომ ფარავდა - მაგრამ მალე მარჯვედ დაგვეცილი მოსახვევის ნარნარი ხიბლით მონუსხულებმა ნისლში მოკიაფე შუქი შევამჩნიეთ, შემდეგ კი ტბის დამეულ ციმციმს მოვკარით თვალი. და აი, აჩრდილისებრი ხეების თავზე, ზემოთ, სადაც ხრეშმოყრილი გზა მთავრდებოდა, „მოჯადოებული მონადირეების“ თეთრი, მშვენიერი და გარდაუვალი სრასასახლევ წარმოგვიდგა. თავდაპირველად მომეჩვენა, თითქოს გობთან ჩარიგებული ღორებივით გვერდიგვერდ მიყენებულ ავტომობილებს შორის მისადგომ ადგილს ვერ ვიპოვიდი. მაგრამ უეცრად, რაღაც ჯადოსნობით, შუქით გასხივოსნებულ წვიმაში ენერგიულად უკან დაიძრა ალუბლისფრად მოლაპლაპე ვეებერთელა ღია მანქანა, რომელსაც მხარბეჭიანი ვაჟბატონი მართავდა. ჩვენ, მადლიერებით აღვსილნი, გამოთავისუფლებულ სივრცეში შევსრიალდით. იმავე წამს ვინანე, რომ ვიჩქარე - ჩემმა წინამორბედმა მძღოლმა ისარგებლა გარაჟისმაგვარი ფარდულით, სადაც მეორე მანქანაც დაეტეოდა. მოუთმენლობის გამო ვერ მივბამე მის მაგალითს. „რა ხოშიანია!“ - შენიშნა ჩემმა ვულგარულმა ლამაზმანმა და მოჭუტული თვალებით შეათვალა ჩემს რუქურთმებით შემკული ფასადი. ის ავტომობილიდან წვრილი წვიმის შრიალში გადმოვიდა და ბავშვური, პატარა ხელით გაისწორა კაბა, რომელიც ატმის ორ ნახევარს შორის (თუ რობერტ ბრაუნინგის პერიფრაზირებას მივმართავთ) ჩარჩენილიყო. ფრონტონზე დაღვრილი სინათლით გასხივოსნებულ თეთრ სვეტებზე წაბლის ფოთლების გიგანტური სილუეტები ირწეოდა. საბარგული გავხსენი: ლივრეის მსგავს ტანისამოსში გამოწყობილმა კუზიანმა ჭაღარა ზანგმა ჩვენი ჩემოდნები ურიკაზე დააწყო და დინჯად გააგორა უამრავი მოხუცი მანდილოსნითა და მღვდლებით გაჭედილი ჰოლისკენ. ლოლიტა ჩაცუცქდა, რათა მოფერებოდა კოკერ-სპანიელს, რომელსაც ლურჯად დაწინწკლული, მკრთალი ფერის თავი და დაკიდული ყურები ჰქონდა. ხალიჩის ფლორაზე მდგარი ძალი გოგონას პირდაპირ ხელში ჩააღწა - ან ვინ არ ჩაადნებოდა, ო, ჩემო ბედკრულო გულო... მე კი ამასობაში ხველებით ვითავისუფლებდი ყელს და

გზას (ხალხში) სასტუმროს კანტორისაკენ. იქ მელოტმა, გოჭისმაგვარმა ხნიერმა კაცმა - ამ ხნიერ სასტუმროში ყველა ხნიერი იყო - თავაზიანი ღიმილით შემათვალისწინებლად (საეჭვო გარეგნობის შავგვრემანი კაცი), შემდეგ აუჩქარებლად მონახა ჩემი (დამახინჯებული) ტელეგრამა, ბნელი ეჭვები ვერ დაძლია, მიტრიალდა, რათა კედლის საათისთვის თვალი შეეველო, და, ბოლოს, მითხრა, რომ დიდ ბოდის იხდის - საღამოს შვიდის ნახევრამდე ინახავდა ორსაწოლიან ოთახს, ახლა კი ის

გაქირავებულია: ბრახისლანდში გამართული სამღვდლოების ყრილობა დაემთხვა ყვავილთა გამოფენას. „ჩემი სახელი“, ცივად შევაწყვეტინე, „ჰუმბერტი როდია, არც ჰამბურგერი, არამედ - ჰერბერტი, ესე იგი, მაპატიეთ, ჰუმბერტი და ჩემთვის სულ ერთია, მომეცით ერთადგილიანი ნომერი, მაგრამ დაუდგით საწოლი ჩემს პატარა ქალიშვილს. ის ათი წლისაა და ძლიერ დაიქანცა“. ვარდისფერმა ბერიკაცმა კეთილმოსურნე მზერა ესროლა ჩაცვულ ლოლიტას. გოგონას პირი ოდნავ დაეღო და ცალი ყურით უსმენდა კრეტონგადაკრულ სავარძელში მჯდარ ბეხრეკ დედაბერს, რომელიც იისფერ ვუალეში გახვეულიყო. ჩემი არიული ვარდის დანახვისთანავე ამ არამზადას ეჭვები გაეფანტა და მითხრა, რომ, ალბათ მოიძებნებოდა რაიმე, ჰო - ორმაგსაწოლიანი ნომერი. რაც შეეხება პატარა საწოლს - „მისტერ ვატკინს, მოვახერხებთ თუ არა დამატებითი პატარა საწოლის...“ მისტერ ვატკინსი, რომელიც ასევე ვარდისფერი და მელოტი იყო, ხოლო ყურები და სხვა ფოსოები თეთრი ბალნით ჰქონდა დაფარული, მივიდა და გაესაუბრა, მე კი უკვე გავხსენი მუდმივი კალამი. სულწასული ჰუმბერტი! „ჩვენი ორმაგი საწოლები, არსებითად, სამმაგია“. ამბობდა ვატკინსი თავაზიანად და მამა-შვილს დასამინებლად აწვენდა. „მახსოვს, განსაკუთრებული ხალხმრავლობისას ერთ საწოლში სამი ქალბატონი და თქვენი ქალიშვილის კბილა გოგონა ჩავაწვინეთ. მგონი, ერთ-ერთი ქალბატონი გადაცმული მამაკაცი იყო (ჩემი გამოწვინა). თუმცა, ორმოცდამეცხრე ნომერში ზედმეტი საწოლი დგას, არა, მისტერ შვანი?“ „ვშიშობ, რომ ისინი ღორნების ოჯახს მისცეს“, თქვა შვანიმა, პირველმა მასხარამ (ამ ორთაგან). „რაიმეს მოვიფიქრებთ“, ვუთხარი მე. „მოგვიანებით, შესაძლოა, ჩემი ცოლიც შემოგვიერთდეს - მაგრამ, ალბათ, ასეთ შემთხვევაშიც როგორმე მოვეწყობით“. ამ დროისათვის ორივე ვარდისფერ ღრუტუნას უკვე დაავიწყდა თავისი ჰუმბერტოფობია. ბოროტმოქმედის წელი და მკაფიო ხელწერით გამოვიყვანე: დოქტორი ედგარ ჰ. ჰუმბერტი ქალიშვილითურთ, 342, ლოუნ სტრიტი, რამზდელი. გასაღები (ნომერი 342!) წამით მიჩვენეს (ასე გვიჩვენებს ხოლმე ილუზიონისტი მონეტას, რომლის გაქრობასაც აპირებს) და მაშინვე გადასცეს ბიძია თომას. ლოლიტამ ძაღლს თავი გაანება (მეც ასე გამანებებს თავს) და წამოდგა; შარლოტას სამარეს წვიმის წვეთი დაეცა; ციდან ჩამოსულმა სანდომიანმა ზანგმა ქალმა ლიფტის კარი შიგნიდან გააღო და შეუშვა განწირული ბავშვი, რომელსაც ხველებ-ხველებით შეჰყვა მამამისი, შემდეგ კი - გაფარჩხული, კიბორჩხალას მსგავსი ბიძია თომა. სასტუმროს დერეფნის პაროღია. სიჩუმისა და სიკვდილის პაროღია. „შეხე, ეს ხომ ჩვენი სახლის ნომერია“, მხიარულად წამოიძახა ლოლიტამ.

ორადგილიანი საწოლი, სარკე, სარკეში არეკლილი ორადგილიანი საწოლი, მეღნისფერ-ლურჯი ფანჯარა, მასში არეკლილი საწოლი, კარადის სარკეში არეკლილი იგივე საწოლი. ორი სავარძელი, ერთი მინადაფარებული და ორი პატარა მაგიდა, პატარა მაგიდებს შორის - ორადგილიანი საწოლი: უფრო ზუსტად, გაპრიანებული ხის დიდი საწოლი, ალისფერი ხავერდოვანი გადასაფარებლითა და წითელაბაჟურიანი ორი ნათურით. ძალიან მინდოდა, ხუთდოლარიანი ჩამედო მკრთალ-ყავისფერ ხელისგულში, მაგრამ შემეშინდა, რომ ასეთ სიუხვეს ბიძია თომა არასწორად გაიგებდა, ამიტომ ოცდახუთცენტიანი მივეცი. კიდევ ერთი დაფუმატე. ის წავიდა. ტკაც. Enfin seuls[54]. „როგორ, ერთ ოთახში დავიძინებთ?“ იკითხა ლოლიტამ დინამიური გრიმასებით. ამას ადრეც აკეთებდა ხოლმე ბრახისა და ზიზლის გარეშე (თუმცა ამ გრძნობების ზღვარზე), სწორედ რომ დინამიურად, დასმული კითხვების მნიშვნელობის ხაზგასასმელად. „დამატებითი საწოლი ვითხოვე, რომელზეც, თუ გინდა, მე დავწვები“. „ჰკუდიდან შეიშალე?“ მითხრა ლოლიტამ. „რატომ, ჩემო ძვირფასო?“ „იმიტომ, ძვირ-ფა-სო, რომ თუ ძვირ-ფა-სი დედა გაიგებს ამის შესახებ, შენ გაგეყრება, მე კი დამახრჩობს“. უბრალოდ - დინამიურად; არასერიოზულად. „ყური დამიგდე“, ვუთხარი და დავეჯექი; გოგონა ჩემგან ორიოდ ნაბიჯზე იდგა, სიამოვნებით უცქერდა თავის ანარეკლს და საკუთარი ვარდისფერი შუქით აცისკროვნებდა კარადის კარის გაცეცხულსა და კმაყოფილ სარკეს. „მისმინე, ლოლიტა. მოდი, ერთ რამეზე შევეთანხმდეთ. წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით მე მამამენი ვარ. ძალიან მიყვარხარ. როდესაც დედა არ გახლავს, შენს კეთილდღეობაზე მე ვაგებ პასუხს: მდიდრები არა ვართ და, რადგან ერთად ვმოგზაურობთ, იძულებულნი ვიქნებით - იძულებულნი, ვიქნებით, ხშირად ვიყოთ ერთად. როდესაც ორნი ერთ ოთახში ცხოვრობენ, გარდაუვალია გარკვეული...“ „სისხლის აღრევა“, მიკარნახა ლოლიტამ - და

კარადაში შევიდა, და ნორჩი, წვრილა კისკისით იქიდან გამოვიდა, მეზობელი კარი შეაღო, წინდახედულად შეიხედა იქ თავისი უცნაური, დაბინდული თვალებით, რომ კვლავ არ შეშლოდა, და სააბაზანოში შევიდა. ფანჯარა გამოვადე, ოფლით გაჟღენთილი პერანგი გავიხადე, გადავიცვი, შევამოწმე, მედო თუ არა აბები პიჯაკის ჯიბეში და ჩემოდანი გავხსენი. ლოლიტა სააბაზანოდან გამოგოგმანდა. ვცადე, მოვხვეოდი, ისე, უცაბედად, ალერსის ერთი წვეთი სადილის წინ. მითხრა: „წინადადებას ვიძლევი, კოცნაობა შევწყვიტოთ და ჩავცეცხოთ“.

სწორედ მაშინ ვაახლე სიურპრიზი. ოჰ, ჩემო ოცნებათა ოცნებავ! გოგონა ისე გაემართა გადახსნილი ჩემოდნისკენ, თითქოს შორიდან ნადავლს უთვალთვალებდა (შენელებული კინემატოგრაფის მსგავსად) და სადგარზე შედგმულ ამ შორეულ საუნჯეს აკვირდებოდა (გავიფიქრე, რა დაემართა-მეთქი მის თვალებს, ამ დიდრონ ნაცრისფერ თვალებს. იქნებ ორივენი ერთი და იმავე მოჯადოებული ნისლით ვიყავით გარემოცულნი?). ის მიუახლოვდა ჩემოდანს. საკმაოდ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით შემოსილ ფეხებს მაღლა სწევდა. მომხიზვლელ ბიჭურ მუხლებს ისე ნელა ხრიდა ამ გახალვათებულ სივრცეში, თითქოს წყალქვეშ მოძრაობდა ან უწონადობის სიზმარულ სამყაროში იმყოფებოდა. შემდეგ სახელოებით ამოსწია ლამაზი, ძალზე ძვირადღირებული ჟანგისფერი აბრეშუმის კოფთა. ასევე დინჯად და მდუმარედ გაასწორა; უჩვეულო ფრინველის დანახვით სულშეგუბებულ, გაშემებულ მონადირეს ჰგავდა. ეს ფრინველი თითქოს ალისფერი ფრთების ბოლოებით ეკავა. მერე ბრჭყვიალა ქამრის ნელი გველი ამოაცოცა (სანამ მე ვიდექი და ველოდებოდი) და მოიზომა. სახეგაბრწყინებული, გულაჩვილებული ლოლიტა მის მომლოდინე მკლავებში შემორონინდა.. ნაზი, იდუმალი, ბიწიერი, უნდილი, დაბინდული მზერით მეღაცეებოდა - ზედგამოჭრილი ბანალური როსკიპი გახლდათ. აი, ვის ბაძავენ ნიმფეტები - სანამ ჩვენ ვგმინავთ და ვიფერვლებით. „რით არ მოგეჭონა კოჩნა?“ ჩავუტუტუტე მის თმას (სიტყვებს ველარ ვიმორჩილებდი). „თუ გინდა, იცოდე“, თქვა მან, „ისე არ იქცევი, როგორც საჭიროა“. „მიჩვენე, როგორ მოვიქცე“. „თავის დროზე გიჩვენებ“, მიპასუხა ჩემი ენაბრგვილობის მიზეზმა. *Seva ascendes, pulsata, brulans, kitzelans, dementissima. Elevator clatterans, pausa, clatterans, populus in corridoro. Hanc nisi mors mihi adimet neimo! Juncea puellula, jo pensavo fondissime, nobserva nihil quidquam;* რა თქმა უნდა, მომდევნო წუთს კინაღამ საშინელი შეცდომა ჩავიდინე; საბედნიეროდ, ლოლიტა თავის საგანძურს დაუბრუნდა. სააბაზანოდან, სადაც საკმაოდ გამიჭირდა მცირე მოთხოვნილებაზე გადართვა, მესმოდა (ვიდექი, მიზანს ვაცდენდი, სუნთქვა მეკვროდა) გოგონას აღტაცებული ოხვრა. ხელები მხოლოდ იმიტომ დაიბანა, რომ სასტუმროს სანიმუშო პატარა საპონი მოეწონა. „წასვლის დროა, ჩემო კარგო; ვფიქრობ, შენ ჩემსავით მშვიდი ხარ“. ლიფტისკენ გავემართეთ; ჩემი ქალიშვილი თავის ძველ თეთრ ჩანთას მიაქნევდა, მამამისი კი ერთი ნაბიჯით უსწრებდა (ნოტა ბენე: არასოდეს არ უნდა გაფუშვა წინ, ის ხომ მანდილოსანი არაა). სანამ ვიდექით (ახლა უკვე გვერდიგვერდ) და ლიფტს ველოდებოდით, ლოლიტამ თავი უკან გადააგდო, დაამთქნარა და კულულები შეარხია.

„ბანაკში რომელ საათზე გაღვიძებდნენ?“ „შვიდის - ხელახალი მთქნარება შეიკავა - ნახევარზე“. მთქნარება დაასრულა და მთელი სხეულით შეტოკდა. „ნახევარზე“. გაიმეორა და ყელი კვლავ ნელ-ნელა გაეწვია. სასტუმროს რესტორანი შემწვარი ცხიმის სურნელითა და უსიცოცხლო ღიმილით შეგვხვდა. ეს გახლდათ უგემოვნო ფრესკებით მოხატული, ვრცელი, პრეტენზიული დარბაზი. ფრესკებზე გამოსახული იყო უინტერესო ცხოველებს, დრიადებსა და ხეებს შორის სხვადასხვა მდგომარეობაში გაშემებული მრავალი მოჯადოებული მონადირე. დარბაზში მიმოხედილი რამდენიმე მოხუცი მანდილოსანი, ორი მღვდელი და უჯრედებიან პიჯაკში გამოწყობილი მხარბეჭიანი ვაჟბატონი სადილობას ამთავრებდნენ. რესტორანი ცხრა საათზე იკეტებოდა და მწვანე ფორმის კაბებში ჩაცმული სახეგაყინული მიმტანები ძალზე ესწრაფოდნენ - ჩემდა საბედნიეროდ - ჩვენს თავიდან მოშორებას. „შეხე, როგორ ჰგავს, რა საოცრად ჰგავს კუილტის“, ხმადაბლა წაილაპარაკა ლოლიტამ და წვეტიანი გარუჯული იდაყვით კი არ მიმითითა, არამედ სცადა, მიეთითებინა დარბაზის შორეულ კუთხეში მჯდარ სპორტულ პიჯაკში გამოწყობილ ვაჟბატონზე. „ვის - ჩვენს მსუქან დანტისტს?“ ლოლიტამ წყლის ყლოუპი პირში შეაჩერა და აცეკვებული ჭიქა მაგიდაზე დადგა. „რა სისულელეა“, მითხრა და სიცილისგან წამოახველა. „იმ მწერალზე ვლაპარაკობ, პაპიროსის რეკლამებზე რომ არის გამოსახული“. ო, სახელმოხვეჭილობა! ო, ქალებო! როდესაც მაგიდაზე ტორტი დაგვიგდეს - ქალიშვილს ალუბლის ტორტის უშველებელი ნაჭერი, ხოლო მის მეურვეს - ნაღების ნაყინის ულუფა (რომლის უმეტესი ნაწილი ლოლიტამ დაუფიქრებლად მიამატა თავის ტორტს). ჯიბიდან ამოვიღე 'მამიკოს აბებიანი' წამლის შუშა. იმ უღიმღამო ფრესკებისა და უცნაური, შემზარავი წამის გახსენებისას ჩემი მაშინდელი მოქმედება

უპაერო სივრცეში მექანიკურ მოძრაობად წარმომიდგება, რაც ჭკუნანდრძობი კაცის სიზმრებს ახასიათებს. ამასთან, იმ წამს ყველაფერი სრულიად მარტივი და გარდაუვალი მეგონა. დარბაზს გადავხედე, დავრწმუნდი, რომ უკანასკნელი სტუმარი წასულიყო. შუშას თავი მოვხადე და უდიდესი სიმშვიდით გადმოვაპირქვავე ხელისგულზე. სარკის წინ არაერთხელ გამიმეორებია ეს შესტი: ცარიელი პეშვი მიმქონდა პირთან და მასში გადავუმახებდი ხოლმე არარსებულ აბს. ლოლიტამ ჩემი მოლოდინი გაამართლა და ეცა მუშას, რომელშიც მძინარე მზეთუნახავის ბანგით გავსებული მსხვილი, მაცდური, წითელი აბები ეწყო. „ლურჯები!“ წამოიძახა მან. „ისფერ-ლურჯები. რისგანაა დამზადებული?“ „ზაფხულის ცისგან“. მივუგე მე „და კიდევ - ქლიავისგან, ლელვისგან და მეფეთა სისხლისგან. რომელიც ყურძნის წვენითაა გაჯერებული“. „არა, სერიოზულად... გეხვეწები!“

„ოჰ, ეს, უბრალოდ, იაკავსულებია. ვიტამინი იქსი. ისეთი ღონიერი ხდები, როგორც ხა-რი ან სარი. გინდა გასინჯო?“ ლოლიტამ თავი ენერგიულად დააქნია და ხელი გამოიწოდა. ვიმედოვნებდი, რომ ბანგი მალე იმოქმედებდა. მან ელვისებური სისწრაფით იმოქმედა. ხანგრძლივი დღე უკან ჩამოვიტოვეთ: დილას ლოლიტამ ნავით ისეირნა ბარბარასთან ერთად (ამ გოგონას დაიკო წყლის სპორტს განაგებდა, რის შესახებაც ჩემმა დამატორობლად თვინიერმა ნიმფეტმა მიაშმო. მთქნარებისგან სასა ეხოდა) და კიდევ რაღაც საქმიანობით იყო დაკავებული იმ დროისთვის, როდესაც ლიფტიდან გამოვედით, კინოში წასვლის ბუნდოვანი სურვილი, რა თქმა უნდა, გადაავიწყდა. ლიფტში მომეყრდნო, ოდნავ გაიღიმა („მოგიყვებ, რას ვაკეთებდი?“) და ჩამუქებული ქუთუთოები მილულა. „ალბათ, გეძინებ?“ ჰკითხა ბიძია თომამ. ის მართავდა ლიფტს, რომელსაც ზემოთ აჰყავდა ფრანკო-ირლანდიური წარმომავლობის წყნარი ჯენტლმენი და მისი ქალიშვილი, აგრეთვე ორი დამკვირვებელი ქალი (ვარდების სპეციალისტები). ისინი თანაგრძნობით უცქერდნენ ჩემს ნაზ, მზემოკიდებულ ვარდისფერ, გაბრუებულ თვალისჩინს, რომელსაც ფეხზე დგომის ძალა აღარ შესწევდა და ტორტმანებდა. თითქმის ხელში ატატებულ ლოლიტა ნომერში შევიყვანე. გოგონა ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა. ქანაობდა და უღიმდამო, გაჭიანურებული კილოთი ბუტბუტებდა. „თუკი გაიმბობ... თუკი გაიმბობ, დამპირდი (ძილი მოერია! თავს აკანტურებს, თვალებს ბლიტავს...), დამპირდი, რომ ბანაკს არ უჩივლებ“. „მერე, ლოლიტა. ახლა დაწეკი. მარტო დატოვებ, რომ დაწე. ათ წუთს გაძლე“. „ოჰ, რა ცუდი ვიყავი“, განაგრძო მან და კულულები შეარხია. და ხელი თითებით შავი ხავერდის ლენტი მოიძრო. „მოდით, გაიმბობ“. „ხვალ, ლოლიტა, დაწეკი. დაწეკი, გთხოვ, დაწეკი“. გასაღები ჯიბეში ჩავიდე და კიბეზე დავეშვი

28.

მოწყალო ქალბატონო მსაჯულნო! მოთმინებით აღიჭურვეთ! ნება მიბოძეთ, წაგართვათ ძვირფასი დროის მცირე ნაწილი! ამგვარად, დადგა le grand moment[55]. დავტოვე რულმორეული ლოლიტა, რომელიც ჯერ კიდევ იჯდა უძირო ლოგინის კიდეზე. რულმოკიდებული, ფეხს მაღლა სწევდა, ზანტად აცოდვილებდა ფეხსაცმლის თასმებს და ამ დროს ზარძაყის ქვედა ნაწილსა და საცვლის ნაწიბურს აჩენდა - ის ყოველთვის უცნაური გულმავიწყობით თუ ურცხვობით (ან ორივეთი ერთად) ეკიდებოდა ამგვარ გაშიშვლებას. ასეთი იყო მისი სანუკვარი ხატება, რომელიც ოთახში ჩაკვეტე, თან კარი წინასწარ შევამოწმე, შიდა ურდული ხომ არ აქვს-მეთქი. გასაღებზე ხის ჩუქურთმიანი ბურთულა ეკიდა, რომელზეც ოთახის ნომერი იყო აღნიშნული. ის მყისვე გადაიქცა მძიმე „სეზამ, გაიდე“-დ, ანუ ზღაპრულ საღებელად, რომელსაც ნეტარი და საზარელი მომავლის კარი უნდა გაეღო. გასაღები ჩემი იყო, ჩემი, ცხელი, ბანჯგვლიანი მუშტის ნაწილს წარმოადგენდა. რამდენიმე წუთის - ვთქვათ, ოცი წუთის ან ნახევარი საათის შემდეგ (sicher ist sicher[56], როგორც ბიძაჩემი, გუსტავი ამბობდა ხოლმე) 342-ე ნომრის კარს გავაღებ და ბროლის სიზმრით შეპყრობილ ჩემს ნიმფეტს, ჩემს შშვენებას, ჩემს პატარძალს ვიხილავ. მსაჯულნო! აღტაცებას ხმა რომ ჰქონოდა, ამ ბურჟუაზიულ სასტუმროს გამაყრუებელი ბდავილი შეაზანზარებდა და ერთადერთი რამ, რასაც ახლა მწარედ ვნანობ, ისაა, რომ შევიცარს მდუმარედ არ დავუტოვე 342-ე ნომრის გასაღები და იმავე ღამეს არ დავტოვე ეს ქალაქი, ქვეყანა, მატერიკი, ნახევარსფერო და მთელი დედამიწა. ნება მიბოძეთ, ავიხსნათ. ლოლიტას მომნაინებელმა ქარაგმებმა არც ისე შემაშფოთა. ჯერ კიდევ მტკიცედ მქონდა განზრახული მისი სიწმინდის გაფრთხილება; ვაპირებდი, მხოლოდ და მხოლოდ ღამის საფარქვეშ მემუშავა ნარკოზით გაბრუებულ შიშველ პაწაწა გოგონაზე. „თავშეკავება და მოწიწება“. - ასეთი იყო ჩემი უცვლელი დევიზი და ამ დევიზისადმი ერთგულებას ვესწრაფვოდი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სიწმინდე (რომელიც, სხვათა შორის, საფუძვლიანად გააცამტვერა თანამედროვე მეცნიერებამ) ოდნავ შებღალა რომელიმე ბავშვურმა (ალბათ,

ჰომოსექსუალური ხასიათის) ეროტიული განცდამ მის იმ საძაგელ ბანაკში. რა თქმა უნდა, მე, ჟან-ჟაკ ჰუმბერტს, ძველმოდური, ევროპული შეხედულებები მქონდა. ამიტომ ლოლიტას დანახვისთანავე (ორნახევარი თვის წინ) დავიჯერე, რომ ის ისევე უბიწო იყო, „ნორმალურ ბავშვს“ რომ შეეფერება. მას შემდეგ, რაც დასრულდა დაუვიწყარი ანტიკური სამყარო მისი წარმტაცი ჩვეულებებით, ჩვენს განათლებულ დროში გარშემორტყმული არა ვართ პაწია მონებით, ამ ნაზი ყვავილებით, რომელთაც რომში აბანოს გასახდელ ოთახში წყვეტდნენ ხოლმე; არც დიადი აღმოსავლეთის კიდეც უფრო ნებიერ ეპოქებს ვბაძავთ - არ ვეფერებით თავაზიან ბავშვებს ცხვრის ხორცის მირთმევის შემდეგ და ვარდისფერი შარბათის დაღვეამდე. საქმე ისაა, რომ მოზრდილთა სამყაროსა და ბავშვების გამაერთიანებელი ძველი რგოლი ახალმა ჩვეულებებმა და კანონებმა მოშალა. თუმცა ერთ დროს ფსიქიატრიითა და საზოგადოებრივი მეურვეობით ვიყავი დაინტერესებული, მაგრამ, არსებითად, ბავშვების შესახებ არაფერი ვიცოდი. ბოლოს და ბოლოს ლოლიტა ხომ მხოლოდ თორმეტი წლისა იყო და გარემოსა და ეპოქის თავისებურებების (სასკოლო ასაკის ამერიკელი ბავშვების აღვირახსნილობის) მიუხედავად, მეგონა, რომ ამ ანცი მოზარდების გარყვნილი თამაშობები მაინც შედარებით უფრო გვიან (და სხვაგვარ ვითარებაში) იწყებოდა, ამიტომ (კვლავ

განვაგრძობ მსჯელობას) ჩემი „მე“-ს ერთ-ერთი წარმომადგენელი - მორალისტი გვერდს უვლიდა ამ საკითხს და ეპოტინებოდა პირობით შეხედულებებს თორმეტი წლის გოგონების შესახებ, ჩემი „მე“-ს მეორე ნაწილი - ბავშვთა ფსიქიატრი (შარლატანი, როგორც მათი უმრავლესობა, მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს) ახალფროიდისტულ გულიაშს ცოხნიდა და მეოცნებე, ეგზალტირებულ ლოლიტას ქაღალდის „ლატენტურ“ ფაზაში წარმოისახავდა. ბოლოს, ჩემი არსების მესამე ნაწილი - სექსუალისტი (ვეება, შლეგი ურჩხული) წინააღმდეგი არ იყო იმისა, რომ მისი მსხვერპლი ოდნავ ბიწიერი ყოფილიყო, მაგრამ იქ, სადაც, მძვინვარე ბედნიერების მიღმა დაბნეული აჩრდილები ბჭობდნენ - და როგორ ვნანობ, რომ მათ არ დაეუჯერე! ხალხო, მისმინეთ! უნდა მივმხვდარიყავი, რომ ლოლიტა უკვე სრულიად განსხვავდებოდა უმანკო ანაბელასგან და რომ იდუმალი ტკბობისთვის განკუთვნილი მონუსხული გოგონას ყოველი ფორიდან ნიმფური უკეთურება იფრქვეოდა. ამიტომ საიდუმლო აუხდენელი იყო, ტკბობა ვი სიკვდილს მიქადდა. უნდა მივმხვდარიყავი (იმ ნიშნების მიხედვით, რომელთაც ლოლიტას არსებაში მყოფი ვიდაც მაწვდიდა - ეს იყო ნამდვილი, ბალღური ბუნების ლოლიტა ან მის ზურგს უკან მიმალული ღონემიხდილი ანგელოზი), რომ მომავალი განცხრომა მხოლოდ წამებასა და ძრწოლას მომიტანდა. ო, ფრთიანო უფალო მსაჯულნო! ის ჩემია, ჩემი! გასაღები მუჭში მაქვს ჩაბლუჯული, მუშტი ჯიბეში მიდევს. ის ჩემია! ჩხიბვასა და გამოთვლებს ამდენი უძილობა მივუძღვენი და მოვახერხე, სურათისთვის თანდათანობით მომეცილებინა ზედმეტი ლექი. შემდეგ ის გამჭვირვალე საღებავებით გავაფერადე და დავასრულე. ამ სურათზე ლოლიტა შიშველი იყო, ცალი წინდისა და ბრელოკებიანი სამაჯურის გარდა, არაფერი ემოსა ტანთ; იქ გაშოტილიყო, სადაც ჩემმა ჯადოსნურმა ბანგმა წააქცია; პაწაწინა ხელში ხავერდის ლენტე ეჭირა; გარუჯული სხეული, რომელზეც მოკლე საბანაო ტრუსი თეთრ ნეგატივად აღბეჭდილიყო. მკრთალ ნორჩ კერტებს მიჩვენებდა; ლამპის ვარდისფერ შუქზე ფუნჩულა ბორცვის პირველი ღინღლი აბრეშუმით უბზინავდა. კაკლის ხის ბურთულიანი უზარმაზარი გასაღები ჯიბეში მედო. დარბაზებში დავხეტალობდი. შინაგანად გასხივოსნებულს, გარეგნულად პირქუში შეხედულება მქონდა: ჟინი ხომ ყოველთვის პირქუშია; ჟინი გამუდმებით შიშობს (მაშინაც კი, როდესაც სათუთი მსხვერპლი ციხე-სიმამგრეში ჰყავს ჩაკეტილი), რომელიმე კონკურენტმა- ეშმაკმა ან გავლენიანმა ღვთაებამ არ გააუქმოს მისთვის მომზადებული დღესასწაული. ყოფითი ენით რომ ვთქვათ, უნდა დამელია, მაგრამ აშმორებული ფილისტერებითა და სტილიზებული ნივთებით გავსებულ ამ ძველ, დარბაისლურ სასტუმროში ბარი ვერ ვიპოვე. მამაკაცთა საპირფარეოში მოვხვდი. მისმა

უკანასკნელმა სტუმარმა, შავ კლერიკალურ კოსტიუმში გამოწყობილმა კაცმა, რომელსაც გული, *comme on dit*[57], ღია ჰქონდა, შარვლის შესაკრავი მოისინჯა (ვენელი ბრძენკაცის აზრით, ამ ჟესტით ადამიანი ამოწმებს, ყველაფერი აკრიფა თუ არა) და მკითხა, პასტორ ვაჟის ლექცია თუ მოგეწონათო. გაოცებით შემომხედა, როდესაც ვუთხარი, ვაჟი კარგი ვაჟბატონია-მეთქი. შემდეგ ქალადის ხელსახოცით თითების წვერები გავიმშრალე (ძალზე მგრძნობიარე თითები მაქვს). ქალადი ბაკში მარჯვედ გადავისროლე და ჰოლში გავედი. იდაყვებით მოხერხებულად დავეყრდენი კანტორულას და

მისტერ ვატკინსს ვკითხე, დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ ჩემს ცოლს არ დაურეკავს-მეთქი; გარდა ამისა, დავინტერესდი, საწოლი თუ იშოვეს. მან მიპასუხა, რომ არავის დაურეკავს

(განსვენებული, რა თქმა უნდა, ვერ დარეკავდა) და, თუკი სასტუმროში დავრჩებოდით, საწოლს ხვალ დადგამდნენ. დიდი, ხალხმრავალი ოთახის კარზე ეწერა: „მონადირეთა დარბაზი“. იქიდან ხმების გუგუნნი მოისმოდა - მებაღეობაზე მსჯელობდნენ ან სულის უკვდავების საკითხს იხილავდნენ. მეორე - „მეწამულ“ - ოთახში დადგმული მაგიდები ნათურების კაშკაშა სხივებში ლაპლაპებდა. ერთ გრძელ მაგიდაზე მორსი და ბისკვიტები დაეწყოთ. დარბაზში მხოლოდ სასტუმროს დიასახლისი იმყოფებოდა. ეს იყო დამჭკნარი ქალი, რომელსაც სასტუმროს დიასახლისების დამახასიათებელი უსიცოცხლო ღიმილი და ლაპარაკის შარლოტასებრი მანერა ჰქონდა. ქალი ჩემთან მოვიდა. ღიმილი შემომაფრქვია და იკითხა, ბატონი ბრადოკი ხომ არ ხართო, და თუ ასეა, მისის წვერი სწორედ თქვენ გეძებთო. „რა ქალის შესაფერი გვარია“, შევნიშნე ამაზე და აუჩქარებლად გამოვედი. ნაირფერადი სისხლი მიჩქროლავდა. გადავწყვიტე, ათის ნახევრამდე მომეცადა. ჰოლში დაბრუნებისას შეცვლილი ვითარება დამხვდა. ჭრელი აბრეშუმით ან შავი მაუდით შემოსილი ადამიანები ცალკეულ მცირერიცხოვან ჯგუფებად გაერთიანებულიყვნენ და შემთხვევის ელფმა ჩემი მხერა დაატკბო ლოლიტას ასაკის მშვენიერი ბავშვით. მას ლოლიტას კაბის მსგავსი (მაგრამ თეთრი) კაბა ეცვა, ხოლო შავი თმა თეთრი ლენტით ჰქონდა შეკრული. განსაკუთრებული სილამაზით არ გამოირჩეოდა, მარამ ნიმფეტი გახლდათ და მისმა შიშველმა, ფერმკრთალმა, ფაიფურისებრმა ფეხებმა და ქათქათა კისერმა ერთ დაუვიწყარ წამს ძალზე საამო ანტიფონოსი (თუკი შეიძლება, ზურგის ტვინში წარმოქმნილი შეგრძნება გამოვხატო მუსიკალური ტერმინის მეშვეობით) შეუერთა იმ წყურვილს, რომლითაც ვილტვოდი ლოყებდაჟღაჟა და გარუჯული, აღზნებული და წაბილწული ლოლიტას მიმართ. ფერმკრთალმა გოგონამ იგრძნო ჩემი (სრულიად გულგრილი და სათნო) მხერა. მეტისმეტად კდემამოსილი იყო და ძალზე დაიმორცხვა; თვალები გადაატრიალა, ხელის ზურგი ლოყაზე მიიდო, კაბა გაისწორა, ბოლოს მოძრავი, გამხდარი ბეჭები მომიტრიალა და თავის ჩაგოდრებულ დედას განზრახ გაუბა ლაპარაკი. ხმაურთან ჰოლიდან გამოვედი. რამდენიმე ხანს თეთრ საფეხურებზე ვიდექი და ვუმზერდი მოთეთრო პეპლების კარუსელს - ისინი მოლივლივე, მშფოთვარე ღამის ნესტით გაჟღენთილ წყვილიადში ფარნის გარშემო ტრიალებდნენ. გავიფიქრე, რომ ყოველივე, რასაც მოვიმოქმედებდი და რაზეც გავკადნიერდებოდი, არსებითად, უმნიშვნელო რამ იყო... ანაზდად ვიგრძენი, რომ ბინდბუნდში, ჩემს მახლობლად, ვიღაც იმყოფებოდა - ბაქნის სვეტებს შორის დადგმულ ერთ-ერთ სავარძელში ვიღაც იჯდა. სიბნელეში ვერავინ დავინახე, მაგრამ გავიგონე მათარის გახსნის ხმა; შემდეგ ჩუმი ბუბუყი და სახურავის ჩახრახნის ხმაური მომესმა. უკვე გაცლას ვაპირებდი, როდესაც უცნობმა მომმართა: „ეგ გოგონა რად გიღირს?“ „მაპატიეთ?“

„მგონი, აღარ წვიმს-მეთქი“. „ღიანხ, მგონი, ასეა“. „ის სადღაც მინახავს“. „ჩემი ქალიშვილია“. „საეჭვო რამეა“. „უკაცრავად?...“ „საუცხოო ღამეა-მეთქი. დედამისი სადაა?“ „გარდაიცვალა“. „აი, თურმე, რა. დასანანია. რას იტყვით, ხვალ ერთად ხომ არ გვესადილა სამივეს? იმ დროისთვის ყველა ეს არამზადა გაგვეცლება“. „ჩვენც მივემგზავრებით. ღამე მშვიდობისა“. „სამწუხაროა. მაგრად დავთვერი. ღამე მშვიდობისა. თქვენს გოგონას ბევრი ძილი სჭირდება. გამოიძინე და ვარდივით მშვენიერი იქნები, როგორც სპარსეთში ამბობენ. პაპიროსი გინდათ?“ „გმადლობთ, ახლა არ მინდა“. უცნობმა ასანთი გაჰკრა. იმიტომ, რომ მთვრალი იყო (ან იმიტომ, რომ ქარი იყო მთვრალი), აღმა ის კი არ გაანათა, არამედ ვიღაც ღრმად მოხუცებული კაცი (ერთი იმათგანი, ვინც სიცოცხლის დარჩენილ ნაწილს ამგვარ ძველ სასტუმროებში ატარებს) და მისი თეთრი სარწვეველა გამოჰგლიჯა სიბნელეს. ხმა არავინ ამოიღო და წყვილიადი თავის ადგილს დაუბრუნდა. შემდეგ გავიგონე, როგორ ჩახველა და ხმამალა გადააწიტა სასტუმროს ძველმა მცხოვრებმა. ვერანდიდან გავედი. ნახევარმა საათმა უკვე განვლო. რატომ არ ვთხოვე იმ კაცს ერთი ყლოუპი ვისკი! დამაბულობამ თავი იჩინა. ვიოლინოს სიმით ვეწამებოდი. ამასთან, აჩქარება უზრდელობად ჩამეთვლებოდა. როდესაც ჰოლის ერთ კუთხეში გაშეშებული ადამიანების თანავარსკვლავედს მივარღვევდი, მაგნიუმმა დამაბრმაველად გაიელვა და უკვდავყო გაღრქილი პასტორი ბრადოკი, ორი ქალბატონი - პატრონესა, რომელთაც მკერდზე აუცილებელი ორქიდეები ჰქონდათ მიბნეული, თეთრკაბიანი გოგონა და, ალბათ, კბილებდაკრეჭილი ჰუმბერტ ჰუმბერტი, რომელიც ცდილობდა, გვერდულად გაეღწია მოჯადოებულ მღვდელსა და ამ გოგონას შორის (მცირეწლოვან პატარძალს რომ ჰგავდა). ეს უკვდავყოფა პროვინციული პატარა გახეთის ქალაქსა და ტექსტს უნდა განეხორციელებინა. ლიფტის მახლობლად მეორე მოტიტინე ჯგუფი იდგა და კიბით ასვლა ვამჯობინე. 342-ე ნომერი მდებარეობდა მეორე, გარე კიბესთან, რომელიც ხანძრის შემთხვევაში თავის დასახსნელად

იყო ნავარაუდები. ჯერ კიდევ შემეძლო, თავი გადამერჩინა, მაგრამ - გასაღები კლიტეში გადატრიალდა და უკვე ოთახში შევდიოდი.

29. განათებული სააბაზანო ოთახის კარი გამოღებული იყო; გარდა ამისა, ჟალუზში ქუჩის ფარნების (ჩონჩხისმაგვარი მოხაზულობის მქონე) შუქი ატანდა. ეს გადაჯვარედინებული სხივები საძინებლის წყვდიადში გარკვევის საშუალებას იძლეოდა. თავის ერთ-ერთ ძველ ღამის პერანგში ჩაცმული ლოლიტა ჩემკენ ზურგმუქცევით იწვა ორადგილიანი საწოლის შუაგულში. თხელი ქსოვილით შემოსილი სხეული და შიშველი ფეხები მოკლე ზიგზაგს წარმოქმნიდა. თავქვეშ ორივე - თავისი და ჩემი - ბალიში ამოედო, კულულები გასწეწოდა. მკრთალი შუქის ზოლი მისი ზურგის ზედა ნაწილს კვეთდა. ტანისამოსი გავიხადე და პიჟამა ფანტასტიკური სისწრაფით ჩავიცვი, რაც ეგზომ დამაჯერებელია კინემატოგრაფში (გადაცმის სცენის გამოტოვებისას); ის იყო, საწოლის კიდეს მუხლით დავყვრდენი, რომ ლოლიტამ უეცრად თავი მოაბრუნა და ზოლიანი ჩრდილიდან მომაშტერდა. ახალმოსული ამას არ მოელოდა! დასაძინებელ აბთან დაკავშირებული ოინის (Entre nous soit dit[58], სადაგელი წამოწყების) მიზანი იყო იმდენად ღრმა ძილის მოგვრა, რომ გოგონა მთელ პოლკს ვერ უნდა გაეღვიძებინა, ის კი, შეხეთ, როგორ დამაცქერდა, ენას ძლივს ატრიალებს და ბარბარას მიწოდებს! პიჟამიანი ცრუ-ბარბარა კი გახევდა და მოლულულღე ბავშვის თავზე დაეკიდა. ნელა, უიმედო ოხვრით, დოლი მიტრიალდა და პირვანდელი მდგომარეობა მიიღო. ორიოდ წუთის განმავლობაში დამაბული ვიდექი საწოლის კიდესთან. იმ პარიზელ თერძს ვგავდი, პარაშუტი რომ შეკერა და, ეიფელის კოშკზე მდგარი, გადასახტომად ემზადებოდა. ბოლოს და ბოლოს ლოგინის ჩემთვის დატოვებულ ვიწრო ნაწილზე ავბობდდი; ფრთხილად მოვწიე ჩემი გაშეშებული, ცივი ქუსლების სამხრეთით გადაგდებული ზეწრების კიდები; ლოლიტამ თავი ასწია და მომაჩერდა.

თავაზიანმა ფარმაცევტმა შემდგომ მაუწყა, რომ იისფერი აბი ბარბიტალური ნარკოტიკების მრავალრიცხოვან და წარჩინებულ ოჯახსაც კი არ განეკუთვნებოდა. ნევრასტენიკს, რომელიც მისი ზემოქმედების ძალას ირწმუნებდა, ის, ალბათ, დააძინებდა, მაგრამ წამალი ძალზე სუსტი იყო იმისთვის, რათა ხანგრძლივად გაებრუებინა ცქვიტი (თუმცა კი - დაღლილი) ნიმფეტი. მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რამზღელელი ექიმი შარლატანი იყო თუ ცბიერი კაცი. არსებითი იყო, რომ მან მომატყუა. როდესაც ლოლიტამ კვლავ გაახილა თვალები, მივხვდი: იმ შემთხვევაშიც კი, თუ საძილე საშუალება ერთი საათის ან საათნახევრის შემდეგ იმოქმედებდა, ჩემი ვარაუდი უსაფრთხოების შესახებ მცდარი იყო. გოგონა წყნარად მიტრიალდა და თავი ბალიშზე დააგდო - იმ ბალიშზე, რომელიც უსამართლოდ წამართვა. უფსკრულის პირას გაუნძრევლად ვიწექი. ლოლიტას აწეწილ თმასა და ნიმფეტური სიშიშვლის ელვარებას ვაკვირდებოდი (იქ, სადაც ბუნდოვნად მოჩანდა მხრისა თუ ბარძაყის ნახევარი) და ვცდილობდი, გოგონას ძილის სიღრმე მისი სუნთქვის ტემპის მიხედვით განმესაზღვრა. გარკვეულმა დრომ განვლო; არაფერი შეცვლილა. გავბედე და გადავწყვიტე, ოდნავ მივახლოვებოდი ამ წარმტაც, გამაოგნებელ ციმციმს. მაგრამ როგორც კი მის თბილ შემოგარენში გადავინაცვლე, თანაბარი სუნთქვა შეწყდა. დამუბადა საზარელი ეჭვი, რომ პატარა დოლორესმა საბოლოოდ გაიღვიძა და მზად იყო, წივილ-კივილი აეტეხა, თუკი ჩემი უბადრუკი, მტკივანი სხეულის რომელიმე ნაწილით შევეხებოდი. მკითხველო, გთხოვ, როგორც უნდა გაგაღვიძიანოს ჩემი წიგნის გულკეთილმა, ავადმყოფურად მგრძნობიარე, უსაზღვროდ წინდახედულმა გმირმა, ნუ გამოტოვებ ამ მეტად მნიშვნელოვან ფურცლებს! წარმომიდგინე! ვერ ვიარსებებ, თუ არ წარმომიდგენ; შეეცადე, ჩემში განჭვრიტო შველი, რომელიც საკუთარი უკანონობის ტევრში ძრწოდა; მოდი, ოდნავ გავიღვიძოთ კიდევ. მაგალითად - თავის მისადრეკი ადგილი არ მქონდა, საერთო უხერხულობას კი კუჭის სადაგელი წვა დაემატა (ქონში შემწვარი

კარტოფილისგან, რომელსაც, რატომღაც, „ფრანგულს“ უწოდებენ). ჩემს ნიმფეტს კვლავ ღრმად ეძინა, მაგრამ ჯადოსნური მოგზაურობის დაწყება მაინც ვერ გავბედე. La Petite Dormeuse ou l'Aman Ridicule[59]. ხვალ იმ ძველ აბებს დავალევივინებ, რომელთაგანაც დედამისი ასე საფუძვლიანად შეშდებოდა. სად შევინახე - ავტომობილის წინა კოლოფში თუ დიდ საკვოიაჟში? იქნებ ერთი საათიც მოვიცადო და შემდეგ კვლავ მივუჩოჩდე? ნიმფოლეფსიის მეცნიერება ზუსტი მეცნიერებაა. შეიძლება, ერთ წამში მოასწრო, თუ ჩაეკონები. ერთი მილიმეტრის მანძილზე ათი წამი დასჭირდება. დავიცადოთ. ამერიკულ სასტუმროზე ხმაურიანი ამქვეყნად არაფერია, ამასთან, ითვლებოდა, რომ ჩვენი ოტელი წყნარი, მყუდრო, ძველი ყაიდის, შინაურული სავანე იყო და „ყოფის სინატიფეც“ ახასიათებდა. ჩემი თავის ქალის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ოცი ნაბიჯის დაშორებით, ლიფტის კარის ჯახუნის გაისმოდა და ამ ხმას ისე მძაფრად აღვიქვამდი, თითქოს რკინის კარი ჩემს მარცხენა საფეთქელში ხმინაობდა; მას ენაცვლებოდა ლიფტის მანქანის

სხვადასხვაგვარი მანევრებით გამოწვეული ღრჭიალი და ზრიალი, რამაც ნაშუალამევს დიდხანს გასტანა. დროდადრო, ჩემი მარცხენა ყურისგან აღმოსავლეთით (გულალმა ვიწექი და ვერ ვბედავდი, სხეულის ბილწი მხარე ჩემი თანამეცხედრის დაბინდული თემოსკენ მიმეტრიალებინა), დერეფანი კიდით-კიდემდე ივსებოდა ხალისიანი, ხმამაღალი და უაზრო წამოძახილებით, რაც

დამშვიდობების ბათქით მთავრდებოდა. როდესაც ყოველივე ეს ბოლოს და ბოლოს დასრულდა, ჩემი ნათხემიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ვიღაცის კლოზეტი ამუშავდა. ეს იყო მხნე, ენერგიული, ბოხხმიანი კლოზეტი, რომლითაც მრავალრიცხოვანი ოჯახი სარგებლობდა. მისი ბუყბუყის, სწრაფი ამონთხევებისა და ხანგრძლივი ბოლოსიტყვაობისგან ჩემს სასთუმალთან კედელი ზანზარებდა. შემდგომ, ჩემგან სამხრეთით, ვიღაცას წარმოუდგენლად აღებინებდა - ამ კაცმა ლამის სული ამოახველა ვისკისთან ერთად. ჩვენ გვერდით განლაგებული მისი სააბაზანოს უნიტაზი რამდენჯერმე ნამდვილი ნიაგარასავით ჩამოიქცა. ბოლოს, როდესაც ყველა ეს ჩანჩქერი დადუმდა და მოჯადოებულმა მონადირეებმა დაიძინეს, ჩემი უძილობის ფანჯრის ქვეშ, ჩემი სიფხიზლისგან დასავლეთით გაშენებული კეთილმოწყობილი, დიდებული, ხშირტოტებიანი ხეებით დამშვენებული ბულვარი (რომელიც არც ერთი სავაჭრო დაწესებულებით არ იყო შებღალული) გარდაისახა სამაგელ შუკად, სადაც წვიმიან-ქარიანი ღამის წყვილადში უზარმაზარი სატვირთო მანქანები დაგრილებდნენ. ამავე დროს, ჩემგან და ჩემი აღმოდებული სიცოცხლისგან ექვსიოდ გოჯის მანძილზე ნისლისფერი ლოლიტა იწვია! უძრავი სიფხიზლის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ კვლავ გავიწვდინე მისკენ საცეცები და ამჯერად ლეიბის ჭრიალმა ის არ გააღვიძა. მოვახერხე, მძიმე, ჟინმორეული სხეული ისე მიმეახლოვებინა, რომ ლოყაზე, თბილი სუნთქვის მსგავსად, მისი შიშველი მხრის აურა მომლამუნებოდა. ლოლიტამ წამოიწია, ამოიოხრა, ბოდვითი სისწრაფით რაღაც წაიტეიტინა ნავების შესახებ, ზეწარი მოქაჩა და კვლავ გადაეშვა თავის ბნელ, ნორჩ, უგრძობელ წალკოტში. მიღის ამ უხვ ნაკადში გოგონა აწრიალდა და შიშველი, ყავისფერი ხელი, ახლა მთვარისფერი რომ დაჰკრავდა, ჩემს სახეზე მოწყვეტით დააგდო. ტყვე ქალი წამით შევიპყარი, მაგრამ მან თავი გაითავისუფლა ოდნავ მონიშნული ხვევისგან. ამასთან, ეს შეგნებულად, ტლანქად, პირადი სიძულვილით კი არ ჩაიდინა, არამედ - უბრალოდ - იმ ბავშვის ანგარიშმიუცემელი, შესაბრალისი ბუტბუტით, მის კუთვნილ მოსვენებას რომ მოითხოვს. შემდეგ კვლავ ძველი ვითარება აღდგა: გახნექილი ზურგით ჰუმბერტისადმი შებრუნებული ლოლიტა, ჰუმბერტი, რომელსაც თავქვეშ ხელი ამოედო და ჟინითა და კუჭის წვით იტანჯებოდა. იძულებული გვხდით, წყლის დასალევად სააბაზანოში გავსულიყავი. ჩემთვის ეს საუკეთესო წამალია (თუ რძენარევ ბოლოვს არ ჩავთვლით); შემდგომ ხელახლა შევაბიჯე საკვირველ, მკრთალზოლებიან დილეგში; თითქოსდა მოტივტივე ავეჯზე ლოლიტას ძველი და ახალი ტანისამოსი სხვადასხვა მოჯადოებულ პოზებში იყო მიმოფანტული; ამ დროს ჩემმა აუტანელმა ქალიშვილმა თავი ასწია და მკაფიოდ გამოაცხადა, რომ მასაც სწყუროდა. გოგონამ ჩრდილოვანი ხელით გამომართვა ქალაქის დრეკადი, ცივი ჭიქა, მის კიდეს გრძელი წამწამები შეუშვირა და სულმოუთქმელად დალია წყალი; შემდეგ ბავშვური მოძრაობით, რომელიც უფრო მომხიბვლელი იყო, ვიდრე ყველაზე ამო ალერსი, პაწია ლოლიტამ ტუჩები ჩემს მხარს შეაწმინდა, თავის ბალიშზე გადაწვა (სანამ სვამდა, ჩემი ბალიში ამოვაცალე) და კვლავ დაუყოვნებლივ დაიძინა. ვერ გავხედე, საძინებელი წამლის მეორე დოზა შემეთავაზებინა მისთვის; გარდა ამისა, მაინც ვიმედოვნებდი, რომ ბოლოს და ბოლოს პირველი გააღრმავებდა გოგონას ძილს. თანდათან

მივიწვედი მისკენ და ნებისმიერი შეურაცხყოფისთვის მზად ვიყავი. ვიცოდი, რომ დახანება სჯობდა, მაგრამ ველარ ვითმენდი. ბალიშს მისი თმის სურნელი ასდიოდა. ვუახლოვდებოდი ჩემს მოციმციმე მტრედს, მაგრამ მისი ყოველი განძრევისთანავე ერთ ადგილას ვშემდებოდი და ვიბუზებოდი. საკვირველებათა ქვეყნიდან მონაქროლმა ნიაგამა უკვე იმოქმედა ჩემს აზრებზე; მეჩვენებოდა, რომ ისინი კურსივით იყო გამოყოფილი, ხოლო მათი ამრეკლავი ზედაპირი ამ მოჩვენებითი ქროლისგან ლივლივებდა. დროდადრო ჩემი ცნობიერება საპირისპირო მხარეს იხრებოდა; ზოგჯერ ჩემი სხეული ძილის სფეროში ექცეოდა, შემდეგ კი კვლავ უკან მოიზღაზნებოდა; ორჯერ ვიგრძენი, რომ მეღანქოლიური ხვრინვა ამოვუშვი. სევდის მთებს სინაზის ნისლი ფარავდა. ხანდახან მეჩვენებოდა, თითქოს მოჯადოებული ნადავლი მზად იყო, შუაგზაზე დახვედროდა მოჯადოებულ მონადირეს; რომ მისი თემო ჩემკენ მოიწვედა შორეული, საარაკო ნაპირის ფხვიერ ქვიშაში; მაგრამ ეს ნაჩვრეტისანი ნისლი უეცრად შეთრთოლდებოდა ხოლმე და ვხვდებოდი, რომ ლოლიტა ჩემგან კიდევ უფრო შორს იყო, ვიდრე ოდესმე. იმ გარდასული ღამის ცახცახსა და მიპარვის ცდებს ასე დაწვრილებით იმიტომ აღვწერ, რომ დაგიმტკიცოთ - არასოდეს ვყოფილვარ (და არც შეიძლება, ვყოფილიყავი) ბრუტალური

არამზადა. ნაზი, საოცნებო მხარე, სადაც დავხეტიალებდი, პოეტთა სამკვიდრებელი იყო და არა ყაჩაღთა ბუნაგი. მიზნის მიღწევისას ჩემი აღტყინება მთლიანად შინაგან წვამდე თუ დაიყვანებოდა. ლოლიტას კიდევ რომ ეფხიზლა, თითქმის ვერ შეიგრძნობდა მის ნოტიო მხურვალეზას. ამასთან, ჯერ კიდევ ვიმედოვნებდი, რომ ღრმად დაიძინებდა და მისი მოციმციმე სიშიშვლით ტკბობას არ დავეკრებოდე. შერეული შეგრძნებები გოგონას მთვარის თვალუბრაჟივეტილი ათინათების გროვად მისახავდა ან გაფოთლილ, აყვავებულ ბუჩქს ამგვანებდა; მესიზმრებოდა, რომ მეღვიძა; მესიზმრებოდა, რომ ვუსაფრდებოდი. სასტუმროს მღვიძარე ცხოვრება გამთენიისას რამდენადმე მიეყრდა. შემდეგ, დაახლოებით ოთხი საათისთვის, დერეფნის კლოზეტში წყლის ნაკადი ჩათქრიალდა და ვილაცამ კარი გაიჯახუნა. ექვსის დასაწყისში შიდა ეზოდან თუ ავტომობილების სადგომიდან ხმამაღალი მონოლოგის რამდენიმე გამოშვება (თუ შეიძლება ასე ითქვას) მომესმა. ეს საკუთრივ მონოლოგი არ გახლდათ - მოლაპარაკე ყოველ რამდენიმე წამში დუმდებოდა, რათა ნავარაუდევო თანამოსაუბრისთვის მოესმინა. ამ უკანასკნელის ხმა ჩემამდე არ აღწევდა, რის შედეგადაც საუბრის ნახევრის ნამდვილი მნიშვნელობა ვერ აღვიქვი. მისმა ყოფითმა ინტონაციებმა გზა გაუკვალა რიჟრაჟს და ოთახი იასამნისფერ-რუხი ლექით აიმღვრა; ერთიმეორის მიყოლებით ამოქმედდა რამდენიმე გამრჯე საპირფარეშო, ლიფტი კი გრუხუნითა და ზუზუნით შეუდგა აღმა-დაღმა მოძრაობას; რამდენიმე წუთის განმავლობაში უხალისოდ ვთვლემდი, და შარლოტა მომწვანო აუზის მკვიდრი ალი იყო, და სადღაც, დერეფანში ადრე ამდგარმა პასტორმა ვილაცას მსუყე ხმით უსურვა „დილა მშვიდობისა!“, და ჩიტები ფოთლებში ფუსფუსებდნენ და აი - ლოლიტამ დაამთქნარა. ქალწულებრივად გულგრილო ქალბატონო მსაჯულნო! მეგონა, რომ თვეები (ან წლები) გავიდოდა, სანამ პატარა დოლორეს ჰეიზს ჩემი გულისნადების გამხელას გავუბედავდი. მაგრამ

ექვსი საათისთვის მან საბოლოოდ გაიღვიძა, შვიდის თხუთმეტ წუთზე კი ჩემი საყვარელი გახდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ახლა უცნაურ ამბავს გაგანდობთ: მან თვითონ მაცდუნა. როდესაც ლოლიტას პირველი მთქნარება მომესმა, თავი მოვიმძინარე და მისკენ ლამაზი პროფილი შევაბრუნე. მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, რა მექნა. ხომ არ აღშფოთდება, მის გვერდით რომ მიხილავს? რას იზამს - ტანისამოსს ხელს სტაცებს და სააბაზანოში ჩაიკეტება? მომთხოვს, რომ დაუყოვნებლივ რამზდელში წავიყვანო? დედამისთან, საავადმყოფოში? ბანაკში დავაბრუნო? მაგრამ ჩემი პაწია ლოლიტა ანცი გოგოცუნა იყო და როდესაც მისი შეკავებული, ესოდენ საყვარელი ფხუკუნით მომესმა, მივხვდი, რომ ცუდლუტი თვალებით მსინჯავდა; შემდეგ ის ჩემს მხარეს გადმოგორდა და თბილი ქერა კულულები მარჯვენა ლავიწზე გადმომაფინა. გაღვიძება საკმაოდ უნიჭოდ განვასახიერე. თავდაპირველად წყნარად ვიქექით. წყნარად ვეფერებოდი თმაზე და წყნარად ვკოცნიდით ერთმანეთს. ნეტარებით და, ამასთან, უხერხულობის გრძნობით ამავსო იმან, რომ ლოლიტას კოცნა კომიკური დახვეწილობით გამოირჩეოდა (მამიებელი ნესტრის თრთოლის გამო). ალბათ, რომელიმე პატარა გარყვნილმა გოგონამ გაწვრთნა-მეთქი, დავასკვენი. ასე ვერაგითარი ჩარლი ვერ გაწაფავდა. შემდეგ ის ოდნავ უკან გადაიხარა და დამაკვირდა, თითქოს ამოწმებდა, გული ამიმსუყდა თუ არა, და კარგად თუ ავითვისე დაპირებული გაკვეთილი. ლოყები შეეფაკლა. ფაფუკი ქვედა ტუჩი ულაპლაპებდა. თავს ძლივს ვიკავებდი. უეცრად, ხულიგნური მხიარულებით (ნიმფეტის დამახასიათებელი ნიშანი!) ატაცებულმა, ტუჩები ყურზე მომადო - მაგრამ გონებამ დიდხანს ვერ შეძლო მისი ჩურჩულის დანაწევრება, და ის სიცილით დუმდებოდა, და კულულებს სახიდან იცილებდა, და კვლავ ჩურჩულებდა, და ნელ-ნელა მეუფლებოდა უცნაური გრძნობა, თითქოს ფანტასტიურ, ახლახან შექმნილ, გიჟურ სამყაროში ვიმყოფებოდი, სადაც ყველაფერი დასაშვები იყო. ვხვდებოდი, რასაც მთავაზობდა. ვუპასუხე, რომ არ ვიცოდი, რომელ თამაშს გულისხმობდა. - „არ ვიცი, რას თამაშობდით შენ და ჩარლი-მეთქი“. „შენ გინდა, თქვა, რომ არასოდეს?“ - დაიწყო მან და დაჟინებით ჩამაცქერდა, თან სახეზე ზიზღი და უნდობლობა გამოეხატა. „ესე იგი, შენ არასოდეს?“ კვლავ დაიწყო ლოლიტამ. შესვენებით ვისარგებლე და სახით მიველამუნე სხეულის სხვადასხვა ფაფუკ ნაკვეთებზე. „თავი დამანებე“, - დუდლუნით წამოიკვილა მან და ჩემი ტუჩები სწრაფად მოაცილა თავის ყავისფერ მხარს (კურიოზული იყო ის, რომ, ლოლიტას აზრით, - მას დიდხანს მიაჩნდა ასე - ყოველგვარი შეხება, ტუჩებში კოცნის ან უბრალო სქესობრივი აქტის გარდა, დორბლიანი რომანტიკა გახლდათ, ან კიდევ - პათოლოგია). „ესე იგი, შენ არასოდეს“, ჯიუტად განაგრძო მან (ახლა მუხლებზე იდგა და ზემოდან დამცქეროდა), „არასოდეს გაგიკეთებია ეს ბიჭობისას?“ „არასოდეს“, ვუთხარი სრულიად გულწრფელად. „კეთილი“, თქვა ლოლიტამ, „შეხედე, როგორ კეთდება“. სწავლულ მკითხველს თავს არ შევაწყენ ლოლიტას თავდაჯერების დაწვრილებით აღწერით. საკმარისია, შევნიშნო, რომ სახედაბრეცილმა დამკვირვებელმა ზნეობრიობის ნასახიც კი ვერ

შეამჩნია ამ კოპწია, ნორჩ გოგონაში, რომელიც საბოლოოდ გაერყვნა თანამედროვე ვაჟების ჩვევებს, ერთობლივ სწავლებას, გერლ-სკაუტების კოცონების მსგავს თაღლითურ წამოწყებებს და ასე შემდეგ. მისი შეხედულებით, წმინდა მექანიკური სქესობრივი აქტი მოზარდთა იდუმალი (მოწიფული ადამიანებისთვის მიუწვდომელი) სამყაროს განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. როგორ იქცევიათ მოზარდილები, რათა შვილები იყოლიონ, ეს მას სრულიად არ აინტერესებდა. ჩემი სიცოცხლის კვერთხს ლოლიტა არაჩვეულებრივად ენერგიულად და გულმოდგინედ განაგებდა, ისე, თითქოს ეს ჩემთან დაუკავშირებელი, უგრძობელი რამ იყო. რა თქმა უნდა, გულით უნდოდა განვეცვიფრებინე მცირეწლოვანი ვიგინდარებისთვის ჩვეული თამაში ქცევით, მაგრამ ბავშვურ ზომებსა და ჩემს ზომას შორის განსხვავებას არ მოელოდა. მარტოდენ თავმოყვარეობის კარნახით არ მიატოვა წამოწყებული საქმიანობა, რადგან მე ნამდვილ ბრიყვად მომქონდა თავი და სამოქმედო ასპარეზი მას დავუთმე (სანამ უმოქმედობის ატანა შემეძლო). ამასთან, ყოველივე ზემოთქმული არ შეეხება საქმის ვითარებას; სქესის საკითხები არ მაინტერესებს. ყოველ ჩვენგანს შეუძლია, თვითონვე წარმოიდგინოს ჩვენი ცხოველური არსების ესა თუ ის გამოვლინება. სხვა, დიადი საქმე მიტაცებს; ერთხელ და სამუდამოდ აღვწერო ნიმფეტების დამლუპველი ხიბლი.

30. ვეხაკრეფით უნდა ვიარო. ჩურჩულით უნდა ვილაპარაკო. სისხლის სამართლის საქმეთა დამსახურებულ რეპორტიორო, მოხუცო, მედიდურო სასამართლოს ბოქაულო, ცალკე საკანში მჯდარო, ოდესღაც ყველასთვის საყვარელო პოლიციელო (რამდენ ხანს ამშვენებდი სკოლის მახლობელ გზაჯვარედინს?), შიშით შეკერობილო გადამდგარო პროფესორო, წამკითხველად ყრმა რომ დაგიქირავებია! მართლაც ცუდი იქნებოდა, რომ ჩემ გამო გაგიყვებით შეგყვარებოდა ჩემი ლოლიტა! „მოჯადოებულ მონადირეთა თავშესაფრის“ დირექტორი ზაფხულის ერთ დღეს ჭკუიდან რომ გადამდგარიყო და მისი სასტუმროს რესტორანში ფრესკების გადაკეთება ჩემთვის (მხატვრისთვის) დაევალებინა, აი, რას მოვიფიქრებდი (მხოლოდ ფრაგმენტებს აღვწერ): დავხატავდი ტბას და თვალისმომჭრელი ყვავილების თალარს. დავუმატებდი ნატურალისტების დაკვირვებებს: ვეფხვი მისდევს სამოთხის ჩიტს, გველი კანგაცლილ მსუქან მთიხვზე გადაჭიმულა და იხრჩობა. დავხატავდი აუტანელი ტანჯვისგან სახედაბრეცილ სულთანს (ამ

ტანჯვას გააქარწყლებდა მისი ალერსის სიმრგვალე) ლამაზგავიან პატარა მხეველს ონიქსის სვეტზე ასვლაში რომ ეხმარება. ფრესკას შევამკობდი სქესობრივი სიმშაგის თანმდევი კამკაშა ბურთულებით, რომლებიც მუსიკალური ავტომატების ოპალის კედლებზე მიცოცავენ. აქვე იქნებოდა ყოველგვარი საბანაკო გასართობი შუალედური ჯგუფისთვის - კაკაო, კრიკეტი, კოჭაობა და კულულები ტბის მზიან ნაპირზე. დავხატავდი ალვებს, ვაშლებს და კვირადღის დილას გარეუბნის სახლში; დავხატავდი ცეცხლოვან ფერად ქვას, რომელიც მრგვალ ჭავლში განზავდებოდა, აგრეთვე - უკანასკნელ ჟრუანტელს, სადბავის უკანასკნელს მონასმს, ალისფერ იარას, გულის მომკვლელ სივარდისფრეს, ოხვრას, ზურგშექცეულ ბაღლს.

31. იმისთვის არ ვწერ, რომ სასოწარკვეთილმა, წარსული ხელახლა განვიცადო, არამედ მსურს, ნიმფოლეფსის უჩვეულო, ამაზრზენ, შეშლილ სამყაროში განვაცალკეო ჯოჯოხეთისა და სამოთხის ნიშნები. აქ საუცხოო და საზარელი მოვლენები ერთ წერტილში ერწყმოდა ურთიერთს; სწორედ ამ ზღვრის გამოკვეთა მწადია, მაგრამ საკუთარ უძღურებას ვგრძნობ. რატომ? რომაული სამართლის თანახმად, მდებდრობითი სქესის პირს შეუძლია, თოთხმეტი წლის ასაკში იქორწინოს; მოგვიანებით ეს კანონი ეკლესიამ მოიწონა და ამერიკის ზოგიერთ შტატში ის აქამდე მოქმედებს (გაუხმაურებლად). თხუთმეტი წლის ასაკში კი ქორწინება კანონით ყველგანაა დაშვებული. არაფერია უმსგავსი (უნისონში ამტკიცებს ორივე ნახევარსფერო) იმაში, კულტის მსახურის მიერ ნაკურთხმა, ალკოჰოლისგან გასივებულმა ორმოცი წლის მტარვალმა ოფლით მთლად გაჟღენთილი სადღესასწაულო ტანისამოსი რომ გაიძროს და სახელურამდე შეაღწიოს ნორჩ ცოლში. „ზომიერი სარტყლის იმგვარ მასტიმულირებელ კლიმატურ პირობებში (გვამცნობს ციხის ბიბლიოთეკის ძველი ჟურნალი), რომელიც შეიმჩნევა სენტ- ლუისში, ჩიკაგოსა და ცინცინატიში, ქალიშვილი სქესობრივ სიმწიფეს აღწევს სიცოცხლის მეთორმეტე წლის ბოლოს“. დოლორეს ჰეიზი მასტიმულირებელი ცინცინატიდან სამასი მილის დაცილებით დაიბადა. მე მხოლოდ ბუნების კანონებს ვემორჩილები; ბუნების ერთგული ძალის ვარ. მაშ რატომ განვიცდი ამ მრწოლას, რატომ ვერ ვახერხებ მის დამლევას? გოგონას უმანკოება ხომ არ შემიბღალავს? მოწყალეო ქალბატონებო, მგრძნობიარე ქალბატონო მსაჯულნო: ლოლიტას პირველი საყვარელიც კი არ ვიყავი!

32. მან მომითხრო, როგორ შეაცდინეს. საწოლში მივირთმევედით უგემურ ბანანებს, დათეთქვილ ატმებსა და მეტად გემრიელ კარტოფილის ჩიფსებს, თან die kleine[60] ყოველივეს მიამბობდა. სიტყვამრავალ, მაგრამ აზნეულ თხრობას სასაცილო მოუე-ებს ურთავდა. ზემოთ, მგონი, უკვე შევნიშნე, რომ განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი ამგვარი გრიმასა, რომელიც ნაგულისხმევ „ი“ ბგერას შეესაბამებოდა. ლოლიტა დიდტუჩა პირს დაბრეცდა და თვალებს გადაატრიალებდა ხოლმე, რაც ერთდროულად გამოხატავდა კომიკურ ზიზღს, მორჩილებასა და ახალგაზრდული შეცდომებისადმი შემწყნარებლურ დამოკიდებულებას. ეს განსაცვიფრებელი თხრობა დაიწყო იმ მეგობრის მოხსენიებით, ლოლიტასთან რომ ცხოვრობდა კარავში. გასულ ზაფხულს სხვა, „ბრწყინვალე“ ბანაკში, ამ „ნამდვილმა უპატრონომ“, „ნახევრად გიჟმა“, მაგრამ „ყოჩაღმა“ გოგომ დოლორესი სხვადასხვაგვარ მანიპულაციებში გაწაფა. თავდაპირველად ლოიალურ ლოლიტას არ სურდა მეგობრის დასახელება. „ეს, ალბათ, გრაცია ანჯელი იყო?“ ვკითხე. მან უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. „არა, სულ სხვა გოგონა. ბობოლა მამა ჰყავს“. „მამინ, შეიძლება, როზა კარმინი?“ „რა თქმა უნდა, არა, მამამისი - „აგნესა შერიდანი ხომ არა, შემთხვევით?“ მან ნერწყვი გადაყლაპა და თავი გაიქნია, - შემდეგ კი უცერად გონს მოეგო. „მისმინე, საიდან იცნობ ყველა ამ გოგონას?“ ავუხსენი. „ერთი სიტყვით, ეს სხვა ვინმეა“, თქვა მან. „ბევრი უნამუსო მოსწავლეა ჩვენს გიმნაზიაში, მაგრამ ასეთს ძნელად იპოვი. თუ ძალიან გინდა იცოდე, ელიზაბეტ ტალბოტია. მისი ძმები ჩვენთან

სწავლობენ, თვითონ კი ძვირად ღირებულ კერძო სკოლაში გადავიდა; მამამისი რაღაცის დირექტორია“. გულში ჩხვლეტა ვიგრძენი და გამახსენდა, როგორ ტრაზახობდა ხოლმე საწყალი შარლოტა სტუმრად ყოფნისას: „ეს მამინ იყო, როდესაც ჩემი ქალიშვილი პატარა ტალბოტთან ერთად ექსკურსიაზე წავიდა...“ ვკითხე, დედებმა თუ გაიგეს რამე ამ საფოსტული შექცევის შესახებ-მეთქი. „ოჰ, რას ამბობ“, ამოიოხრა ლოლიტამ, მოიბუზა და ვითომდა აკანკალებული ხელი თეთრ მკერდზე მიიღო, რათა შიში და შვება განესახიერებინა. მაგრამ მე უფრო მეტად ჰეტეროსექსუალური თამაშები მაინტერესებდა. ის თერთმეტი წლისა იყო, როდესაც „შუა დასავლეთიდან“ რამზღელში გადმოსახლების შემდეგ დედამისმა გიმნაზიაში შეიყვანა. ნეტავ, სახელდობრ, რას აკეთებდნენ მისი „უნამუსო“ თანაკლასელი გოგონები და ბიჭები? „კარგად იცი, რასაც...“ ტყუპებს, ანტონიუს და ვიოლა მირანდას ტყუილად კი არ ეძინათ ყოველთვის ერთ საწოლში. დონალდ სკოტი, ყველაზე დიდი რეგენი, ჰეზელ სმიტთან ერთად სჩადიოდა ამას ბიძამისის გარაჟში. სპორტსმენი კენეტ რაიტი ხელსაყრელსა და არახელსაყრელ სიტუაციებში ყველას აჩვენებდა თავის სარცხვინელს, ხოლო - „ბანაკ კუ“-ში გადავფრინდეთ“, თქვა სპორტსმენმა ჰუმბერტმა, „მაგრამ ჯერ შევისვენოთ“. და შესვენების შემდეგ ყველა დეტალი გავიგე. ბარბარა ბერკი, ჩემს თვალისჩინზე ორი წლით უფროსი, ჩასხმული, ქერა გოგონა, თავის არაჩვეულებრივ ბაიდარას ლოლიტასთან ერთად განაგებდა, „რადგან მხოლოდ მე შემემლო ტირიფის კუნძულამდე მიცურვა“ (ვფიქრობ, ეს რაიმე სპორტული შეჯიბრება იყო). მთელი ივლისის განმავლობაში, ყოველ დილას ონიქსიდან ერიქსამდე (ეს ტყეში განლაგებული ორი პატარა ტბა იყო) ბაიდარის გადატანაში ბარბარასა და ლოლიტას ეხმარებოდა ცამეტი წლის ჩარლი ჰოლმისი, ბანაკის უფროსის ვაჟიშვილი და ორი-სამი მილის მანძილზე ერთადერთი მამაკაცი (თუ არ ჩავთვლით დაჩაჩანაკებულ, უწყინარ, ყრუ მოჯამაგირესა და მეზობელ ფერმერს. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ბანაკში მოდიოდა თავისი ძველი „ფორდით“, რათა, ფერმერების ჩვეულებისამებრ, კვერცხები გაესაღებინა); ყოველ დილას - ო, ჩემო მკითხველო! - ეს სამი მოზარდი გზას იმოკლებდა და ირიბად კვეთდა მშვენიერ, უბიწო ტევრს, სადაც უხვად იყო მიმოზნეული ახალგაზრდობის ყველა ემბლემა: ნამი, სოკოები, მოცვი, ჩიტების ჟღურტული. უსიერი ტყის ერთ ადგილას ბარბარა და ბიჭი ლოლიტას ყარაულად აყენებდნენ, სანამ ბუჩქს მიღმა სიყვარულს ეძლეოდნენ. თავდაპირველად ჩემს ლოლიტას არ სურდა, „მოესინჯა“, მაგრამ მალე ცნობისმოყვარეობამ და ამხანაგობის გრძნობამ სძლია. რამდენიმე ხნის შემდეგ ის და ბარბარა უკვე რიგრიგობით უწევდნენ სიტყვადვირ, ტლანქსა და სრულიად დაუღალავ ჩარლის, რომელიც (როგორც კავალერი) უმ სტაფილოზე მეტად მიმზიდველი როდი იყო. სამაგიეროდ, მას ჰქონდა პაწაწინა,

გამჭვირვალე შალითების მთელი კოლექცია. ჩარლიმ ისინი მესამე ტბაში იპოვა. ამ ტბას „კლაიმაქსი“ ერქვა, იმ მეზობელი საქარხნო ქალაქის სახელწოდების მიხედვით, რომელიც უკანასკნელ ხანებში სწრაფად გაიზარდა. ლოლიტა აღიარებდა, რომ „ეს, საერთოდ, სასერიო რამ იყო“ და „სახეზე მუწუკებს სპობდა“, მაგრამ ჩარლის გონებასა და მანერებს უდიდესი დაცინვით ეკიდებოდა. დავუმატებ, რომ ამ წუწკმა არამზადამ კი არ გააღვიძა, არამედ, პირიქით, გააბრუა

ლოლიტაში ქალი. უკვე თითქმის დილის ათი საათი იყო. ვნება ჩაცხრა და უბედურების საზარელი შეგრძნება ფერფლივით დამეყარა თავზე, რასაც ხელი შეუწყო მკრთალი, ნევრალგიური დღის უხალისო რეალურობამ (მან საფეთქლები ამატკივა). გარუჯულ, ტანკენარ, შიშველ ლოლიტას ვიწრო თეთრი გავა ჩემკენ მოებრუნებინა, ფეხები განზე გაედგა (ახალ ფლოსტებზე კატის ბეწვი ჰქონდა შემოვლებული) და კარში ჩატანებული მოღუშული სარკის წინ ცხვირს იქმუხნიდა. შუბლზე კულულები დაჰფენოდა. დერეფნიდან შავკანიანი დამლაგებელი ქალების ლაპარაკი ისმოდა და ცოტა ხნის შემდეგ ჩემმა მქუხარე შემახილმა შეაჩერა კარის გაღების შემპარავი ცდა. ლოლიტას ვუბრძანე, სააბაზანოში შესულიყო და შხაპქვემ კარგად გასაპნულიყო, რაც ძალზე სჭირდებოდა. ჩვენი ლოგინი წარმოუდგენლად იყო აქოთებული; ზედ კარტოფილის ჩიპსები ეყარა. გოგონამ მოიზომა ლურჯი შალის კოსტიუმი, შემდეგ - მეორე, რომელიც უსახელო ბლუზისა და ჰაეროვანი უჯრედებიანი ქვედატანისგან შედგებოდა, მაგრამ პირველი მათგანი ევიწროვა, მეორე კი ძალზე სრული მოეჩვენა; როდესაც ვთხოვე, სწრაფად ჩაეცვა (მდგომარეობა უკვე მაშინებდა), მან გაბოროტებით მოისროლა ჩემი ლამაზი საჩუქრები და გუშინდელი კაბა ჩაიცვა. ბოლოს ხბოს ყალბი ტყავისგან დამზადებული შესანიშნავი ჩანთა მივეცი (შიგ ცენტების მთელი მუჭა და ორი ახალთახალი ათცენტის ჩავეუდევი) და ვუთხარი, რომ შეეძლო, ჰოლში რაიმე ჟურნალი ეყიდა. „ერთი წუთის შემდეგ ქვემოთ ვიქნები, - დავეუმატე, - და შენს ადგილას, გენაცვალე, უცხოებს არ დაველაპარაკებოდი“. ჩემი უბადრუკი პატარა საჩუქრების გარდა, ჩასალაგებელი თითქმის არაფერი იყო; მაგრამ იძულებული გავხდი, გარკვეული დრო დამეთმო (ეს კი სახიფათო იყო - ქვემოთ ლოლიტას ათასი სისულელის ჩადენა შეეძლო) ლოგინის მილაგებისთვის. ჩვენი საწოლი ახლა ნერვული მამისა და მისი ანცი ქალიშვილის მიერ მიტოვებულ პატარა ბუდეს დაემსგავსა (და არა ყოფილი კატორღელისა და ორი მსუქანი, ბებერი როსკიპის ნათარქმალს). შემდეგ ჩავიცვი და მსახურს ვუბრძანე, ბარგი წაეღო. ყველაფერი კარგად იყო. იქ, ჰოლში, სისხლისფერი ტყავის სავარძელში ღრმად ჩამჯდარი ლოლიტა იაფფასიან კინემატოგრაფიულ ჟურნალში ჩაძირულიყო. მის პირდაპირ იჯდა ტვიდის პიჯაკში ჩაცმული ჩემი ასაკის ვაჟბატონი (დამის განმავლობაში სასტუმროს ჟანრი ბრიტანული საკარმიდამო ყოფის საექვო ასლად შეცვლილიყო). ის გუშინდელი გაზეთისა და ჩამქრალი სიგარის მიღმა დაჟინებით ჩაშტერებოდა ჩემს გოგონას. ლოლიტას თითქმის სასკოლო ყაიდის თეთრი წინდები და ჭრელი ფეხსაცმელი ემოსა, ტანთ ხახხასა ჩითის ესოდენ ნაცნობი, კვადრატულად ამოჭრილი კაბა ეცვა; ლამპის მოყვითალო შუქზე მკაფიოდ ეტყობოდა

ოქროსფერი ღინღლი, მზემოკიდებულ ხელ-ფეხს რომ უფარავდა. ცალი ფეხი მაღლა აეწია და ქარაფმუტულად გადაედო მეორეზე; უნდოდა თვალეხს სტრიქონების გასწვრივ აცეცებდა და დროდადრო ახამხამებდა. ბილის ცოლი პირველ შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე თავყვანს სცემდა მას; იდუმალად შესტროფდა ამ სახელგანთქმულ ახალგაზრდა კინომსახიობს, როდესაც ის შვების სააფთიაქო მაღაზიაში წაყინის მიირთმევდა ხოლმე. რა უნდა ყოფილიყო უფრო ბალღური, ვიდრე ლოლიტას აპრეხილი ცხვირი, ჭორფლიანი პირისახე ან შიშველ კისერზე დაჩნეული იისფერი ლიბრი, რომელიც ზღაპრულ ვამპირს ახლახან ამოეწუწუნა, ან უნებლიე მოძრაობა ენისა, რომელიც ვარდისფერ გამოწყარს სინჯავდა; არაფერი იყო იმაზე უცოდველი, ვიდრე ჯილის თავგადასავლის კითხვა - ეს ენერგიული სტარლექტი თვითონ იკერავს ტანსაცმელს და გულდასმით ეცნობა „სერიოზულ ლიტერატურას“; არაფერი იყო იმაზე უმანკო, ვიდრე მზინვარე კულულების განაყოფი და აბრეშუმისებრი ელვარება საფეთქელთან; არაფერი იყო იმაზე მიაბიტი... მაგრამ რა საშინელი შური აღძვროდა აგერ იმ დრუნჩა გარყვნილ კაცს (ის, სხვათა შორის, წაგავდა ჩემს შვეიცარიელ ბიძას - გუსტავს, რომელსაც აგრეთვე ძალიან უყვარდა le decouvert[61]); თუკი გაიგებდა, რომ ჩემს თითოეულ, ნეტარებისგან თითქოს გაპოხილ ნერვს ჯერ კიდევ მჭიდროდ შემოტმასნოდა ლოლიტას სხეულის შეგრძნება. ეს იყო სხეული უკვდავი დემონისა, რომელიც პატარა გოგონას სახით მომევილინა. აბსოლუტურად დარწმუნებულია თუ არა მისტერ შვანი, რომ ჩემს ცოლს ჯერ არ დაურეკავს? დიახ - დარწმუნებულია. თუ ის დარეკავს, ხომ არ აუწყებს მისტერ შვანი, რომ ჩვენ დეიდა კლერის ადგილსამყოფელისკენ გავემგზავრეთ? ო, რა თქმა უნდა, გადასცემს. და ლოლიტას მივუბრუნდი. ვაიმულე, სავარძლიდან ამდგარიყო. სანამ ავტომობილისკენ მივდიოდით, კითხვა არ შეუწყვეტია. ქალაქგარეთ, ყავახანისკენ გავემგზავრეთ. ის კვლავ კითხულობდა. კარგად მიირთვა, ვერაფერს ვუსაყვედურებდი; ასე გასინჯეთ, ჟურნალიც კი გვერდზე გადადო; ამასთან, ყოველთვის ეგზომ მხიარული გოგონა უჩვეულოდ დაღვრემილი იყო. ვიცოდი, რომ ლოლიტას შეეძლო, აუტანლად მომქცეოდა, ამიტომ ვცდილობდი, თავი შემეკავებინა და მხნე ღიმილით ველოდი ქარიშხალს. არ მიბანავია, პირი არ გამიპარსავს, კუჭს არ უმოქმედია. გაღიზიანებული ვიყავი. არ მომწონდა რომ ჩემი პატარა სატროფო მხრებს იჩქრდა და

ნესტოებს ბერავდა, როდესაც უწყინარი მასლაათით მის გართობას ვლამობდი. თავაზიანად ვკითხე, იცოდა თუ არა ფილის ჩატვილდმა (რომელიც ლოლიტაზე ადრე გაემგზავრა ბანაკიდან მენში მცხოვრებ მშობლებთან) ტყეში გართობის შესახებ? „მისმინე“, შემესიტყვა ლოლიტა და სატირლად დაიმანჭა, „მოდო, სალაპარაკოდ სხვა თემა შევარჩიოთ“. შემდეგ ვსინჯე - წარუმატებლად, თუმცა ენას გატაცებით ვაწკლაპუნებდი - საგზაო რუკით დამეინტერესებინა. გავკადნიერდები და შევასხენებ მომთმენ მკითხველს (რომლის ხასიათის მიხედვით ლოლიტას არ აწყენდა!), რომ ჩვენი მოგზაურობის მიზანს წარმოადგენდა მხიარული ქალაქი ლეპინგვილი; ის ჰიპოთეტური ჰოსპიტლის მახლობლად მდებარეობდა. გეგმა საკმაოდ ნაუცბათევედ შევიმუშავე (საუბედუროდ, ასეთივე აღმოჩნდა მოგზაურობის არაერთი წინასწარ მონიშნული მიზანი) და შიშით ვკანკალებდი, როდესაც თავს ვეკითხებოდი, რა მომემოქმედა, რომ გოგონას ეჭვი არ შეჰპარვოდა მთელ ამ წამოწყებაში; გარდა ამისა, როდესაც ლეპინგვილის ყველა კინოდრამას ვნახავდით, რაიმე დამაჯერებელი მარშრუტი უნდა

მომეფიქრებინა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰუმბერტს სულ უფრო მეტად ეუფლებოდა უგუნებობა. ეს შეგრძნება მეტად თავისებური იყო: მტანჯველი, ამაზრზენი შფოთვა - თითქოს ჩემ მიერ მოკლული პატარა არსების აჩრდილი მეჯდა გვერდით. ავტომობილში ჩაჯდომისას ლოლიტას სახეზე ტკივილი აღიბეჭდა. ეს გამომეტყველება მრავალმნიშვნელოვანი გახდა, როდესაც გოგონა გვერდით მომიჯდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მეორედ ეს განზრახ იქნა ჩადენილი. სულელურად ვკითხე, - რა მოხდა-მეთქი. „არაფერი, პირუტყვო“, შემეპასუხა. ვერ გავიგე და ხელახლა ვკითხე. მან არაფერი მიპასუხა. „თქვენ გადინართ ბრაისლანდიდან“, ეწერა გზის თავზე გადაჭიმულ პლაკატზე. ენაწყლიანი ლოლიტა კი დუმდა. ჩემს ზურგზე ცივი ობობები დაცოცავდნენ. ობოლი, მარტოხელა, ბედის ანაბარად მიტოვებული ბავშვი, რომელთანაც წარმოსადგემა, მერალმა მამაკაცმა სამჯერ განახორციელა სქესობრივი აქტი ერთი დილის განმავლობაში. შესაძლოა, დიდი ხნის ნალოლიავებმა ოცნებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა; მაგრამ, უფრო ზუსტად, ის მიზანს ასცდა - და საზარელ სიზმრად იქცა. წინდაუხედავად, ბრიყვულად, საზიზღრად მოვიქეცი. რაკი ყველაფერს ვადიარებ, ისიც უნდა ვთქვა, რომ სადღაც, მრუმე მორევის ფსკერზე, კვლავ ვგრძნობდი ჟინის მომძლავრებას - რა საშინელი იყო ჩემი ლტოლვა ბედშავი ნიმფეტის მიმართ! სინდისის ქენჯნას დაემატა მტანჯველი შეგრძნება, რომ ლოლიტას უხალისო განწყობილება ხელს შემიშლიდა. კვლავ დავუფლებოდი მას რომელიმე სოფლის წყნარ შუკაზე. ერთი სიტყვით, საწყალი ჰუმბერტი ძალზე ეწამებოდა და სანამ ავტომობილი უსაზმნო გარდუვალობით უახლოვდებოდა ლეპინგვილს, მისი მძლოლი ამაოდ ცდილობდა, მოეფიქრებინა რაიმე არაკი, რომლის კეკლუე საფარველქვეშ თანამგზავრისადმი მიმართვას გაბედავდა. თუმცა, ლოლიტამ თვითონ დაარღვია სიჩუმე: „აჰ“, წამოიძახა მან. „გაჭყლელი ციყვი! როგორ მეცოდება...“ „დიახ, მართლაც“, იჩქარა საუბრის გაბმა პირმოთნე, იმედებით აღსავსე ჰუმმა. „მომდევნო ბენზინგასამართ სვეტთან შეაჩერე“, განაგრძო ლოლიტამ. „საპირფარეშო მჭირდება“. „სადაც გასურდეს, იქ შევჩერდეთ“, ვუთხარი მე. და შემდეგ, როდესაც ლამაზი, განმარტოებული, დიდებული ტყე (მუხნარი მეგონა - მაშინ სრულიად ვერ ვერკვეოდი ამერიკის ხეებში) მწვანე ექოთი გამოეხმაურა მანქანის გლუვ სრიალს, ანაზდად გვერდიდან ქვიშიანმა, გვირით მთარშიებულმა ბილიკმა გამოგვხედა, სანამ ტყეში შედგებოდა. შევთავაზე, რომ - „არ შეჩერდე!“ მწივანა ხმით შემაწყვეტინა ლოლიტამ. „მესმის. ნუ ბრაზობ“ (კუმ, საბრალო ცხოველო, კუმ!). აღმაცერად გადავხედე. მადლობა ღმერთს, იღიმებოდა!

„კრეტინო!“ მითხრა მან ტკბილი ღიმილით, „სალახანავ! შეხე, როგორ მოექეცი ნორჩ ყვავილს. კაცმა რომ თქვას, პოლიცია უნდა გამოემძახა და მეთქვა, რომ გამაუპატიურე. წუნკალო, წუნკალო ბებრუცუნა!“ ლოლიტა არ ხუმრობდა. მის ხმაში ავის მომასწავებელი, ისტერიული ნოტი ჟღერდა. ცოტა ხნის შემდეგ შემომჩვილა (თან შიშინით სუნთქავდა), რომ იქ, შიგნით, ყველაფერი სტკიოდა, რომ ჯდომა აღარ ძალუძდა და რაღაც დავუზიანე. კისერზე ოფლი ხვითქად ჩამომდიოდა და კინალამ რომელიღაც პატარა, კუდაბზეკილ ცხოველს - ეს ციყვი არ იყო - დავეჯახე (გზატკეცილზე გადარბოდა). ჩემმა თანამგზავრმა კვლავ სალახანა მიწოდა. როდესაც ბენზინგასამართ სვეტთან შევჩერდით, გოგონა უსიტყვოდ გამომვრა და დიდხანს არ დაბრუნებულა. ცხვირგატეხილმა მოხუცმა მეგობარმა დინჯად, ალერსით გაწმინდა ჩემი მანქანის წინა მინა - ისინი ამას სხვადასხვანაირად სჩადიან ხოლმე და რას არ იყენებენ, ნატის ჩვრით დაწყებულ და გასაპნული ჯაგრისი დამთავრებული: ამ კაცს ვარდისფერი ღრუბელი ეჭირა ხელში. ბოლოს ლოლიტაც გამოჩნდა: „ყური მიგდე“, მითხრა მან იმ ნეიტრალური კილოთი, რომელიც გულს მიკლავდა, „მომეცი რამდენიმე ათცენტანი, მინდა, დედას დავურეკო საავადმყოფოში. რა ნომერია?“

„ავტომობილში ჩაჯექი“, ვუპასუხე მე. „იქ ვერ დარეკავ“. „რატომ?“ „ჩაჯექი და კარი მოიხურე“. ის ჩაჯდა და კარი მოიხურა. მოხუცმა გარაჟისტმა გულდიად გაუღიმა. გზაზე გამოვედით. „რატომ ვერ დავურეკავ დედას, თუ კი მინდა?“ „იმიტომ“, მივუგე მე, „რომ დედაშენი მოკვდა“.

33.

მხიარულ ქალაქ ლეკინგვილში ლოლიტას ვუყიდე კომიქსების ოთხი წიგნი, კანფეტების ერთი კოლოფი, ჰიგიენური პაკეტების ერთი კოლოფი, ორი ბოთლი კოკა-კოლა, მანიკიურისთვის საჭირო ხელსაწყოები, მანათობელციფერბლატიანი საგზაო საათი, ტოპაზიანი ბეჭედი, ტენისის ჩოგანი, გორგოლაჭიანი ციგურები, რომლებიც მაღალყელიან თეთრ ჩექმებზე იყო მიმაგრებული, დურბინდი, პორტატიული რადიოლა, საღებავი რეზინი, გამჭვირვალე პლასტიკატის ლაზადა, მუქმინიანი სათვალე, ბევრი ტანისამოსი - მოდური სვიტერები, შარვლები, ყოველგვარი საზაფხულო კაბები. იქაურ სასტუმროში ცალ-ცალკე მოვეწყვეთ, მაგრამ დამით ატირებული გოგონა ჩემთან გადმოწვა და წყნარად შევრიგდით. ხომ გესმით, მეტი ვერავისთან მიესვლებოდა.

ნაწილი II

1. სწორედ მაშინ, 1947 წლის აგვისტოში, დაიწყო ჩვენი ხანგრძლივი მოგზაურობა შეერთებულ შტატებში. ყოველგვარ თავშესაფრებს მალე ვამჯობინე ეგრეთ წოდებული „მოტორკორტები“,

ანუ „მოტელები“. ეს სუფთა, კოხტა, მყუდრო სავანეები შედგებოდა ცალკეული პატარა სახლებისა ან ერთ ჭერქვეშ გაერთიანებული ნომრებისგან და იდეალურად ხელსაყრელი იყო ძილის, კინკლაობის, შერიგებისა და ხარბი, უკანონო სიყვარულისთვის. თავიდან, უხიფათობის უზრუნველსაყოფად, ხალისით ვიხდიდი ორმაგი ნომრის ორივე ნახევარის საფასურს; ყოველ ოთახში ორადგილიანი საწოლი იდგა. არ მესმის, რა სახის კვარტეტებს ითვალისწინებდა ამგვარი ჩანაფიქრი; განმარტოების მხოლოდ ძალზე ფარისევლური პაროდია თუ მიიღწეოდა იმით, რომ ტიხარი (რომელიც ჭერამდე არ აღწევდა) ნომერს მიჯნავდა ორ ურთიერთდაკავშირებულ, სიყვარულისთვის გამიზნულ ბუდედ. ამ კეთილსინდისიერი ერთობლიობიდან გამომდინარე უცნაურმა შესაძლებლობებმა თანდათან გამათამამა (მაგალითად, წარმომიდგებოდა ხოლმე ორი ახალგაზრდა წყვილი, მხიარულად რომ უცვლიდა ერთმანეთს პარტნიორებს, ან - ბავშვი, რომელიც აქ თავს იმპინარებდა, თვითონ კი ფარულად ყურს უგდებდა ოდესღაც მისი ჩასახვის თანმხლებ ბგერით ეფექტებს). ამიტომ უკვე არხეინად ვკირაობდი ერთოთახიან კაბინას ერთი ან ორი საწოლით; სამოთხის ამ სუნაკში ყვითელი ფარდები ბოლომდე იყო ჩამოშვებული, რითაც მზისა და ვენეციის ილუზია იქმნებოდა, თუმცა ფანჯრის მიღმა მხოლოდ პენსილვანია იყო და წვიმდა. ვნახეთ - nous connûmes, თუ ვისარგებლებთ ფლობერისეული ინტონაციით - ვეებერთელა, შატობრიანულ ხეებქვეშ გაშენებული კოტეჯები; ეს ქვის, აგურის, ალიზის, მობათქაშებული სახლები განლაგებული იყო „ჩრდილოვან“, „ვრცელ“, „დაგეგმარებულ“ (ამერიკის საავტომობილო ასოციაციის მიერ გამოცემული მეგზურის მიხედვით) ნაკვეთებზე. გვხვდებოდა კორმიანი ფიჭვისგან ნაგები ქოხები, რომელთა კრიალა, მუქი ოქროსფერი კოჭები ლოლიტას შემწვარი ქათმის კანს აგონებდა. გვმაგდა შეთეთრებული ფიცრებისგან აშენებული უბრალო კაბინები, რომლებიც სიბინძურის ოდნავ საგრძნობი სუნით ან სხვაგვარი პირქუში, მორცხვი სიმყრალით გაჟღენთილიყვნენ და „მარჯვე საწოლების“ გარდა, ვერაფრით დაიკვებინდნენ. ამგვარი სადგომების კუშტი დიასახლისები ყოველთვის მზად იყვნენ იმისთვის, რომ მათ ნაბომპარს („...შემიძლია, შემოგთავაზოთ...“) მგზავრები შორს დაიჭერდნენ. Nous connûmes - (ეს ძალზე სასიერო თამაშია!) - სასტუმროების თითქოსდა მაცდუნებელი, ფართოდ გავრცელებული სახელწოდებები. ზოგჯერ რეკლამა საგანგებო სატყუარებს იყენებდა. მაგალითად: „ვეპატიყვებით ბავშვებს“, „გვიყვარს კატები“) შენ გეპატიყვებიან, შენ უყვარხართ!). სააბაზანოები უმთავრესად კაფელის შხაპებით იყო აღჭურვილი. მათი უსასრულოდ მრავალფეროვანი ნაკადები ერთი (ნამდვილად არა ლაოდნიკური ხასიათის) თავისებურებით გამოირჩეოდა: ხან ქაფქაფა მდუღარე წყლით გვფუფქავდა, ხან კი ყინულოვანი სიცივით გვიხეთქავდა გულს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი (ცივი თუ ცხელი) წყლის ონკანს გადაატრიალებდა იმ წუთს მეზობელ სააბაზანოში მყოფი მობანავე, რომელიც ჩვენ მიერ გულმოდგინედ შედგენილ ნაზავს აუცილებელ ელემენტს აკლებდა. ზოგიერთი მოტელის სააბაზანოების კედლებზე, უნიტაზებთან (რომელთა უკანა ბაკებზე არაჰიგიენურად ეყარა ხოლმე სუფთა პირსახოცები) მიწებებული ინსტრუქციები კლიენტებს

მოუწოდებდა, არ ჩაეყარათ მათში ნაგავი, ლუდის თუნუქელები, რძის ჩასასხმელად განკუთვნილი მუყაოს ჭურჭელი, მუცელს მოწყვეტილი ნაყოფი და ასე შემდეგ. სხვა მოტელებში გაკრული იყო

შემინული განცხადებები, მაგალითად: „გართობის ადგილობრივი სახეობები: ცხენოსნობა, მთავარ ქუჩაზე ხშირად მოჰკრავთ თვალს მთვარიან ღამით რომანტიკული სეირნობიდან დაბრუნებულ მხედრებს...“ „...რომლებიც დილის სამ საათზე ძილს გიფრთხობენ“, გამქირდავად დასძენდა ხოლმე არარომანტიკული ლოლიტა. *Nous connûmes* აგრეთვე მოტელების სხვადასხვა ჯურის მეპატრონეები – გამოსწორებული ბოროტმოქმედები, უიღბლო საქმოსნები, ნახევრად კეთილშობილი წარმოშობის ქალბატონები და საროსკიპოების ყოფილ მფლობელები. ზოგჯერ, აუტანლად ცხელსა და ნოტიო ღამეში გაბმით, გულშემზარავად და ავბედიტად გაჰყვიროდნენ მატარებლები, რომელთა განწირულ ხმაში სასოწარკვეთა და ძალმოსილება ურთიერთს ერწყმოდა. ვერიდებოდით კერძო სახლებში მოწყობილ ეგრეთ წოდებულ „ტურისტების საბინადროებს“ (რომლებიც დამკრძალავ სალონებს წაგავდა). ისინი უაღრესად მეშხანური გემოვნებით იყო მორთული და ცალკე სააბაზანოები არ ჰქონდა. დამთრგუნველ თეთრ-მოვარდისფრო ოთახებში იდგა პრეტენზიული სატუალეტო მაგიდები, კედლები კი ბინის პატრონთა შვილების ზრდა-განვითარების ამსახველი სურათებით იყო შემკული. დროდადრო ხათრს ვუწევდი ფუფუნებისადმი ლოლიტას ლტოლვას და „ნამდვილ“ სასტუმროში ვკირაობდი ნომერს. გოგონა მეგზურში ირჩევდა (სანამ იდუმალ, მყუდრო თემმარაზე შეჩერებულ, ბნელ ავტომობილში ვეფერებოდი) ამა თუ იმ აღფრთოვანებით რეკომენდებულ ტბისპირა „ციხე-დარბაზს“; რეკლამა მრავალ სასწაულს გვპირდებოდა (რომელთაც რამდენადმე აზვიადებდა მეგზურზე მინათებული ელექტროფარნის სხივი), მაგალითად – კონგენიალურ საზოგადოებას, ნებისმიერ დროს გამზადებულ საქმელებს, ღამით მოწყობილ პიკნიკებს. ამასთან დაკავშირებით წარმომიდგებოდა ხოლმე მაისურიანი გიმნაზისტის კოცონის სიმხურვალისგან გავარვარებული ლოყა, რომელიც ლოლიტას ლოყასთან იყო შეწებებული (მაშინ, როდესაც საწყალი პროფესორი ჰუმბერტი მხოლოდ საკუთარ გამძვალტყავებულ მუხლებს ეხვეოდა და ნესტიან გაზონზე ბუასილს იცივებდა). ლოლიტას იზიდავდა კოლონიური სტილის სასტუმროებიც, რომლებიც „ელეგანტური ატმოსფეროსა“ და მთლიანი ფანჯრების გარდა, გვპირდებოდნენ „უგემრიელესი ხორაგის განუსაზღვრელ რაოდენობას“, მამისეული კოჰწია სასტუმროს შესახებ სანუკვარი მოგონებები ზოგჯერ მაიძულებდა, მსგავსი რამ მეძებნა უცნაურ ქვეყანაში, სადაც ჩვენ ვმოგზაურობდით. სინამდვილემ მალე გამიცრუა იმედები, მაგრამ ლოლიტა კვლავ საკვების მიმზიდველი რეკლამების კვალს მიჰყვებოდა, მე კი მხოლოდ ფინანსურ კმაყოფილებას როდი ვპოულობდი ისეთი გზისპირა ფირნიშების მეშვეობით, როგორიც იყო, მაგალითად, სასტუმრო „ტყის ოცნება!“ თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვებთან ურთიერთობით მიღებული უფასო სიამოვნება! მეორე მხრივ მაჟრჟოლებს შუა-დასავლეთის ერთი შტატის ვითომდა „უმადლესი რანგის“ კურორტის გახსენებისას. გამოცხადებული იყო, რომ სასტუმრო ნებას რთავდა ღამიანობით „ეირიშების მიტანას მაცივარზე“. ამასთან, რასისტული ყაიდის დირექცია (რომელსაც ჩემი აქცენტი ეუცხოვა) გადაჭრით მოითხოვდა, მეცნობებინა ჩემი განსვენებული ცოლისა და განსვენებული დედის ქალიშვილობის გვარები. ამ სასტუმროში გატარებული ორი დღის საფასურად ორას ოცდაოთხი დოლარი გამომართვეს! ხომ გახსოვს, ხომ გახსოვს, მირანდა (ციტატაა ცნობილი ელეგიიდან), ის მეორე

„ულტრაბრწყინვალე“ ბუნაგი, სადაც დილაობით უფასო ყავასა და ყინულოვან წყალს გვთავაზობდნენ, მაგრამ არ ღებულობდნენ თექვსმეტ წლამდე ასაკის ბავშვებს (და, რა თქმა უნდა, არავითარ ლოლიტებს). შედარებით სადა მოტელებში დაბინავებისას ლოლიტა მყისვე რთავდა ელექტროვენტილატორის ზუზუნა პროპელერს ან მაიძულებდა, რადიოლაში ოცდახუთცენტიანი ჩამეგდო, ან კიდევ პროსპექტების კითხვას იწყებდა და წუწუნებდა, რომ მთის ბილიკებზე ცხენით სეირნობისა და თბილი მინერალური წყლით გავსებულ ადგილობრივ აუზში ცურვის ნებას არ ვაძლევდი, ყველაზე ხშირად კი ჩვეულებისამებრ მოწყენილი და აუტანლად მიმზიდველი ლოლიტა უსაქმოდ დაყალიბდა და იმხლართებოდა მეწამულ სავარძელში, ბადის მწვანე შეზღონგში ან ზოლიანი ტილოს საგემბანო სკამზე, რომელსაც ფეხების დასადგმელად განკუთვნილი ასეთივე საყრდენი და ბალდახინი ჰქონდა; ზოგჯერ სარწევლაში ქანაობდა ან ჯდებოდა ბადის ნებისმიერ სკამზე, ტერასაზე, დიდი ქოლგის ქვეშ რომ იდგა. საათობით ვეფერებოდი, ვემუქრებოდი და ათას რასმე ვუქადდი, სანამ დავიყოლიებდი, ხუთდოლარიან ნომერში რამდენიმე წამით ჩემთვის გაემეტებინა თავისი ნორჩი სიტურფე, შემდეგ კი უფლებას ვაძლევდი, მოემოქმედა ყოველივე, რასაც ის ჩემს უბადრუკ ნეტარებას ამჯობინებდა. ლოლიტა, რომელშიც შერწყმული იყო გულმართლობა და ცბიერება, გრაცია და ვულგარულობა, რუხი უგუნებობა და ვარდისფერი

სიმკვირცხლე, ზოგჯერ აუტანლად იქცეოდა – ვაღიარებ, რომ ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა უნიათო მოწყენილობისა ან წინასწარ განზრახული ბუზდუნის შეტევები, როდესაც მთლად მოთენთილი, გათანგული, თვალეზამდრეული გოგონა უმიზნოდ, უსაგნოდ იმანჭებოდა და ბიჭურ, ცინიკურ-ოინბაზურ თვითდამკვიდრებას ესწრაფვოდა. მისი შინაგანი იერსახე მეტისმეტად შაბლონური იყო: ჯაზის ტკბილი, მძაფრი კაკოფონია, ფოლკლორული კადრილები, შოკოლადმოსხმული ნაყინი, მუსიკალური კინოკომედია, კინოჟურნალები და ასე შემდეგ, – აი ლოლიტას გატაცებათა ნუსხის ყველაზე თვალსაჩინო პუნქტები. ღმერთმა უწყის, რამდენი აბაზიანი შევაჭამე რესტორნებში დადგმულ მუსიკალურ ავტომატებს! კარგად მახსოვს მისდამი მიძღვნილი ამ სერენადების უჩინარი შემსრულებლების დუდღუნა ხმები. ყური განურჩეველი იყო ყველა ამ სამის, ჯოს, ედის, ტონის, პეგის, გაის, რექსის მოდური რომანსების მიმართ, ენა კი ვერ განასხვავებდა ლოლიტას მიერ შთანთქმული ტკბილეულის ამა თუ იმ სახეობას. მიამიტ გოგონას სჯეროდა ყველა იმ განცხადებისა და რჩევისა, რომლებიც მის საყვარელ „კვრანის სამყაროსა“ და „კინოსიყვარულის მირაჟში“ ქვეყნდებოდა: „ჩვენი ახმი ახმობს მუწუკებს“, „გოგონებო, თუ პერანგის ბოლოები შარვალში არა გაქვთ ჩატანებული, დაფიქრდით ამაზე – ჯილი ამბობს, ეს მოდა მოძველდაო!“ თუ გზისპირა დუქნის აბრაზე ეწერა: „იყიდეთ ჩვენთან საჩუქრები!“ – მაშინ, უბრალოდ, ვალდებულნი ვიყავით, შევსულიყავით და გვეყიდა ინდიელთა ყოველგვარი სულელური ნაკეთობანი, თოჯინები, სპილენძის სამშვენისები, კაქტუსის ყინულკარამელები. ლოლიტა მონუსხა ფრაზის „ნობათები, საჩუქრები“ – ქორეულმა რიტმმა. თუ რომელიმე კაფე ყინულოვან სასმელს გვთავაზობდა, გოგონა ანგარიშმიუცემლად ეხმინებოდა მიწვევას, თუმცა ყველა სასმელი ყველგან ყინულოვანი იყო. რეკლამები მას

მიმართავდნენ, სწორედ ის გახლდათ იდეალური მომხმარებელი და ყოველი საძაგელი პლაკატის სუბიექტი და ობიექტი. წარუმატებლად ცდილობდა, მხოლოდ იქ ესადილა, სადაც გასტრონომიული მეგზურის ავტორის, ვიღაც დუნკან ჰაინსის სულიწმიდა გარდამოხდა კეკლუცად მოხატულ ქალადის ხელსაწმენდებზე და ხაჭოთი შემკულ სალათებზე. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყენებდით ფულადი ქრთამების სისტემას, რომელმაც მოგვიანებით ასე დამღუპველად იმოქმედა ჩემს ნერვებსა და მის ზნეობაზე. მცირეწლოვანი მხეველის მოსათვინიერებლად იმ დროს სხვა ხერხებს მივმართავდი. რამდენიმე წლის წინ მან ვერმონტში წვიმიანი ზაფხული გაატარა მის ფალენის გამაბეზრებელი მეთვალყურეობით. ისინი ცხოვრობდნენ სოფლის ნახევრად დანგრეულ სახლში, რომელიც მუხასავით დაკოჟრილ ჯონათან ჰეისს, გვარის ფუძემდებელს, აეშენებინა ოდესღაც. სახლი ჯერ კიდევ იდგა ასისთავა ბალახით დაფარულ მინდორში, უსიერი ტყის პირას, მუდამ გადარეცხილი გზის ბოლოში, უახლოესი სოფლიდან ოცი მილის მანძილზე. ლოლიტამ კარგად დაიმახსოვრა ეს გაცრეცილი შენობა, მარტოობა, ჭაობად ქცეული ძველი საძოვარი, მუდმივი ქარი, მთელი ეს სინოტივისგან დაბუხული, მიყრუებული ადგილი; სიძულვილს ის ამერიკელი ზავშვებისთვის ჩვეული განსაკუთრებული გრიმასით გამოხატავდა – გაწელილი პირიდან ნახევრად გამოყოფილი, შესქელებული ენით. ვემუქრებოდი, რომ იქ დავსახლდებოდი და მრავალი თვის ან მრავალი წლის განმავლობაში ფრანგული და ლათინური ენების შესწავლით დავსჯიდი, თუკი „აწინდელ პოზიციას“ არ შეიცვლიდა. ო, შარლოტა, უკვე მესმოდა შენი! გულუბრყვილო გოგონა ყვიროდა, არაო, და აუტანელი შიშით შეპყრობილი, იმ ხელზე მეჭიდებოდა, რომლითაც საჭის მოტრიალებას ვაპირებდი ბნელი და მიყრუებული ადგილისკენ გასამგზავრებლად. ამასთან, რაც უფრო მეტად მივიწვედით დასავლეთისკენ, მით უფრო მეტ განყენებულობას იძენდა ეს მუქარა, და იძულებული გავხდი, ზემოქმედების ახალი მეთოდებისთვის მიმემართა. სირცხვილითა და ღრმა ოხვრით ვიხსენებ ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, გამასწორებელი დაწესებულების ჩემ მიერ გაცოცხლებულ აჩრდილს. ჩვენი თანაცხოვრების დასაწყისშივე ჭკუა მეყო იმის გასათვალისწინებლად, რომ ლოლიტას დახმარება დამჭირდებოდა ჩვენი ურთიერთობის საიდუმლოდ შესანახად; ეს დახმარება მის მეორე „მე“ -დ უნდა ქცეულიყო, ჩემ წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი გაბოროტებისა და მისი ყოველგვარი სხვა თავშესაქცევის მიუხედავად. „მოდი აქ და აკოცე მამიკოს“, ვეუბნებოდი ხოლმე გოგონას, „გეყოფა ჭირვეულობა! თავის დროზე, როდესაც შენთვის ჯერ კიდევ მამაკაცის იდეალს წარმოვადგენდი (მკითხველი შეამჩნევს, რომ ლოლიტას ენას ვბამავდი), გაგიჟებით გიყვარდა მიგმიგისა და სლუკსლუკის უპირველესი სპეციალისტის ფირფიტები, იმისა, შენი ჯუფთი ყმაწვილები რომ აღმერთებენ (ლოლიტა: „ჩემი ვინ? – ადამიანურად ილაპარაკე“): თქვენს ამ კერპს იდუმალ ჰუმბერტს ამსგავსებდი, ახლა კი, უბრალოდ, ბებერი მამიკო ვარ, საარაკო მამა, რომელსაც საარაკო ქალიშვილი ჰყავს“.

Ma chère Dolores![62] მინდა, დაგიცვა ყველა იმ საფრთხისგან, პატარა გოგონებს რომ ელით ნახშირის საწყობებსა და მიყრუებულ შესახვევებში, აგრეთვე (Comme vous le savez trop bien, ma gentille[63]) – ლურჯი კენკრით საცხე ტყეებში, წელიწადის ულურჯეს დროს. რაც უნდა მოხდეს, შენს მეურვედ დავრჩები, და თუ კარგად მოიქცევი, ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში სასამართლო დააკანონებს ჩემს მეურვეობას. მაგრამ, დოლორეს ჰეიზ, დავივიწყოთ ეგრეთ წოდებული სასამართლო ტერმინოლოგია, რომელსაც მიაჩნია, რომ რაციონალურია განსაზღვრა: „გარყვნილი, ავხორცული სქესობრივი კავშირი“. დანაშაულებრივი სექსუალური ფსიქოპათი როდი ვარ, უზნეო საქციელს რომ კადრულობს ბავშვების მიმართ. გარყვნილ ჩარლი ჰოლმსი იყო გართული, მე ვზრუნავ ნორჩ ამონაყარზე, რომელიც საგანგებო მოვლა-პატრონობას საჭიროებს: ყურადღება მიაქციე ფაქიზ განსხვავებას ორივე ტერმინს შორის. შენი მამიკო ვარ, ლო. შეხე, აქ სამეცნიერო წიგნი მაქვს გოგონების შესახებ. შეხე, ჩემო პატარავ, რა წერია ამ წიგნში: „ნორმალური გოგონა“ – ნორმალური, დაიმასხოვრე, – „ნორმალური გოგონა, ჩვეულებრივ, ყოველ ღონეს ხმარობს, მამის მოწონება რომ დაიმასხუროს. ის მამაში ხედავს სანუკვარი, უჩინარი სატრფოს წინამორბედს“ („უჩინარი“ მოსწრებული სიტყვაა, პოლონიუსის აჩრდილს ვფიცავ!). „ბრძენი დედა (შენი საბრალო დედა უეჭველად დაბრძენდებოდა, ცოცხალი რომ დარჩენილიყო) ხელს უწყობს მამისა და ქალიშვილის ურთიერთობას, რადგან ესმის (მაპატიე უხამსი კილო), რომ ტრფობისა და გათხოვების შესახებ ოცნებას გოგონა მამასთან ურთიერთობაზე აფუძნებს“. მაგრამ რას გულისხმობს ეს თამამი წიგნი სიტყვაში „ურთიერთობა“, როგორ „ურთიერთობას“ გვთავაზობს ის? კვლავ მომყავს ციტატა: „სიცილიელთა შორის მამისა და ქალიშვილის სქესობრივი კავშირი ბუნებრივი რამაა და ასეთ ქალიშვილს სულაც არ კიცხავს მისი სოციალური გარემო“. სიცილიელებს დიდ პატივს ვცემ, ისინი შესანიშნავი მუსიკოსები, შესანიშნავი, უპატიოსნესი ადამიანები არიან, ლოლიტა, და – შესანიშნავი მიჯნურები. მაგრამ უმჯობესია, გადახვევებს თავი ავარიდოთ. ამას წინათ მე და შენ გაზეთში წავიკითხეთ სულელური სტატია ზნეობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ: ბოროტმოქმედმა აღიარა, რომ დაარღვია მანის მიერ გატარებული კანონი და ცხრა წლის მშვენიერი გოგონა შტატიდან შტატში გადაიყვანა უზნეო მიზნით, – არ ვიცი, რას გულისხმობდა ამაში. დოლორეს, ჩემო სულიკო! შენ ცხრა წლისა კი არა ხარ, არამედ – ცამეტისა, და არ გირჩევ, პაწაწინა თეთრკანიან მხეველად წარმოიდგინო თავი. გარდა ამისა, ვერ მოვიწონებ ამ „Mann Act“-ს, ის ხომ უხეირო კალამბურად აღიქმება, თუ კონგრესის პატივცემული წევრის გვარს ეპითეტად („მამაკაცური“) მივიჩნევთ. ასე იძიებენ ხოლმე შურს სემანტიკის ღმერთები მეშჩანებზე, რომელთაც შარვლები მაგრად აქვთ შეკრული. მამაშენი ვარ და ადამიანური ენით გელაპარაკები, და მიყვარხარ“. ბოლოს, მოდი, ვნახოთ, რა მოხდება, თუ შენ (ვისაც ბრალად ედება წესიერი სასტუმროს ჭერქვეშ მოზრდილი ადამიანის ცდუნება), პოლიციაში იჩივლებ, მომიტაცეს და გამაუპატიურესო. ვთქვათ, დაგიჯერეს. მცირეწლოვანი, რომელმაც სრულწლოვან ადამიანს თავისი ფიზიკური შეცნობის უფლება მისცა, მსხვერპლს ადანაშაულებს „ფორმალურ გაუპატიურებაში“, ან „მეორე ხარისხის სოდომის ცოდვაში“, მეთოდისდა მიხედვით; ამისთვის მაქსიმალური სასჯელია პატიმრობის ათი წელი. ვთქვათ, ციხეში ჩამსვეს. კეთილი. ციხეში

ვიქნები 1957 წლამდე. მაგრამ პატარა ობოლს რაღა დაემართება? ო, რა თქმა უნდა, შენი მდგომარეობა ჩემსაზე უკეთესი იქნება. შენს პატრონობას იკისრებს საზოგადოებრივი მეურვეობის დეპარტამენტი – რაც, უეჭველია, საკმაოდ უხალისოდ ჟღერს. მისს ფალენის მსგავსი, მაგრამ ნაკლებად ღმობიერი და არამსმელი ქალი (შესანიშნავი, მკაცრი ზედამხედველი) წაგართმევს ტუჩების შესაღებ ფანქარსა და ტანისამოსს. არავითარი გართობა! გსმენია თუ არა, რომ არსებობს კანონები მიტოვებული, გამოუსწორებელი და ბრალეული ბავშვების შესახებ? სანამ მე გისოსებს მიღმა დავიტანჯები, შენ – ბედნიერ, მიტოვებულ, და ასე შემდეგ, ბავშვს შეგთავაზებენ, აირჩიო ერთ-ერთი ასეთი სამყოფელი, როგორიცაა: დისციპლინური სკოლა, გამასწორებელი დაწესებულება, უპატრონო მოზარდთა თავშესაფარი ან ერთ-ერთი საუკეთესო თავშესაფარი არასრულწლოვან ზნეობისდამრღვევთათვის, სადაც გოგონები ყოველგვარ ტანისამოსს ქსოვენ და ჰიმნებს მღერიან, ხოლო კვირა დღეებში მძაღვ ქონში შემწვარ ოლადებს მიირთმევენ. სწორედ იქ მოხვდები, ლოლიტა. ჩემი ლოლიტა, ეს ლოლიტა მიატოვებს თავის კატულუსს, რათა სხვა, შერევილ მოზარდებთან ერთად იცხოვროს. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ჩვენ დაგვიჭერენ, ანალიზსა და ინტერნირებას ვერ ასცდები, ჩემო ფისუნია, c'est tout[64]. ჩემი ლოლიტა (აქ მო, გარუჯულო ვარდო), ოცდაცხრამეტ სხვა დოკლავისთან ერთად იცხოვრებს ჭუჭყიან დორტუარში (არა, გეთაყვა, მაცალე...), მახინჯი დედაბრების ზედამხედველობით. აი მდგომარეობა, აი არჩევანი. ხომ არ ფიქრობ, რომ ამგვარ ვითარებაში დოლორეს ჰეიზი თავისი ბებერი მამიკოს ერთგული უნდა დარჩეს?" ამას ვუჩიჩინებდი და წარმატებით ვაშინებდი ლოლიტას, რომელიც,

თავხედური სიმკვირცხლისა და გონებამახვილობის უცარი გამოვლინებების მიუხედავად, სრულიად არ იყო იმგვარი ნიჭიერი მოზარდი, როგორც მისი აღმზრდელების მიერ შემუშავებული „გონებრივი კოეფიციენტიდან“ გამოსჰვიოდა. შევუთანხმდი, რომ იდუმალი ბრალი ერთნაირად უნდა გაგვეზიარებინა, მაგრამ გაცილებით ძნელი იყო მისი კეთილგანწყობილების შენარჩუნება. მოგზაურობის მთელი წლის განმავლობაში ყოველ დილით ვიგონებდი რაიმე სატყუარას – დროსა და სივრცეში გამოკვეთილ მიზანს. ლოლიტა მის მოლოდინში ატარებდა დაღამებამდე დარჩენილ დროს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ მისი დღის ჩონჩხს არ გააჩნდა ფორმის მიმნიჭებელი, მყარი დანიშნულება, ის იშლებოდა და ინგრეოდა. შემედლო, ნებისმიერი მიზანი დამესახა – შუქურა ვირგინიაში, კაფედ გადაკეთებული მღვიმე – არკანზასში, რევოლვერებისა და ვიოლინოების კოლექცია – ოკლაჰომაში, ლურდის გამოქვაბულის ზუსტი ორეული – ლუიზიანაში, კოლორადოს მუზეუმში შეკრებილი (მემადნეობის აყვავების დროინდელი) ფოტოსურათები. სულ ერთია, რა იქნებოდა. ამ მიზანს უძრავი ვარსკვლავით უნდა ეკიაფა ჩვენ წინ. ხშირად წინასწარ ვხვდებოდი, რომ მიზნის მიღწევისას ლოლიტას სახეზე მხოლოდ მოჩვენებით ზიზღს ამოვიკითხავდი. შეერთებული შტატების გეოგრაფიის მეშვეობით საათობით ვცდილობდი, ლოლიტასთვის სავეცხოვრების ილუზია შემექმნა და არაჩვეულებრივი სიამოვნების მოლოდინი ჩამესახა. არასოდეს მინახავს ისეთი გლუვი, დამყოლი გზები, როგორც ჩვენ წინაშე სხივებით გადაიშალა ორმოცდარვა შტატის ნაკუწებისგან შეკერილ ჭრელ საბანზე. ხარბად ვნთქავდით მათ. მდუმარედ, აღტაცებით მივსრიალებდით ამ შავ, სამეჯლისო, ელვარე გზატკეცილებზე.

ლოლიტა არა მარტო გულგრილი იყო ბუნების მიმართ, არამედ აღმფოთებით მედავებოდა კიდეც, როდესაც მის ყურადღებას ვამახვილებდი ლანდშაფტის ამა თუ იმ მომხიზვლელ დეტალზე. ვაღიარებ, რომ ეს დეტალები სათანადოდ დავაფასე მხოლოდ ჩვენი უღირსი გზის თანამდევნი უჭკნობი სილამაზის ხანგრძლივი აღქმის შემდგომ. თავდაპირველად, მხატვრული წარმოდგენების უცნაური შეხამების წყალობით, ჩრდილოეთი ამერიკის დაბლობის სანახებმა რაღაც ნაცნობი მომაგონა. გაცეცხის ღიმილით გავიხსენე, რომ ეს იყო ოდესღაც ამერიკიდან ცენტრალურ ევროპაში შემოტანილი მოხატული მუშამბები, რომლებიც ბავშვთა ოთახების პირსაბანებს ამშვენებდა. საღამოობით ძილმორეულ ყრმას ისინი ხიბლავდნენ მათზე აღბეჭდილი სოფლური მწვანე ხედებით – მქრქალი, ხუჭუჭა კორომით, ბელლით, ჯოგით, ნაკადულით, ბუნდოვნად აყვავებული ხეხილის ბაღების მღვრიე სითეთრით და, ალბათ, კიდეც, ქვებისგან ნაგები ღობით ან გუამით მიხატული სერებით. ამასთან, ბავშვობისას ნანახი ამ ელემენტარული არკადიების პირველსახეები მით უფრო უცნაური მეჩვენებოდა, რაც უფრო საფუძვლიანად ვეცნობოდი. დამუშავებული ველის, პაწაწინა სახურავებს მიღმა იზნიდებოდა უსარგებლო სილამაზე, იქ, სადაც პლატინისფერ ბურუსში მზე იწურებოდა და გაფცქვნილი ატმისფერი შუქი კამკამებდა ბრტყელი, მოლურჯო ღრუბლის კიდეზე, რომელიც შორეულ რომანტიკულ წისლს ერწყმოდა. ზოგჯერ ჰორიზონტზე შორიშორ დარგული ხეების რიგი მოჩანდა ან თაკარა შუადღე ციალებდა სამყურა ბალახით მოფენილ მინდორზე და კლოდ ლორენსისეულ ღრუბლებს გარს ერტყმოდა ძალზე შორეული, ძალზე წისლიანი ლაჟვარდი. ამასთან, ბუნდოვან, მცხრალ ფონზე მკაფიოდ იძერწებოდა მხოლოდ ქულა ღრუბლები. ხანდახან, შორს, ელგრეკოსეული, პირქუში ზეცა მელნისფერ მერებს გვიქადადა, და თვალს ვაყოლებდით ფერმერს, რომელსაც მუმიის მსგავსი კეფა ჰქონდა, ხოლო მის ზურგს უკან, მჭახე მწვანე ფერის სიმინდის ზოლებს შორის, ვერცხლისწყალივით ბრწყინავდა წყლის ზოლები და ყოველივე ეს მარაოსავით იშლებოდა სადღაც, კანზასში. აქა-იქ, ფართო ველებზე, ვეებერთელა ხეები გვიახლოვდებოდნენ, რათა შემდეგ პირმოთნე გუნდებად თავი მოეყარათ გზატკეცილთან და ჰუმანიტარული ჩრდილის ნაფლეთებით აეჭრელებინათ საპიკნიკო მაგიდები, რომლებიც ჩადგმული იყო მზის ათინათებით, მუყაოს დაჭმუჭნილი ჭიქებით, ხის ფრთიანებითა და ნაყინის გადაგდებული ჩხირებით მოფენილ მურა ნიადაგში. ჩემი ლოლიტა, რომელსაც ზიზღი არ სჩვეოდა, ხალისით სარგებლობდა გზისპირა საპირფარეოებით. გოგონას ხიბლავდა მათი წარწერები: „ვაჟები-ქალიშვილები“, „მამაკაცები-ქალები“, ან „ადამი და ევაც“ კი. ლოლიტას იქ ყოფნის განმავლობაში პოეტურ სიზმარში ვიძირებოდი და ვუჭვრეტდი კეთილსინდისიერად შეფერადებულ ბენზინის მოწყობილობებს, რომლებიც ნათლად იკვეთებოდა საუცხოო მწვანე მუხნარის ფონზე, ან ვუთვალთვალდები ნაჭრეებით დასერილ მოუთვინიერებელ ბექობს, რომელიც აგრიკულტურის უსიერ ტევრს გაურბოდა და ზევით მიიწევდა. დამღამობით ათასფერი ნათურებით აბრწყვიალებული საბარგო მანქანები ვეება, შემზარავი საშობაო ნაძვის ხეებით ამოიზრდებოდნენ ხოლმე წყვილიადიდან და ჩვენს პატარა „სედანს“ გრუხუნით ჩაუქროლებდნენ. მეორე დილას კი

კვლავ ღღვებოდა ნაკლებდასახლებული ცის გვალვისგან გახუნებული ლაჟვარდი და ლოლიტა გამაგრილებელ სასმელს ითხოვდა. ის

ენერგიულად წუწნიდა ჩალის ღერს. შემდეგ ვბრუნდებოდით მანქანაში, სადაც ჯოჯოხეთურად ცხლოდა; გზა ბზინავდა; შორეული, ჩვენკენ მომავალი ავტომობილი თავისსავე ჰაეროვან ანარეკლში ელვარებდა, მირაჟით იცვლიდა მოხაზულობას, მოძველებულ კვადრატულ, ფართოშუბლიან ფორმას ღებულობდა და გვალვის განსხივებაში ფარფარებდა. როდესაც დასავლეთით გადავინაცვლეთ, ველზე აბზინდის, „სეიჯბრამის“ (გარაჟისტის თქმით) კონები გამოჩნდა; ჩავუქროლეთ ღვიის ნაღვენთებით აჭრელებულ წითელ ყორღანებსა და ხორცისფერ მთაგრეხილს, რომელიც ცისფერს ერწყმოდა, უფრო მოშორებით კი ენით აუწერელი შეფერილობის იყო; და აი უდაბნომ თანაბარი და ძალუმი ქარი შეგვაგება, და ქვიშა შემოგვაყარა, და დაგვახვედრა კვრინჩხის ყომრალი ბუჩქები და ქალაღდის ნაგლეჯები, რომლებიც გზატკეცილის გასწვრივ ქალაქისგან გატანჯულ უფერულ ეკლიან ღეროებში გაბნეულ მკრთალ ყვავილებს წააგავდა. აქა-იქ გვხვდებოდნენ უცნაურ მდგომარეობაში გახევებული (მარცხნივ გაწეული კუდი, მარჯვნივ გადახრილი თეთრი წამწამები) მიამიტი ძროხები, რომლებიც არ იცავდნენ საგზაო მოძრაობის არც ერთ წესს. ადვოკატი მირჩევს, მკაფიოდ და უშუალოდ აღვწერო ჩვენი მარშრუტი და ახლა, მგონი, გვერდს ვერ ავუვლი ამ მომაბეზრებელ საქმეს. უხეშად რომ ვთქვათ, იმ გადარეული წლის განმავლობაში (1947 წლის აგვისტოდან 1948 წლის აგვისტომდე) ჩვენი გზა დაიწყო ახალი ინგლისის სხვადასხვაგვარი ხვეულებითა და კლაკნილებით; შემდეგ სამხრეთით, ოკეანისკენ აიღო გეზი; უკან დაბრუნებისას ღრმად ჩაყურყუმელავდა „ce qu'on appelle „Dixieland[65]“-ში; თავი აარიდა ფლორიდას (რადგან იმ დროს იქ იყვნენ ჯონი და ჯონა ფარლო); დასავლეთისკენ გაუხვია; ზიგზაგებით გაიარა ბამბისა და სიმინდის ზონები (ვშიშობ, ძვირფასო კლერენს, რომ ჩემი თხრობა არც ისე მწყობრია, მაგრამ მაშინ არაფერი ჩამიწერია, ახლა კი მეხსიერების შესამოწმებლად მხოლოდ საშინლად დაფლეთილი სამტომიანი მეგზურიდა შემჩნა – ჩემი ტანჯული წარსულის ჭეშმარიტი სიმბოლო); გადაიარა კლდოვანი მთების ორი უღელტეხილი; იტრიალა სამხრეთის უდაბნოებში, სადაც გადავიზამთრეთ; მიადგა წყნარ ოკეანეს; ჩრდილოეთისკენ მიბრუნდა და ტყის პირას აყვავებული კალიფორნიული მურტის ბაც იასამნისფერ ღინღლში გაეხვია; თითქმის მიაღწია კანადის საზღვარს; შემდეგ კვლავ აღმოსავლეთისკენ გაემართა; გაიარა სპილენძ-მწვანით დასერილი მლაშობები, ხორბლის ყანები და არაჩვეულებრივად განვითარებული მიწათმოქმედების ზონა (აქ, ლოლიტას წრიპინის მიუხედავად, შორიდან მოუარა გოგონას მშობლიურ ქალაქს, რომელიც მესიმინდეობის, ქვანახშირის რეწვისა და მეღორეობის რაიონში მდებარეობდა); ბოლოს კვლავ აღმოსავლეთს შეაფარა თავი და პუნქტირი საუნჯერსიტეტო ქალაქში, ბერდსლეიში დაასრულა.

2. შემდეგი ფურცლების გადათვალთვლებისას მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს ზემოთ მითითებული საერთო მარშრუტი, მისი მრავალრიცხოვანი გადახვევები, ტურისტული ჩიხები, განმეორებული წრიული გზები და რთული ტეხილები; საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი მოგზაურობა *partie de plaisir*[66] როდი იყო: ამ კლაკნილი, ვიწრო ტელეოლოგიური განტოტების ერთადერთ *raison d'être*[67]-ს წარმოადგენდა ჩემი თანამგზავრის კეთილგანწყობილების შენარჩუნება კოცნიდან კოცნამდე. ვფურცლავ გაქუცულ მეგზურს და ბუნდოვნად წარმომიდგება სამხრეთის ერთ შტატში გაშენებული მაგნოლიების პარკი, რომელიც ოთხი დოლარი დამიჯდა და რომელიც, განცხადების მიხედვით, სამი მიზეზით უნდა დამეთვალთვლებინა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჯონ ჰოლსუორთიმ (მდარე, დიდი ხნის წინ გაქვავებულმა მწერალმა) აღიარა, ეს მსოფლიოში ულამაზესი პარკიაო; მეორეც – იმიტომ, რომ ბედეკერმა 1900 წელს მას ვარსკვლავი დაუსვა; და მესამეც – იმიტომ, რომ ...ო მკითხველო, ო ჩემო მკითხველო, გამოიცანი!.. იმიტომ, რომ მოწონებით აღვსილი, გულაჩვილებული ბავშვები (ემმაკმა დალახვროს, იქნებ ჩემი ლოლიტაც ბავშვი იყო?) აქ ტკბებოდნენ მადლიანი სილამაზით, რომელიც უთუოდ გავლენას მოახდენდა მათ შემდგომ ცხოვრებაზე. „ჩემსაზე – არა“, მწყრალად შენიშნა ლოლიტამ, მერხზე ჩამოჯდა და ორი გაზეთის საკვირაო დამატებები თავის ლამაზ მუხლებზე დაიწყო. კვლავ განვვლეთ ამერიკული გზისპირა რესტორნების მთელი გამა, დაწყებული მდაბიური „ჭამე!“-თი და ირმის თავით (მახსენდება მინის თვალის შიდა კუთხესთან ჩამოღვენთილი გრძელი ცრემლის მუქი კვალი), თითქოსდა „იუმორისტული“, გერმანული „საკურორტო“ ტიპის უკანალებიანი ღია ბარათებით, სარზე ჩამოცმული, განადღებული ანგარიშის ფურცლებით, პაწაწინა შიშველი რგოლების ფორმის ყინულკარამელებით, გასაყიდი მუქმინიანი სათვალეებით, ნაყინის სხვადასხვაგვარი სახეობების ზეციურ-სარეკლამო ზმანებებით, მინის

ხუფით დაფარული შოკოლადის ტორტის ნახევრითა და რამდენიმე აუტანლად გამოცდილი ბუხით, სწრაფად და სხვადასხვა მიმართულებით რომ დაცოცავდნენ ამაზრზენ დახლზე დაყრილი შაქრის მწებვარე ნაფხვენებზე; და დამთავრებული უმაღლესი თანრიგის სუსტად განათებული კაბარეებით, სადაც უზადრუკი სუფრები ეფარა და ტლანქი ოფიციატები (ყოფილი კატორღელები ან დამატებით მომუშავე სტუდენტები) გვემსახურებოდნენ; აგრეთვე – კინომსახიობი ქალის მზემოკიდებული ზურგით, მისი სატრფოს ფაჩვნიერი წარბებითა და საქსოფონიანი პეწენიკებისგან შედგენილი ორკესტრით. მრავალი ღირსშესანიშნაობა (რა ზორბა სიტყვაა!) დავათვალიერეთ: ეს იყო, მაგალითად, მსოფლიოში უდიდესი სტალაგმიტი, რომელიც იმ სახელგანთქმულ მღვიმეში ამოზრდილიყო,

სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთის სამი შტატი ურთიერთთან გეოგრაფიულ შეხვედრას ზეიმობდა (დათვალიერების საფასური ასაკის მიხედვით იყო დადგენილი: მამაკაცები ერთ დოლარს იხდიდნენ, ოდნავ შედერილი გოგონები კი – სამოც ცენტს); ბლუ-ლიქსის ბატალიის სამახსოვროდ აღმართული გრანიტის ობელისკი, აგრეთვე – მეზობელ მუზეუმში დაცული ძველისძველი ძვლები და ინდიელთა ქოთნები (ლოლიტას აქ მხოლოდ ათი ცენტი გადაახდევინეს); შემდგომ – თანამედროვე ტიპის ქოხი, რომელსაც იმ ძველებურ ქოხად მოჰქონდა თავი, ლინკოლნი რომ დაიბადა; კლდე, რომელზეც მიმაგრებული იყო ლითონის დაფა ლექს „ხეების“ ავტორის სამახსოვროდ (აქ ჩრდილოეთ კაროლინაში შევუხვით და „ალვების ველისკენ“ გავეშურეთ. იქით მიმავალ გზას ჩემი კეთილი, მომთმენი, ჩვეულებრივ ეგზომ უწყინარი მეგზური მრისხანედ უწოდებდა „ძალზე ვიწროსა და მოუვლელს“, რასაც მეც მოვაწერდი ხელს, თუმცა პოეტ კილმერის თაყვანისმცემელი არ გახლავართ); გეორგიის შტატში დავიქირავეთ მოტორიანი ნავი, რომელსაც მართავდა ხანდაზმული, მაგრამ ჯერ კიდევ გულისამრეველ ლამაზი რუსი თეთრგვარდიელი (მასზე თქვეს, ბარონიაო – და ჩემს სულელ პატარა გოგონას მყისვე დაენამა ხელისგულები). ამ კაცს კალიფორნიაში ენახა თავაზიანი მაქსიმოვიჩი და მისი ვალერია. ნავიდან თვალი შევაავლეთ კუნძულზე გაშენებულ, ჩვენთვის მიუწვდომელ „მილიონერების კოლონიას“, რომელსაც შტატის ნაპირს ცოტაოდენი მანძილი ამორებდა; მისისიპის მუზეუმში დავათვალიერეთ ევროპის სასტუმროთა ამსახველი ღია ბარათების კოლექცია. სიამაყის ცხელმა აღმურმა ამკრა, როდესაც მამისეული „მირანის“ ფერადი ფოტოსურათი მოვებუნე და კვლავ ვიხილე მისი სარკმლების ზოლიანი საჩიხები და რეტუშირებული პალმების თავზე აღმართული მოფრიალე ალამი. „მერედა რა?“ დაუდევრად შენიშნა ლოლიტამ, რომელმაც ალმაცერი მზერა სტყორცნა ძვირად ღირებული მანქანის ბრინჯაოსფრად გარუჯულ პატრონს, ჩვენს კვალდაკვალ რომ ესტუმრა ამ „ახირებათა მუზეუმს“; ვნახეთ მეზამბეობის ეპოქის რელიქვიები; ვიხეტიალეთ არკანზასის ტყეში. აქ ლოლიტას მხარზე შევამჩნიე მოვარდისფრო-ლილისფერი ნაბურცი (კოლოს თუ ბუხის ნამუშევარი), რომელსაც ცერების გრძელი ფრჩხილები დავაჭირე საუცხოო, გამჭვირვალე შხამის გამოსადენად, შემდეგ კი დიდხანს ვწუწნე, სანამ გული არ ვიჯერე ჩემი სატრფოს სურნელოვანი სისხლით; ვიყავით ახალი ორლეანის ბურბონის ქუჩაზე, სადაც (მეგზურის სიტყვით) ტროტუარებს შეუძლიათ (საინტერესო შესაძლებლობაა), სცენად გამოადგნენ პატარა ზანგ ბიჭუნებს, რომლებიც დროდადრო (საინტერესო სტილია) ცეკვავენ ჩეჩოტკას რამდენიმე პენის საფასურად (რა კარგია!), მაშინ, როდესაც მრავალრიცხოვანი პატარა, ინტიმური ღამის დუქნები მუშტრებიტათა გაჭედული (დახე ამ ცელქებს!); მოვისმინეთ ფოლკლორის ნიმუშები; დავათვალიერეთ სამოქალაქო ომის დროინდელი კარ-მიდამოები რკინის აივნებითა და ხელით ნაკეთები კიბეებით. ფერად ფილმებში სწორედ ამგვარ კიბეზე ჩამორბის ხოლმე კოპწია მსახიობი ქალი (რომელსაც მზემოკიდებული მხრები აქვს), თან ორივე ხელით ძალზე მოხდენილად უჭირავს არშიებიანი კაბის წინა კალთა (კიბის თავზე მდგარი ერთგული შავკანიანი მოახლე კი, ჩვეულებრივ, თავს აქეთ-იქით აქნევს); მოვინახულეთ მენინგერის ინსტიტუტი, ფსიქიატრიული კლინიკა (ამ უკანასკნელს მხოლოდ ჩვენი სიმამაცის გამოსაცდელად ვეწვიეთ). დავტკბით თიხიანი მიწის ნაკვეთზე აღბეჭდილი ეროზიის

განსაცვიფრებელი ნაყმით, რომლის გარშემო, იუკის სუფთა, თითქოს ცვილისგან გამოძერწილ ყვავილებში, საზიზღრად ფუთფუთებდა თეთრი ჩრჩილი; არ გამოვტოვეთ „ინდეპენდენს მისური“, სადაც უწინ ორეგონის გზა იწყებოდა, აგრეთვე – აბილინი (კანზასში), სადაც კოვბოების შეჯიბრებები იმართება ხოლმე „ველური ბილის“ ეგიდით. და – მთები, შორეული მთები. მახლობელი მთები. კვლავ მთები: მოლურჯო მზეთუნახავები, რომლებიც ან მიუწვდომელი იყვნენ, ან ერთიმეორის მიყოლებით გარდაიქმნებოდნენ დასახლებულ ბორცვებად; აღმოსავლეთის შტატების უიღბლო (ალპებთან შედარებით), მომცრო სიმაღლის მთები; დასავლეთის ბუმბერაზები, რომლებიც ცასა და გულს გმირავდნენ: თოვლიანი მარღვებით დასერილი მათი

რუხი, უდრეკი მწვერვალები უეცრად გამოჩნდებოდა ხოლმე გზატკეცილის მოსახვევიდან; ტყით შემოსილ გოლიათებს ეხურათ მიჯრით მიწობილი ნამძვების კრამიტი, რომელსაც აქა-იქ მკრთალი მონაცისფრო ვერხვნარი შერეოდა; ვარდისფერი და ლილისფერი მთიანი ფორმაციები, ფარაონების მსგავსი, ფალოსისმაგვარი, „მეტისმეტად ადამისდროინდელი“ (სკეპტიკურად განწყობილი ლოლიტას თქმით) მთები. შავი ლავის სოკვები; აპრილის მთები, რომელთა ქედები, პატარა სპილოების მსგავსად, ლბილი ბალნით იყო შემოსილი; სექტემბრის დარბაისლურად ფეხმორთხმული მთები, ყვითელი ხავერდის ნაოჭებქვეშ რომ მოეკვცათ ტლანქი ეგვიპტური კიდურები; მოთეთრო, გამოხუნებული, მუხების მრგვალი მწვანე ხალებით დაწინწკლული მთები, უკანასკნელი ხასხასა წითური ფერის მთა, რომლის ფერხთით იონჯის ფაფუკი ლურჯი ხალიჩა ეფინა. და კიდევ ბევრი ღირსშესანიშნაობა. ასბერგის მცირე ტბა, სადღაც, კოლორადოში: ასფალტის გასწვრივ მიყრილი ნამქერი და კანფეტებივით მიმოხეული ალპური ყვავილები, და მთის თოვლიანი კალთა, რომელზეც ლომ ჩამოსრიალება სცადა, და აწრიპინდა, და ვიღაც ბიჭებმა გუნდები დააყარეს, და თვითონაც ესროლა ვერცხლისფერი თოვლის იმგვარივე მონეტები. დამწვარი ვერხვების ჩონჩხები, წვეტიანი ლურჯი ყვავილელების ჯგუფები. თვალწარმტაცი გზის სხვადასხვაგვარი ატრაქციონები მთებში – ასობით შშვენური მთიანი გზა, ათასობით „დათვის ყურე“, „მორაკრაკე ნაკადული“, „ფერადოვანი კანიონი“; ტეხასი: გვალვისგან დახრუკული დაბლობი, „ბროლის დარბაზი“ მსოფლიოს ყველაზე გრძელ მღვიმეში, სადაც თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვებს უფასოდ უშვებდნენ (ლოლიტას გამო უკვე ჯიბეზე უნდა გამეკრა ხელი!). სტატუეტების კოლექცია, რომელიც ადგილობრივ მოქანდაკე ქალს ქალაქისთვის გადაეცა: დაკეტილია ორშაბათობით – საშინელი ორშაბათი, მტკერი, ქარი, გვალვა. „უმანკო ჩასახვის“ პარკი მექსიკის საზღვარზე განლაგებულ ქალაქში (საზღვრის გადალახვა ვერ გავბედე); კოლიბრისმაგვარი ციცქნა მებინდია არსებები, რომლებიც ბაღებში პაწაწა ხორთუმებით აწამებდნენ გაურკვეველი ყვავილების გვირგვინებს. მექსიკის – ახალი მექსიკის უკაცრიელი ქალაქი, სადაც სამოცდაათი წლის წინ ჩამოახრჩეს (ყოველგვარი ხატოვანი დეტალებით) ბანდიტი „რუსი ბილი“, მეთევზეობის სადგური. ციცაბო კლდეში გამოკვეთილი ბინები, ფიჭებს რომ ჰგავდნენ; ფლორენციელი ბეატრიჩუკას თანამედროვე ინდიელი გოგონას მუშია; რიგით მეოცე „ჯოჯოხეთური კანიონი“; სამოთხის მორიგი, ორმოცდამეთათე (ჩვენი მეგზურის მიხედვით, რომლის ყდა ამ დროისთვის სადღაც გაქრა) კარიბჭე. სიესტა ნამძვებქვეშ, ტკიპა ჩემს საზარდულზე. ყოველთვის ერთი და იგივე, აჭიმებიან შარვლებში გამოწყობილი,

შლაპიანი სამი ბერიკაცი, რომლებიც ქალაქის შადრევანთან მერხზე ნებივრობდნენ ხოლმე; მთის უღელტეხილზე მოაჯირთან მდგარმა ვიხილე ცისფერი დანისლული უფსკრული. ჩვენკენ ზურგმუქეული ოჯახი ხედით ტკბებოდა (ხოლო ლოლიტა მგზნებარედ, აღფრთოვანებით, უცნაურად, გიჟურად, დამაბულად, სასოებით, უსასოოდ ჩურჩულებდა: „შეხე, ეს მაკ კრისტალია თავისი ოჯახით. თუ შეიძლება, გეხვეწები, დაველაპარაკოთ – დაველაპარაკოთ, მკითხველო! – თუ შეიძლება, ყველაფერს შეგისრულებ, რაც გინდა, ოჰ, თუ შეიძლება“...); ინდიელთა რიტუალური ცეკვები, წმინდა კომერციული ხასიათისა. ART, ინგლისური სიტყვა „ხელოვნება“ არ გეგონოთ, ესაა „ამერიკული რეფორმირატორების ტრანზიტული“ ფირმა, თვალსაჩინო არიზონა, ინდიელთა ახალშენები, ადგილობრივი იეროგლიფები, ოცდაათი მილიონი წლის წინ, ჩემი ბავშვობისას ქვიშიან ხეობაში აღბეჭდილი დინოზავრის ნაკვალევი. ტანხმელი, ახმახი, ფერმკრთალი ჭაბუკი, თვალებით რომ ჭამდა ლოლიტას ნარინჯისფერ-მოყავისფრო მუცელს, რომელიც გოგონას ლიფსა და ტრუსებს შორის მოუჩანდა (და რომელსაც ხუთი წუთის შემდეგ ვაკოცე, ჩემო საბრალო მეგობარო). ზამთარი უდაბნოში, გაზაფხული მთისწინეთში, ნუშის ყვავილობა. რინო – ნევადის ძალზე უღიმღამო ქალაქი „კოსმოპოლიტური და კარგად განვითარებული დამეული ცხოვრებით“ (მეგზური). ღვინის ქარხანა კალიფორნიაში, კასრის ფორმის მქონე ეკლესიით. სიკვდილის ველი. სკოტის ციხე-დარბაზი. ხელოვნების საეჭვო ქმნილებები, რომელთაც ვიღაც როჯერსი მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდა. ლამაზი კინომსახიობი ქალების უგვანი ვილები. ინგლისელი მწერლის რ. ლ. სტივენსონის ტერფის ანაბეჭდი ჩამქრალ ვულკანზე. „დოლორესის მისია“: რომანის სათაურად გამოდგებოდა. ოკეანის მოქცევის მიერ ქვიშაქვაში გამოკვეთილი კუწუბები. „რუსული კლდეკარის“ პარკში საშინელი ეპილეფსიური შეტევის გამო მიწაზე აფართხალებული კაცი. ლურჯი, ლურჯი „კრატერის ტბა“. იდაპოს შტატის მეთევზეობის სადგური და იქაური საკატორლო საპრობილე. პირქუში „იელოსტონის პარკი“ და მისი ფერადოვანი ცხელი წყლები, პაწია ჰეიზერები, მოზუყბუყე ჭრელი ტალახი (ჩემი ვნების სიმბოლოები). ანტილოპების ჯოგი ნაკრძალში. ჩვენი მესამე მღვიმე, სადაც მოზრდილებს თითო დოლარს ახდევინებდნენ, ლოლიტას კი ორმოცდაათი ცენტი გამოართვეს. ფრანგი მარკიზის მიერ დაკოტაში აშენებული ციხე-დარბაზი.

სიმინდის სასახლე სამხრეთ დაკოტაში. მაღლა, გრანიტის მწვერვალში გამოკვეთილი პრეზიდენტების ვეება თავები. გზისპირა პალაკატები საპარსი კრემის სარეკლამო ლექსებით. ინდიანის ზოოლოგიური პარკი, სადაც მაიმუნების მრავალრიცხოვანი კომპანია დასახლებულიყო ქრისტეფორე კოლუმბის საფლავმანო კარაველის ბეტონისგან ჩამოსხმულ კონსტრუქციაზე. ტბის ქვიშიანი, ერთფეროვანი ნაპირის გასწვრივ განლაგებული რესტორნების ფანჯრებზე აკრული მილიარდობით მკვდარი (და თევზის სუნით აშმორებული) ეფემერა. ლოდებზე ჩამომსხდარი მსუქანი თოლიები (ისინი დავინახე ბორნიდან „სიტი ოვ შებოიგან“, რომლის მურა, ბანჯგვლიანი კვამლი რკალად იხრებოდა ტბის ცისფერ ზედაპირზე არეკლილი ამავე კვამლის მწვანე ორეულზე). მერალი მოტელი, რომლის ვენტილატორის საჭირხნი მილი ქალაქის კანალიზაციის ქვეშ გადიოდა. ლინკოლნის ძირითადად ფალსიფიცირებული სახლი, შესაბამისი პერიოდის სამაგიდო წიგნებითა და ავეჯით, რომლებსაც რიგითი დამთვალიერებლები მოწიწებით მიიჩნევდნენ პრეზიდენტის პირად ქონებად.

ხშირად ვკინკლაობდით. ყველაზე გააფთრებით ვიჩხუბეთ ვირგინიის „აჟურულ კოტეჯებში“; ლითლ როკის „საპარკო გამზირზე“, სკოლის მახლობლად; „მილნერის უდელტეხილზე“, 10.759 ფუტის სიმაღლეზე, კოლორადოში; ქალაქ ფენიქსის მეშვიდე ქუჩისა და ცენტრალური გამზირის კუთხეში; ლოს ანჯელოსის მესამე ქუჩაზე (იმის გამო, რომ რომელიღაც კინოგადაღებაზე დასწრება ვერ მოვახერხეთ); იუტას შტატის მოტელში „ალვის ჩრდილი“, სადა ექვსი ნორჩი ალვის ხე ლოლიტაზე მაღალი როდი იყო. აქ მან, à propos de rien[68], მკითხა, როდემდე ვაპირებდი ჩახუთულ ოთახებში სისამაგლეების ჩადენას და რატომ არ მივდევდით ნორმალური ადამიანების ცხოვრების წესებს; ჩრდილოეთის პროსპექტზე ბერქსში (ორეგონის შტატში), „ვამინგტონის დასავლეთი ქუჩის“ კუთხეში, გასტრონომიული მაღაზიის პირდაპირ; „მზიური ველის“ რომელიღაც ქალაქში (იდაჰოს შტატში), სასტუმროს წინ, რომელსაც თეთრ-მოვარდისფრო და წითელი აგურის მონაცვლეობა სასიამოვნო იერს ანიჭებდა და რომლის პირდაპირ ალვის ხის ჩრდილი ირხეოდა ოშში დაღუპულ ადგილობრივ მცხოვრებთა სამახსოვრო დაფაზე; აზინდით დაფარულ უკაცრიელ ადგილზე პაინდელსა და ფარსონს შორის; სადაც ნებრასკაში მთავარ ქუჩაზე (1889 წელს დაარსებული ეროვნული ბანკის მახლობლად), საიდანაც მოჩანდა რკინიგზის გადასასვლელი და სილოსის თეთრი, თითქოს საორდანო მილები; და მაკ ევენის ქუჩაზე, უიტონის გამზირის კუთხეში, მიჩიგანის იმ ქალაქში, რომელსაც მისი, იმ კაცის სახელი ჰქვია. გავეცანით უცნაურ გზისპირა ადამიანებს, „ჰიტჩჰაიკერებს“ (ანუ, მეცნიერულად, „Homo pollex“) და მათ სახეობებსა და სახესხვაობებს: ახალთახალ ტანისამოსში ჩაცმულ მორიდებულ ჯარისკაცს, რომელიც მშვიდად იდგა და დარწმუნებული იყო ხაკისფერი ფორმის საგზაო უპირატესობაში; მოსწავლეს, ორი კვარტლის გავლა რომ სურდა; მკვლელს, რომელიც ორი ათასი მილის გავლას ესწრაფვოდა; იდუმალ, ნერვიულ, ხანდაზმულ ბატონს, რომელსაც ხელში ახალი ჩემოდანი ეჭირა და მოკლედ შეკრეჭილი ულვაში ჰქონდა. ოპტიმისტურად განწყობილ სამ მექსიკელს; სტუდენტს, რომელიც ერთნაირად ამაყობდა არდადეგების განმავლობაში მძიმე შრომის ნაკვალევითა და მაისურზე ამოქარგული სახელგანთქმული უნივერსიტეტის სახელწოდებით; საბოლოოდ გაფუჭებულ მანქანაში მჯდომ სასოწარკვეთილ მანდილოსანს; თაღლით ჭაბუკებს, რომელთაც ფერმკრთალი, დახვეწილი სახეები და ბზინვარე თმა ჰქონდათ. ისინი ჭყეტელა თვალებს აცეცებდნენ და ენერგიულად (თითქმის პრიაპოსის მსგავსად) იშვერდნენ დამაბულ ცერს მარტოხელა ქალის ან უჩვეულო ზნეობრივი სიმახინჯით გაწამებული კომივოიაჟორის საცდუნებლად. „ოჰ, აუცილებლად ჩავისვათ!“, ხშირად მევედრებოდა ლოლიტა. გოგონა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოძრაობით ურთიერთს მიუსვ-მოუსვამდა ხოლმე მუხლებს, როდესაც Homo pollex-ის განსაკუთრებით ამაზრზუნოვანი ეგზემპლარი გვხვდებოდა. ეს იყო ჩემი ასაკის ჩემსავით მხარბეჭიანი მამაკაცი (უმუშევარი მსახიობი face à claques[69]-ით), რომელიც უკან-უკან იწევდა ჩვენი მანქანის წინ. ლოლიტასთან, პატარა, განაბულ ლოლიტასთან ძალზე ფხიზლად ყოფნა მიხდებოდა. ყოველდღიური სასიყვარულო ვარჯიშის შედეგად გოგონა იბნიდებოდა და (ბავშვური

გარეგნობის მიუხედავად) ასხივებდა აუწერელ, ნაზ ნათებას, რომელიც ავხორცული ჟინით ათრთოლებდა გარაჟისტებს, სასტუმროს დამტარებლებს, ტურისტებს, საუცხოო მანქანების თავხედ მფლობელებს და ლურჯად შედებილი წყლით ავსილ აუზებთან მჯდომ ტერაკოტისფერ იდიოტებს. ყოველივე ამით ვტკბებოდი, მაგრამ ვეჭვიანობდი კიდევ. პატარა ლოლიტამ კარგად იცოდა ამ მხურვალე შარავანდედის ძალა. ხშირად შემომჩნევია ის, coulant un regard[70] ამა თუ იმ აშკის ასეთი იყო, მაგალითად, საავტომობილო ზეთის ჩამსხმელი ვაჟი, მოოქროსფრო-ყავისფერ,

იდაყვამდე გაშიშვლებულ ხელზე სამაჯურიანი საათი რომ ეკეთა. ლოლიტას მარტო დატოვებისთანავე (მისთვის საწუწნი კანფეტის ყიდვა განვიზრახე), გოგონა და ლამაზი მექანიკოსი თავდავიწყებით აჭიკჭიკდნენ, თითქოს სასიყვარულო დუეტს მღეროდნენ. ზოგჯერ, დილის განსაკუთრებით მგზნებარე მოღვაწეობის შემდეგ, საწოლში სულს ვითქვამდი და ლმობიერად (გულამსუყებულ, შემწყნარებელი ჰუმორი!) ნებას ვრთავდი, ბაღში გასულიყო და ვარდების მზერით დამტკბარიყო ან მოტელში ჩვენს მეზობლად მცხოვრები, შეუხედავი პატარა მერისა და მისი რვა წლის ძამიკოს თანხლებით, საბავშვო ბიბლიოთეკაში წასულიყო. ლოლიტა დათქმულ დროზე ერთი საათით გვიან ბრუნდებოდა: ფეხშიშველი მერი სადღაც უკან მოლასლასებდა, ხოლო ძამიკოს ენაცვლებოდა ორი აწოწილი, ოქროსფერთმიანი გაიძვერა, რომლებიც კუნთებისა და ჰონორისგან შედგებოდნენ. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რას ვპასუხობდი ნებიერ გოგონას, როდესაც ის – ვაღიარებ, საკმაოდ გაუბედავად – მეკითხებოდა, კარლთან და ფრედთან ერთად გორგოლაჭებიანი ციგურებით სრიალის ნებას თუ დამრთავო. მახსოვს, ერთ მტვრიან, ქარიან დღეს პირველად მივეცი ამის უფლება. მან ულომობლად მომიგო, რომ ვერაფერ სიამოვნებას ნახავდა, თუკი წავეყვებოდი – მის მიერ შერჩეულ დროს რინგი საგანგებოდ ეთმობოდა ახალგაზრდებს. ხანგრძლივი პაექრობის შემდეგ კომპრომისი შევიმუშავეთ: მე მანქანაში დავრჩი, სხვა (ცარიელ) მანქანებს შორის, რომლებიც სასრიალო მოედნის გარშემო დაეყენებინათ; ვხედავდი, როგორ დაუსრულებლად სრიალებდა ორმოცდაათამდე მოზარდი (ბევრი მათგანი – წყვილ-წყვილად) ავტომატური მუსიკის თანხლებით. ხის ფოთლები ქარში ვერცხლისფრად ელვარებდა. ჩემს დოლის (ისევე, როგორც სხვა გოგონებს) კოვბოური ლურჯი შარვალი და თეთრი ჩექმები ეცვა. ვუსმენდი მოსრიალეთა თანაბარ ჟრიამულს და თვალყურს ვადევნებდი მათ ტრიალს – და უეცრად ის ვეღარ დავინახე. როდესაც გოგონას კვლავ მოვკარი თვალი, მას ახლდა სამი კონტაპრუწა ვაჟი, რომელთა მასლაათს რამდენიმე წუთის წინ მალულად მივაყურადე: ისინი რინგის მახლობლად იდგნენ და ქირდავდნენ გრძელკანჭიან ლამაზ პაწია გოგონას, რომელსაც შარვლის ნაცვლად წითელი ტრუსები ჩაეცვა. არიზონიდან კალიფორნიაში მიმავალ ავტომობილისტს ეკითხებიან, ხომ არ შეაქვს ხილი ან მცენარეული პროდუქტები. მახსოვს, ინსპექტორი ისე დაჟინებით ჩაგვაშტერდა, რომ მტკივანი გული შემეკუმშა. თაფლი ხომ არ მიგაქვთო, გვკითხა მან და თაფლივით დამატკობელ, ჩერჩეტ ლოლიტას სიცილი წასკდა.

ჩემი ოპტიკური ნერვის გასწვრივ აქამდე ლიცლიცებს ცხენზე ამხედრებული ლოლიტას ხატება – ის იყო იმ ადამიანთა ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი, რომლებიც, გარკვეული საზღაურის გადახდის შემდეგ, სასაპალნე ბილიკებზე მოგზაურობდნენ: ლოლიტა მიჩაქჩაქებდა ხნიერ მხედარ ქალსა და რანჩოს წითელკისერა მეპატრონეს შორის. მე კი ამ უკანასკნელს მივდევი და მის ჭყეტელა პერანგით შემოსილ, ქონმოკიდებულ ტორსს ზიზლით ვუთვალთვალე; ასე უთვალთვალეს ხოლმე ავტომობილისტი სატვირთო მანქანას, რომელიც მის წინ ტაატით მიჰყვება აღმართს. სხვა დროს კი, სათხილამურო კურორტზე, ვუჭვრეტდი ამწევ სკამზე მჯდომ ღვთაებრივ, ლალ გოგონას, რომელიც სულ უფრო მალდა, მოკაშკაშე მწვერვალებისკენ მიფრინავდა – იქ მას ელოდებოდნენ მოცინარი, წელამდე შიშველ, ათლეტები. ყოველ ქალაქში ევროპული თავაზიანობით ვაგროვებდი ცნობებს ცურვისთვის განკუთვნილი საჯარო აუზების, მუზეუმების, ადგილობრივი სკოლებისა და უახლოეს სკოლაში ბავშვების რაოდენობის შესახებ; სასკოლო ავტობუსის გამგზავრებისას ღიმილითა და სახის ოდნავი ტოკვით (ეს ჩემი ნერვული ტიკი მაშინ აღმოვაჩინე, როდესაც უსულგულო ლოლიტამ მომბაძა მანჭვით) ვაჩერებდი მანქანას სტრატეგიულ პუნქტთან. ლტოლვილი გიმნაზისტი გოგონა გვერდით მეჯდა. ვაკვირდებოდი მარად მიმზიდველ სურათს – სკოლიდან გოგონების გამოსვლას. დაუდგრომელ ლოლიტას მალე მობეზრდა ეს შეჩერებები. როგორც ბავშვებს სჩვევიათ, ის არ განიცდიდა არავითარ თანაგრძნობას სხვისი სურვილების მიმართ. ერთხელ, როდესაც ჩემს მახლობლად მზით გასხივოსნებული ლურჯთვალა შავტუხა (ლურჯტრუსებიანი) გოგონები, უსახელო მწვანე ქურთუკებში ჩაცმული წითური პატარა ლამაზმანები და ბამბის ქსოვილის გამოხუნებულ შარვლებში გამოკვართული ქერათმიანი მზეთუნახავები მიდი- მოდიოდნენ, ლოლიტას ვთხოვე, მომფერებოდა, მან კი უშვერად გამომლანძღა. ლოლიტას კაპრიზებსაც ვასრულებდი და ყოველთვის, ყველგან ვთანხმდებოდი, რომ მას სხვა გოგონებთან ერთად ებანავა. მოლაპლაპე აუზები მალზე უყვარდა და მარჯვედ ყვინთავდა. მე კი მოკრძალებული ბანაობის შემდეგ კომფორტულ ხალათს ვიცვამდი და ნაშუადღევს ოთხ საათზე ჭრელ ჩრდილს ვაფარებდი თავს. იქვე ფიქტიური წიგნი ან კანფეტები მედო და ვნეტარებდი. ჯირკვლებს იდუმალი ცეცხლი მიდაგავდა, როდესაც ვხედავდი ატლასის ვიწრო ტრუსებსა და ნაოქასხმულ ლიფში გამოწყობილ ლოლიტას. გიჟმაჟ გოგონას გარუჯულ სხეულზე წყლის წვეთები ასხდა. არდადეგების რეკლამასავით მხიარული იყო. თორმეტი წლის სატრფო!

მიკვირდა და თავს ვიწონებდი იმით, რომ ის ჩემი იყო, ჩემი, ჩემი და სინაზით ვიხსენებდი გარეული მტრედების ღულუნის თანხლებით ახლახან ჩატარებულ შუადღის სენასს, და სადამოს მის განმეორებაზე ვოცნებობდი, და მზის ბასრ სხივებში თვალებს ვჭუტავდი, და ჩემს ლოლიტას ვადარებდი სხვა ნიმფეტებს, რომლებიც მქისე შემთხვევას მის გარშემო შეეგროვებინა ჩემი ანთოლოგიური ტკბობისა და შეფასებისთვის; ამჟამად, ავადმყოფ გულზე ხელის დადებით, უნდა ვაღიარო, რომ არც ერთმა მათგანმა არ აღმიძრა უფრო მძაფრი გულისთქმა, ვიდრე ლოლიტამ, თუ არ ჩავთვლით ორ-სამ შემთხვევას (რომელსაც ხელი შეუწყო განსაკუთრებულმა განათებამ და ჰაერში გაბნეული სურნელის საგანგებო შეზავებამ). ერთხელ ეს იყო (უიმედო შემთხვევა) სქელეზიანი ესპანელი არისტოკრატის ფერმკრთალი ქალიშვილი, მეორედ კი – *mais je divague*[71].

რა თქმა უნდა, გამუდმებით ვფრთხილობდი; გამჭირახი, უნდობელი გონება მქონდა და კარგად მესმოდა ამ თვალისმომჭრელი თამაშების საშიშროება. საკმარისი იყო, ზურგი შემექცია (მაგალითად, რამდენიმე ნაბიჯი გამევილო, რათა მენახა, მიაღაგეს თუ არა ჩვენი ქოხი) – დაბრუნებისას უეცარ ცვლილებას ვაწყებოდი: აუზის ქვიან კიდეზე გაშხლართული ლოლიტა, *les yeux perdus*[72], გრძელთითა ფეხებს წყალში ჰყოფდა და აჭყუმპალავებდა. აქეთ-იქით კი წამოწოლილიყო თითო-თითო *un brun adolescent*[73], რომელთაც მისი ქერა მშვენება და მუცლის ბალღურ ნაკეცებში მოკვირვებულ ვერცხლისწყალი უეჭველად აიძულებდა *se tordre*[74] – ო, ბოდლო! – მრავალი დამის განმავლობაში განმეორებული ზმანებების ზეგავლენით... ვცადე, ჩოგბურთში გამეწვრთნა ლოლიტა, რათა მეტი საერთო გასართობი გვექონოდა; ამასთან, თუმცა თავის დროზე მშვენივრად ვთამაშობდი, სამაგელი მასწავლებელი აღმოვჩნდი; ამიტომ კალიფორნიაში ვითხოვე, რომ მისთვის რამდენიმე ძვირად ღირებული გაკვეთილი ჩაეტარებინა სახელგანთქმულ ყოფილ ჩემპიონს, აყლაყუდა, სახედანაოჭებულ მოხუცს, რომელსაც ბურთის მღვენელი ბიჭუნების მთელი ჰარამხანა ჰყავდა. ეს ბებრეკი ბერიკაცი თამაშის გასაგრძელებლად ზოგჯერ კაქტუსის ყვავილივით წმინდა დარტყმით პასუხობდა მოწაფეს. ბურთი მიჰქროდა და სიმივით წკრიალებდა. სათუთი სიზუსტისა და უდრეკი ძლევამოსილების ეს ნაერთი მაგონებდა, რომ კანში, ოცდაათი წლის წინ, მან ჩემ თვალწინ გააცამტვერა დიდი გოგერი... მასთან სწავლის დაწყებამდე ვფიქრობდი, რომ ლოლიტა ვერასოდეს დაეუფლებოდა ამ თამაშს. ამა თუ იმ სასტუმროს მოედანზე ვავარჯიშებდი ჩემს უნიჭო გოგონას – და შორეული დღეები წარმომიდგებოდა: ძალუმი ხორშაკით, მტვრის კორიანტელით, უჩვეულო დაღლილობის ნისლით გაბრუებული, ზედიზედ ვტყორცნიდი ბურთს მხიარულ, უმანკო, კოხტა ანაბელას (მოციმციმე სამაჯური, დაპლისული ქვედატანი, შუბლზე შემოკრული შავი ხავერდის ლენტი). ჩემი თითოეული სიტყვა, ყოველი დაქინებული რჩევა კიდეც უფრო ამწვავებდა ლოლიტას პირქუშ ღვარძლს. უცნაურია, მაგრამ ჩვენს ვარჯიშებს ის ამჯობინებდა (ყოველ შემთხვევაში, კალიფორნიაში ჩამოსვლამდე) უმიზნო ტყაპატყუპს (და ბურთების უსასრულო მეზნას) დალეულ, სუსტ, მაგრამ საოცრად სანდომიან – *ange gauche*[75]- ის სტილის – თანატოლ გოგონასთან, თვალყურს ვადევნებდი მათ. ზოგჯერ უცხო გოგონასთან დასახმარებლად მივდიოდი, მუშკის ოდნავ საგრძნობ სურნელს ვისუნთქავდი, მის შიშველ მკლავს ან მაჯის გამოწვეულ ძვალს ვეხებოდი და ხელისგულით აქეთ-იქით ვწევდი გოგონას გრილ ფეხს, რათა მარცხნიდან უფრო მარჯვედ დაერთყა ბურთი. ამ დროს ლო წინ იხრებოდა (მზისფერი თმა სახეზე სცემდა) და ჩოგანს ხეიბრის ხელჯობივით არჭობდა მიწაში, თან ზიზღის გამოსახატავად საშინლად ყვიროდა, რაც ჩემი ჩარევით იყო გამოწვეული. თავს ვანებებდი მათ და მოშორებით ვჯდებოდი, ყელზე აბრეშუმის შარფს ვიხვევდი, გოგონებს ვაკვირდებოდი და მათ მიხვრა-მოხვრას ვადარებდი. ეს, მგონი, სამხრეთ არიზონაში იყო, ზანტი ზამთრის თბილ დღეებში. ტლანქი პატარა ლოლიტა ჩოგანს ბურთს აცდენდა, ჩხუბობდა, ზოგჯერ პრიმიტიული დარტყმით ბურთს ბადეში ახვედრებდა და უიმედოდ მაღლა აღმართავდა ხოლმე ჩოგანს (ამ დროს სველი, ნორჩი ღინღლით დაფარულ ილიას აჩენდა). მისი კიდეც უფრო მოუხეშავი და არანაკლებ მშვენიერი პარტნიორი კი გულმოდგინედ დარბოდა და ყოველთვის აცდენდა

ბურთს ჩოგანს; მაგრამ ორივენი შესანიშნავად ერთობოდნენ და მკაფიო, წკრიალა ხმებით განუწყვეტლივ ითვლიდნენ ამ უაზრო თამაშის ანგარიშს. მახსოვს, ერთხელ შევთავაზე, ცივ სასმელს მოგიტანთ-მეთქი. ხრემოყრილ ბილიკზე ავედი და ორი მაღალი ჭიქით ჩამოვიტანე ანანასის წვენი გაზიანი წყლითა და ქარვისფერი ყინულით. უეცრად გული კინადამ შემიღონდა და ადგილზე გავეშმდი: მოედანზე გოგონები აღარ ჩანდნენ. დავიხარე, რათა ჭიქები მერხზე დამედგა – და რატომღაც სუსხიანი სიცხადით წარმომიდგა მოკლული შარლოტას სახე. მივიხედ-მოვიხედე

და მომეჩვენა, რომ შუქ-ჩრდილით დაწინწკლული ბაღის ბილიკზე დავლანდე თეთრტრუსებიანი ლოლიტა, რომელსაც მაღალი კაცი მიჰყვებოდა და ორი ჩოგანი ეჭირა. მათკენ გავექანე, მაგრამ როდესაც ბუჩქნარში ლაწალუწი ავტეხე, თვალთახედვის ვარიანტულ არეში (ისე, თითქოს სიცოცხლის ხაზი დროდადრო ორმაგდებოდა) დავინახე გრძელტოტებიანი შარვალში ჩაცმული ლოლიტა და მისი ტრუსებიანი მეგობარი. გოგონები ღვარძლით დაფარულ ველოზე დადიოდნენ, ჩოგნებს ბუჩქებს ურტყამდნენ და უთავბოლოდ ეძებდნენ უკანასკნელ დაკარგულ ბურთს. ამ ნათელი წვრილმანების გახსენების მეშვეობით მწადია დავუმტკიცო მოსამართლეებს, რომ ყოველ ღონეს ვხმარობდი, რათა ლოლიტასთვის არანაირი სიამოვნება არ მომეკლო. რარიგ ვტკბებოდი, როდესაც ეს ბალდი მეორე ბალდს თავის ერთ-ერთ მიღწევას (მაგალითად, სახტუნელას ხმარების განსაკუთრებულ ხერხს) აჩვენებდა. უმცროს ნიმფეტს – ფერმკრთალ, თითქმის გამჭვირვალე, თეთრბეჭებიანი მოხდენილ გოგონას ზურგს უკან მარჯვენა ხელით მარცხენა ხელის მტევანი ეჭირა. ის განცვიფრებით უმხერდა – და ამ სამოთხეში, აყვავებულ ხეებქვეშ ხრეშზე დაფენილი ფარშავანგისებრი ათინათებიც ასევე უჭკრეტდნენ – როგორ ხტუნავდა ჩემი დაჭორფლილი, ვულგარული ჭინკა. ასევე ხტუნავდა უამრავი სხვა, მომხიბვლელი გოგონა ძველი ევროპის მზით აჭრელებულ, კარგად მორწყულ ტროტუარებსა და პარაპეტებზე, რომელთაც სიგრილის სურნელი ასდიოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ლოლიტა უბრუნებდა სახტუნელას თავის ესპანელ მეგობარს, და ახლა თვითონ უცქერდა და აკვირდებოდა, თუ როგორ შეითვისა ამ უკანასკნელმა ნაჩვენები გაკვეთილი. ამ დროს ის შუბლზე ჩამოცვენილ თმას ისწორებდა, ხელებს გულზე იკრეფდა და ერთი ფეხის თითებს მეორის ზურგს აბჯენდა, ან კიდევ მსუბუქად იყრინდა დონჯს თავის ჯერ კიდევ ბიჭურ თემოებზე. მოტელში ვბრუნდებოდი და ვამოწმებდი, დაალაგეს თუ არა წყეულმა მოახლებებმა ჩვენი კოტეჯი; როდესაც ამაში ვრწმუნდებოდი, დამშვიდობების ნიშნად, თავს თავაზიანად ვუკრავდი მოკრძალებულ შავთმიან გოგონას – ჩემი პრინცესას სეფექალს – და მამობრივი ჟესტიით თითებს ღრმად ვაცურებდი ლოლიტას კულულებში, შემდეგ ნაზად, მაგრამ მტკიცედ ვავლებდი ხელს კისერზე და გაკერპებული ბავშვი ჩვენს მყუდრო სახლში მიმყავდა, რათა სადილის წინ სწრაფად მივცემოდით სიყვარულს. „ვისმა კატამ დაგაკწრათ ასე, საწყალო?“ – წამოიძახა მწიფე, ჩათქვირულმა, ლამაზმა ქალმა (იმ ტიპს განეკუთვნებოდა, ყოველთვის რომ მძაგდა, მაგრამ სწორედ ასეთებს განსაკუთრებით მოვწონდი) „დიდი სახლის“ ტაბლდოტთან სადილობისას (რის შემდეგაც ლოლიტას საყვარელი ცეკვები უნდა დაწყებულიყო). აი, რატომ ვერიდებოდი ადამიანებს, მაშინ, როდესაც

ლოლიტა ყოველნაირად ცდილობდა, თავის ორბიტაზე მიეზიდა პოტენციური მოწმეების მაქსიმალური რაოდენობა. ის, ხატოვნად რომ ვთქვათ, კუდს აქიცინებდა – და არა მარტო კუდს, არამედ მთელ თავის პატარა გავასაც (ძუკნების მსგავსად) – როდესაც ესა თუ ის გაღრეჭილი უცნობი თამამ საუბარს გვიწყებდა (ჩვენი მანქანების სანომრე ნიშნების შედარების საფუძველზე): „შორს გაგიწევიათ!“ ზოგჯერ ცნობისმოყვარე მშობლებს სურდათ, რაიმეში გამოეტეხათ გოგონა და, თავიანთ შვილებთან ერთად, კინოში წასვლას სთავაზობდნენ, მაგრამ ლოლიტას ნაცვლად მათ ყოველთვის უარით ვისტუმრებდი. რამდენჯერმე კინაღამ მახეში გავებით. ჩვენს ქარვასლებში, რა თქმა უნდა, მოსვენებას არ მამლევდა კლოზეტების ჩქრიალი; მიუხედავად ამისა, ვერ წარმომედგინა, როდენ სიფრიფანა იყო ეს ვაფლისებრი ტიხრები „შეერთებული“ ტიპის მოტელებში: ერთ სადამოს ნეტარებით აღსავსე ჩემი ოხვრის მომდევნო პაუზა ისე გარკვევით შეავსო მამაკაცის ხველებამ, თითქოს მე ჩამეწმინდოს ყელი; მეორე დილას, როდესაც რძის ბარში ყავას ვსვამდი (ლოლიტას გვიანობამდე ეძინა ხოლმე და უხაროდა, როდესაც ცხელი ყავით სავსე სურას საწოლში მივართმევდი), ჩემმა წელანდელმა მეზობელმა (ბებერმა ტუტუცმა, რომელსაც გრძელ ზნეობრივ ცხვირზე პენსზე ეკეთა, სადილეში კი პროფესიულსაკავშირო ნიშანი ჰქონდა მიზნეული) არხეინად ჩამითრია საუბარში; დაინტერესდა, ჩემს „ოჯახობასაც“ ისევე ხომ არ ეხარებოდა ადრე ადგომა, როგორც მისას (როდესაც შინ, ფერმაში არ იმყოფებოდა). და რომ არა საშინელი ხიფათის წინათგრძობა, უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებდა მისი თხელტუჩა, აქერცლილი სახის უცნაური, განცვიფრების გამომხატველი გამომეტყველება, როდესაც მაღალი ტაბურეტიდან ჩამოვძვერი და ლაკონურად მივუგე, მაღლობა ღმერთს, ქვრივი ვარ-მეთქი. რარიგ მსიამოვნებდა ლოლიტასათვის ყავის მიტანა. მის დაღვევას ხომ აუცილებლად წინ უძღოდა გოგონას მიერ დილის მოვალეობის შესრულება! როგორი გულისხმიერი მეგობარი, როგორი მოსიყვარულე მამა, როგორი დაკვირვებული პედიატრი ვიყავი, როდესაც ჩემი ნახევრად შავგვრემანი ბავშვის ფიზიკურ მოთხოვნილებებს ვემსახურებოდი! ბუნებას მხოლოდ ერთს რასმე ვსაყვედურობდი – იმას, რომ არ ძალმიძდა, სურვილისამებრ, უკუღმა ამომეტრიალებინა ლოლიტა და ხარბი ბაგეებით დავცხრომოდი მის ნორჩ პაწაწინა საშვილეს, უცნობ გულს, სადაფისფერ ღვიძლს, ზღვის

ყურმისმაგვარ ფილტვებსა და ორ მოხდენილ თირკმელს! ზოგჯერ, როდესაც ძალზე ცხელოდა, კოტეჯის მწებვარე, დახუთულ ჰაერში ჩემს მასიურ სიშიშვლეს ტყავის სავარძელი აგრილებდა. ლოლიტას მუხლებზე ვისვამდი. ის ჩვეულებრივი ბავშვივით იქექებოდა ცხვირში და გაზეთის თავშესაქცევი დამატებით ერთობოდა. ჩემი ნეტარების გამოვლინებების მიმართ გოგონა ისევე უგრძობელი იყო, თითქოს შემთხვევით საგანზე დამჯდარიყოს – მაგალითად, ფეხსაცმელზე, თოჯინას ან ჩოგნის სახელურზე – და მას მხოლოდ სიზარმაცის გამო არ იცილებდა. იუმორისათვის განკუთვნილ ფურცელზე ის თვალს ადევნებდა საყვარელი პერსონაჟების თავგადასავალს (მათ შორის იყო მოხდენილად დახატული თეთრწინდებიანი, ლაწვმაღალი და მოუქნელი ფეთხუმი გოგონა, რომელთანაც

სიამოვნებით მივეცემოდი განცხრომას). უყვარდა ფატალურ საავტომობილო ავარიათა ფოტოსურათებზე დაკვირვება; არასოდეს ეპარებოდა ეჭვი შიშველი ლამაზმანების სარეკლამო სურათების ადგილში, დროსა და გარემოებებში; გასაოცრად იტაცებდა პროვინციელი პატარძლების ფოტოები – (ზოგიერთი მათგანი მთლიანად საქორწინო სამოსელში იყო გამოწყობილი, ხელში თაიგული ეჭირა და ცხვირზე სათვალე ეკეთა). ბუზი აჯდებოდა და ჭიპის მიდამოებში დასეირნობდა ან სათუთ, მკრთალ კერტებს იკვლევდა. ლოლიტა ცდილობდა, პეშვით დაეჭირა ის (შარლოტასეული ხერხი), შემდეგ კი კითხულობდა განყოფილებას „ვნახოთ, რამდენად საზრიანი ხართ“. „ვნახოთ, რამდენად საზრიანი ხართ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ზნეობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებათა რაოდენობა მოიკლებს, თუ გოგონები დაიცავენ ქცევის ზოგიერთ წესს: არ ითამაშებენ საზოგადოებრივი საპირფარეშოების მახლობლად; არ გამოართმევენ ტკბილეულს უცხო პირებს და არ დათანხმდებიან მანქანით გასეირნებაზე, ჩაიწერენ იმ მანქანის ნომერს, რომელშიც ჩასხდებიან“. „... და ტკბილეულის საქარხნო მარკას“, – ვუკარნახე მე. მან ლოყა მოაცილა ჩემს მიახლოებულ ლოყას და განაგრძო (ეს, ჩემო მკითხველო, შედარებით მშვიდობიანი დღე იყო!) – „თუ ფანქარი არა გაქვს, მაგრამ უკვე იცი კითხვა“, – „ჩვენ“, ჩავურთე ხუმრობით, „შუა საუკუნეების ზღვაოსნებმა, ამ ბოთლში ჩავდეთ...“ „თუ“, გაიმეორა მან, „ფანქარი არა გაქვს, მაგრამ უკვე იცი წერა-კითხვა, – „აი, რისი თქმა სურს მას, ახლა ხომ გესმის, ყეყეო, – მაშინ გზისპირა მიწაზე ნომრის დაჩხაპნა სცადე...“ „...შენი პაწია ჭანგებით, ლოლიტა“.

3.

ის წინდაუხედავი ცნობისმოყვარეობით შემოიჭრა ჩემს ქვეყანაში, სოსანისფერ-მოშავო ჰუმბრიაში; მიათვალეირ-მოათვალეირა, ბოროტად ჩაივინა და ახლა მზად იყო, ჩვეულებრივი ზიზღით გაეკილა. ჩემს ალერსს არასოდეს აუთრთოლებია და მხოლოდ მკივანა წამომახილით („ეს რას სჩადიხარ?“) მაჯილდოვებდა, როდესაც ყოველნაირად ვცდილობდი მის აგზნებას. ჩემ მიერ შეთავაზებულ საკვირველ სამყაროს ეს ბრიყვი ბავშვი ამჯობინებდა ყველაზე სულელურ, ყველაზე მსუყე სიროფს. როდესაც სოსისსა და ჰუმბერტს შორის არჩევანი უნდა გაეკეთებინა, გამუდმებით და უმოწყალოდ პირველ მათგანს სტაცებდა ხოლმე პირს. არ მახსოვს, ვახსენე თუ არა წინა თავში იმ ბარის სახელწოდება, სადაც ვსაუზმობდი. მას „ყინულოვანი დედოფალი“ ერქვა. შეურვებულმა, ლოლიტას ვუსაყვედურე, შენ ჩემი ყინულოვანი პრინცესა ხარ-მეთქი, მაგრამ გოგონა ვერ მიმიხვდა ამ უზადრუკ ხუმრობას. ო, ნუ იღუშები, მკითხველო! უბედური სულაც არ ვიყავი. ნიმფეტის მფლობელი, მის მიერ მოჯადოებული და დამონებული მწირი ერთგვარად ბედნიერების საზღვარს მიღმა იმყოფება! რადგან ამქვეყნად ვერაფერი შეედრება ნიმფეტთან ნებივრობას. ეს ნეტარება კონკურსგარეშეა, ის სხვა კლასს, გრძნობათა სხვა რიგს განეკუთვნება. დიახ, ვკინკლაობდით, დიახ, ლოლიტა ზოგჯერ აუტანელი იყო, დიახ, ის ყოველგვარ დაბრკოლებას მიქმნიდა, მაგრამ მისი გრიმასების, ცხოვრების სიტლანქის, აგრეთვე – ხიფათისა და უკიდურესი უიმედობის მიუხედავად, მაინც ჩემ მიერ არჩეული სამოთხის გულისგულში ვიმყოფებოდი. სამოთხის კიდევები ჯოჯოხეთური ალივით გიზგიზებდა, მაგრამ ეს მაინც სამოთხე იყო. სავარაუდოა, რომ მავანი გამოცდილი (ალბათ, ჩემ მიერ ბოცვერით მონუსხული) ფსიქიატრი, რომელიც ახლა ჩემს თხზულებას იკვლევს, მოისურვებდა, მთხრობელს ლოლიტა ზღვაზე წაეყვანა. იქ იგი დიდი ხნის ნატვრას აისრულებდა – თავს დააღწევდა პატარა მისს ლისთან განუხორციელებელი რომანის „ქვეცნობიერ“ საცთურს. რა გაეწყობა, ამხანაგო ექიმო! ნება მიბოძეთ, გაუწყოთ, რომ მართლაც ვეძებდი პლაჟს. ამასთან, როდესაც რუხი წყლის ამ მირაჟს მივადექით, ჩემს თანამგზავრთან ერთად უკვე ბევრჯერ ვეწიე სიტკბოებას; ამიტომ ოცნება „ზღვისპირა სამეფოს“, „სუბლიმირებული რივიერის“ ან მსგავსი რამეების შესახებ უკვე აღარ წარმოადგენდა მთხრობელის სიღრმისეულ სწრაფვას და დაიყვანებოდა წმინდა თეორიული განცდისადმი ლტოლვამდე. ედგარის ანგელოსებმა

ეს უწყოდნენ – და შესაბამისად მოაგვარეს საქმე. ატლანტიკის სანაპიროზე მოვნახე სავსებით დამაჯერებელი ყურე, მაგრამ საქმე ავდარმა გააცუდა: მძიმედ ჩამოწოლილი, ღრუბლიანი ცა, მღვრიე ტალღები, უკიდევანო, თუმცა კი სავსებით ჩვეულებრივი ბურუსი – რა უნდა ყოფილიყო უფრო განსხვავებული ხმელთაშუა ზღვის პირას განცდილი თავგადასავლის საჩინარი გრძნებისა და ლაჟვარდისფერ-მოწითალო გარემოცვისგან? მექსიკის ყურის ორი-სამი ნახევრად ტროპიკული, საკმარისად მზიანი პლაჟი მოფენილი იყო შხამიანი, ვარსკვლავისებრი ან ლორწოვანი არსებებით, თანაც აქ გრიგალი მძვინვარებდა. ბოლოს კალიფორნიის სანაპიროზე, წყნარი ოკეანის აჩრდილის პირდაპირ ვცადე, განვმარტოებულყავით მღვიმეში, სადაც დამპალი ხეების მიღმა გაშლილი პლაჟიდან რამდენიმე სკაუტი გოგონას ყიჟინა მოისმოდა. ისინი პირველად ბანაობდნენ ძლიერი

მოქცევისას; მაგრამ ბურუსი სველი საბანივით ეკიდა, ქვიშა უსიამოდ მარცვლოვანი და მწებვარე იყო, ლოლიტას ხორკლიან სხეულზე ქვიშის მარცვლები მიეკრო და (ჩემს სიცოცხლეში პირველად!) ლამანტინზე მეტად როდი მალელებდა. ამასთან, ჩემი განსწავლული მკითხველების გასამხნეველად უნდა დავძინო: კიდევ რომ მოგვეძებნა ზღვის რომელიმე გულისხმიერი ნაპირი, უკვე გვიან იყო – ჩემი „გათავისუფლება“ გაცილებით ადრე განხორციელდა, სახელდობრ, იმ წამს, როდესაც ანაბელა ჰეიზი, ანუ დოლორეს ლი, ან ლოლიტა გამომეცხადა – ოქროსფერი, მზემოკიდებული, მუხლებზე დაჩოქილი გოგონა, რომელმაც ქვემოდან ამომხედა იმ უბადრუკ ვერანდაზე, ფიქტიურ, უპატიოსნო, მაგრამ ძალზე მარჯვე ზღვისპირა კომბინაციაში (თუმცა შორიახლოს არაფერი იყო, მეორეხარისხოვანი ტბის გარდა). ამით დავასრულებ ნუსხას განსაკუთრებული შეგრძნებებისა, რომლებიც თანამედროვე ფსიქიატრიის პოსტულატებზეა დამყარებული ან მათგან მომდინარეობს. ამიტომ მე და ლოლიტა პლაჟებზე არ დავდიოდით არც ავდარში (როდესაც ცარიელი სანაპირო მხოლოდ სევდას გვგვრიდა), არც – მაშინ, როდესაც მზე კაშკაშებდა და იქ ტევა აღარ იყო. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ მტანჯავდა მოგონებები ევროპის ქალაქთა პარკებში ჩემი უსასოო ხეტიალის შესახებ, ამიტომ ყოველთვის მაინტერესებდა ცის ქვეშ სასიყვარულო თამაშის შესაძლებლობა და ვეძებდი ხელსაყრელ ადგილებს იმ ბუნების წიაღში, სადაც ოდესღაც ამდენი სამარცხვინო ვნება განვიცადე. ბედი აქცე მეურჩებოდა. იმედის უამრავმა გაცრუებამ, რომელთა რეგისტრირებასაც ახლა ვცდილობ (და უშფოთველად აღვწერ განუწყვეტელ რისკსა და შიშს, თან რომ სდევდა ჩემს ბედნიერებას), – ჩრდილი არ უნდა მიაყენოს ამერიკის მიყრუებულ, ლირიკულ, ეპიკურ, ტრაგიკულ სანახებს (რომლებიც, ამასთან, არასოდეს ჰგავდნენ არკადიას). ეს სანახები მშვენიერია, გულგამგმირავად მშვენიერი. მათ ახასიათებს დიდთვალა, აქამდე შეუმჩნეველი, უმანკო უდრტვინველობა, რასაც ვერ იპოვით შვეიცარიის გალაქულ, შედეხილ, სათამაშოსმაგვარ სოფლებში და ეგზომ ნაქებ ალპებში. უამრავი მიჯნური წოლილა ევროპის მთების სწორ გაზონებზე, ძვირფასი ლეიბივით დრეკად ხავსზე, სარგებლობისთვის ძალზე მოსახერხებელი, ჰიგიენური ნაკადულის მახლობლად, ვენზელებით მორთულ, მუხებქვეშ დადგმულ, ტლანქად გამოჩორკნილ მერხებსა და ესოდენ ურიცხვ ქოხმახებში, წიფლის ტყეების საფარქვეშ. ამასთან, ლაღი ნავარდის მოყვარული ადამიანი ამერიკის მიყრუებულ სანახებში ვერ ჰპოვებს ეგზომ მარჯვე შესაძლებლობებს უძველესი დანაშაულებრივი და თავშესაქცევი ქმედებისთვის. ქალ-ვაჟს შხამიანი მცენარეები დაუსუსხავენ გავას, სხეულს უსახელო მწერები დაუკბენენ, მუხლებს ტყის ჩხვლეტა ხალიჩა ატკენს, ხოლო პოტენციური გველების – გველების კი არა, სანახევროდ გადაშენებული დრაკონების – განუწყვეტელ ფაჩუნში მტაცებელი ყვავილების პაწაწინა, გაბარჯდული თესლები ამაზრზენი ზურმუხტისფერი ქერქივით მიეწებება როგორც წვივსაკრავიან შავ წინდას, ასევე მოკლე, თეთრ, ჩაჩაჩულ წინდასაც. ცოტათი ვაზვიადებ. ზაფხულის ერთ შუადღეს, ტყის პირას, იქ, სადაც ცისფერი ყვავილედეები მთის მორაკრაკე ნაკადულთან შეგროვილიყო, ბოლოს და ბოლოს ვიპოვეთ განმარტოებული რომანტიკული ადგილი დაახლოებით ასი ფუტის დაცილებით უღელტეხილიდან, სადაც

ავტომობილი დავტოვეთ. ერთი შეხედვით, მთის კალთა უვალი იყო. უკანასკნელ ფიჭვს კლდეზე აბობლებს მოხერხებინა და იქ ქოშინით შეჩერებულიყო დამსახურებული დასვენებისათვის. ვირზაზუნამ დაგვინახა, დაუსტვინა და სადღაც გაქრა. ლოლიტას პლედი გავუშალე. მის ქვეშ ოდნავ გასაგონად ატკაცუნდა მშრალი ბალახი. კიპრიდა მოვიდა და წავიდა; ზედა ფერდობის თავზე აღმართულ დაკბილულ კლდესა და ჩვენი სარეცლის ქვემოთ მოდებულ ბუჩქნარს თითქოს უნდა დავეცავით მზისა და ადამიანისგან. სამწუხაროდ, ვერ გავითვალისწინე ოდნავ მონიშნული გვერდითი ბილიკი, ფლიდურად რომ მიიკლაკნებოდა ბუჩქებსა და ქვებს შორის. ძლივს გადავრჩით; ბუნებრივია, ამ შემთხვევამ სამუდამოდ განმკურნა ბუკოლიკისადმი სიყვარულისგან. მახსოვს, ოპერაცია დავამთავრე, მთლიანად დავამთავრე. ლოლიტა ჩემს მკლავებში სლუკუნებდა.

ქვითინის კეთილისმყოფელმა ქარიშხალმა დაასრულა ჭირვეული კაემნის ერთ-ერთი იმგვარი შეტევა, ასე რომ გახშირდა ბოლო (საერთოდ, შესანიშნავ) წელიწადს. გავაუქმე რომელიღაც სულელური დაპირება, რომელიც მან გამომძალა (მამაკაცური ჟინის ბრმა მოუთმენლობით ისარგებლა) და აი, ახლა პლედზე გამოტოლი გოგონა ცრემლებს ღვრიდა და ჩემს ალერსიან ხელს ჩქმეტდა, მე კი მხიარულად ვიციხოდ. საშინელი, ენით აუწერელი, გაუსაძლისი – და, ვეჭვობ – მარადიული მრწოლა, რომელსაც ახლა განვიციდი, მაშინ, კამკაშა ბედნიერებით ატაცებულს, მარტოოდენ შავ წერტილად მეჩვენებოდა. აი, ასე ვიწექით, როდესაც ელდა მეცა (ამგვარმა განცდებმა ჩემი საბრალო გული საბოლოოდ ამოაგდო კალაპოტიდან): უცვრად წავაწყდი ორი უცნაური და მშვენიერი ბავშვის – პატარა ფავნუსისა და ნიმფეტის – შავ, დაჭყეტილ თვალებს. ერთნაირად სწორი შავი თმა და ფერმკრთალი პატარა სახეები ჰქონდათ; მიწაზე გართხმულიყვნენ და ჩვენ მოგვჩერებოდნენ. მათი ერთნაირი კოსტიუმების ლურჯი ფერი მთის ყვავილების სილურჯეს ერწყმოდა. თავზარდაცემულმა, პლედს ხელი ვტაცე და დავიფარე – იმავე წამს პუშბოლის მსგავსმა კოპლებიანმა რაღაცამ ჩვენს ახლოს, ბუჩქებში მოტრიალება დაიწყო და თანდათან გადაიქცა მსუქანი თმაშეკრეჭილი ქალის მოხრილ ზურგად, რომელიც ნელ-ნელა იმართებოდა. ქალმა თაიგულს მექანიკურად დაუმატა კიდევ ერთი ველური შროშანი და ჩვენკენ გამოიხედა. მისი თვალწარმტაცი, თითქოს ლურჯი ქვისგან გამოკვეთილი ბავშვები იქვე გალურსულიყვნენ. ახლა, როდესაც ჩემს სინდისზე სრულიად სხვა უბედურებაა, ვიცი, რომ სიმამაცე არ მაკლია, მაგრამ იმჟამად ეს ჩემთვის უცნობი იყო და მახსოვს, როგორ გამაკვირვა საკუთარმა სიმშვიდემ: წავიჩურჩულე ერთ-ერთი ისეთი ბრძანება, რომლითაც, საშინელი მდგომარეობის მიუხედავად, მიმართავ ხოლმე დაბნეულ, მოზუზულ ცხოველს (როგორი გადარეული იმედით ან სიძულვილით უთრთის გვერდები ნორჩ ნადირს, როგორი მრუმე ვარსკვლავები ფეთქდება მწვრთნელის გულში!) და ლოლიტა ვაიძულე, ამდგარიყო. ჩვენ მედიდურად გავცილდით იქაურობას, შემდეგ კი სათაკილო სისწრაფით ჩავცოცდით გზისკენ, სადაც ავტომობილი დავტოვეთ. მის უკან იდგა საოჯახო ყაიდის კოპწია მანქანა; მეტად სანდომიანი გარეგნობის შავწვერა ასირიელი un monsieur très bien[76], რომელსაც აბრეშუმის პერანგი და წითელი შარვალი ეცვა

(ეს, ალბათ, ბოტანიკით გატაცებული მსუქანი ქალის ქმარი იყო) სერიოზული გამომეტყველებით უღებდა სურათს უღელტეხილის სიმაღლის მაუწყებელ წარწერას. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად აღმატებოდა ათიათას ფუტს. სული მეხუთებოდა. მანქანის საჭე ძლივს დავიმორჩილე და ბორბლებქვეშ ქვიშა ახრაშუნდა. ლოლიტა ჯერ კიდევ იცვამდა, ჯახირობდა და ისეთი სიტყვებით მლანძღავდა, რომლებიც გოგონებმა არ უნდა იცოდნენ და, მით უმეტეს, არ უნდა გამოიყენონ. სხვა უსიამოვნებებიც შემემთხვა. იმ დროს ლოლიტა ჯერ კიდევ ჭეშმარიტი ვნებით ეტრფოდა კინოს (რაც შემდგომ, გიმნაზიაში სწავლისას, ზანტ შემწყნარებლობად გადაიქცა). ერთი წლის განმავლობაში განურჩეველი აღტაცებით ვნახეთ ას ორმოცდაათი თუ ორასი პროგრამა. ზოგჯერ ერთსა და იმავე პროგრამას რამდენჯერმე ვნახულობდით: ამა თუ იმ ახალ კინოსურათს ახლდა კინოკრონიკის ერთი და იგივე გამოშვება, რომელიც თან გვდევდა ქალაქიდან ქალაქში გადანაცვლებისას. გოგონას ყველაზე მეტად მოსწონდა ქვემოთ დასახელებული ტიპის ფილმები, ამგვარი თანმიმდევრობით: მუსიკალური კომედიები, განგსტერული, კოვბოური კინოსურათები. მათში მონაწილე ნამდვილ მომდერლებსა და მოცეკვავეებს მიეწერებოდა ეგრეთ წოდებულ „სევდაგამძლე“ სფეროში განხორციელებული არაჭეშმარიტი სცენური კარიერები, საიდანაც განდევნილი იყო სიკვდილი და სიმართლე. მხცოვანი, გულაჩვილებული, ტექნიკური თვალსაზრისით უკვდავი მამები თავდაპირველად უარყოფითად ეკიდებოდნენ ახირებული ქალიშვილების არტისტულ კარიერას, მაგრამ ბოლოს გულმხურვალედ უკრავდნენ ტაშს საუცხოო თეატრებში გამართულ პრემიერებზე. განგსტერების სამყაროც თავისებური იყო: გაბედულ რეპორტიორებს საშინლად აწამებდნენ, სატელეფონო ანგარიშები მილიარდობით დოლარს აღწევდა და უხეირო სროლის ვაჟკაცურ ატმოსფეროში პათოლოგიურად უშიშარი პოლიციელები ბოროტმოქმედებს მისდევდნენ წვიმის ჩასადენ მილებსა და პაკვაზუზებს შორის (მე გაცილებით ნაკლები საზრუნავი გავუჩინე მათ). ბოლოს, გვხვდებოდა „ველური დასავლეთისადმი“ მიძღვნილი ფილმებიც – ტერაკოტისფერი პეიზაჟი, სახელაჟღაჟა, ცისფერთვალემა კოვბოები, თავდაჭერილი, მაგრამ ეშხიანი მასწავლებელი ქალიშვილი, რომელიც ახლახან ჩამოვიდა „მგრგვინავ ხეობაში“, ყალყზე შემდგარი ცხენი, საქონლის სტიქიური პანიკა, რევოლვერის ლულა წკრიალით ამსხვრევს ფანჯრის მინას, დაუჯერებელი მუშტი-კვრივის დროს იატაკზე ენარცხება, უამრავი ძველმოდური მტვრიანი ავეჯი, მაგიდები იარაღად გამოიყენება, გმირი ყირაზე გადადის და თავს შველის, მის მიერ მიწაზე დაცემული ბოროტმოქმედი ხელით ეძებს დაგდებულ სანადირო დანას, მოჩხუბრები

ხვნიშინ, მუშტი ხმამალა უბრაგუნებს ნიკაპს, ფეხი ფაშვს ურტყამს, გმირი ბოროტმოქმედს ზედ ახტება, და იმდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ, რასაც ჰერაკლეც ვერ გაუძლებდა (ახლა თვითონ ვიწვნი ეს!), გმირს არაფერი ეტყობა, ბრინჯაოსფერ ყვრიმალზე დაჩნეული საკმაოდ მიმზიდველი ლიბრის გარდა, ის ცივილიზაციის შორეულ მიჯნაზე იმყოფება და ეხვევა მზეთუნახავ სასძლოს. მაგონდება ბავშვებით გაჭედულ და კინოსასუსნავის – სიმინდის შემწვარი მარცვლების – ცხელი სურნელით გაჟღენთილ პატარა დამყაყებულ კინოთეატრში ნანახი ფილმი: ყვითელი მთვარე ამოდიოდა ყელსახვევიანი, მოლიდინე გიტარისტის თავზე; ის ცალი ფეხით ფიჭვის მორს დაყრდნობოდა. მე – სრულიად უწყინრად –

ლოლიტას მხარზე ხელი გადავხვიე და ლოყა მის საფეთქელს მივუახლოვე. ამ დროს ჩვენს უკან მჯდარმა ორმა დედაბერმა უცნაური ბურტყუნის დაიწყო – არ ვიცი, სწორად მივუხვდი თუ არა, მაგრამ იმან, რაც სანახევროდ გავიგონე, მაიძულა, ჩემი ალერსიანი ხელი უკან წამელო. რა თქმა უნდა, ფილმის დანარჩენი ნაწილისა ვერაფერი გავიგე. აქ უცნაური რამ უნდა ვაღიარო. გაგეცინებათ, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, ვერასოდეს მოვახერხე, ზუსტად გამერკვია მდგომარეობის იურიდიული მხარე. ახლაც არაფერი ვიცი მის შესახებ. ო, რამდენიმე შემთხვევითმა ცნობამ, რა თქმა უნდა, მოაღწია ჩემამდე. ალაბამაში მეურვეს ეკრძალება ბავშვის ადგილსამყოფელის შეცვლა სასამართლოს ნებართვის გარეშე. მინესოტა (რომელსაც თავს მდაბლად ვუხრი) ითვალისწინებს, რომ თუ ნათესავი კისრულობს თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვის დაცვასა და მეურვეობას, მაშინ სასამართლოს ავტორიტეტის მოხმობა საჭირო აღარაა. დავუშვათ, ოდნავ შედერებულ, მომხიბვლელ, გულგამგმირავ გოგოცუნას ჰყავს ერთი თვის სტაჟის მქონე მამინაცვალი; დავუშვათ, აგრეთვე, რომ მცირე, მაგრამ დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე ამ ნევრასთენიკი ქვრივის წარსული მოიცავს ევროპის პარაპეტებს, განქორწინებასა და რამდენიმე საგიჟეში ყოფნას. ჩათვლება თუ არა ასეთი კაცი ბავშვის ნათესავად და, მაშასადამე, ერთადერთ მეურვედ? და თუ არა, თხოვნით ხომ არ უნდა მივმართოთ (გონიერების შენარჩუნებისას) საზოგადოებრივი მეურვეობის რომელიმე განყოფილებას (როგორ წარადგენენ თხოვნას)? მაგრამ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს წარმომადგენელი გამოიძიებს თვინიერი, მაგრამ საექვო ჰუმბერტისა და საშიში დოლორეს ჰეიზის ცხოვრებას. ქორწინების, გარყვნისა და გაშვილების შესახებ მალულად წაკითხულ უამრავ წიგნში (დიდი და მცირე ქალაქების ბიბლიოთეკებში რომ მოვიძიებდი ხოლმე) ვერაფერი ვიპოვე, გარდა ბუნდოვანი მინიშნებებისა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო მცირეწლოვანი გოგონების უზენაესი მეურვეა. პილვენი და ზაპელი (თუ მათი გვარები სწორად დავიმახსოვრე) ქორწინების კანონების შესახებ დაწერილ მოზრდილ წიგნში სრულად არ ითვალისწინებენ მამინაცვლებს, რომელთაც მკლავებში და მუხლებზე ობლები შემორჩათ. ჩემი საუკეთესო მეგობარი, სოციალური უზრუნველყოფის უწყების მიერ გამოშვებული მონოგრაფია (ჩიკაგო, 1936), რომელიც სავსებით უდანაშაულო შინაბერამ დიდი წვალებით გამოქექა ბიბლიოთეკის საწყობის მტვრიანი სიღრმიდან, ამტკიცებდა: „არ არსებობს წესი, რომლის თანახმად, ყოველ უწლოვანს მეურვე უნდა ჰყავდეს. სასამართლოს როლი პასიურია და ის მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როდესაც ბავშვის მდგომარეობა აშკარად სახიფათოა“. ბოლოს დავასკვნე, რომ ადამიანი მაშინ ინიშნება მეურვედ, როცა ამის საზეიმო და ფორმალურ სურვილს გამოხატავს. ამასთან, შეიძლება მთელი თვეები გავიდეს, სანამ მას საქმის მოსასმენად დაიბარებენ და, მისი ჩინის შესაბამისად, ორი მტრედისფერი ფრთის ამოზრდის უფლებას მისცემენ. მშვენიერ დემონურ ბალღს კი კანონი ბედის ანაბარად ტოვებს. ეს, ფაქტიურად, დოლორეს ჰეიზსაც შეეხება. შემდეგ საქმეს ისმენენ. მოსამართლის ორი-სამი დამაწყნარებელი პასუხი – და თანამდებობა უზრუნველყოფილია. მაინც ვერ გავკადნიერდი. სოროში შემძვრალ, მობუზულ თავგს დავედარე. სასამართლო მხოლოდ მაშინ მოქმედებდა სწრაფად, როდესაც საქმე ფულის საკითხს ეხებოდა: ორი ანგარებიანი მეურვე, გაქურდული ობოლი, მესამე – კიდევ უფრო ხარბი – მონაწილე... მაგრამ ამ შემთხვევაში საშიში არაფერი

იყო, ინვენტარიზაცია დიდი ხნის წინ გაკეთდა და დედისეული მცირე მემკვიდრეობა ხელუხლებლად ელოდა დოლორეს ჰეიზის სრულწლოვანებას. ყველაზე კეთილგონივრულ კურსად მიმჩნადა თხოვნის შეუტანლობა. კეთილი, მაგრამ საქმეში ხომ არ ჩაერევა რომელიმე ორგანიზაცია, ვთქვათ, „კაცთმოყვარე საზოგადოება“, თუკი მეტისმეტად შეუმჩნევლად მოვიქცევი? ჩემ მიმართ მეგობრულად განწყობილი ფარლო, მგონი, სასამართლოს რწმუნებულად მსახურობდა და, ალბათ, შეეძლო, საიმედო რამ ერჩია, მაგრამ ის ცოლის სიმსივნური დაავადებით იყო შემფოთებული და დაპირებულზე მეტად ვერ მომეხმარებოდა (ჯონი კვლავ ზრუნავდა შარლოტას მწირ ქონებაზე, სანამ მე ძალზე ნელა არ მოვმჯობინდებოდი ცოლის სიკვდილი გამოწვეული ელდის შემდეგ).

ფარლოს მტკიცედ ჩავაგონე, რომ დოლორესი ჩემი უკანონო ქალიშვილი იყო. ამიტომ მას არ დააინტერესებდა ჩემი მდგომარეობა. მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ უხეირო საქმოსანი ვიყავი, მაგრამ სიზარმაცისა და უცოდინრობის მიუხედავად, პროფესიული დახმარება უნდა მეთხოვა. ისიც მაშინებდა, რომ თუ ბედს შევეუჩნდებოდი და მისი საარაკო ნობათის გააზრებასა და დასაბუთებას შევეცდებოდი, ამ ნობათს დავკარგავდი; ასე ქრებოდა აღმოსავლურ ზღაპარში მთის მწვერვალზე წამოჭიმული სასახლე, როდესაც ესა თუ ის მუშტარი დარაჯს ეკითხებოდა, რატომ ჩანდა ჩამავალი მზის სხივებით განათებული ცის ზოლი ეგზომ მკვეთრად შავ კლდესა და საძირკველს შორის. გავიფიქრე, რომ ბერდსლეიში (სადაც ბერდსლეის უნივერსიტეტი იყო განლაგებული) უეჭველად ვიპოვიდი ჩემ მიერ ჯერჯერობით შეუსწავლელ ცნობარებს, მაგალითად, ვერნერის ტრაქტატს „მეურვეობის ამერიკული კანონის შესახებ“ ან „ბავშვთა ბიუროს“ მიერ გამოცემულ ზოგიერთ ბროშურას. გადავწყვიტე, რომ ლოლიტას აწინდელ უსაქმურობასა და დემორალიზებას ყველაფერი სჯობდა. იმდენაირად მატკობდა, რომ პედაგოგ-თეორეტიკოსსაც კი განაცვიფრებდა, მაგრამ ვერაფრით დავიყოლიე, რაიმე წაეკითხა, ეგრეთ წოდებული „კომიქსების წიგნისა“ ან ქალთათვის განკუთვნილი იაფფასიანი ჟურნალების გარდა. მეტ-ნაკლებად დახვეწილი ლიტერატურა გიმნაზიას აგონებდა და თუმცა თანახმა იყო, ოდესმე გასცნობოდა შეკერეზადას ზღაპრებს ან „პატარა ქალებს“, მაგრამ კატეგორიულად არ სურდა არდადეგების გაცდენა ასეთი სერიოზული, რთული წიგნებისათვის. ალბათ, დიდად შევცდი, როდესაც ამერიკის აღმოსავლეთში დაგბრუნდი და ლოლიტა ბერდსლეის ვერძო გიმნაზიაში შევიყვანე. აჯობებდა, როგორმე გადაგველახა მექსიკის ესოდენ ახლო საზღვარი და ორიოდ წლით მიემალულიყავით სუბტროპიკულ პარადიზში, რის შემდეგაც არხინად დავექორწინდებოდი ამ პატარა კრეოლ გოგონაზე; საკუთარი ჯირკვლებისა და განგლიების მდგომარეობისდა მიხედვით, დღის განმავლობაში მონაცვლეობით ვიხრებოდი ორი პოლუსისკენ: უპირველეს ყოვლისა, მამამაგებდა აზრი, რომ 1950 წელს მომიხდებოდა მოცილება მოზარდისა, რომელსაც იმ დროისთვის ხელმქმნელი ნიმფეტობის ვადა გაუვიდოდა; მეორე მხრივ (გარკვეული გულმოდგინებისა და ილბლიანობის შემთხვევაში), ალბათ, ვაიძულებდი, უახლოეს მომავალში ეშვა მოხდენილი „ლოლიტა მეორე“, რომლის

ძარღვებში ჩემი სისხლი იჩქროლებდა; 1960 წელს (მაშინ ჯერ კიდევ dans la force de l'âge[77] ვიქნებოდი) ის რვა თუ ცხრა წლისა შესრულდებოდა; მეტსაც ვიტყვი, ჩემი გონების (თუ უგუნურობის) ჭოგრიტი მოვიმარჯვე და წლების შორეთში დავინახე un vieillard encore vert[78] (იქნებ ეს სიმწვანე, უბრალოდ, სიდამპლეა?); უცნაური, ალერსიანი, დორბლიანი დ-რი ჰუმბერტი უსაზღვროდ მშვენიერ მესამე ლოლიტაზე ივარჯიშებდა „ბაბუად ყოფნის ხელოვნებაში“, რასაც ვიქტორ ჰიუგომ უძღერა. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი უჩვეულო მოგზაურობის განმავლობაში პირველ ლოლიტას მამობა ვერ გავუწიე, თუმცა ყოველ ღონეს ვხმარობდი ამისთვის. წავიკითხე და გადავიკითხე ბიბლიური სახელწოდების მქონე წიგნი „შეიცან ასული შენი“ (იმავე მაღაზიაში ვიყიდე, სადაც ლოლიტას დაბადების მეცამეტე წლის აღსანიშნავად შევიძინე ანდერსენის „სირინოზის“ საუცხოო, ლამაზი ილუსტრაციებით გაფორმებული გამოცემა). მაგრამ თვით საუკეთესო მომენტებში, როდესაც წვიმიან ამინდში კითხვით ვიქცევდით თავს (ლოლიტას მზერა ამ დროს მოუსვენრად გადარბოდა ფანჯრიდან მაჯის საათზე, შემდეგ კი – კვლავ ფანჯარაზე), ან კარგად და მამდრისად ვსადილობდით გაჭედულ „დაინერში“ (უძრავ ვაგონ-რესტორანში) ან ბანქოს ვთამაშობდით, ან მაღაზიებში დახვეტილობდით, ან სხვა ავტომობილისტებთან და მათ შვილებთან ერთად მდუმარედ ვათვალიერებდით დამსხვრეულ, დასისხლიანებულ მანქანას და ვამჩნევდით თხრილში ჩავარდნილ ქალის ფეხსაცმელს (შემდეგ გზას ვაგრძელებდით და ლოლიტა მეუბნებოდა: „სწორედ ამგვარი სპორტული ფეხსაცმელი გუშინ ამოდ ავუწერე კრეტინ ნოქარს“) – ყველა ამ შემთხვევაში მამის როლს უხეიროდ ვასრულებდი, ლოლიტაც საეჭვო ქალიშვილი იყო. ალბათ, ჩვენი ხეტიალი დამლუპველად მოქმედებს მიმიკრიის უნარზე- მეთქი, ვიფიქრე. შესაძლოა, მდგომარეობას გააუმჯობესებდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სასკოლო ცხოვრების რუტინა. ბერდსლეი იმიტომ ავირჩიე, რომ აქ იყო არა მარტო ქალთა შედარებით რიგიანი გიმნაზია, არამედ – ქალთა ცნობილი უნივერსიტეტიც. მსურდა, casé[79] ვყოფილიყავი, მსურდა ჭრელ გარემოში დავმკვიდრებულიყავი, რათა ტუსაღის ზოლიანი ტანისამოსი შეუმჩნევლად შერწყმოდა მას. ჩემი ერთი ნაცნობი მომაგონდა. ეს იყო ბერდსლეის უნივერსიტეტის ფრანგული ენის პროფესორი, რომელიც ჩემ მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებით ასწავლიდა სტუდენტებს და ერთხელ მიმიწვია კიდევ ლექციის წასაკითხად. ქალთა უნივერსიტეტის ლექტორობა ვერ მაცდუნებდა, რადგან (ეს არაერთხელ აღვნიშნე წინამდებარე აღსარების ფურცლებზე) არაფერი მძაგს უფრო მეტად, ვიდრე სტუდენტი ქალიშვილების უმრავლესობის ზორბა გავები, მომსხო წვივები და ბუგრიანი შუბლები. (ჩემი წარმოდგენით, ქალთა ტლანქი სხეულები ის აკლდამებია,

რომლებშიც ცოცხლად არიან ჩამარხულნი ჩემი ნიმიფეტები!); მაგრამ ვნატრობდი, მქონოდა იარლიყი, სასიცოცხლო ფონი, ნილაბი. გარდა ამისა, არსებობდა კიდევ ერთი საგანგებო, საკმაოდ უჩვეულო მიზეზი (მას მალე გაგაცნობთ), რომლის გამო ჩემს ძვირფას გასტონ გოდენთან ურთიერთობა ძალზე საიმედოდ დამიცავდა. ბოლოს ფულის პრობლემაც მაწუხებდა. ჩემი შემოსავალი ვერ უძლებდა ჩვენს გასართობ მოგზაურობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. მართალია, იაფი სადგომების შერჩევას

ვცდილობდი, მაგრამ ბიუჯეტს ხშირად უთხრიდა ძირს ხმაურიან საუკეთესო ოტელებში ან პრეტენზიულ ფსევდორანჩოებში ცხოვრება. განსაცვიფრებელი ოდენობის თანხები იხარჯებოდა, აგრეთვე, ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებასა და ლოლიტას გარდერობზე. ჰეიზების ჯაბახანა ავტომობილი გამძლე და ძალზე ერთგული მანქანა იყო, მაგრამ მასაც გამუდმებით ესაჭიროებოდა მეტ-ნაკლებად ძვირად ღირებული რემონტი. ციხის ხელისუფლებამ მოწყალედ ნება დამართო, ამ ჩანაწერებისთვის ჩემი ქალაქებით მესარგებლა. მათ შორის შემთხვევით შემორჩა მომცრო წიგნაკებად აკინძული სამარშრუტო რუკები. ერთ-ერთ მათგანში ვიპოვე სახელდახელოდ ჩაწერილი გამოანგარიშებანი: 1947-48 ექსტრავაგანტურ წელს, ერთი აგვისტოდან მეორემდე, ბინასა და კვებაში 5.500 დოლარამდე გადაგვიხდია, ხოლო ბენზინსა, ზეთსა და მანქანის შეკეთებაში – 1.234 დოლარი; ასეთივე თანხა გამიღია დამატებით ხარჯებზე, ასე რომ მგზავრობის ას ორმოცდაათი დღის განმავლობაში (დაახლოებით 27.000 მილი გავიარეთ!) და შუალედური შეჩერებების დაახლოებით ორასი დღის მანძილზე მოკრძალებულმა რანტიემ, ჰუმბერტმა 8.000 და, შესაძლოა, 10.000 დოლარიც კი გადაიხადა (რადგან არაპრაქტიკულობის გამო, ალბათ, ბევრი დანახარჯი დამავიწყდა). და აი, კვლავ აღმოსავლეთისკენ გავემუროთ: მე, რომელიც ჟინის დაკმაყოფილებამ კი არ აღმაფრთოვანა, არამედ – გამომფიტა, და ჯან-ლონით სავსე ლოლიტა, რომელსაც კვლავ ბიჭივით ვიწრო თეძოები ჰქონდა, თუმცა სიმაღლეში ორი გოჯი მოიმატა, ხოლო წონაში – რვა ამერიკული ფუნტი. ყველაფერი დავათვალიერეთ. საერთოდ კი, არაფერი გვინახავს. დღეს ასე მგონია, რომ ჩვენმა ხანგრძლივმა მოგზაურობამ ლორწოს კლანკილი ნაღვენითი წაბილწა მშვენიერი, მიმდობი, მეოცნებე უზარმაზარი ქვეყანა. ჩემს მოგონებებში ის დაიყვანება გაქუცული რუკების, დაგლეჯილი მეგზურებისა და მანქანების ძველი სალტეების კოლექციაზე, აგრეთვე – ლოლიტას ქვითინზე (ყოველ, ყოველ ღამეს, როგორც კი თავს მოვიმძინარებდი ხოლმე).

4. როდესაც შუქ-ჩრდილის გირლანდები განვვლეთ და თეერის ქუჩის მე-14 ნომერს მივადექით, სერიოზულმა პატარა ბიჭუნამ გადმოგვცა გასაღები და გასტონის წერილი – მას ეს სახლი

დაექირავებინა ჩვენთვის. ლოლიტამ შეხედვის ღირსადაც არ ჩათვალა ახალი სამყოფელი, ბრმად ჩართო რადიო, რომელთანაც ინსტინქტმა მიიყვანა, და სასტუმრო ოთახში მდგარ დივანზე წამოგორდა. გოგონა მყისვე დააცხრა ძველ ილუსტრირებულ ჟურნალებს, რომლებიც ასეთივე ბრმა სიზუსტით ამოიღო დივანთან მიდგმული პატარა მაგიდის ქვედა უჯრიდან. ჩემთვის, არსებითად, სულ ერთი იყო, სად ვიცხოვრებდით, თუკი ლოლიტას გამოკეტვას შევძლებდი, მაგრამ გასტონის ბუნდოვანი წერილების მიხედვით ბუნდოვნად წარმოვიდგინე სუროს ფოთლებით დაჩრდილული აგურის ვილა; მეტად შემაწუხა იმან, რომ სინამდვილეში ჩვენი ახალი სავანე ძალზე წააგავდა ჰეიზების სახლს (რომლისგანაც მხოლოდ ოთხასი მილი გვაშორებდა): ეს იყო რუხი ფიცრებით ნაგები ისეთივე ამაზრზენი შენობა სოლყავრის სახურავითა და მქრქალი მწვანე ფერის მარკიზებით; შედარებით მომცრო ოთახები თუმცა უფრო მკაცრ პლუმ-თეფშებიან სტილში იყო მოწყობილი, მაგრამ მსგავსი განლაგება ჰქონდა. ამასთან, ჩემი კაბინეტი მოულოდნელად ვრცელი ოთახი აღმოჩნდა. იატაკიდან ჭერამდე ქიმის ორი ათასამდე წიგნი ელაგა – სახლის პატრონი სწორედ ამ მეცნიერებას ასწავლიდა ბერდსლეის უნივერსიტეტში. მომსვლელი მოსწავლე გოგონებისთვის განკუთვნილი ბერდსლეის ქალთა გიმნაზია ძვირად ღირებული სკოლა იყო და მეტად ეფექტური სატანვარჯიშო დარბაზი ჰქონდა. შუადღისას გოგონებს საუზმით უმასპინძლებოდნენ. ვიმედოვნებდი, რომ ეს გიმნაზია არა მარტო ნორჩ სხეულებს წვრთნიდა, არამედ მოსწავლეთა ნორჩ გონებასაც აწვდიდა გარკვეულ საზრდოს. გასტონ გოდენმა, რომელიც იშვიათად გამოთქვამდა მართებულ შეხედულებებს ამერიკის ყოფის შესახებ, გამაფრთხილა, რომ ეს იყო ერთ-ერთი იმ სკოლათაგან, სადაც, მისი თქმით (გასტონს, როგორც უცხოელს, უყვარდა ამგვარი ფრაზები), „ასწავლიან არა იმდენად გრამატიკულ კანონებს, რამდენადაც – არომატულ წესებს“. ვშიშობ, რომ ლოლიტამ ესეც კი ვერ აითვისა. გიმნაზიის გამგემ, მისს პრაქტმა, პირველი შეხვედრისას მოიწონა ჩემი ასულის „ღამაზი ცისფერი თვალები“ (განა ლოლიტას ცისფერი თვალები ჰქონდა?) და კმაყოფილება გამოთქვა „ჩვენს გენიალურ ფრანგთან“ (განა გასტონი გენიოსი იყო?) ჩემი

მეგობრობის გამო; შემდეგ მან დიდი გადასცა ვიღაც მის კორმორანტს, შუბლი შეიჭმუნა, თითქოს აზრებს იკრებსო და, პაუზის შემდეგ, ასე დაიწყო: „მისტერ ჰუმბარდ, ჩვენ არ ვაძიებთ მოსწავლეებს, რომ წიგნის ჩრჩილებად გადაიქცნენ, ან სხვაპასუხით ჩამოთვალონ ევროპის ყველა დედაქალაქის სახელწოდება – რაც მაინც არავინ იცის – ანდა დაიმახსოვრონ დავიწყებული ბრძოლების თარიღები. ჩვენ გვინტერესებს ბავშვის შეგუება ჯგუფის ცხოვრებასთან. აი, რატომ ვანიჭებთ ასეთ მნიშვნელობას ცეკვებს, დებატებს, მოყვარულთა სპექტაკლებსა და ვაჟებთან შეხვედრებს. გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტი. თქვენი მშვენიერი დიდი მალე გადავა იმ ასაკობრივ ჯგუფში, სადაც ტერმინები „კავალრები“, „კავალერთან ერთად სეირნობა“, „გამოსასვლელი კაბა“ და ასე შემდეგ ასეთივე არსებითი იქნება მისთვის, როგორც თქვენთვისაა „კომერციული საქმეები“, „კომერციული კავშირები“, „კომერციული წარმატება“, ჩემთვის კი (აქ მან ყალბად გაიღიმა) – ჩემი

მოსწავლეების კეთილდღეობა. დიდი ხანია ჰუმბარდი უკვე ჩაერთო სოციალური ცხოვრების იმ სისტემაში, რომელიც შედგება – სულ ერთია, მოგვწონს ეს თუ არა – სოსისების გასაყიდი კიოსკების, კინოსურათების, ცეკვების, რძის ბარების, ალაოსა და ქოქოსის სასმელების, პლაჟებზე გამართული პიკნიკებისა და საპარიკმახერო სადამოებისგანაც კი, რომლებზეც გოგონები ურთიერთს ვარცხნიან! რა თქმა უნდა, ბერდსლესი გიმნაზია უარყოფითად ეკიდება ზოგიერთ ამგვარ ინტერესს, რამდენიმე მათგანი კი გადაგვყავს სხვა, შედარებით უფრო კონსტრუქტიულ რელსებზე. ყოველთვის ვცდილობთ, ნისლს ზურგი შევაქციოთ, პირით კი მზისკენ დავდგეთ! მოკლედ რომ ვთქვათ, თუმცა ვსარგებლობთ ფორმალური განათლების ზოგიერთი მეთოდით, მაგრამ გაცილებით მეტად გვინტერესებს კომუნიკაცია, ვიდრე კომპოზიცია; დიდ პატივს ვცემთ შექსპირსა და სხვებს, მაგრამ გვირჩევნია, ჩვენმა გოგონებმა ლაღი ურთიერთობა დაამყარონ მათ გარემომცველ ცოცხალ სამყაროსთან, ვიდრე – დაობებულ ფოლიანტებს ჩაულრმავდნენ. მართალია, ჯერ კიდევ ბრმად მივიწევთ წინ, მაგრამ რაციონალურად ვმოქმედებთ, იმ გინეკოლოგის მსგავსად, სიმსივნეს რომ სინჯავს. ჩვენ, დოქტორო ჰუმბურგ, ყველაფერს ორგანული და ორგანიზაციული თვალსაზრისით განვიხილავთ. თავი ავარიდეთ მთელ რიგ უსარგებლო საგნებს, რომლებსაც ოდესღაც ტრადიციულად ასწავლიდნენ ქალიშვილებს და დროს არ ტოვებდნენ პრაქტიკული ცნობებისა და გამოყენებითი ხელოვნებისთვის, აგრეთვე – ყველა იმ ცნობისთვის, რომლებიც მათ დასჭირდებოდათ, როდესაც შეუდგებოდათ საკუთარი ცხოვრების მოწყობას და, ცინიკოსი დაუმატებდა, ქმრის ცხოვრების მოწყობასაც. მისტერ ჰუმბერსონ, ნება მიბოძეთ, აზრი ამგვარად გამოვხატო: პლანეტის ზუსტი ადგილმდებარეობის ცოდნა უთუოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ახალგაზრდა დიასახლისისთვის, ალბათ, გაცილებით უფრო არსებითია სამზარეულოში მაცივრის დასადგმელად ხელსაყრელი ადგილის მიგნება. თქვენ ამბობთ, რომ გსურთ, გოგონამ კარგი განათლება მიიღოს სკოლაში. მაგრამ როგორ გესმით ცნება „განათლება“? უწინ ეს იყო, უპირატესად, სიტყვიერი მოვლენა; სხვაგვარად, თქვენ შეგეძლოთ, ზეპირად გესწავლებინათ ბავშვისთვის კარგი ენციკლოპედია და მას, ალბათ, უფრო მეტი ეცოდინებოდა, ვიდრე ამას სკოლა ითვისებდა. დოქტორო ჰუმბერ, გესმით თუ არა, რომ თანამედროვე ქალიშვილისთვის რომელიმე შუასაუკუნეობრივი ლაშქრობა გაცილებით უმნიშვნელო სასიცოცხლო ღირებულებისაა, ვიდრე (აქ მან კინაღამ თვალი ჩამიკრა) კაფეტერიის დალაშქვრა ჭაბუკთან ერთად? ეს ხუმრობა ამას წინათ გავიგონე ჩვენი ფსიქოანალიტიკოსისგან. ჩვენ არა მარტო იდეათა სამყაროში ვცხოვრობთ, არამედ საგანთა სამყაროშიც ვიმყოფებით. პრაქტიკული გამოცდილების გარეშე სიტყვები მნიშვნელობას კარგავს. კაცმა რომ თქვას, რას უნდა წარმოადგენდეს დიდი ბერდსლესის ჰუმბერსონისთვის რომელიმე საბერძნეთი ან ახლო აღმოსავლეთი მათი ჰარამხანები და მხეველები?“ ამ პროგრამამ პირველად, ცოტა არ იყოს, შემაშფოთა; მაგრამ შემდეგ რჩევა ვკითხე ორ ჭკვიან ქალბატონს, რომლებიც წინათ სკოლასთან იყვნენ დაკავშირებულნი; მათ დამარწმუნეს, რომ გოგონები გიმნაზიაში ბევრს და საფუძვლიანად კითხულობენ, ხოლო მთელი ეს სისულელე „კომუნიკაციის“ შესახებ – უბრალოდ, იმ სარეკლამო აურზაურის შედეგია, რომლის მიზანია

ბერდსლესის ძველი ყაიდის გიმნაზიისთვის ფინანსურად სასარგებლო „მოდერნული“ ელფერის მინიჭება, თუმცა სინამდვილეში ისევე ზომიერია, როგორც – ზონარი. ბერდსლესის სკოლაში კიდევ ერთი რამ მომეწონა. ზოგიერთ მკითხველს, ალბათ, გაეცინება, მაგრამ ჩემთვის ამ დეტალს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ქუჩის გადაღმა, ჩვენი სახლის პირდაპირ, შენობებს შორის არსებული შენანგრევი დავლანდე. ეს იყო სანაგვე ადგილი, სადაც შევამჩნიე ხასხასა ფერის ბურქნარი, აგურების გროვა, უწესრიგოდ დაყრილი რამდენიმე ფიცარი და შემოდგომის უბადრუკი ყვავილების იისფერ-მოყვითალო ქაფი; ბუნდოვნად მოჩანდა ჩვენი ქუჩის პარალელური სასკოლო

ქუჩის მონაკვეთიც, ხოლო ამ მონაკვეთს მიღმა სკოლის სათამაშო მოედანს მოკვარი თვალი. დოლის სასკოლო ცხოვრების მეზობლობა ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებასთან მეტად მანუგეშებდა. გარდა ამისა, მისვე მივხვდი, რა სიამოვნებას მომანიჭებდა დიდ დასვენებაზე დოლის გარშემო მოთამაშე გოგონებში მძლავრი ბინოკლის დახმარებით ნიმფეტების სტატისტიკურად გარდუვალი პროცენტის დადგენა. სამწუხაროდ, პირველსავე სასწავლო დღეს მუშები მოვიდნენ და შენანგრევი შემოღობეს. ამის შემდეგ ღობის მიღმა სწრაფად ამოიზარდა ყვითელი ხის ნაგებობა, რომელმაც ჯადოსნური შენანგრევი მთლიანად დაფარა. როდესაც უამრავი მასალა დაახვავეს, ამ აბსურდულმა მშენებლებმა მუშაობა შეწყვიტეს და აღარასოდეს გამოჩენილან.

5. თეერის ქუჩაზე – ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო არასავაჭრო ქუჩა – დარგული ხეების მწვანე, წითურ, ოქროსფერ კარვებქვეშ გარდუვალად გვხვდებოდნენ პიროვნებები, რომლებიც მეტეოროლოგიური მისალმებების თავაზიან ყეფას ვვაგებებდნენ. ვამაყობდი მათთან დამყარებული ურთიერთობის ზუსტი ტემპერატურით: არავითარი უკმეხობა, მაგრამ სრული გაუცხოება. ჩვენი სახლის დასავლეთით მცხოვრები მეზობელი, რომელიც, მგონი, საქმოსანი ან პროფესორი იყო (ან ორივე პროფესიას უთავსებდა ერთმანეთს), ზოგჯერ საუბარს მიზამდა, როდესაც გაზონს პარსავდა ან ავტომობილს რწყავდა, ან, უფრო მოგვიანებით, პარმალისკენ მისასვლელ გზას ადნობდა (ფეხებზე მკიდია, თუ ეს შეუსაბამო ზმნებია); ამასთან, ჩემი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბურტყუნის მხოლოდ იმდენად იყო დანაწევრებული, რომ ტრაფარეტულ თანხმობად ან პაუზის შესავსებად განკუთვნილ შეკითხვად აღქმულიყო და ხელი შეეშალა ფამილარული

ურთიერთობების განვითარებისთვის. ჩვენ პირდაპირ, უდღეური შენანგრევის ორივე მხარეს, ერთი სახლის კარ-ფანჯარა აეფიცრათ, მეორეში კი ინგლისური სიტყვიერების ორი პროფესორი ცხოვრობდა: ტვიდის ტანისამოსში ჩაცმული, თმაშეკრეკილი მისს ლესტერი და ნაზი, მიმჭნარი მისს ფაბიანი. ტროტუარზე სეირნობისას ჩვენი მოკლე საუბრების ერთადერთ თემას წარმოადგენდა (მათ ტაქტს ვემადლიერებოდი!) ჩემი ასულის ნორჩი სიტურფე და გასტონ გოდენის „გულუბრყვილო ხიბლი“. აღმოსავლეთით გაცილებით სახიფათო ქალბატონი ცხოვრობდა. ეს ბანალური გაიძვერა თითქოს პირდაპირ ფარსიდან გამოვიდა. მისი განსვენებული ძმა „უნივერსიტეტში მსახურობდა“ – უფროსი დარაჯის თანამდებობაზე. მახსოვს, მან ერთხელ დოლი ქუჩაში შეაჩერა, როდესაც სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან მოუთმენლად ველოდი გოგონას დაბრუნებას სკოლიდან. ბილწი შინაბერა, რომელიც ხელჯოხივით მჭლე ქოლგას ეყრდნობოდა, ცდილობდა, არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობა დათაფლული კეთილმოსურნეობით შეენიღბა (ხორხოშელა თოვლის ცვენა, ის იყო, შეწყდა და ღრუბლებიდან გვერდულად გამოსხლტა ცივი, სველი მზე). ნესტიანი ამინდის მიუხედავად, დოლის ყავისფერი პალტო გაელედა; ბიუვარზე დაწყობილი რამდენიმე წიგნის ორსართულიან ნაგებობას მუცელზე იხუტებდა (სახელმძღვანელოების ასე ტარება მოდაში იყო); ქვედატანსა და რეზინის მაღალ ჩექმებს შორის ვარდისფერი მუხლები მოუჩანდა. დროდადრო მოსულელო, დაბნეული ღიმილი უნათებდა სახეს. ზამთრის მკრთალ შუქზე ის თითქმის ულამაზოდ მეჩვენებოდა, უბრალო გერმანელ Mäგდელინ-ს ჰგავდა; აი, ასე იდგა და ცდილობდა, მისს აღმოსავლეთის კითხვებზე ეპასუხა: „დედაშენი სადაა, ჩემო ძვირფასო? შენი საბრალო მამა რასა იქმს? უწინ სად ცხოვრობდი?“ ერთხელ ამ საზიზღარმა არსებამ ქუჩის კუთხეში მომიხელთა და მისალმების ნიშნად შემომყეპულა, მაგრამ საუბარი მივაფუჩეყე. რამდენიმე დღის შემდეგ ლურჯარშიანი კონვერტით ბარათი (ბადაგისა და ბალდამის ნაერთი) გამოგვიგზავნა. დოლის სთავაზობდა, რომელიმე კვირადღეს მესტუმრე, სავარძლებში მოკვალათდეთ და საუცხოო წიგნების (რომლებიც დედაჩემმა მაჩუქა ბავშვობისას) თვალიერებით გავერთოთო. სჯობს, ასე მოიქცე, ვიდრე ყოველ ღამე რადიო გვიანობამდე აყვიროო. დიდ სიფრთხილეს საჭიროებდა აგრეთვე ურთიერთობა ქალბატონ გულიგანთან. ეს დამლაგებელი (და სამაგელი მზარეული) ძველი მოზინადრეებისგან მემკვიდრეობით მივიღეთ მტვერსასრუტთან ერთად. დღისით დოლი სკოლაში საუზმობდა; საკმაოდ უხვ ბრეკფასტს მე ვამზადებდი, საღამოობით კი ქალბატონი გულიგანის მიერ მოხარშულ კერძს ვაცხელებდი. მაღლობა ღმერთს, ეს კეთილმოსურნე, უწყინარი ქალი საკმაოდ თვალმილეული იყო და დეტალებს ვერ ამჩნევდა; ქვეშაგებს მე ვალაგებდი და ამაში დიდად გავიწაფე. მაინც გამუდმებით მეშინოდა, სადმე საბედისწერო კვალი არ დამეტოვებინა. ქალბატონი გულიგანის ჩვენთან ყოფნისას ზოგჯერ ლოლიტაც შინ იყო. გული მისკდებოდა, რომ გულუბრყვილო დედაკაცის ალერსიანი ხიბლის ზეგავლენით რაიმე არ წამოერომა. ხშირად ჩვენი საზინადრო გაკაშკაშებულ, გამჭვირვალე, მინის სახლად წარმომიდგებოდა. სახეგაცრეცილ, თხელტუჩა მეზობელ ქალს შემთხვევით რომ შემოეხედა ფარდაგადაწეულ ფანჯარაში, ისეთი სეირით

დატკებოდა, რომლის ერთი შეხედვისთვის ყველა გულმოყრჭებული voyeur-ი მწირ ქონებასაც არ დაიშურებდა.

6. ორიოდ სიტყვა გასტონ გოდენის შესახებ. ამ კაცთან ურთიერთობა მსიამოვნებდა – ან, ყოველ შემთხვევაში, არ მაწუხებდა – სრული უსაფრთხოების იმ ფლუიდების ზეგავლენით, რომელნიც მისი ბრგე სხეულიდან გამოკრთოდა და ჩემს საიდუმლოს ყოველი მხრიდან გარს ერტყმოდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გასტონი რაიმეს მიმიხვდა: გულის გადახსნის სურვილი არ გამჩენია, ის კი ეგოცენტრული და გონებადაფანტული ადამიანი იყო; ვერ შეამჩნევდა და ვერ იგრძნობდა ვერაფერს ისეთს, რაც, მისი მხრივ, გულახდილ შეკითხვას გამოიწვევდა და ასეთივე გულახდილი პასუხისკენ მიბიძგებდა. ბერდსლეის სხვა მოსახლეებთან ჩემი ეს კეთილი მოციქული ძალზე მაქებდა. რაიმე რომ შეეტყო mes goûts[80] და ლოლიტას სტატუსის შესახებ, მხოლოდ იმდენად დაინტერესდებოდა, რამდენადაც მის მიმართ ჩემი დამოკიდებულების არსში გარკვევის საშუალება მიეცემოდა. ალბათ, უკვირდა, რომ არც დამაბულ თავაზიანობას ვიჩენდი, არც თავგასულობით ვაწუხებდი. უდიდამო გონებისა და დანისლული მეხსიერების მიუხედავად, რასაკვირველია, ესმოდა, რომ მის შესახებ გაცილებით მეტი რამ ვიცოდი, ვიდრე ბერდსლეელმა ბიურგერებმა უწყოდნენ. გასტონი ფუნთუშა, დონდლო, მეღანქოლიური ბერბიჭა გახლდათ. სხეული, ვეება ქვედა ნაწილიდან დაწყებული, ვიწროვდებოდა და მთავრდებოდა სხვადასხვა სიმაღლის მხრებითა და მსხლისებრი თავით. შავი სწორი თმა ცალ მხარეს გადაეწარცხნა, მეორე მხარეს კი ცოტადა შერჩენოდა. ფენომენალურად სქელ ფეხებს ფრთხილ სპილოსავით სასაცილოდ ადგამდა; ყოველთვის შავ ტანისამოსს ატარებდა, ყელსახვევიც კი შავი ეკეთა; იშვიათად ბანაობდა; მისი ინგლისური მეტყველება ნამდვილ ბურლესკს წარმოადგენდა. საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით, ეს იყო არაჩვეულებრივად მომხიბვლელი და ორიგინალური კაცი! მეზობლები ელოლიავებოდნენ; მის კვარტალში მცხოვრები ყველა ბიჭუნას სახელი იცოდა (ჩემგან რამდენიმე ქუჩის დაცილებით ცხოვრობდა) და მათ ქირით ახვეტინებდა სახლის მახლობელ ტროტუარს, უკანა ეზოში აწვევინებდა დაცვნილ ფოთლებს, სარდაფში აზიდვინებდა შეშას და ზოგიერთი მარტივი საშინაო საქმიანობითაც ტვირთავდა; სარდაფში

მოწყობილ განმარტოებულ პატარა სერალში ბიჭუნებს უმასპინძლებოდა ფრანგული შოკოლადის კანფეტებით, რომლებიც „ნამდვილი“ ლიქიორით იყო ავსებული; იქვე, წყალსადენის შენიღბულ მილებს შორის, ობმოკიდებულ, მაგრამ ხალიჩებით მორთულ კედლებზე ხანჯლები და პისტოლეტები ეკიდა. სხვენზე „ატელიე“ ჰქონდა გამართული: ჩვენი ძვირფასი შარლატანი ფერწერითაც ერთობოდა. მანსარდის დამრეცი კედელი მან ჩაფიქრებული ანდრე ჟიდის, ჩაიკოვსკის, ნორმან დუგლასის, ორი ცნობილი ინგლისელი მწერლის, სქელფეხა, მთლიანად ლედვის ფოთლებით შემკული ნიჟინსკის, ჰაროლდ ესექსისა (შუა დასავლეთის კოლეჯის მემარცხენე, მეოცნებე პროფესორის) და მარსელ პრუსტის მოზრდილი პორტრეტებით აავსო. ეს საცოდავი არსებები საცაა ჩამოცურდებოდნენ დახრილი სიბრტყიდან. ამას გარდა, გასტონს ალბომში შეეგროვებინა მის უბანში მცხოვრები ყველა პატარა ჯიმისა და ჯეკის მყისიერი ფოტოსურათები. როდესაც ალბომს ვფურცლავდი და ქათინაურებს წარმოვთქვამდი, გასტონი სქელ ტუჩებს ბურცავდა და სანტიმენტალური მანჭვით ამბობდა: „Oui, ils sont gentils“[81], თან თავლისფერ თვალებს აცეცებდა სახელოსნოში მიმოხეულ მეტ-ნაკლებად მხატვრული ღირებულების მქონე სამშვენისებზე. აქ მისი ნახელავი უბადრუკი ტილოებიც (პრიმიტიულ-პირობითად დახატული თვალები, ჩამოჭრილი გიტარები, ლურჯი კერტები, გეომეტრიული ნაყმები – ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რასაც „თანამედროვეს“ უწოდებენ ხოლმე) ეკიდა. დროდადრო ჩემი მასპინძელი რომელიმე საგნის, მოხატული ხის სასალათის ან დამარღვული ვაზისკენ გაურკვევლად იწვდიდა ხელს და მთავაზობდა: „Prenez donc une de poires. La bonne dame d'en face m'en offre plus que je n'en peux savourer“[82], ან „Mississe Taille Lore vient de me donner ces dahlias, belle fleures que j'exècre“[83] – (ამას პირქუშად, დაღვრებით, მსოფლიო სევდის განცდით ამბობდა...). კვირაში ორჯერ თუ სამჯერ ჭადრაკს ვეთამაშებოდი და ამ დროს, ცხადია, ჩემს ბინაში ყოფნა მერჩინა. გასტონი ძველ, შელახულ კერპს ჰგავდა – დამჯდარს, ფაფუკი ხელები მუხლებზე ეწყო და დაფას ისე უმზერდა, თითქოს ეს ვიდაცის გვამი იყო. ათი წუთის განმავლობაში ქშინავდა და ფიქრობდა – შემდეგ კი მცდარ სვლას აკეთებდა. ზოგჯერ, კიდევ უფრო ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ამბობდა: „Au rois!“[84], თან ბებერი ქოფაკივით ზანტად წკაწკავებდა, ბოლოს კი დაიბუყბუყებდა ხოლმე და ამ დროს ლაშები ლორწოსავით უთრთოდა; როდესაც ვუთითებდი, რომ სწორედ მისი მეფე იყო განწირული, გასტონი ღრმა ოხვრით მაღლა სწევდა სამკუთხა წარბებს. ჩემს ცივ კაბინეტში მესმოდა, როგორ ეუფლებოდა

ფეხშიშველა ლოლიტა საბალეტო ტექნიკას სასტუმრო ოთახში. გასტონს სასიამოვნოდ თენთავდა თამაში და მის ცნობიერებამდე ვერ აღწევდა ეს შიშველი რიტმები – ერთი-და, ორი-და, ერთი-და, ორი-და, სხეულის სიმძიმე ინაცვლებს გამართულ მარჯვენა ფეხზე, მარცხენა ფეხს სწევთ გვერდზე და ზევით; ლოლიტა მაღლა ხტებოდა და ფეხებს შლიდა, ან კიდევ ცალ ფეხს ხრიდა და მეორეს მაღლა სწევდა, შემდეგ მიფრინავდა და ფეხის წვერებზე ეცემოდა – და მხოლოდ მაშინ იწყებდა ჩემი ამრეზილი, უფერული, მედიდური მოწინააღმდეგე ლოყის ან თავის სრესას, თითქოს ამ შორეულ კაკუნს იმ საშინელ დარტყმებთან აიგივებდა, რომელთაც მას მოწინააღმდეგის მრისხანე ლაზიერის ტარანი აყენებდა.

ზოგჯერ ლოლა დაუდევრად შემოგოგმანდებოდა ხოლმე ჩვენთან, სანამ დაფასთან თავს ვიმტვრევდით – ამ დროს დიდ სიამოვნებას მანიჭებდა გასტონის ქცევა: ის სპილოსნაირ თვალს ფიგურებს არ აცილებდა, თან ცერემონიულად დგებოდა, რათა ლოლიტას მისალმებოდა, ხელის ჩამორთმევისთანავე იცილებდა გოგონას დუნე თითებს, ისე, რომ სახეზე არც კი უყურებდა; შემდეგ კვლავ ჯდებოდა და ჩემ მიერ დაგებულ მახეში ებმებოდა. ერთხელ, საშობაოდ, ორი კვირის უნახავმა გასტონმა მკითხა: „Ex toutes vos fillettes, elles vont bien?“ [85] ერთადერთი ლოლიტა ჩემს მეგობარს გაემრავლებინა კოსტიუმთა იმ ნაირსახეობებზე, რომელთაც ის პირქუშად შეავლებდა ხოლმე თვალს გოგონას გამოჩენათა დროს; ლოლიტას კი ხან ვიწრო ლურჯი შარვალი ეცვა, ხან – ქვედატანი, ხან – ტრუსი, ხან – დალიანდაგებული ხალათი, ხან – პიჟამა. არ მსურდა, ამდენი ყურადღება დამეთმო საბრალო გასტონისათვის (დასანანია, რომ ერთი წლის შემდეგ ის ველარ დაბრუნდა ევროპაში მოგზაურობიდან – გაეხვია dans un sale histoire [86], რაც, თითქოს საგანგებოდ, ნეაპოლში მოხდა). ამ კაცს სულაც არ მოვიხსენიებდი, მაგრამ ბერდსლეიში მისი ყოფნა მეტად უცნაურ კონტრასტს უქმნიდა ჩემს ცხოვრებას. ის ახლა თავის დასაცავად მჭირდება. აი სრულიად უნიჭო ადამიანი; უვარგისი მასწავლებელი; უხეირო მეცნიერი; უგუნებო, ზორზოხი, ბინძური, გამოუსწორებელი მამათმავალი, რომელსაც ასე სძაგდა ამერიკა; რომელიც კმაყოფილი იერთო ყოყოჩობდა, რომ ინგლისურ ენას არ ფლობდა და, ამასთან, მშვენივრად გრძნობდა თავს დარბაისლურ ახალ ინგლისში; მოხუცების ნებიერი და ყმაწვილების მიერ ნაფერები, დღემუდამ განცხრომას ეძლეოდა და ყველას ასულელებდა; და მე კი –

7. ახლა უსიამო რამ უნდა გაუწყოთ: ლოლიტას ზნეობრივი იერსახე ძალზე შეირყვნა. ერთი მხრივ, გოგონას მონაწილეობა მის მიერ შთაგონებულ სასიყვარულო აღმადრენაში ყოველთვის უმნიშვნელო იყო; მეორე მხრივ, ვერც ანგარება აიძულებდა, ხათრი გაეწია ჩემთვის. მე კი უნებისყოფოდ, წინდაუხედავად ვიქცეოდი და ჩემი გიმნაზისტი ნიმიფეტის ტყვეობაში ვიმყოფებოდი. რაც უფრო კნინდებოდა მისი ადამიანური თვისებები, მით უფრო მძაფრდებოდა ჩემი ჟინი, ჩემი ვნება, ჩემი გვემა; და ლოლიტამაც ისარგებლა ამით.

ყოველკვირეულ ჯამაგირს იმ პირობით ვუხდიდი, რომ დღეში სამჯერ თავისი ძირითადი მოვალეობა შეესრულებინა; ბერდსლეის ეპოქის დასაწყისში ის ოცდაერთ ცენტს აღწევდა (ხოლო ამ ეპოქის დასასრულს დოლარსა და ხუთ ცენტამდე გაიზარდა. ასე რომ, ყოველი სენსი ერთი კი არა, უკვე ხუთი ცენტი მიჯდებოდა). ეს იყო ძალზე გულუხვი ანაზღაურება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გოგონა გამუდმებით ღებულობდა ჩემგან წვრილ-წვრილ საჩუქრებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამკერძალა ტკბილეულის გასინჯვა ან ახალი ფილმის ნახვა; რა თქმა უნდა, ამისთვის მოვითხოვდი დამატებით კოცნას ან დამატებითი ალერსის მთელ ასორტიმენტს, როდესაც ვიცოდი, რომ მას სული ელეოდა მისი ასაკისათვის შესაფერისი სიამოვნების მოლოდინში. შევნიშნავ, რომ ლოლიტასთან ურთიერთობა ადვილი როდი იყო. ის მეტად უხალისოდ ცდილობდა თავისი სამი ცენტის, (შემდეგ კი – თხუთმეტი ცენტის) გამომუშავებას; ზოგჯერ უწყალოდ მევაჭრებოდა, როდესაც შეეძლო, აღეკვეთა ჩემთვის დამღუპველი, საგანგებო, უჩვეულო, შემპარავი, საამო სამსალა, რომლის გარეშე ზედიზედ რამდენიმე დღესაც კი ვერ გავმლებდი. უზომო ნეტარება ისე მადუნებდა, რომ ძალდატანებას ვერ მივმართავდი. ლოლიტას კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი ფაფუკი ბაგეების ჯადოსნური ძლევაძლიერება. ერთი წლის განმავლობაში მოახერხა, ამ მომსახურების საზღაური სამ და ოთხ დოლარამდეც კი გაეზარდა! მკითხველო! ნუ გაგვიცინება! უკიდურესი ტკბობისას მოშლილ მანქანასავით ვანთხევდი სიმდიდრეს – ჩხრიალით ვყრიდი ათცენტიაწებს და ოცდახუთცენტიაწებს, ზოგჯერ – ვერცხლის მსხვილ დოლარებსაც. ეპილეპტიკის გახელების გამომწვევი გოგონა ზემოდან დასცქეროდა მას; მონეტები ღონივრად ჩაებლუჯა პაწია მუშტში, რომელსაც შემდგომ ღონიერ ფრჩხილებს ვაჭერდი და ვუხსნიდი (თუკი, რა თქმა უნდა, სადმე გაქცევასა და ნაქურდალის დამალვას ვერ მოასწრებდა). ხშირად ვჩხრეკდი ლოლიტას

ოთახს, ვსინჯავდი ვარდებით მოხატულ ლამაზ სანაგვე კალათში ჩაყრილ ქაღალდის ნაფლეთებს, გამოწმედი ჩემ მიერ ახლახან მილაგებულ ქაღალდებრივ საწოლს (ზუსტად ასევე, ყოველ მეორე დღეს ნელ-ნელა გარს ვუვლიდი სასკოლო რაიონს; ვათვალისწინებდი რძის ბარებს და ვზვერავდი ბნელით მოცულ ხეივნებს, რათა გულისცემის ხმაურსა და ფოთოლცვენის შრიალში ყური მიეგდო გოგონების შორეული კისკისისათვის). ლოლიტას ერთ წიგნში (რომელსაც შესაფერისი სახელწოდება ჰქონდა – „განძთა კუნძული“) რვა დოლარი ვიპოვე, ხოლო უისტლერის „დედის“ რეპროდუქციის უკან, კედლის ხვრელში კი – ოცდაოთხი დოლარი და ხურდა აღმოვაჩინე, ვთქვამს, სულ ოცდაექვსი დოლარი; ეს თანხა არხეინად მივითვისე. ლოლიტასთვის არაფერი მითქვამს. მალე მან თავხედურად თვალი თვალში გამიყარა და „უნამუსო ქურდი“ უწოდა უპატიოსნეს ქალბატონ გულიგანს. შემდეგში ლოლიტამ გამართლა თავისი მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი და ისეთი სამალავი გამოძებნა, რომლის პოვნა ვეღარ მოვახერხე; მაგრამ ამ დროისათვის ეკონომიური რევოლუცია განვახორციელე და ვაიძულე, სამწულო, გულისამრევი ხერხით თანდათან დაემსახურებინა სკოლის თეატრალურ პროგრამაში მონაწილეობის უფლება; გაკოტრება არ მაშინებდა; უბრალოდ, ვვარაუდობდი, რომ ლოლიტა საკმარისი თანხის მოგროვებისთანავე გამექცეოდა. ამ საცოდავ, გამწარებულ გოგონას, ალბათ, ეგონა, რომ ორმოცდაათიოდე დოლარის მეშვეობით ბროდვეიმდე ან ჰოლივუდამდე მიაღწევდა ან, ყოველ შემთხვევაში, გზისპირა რესტორნის

ამაზრუნენ სამზარეულოში („გვესაჭიროება მიმტანი“) ამოყოფდა თავს, იქ, სადაც პირქუშ ტრამალებში ქარი ზუზუნებდა, და გიტარების, ფარებისა და ბარების თავზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ, და ირგვლივ სიბილწე, სიღამპლე, სიკვდილი სუფევდა.

8. ბატონო მოსამართლე, ყოველწინადად ვეცადე, „კავალერების“ პრობლემა გადამეწყვიტა. არ დაიჯერებთ, მაგრამ ადგილობრივ გაზეთს, „ბერდსლის ვარსკვლავსაც“ კი ვათვალისწინებდი – აქ ყმაწვილთათვის საგანგებო რუბრიკა იყო გამოყოფილი. მსურდა, გავრკვეულიყავი, რა მომემოქმედა. „რჩევა მამებს: ნუ დააფრთხობთ თქვენი ასულის ახალგაზრდა მეგობრებს. დაუშვით, გიჭირთ იმის შეგნება, რომ ახლა ის ვაჟებს მოსწონთ; თქვენი პატარა გოგონა, ჭაბუკების შეხედულებით, მშვენიერი და საინტერესო, ლამაზი და მხიარული ქალიშვილია. დღეს მსხვილი გარიგებებით ხართ დაკავებული თქვენს სადირექტორო კაბინეტში, მაგრამ გუშინ, უბრალოდ, გიმნაზისტი ჯიმი იყავით და ჯენის ეხმარებოდით სახელმძღვანელოების ტარებაში. აბა, გაიხსენეთ! განა არ გსურთ, რომ ახლა თქვენი ასული გააბედნიეროს იმ ვაჟების აღტაცებამ, რომლებიც მას მოსწონს? ნუთუ არ გსურთ, რომ მათ ერთობლივად შეიქციონ თავი ჯანსაღი გართობით?“ ჯანსაღი გართობით? დემერთო ჩემო! „რატომ არ გსურთ, ეს ტომი და ჯონი თქვენს სტუმრებად მიიჩნიოთ? რატომ არ შეიძლება, გაესაუბროთ მათ? აიძულეთ ჭაბუკები, ილაპარაკონ, იცინონ, ილალონ“. ჩემს სახლს ეწვევი ხომ, ვით საროსკიპოს, ტომ? „თუ გოგონა უწესოდ იქცევა, ნუ ეჩხუბებით მას, სანამ „თანამზრახველი“ შორიახლოს იმყოფება. დაე, თქვენმა ასულმა მამის უკმაყოფილების სიმძიმე მაშინ შეიგრძნოს, როდესაც მარტონი დარჩებით; კავალერს ნუ აფიქრებინებთ, რომ მისი სატრფო ბებერი კაციჭამიას ქალიშვილია“. ბებერმა კაციჭამიამ პირველ რიგში ორი სია გაამზადა – ერთი „აბსოლუტურად აკრძალულისა“, მეორე კი – „უხალისოდ ნებადართულისა“. აბსოლუტურად აკრძალული იყო კავალერთან

ერთად სეირნობა – განმარტოებით, სხვა წყვილთან ერთად (მომდევნო ნაბიჯი მათ მასობრივ ორგანიზაციამდე მიიყვანდა). ნებადართული იყო რძის ბარში სიარული მეგობარ გოგონებთან ერთად, აგრეთვე – ხითხითი და ყბედობა იქ შემთხვევით გაცნობილ ვაჟებთან (სანამ მე ავტომობილში ველოდებოდი). ლოლიტას ვუთხარი, რომ თუ მის ჯგუფს ყოველწლიურ მეჯლისზე (მასწავლებელთა და მათი ცოლების ზედამხედველობით) მიიწვევდა ვაჟთა კერძო გიმნაზიის (ეგრეთ წოდებული „ბუტლერის გიმნაზიის“) სოციალურად შესაფერისი ჯგუფი, მაშინ ლოლიტას ნებას მივცემდი, ჩაეცვა პირველი სამეჯლისო კაბა – ჰაეროვანი, ვარდისფერი კაბა, რომელშიც თხელმკვლავებიანი ცამეტი-თოთხმეტი წლის გოგონა ფლამინგოს წააგავს. გარდა ამისა, აღუთქვი, რომ ჩვენს სახლში სადამოს წვეულებას მოვაწყობდი. მას შეეძლო, დაეპატიუებინა ყველაზე ლამაზი მეგობრები და ყველაზე ზრდილი გიმნაზისტები, რომელთაც იმ დროისათვის გაიცნობდა ბუტლერის გიმნაზიის მეჯლისზე. ამასთან, დავარწმუნე, რომ სანამ ჩემი რეჟიმი ბატონობდა, არასოდეს, არასოდეს დავრთავდი ნებას, კინოში წასულიყო ან მანქანაში ჩამჯდარიყო აღზნებულ ვაჟთან ერთად, ან კავალერებს შეხვედროდა წვეულებებზე, ან სმენადობის ზღვარს მიღმა დიდხანს ემასლაათა ტელეფონით რომელიმე ჭაბუკთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ლოლიტას „მხოლოდ ჩემს

ერთ მეგობართან მისი დამოკიდებულების გარკვევა" სურდა. გოგონას აშმაგებდა ეს აკრძალვები და შეზღუდვები. „ქეციანი გაიძვერა“ ხარო, მიყვიროდა და უარესი გამოთქმებითაც მამკობდა. ბოლოს და ბოლოს მოთმინებას დაეკარგავდი, მაგრამ უცერად ყოველივეს მივხვდი (და გულზე მომეშვა); ლოლიტა იმიტომ კი არ ბრაზობდა, რომ ამა თუ იმ სიამეს ვაკლებდი, არამედ ზოგადი უფლებების აღკვეთას გამოჰყავდა წონასწორობიდან. მე, თურმე, ხელი აღვმართე ცხოვრების პირობით პროგრამაზე, საყოველთაოდ მიღებულ გასართობებზე, იმაზე, რასაც ყველა აკეთებს, ყმაწვილურ რუტინაზე; რადგან არაფერია ბავშვზე უფრო კონსერვატული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ბავშვი გოგონაა – საზღაპრო, ქერა, თეთრ-ყირმიზი ნიმფეტი, რომელიც ოქტომბრის ვენახისფერი ნისლეულითაა გარემოცული. სწორად გამიგეთ. ჯერ დავიფიცებ, რომ იმ ზამთრის (1948-1949 წწ.) განმავლობაში ლოლიტამ უგვანი ურთიერთობა არ დაამყარა ბიჭებთან. ჩემი მოცლილობის ჟამს მას თვალს არ ვაცილებდი, მაგრამ ზოგჯერ დრო მაინც გაურკვეველად მიჰონავდა სადღაც, რასაც ლოლიტა მეტისმეტად მიკიბულ-მოკიბული განმარტებებით ნიღბავდა; ჩემი ეჭვიანობის დატეხილი ჭანგები რამდენჯერმე მაინც გამოედო ნიმფეტური მზაკვრობის სიფრიფანა ქსოვილს; ამასთან, მკაფიოდ ვგრძნობდი, – და ახლა შემიძლია დავადასტურო ამ გრძნობის სისწორე, – რომ სერიოზული საშიშროება არ მემუქრებოდა. არასოდეს წავეყდომივარ სადღაც, უკანა პლანზე მოფუსფუსე, მდუმარე, მამრობითი სქესის რომელიმე სტატისტის ნორჰ კისერს (რომელსაც იოლად მოვგრებდი). „ცხადზე ცხადი იყო“ (დეიდაჩემის საყვარელი გამოთქმა), რომ ჩემს პატარა, გაწაფულ სატრფოს ერთნაირად სმაგდა უფროსკლასელი ვაჟები, დაწყებული გაოფლილი ყეყეჩით, გულის ფანცქალით რომ მოელის ჩაბნელებულ კინოთეატრში გვერდით მჯდარი გოგონას ხელზე ხელის მოკიდების წამს, და დამთავრებული სარბოლი მანქანასავით სწრაფი ავტომობილის მფლობელი, თავდაჯერებული, ბუგრიანი მოძალადით. „გულს მირევენ ბიჭები და მათი ნიჭები“, დაჯღაბნა მან სახელმძღვანელოში. ქვემოთ კი მონას (რომელსაც წუთი

წუთზე მოველოდი) ხელწერა გავარჩიე: „რიგერზე რა აზრისა ხარ?“ (მისი მოსვლის დროც დადგა). ამიტომ ლოლიტას ნაცნობი ჭაბუკები ჩემს მხესიერებაში უპიროვნო არსებების სახით აღიბეჭდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა („წითელსვიტრიანმა“) გოგონა სახლამდე მოაცილა. ეს იმ დღეს მოხდა, როდესაც პირველი თოვლი მოვიდა. სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან ვუცქერდი, როგორ საუბრობდნენ ისინი პარმადთან. ლოლიტას ეცვა მისი პირველი ბეწვისსაყელიანი პალტო; ჩემს საყვარელ ვარცხნილობას (თმა შუბლზე თანაბრად ჰქონდა შეკრეჭილი, ყურებს ხუჭუჭა კულულები უფარავდა, კეფაზე კი ბუნებრივი ტალღები ეფინა) ყავისფერი ქუდი შვენიოდა. სინესტისგან ჩამუქებული მოკასინები და თეთრი წინდები ჩვეულებრივზე უფრო ულაზათოდ მეჩვენებოდა. როგორც ყოველთვის, ლოლიტა მკერდზე წიგნებს იხუტებდა, თან თანამოსაუბრეს უსმენდა. ფეხების შესტიკულაცია წამითაც არ შეუწყვეტია: ხან მარცხენა ფეხს მარჯვენა ფეხის ზურგს აბჯენდა, ხან ქუსლს უკან სწევდა ან ფეხებს გადააჯვარედინებდა ხოლმე; შემდეგ ქანაობას იწყებდა, მონიშნავდა რამდენიმე წინ გადასადგმელ ნაბიჯს, – და მთელ სერიას თავიდან იწყებდა. იყო „ქარგამძლე“ ჭაბუკიც, რომელიც კვირადღეს ლოლიტას რესტორნის წინ ელაპარაკებოდა, ვაჟის დედას და დას კი მე სადღაც მივყავდი და უსაგნო საუბრის გაბმას აპირებდნენ; ფეხები უკან მრჩებოდა და განუწყვეტლივ ვიხედებოდი ჩემი ერთადერთი სიყვარულისკენ. ლოლიტამ არაერთი ტრადიციული გრიმასა აითვისა, მაგალითად, „ზრდილი ქალიშვილივით“ იკრუნჩხებოდა სიცილისგან: თავს დაბლა ხრიდა, ჯერ კიდევ უმწეოდ იცინოდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევდა (გული უგრძნობდა, რომ მალე დავეუძახებდი), შემდეგ შემოტრიალდებოდა ხოლმე და ჩამქრალი ღიმილით ჩემკენ მოემართებოდა. გაცილებით უფრო მომწონდა, როდესაც ის ოხვრით („ოჰ, ღმერთო ჩემო!“) ბედისადმი მხიარულ-მეოცნებე მორჩილებას გამოხატავდა ან დაბალი ხმით ნელა ბრდღვინავდა: „აჰ, არა!“, თუმცა ბედისწერა უკვე აღსრულებული იყო. მაგრამ ყველაზე უფრო ვტკბებოდი მისი ცქერით, როდესაც – რაკი საუბარი შესტებსა და სინორჩეზე ჩამოვარდა – თავის ახალ ველოსიპედზე შემჯდარი გოგონა თეერის ქუჩაზე აქეთ-იქით სეირნობდა. ველოსიპედსაც თვალწარმტაცი და ნორჩი იერი ჰქონდა; ლოლიტა პედლებზე დგებოდა, რათა უფრო სწრაფად ეტრიალებინა ისინი, შემდეგ კვლავ ნარნარად ჯდებოდა და ამ მდგომარეობას ინარჩუნებდა, სანამ ველოსიპედი სვლას არ შეანელებდა; ჩვენს საფოსტო ყუთთან ჩერდებოდა, სწრაფად ფურცლავდა ყუთიდან ამოღებულ ჟურნალს, კვლავ ყუთში ავდებდა, ენის წვერს ტუჩის კუთხეს აბჯენდა, ფეხს მიწას ჰკრავდა და ისევ მიარღვევდა შუქ-ჩრდილის მკრთალ ორნამენტებს. საერთოდ, ლოლიტა მშვენივრად შეეგუა თავის გარემოცვას. ადრე ამაში ეჭვი მეპარებოდა, განებივრებულ პატარა მხევალს ვუთვალთვალე და ვაკვირდებოდი მისი ქვევის სამაჯურებივით საჩინო თავისებურებებს (რომლებითაც მას გულუბრყვილოდ თავი მოჰქონდა იმ ზამთარს, კალიფორნიაში ყოფნისას). თუმცა ვერასოდეს შევეგუე მუდმივ მღელვარებას, რომელიც თან ახლავს დიდი

ცოდვილების სათუთი გულების მგერას, მაგრამ მიმაჩნდა, რომ დაცვითი შეფერილობის თვალსაზრისით უფრო დამაჯერებელს ვერაფერს ვიპოვიდი. როდესაც ლოლიტას ცივ სამინებელ ოთახში განცდილი თაყვანებისა და სასოწარკვეთის

შემდეგ ჩემს ვიწრო საკაბინეტო საწოლზე ვწვებოდი, განვლილი დღის მოვლენებს ვიგონებდი: ფეხაკრეფით მივიპარებოდი (და არა უბრალოდ მივდიოდი) საკუთარი წარმოსახვის აგზნებული შინაგანი თვალთახედვის წინაშე. ვხედავდი, როგორ აცილებდა ქალიშვილს სკოლაში დ-რი ჰუმბერტი – ბულვარული რომანების ეს „ლამაზი შავგვრემანი მამაკაცი“, რომლის ძარღვებში, შესაძლოა, კელტური სისხლიც ჩქეფდა. ის, ალბათ, კონსერვატულ (ან ყველაზე კონსერვატულ) რელიგიას მისდევდა; ვაკვირდებოდი, როგორ ესალმებოდა დ-რი ჰუმბერტი ნელი ღიმილითა და შავი, ხშირი წარბების აწკეპით კეთილ ქალბატონ გულიგანს, რომელიც საშინლად ყარდა და რომელიც, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში, სახლის პატრონისეულ ჯინის ბოთლს ეწაფებოდა. დასავლეთით მცხოვრები მეზობლის (ყოფილი ჯალათის ან რელიგიური ბროშურების ავტორის – ვისი რა საქმეა?) თვალთ, მისი კაბინეტის გულახდილი ფანჯრიდან ვუმზერდი ჩვენს გმირს (რა ჰქვია? მგონი, ფრანგია ან შვეიცარიელი), რომელიც საბეჭდ მანქანასთან იჯდა და რაღაცაზე ფიქრობდა (საკმაოდ მოთენთილი პროფილი, ფერმკრთალ შუბლზე თითქმის ჰიტლერის მსგავსად ჩამოცვნილი თმა). უქმე დღეებში შეიძლებოდა გვეხილა, როგორ მიდიოდა მოხდენილ პალტოში გამოწყობილი, ყავისფერხელთათმანებიანი პროფესორი ჰ. ჰ. „ვალტონისკენ“ (ეს კაფე ცნობილი იყო ფაიფურის იისფერბაფთებიანი ბოცვრებითა და შოკოლადის კოლოფებით; ხშირად მათ შორის ვიჯექი და ვუცდიდი, როდის განთავისუფლდებოდა ორი კაცისთვის განკუთვნილი, წინამორბედი წყვილის ნასუფრალით გაბინძურებული მაგიდა). სამუშაო დღეებში პროფესორი მედიდურად ესალმებოდა აღმოსავლეთით მცხოვრებ ასთვალა მეზობელ ქალს; ახლა ვხედავთ, რომ სამუშაო დღეს, დაახლოებით დღის პირველ საათზე ფრთხილი მანევრირების შემდეგ ავტომობილი გარაჟიდან გამოჰყავს, ღვიის წყეულ ბუჩქებს გვერდს უქცევს და მოლიპულ გზაზე ჩამოდის...

უნივერსიტეტის ჩახუთულ ბიბლიოთეკაში წიგნს გულგრილ მზერას ვაცილებ და კედლის საათს ვუყურებ. ჩემ გარშემო სხედან ჭარბი ცოდნისგან ლოდებად ქცეული ახალგაზრდა ქალები. კოლეჯის ეზოში მივაბიჯებ კულტის მსახურ რიგერთან ერთად (ის ქალთა გიმნაზიაში შეთავსებით ასწავლის საღმრთო სჯულს): „ვიდაცამ მითხრა, რომ დოლის დედა სახელგანთქმული მსახიობი იყო და თვითმფრინავის ავარიას ემსხვერპლა. ასე არაა? მამასადაძამე, ცუდად გამიგია. მართლა? აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე. ძალზე დასანანი“ (დედაშენის სუბლიმირებას ცდილობ, ჩემო კეთილო?). დინჯად მივაგორებ ლითონის ურიკას, რომელიც სუპერმარკეტის ლაბირინთში პროდუქტებით ივსება. ჩემ წინ ასევე დინჯად მიაბიჯებს პროფესორი ვ., უწყინარი ქვრივი, რომელსაც ვაცის თვალეები აქვს. ნიჩბით ვასუფთავებ დათოვლილ შესასვლელს: პიჯაკი არ მაცვია, კისერზე საუცხოო შავ-თეთრი შარფი მაქვს შემოხვეული. უკან მივყვები ჩემს გიმნაზისტ ქალიშვილს, რომელიც სახლში შედის. ავხორცი მოუთმენლობის ნიშანწყალი არ მეტყობა (ისიც კი მოვახერხე, რომ ჭილობზე ფეხები გამეწმინდა) დოლის დანტისტთან მივყვები... სანდომიანი

ასისტენტი ქალი გაბრწყინებული თვალეებით შეჰყურებს მას... ძველი ჟურნალები... „ne montrez pas vos zhambes“ [87], როგორც განსვენებული იტყოდა ხოლმე. დოლისთან ერთად ვსადილობ რესტორანში: ჩვენ შევნიშნეთ, რომ მისტერ ედგარ ჰ. ჰუმბერტი ბიფშტექსს ევროპული წესით მიირთმევდა – შეუსვენებლივ ხმარობდა დანას. მეგობრები (თითქმის ორეულეები) კონცერტით ტკბებიან: სახემკრთალი

გულდამშვიდებული ფრანგები გვერდიგვერდ სხედან – მოსიე ჰუმბერტი მუსიკალური ქალიშვილის თანხლებით და მოსიე გოდენი პროფესორი ვ-ს (რომელიც ჰიგიენურ საღამოს ატარებდა ბორდელებით განთქმულ ქალაქ პროვიდენსში) არანაკლებ ნიჭიერ ვაჟიშვილთან ერთად. გარაჟს ვაღებ: სინათლის კვადრატი მანქანას შთანთქავს და ქრება. ჭრელი პიჟამა მაცვია. დოლის სამინებელ ოთახში ფანჯრის ფარდას დაბლა ვწევ. ვერავინ მხედავს, როდესაც შაბათ დილას სააბაზანო ოთახის სასწორზე ვწონი ტიტველ, ზამთრის განმავლობაში გათეთრებულ გოგონას. კვირა დილას მეზობლები ხედავდნენ და ესმოდათ (ჩვენ კი გვეგონა, რომ ის ეკლესიაში დადიოდა!), რომ ჰუმბერტი ქალიშვილს ეძახდა: ძალიან არ დაიგვიანო! – გოგონა ჩოგბურთის სათამაშოდ მიდიოდა. პროფესორი თავისი სახლის კარს უღებს ლოლიტას ძალზე დაკვირვებულ მეგობარს: „სერ, პირველად ვხედავ აბრეშუმის საშინაო ქურთუკში გამოწყობილ მამაკაცს – ასეთი რამ მხოლოდ კინოდრამებში მინახავს“.

9. სიამოვნებით ვესწრაფოდი ლოლიტას მეგობრების გაცნობას, მაგრამ მათ არ გაამართლეს ჩემი მოლოდინი. ჩამოვთვლი: ოპალ იქსი, ლინდა ჰოლი, ავის ჩაპმანი, ევა როზენი და მონა დალი (ყველა ეს გვარი, ერთის გარდა, მხოლოდ მიახლოებით წააგავს გოგონების ნამდვილ გვარებს). ოპალს, სათვალთან, მოკრძალებულ, მოუხეშავ, ბუგრიან არსებას, მზე და მთვარე ამოსდიოდა ლოლიტაზე, რომელიც მას იბრიყვებდა; სკოლის საუკეთესო ჩოგბურთელს, ლინდა ჰოლს, დოლი კვირაში ორჯერ მაინც ეთამაშებოდა სინგლის: ვფიქრობ, ლინდა ჭეშმარიტი ნიმფეტი იყო, მაგრამ ჩვენთან რატომღაც არ მოდიოდა ხოლმე (შესაძლოა, უკრძალავდნენ ამას); მისი გახსენებისას წარმომიდგება თვითნაბადი მზის აფეთქება დახურული კორტის მართკუთხედზე. სხვებს, ევა როზენის გარდა, ნიმფეტობის პრეტენზია ვერ ექნებოდათ. ავისი გახლდათ ჩასუქებული, ჯმუხი გოგონა, რომელსაც ბალნიანი ფეხები ჰქონდა. მონა კი, თუმცა ტლანქი, ვნებიანი სილამაზით ბრწყინავდა (ამასთან, მხოლოდ ერთი წლით უფროსი იყო ჩემს ოდნავ მობერებულ სატრფოზე), მაგრამ აშკარად აღარ იყო ნიმფეტი (თუკი დავუშვებთ, რომ ოდესღაც ის ასეთს წარმოადგენდა). ევა როზენი, საფრანგეთიდან „ადგილგადაწველებული“ პატარა „პიროვნება“, აშკარაა, რომ არც ისე ლამაზ გოგონაში გონიერი მოყვარული ზოგჯერ აღმოაჩენს ხოლმე ნიმფეტური ხიბლის ძირითად ელემენტებს: ძალზე წერწეტ, ოდნავ გავსილ ტანს, უჩვეულო, უძრავ მზერას, მაღალ ყვრიმალეს. მისი ბრინჯაოსფერი, კრიალა თმა შეფერილობით თუ არა, აბრეშუმისებრი

ბზინვით მაინც მაგონებდა ლოლიტას კულულებს. გოგონას ვარდისფერი ბაგეები, უფერული წამწამები და მოგრძო რძისფერი სახე ჰქონდა, რაც წითურთმიანთა ზერასობრივ, დიად კლასს ახასიათებს; ამასთან, ის არ ატარებდა მწვანე ტანსაცმელს – ამ კლასის მუნდირს; ევა ყოველთვის წარმომიდგება შავ ან მუქ შინდისფერ სამოსში, მაგალითად, უაღრესად ელეგანტურ შავ პულოვერში და მაღალქუსლიან შავ ფეხსაცმელებში. ფრჩხილებს მოწისფერ-მოწითალო ლაქით იღებავდა და (რაც ლოლიტას ძალზე ეჯავრებოდა) ფრანგულად ლაპარაკი უყვარდა. ევას ინტონაციები ჯერ კიდევ საოცარი სიწმინდით გამოირჩეოდა, მაგრამ სასკოლო და სპორტული ტერმინებისთვის ის სასაუბრო ამერიკულ ენას მიმართავდა. ასეთ შემთხვევებში მის მეტყველებას ერთვოდა ოდნავ შესამჩნევი ბრუკლინური კილო, რაც სასაცილო ელფერს ანიჭებდა ამ პაწაწინა პარიზელ გოგონას, რომელიც ახალი ინგლისის ვსევდო-ბრიტანული პრეტენზიების მქონე სკოლაში სწავლობდა. ლოლიტა თავდაპირველად პატივისცემით ამბობდა, ამ ფრანგი გოგონას ბიძა მილიონერიაო. სამწუხაროდ, მან მალე შეწყვიტა („მაღალი წრის საზოგადოებაში მიღებული“ მოსაზრებების ზეგავლენით) ევასთან მეგობრობა. ამიტომ ვერ მოვასწარი ამ უკანასკნელის სურნელით დატკობა – ო, ძალზე ფრთხილად. ძვირფასი მკითხველისთვის ცნობილია, რომ ყოველთვის ვცდილობდი, ჩემს ლოლიტას პატი გოგონების (წამახალისებელ-საპრიზო ნიმფეტების) მთელი გუნდი ხლებოდა. ერთ დროს მონა დალს ვაკვირდებოდი. მონა ხშირად მოდიოდა ჩვენთან, განსაკუთრებით – საგაზაფხულო სემესტრში, როდესაც ის და ლოლიტა ასე გაიტაცა სასცენო ხელოვნებამ. ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ნეტავ რა საიდუმლოებები გაანდო-მეთქი აღმამფოთებლად უპირო დოლორეს ჰეიზმა მონას; ლო ხომ ერთხელ დაჰყვა ჩემს სასწრაფო და კარგად ანაზღაურებულ თხოვნას და მაუწყა სრულიად გაუგონარი დეტალები იმ რომანის შესახებ, მონამ ატლანტიკის ხანაპიროზე რომ გააბა ვიღაც მეზღვაურთან. ლოლიტამ მესაიდუმლედ აირჩია სწორედ მოხდენილი, გულცივი, გამოცდილი, ზნეწამდარი მონა, რაც ნიშანდობლივი იყო. ერთხელ გავიგონე (ჩემი გოგონა მეფიცებოდა, ყურმა მოგატყუაო), რომ მონამ დაუდევრად უთხრა ლოლიტას (რომელმაც შენიშნა, ჩემი სვიტერი ქალწულებრივი შალისგან არისო მოქსოვილი): „შენ, ჩემო კარგო, მხოლოდ ესა გაქვს ქალწულებრივი“. მონას ხმა კურიოზული ხრინწიანობით გამოირჩეოდა; ის კარგ პარიკმახერთან იხვევდა მქრქალ შავ თმას, მოზრდილ საყურეებს ატარებდა, თავლისფერი, ოდნავ გადმოკარკლული თვალები და მარწყვისფერი ტუჩები ჰქონდა. ლოლიტამ მიაგნო, რომ მასწავლებლები ტუქსავდნენ მონას უამრავი იაფფასიანი სამკაულის ტარების გამო. მას ხელები უკანკალებდა და მიმივ ტვირთად აწვა ასორმოცდაათუნქტიანი გონებრივი კოეფიციენტი. მახსენდება აგრეთვე ვეება შოკოლადისფერი ხალი, რომელიც უკვე სავსებით ქალურ ზურგზე აჩნდა. ხალი მაშინ შევამჩნიე, როდესაც ლოლიტამ და მონამ ბუტლერის სკოლაში გამართული მეჯლისისთვის პასტელის ფერის ღრმად ამოჭრილი კაბები ჩაიცვეს. ცოტათი ავჩქარდი – როდესაც ბერდსლეიში გატარებულ სასწავლო წელზე ვფიქრობ, მეხსიერება, ჩემდა უნებურად, მთელ კლავიატურას გაირბენს ხოლმე. მადმუაზელ დალს ვკითხე, თუ რომელ ვაჟებთან მეგობრობდა ლოლიტა, მაგრამ მან მარჯვედ ამიგდო სიტყვა ბანზე. ეს იყო იმ დღეს, როდესაც ლოლიტა ჩოგბურთის სათამაშოდ წავიდა „მაღალი

წრისთვის" განკუთვნილ იმ სპორტულ კლუბში, რომლის წევრიც ლინდა გახლდათ; მან იქიდან ტელეფონით დამირეკა და მაცნობა, ალბათ, ერთი საათით დამავიანდებო; მთხოვა, გამერთო მონა, როდესაც ის „ჭირვეულის მორჯულების“ ერთი სცენის სარეპეტიციოდ მოვიდოდა. და აი, ლამაზი მონა თავისი ხმისა და ქცევის ყველა მოდულაციითა და მთელი ხიბლით მაჯადოებდა. მან დაუფარავი ირონიით შემომხედა (იქნებ ვცდებოდი?) და ასე მიპასუხა: „სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენ მეტოქეები ვართ. ორივეს გაგიჟებით გვიყვარს უწმინდესი რიგერი (ეს მოარული ხუმრობა იყო. ზემოთ უკვე მოვიხსენიე გოლიათური აღნაგობის უკარება, ხეპრე კაცი, კინადამ მკვლელობა რომ ჩამადენინა – მშობელთათვის გამართულ რომელიღაც საღამოზე გაუთავებელი საუბარი გამიბა შვეიცარიაში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ). „მეჯლისმა როგორ ჩაიარა?“ „ოჰ, გადასარევი იყო!“ „მაპატიეთ?“ „მეჯლისი კი არა, სამოთხე იყო. ერთი სიტყვით, საუცხოო მეჯლისი იყო“. „დოლიმ ბევრი იცეკვა?“ „არც ისე ბევრი, მალე მობეზრდა“. „რას ფიქრობს მონა (მიბნედილი მონა) თვით დოლის შესახებ?“ „რა გაგებით, სერ?“ „როგორ ჰგონია მონას, დოლი წარმატებებით სარგებლობს სკოლაში?“ „უჰ, როგორი გოგოა!“ „რას იტყვით მისი საერთო ყოფაქცევის შესახებ?“ „რიგიანი გოგოა“. „კი, მაგრამ მაინც...?“ „მშვენიერი გოგოა!“ მონამ ეს დასკვნა შემომთავაზა, მკვეთრად ამოიოხრა, მაგიდიდან რაღაც წიგნი აიღო, სახის გამომეტყველება სრულიად შეიცვალა და, წარბშეკმუხნილმა, მითხრა: „მომიყევით ბალზაკზე, სერ. ის მართლა ასეთი შესანიშნავია?“ შემდეგ ჩემს სავარძელს ისე მოუახლოვდა, რომ, სუნამოსა და კრემების კოსმეტიკური ლექის მიუხედავად, აშკარად შევიგრძენი მისი კანის არაბავშვური, უდიდამო სურნელი. ანაზდად უეცარმა აზრმა განმაცვიფრა: ჩემმა ლოლიტამ მაჭანკლობას ხომ არ მიჰყო ხელი? თუ ასეა, შემცვლელად უხეირო კანდიდატი შეურჩევია. მონას უშფოთველ მზერას თვალს ვარიდებდი, მაგრამ ფრანგულ ლიტერატურაზე ერთი წუთის განმავლობაში მაინც ვილაპარაკე. ბოლოს დოლიც გამოცხადდა, ნაცრისფერი თვალები მოჭუტა და შეგვათვალა. მეგობრები მარტო დავტოვე. კიბის მოსახვევში გაჭრილი საგდულებიანი, ობობას ქსელით დაფარული ფანჯრის ალათაში ჩატანებული იყო ლალისფერი მინის პაწია კვადრატის. ეს სისხლმდინარე ლაქა, რომელიც უფერულ კვადრატებს შორის წითლად ღვიოდა, აგრეთვე – მისი ასიმეტრიული განლაგება (ცხენის სვლა, ბე რვა – ცე ექვსი) ყრუდ მალეღებდა ხოლმე.

10. ზოგჯერ... აბა, გეთაყვა, მითხარით, მაინც რამდენჯერ? ხომ ვერ გაიხსენებთ ოთხ, ხუთ ან მეტ ამგვარ შემთხვევას? იქნებ ვერც ერთი ადამიანის გულს ვერ აეტანა ორ-სამზე მეტი? ზოგჯერ (ვერაფერს ვუპასუხებ თქვენს შეკითხვას), როდესაც სავარძლის გარდიგარდმო გადაწოლილი ლოლიტა უგულისყურად ამზადებდა საშინაო დავალებას (თან ფანქარს წუწნიდა), პედაგოგიური თავშეკავების ბორკილებს ვიცილებდი, ყოველგვარ უთანხმოებას ვივიწყებდი, ჩემს მამაკაცურ თავმოყვარეობას ფეხქვეშ ვქელავდი – და, ოთხზე დაჩოქილი, მივბობლავდი შენი სავარძლისკენ, ლოლიტა! მაშინ გოგონა მიყურებდა ნაცრისფერი, ბუსუსებიანი კითხვითი ნიშნის მსგავსი მზერით (რომელიც თითქოს უნდობლად, გაგულისებით მეკითხებოდა: „როგორ, – ისევ გინდა?“), რადგან შენ არასოდეს გინებებია იმის მიხვედრა, რომ ყოველგვარი გარკვეული განზრახვის გარეშე მწყუროდა, სახე ჩამერგო შენი შოტლანდიური კაბის კალთაში, ჩემო სასურველო! ღმერთო ჩემო, რაოდენ ნატიფი იყო შენი შიშველი ხელ-ფეხი! როგორ მწადდა, მომედრიკა და გულში ჩამეკონებინა ეს ოთხი სიფრიფანა, თვალწარმტაცი კიდური (ფეხმოკეცილ კვიცს დაგამსგავსებდი), შენი თავი უღირსი ხელებით ჩამებლუჯა, საფეთქლების კანი ამეჭიმა და ჩინური თვალები ჩამეკოცნა. „თავი დამანებე, ბებერო პავიანო!“ მეუბნებოდი შენ. – „ღვთის გულისათვის, გთხოვ, ბოლოს და ბოლოს თავი დამანებე!“ და ფეხზე ვდგებოდი; შენ კი მიყურებდი და განზრახ იმანჭებოდი – ჩემს ნერვულ თრთოლას ბამავდი... არა უშავს რა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მე ხომ მხოლოდ ცხოველი ვარ, არა უშავს რა, განვაგრძოთ ეს გულსაკლავი თხრობა.

11. ერთ ორშაბათ დილას (მგონი, დეკემბერი იყო) მისს პრაქტმა დამირეკა და მთხოვა, მოსალაპარაკებლად მივსულიყავი. ვიცოდი, რომ დოლი ბოლო ხანებში ცუდ ნიშნებს ღებულობდა, მაგრამ მაინც ათასი საშინელება წარმოვიდგინე. იძულებული გავხდი, ერთი პინტა ჯინანასი დამეღია, სანამ სკოლაში წასვლას გავბედავდი. ისეთი შეგრძნებით, თითქოს მხოლოდ ხორხი და გული გამაჩნდა, დინჯად ავედი ეზაფოტზე. მისს პრაქტი ძალზე მაღალი, ულაზათო, ჭადარათმიანი ქალი გახლდათ; ფართო, ბრტყელ ცხვირზე ეკეთა რქის სათვალე, საიდანაც პატარა თვალები მოუჩანდა. მან უმსგავს, დამამცირებელ პუფზე მიმითითა, თვითონ კი მძიმედ, მაგრამ ყოჩაღად ჩამოჯდა მუხის

სავარძლის სახელურზე; რამდენიმე ხანს იყუჩა, თან მოღიმარ და ცნობისმოყვარე მზერას არ მაცილებდა (გამახსენდა, რომ პირველი შეხვედრისას ასევე ჩამაშტერდა, მაგრამ მაშინ თავს ნება მივეცი, წარბები პირქუშად შემეკრა); შემდეგ თვალი ამარიდა და ჩაფიქრდა – ალბათ, თვალთმაქცობდა. ბოლოს, თითქოს რაღაც გადაწყვეტილების მიღების ნიშნად, კოტიტა თითებით მუქი რუხი ფერის ფლანელის ქვედატანის წმენდას შეუდგა – როგორც ეტყობოდა, ცარცის ნაკვალევს იცილებდა, ეს საქმიანობა არ შეუწყვეტია და ჩემთვის არ შემოუხედავს, ისე მითხრა: „ნება მიბოძეთ, პირდაპირ გკითხოთ, მისტერ ჰეიზ, თქვენ ძველი ყაიდის, ევროპული ტიპის მამა ხართ, ხომ ასეა?“ „სულაც არა“, მივუგე მე, შესაძლოა, კონსერვატიული მიდრეკილებები მქონდეს, მაგრამ არა მგონია, ძველი ყაიდის კაცი ვიყო“. ქალმა სული მოითქვა, მოიღუშა, შემდეგ მომხბო, ფაფუკი ხელები ასწია და ერთმანეთს შემოაკურა, რითაც მიმანიშნა, საქმის დედაარსზე გადავიდეთო. და კვლავ მომაპყრო მოციმციმე თვალები. „დოლი ჰეიზი“, მითხრა მან, „მომხიბვლელი გოგონაა, მაგრამ, როგორც ჩანს, უჭირს სქესობრივი მომწიფების საწყისი პერიოდის გადალახვა“. თავი ოდნავ დაუკარი. სხვა რა მექნა? „გოგონა ჯერ კიდევ დაბორიალობს“, განაგრძო მისს პრაქტმა და ეს ბორიალი ყავისფრად დაწინწკლული, თითქოს დარიჩინმოყრილი ხელების შესაბამისი მოძრაობით გამოხატა, – ანალურსა და გენიტალურ ზონებს შორის. საერთოდ, დოლი, რა თქმა უნდა, მომხიბვლელია – “. „მაპატიეთ, რომელ ზონებს შორის?“ შევეკითხე. „აი, ახლა კი თქვენში ძველმოდური ევროპელი ალაპარაკდა!“ განაცხადა მისს პრაქტმა, ჩემს მაჯის საათს ხელი ოდნავ დაჰკრა და ხელოვნური კბილები მოულოდნელად დაკრიჭა. მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ დოლის ბიოლოგიური ლტოლვები – პაპიროსი ხომ არ გინდათ? – მთლიანად როდი ერწყმის ფსიქოლოგიურს, მათი გაერთიანება დასრულებული არაა“. და ქალმა წამით ხელები შემოავლო უჩინარ საზამთროს. „დოლი მიშხიდველი, ჭკვიანი, მაგრამ დაუდევარია... (ჩემმა თანამოსაუბრემ, ისე, რომ თავისი ქანდარა არ მიუტოვებია, ხვნეშით გადახედა მომხიბვლელი გოგონას წარმატებათა შეფასების ფურცელს, რომელიც მაგიდაზე იდო) მისი ნიშნები სულ უფრო უარესდება. ჰოდა, თავს ვეკითხები, მისტერ ჰეიზ“, – და კვლავ ეს მოჩვენებითი ჩაფიქრება. „აი, ასეა, – განაგრძო შემდეგ მხნედ, – პაპიროსს ვეწევი და, ჩვენი დაუვიწყარი დოქტორი პირსისა არ იყოს, მეტისმეტად მიყვარს ეს საქმე“. მისი ნესტოებიდან გამოშვებულმა კვამლმა ტახის ეშვები მომაგონა.

„მოდით, რამდენიმე დეტალს აგიწერთ, ეს ბევრ დროს არ წაგვართმევს. სადა მაქვს? (ქალაღებო გადაფურცლა) ჰო, დოლი გამომწვევად ექცევა მისს რედკოკს და აუტანლად უხეშია მისს კორმორანტთან. ეს კი ჩვენი ერთ-ერთი საგანგებო მეცნიერი თანამშრომლის მოხსენებაა; გოგონა სიამოვნებით მღერის საკლასო გუნდში, თუმცა ამ დროს აზრები სადღაც გაურბის. სიმღერისას ფეხს ფეხზე იდებს. მარცხენა ფეხს რიტმულად აქნევს. მისთვის ნიშანდობლივი გამოთქმების რუბრიკა: მოზარდთა ჩვეულებრივი სლენგის ორას ორმოცდაორი სიტყვა და აშკარად ევროპული წარმოშობის მრავალმარცვლიანი სიტყვების გარკვეული რაოდენობა. გაკვეთილებზე ხშირად ოხრავს. სადაა... ჰო. აქ ნოემბრის უკანასკნელი კვირის შესახებაა. ხშირად ოხრავს... ენერგიულად ღეჭავს რეზინს. ფრჩხილებს არ იკვნეტს, სამწუხარო კია – ეს საერთო სურათის შესატყვისი თვისება იქნებოდა – რა თქმა უნდა, მეცნიერული თვალსაზრისით. სუბიექტის თქმით, მენსტრუაცია სავსებით ჩამოყალიბებული აქვს. ამჟამად არც ერთ საეკლესიო ორგანიზაციაში არ მონაწილეობს. ჰო, მართლა, მისტერ ჰეიზ, დედამისი იყო თუ არა – ? აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე. თქვენ თვითონ – ? ჰო, რა თქმა უნდა, ეს არავის ეხება – ალბათ, უფალი ღმერთის გარდა. კიდევ ზოგიერთი საკითხის გარკვევა გვინდოდა. გოგონას, როგორც ჩანს, არავითარი საშინაო მოვალეობა არ აკისრია? აჰა, კეთილი, კეთილი. თქვენ, მისტერ ჰეიზ, ალბათ, გსურთ, რომ დოლი პრინცესასავით გაანებივროთ. კიდევ რა გვაქვს? წიგნებს ხელში იღებს და შემდეგ მეტად გრაციოზულად გადადებს ხოლმე გვერდზე. სასიამოვნო ხმა აქვს. საკმაოდ ხშირად ხითხითებს. ცოტათი მეოცნებეა. საკუთარი იდუმალი ხუმრობები სჩვევია, მაგალითად, ზოგიერთი მასწავლებლის გვარს უკუდმა კითხულობს. ბაცი ქერა ფერის თმაში მუქი კულულები უჩანს, მზხინვარე თმა აქვს – თუმცა, ვფიქრობ (აქ მისს პრაქტი აჭიხვიანდა), – ეს თქვენც იცით. ცხვირით თავისუფლად სუნთქავს. მაღალზურგიანი ტერფები აქვს. თვალები – დაიცათ, აქ უფრო გვიანდელი ანგარიში მქონდა. ჰო! მისს გოლდი ამბობს, რომ ჩოგბურთის სტილის შეფასება „ფრიადიდან“ „შესანიშნავამდე“ გაიზარდა, რაც ჭარბობს ჩვენი ჩემპიონის, ლინდა ჰოლის შეფასებას. ამასთან, დოლი კონცენტრირებას ვერ ახერხებს, რაც ანგარიშშიც გამოსჭვივის. მისს კორმორანტს ვერ გადაუწყვეტია, დოლი არაჩვეულებრივად ფლობს საკუთარ ემოციებს, თუ თვითონ განიცდის მათ ზეგავლენას. მისს ზელვა აცხადებს, რომ მას, ესე იგი, დოლის, არ ძალუძს გრძნობების სიტყვიერი გაფორმება, ხოლო მისს დუტენს მიაჩნია, რომ დოლის ორგანული ფუნქციები ჩინებულია. მისს მოლარი ფიქრობს, რომ დოლი ახლომხედველია და კარგ

ოფტამოლოგს უნდა ეჩვენოს, მის რედუკვი კი, პირიქით, ამტკიცებს, რომ გოგონა ცდილობს თვალების დაავადების სიმულირებას, რათა სწავლის ნაკლოვანებები გაამართლოს. და, ბოლოს, მისტერ ჰეიზი, ერთი რამ ძალზე ადელვებს ჩვენს მკვლევრებს. გულახდილად უნდა გკითხოთ. მინდა ვიცოდე, თქვენმა საბრალო ცოლმა, ან თქვენ თვითონ, ან ოჯახის სხვა რომელიმე წევრმა, – სწორად გავიგე თუ არა, რომ დოლის კალიფორნიაში რამდენიმე დეიდა და პაპა ჰყავს? – აჰ, ყველა გარდაიცვალა? – მაპატიეთ, – მაგრამ მაინც გვადელვებს საკითხი, აუხსნა თუ არა მას ოჯახის რომელიმე წევრმა, როგორ ხორციელდება ძუძუმწოვართა გამრავლება? ყველას ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს თხუთმეტი წლის ასაკში დოლი თანატოლებს ჩამორჩა და სქესის პრობლემები არ აინტერესებს; უფრო

ზუსტად, ის, ალბათ, თრგუნავს თავის ინტერესს მათ მიმართ, რათა თავისი უმეცრება შენიღბოს და საკუთარი ღირსების გრძნობა არ შეზღუდოს. კეთილი, მე შეეცდი – ის თხუთმეტისა კი არა, თითქმის თოთხმეტი წლისაა. მოგეხსენებათ, მისტერ ჰეიზი, რომ ჩვენს სკოლას არ სურს ფუტკრებსა და მტვრიანებზე, ყარყატებსა და ჩიტუნებზე შეთხზული ზღაპრებით ბავშვების მოტყუება. ამასთან, ძალზე მტკიცედ გვჯერა, რომ აუცილებელია მოსწავლე გოგონების მომზადება ურთიერთდამაკმაყოფილებელი ცოლქმრული თანაცხოვრებისა და ბედნიერი დედობისათვის. ვფიქრობთ, დოლი წარმატებით ისწავლის, თუკი ამას მოიწადინებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მის კორმორანტის მოხსენება, საწყენად არ დაგრჩეთ, მაგრამ დოლი უტიფრად იქცევა ხოლმე. ალბათ, საჭიროა, თქვენნი ოჯახის ექიმმა აუხსნას გოგონას სქესობრივი ცხოვრების ელემენტარული საფუძვლები; გარდა ამისა, ნება უნდა დართოთ, თავი შეიქციოს მეგობრების ძმებთან ურთიერთობით – ან „ახალგაზრდობის კლუბში“, ან უწმინდესი რიგერის ორგანიზაციაში ან, ბოლოს, ჩვენი ბავშვების შესანიშნავ ოჯახურ გარემოცვაში!“ „მას შეუძლია ვაჟებთან შეხვედრა საკუთარ შესანიშნავ ოჯახურ გარემოცვაში“. „ვიმედოვნებთ, რომ ასეც იქნება“, აღფრთოვანებით მითხრა მისს პრატმა, „თუმცა, დოლიმ არ მოისურვა თავისი ოჯახური პირობების შესახებ მსჯელობა; მის თანაკლასელებთან მოთათბირების შემდეგ – მისმინეთ – მოვითხოვთ იმ ვეტოს გაუქმებას, თქვენ რომ დაადეთ ჩვენს სპექტაკლებში გოგონას მონაწილეობას. უბრალოდ, ვალდებული ხართ, ნება დართოთ დოლის, ითამაშოს „მოჯადოებულ მონადირეებში“. როლების პირველი განაწილებისას ის მშვენიერი პატარა ნიშნის სახით წარგვიდგა. გაზაფხულზე ავტორი რამდენიმე დღეს გაატარებს ბერდსლეის უნივერსიტეტში და, ალბათ, დათანხმდება, დაესწროს ორ-სამ რეპეტიციას ჩვენს ახალ აუდიტორიაში. უნდა გითხრათ, რომ სწორედ ესაა ბედნიერება – იყო ნორჩი, ლამაზი, სიცოცხლით სავსე არსება. თქვენ უნდა გაიგოთ...“ „ყოველთვის“, ჩავურთე მე, „გულისხმიერ მამად მიმაჩნდა თავი“. „ოჰ, ექვი არ მეპარება! მაგრამ მისს ზელვა და მისს დუტენი ფიქრობენ, – და მეც უნდა დავეთანხმო მათ – რომ დოლის მოსვენებას არ აძლევს სექსუალური ფიქრები. ის გამოსავალს ვერ პოულობს და ამიტომ გამუდმებით აღიზიანებს და აწვალებს გოგონებს – და ზოგიერთ ახალგაზრდა მასწავლებელსაც კი, როდესაც უკუღმა ატრიალებს მათ გვარებს, – რადგან ისინი კავალრებს ხვდებიან“. გაქუცულმა ემიგრანტმა, მხრები ავიჩიჩე. „მოდით, ერთად ვიფიქროთ, მისტერ ჰეიზი. რა ემართება ამ ბავშვს?“ „ჩემი აზრით, სავსებით ნორმალური და ბედნიერია“, ვუპასუხე მე (იქნებ კატასტროფა ბოლოს და ბოლოს მოახლოვდა? იქნებ მამხილეს? იქნებ ჰიპნოტიზიორს მიმართეს?) „მაღელვებს, – თქვა მისს პრატმა, საათზე დაიხედა და თავიდან შეუდგა საკითხის განხილვას, – რომ, აღმზრდელებისა და ამხანაგების შეხედულებით, დოლი მტრულად განწყობილი,

გაღიზიანებული, გულჩათხრობილი გოგონაა, – და ყველას გვიკვირს, რატომ ეწინააღმდეგებით ნორმალური ბავშვებისთვის ჩვეულ ნორმალურ გართობას?“ „სასიყვარულო პრელიმინარიების ჩართვით?“ ვიკითხე თავხედურად, შეუპოვრად, ჩიხში მომწყვდეული ბებერი ვირთხის კადნიერებით. „ეგრე იყოს, მივესალმები თამამ ტერმინოლოგიას“, – წარმოთქვა მისს პრატმა და ჩაიციხა... – „მაგრამ საქმე ეს არაა. ბერდსლეის გიმნაზიაში მოსწავლეებს თვალყურს ადევნებენ, ამიტომ ჩვენთან გამართული სპექტაკლები, ცეკვები და სხვა სახის ბუნებრივი გასართობები ვერ ჩაითვლება უშუალოდ სასიყვარულო პრელიმინარიებად, თუ თქვენი არგუმენტი ამაზე დაიყვანება“. „კეთილი, – მივუგე მე და ჩემმა პუფმა უილაჯოდ ამოიოხრა. – გაიმარჯვეთ. ის ითამაშებს პიესაში. მაგრამ თუ ზოგიერთი როლი მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი, პირობას გიყენებთ: ამგვარი როლები გოგონებს უნდა გადაეცეს“. „ყოველთვის მაცებს, შემეპასუხა მისს პრატი, – რა მარჯვედ იყენებს ზოგიერთი უცხოელი – ან, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ნატურალიზებული ამერიკელი – ჩვენს მდიდარ ენას. დარწმუნებული ვარ, რომ მისს გოლდს (რომელიც დრამატულ ჯგუფს ხელმძღვანელობს) ძალიან გაუხარდება. სხვათა შორის, ის, მგონი,

იმ მცირერიცხოვან მასწავლებლებს განეკუთვნება, რომლებმაც ძნელად აღსაზრდელ დოლისთან საერთო ენა იპოვეს. ესეც ასე, ზოგად საკითხებზე მსჯელობა დავასრულეთ, ახლა ერთი წვრილმანი დავგრძა. მისტერ ჰეიზ, თქვენმა დოლიმ ისევ იეშმაკა". მისს პრატი შეჩერდა, შემდეგ საჩვენებელი თითი ნესტოებქვეშ ისე მძლავრად გაისვ-გამოისვა, რომ მისი ცხვირი საომარ როკვას შეუდგა. „გულახდილი ადამიანი ვარ“, – მითხრა მან, – „მაგრამ ზოგიერთი პირობითობის გამო მიჭირს... კეთილი, მოდი, ამგვარად აგიხსნით: ბერდსლეიში ცხოვრობს უოკერების ოჯახი. მათ ძველ სახლს ჰერცოგის სასახლეს ვუწოდებთ – ალბათ, გინახავთ ბორცვზე წამოჭიმული ეს ვეება რუხი შენობა. უოკერების ორი გოგონა ჩვენს სკოლაში დადის; აქვე სწავლობს აგრეთვე უნივერსიტეტის პრეზიდენტის, დოქტორ მურის ძმისწული, უაღრესად ზრდილი ქალიშვილი; ჩვენი მოსწავლეების რიცხვშია წარჩინებული ოჯახების ბევრი სხვა შთამომავალიც. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საგონებელში ჩაგვაგდო დოლის ქცევამ: გარეგნულად მეტად წესიერი გოგონა ხმარობს ისეთ სიტყვებს, რომლებიც თქვენთვის, როგორც უცხოელისთვის, ალბათ უცნობი ან გაუგებარი იქნება. ხომ არ აჯობებს, დოლის მოვუხმოთ და დაუყოვნებლივ ვიმსჯელოთ ყველაფერზე? არ გასურთ? იცით თუ არა, რომ – მოდი, გულწრფელად ვილაპარაკოთ – დოლიმ დაწერა უხამსი ტერმინი, რომელიც ჩვენი ექიმის, ქალბატონ კუტლერის აზრით, მექსიკურ ქუჩურ ჟარგონზე პისუარს აღნიშნავს? მან ეს სიტყვა კოსმეტიკური ფანქრით მიაწერა ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ ბროშურას (ისინი გოგონებს დაურიგა მისს რედკოკმა, რომელიც ივნისში თხოვდება). გადავწყვიტეთ, დოლი გაკვეთილების შემდეგ ნახევარი საათით დაგვეტოვებინა. მაგრამ თუ გასურთ...”

„არა“, ვუთხარი მე, „არ მსურს თქვენი წესების დარღვევა. პირისპირ მოველაპარაკები. ყოველივეს გამოვარკვევ“. „დიახ, ასე მოიქცით“, მიპასუხა მისს პრატი და სავარძლის სახელურიდან წამოდგა. „ახლო მომავალში კვლავ ვისაუბროთ და თუ არაფერი გაუმჯობესდა, ვთხოვთ თქვენს ექიმს, გამოიკვლიოს გოგონა“. იქნებ პრატიც დავეკორწინდე და შემდეგ მოვგუდო? „გარდა ამისა, თქვენმა შინაურმა ექიმმაც უნდა გასინჯოს. მარტივი, რუტინული შემოწმება იქნება. დოლი დერეფნის ბოლოს, „კლას-თასში“ დავსვი“. განგიმარტავთ, რომ ბერდსლეის გიმნაზია ინგლისის სახელგანთქმულ ქალთა სკოლას ჰბამავდა და საკლასო ოთახებს ურთიერთგანსხვავებულ, თითქოსდა ტრადიციულ სახელწოდებებს აძლევდა, მაგალითად, კლასი-ასი, კლასი-ალმასი და ასე შემდეგ. კლასი-თასი მყრალი ოთახი იყო, რომელშიც დაბრეცილი მერხები იდგა, ხოლო შავი დაფის თავზე რეინოლდის „სიყრმის წლების“ ყავისფერი რეპროდუქცია ეკიდა. ერთ-ერთ მერხზე მჯდარი ლოლიტა ბეკერის „დრამატული ტექნიკის“ იმ თავს ჩაღრმავებოდა, რომელიც დიალოგის ხელოვნებას ეძღვნებოდა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ლოლიტას წინ სხვა გოგონა იჯდა. ძალზე შიშველი, ფაიფურისებრი კისერი და მშვენიერი, ბაცი ოქროსფერი თმა ჰქონდა. ისიც კითხულობდა, გარშემო ვერაფერს ამჩნევდა და თითზე განუწყვეტლივ იხვევდა რბილ კულულს. ამ კისერსა და კულულს უკან დოლის მივუჯექი, პალტო გავიხსენი, და სამოცდახუთი ცენტისა და სასკოლო სპექტაკლში მონაწილეობის უფლების დართვის ფასად იმას მივალწიე, რომ დოლიმ მერხქვეშ მათხოვა თავისი ცარცითა და მეღვინით მოსვრილი, წითელსახსრებიანი ხელი. რა თქმა უნდა, ეს სულელური და წინდაუხედავი საქციელი იყო, მაგრამ გიმნაზიის დირექტორის კაბინეტში ახლახან გადატანილი წამების შემდეგ, უბრალოდ, იძულებული გავხდი, იმ კომბინაციისთვის მიმემართა, რომელიც შემდეგ არასოდეს გამომიყენებია.

12. საშობაოდ ლოლიტა გაცივდა. ავადმყოფი გოგონა ბიანკა ლესტერის ერთ-ერთმა მეგობარმა, ექიმმა ილზა ტრისტრამსონმა გასინჯა (გამარჯობათ, ილზა, თქვენ ძალზე თავაზიანად მოგვექცით, ზედმეტი ცნობისმოყვარეობა არ გამოგიჩენიათ და ჩემს გვრიტს ნაზი ალერსით

ჰკიდებდით ხელს). მან ბრონქიტი დაადგინა, ლოლიტას შიშველ ზურგზე ხელი მოუთათუნა (იქ, სადაც სიცხისგან ღინღლი ამაგრულიყო) და ერთი კვირის, ან მეტი ხნის განმავლობაში ლოგინში წოლა ურჩია. თავდაპირველად გოგონას მაღალი სიცხე ჰქონდა და ხელი ვერ ავიღე მოულოდნელ მხურვალე ამებაზე (Venus febriculosa! [88]), მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, მეტად მოთენთილი გოგონა ჩემს ჯიუტ მკლავებში კვნესოდა, ახველებდა და თრთოდა. როგორც კი გამოძჯობინდა, მისი კბილა ვაჟები დავპატიჟე და სადამოს წვეულება გავუმართე. ალბათ, მძიმე განსაცდელის მოლოდინში ბევრი დავლიე. ალბათ, სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდი. გოგონებმა შეამკეს და დაამტეფსელეს ნაძვის ხე (ეს გერმანული საშობაო ჩვეულებაა, ოღონდ წინათ სანთლებს ანთებდნენ, ახლა კი ფერად ნათურებს იყენებენ). მათვე შეარჩიეს ფირფიტები, რომლებითაც ჩემი სახლის პატრონის გრამოფონი უნდა გამოეკვებათ. დოლის ეცვა ლამაზი, რუხი

ფერის კაბა მჭიდროდ მორგებული ლიფითა და ფართო ქვედატანით. ღიღინით ავედი ზემოთ, მაგრამ მერე ყოველი ათი ან ოცი წუთის შემდეგ ყვეყვივით ჩამოვდიოდი პირველ სართულზე და ვიმიზეზებდი, ბუხარზე ჩიბუხი დამრჩა-მეთქი. ზოგჯერ გაზეთის ასაღებად ვბრუნდებოდი; და სულ უფრო მიჭირდა ამ მარტივი მოქმედებების ჩადენა, და ძალაუნებურად ვიხსენებდი რამზედელსა და უსაზღვროდ შორეულ დღეებს, როდესაც მტანჯველად ვემზადებოდი იმ ოთახში შესასვლელად, სადაც გრამოფონი „პატარა კარმენს“ უკრავდა! წვეულებამ უხეიროდ ჩაიარა. სამი გოგონა დავაპატიჟეთ, მაგრამ ერთი მათგანი არ მოვიდა, ერთ-ერთმა კავალერმა კი თავისი ბიძაშვილი მოიყვანა (როი ერქვა). ამგვარად, ორი ვაჟი ზედმეტი აღმოჩნდა. ორივე ბიძაშვილს ცეკვა ეხერხებოდა, მაგრამ დანარჩენებმა ცეკვა თითქმის სულ არ იცოდნენ. ამიტომ სადამოს უმეტესი ნაწილის განმავლობაში სამზარეულოს თავდაყირა დაყენებას მოუხდნენ, შემდეგ მოზარდები ბრტყელ-ბრტყელი გამოთქმებით კამათობდნენ იმაზე, კარტის რომელი თამაშისათვის მიენიჭებინათ უპირატესობა. გარკვეული დროის შემდეგ კი ორი გოგონა და ოთხი ბიჭი სასტუმრო ოთახის იატაკზე მოკალათდა. ყველა ფანჯარა გააღეს და თავს იქცევდნენ რომელიღაც სიტყვიერი თამაშით, რომლის წესები ოპალმა ვერაფრით შეიგნო. ამ დროს მონა და როი (აყლაყულა კეთილსახიერი ჭაბუკი) სამზარეულოს მაგიდაზე ისხდნენ, კოჭას ლიმონათს მიირთმევდნენ, ფეხებს აქნევდნენ და მხურვალედ მსჯელობდნენ ბედისწერისა და სტატისტიკური ალბათობის კანონის შესახებ. როდესაც სტუმრები წავიდნენ, ლოლიტამ „იკ“-ისმაგვარი ბგერა ამოუშვა, თვალები დახუჭა, სავარძელში მოწყვეტით ჩავარდა და ხელ-ფეხი ვარსკვლავით გამალა, რითაც ხაზგასმით აღნიშნა თავისი ზიზღი და დაღლილობა; შემომფიცა, ბიჭების ასეთი ამაზრზენი ხროვა არასოდეს მინახავსო. ამ ფრაზის საზღაურად ტენისის ახალი ჩოგანი ვუყიდე. ნოტიო და თბილი იანვრის შემდეგ, თებერვალში უცერად ოქროსფრად აყვავილდა ფორსიტის ბუჩქები. ასეთი ამინდი ძველ მცხოვრებთაც კი არ ახსოვდათ! სხვაგვარი ძღვენიტაც გავიხარეთ. დაბადების თოთხმეტი წლის თავზე, 1949 წლის პირველ დღეს ლოლიტას ველოსიპედი ვაჩუქე. ეს იყო კოპწია მექანიკური ქურციკი, რომელიც ერთხელ უკვე მოვიხსენიე; მას დავამატე „თანამედროვე ამერიკული ფერწერის ანთოლოგია“; რატომღაც საოცარ სიამოვნებას

მანიჭებდა ველოსიპედის მახლობლად გოგონას ფუსფუსი, დაჯდომისას მისი გაკნაჭული ფეხის მოძრაობა და სხვა ამგვარნი. ამასთან, ლოლიტას მხატვრული გემოვნების გასაუმჯობესებლად მიმართული ჩემი ძალისხმევა მარცხით დასრულდა: აინტერესებდა, უნდა მიგვეჩნია თუ არა ნასადილევს თივაზე ჩამინებული ფერმერი წინა პლანზე გამოსახული ძალზე ვნებიანი ქალიშვილის მამად (დორიდა ლის ტილოზე); ვერაფრით ვერ მიხვდა, რის საფუძველზე ვამტკიცებდი, რომ გრანტ ვუდი და პიტერ გურდი ნიჭიერი მხატვრები იყვნენ, ხოლო რეჯინალდ მარში და ფრედერიკ უოულაზათოდ ხატავდნენ.

13. იმ დროისთვის, როდესაც გაზაფხულმა თეერის ქუჩა ყვითლად, მწვანედ და ვარდისფრად ააჭრელა, ლოლიტას უკვე საბოლოოდ შეუყვარდა თეატრი. ერთხელ ვალტონის კაფეში მოსაუზმე ქალბატონებს შორის მისს პრატი შევნიშნე; შორიდან თვალი თვალში გამიყარა და - სანამ ლოლიტა სხვა მხარეს იყურებოდა - გულითადი, უხმაურო, თავშეკავებული აპლოდისმენტებით დამაჯილდოვა. ვერ ვიტან თეატრს; ისტორიულ პერსპექტივაში ის სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნების პრიმიტიული და ძირმომპალი ფორმა, რომელშიც შეინიშნება ქვის ხანის წეს-ჩვეულებები და ყოველგვარი კომუნალური სისულელე. გენიალური პიროვნებების (მაგალითად, შექსპირის, ან ბენ ჯონსონის) ინდივიდუალურ ინექციებს განმარტოებული მკითხველი ავტომატურად (ყოველგვარი მსახიობების გარეშე) აითვისებს დრამატული ნაწარმოებიდან. იმ ხანებში საკუთარი ლიტერატურული შრომით ვიყავი გართული და ვერ მოვახერხე „მოჯადოებული მონადირეების“ სრული ტექსტის გაცნობა. დოლორეს ჰეიზს ერგო როლი ფერმერის ქალიშვილისა, რომელსაც თავი ტყის ფერად თუ დიანად წარმოედგინა, სადაც ჰიპნოზის სახელმძღვანელო ეშოვა და გზაბნეულ მონადირეებს ამა თუ იმ სასაცილო მდგომარეობაში ახევებდა; საბოლოოდ ეს დრიადა თვითონაც მოინუსხა ყარიბი პოეტის (მონა დალი) ხიბლით. ეს იყო, არსებითად, ყველაფერი, რაც ამოვიკითხე უხეიროდ გადაბეჭდილი ტექსტის მოჭმულწილ ნაგლეჯებში, ლოლიტამ მთელ სახლში რომ მიყარ-მოყარა. მესიამოვნა და თან სევდა მომგვარა იმ ფაქტმა, რომ პიესის სათაური დაუვიწყარი სასტუმროს სახელწოდებას იმეორებდა. შემემლო, ჩემი განცდები პატარა ფერისათვის მეუწყებიანა, მაგრამ ის ურცხვად დამდებდა ბრალს სანტიმენტალურობაში. ეს კი

გაცილებით უფრო მეტ ტანჯვას მომაცენებდა, ვიდრე - ლოლიტას შეურაცხმყოფელი გულმავიწყობა. ერთი შეხედვით, პიესა რომელიღაც ბანალური ლეგენდის ერთ-ერთ ანონიმურ გადამღერებას წარმოადგენდა. სავარაუდო იყო ისიც, რომ სასტუმროს პატრონის მიერ მიმზიდველი სახელწოდების შერჩევაზე უშუალო ზეგავლენა იქონია კედლის მეორეხარისხოვანი მხატვრის შემთხვევითმა ფანტაზიამ. მაგრამ ჩემმა მიმნდობმა, მარტივმა და კეთილმოსურნე გონებამ ყოველივე სხვა მხარეს შეატრიალა და მექანიკურად ვიგულისხმე, რომ ფრესკებს, ფირნიშსა და სახელწოდებას საერთო საფუძველი (შესაძლოა, ადგილობრივი გადმოცემა) უნდა ჰქონოდა. მე კი ახალი ინგლისის ფოლკლორს საერთოდ არ ვიცნობდი. ისეთი (კვლავ შემთხვევითი და ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული) შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს წყეული პიესა ბავშვთა აუდიტორიისთვის განკუთვნილი, ათასჯერ გადაკეთებული და მიმარჯვებული იყო. ამგვარი იყო, მაგალითად, მავანი ავტორების „ჰენზელი და გრეტელი“ ან „მიმნარე მზეთუნახავი“, ან კიდევ ვიღაც მორის ვერმონტისა და მარიონ რემპელმაიერის „მეფის ახალი სამოსი“ (დასახელებულ ნაწარმოებებს იპოვით კრებულებში: „სასკოლო სცენა“ ან „დავდგათ პიესა!“). სხვაგვარად, არ ვიცოდი, - და კიდევ რომ მცოდნოდა, ამას არაფრად დაგიდევდით, - რომ სინამდვილეში „მოჯადოებული მონადირეები“ ახლახან დაწერილი, ტექნიკური თვალსაზრისით თვითმყოფადი ქმნილება იყო, რომელიც სულ სამი-ოთხი თვის წინათ დაიდგა ნიუ-იორკის ერთ პრეტენზიულ სტუდიაში. ჩემი გოგონას როლი ცხადყოფდა, რომ ამ დღვარჭინლ ნაწარმოებში ლენორმანის, მეტერლინკის და ყოველგვარი უდიდამო ინგლისელი დრამატურგების ოცნებათა გამოძახილები შეიმჩნეოდა. ამერიკული პიესების წესისამებრ, ყველა მონადირე ერთნაირად იყო ჩაცმული, ერთნაირი წითელი კეპები ეხურათ და მხოლოდ იარაღით თუ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ერთი მათგანი ბანკირი იყო, მეორე - მეწყალსადენე, მესამე - პოლიციელი, მეოთხე - მეკუბოვე, მეხუთე - დამზღვევი, მეექვსე კი - გაქცეული კატორღელი (დრამატული ეფექტები აქ თვალსაჩინოა); ისინი შინაგანად გარდაიქმნენ მას შემდეგ, რაც დოლის ველზე მოხვდნენ. ნამდვილი ცხოვრება უკვე მხოლოდ ზმანებად ან უსიამო სიზმრად ესახებოდათ, რისგანაც ყველანი ჩემმა პაწია დიანამ გამოაფხიზლა; მაგრამ მეშვიდე მონადირე (ამ დოკლაპიას წითლის ნაცვლად, მწვანე კეპი ეხურა) ჭაბუკი პოეტი იყო. დიანიტას ეწყინა, როდესაც პოეტმა დაიჟინა, დივერტისმენტის ყველა მონაწილე (მოცეკვავე ნიმფეტი, ელფები, ქაჯები) - მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფიაო. რამდენადაც მივხვდი, პიესის დასასრულს პოეტის თავდაჯერებით აღშფოთებულ ფეხშიშველ დოლორესს თავისი პოეტი (კუბოკრულ, პაჭანაკებიან შარვალში გამოწყობილი მონა) მიჰყავდა მამამისის მიყრუებულ ფერმაში. აქ მას უნდა დაემტკიცებინა ვაჟისთვის, რომ მისი გამონაგონი კი არა, რეალური სოფლელი გოგონა იყო და მტკიცედ იდგა შავმიწა ნიადაგზე; პიესის იდეას განამტკიცებდა გმირების ამბორი ფარდის დახურვის წინ; ეს უკანასკნელი გვმომღვრავდა, რომ სიყვარულში ოცნება და სინამდვილე ურთიერთს ერწყმის. კეთილგონიერება მიჩვევდა, ლოლიტასთან საუბრეებში კრიტიკისთვის თავი ამერიდებინა. გოგონა გამომსახველობის პრობლემებმა გაიტაცა, გულზე ნარნარად იკრეფდა ნატიფ, ფლორენციულ ხელებს, თვალებს ახამნამებდა და მაფიცებდა, არ დავსწრებოდი რეპეტიციებს, როგორც ამას ზოგიერთი სასაცილო მშობელი სჩადიოდა! მეუბნებოდა, რომ სწადა,

არაფრით შემებლალა პირველი წარმოდგენის თვალისმომჭრელი შთაბეჭდილება. გარდა ამისა, თურმე, ყოველთვის არამკითხე მოამბე ვიყავი, შეუსაბამოდ ვმსჯელობდი და ნაცნობებთან ვარცხვენდი. როგორც ჩანს, ერთმა რეპეტიციამ მასზე საგანგებო ზეგავლენა იქონია. ო, გულო, გულო!... ეს იყო მაისის განსაკუთრებულ, საამური ფუსფუსით აღსავსე დღეს - მაგრამ როგორღაც ვერაფერი შევამჩნიე, ყოველივე ჩემს თვალსაწიერს მიღმა დარჩა, მეხსიერებაში არ აღიბეჭდა; და როდესაც საღამოს კვლავ დავინახე ლოლიტა (ჩვენი მდებლობის ნაპირას ველოსიპედზე იჯდა, ქანაობდა და ხელით ნორჩი არყის ხნის ნოტიო ქერქს ეჭიდებოდა), მისი სხივმოსილი სახის ალერსიანმა ღიმილმა ისერიგად განმაცვიფრა, რომ წამით თავს მივულოცე ყოველგვარი ტანჯვა-წამების დასრულება. „მითხარი, - მკითხა გოგონამ, - იქნებ გახსოვს, რა ერქვა ოტელს - ოჰ, შენ გახსოვს, რომელ ოტელს (აქ ცხვირი მოჭმუნა), აი, იმას, რომლის ჰოლში თეთრი სვეტები და მარმარილოს გედი იყო? როგორ არ იცი (და ხმამაღლა ამოიოხრა), ის ოტელი, სადაც ჩემზე ძალა იხმარე? კარგი, მთავარი ეს არაა, ჯანდაბას. უბრალოდ, მინდა გკითხო, (თითქმის ჩურჩულით), „მოჯადოებული მონადირეები“ ხომ არ ერქვა? ჰო (მეოცნებედ), მართლა? ასე იყო?“ და ანახდად, შეყვარებულის ხმით, ყმაწვილურად წამოიწივლა, ხელისგული ხის გლუვ ტანს გაუტყაპუნა და სწრაფად გააქროლა ველოსიპედი ზევით, ქუჩის ბოლოსკენ, შემდეგ კი ქვემოთ ჩამოსრიალდა. სრულიად უძრავად იჯდა, ერთი ტერფი მეორეზე უფრო მაღლა ედო, პედლებს არ ატრიალებდა, ცალი ხელი კი შიშველ მუხლზე დავიწყნოდა.

14. ბალეტითა და სცენით გატაცებას მოჰყვა ლოლიტას დაინტერესება მუსიკით; ამიტომ ნება დავრთე, როიალის გაკვეთილებზე ევლო მისს ლამპერერთან (ჩვენ, ფლობერის მკითხველებმა, ასე ვუწოდოთ მას), რომელიც ცისფერდარაბებიან თეთრ სახლში (ბერდსლეიდან ორი მილის დაცილებით) ცხოვრობდა. ლოლიტა იქ კვირაში ორჯერ მიდიოდა ხოლმე. ერთ საღამოს, პარასკევს, მაისის ბოლო რიცხვებში (ერთი კვირის შემდეგ იმ განსაკუთრებული რეპეტიციიდან, რომელსაც ლოლიტამ, ჩვეულებისამებრ, არ მიმაკარა), ტელეფონი აწვრიალდა კაბინეტში, სადაც გასტონის მეფის ფლანგს ვარდევდი. მისს

ლამპერერმა იკითხა, მივიდოდა თუ არა ჩემი ემა - მაპატიეთ, ლოლიტა - შემდეგ სამშაბათს: მას ზედიზედ ორი გაკვეთილი გამოეტოვებინა - წინა სამშაბათს და დღეს. ვუპასუხე, რა თქმა უნდა, მოვა-მეთქი და თამაში განვაგრძე. მკითხველი ადვილად დაიჯერებს, რომ თავგზა ამებნა და ორისამი სვლის შემდეგ, ჭადრაკმიღმური ტანჯვისგან დაბინდული მზერით, შევამჩნიე, რომ გასტონს ჩემი ლაზიერის ხელში ჩაგდება შეეძლო; ეს მანაც შენიშნა, მაგრამ გაქნილი მოწინააღმდეგის მიერ დაგებული მახისა შეეშინდა. ამიტომ დიდხანს ვერაფერს ბედავდა, და ქშინავდა, და კრუსუნებდა, და ლაშებს აცმაცუნებდა, და მალულად მაკვირდებოდა კიდევ, გაუბედავად იწვდიდა და შემდეგ კვლავ უკან სწევდა კოტიტა, შეერთებულ თითებს - გაგიჟებით სურდა ამ გემრიელი ლუკმის გადასანსვლა - და მსწრაფლ ჩაბლუჯა ის (ამ შემთხვევამ ხომ არ ასწავლა საშიშარი შემართება, რაც შემდგომ სხვა სფეროში გამოიჩინა? და უაღრესად მომქანცველი საათი გავატარე, სანამ ყაიმს მივაღწევდი. გასტონმა კონიაკი ბოლომდე გამოვალა და რამდენიმე ხნის შემდეგ ბაჯბაჯით წავიდა.

თამაშის შედეგით სრულიად კმაყოფილი იყო (*mon pauvre ami, je ne vous ai jamais revu et quoiqu'il y ait bien peu de chance que vous voyiez mon livre, permettez moi de vous dire que je vous serre la main bien cordialement, et que toutes mes fillettes vous saluent*[89]). დოლორეს ჰეიზი სამზარეულოს მაგიდასთან ვიპოვე, ტორტის ნაჭერს მიირთმევდა და თვალს არ აცილებდა ფურცელს, სადაც მისი როლის ტექსტი იყო აღბეჭდილი. როდესაც შემომხედა, მის მზერაში ზეციური სიცარიელე გამოკრთა. ჩემი აღმოჩენა გავუმყდავნე, მაგრამ საოცარი უშფოთველობა გამოიჩინა. მხოლოდ მითხრა *d'un petit air faussement contrit*, რომ ის, რა თქმა უნდა, ძალზე ცუდი გოგონაა, მაგრამ, უბრალოდ, ვერ გაუძლო ცდუნებას და მუსიკისთვის განკუთვნილ საათებში - ო, მკითხველო, ო, ჩემო მკითხველო! - მონასთან ერთად ქალაქის პარკში პიესის ზღაპრულ-ტყიურ სცენებს სწავლობდა. მივუგე, ძალიან კარგი-მეთქი, და ტელეფონისკენ გავემართე. მონას დედამ მიპასუხა: „დიახ, შინაა“, შემდეგ დედობრივი, ნეიტრალური, ზრდილობიანი კმაყოფილებით ჩაიცინა და სცენის მიღმა დაიძახა: „როი გთხოვს“; მომდევნო წუთს მონა მოცქრიალდა და მაშინვე დაბალი, მონოტონური, მაგრამ ალერსიანი ხმით დატუქსა რომი ჭაბუკის მიერ ნათქვამი თუ ჩადენილი რომელიღაც სისამაგლის გამო. სიტყვა შევაწყვეტინე. მონა მშვიდად გადაერთო და უაღრესად ნაზი, უაღრესად სექსუალური კონტრალტოთი მეუბნებოდა: „დიახ, სერ“, „რა თქმა უნდა, სერ“, „სერ, მხოლოდ მე მიმიძღვის ბრალი იმ უსიამოვნო ამბავში“ (შეხეთ ამ მწყობრ მეტყველებას, მაღალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ამ კილოს!), „ღმერთმანი, ძალზე ვწუხვარ“, - და ასე შემდეგ და მისთანანი, როგორც ამ პატარა აშაღლარებს სჩვევიათ. ხველებ-ხველებით კვლავ პირველ სართულზე ჩავედი. გული ძალუმად მიძგერდა. ლოლიტა ახლა სასტუმრო ოთახში იყო და თავის საყვარელ ტყავის სავარძელში იჯდა, ნებიერად გაშხლართულიყო, ნუნებს იკვნეტდა, ცივი, ნაცრისფერი თვალებით გამჭირდავად მიმზერდა და გაჭიმული წინდიანი ფეხით ტაბურეტს არწევდა. გულისამრევი ტკივილით თვალნათლივ ვიგრძენი, როგორ შეიცვალა გოგონა ჩვენი ნაცნობობის ორი წლის განმავლობაში. იქნებ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში გარდაიქმნა? სად გაქრა სინაზით აღსავსე დამოკიდებულება მის მიმართ? მითი ერთიანად გაცამტვერდა! ლოლიტა უშუალოდ ჩემი

აგზნებული მრისხანების ფოკუსში იმყოფებოდა. ჟინის ბურუსი გაიფანტა და არაფერი დამიტოვა ამ შემზარავი სიცხადის გარდა. დიახ, ლოლიტა შეიცვალა! მისი კანი ისეთივე იყო, როგორც კანი ნებისმიერი ვულგარული, ფეთხუმი გიმნაზისტი ქალიშვილისა, რომელიც ამხანაგებს უზიარებს ხოლმე თავის კოსმეტიკურ კრემს და დაუბანელ სახეზე ჭუჭყიანი თითებით ისვამს მას; ამგვარი გოგონებისთვის სულ ერთია, ვისი პიჯაკის ჭუჭყიანი სახელო თუ ბუგრიანი ლოყა ეხება სახეზე. უწინ კი ლოლიტას კანი ისეთი ხავერდოვანი ღინღლით იყო დაფარული! ისე ელვარებდა ცრემლით დანამული მისი ღაწვები, როდესაც ვეთამაშებოდი და გოგონას აბურძგნილ თავს ჩემს მუცელზე ვაგორავებდი! უბიწოების სხივებს უხეში სიწითლე შეენაცვლა. გაზაფხულის სურდომ ვარდისფრად ააელვარა მისი ქედმაღლური ნესტოები. ელდანაკრავმა, თვალები დავხარე და უნებურად დავინახე ლოლიტას გამიშვლებული, მოკლე ქვედატანიდან გამოშვერილი ბარძაყის

შიდა მხარე - ოჰ, როგორი გლუვი და კუნთოვანი იყო ეს ნორჩი ფეხები! შორიშორ დასმული, ყომრალი თვალები, რომელთა თეთრ გარსზე წითელი ძარღვი გამწყდარიყო, ჯიქურ ჩამტერებოდნენ და მეჩვენებოდა, თითქოს ამ მხერაში ფარულ აზრს ვამჩნევდი; მონა, ალბათ, არ ცდებოდა და ობოლი პაწაწა დოლორესი მოახერხებდა პოლიციაში ჩემს დაბეზღებას, ისე, რომ თვითონ სასჯელი აეცილებინა. როგორ შევცდი! როგორი უგუნურება გამოვიჩინე! ლოლიტაში ყოველივე იდუმალეობით იყო მოცული - ღონიერი, სალუქი ფეხები, თეთრი წინდის დასვრილი ძირი. სქელი სვიტერი, რომელიც აქამდე არ გაეხადა (ოთახის დახუთული ჰაერის მიუხედავად), მისი ახლებური, ხახვის სურნელნარევი არომატი და, განსაკუთრებით, უჩვეულოდ ალენილი, ტუჩებშეღებილი სახის ჩიხი. საღებავი წინა კბილებზე დაჩნეოდა და ერთმა მოგონებამ გამგმირა: ეს იყო არა მონიკას ხატება, არამედ - სახე მრავალი წლის წინ ბორდელში ნანახი ყმაწვილი მეძავისა. სანამ ვჭოჭმანობდი, გამოსიყვინდა თუ არა გოგონას ერთადერთი ღირსება - სინორჩე - რაიმე დაავადების საშიშროებას, ვიღაცამ დამასწრო და დაეუფლა მას. იმ ბალღსაც ზუსტად ასეთივე შეფაკვული ყვრიმალეები და მსხვილი წინა კბილები ჰქონდა, დედა გარდაცვლოდა, მდაბიურ-ქერა თმა კი გაცრეცილი წითელი ლენტით ჰქონდა შეკრული. „როგორაა საქმე, ბარემ მითხარი“, მომმართა ლოლიტამ. „მონას დასტური დამაკმაყოფილებელია?“ „დიახ“, ვუპასუხე მე. „აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელია. დიახ. და ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ყველაფერი ერთობლივად მოიგონეთ. მეტსაც ვიტყვი - ეჭვი არ მეპარება, რომ მას აუწყე ჩვენი ურთიერთობის ამბავი“. „ნუთუ?“ ქოშინი დავძლიე და ვუთხარი: „დოლორეს, ეს დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთო. მზად ვარ, მოგიტაცო ბერდსლეიდან და ჩაგკეტო - ხომ იცი, სად - თუ ეს არ შეწყდება. მზად ვარ, რამდენიმე წუთის შემდეგ წაგიყვანო - თუნდაც მხოლოდ ერთი ჩემოდნით; მაგრამ ეს უნდა აღიკვეთოს, თორემ გამოუსწორებელი რამ მოხდება“. „გამოუსწორებელი? რასა ბრძანებ!“

წიხლი მივარტყი ტაბურეტს, რომელსაც ის არწევდა და ლოლიტას ფეხი ყრუ ხმაურით დაეცა იატაკზე. „ჰეი“, დამიყვირა მან, „ფრთხილად!“ „უპირველეს ყოვლისა, ზემოთ აბრძანდი!“ ახლა მე შევძახე, ხელი ვტაცე და სავარძლიდან წამოვავადე. ამ წუთიდან თავშეუკავებლად ვუყვიროდით ერთმანეთს. ამასთან, ის უშვერი სიტყვებით მაგინებდა. მიკვირებდა, რომ საშინლად ვძულდი. შემზარავად იმანჭებოდა, ლოყებს ბერავდა და ჯოჯოხეთურ, მსკდომ ბგერას გამოსცემდა. მითხრა, რომ რამდენჯერმე მოვიწადინე მისი გარყვნა, როდესაც დედამისის მდგმური ვიყავი; დარწმუნებით ამტკიცებდა, რომ მე მოვკალი შარლოტა; განაცხადა, რომ დანებდებოდა პირველსავე ბიჭს, რომელიც ამას მოინდომებდა და მე ვერაფერსაც ვერ დავაკლებდი. ვუბრძანე, თავის ოთახში ასულიყო და ეჩვენებინა ის ადგილები, სადაც ფულს მალავდა. ეს იყო ამაზრზენი, აუტანლად ხმამალალი სცენა. გოგონას სიფრიფანა მაჯა ღონივრად ჩავბლუჯე. ლოლიტა ატრიალებდა მას, ცდილობდა, შეუმჩნევლად მოეძებნა სუსტი ადგილი და ხელსაყრელ მომენტში გამსხლტომოდა, მაგრამ საკმაოდ მაგრამ მეკავა და მძაფრ ტკივილსაც ვაყენებდი, რის სანაცვლოდ, ვიმედოვნებ, გული დამილპება მკერდში. ორჯერ ისე გააფთრებით გაიწია, რომ შემეშინდა, მაჯა ხომ არ მოიტეხა-მეთქი. მთელი ამ დროის განმავლობაში ჯიუტად არ მაცილებდა თავის დაუვიწყარ თვალებს, რომლებშიც ყინულოვანი გულისწყრომა მდულარე ცრემლს ებრძოდა და ჩვენი ხმები ახშობდა ზედა სართულზე აწკრიალებული ტელეფონის ხმას. და იმ წამს, როდესაც ეს წკრიალი

გავიგონე, ლოლიტამ თავი გამოითავისუფლა და მოკურცხლა. კინოფილმების პერსონაჟთა მსგავსად, მე, როგორც ჩანს, ვექვემდებარები ყოვლისშემძლე *machina telephonica*-სა და ადამიანთა საქმეებში მის ჩარევებს. ამჯერად აღმოჩნდა, რომ გაგულისებული მეზობელი ქალი რეკავდა. სასტუმრო ოთახის აღმოსავლეთის ფანჯარა ფართოდ გაღებული დაგვეტოვებინა. საბედნიეროდ, ფარდა ჩამოშვებული იყო. ამ ფანჯრის მიღმა ახალი ინგლისის მოყამული გაზაფხულის წვიმიანი, მრუმე ღამე სულგანაბული უსმენდა ჩვენს ჩხუბს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დამარბილებული ვირთვეზას მსგავსი ყიამყრალი შინაბერა თანამედროვე ამერიკული რომანის ურთიერთმონათესავე პერსონაჟების შეჯვარების წმინდა ლიტერატურულ პროდუქტს წარმოადგენდა; მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მეტისმეტად წესიერმა, და, ამასთან, მრუმემ მის აღმოსავლეთმა - ნამდვილად კი (გავამჟღავნოთ ეს ინკოგნიტო) მის ფინტონ ლებონმა მგონი სხეულის სამი მეოთხედით გადმოიწია თავისი სამინებელი ოთახის ფანჯრიდან - ლამობდა, ჩვენი კინკლაობის არსს ჩასწვდომოდა. „რა ალიაქოთია... რა ღრიანცელია“ ყიყინებდა ტელეფონის ყურმილი. - „ჩვენ აქ ემიგრანტების კვარტალში როდი ვიმყოფებით. ეს როგორ შეიძლება...“ ქალიშვილის სტუმრების მიერ ატეხილი ხმაურის გამო პატიება ვითხოვე („ხომ მოგეხსენებათ - ახალგაზრდებია“) და შუა ყიყინში ყურმილი დავკიდე.

ქვემოთ კარი გაჯახუნდა. ლოლიტა? შინიდან გაიქცა? კიბის ფანჯრიდან დავინახე, როგორ გაძვრა პატარა ლანდი ბაღის ბუჩქებში; სიბნელეში მოკიაფე ვერცხლისფერი წერტილი - ველოსიპედის თვლის მორგვი - შეტოვდა, დაიძრა და გაქრა. ისე მოხდა, რომ ავტომობილი ქალაქის მეორე ბოლოში მდებარე სახელოსნოში მქონდა დატოვებული. ფრთოსან ლტოლვილს ფეხით გავეკიდე. ახლაც კი, როდესაც მარადისობაში მას შემდეგ სამი წელი გაუჩინარდა, არ ძალმიძს, პანიკური ძრწოლის გარეშე გავიხსენო ის ქუჩა და გაზაფხულის ის დამე. თავისი სახლის განათებული პარმადის წინ მისს ლესტერი ასეირნებდა მისს ფაზიანის ბებერ, დასივებულ ტაქსას. სტივენსონის ზღაპრის მტარვალი პერსონაჟის მსგავსად, მზად ვიყავი, ყველაფერი შემემუსრა ჩემს გზაზე. დროდადრო ნაბიჯი უნდა შევანელო, თორემ ვერ გავუძლებ! წაბლის ხეების ფოთლებზე თბილი წვიმა ატლამუნდა. ქუჩის კუთხეში წყვილიად თავშეფარებულ ვიღაც ჭაბუკს ლოლიტა თუჯის მოაჯირთან მიემწყვდია და კოცნიდა - არა, ეს ლოლიტა არ იყო. შევცდი. ჭანგები მექავებოდა. გზა განვაგრძე. ჩვენი მეთოთხმეტე ნომრიდან ნახევარი მილის დაცილებით თეერის ქუჩა კერძო შესახვევსა და განივ ბულვარს ეხლართებოდა; ბულვარი ქალაქის სავაჭრო ნაწილისკენ მიემართებოდა; რძის პირველივე ბართან დავინახე - და შვების მელოდია მომესმა - ლოლიტას ლამაზი ველოსიპედი. კარს ვუბიძგე, იმის ნაცვლად, რომ გამომელო, შემდეგ ჩემკენ მოვწიე, კვლავ ვუბიძგე, კვლავ მოვწიე და შევედი. ფხიზლად ვიყავი! ჩემგან ათი ნაბიჯის დაცილებით ტელეფონის ჯიხურში მდგარ ლოლიტას (მემბრანის ღმერთი ჯერ კიდევ გვიფარავდა) ტელეფონის ყურმილი ეჭირა და მასზე კონფიდენციალურად მიედრიკა თავი. გოგონამ მინის კედლიდან მოჭუტული თვალებით გამომხედა, თავის საუნჯესთან ერთად სწრაფად შებრუნდა, ყურმილი დაკიდა და ჯიხურიდან ცქვიტად გამოვიდა. „შინ დარეკვა ვცადე, - დაუდევრად მითხრა. - მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღე. მაგრამ ჯერ კოკა-კოლით გამიმასპინძლი, მამიკო“. ბართან მჯდარი ლოლიტა ყურადღებით აკვირდებოდა, თუ როგორ აწყობდა უხალისო, ფერმკრთალი ქალიშვილი ყინულს მაღალ ჭიქებში, როგორ ასხამდა ყავისფერ სითხეს, უმატებდა ალუბლის წვენს - და გული მელეოდა სიყვარულისა და კაემნისგან! ეს ბალღური მაჯა! ჩემი თვალწარმტაცი გოგონა... თვალწარმტაცი გოგონა გყავთ, მისტერ ჰუმბერტ. მე და ბიანკა ყოველთვის ვტკბებით მისი ცქერით, როდესაც ჩვენს სახლს ჩაუვლის ხოლმე. მისტერ პიმი (რომელიც ცნობილ ტრაგიკომედიაში „ჩაივლის“), უმზერს, როგორ ისრუტავს პიპა (რომელიც ბრაუნინგთან „ჩაივლის“) თავის აუტანელ ნაზავს. J'ai toujours admiré l'oeuvre ormond du sublime Dublinois[90]. მალე წვიმა ბობოქარ და საამურ მერეხად გადაიქცა.

„აი, რა“, მითხრა მან და ჩემ მახლობლად ნელა დაძვრა ველოსიპედი (ცალ ფეხს ელვარე, ჩამუქებულ ტროტუარს უსვამდა). „აი, რა გადავწყვიტე. მინდა, სკოლა გამოვიცვალო! ეს სკოლა მეზიზღება! ეს პიესა მეზიზღება! პატიოსან სიტყვას გამძღვე! წავიდეთ აქედან და ნულარასოდეს დავბრუნდებით. სხვა სკოლა მოვძებნოთ. ხვალვე წავიდეთ. კვლავ ხანგრძლივად ვიმოგზაუროთ. ოღონდ ამჯერად იქით წავიდეთ, საითაც მე მოვინდომებ, კარგი?“ დავეთანხმე. ჩემო ლოლიტა. „მარშრუტს მე ავირჩევ? C'est entendu?“ მეკითხებოდა და ველოსიპედზე ქანაობდა. ფრანგულად მხოლოდ მაშინ მელაპარაკებოდა, როდესაც ძალზე დამჯერი გოგონა იყო. „კეთილი. Entendu[91]. ახლა კი ჰოპ-ჰოპ-ჰოპ, ლენორა, თორემ დასველდები“ (მტკივნეულ მკერდში ცრემლთა გრიგალს ვიკავებდი). ლოლიტა მომაჯადოებელი ღიმილით წინ დაიხარა, შემდეგ კი ადგილს მოსწყდა. ჩემო ჩიტო! მისს ლესტერს სათუთი ხელით გამოეღო პარმადის კარი მოზაჯბაჯე ბებერი ძაღლისთვის, qui prenait son temps[92]. ლოლიტა აჩრდილისებრ არყის ხესთან მელოდა. „ერთიანად დავსველდი“, განაცხადა ხმამაღლა. „კმაყოფილი ხარ? ჯანდაბას პიესა! გესმის?“ სადღაც ზემოთ უხილავი კუდიანი დედაბრის თათმა ფანჯარა მიაჯახუნა. შინ შევედი. წინკარი საზეიმო შუქით იყო გაჩირადდებული. ლოლიტამ სვიტერი გაიხადა და წვიმით დაცვარული თმა დაიბერტყა. შემდეგ ცალი მუხლი ასწია და შიშველი ხელები ჩემკენ გამოიწვდინა. „ზემოთ ამიყვანე, გეთაყვა. რატომღაც რომანტიკულ განწყობილებაზე ვარ“. ფიზიოლოგებისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ შემიძლია (ეს, მგონი, უჩვეულო უნარია) ცრემლთა მდინარედ დავიღვარო მეორენაირი გრიგალის განმავლობაში.

15.

სახელოსნოში მანქანას მუხრუჭები მოუჭირეს, მიღები გაწმინდეს, სარქველები გააპრიალეს. მექანიკაში არც ისე საფუძვლიანად გათვითცნობიერებულმა ბატონმა ჰუმბერტმა კიდევ სხვა სახის რემონტის ხარჯიც გაისტუმრა. ამის შემდგომ განსვენებული ქალბატონი ჰუმბერტის საკმაოდ რიგიანად შეკეთებული ავტომობილი ახალი მოგზაურობისთვის მზად იყო. ბერდსლის გიმნაზიას,

ძველ, ნაცად ბერძნული გიმნაზიის დავპირდით, რომ ჰოლივუდში ჩემი ანგაჟემენტის დასრულებისას დავბრუნდებოდი (გიმნაზიის ხელმძღვანელობას კეთილგონივრულად მივანიშნე, „ეგზისტენციალიზმის“ ამსახველი ფილმის გადაღებაზე კონსულტანტად მიმიწვიეს-მეთქი - 1949 წელს ეს ჯერ კიდევ გასავლიან საქონლად ითვლებოდა). სინამდვილეში მექსიკის საზღვარზე უჩუმრად გადასკუპება მწადდა (გასული წლის შემდეგ გავკადნიერდი). იქ უნდა გამამეწყვიტა ბედ-იღბალი ჩემი პატარა მხევლისა, რომლის სიმაღლე ახლა სამოც დუიმს უდრიდა, წონამ კი ოთხმოცდაათ ინგლისურ ფუნტს მიაღწია. ჩვენი ტურისტული წიგნაკები და საგზაო რუკები მოვძებნეთ. ლოლიტამ უდიდესი სიამოვნებით მონიშნა მარშრუტი. საკითხავი იყო, სასცენო ირეალური საქმიანობის შედეგად ხომ არ დასძლია ყმაწვილური მოჩვენებითი მოყვრება? ახლა გოგონას მშვენიერი სინამდვილის დეტალური გამოკვლევა სურდა. იმ უფერულ, მაგრამ თბილ კვირადღის დილას, პროფესორ ჰიმის გაოცებული სახლი რომ დავტოვეთ და ქალაქის მთავარ ქუჩაზე გავსრიალდით, სიზმრებისთვის დამახასიათებელ სიმსუბუქეს ვგრძნობდი. ჩემი სატრფოს საზაფხულო, თეთრ და შავზოლიანი კაბა, კეკლუცი ცისფერი ქუდი, თეთრი წინდები და ყავისფერი მოკასინები არც ისე უხდებოდა ვერცხლის ძეწკვზე დაკიდებულ დიდ, ლამაზ, დაწახნაგებულ აქვამარინს, რომელიც მის ყელს ამშვენებდა. ეს იყო ჩემი - და გაზაფხულის მერების - საჩუქარი. როდესაც „ახალ სასტუმროს“ გავუსწორდით, ანაზდად გაელიმა. „რაშია საქმე?“ ვიკითხე მე. „თუ არ მომატყუებ, დოლარს მიიღებ“, - და გოგონამ მაშინვე გამოიწვინა ხელისგული. იმავე წამს წითელი შუქნიშნის წინ სწრაფად დავამუხრუჭე. მეორე მანქანა მარცხნიდან მოგვადგა და ნელა შეჩერდა. კაფანდარა, ვარდისფერსახიანი, ძალზე სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა ქალი (სად მინახავს?), რომელსაც მოწითალო-ჟანგისფერი კულოლები მხრებზე სცემდა, ლოლიტას წკრიალა წამოძახილით მიესალმა, მერე მე შემხედა და ძალზე მხურვალედ, „ჟანადარკულად“ (გამახსენდა!) დამიყვირა: „როგორ არ გრცხვენიათ, რომ დოლი სპექტაკლს მოსწყვიტეთ? ერთი მოგესმინათ, როგორ აქებდა რეპეტიციასზე ავტორი“. „მწვანე შუქია, ყეყეჩო“, წაილაპარაკა დოლიმ ხმადაბლა და იმავე წამს ჟანა დ'არკი (ის ამ როლში ვიხილეთ ქალაქის თეატრის ერთ წარმოდგენაში) მრავალსამაჯურიანი ხელის მეტყველი შესტიკულაციით დაგვემშვიდობა. ენერგიულად გაგვისწრო და სწრაფად შეუხვია უნივერსიტეტის პროსპექტზე. „სახელდობრ ვინ - გერმონტმა თუ რუმპლმაიერმა?“ „არა, ეს ედუზა გოლდია, ჩვენი რეჟისორი“. „ის არ მიგულისხმია. სახელდობრ ვინ დაჯღაბნა პიესა შენი მოჯადოებული მონადირეების შესახებ?“

„აი, თურმე რა გაინტერესებს. სახელდობრ ვინ დაწერა? ერთმა დედაბერმა, კლერ ვილაცამ, მგონი. პიესას რამდენიმე ავტორი ჰყავს“. „და იმ დედაბერმა შეგაქო?“ „არა მარტო შემაქო - მემამბორა კიდევ შუბლზე - უმანკო შუბლზე“, და ჩემმა წიწილამ მხიარულად წამოიწივლა, რითაც (აღბათ, ახალშექმნილ სხვა თეატრალურ ჩვევებთან ერთად) ამ ბოლო დროს თავს იწონებდა. „რა სასაცილო ხარ, ლოლიტა“, ვუთხარი მე (ჩემს მეტყველებას მიახლოებით გადმოგცემთ). „ცხადია, ძალზე მახარებს, რომ აღარ გინდა სულელურ სპექტაკლში მონაწილეობა. ამასთან, მაკვირვებს, რომ ის ბუნებრივ დაბოლოებამდე ერთი კვირით ადრე მიატოვე. ოჰ, ლოლიტა, ასე ხელადებით ნუ დათმობ ხოლმე! მახსოვს, როგორ მიატოვე რამზდელი საზაფხულო ბანაკის გამო. შემდეგ, გასართობი მოგზაურობის მოლოდინში, ბანაკს შეელიე. მახსოვს შენი განწყობილების კიდევ რამდენიმე მკვეთრი ცვლილება. გაფრთხილდი. არსებობს ისეთი ფასეულობები, რომლებიც არასოდეს არ უნდა დათმო. უფრო შეუპოვარი უნდა იყო. უფრო ალერსიანიც უნდა იყო ჩემს მიმართ, ლოლიტა. გარდა ამისა, ძალზე ბევრს ჭამ. შენი ბარძაყის გარშემოწერილობა ჩვიდმეტნახევარ დუიმს არ უნდა აღემატებოდეს. ცოტას მოიმატებ - და ჩვენ შორის ყველაფერი დასრულდება (რა თქმა უნდა, ვხუმრობდი). ახლა ხანგრძლივ, ბედნიერ მოგზაურობას ვიწყებთ. მახსოვს...“

16. ბავშვობაში ჩრდილოეთ ამერიკის რუკას ვაკვირდებოდი და ვოცნებობდი ხოლმე. „აპალაჩის მთები“ მსხვილი შრიფტით გადაჭიმულიყო ალაბამიდან მენამდე, ასე რომ მთელი ეს არე (პენსილვანიისა და ნიუ-იორკის ჩათვლით) ვეება შვეიცარიის ან, თუ გნებავთ, ტიბეტის სახით წარმომიდგებოდა: ალმასებივით მოელვარე დიდებული პიკები, გოლიათური წიწვოვანი ხეები, დათვისტყაოსანი montagnard émigré[93] და Felis tigris Goldsmithi[94] და კატალპებქვემ მდგარი წითელკანიანი ინდიელები. სამწუხაროდ, ყველაფერი გარეუბნის უბადრუკი ბაღჩითა და ნაგვის დასაწვავი ახრჩოლებული რკინის კალათით შემოიფარგლა. მშვიდობით, აპალაჩეთო! შემდგომ გადავჭყერით ოჰაიო და სამი შტატი, რომელთა სახელწოდება ი-ზე იწყებოდა, და ჩვენ

წინაშე გადაიშალა ნებრასკა. ო, რა საამო იყო დასავლეთის პირველი მონაქროლი! არ ვჩქარობდით. ლოლიტას სურდა, დასწრებოდა „კლდოვან მთებში“ შეყუყულ პატარა ქალაქ უეისში „ჯადოსნური მღვიმის“ სახეიმი გახსნას (რაც ყოველწლიურად ტარდებოდა) და ინდიელთა საწესჩვეულებო ცეკვები ენახა, მანამდე კი მთელი ერთი კვირა იყო. ამის შემდგომ სამი კვირის განმავლობაში უნდა მიგვეღწია დასავლეთის შტატების ერთ-ერთ მარგალიტამდე, ელფინსტონი რომ ერქვა; ლოლიტას ოცნება იყო, აბობღებულიყო წითელ კლდეზე, საიდანაც ევრანის ერთ-ერთი არცთუ ახალგაზრდა ვარსკვლავი ამას წინათ გადმოხტა და დაიღუპა (მას შემდეგ, რაც სიმთვრალეში თავის სუტენიორს წაეჩხუბა). წინდახედული მოტელები კვლავ გვესალმებოდნენ შუაკედლისებზე გაკრული განცხადებებით, მაგალითად: „ჩვენთან ისე იგრძნობთ თავს, როგორ საკუთარ სახლში. თქვენი ჩამოსვლის წინ შევიძინეთ სრული (ხაზგასმულია) ინვენტარი. თქვენი ავტომობილის ნომერი ჩაწერილი გვაქვს. ზომიერად ისარგებლეთ ცხელი წყლით. ვიტოვებთ უფლებას, გაუფრთხილებლად გავსახლოთ ნებისმიერი არასასურველი პიროვნება. ნუ ჩაყრით ნურანაირ (ხაზგასმულია) უსარგებლო ნივთებს უნიტაზში. მადლობას გწირავთ. კვლავ გვეწვიეთ. დირექცია. პოსტსკრიპტუმი: ჩვენი კლიენტები საუკეთესო ადამიანებად მიგვაჩნია მთელ ქვეყანაზე“. ამ ამაზრზენ დაწესებულებებში ორი საწოლის საფასური დღე-ღამეში ათ დოლარს უდრიდა. დერეფანში ბუზები რიგში დგებოდნენ და კარის გაღებისას ერთიმეორის მიყოლებით ძვრებოდნენ ოთახში. საფერფლებში წელა იბუგებოდა ჩვენი წინამორბედი სტუმრების ნეშტი; ბალიშზე ქალის თმის ღერი ეგდო; მეზობელ ნომერში ვიღაც ყველას გასაგონად ჰკიდებდა პიჯაკს კედლის კარადაში. საკიდრები ემძაკურად იყო მიმაგრებული ღერძზე ქურდობის თავიდან ასაცილებლად და – ბოლო შეურაცხყოფა – ორი საწოლის თავზე დაკიდებული სურათები იდენტურ ტყუპებს წარმოადგენდნენ. შეინიშნებოდა კოტეჯების გაერთიანებისა და ქარვასლად ქცევის ტენდენცია. წელ-წელა შენდებოდა მეორე სართული, ქვემოთ კი იმ დროს ჰოლის გამოქვაბვა იწყებოდა და თქვენი ავტომობილი უკვე თქვენივე ნომრის კართან კი აღარ იდგა, არამედ კომუნალურ გარაჟში გადაჰყავდათ, მოტელი კი არხეინად ემსგავსებოდა შესამე თანრიგის ძველებურ სასტუმროს. ახლა დაბეჯითებით ვთხოვ მკითხველს, არ დამცინოს და არ გააქილიკოს ჩემი ამღვრეული გონება. ძალზე იოლია ახდენილი ბედ-იღბლის გაშიფვრა, მაგრამ მისი ჩამოყალიბების პროცესი იდუმალებითაა აღსავსე. არც ერთი ადამიანის ცხოვრება არ ჰგავს იმ ეგრეთ წოდებულ დეტექტიურ რომანებს, რომელთა კითხვისას საჭიროა მხოლოდ, არ გამოგრჩეთ ესა თუ ის არსებითი ქარაგმული მინიშნება. ჭაბუკობისას წაკითხულ ერთ მოთხრობაში შესაბამისი დეტალები კურსივით იყო დაბეჭდილი; მაგრამ მაკ-ფატუმი ეგზომ მარტივად როდი მოქმედებს – თუნდაც შიშით ჩასწვდე ზოგიერთი სახიფათო მინიშნების არსს. მაგალითად, ლოლიტამ ერთხელ (სანამ ჩვენი მარშრუტის შუა-დასავლეთ ნაწილს მივადწევდით, ან ამ ეტაპის დასაწყისში) მგონი მოახერხა, რაღაც ეუწყებინა უცნობი ადამიანისა

ან ადამიანებისთვის; ვფიქრობ, გოგონა როგორღაც დაუკავშირდა მას ან მათ: ის იყო, შევჩერდით ბენზინის სადგურთან, რომელიც პეგასის ნიშნით იყო დამშვენებული, რომ ლოლიტა მანქანიდან გადმოძვრა და სადღაც, გარაჟის უკან, მიიმალა. ამ დროს მანქანის აწეულ კაპოტთან ვიდექი და მექანიკოსის მანპულაციებს თვალს ვადევნებდი. მივიხედ- მოვიხედე, ლოლიტა ვერ დავინახე, მაგრამ თვინიერ განწყობილებაზე გახლდით და ამიტომ მხოლოდ გადავაქნიე კეთილი თავი. საერთოდ, სასტიკად აკრძალული ჰქონდა საზოგადოებრივ საპირფარეშოებში შესვლა – ინსტინქტურად ვგრძნობდი, რომ საპირფარეშოები და ტელეფონი, გაუგებარი მიზეზის გამო, იმ პუნქტებს წარმოადგენდა, რომელსაც დროდადრო გამოედებოდა ხოლმე ჩემი ბედ-იღბლის ქსოვილი. ყოველ ადამიანს შეუნიშნავს ასეთი საბედისწერო საგნები ან მოვლენები, – ესაა, ერთ შემთხვევაში, განმეორებადი ლანდშაფტი, მეორეში – ციფრები, რომელთაც ღმერთები საგანგებოდ შეარჩევნებდნენ ხოლმე ჩვენთვის ღირებული მოვლენების განსახორციელებლად: აქ ჯონი აუცილებლად წაიბორძიკებს ხოლმე; იქ ჯეინს აუცილებლად გაუტყდება გული. მას შემდეგ, რაც ბენზინგასამართ სვეტთან მომემსახურნენ, ავტომობილი დავძარი – სატვირთო მანქანას ადგილი დავუთმე. ქარიანი დღის რუხ სივარდილეში მყისვე აზღვავდა ლოლიტას არყოფნა. უხალისო მღელვარებით უკვე მერამდენედ ვათვალიერებდი უძრავ წვრილმან საგნებს; მათ თითქოს უკვირდათ (სოფლელი დოკლაპიების მსგავსად), რომ შეყოვნებული მოგზაურის თვალთახედვის არეში ექცეოდნენ: ასეთი იყო, მაგალითად მუქი მწვანე ფერის სანაგვე ვედრო, შავი, თეთრგვერდიანი გასაყიდი სალტეები, მანქანის ზეთით გავსებული ყვითელი თუნუქელები, სხვადასხვაგვარი სასმელებით გაჭედილი წითელი მაცივარი, ოთხი, ხუთი... ექვსი ცარიელი ბოთლი, რომლებიც ნაწილობრივ შევსებული კროსვორდის მსგავსი ხის ყუთის უჯრედებში ელაგა, აგრეთვე – სარემონტო კანტორის ფანჯრის შიდა მხარეს მოთმინებით მცოცავი მწერი... კანტორის ღია კარიდან რადიომუსიკა მოისმოდა და

იმიტომ, რომ მისი რიტმი არ შეესაბამებოდა ქართულ გაცოცხლებული მცენარეების რხევას, იქმნებოდა შთაბეჭდილება საკუთარი კანონების მქონე ძველი ხედური ფილმისა, რომელშიც პიანინოს ან ვიოლინოს მუსიკალური ხაზი არ ეთანხმება ეკრანზე ხილული ათრთოლებული ყვავილის ან აქანავებული რტოს მოძრაობის რიტმს. შარლოტას უკანასკნელი ქვითინის გამოძახილმა უცნაურად გამგირა, როდესაც ლოლიტა სრულიად მოულოდნელი მხრიდან გამოჩნდა. კაბის (მუსიკის შეუსაბამო) რხევით მოდიოდა. აღმოჩნდა, რომ კლოზეტი დაკავებული იყო. მას ქუჩა გადაეკვეთა და მისულიყო სხვა გარაჟთან, რომელზეც ნიჟარა იყო გამოსახული. გარაჟზე ეწერა: „ვამაყობთ ჩვენი სატელეტო ოთახებით. ისინი თქვენი საპირფარეოებით სუფთაა. კლიენტების კომენტარებისთვის მომზადებულია ღია ბარათები უკვე დაწებებული მარკებით“. მაგრამ საპირფარეოში არც ღია ბარათები იყო, არც – საპონი, არც სხვა რამ. უკომენტაროდ. ნათესების გასწვრივ საკმაოდ უინტერესო მგზავრობის შემდეგ (იმავე თუ მომდევნო დღეს) მივალწიეთ ლამაზ ქალაქს, რომელსაც ქასბიმი ერქვა. დამე გავათენეთ მოტელში „წაბლნარი“, სადაც დაგვხვდა კოპწია სახლები, ხასხასა გაზონი, წაბლისა და ვაშლის ხეები, ძველი საქანელა – და საუცხოო დაისი, რომელსაც დამაშვრალმა ბალმა ყურადღება არ მიაქცია; სურდა, გაგვევლო ოცდაათი მილი, ქასბიმს მისი მშობლიური ქალაქიდან რომ აშორებდა. ამასთან,

მეორე დილას ლოლიტამ აღარ მოინდომა, თვალი შეეველო ტროტუარისთვის, სადაც ხუთი წლის წინათ კლასობანას თამაშობდა. მეც, გარკვეული მიზეზების გამო, ვერიდებოდი ამ დამატებით მგზავრობას, თუმცა შევეთანხმდით, არავისი ყურადღება არ მიგვექცია – მანქანიდან არ გამოვსულიყავით და ძველ მეგობრებს არ ვწვეოდით. გამიხარდა, რომ მან ეს პროექტი უკუაგდო; მეორე მხრივ, რომ სცოდნოდა, როგორ მამრწუნებდა პისკის ნოსტალგიური შესაძლებლობები, ასე ადვილად როდი დათმობდა ამ მგზავრობას. როდესაც ეს ვაუწყე და ამოვიოხრე, მანაც ამოიხვნეშა და შესაბრალისად შემომჩვილა, მოჟამული ვარო – და ლოგინში ჩაწოლა მოინდომა, თან უამრავი ილუსტრირებული ჟურნალის დათვალიერებას აპირებდა. მითხრა, თუ გამოვძეგობინდი, ლანჩის შემდგომ გზა გავაგრძელოთ და უკვე პირდაპირ დასავლეთის მიმართულებით გავეშუროთო. უნდა ვაღიარო, რომ ლოლიტა ძალზე ნაზი და მოთენთილი იყო და „სიგიჟემდე“ უნდოდა ახალი ხილით პირის ჩაგემრიელება. ამიტომ გადავწყვიტე, ქასბიმის ცენტრი მომენახულებინა და გემრიელი სურსათი მეყიდა. ჩვენი პატარა კოტეჯი ბორცვის ტყიან მწვერვალზე იდგა. ფანჯრიდან მოჩანდა გზა, რომელიც ჯერ დაღმართზე მიიკლავებოდა, შემდეგ კი წაბლის ხეების ორ რიგს შორის თმის განაყოფივით სწორად მიემართებოდა მშვენიერი ქალაქისკენ, დილის გამჭვირვალე ჰაერში სათამაშოს რომ წააგავდა; შეიძლებოდა, გაგერჩიათ ველოსიპედზე მჯდარი ელფისმაგვარი გოგონა: მის გვერდით შეუსაბამოდ დიდი ძალი მირბოდა – ყოველივე არაჩვეულებრივად მკაფიო იყო. ძველებურ სურათებზე ასეა გამოსახული მოლურჯო გორაკები და პაწაწინა წითელი ადამიანები, აგრეთვე სანთლისფერ გზებზე ზევით მიმავალი პილიგრიმები და ჯორები. ქვეითად სიარული მიყვარს, როგორც ევროპელებს სჩვევიათ. ამიტომ აუჩქარებლად დავეშვი გზაზე და რამდენიმე ხნის შემდეგ შევხვდი დაპირებულ ველოსიპედისტს. ის ულამაზო, მსუქანი, ნაწნავებიანი გოგონა აღმოჩნდა. გოროზი სენბერნარი ახლდა. ძალს თვალები ხავერდის უზარმაზარ იებს მიუგავდა. ქასბიმი უხეიროდ გამკრიჭა დაჩაჩანაკებულმა პარიკმახერმა: განუწყვეტლივ მიაძვებოდა რაღაცას თავისი ბეისბოლისტი ვაჟიშვილის შესახებ და თითოეული ბაგისმიერი ბგერის წარმოთქმისას კისერზე ნერწყვს მამხეფებდა. დროდადრო ჩემი პირსახოცით სათვალეს იწმენდა; ზოგჯერ ძველისძველი მაკრატლის ჭრიჭინს წყვეტდა და გაზეთების გაყვითლებულ ამონაჭრებს მიჩვენებდა; მის ლაპარაკს ყურადღებას არ ვაქცევდი. ამიტომ შევძრწუნდი, როდესაც ბოლოს ძველ, მტვრიან ბოთლებს შორის ჩადებულ მოარშიებულ ფოტოსურათზე მიმითითა – მივხვდი, რომ ეს ულვაშებიანი ყმაწვილი სპორტსმენი ოცდაათი წლის წინათ გარდაცვლილიყო. ერთი ჭიქა ცხელი, უგემური ყავა დავლიე, ჩემს პატარა მაიმუნს ბანანების აცმა ვუყვიდე და გასტრონომიულ მაღაზიაში კიდევ ათი წუთი დავყავი. სულ საათნახევარმა განვლო – და აი, პაწაწინა პილიგრიმი ჰუმ-ჰუმი კვლავ დაადგა „წაბლნარისკენ“ მიმავალ გზას. გზაზე ნანახი გოგონა ახლა თეთრეულის დასტის ქვეშ თითქმის არ ჩანდა: კაბინების დალაგებაში შველოდა ცალთვალა ტეტიას, რომლის მოზრდილმა თავმა და სახის ტლანქმა ნაკვებმა იტალიური ბალაგანის ერთ-ერთი პერსონაჟი, ეგრეთ წოდებული „ბერტოლდი“ მომაგონა. ჩვენს „წაბლნარში“ თორმეტი შორიშორ მდგარი მომცრო სახლი მწვანეში იყო

ჩაფლული. ახლა, შუადღეს, მათმა უმრავლესობამ ზამბარიანი კარების ფინალური ჯახუნის თანხლებით თავი დააღწია მდგმურებს. მიხრწნილმა, სიბერისგან სრულიად ჩამომხმარმა წყვილმა პატარა გარაჟიდან ფრთხილად გამოიყვანა სრულიად ახალი კონსტრუქციის ავტომობილი (ყოველ

კოტეჯს საკუთარი გარაჟი ახლდა); მეორე, ასეთივე მომცრო გარაჟიდან საკმაოდ ურცხვად იყო გამოშვებული წითელი სპორტული მანქანის წინა ნაწილი; ჩვენი კოტეჯის მახლობლად ლამაზი, ბრგე აღნაგობის, შავქოჩრინი, ლურჯთვალა ჭაბუკი პორტატიულ მაცივარს დებდა „შარაბანის“ ტიპის ავტომობილში. რატომღაც გაუბედავი ღიმილით შემომხედა. პირდაპირ, გაზონის შუაგულში, ტოტებგაბარჯლული ხეების ჩრდილში ნაცნობი სენბერნარი პატრონის ველოსიპედს დარაჯობდა, მის გვერდით კი დღე-დღეზე მოსალოგინებელ ახალგაზრდა ქალს ნეტარებისგან გაშეშებული ჩვილი საქანელაზე დაესვა და წყნარად არწევდა; ორი-სამი წლის ეჭვიანი ბავშვი დედას ხელს უშლიდა, ცდილობდა, თავისკენ მოეწია საქანელას დაფა ან ებიძგა მისთვის; ყოველივე იმით დასრულდა, რომ დაფა მიეხალა და მდელოზე გააგორა. ბავშვი ატირდა, ხოლო დედა კვლავ ნაზად უღიმოდა ჯერ არდაბადებულ შვილს. ამ წვრილმანებს ასე მკაფიოდ იმიტომ ვიხსენებ, რომ რამდენიმე წამის შემდეგ იძულებული გავხდი, საფუძვლიანად შემემოწმებინა ჩემი შთაბეჭდილებები; გარდა ამისა, ბერდსლეიში გატარებული იმ საშინელი სადამოს შემდეგ ყოველთვის ფრთხილად ვიყავი. ახლა ყურადღებას აღარ მიფანტავდა გასეირნებით გამოწვეული სასიამოვნო შეგრძნებები: ადრეული ზაფხულის ნიავით გაგრილებული კეფა, სველი, დრეკადი ხრემის წრიპინი, ჭიანი კბილიდან ბოლოს და ბოლოს გამოწყნებული გემრიელი ნამცეცი, და თვით კომფორტაბელური სიმძიმე ნავაჭრისა, რომელიც, გულის მდგომარეობის გამო, ალბათ, არ უნდა მეტარებინა; მაგრამ ეს ჩემი საბრალო ტუმბოც კი თითქოს დინჯად მუშაობდა და როდესაც ჩვენი კოტეჯი და დოლორესი ვიხილე, *adori d'amoureuse langueur*[95] ვიგრძენი. ჩემდა გასაოცრად, ლოლიტა ჩაცმული დამხვდა. ტილოს ლურჯი შარვალი და გუშინდელი მაისური ემოსა, საწოლის კიდეზე იჯდა და ისე მიყურებდა, თითქოს ვერ მცნობდა. ტრიკოტაჟის დაჭმუჭნილი ქსოვილი უმალ აჩენდა, ვიდრე მალავდა მისი პატარა მკერდის რბილ მოხაზულობას და ამ გამომწვევობამ მყისვე გამაღიზიანა. ჯერ არ ებანავა, მაგრამ ტუჩების შეღებვა მოესწრო და გაეთხიპნა ფართო წინა კბილებიც – ღვინოგადასხმული სპილოს ძვლივით ან პოკერის ვარდისფერი კოჭებივით ულაპლაპებდა. აი, ასე იჯდა, გადაჭდობილი თითები მუხლებზე ედო და ერთიანად ასხივებდა კაშკაშსა და ჯოჯოხეთურ შუქს, რომელსაც ჩემთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ქაღალდის მძიმე პარკი მაგიდაზე დავდე და რამდენიმე წამის განმავლობაში ვაკვირდებოდი მის სანდლებსა და შიშველ ფეხებს, დროდადრო მზერა გადამქონდა ლოლიტას ნეტარებით აღსავსე, უაზრო სახეზე, შემდეგ კი კვლავ ამ ცოდვილ ფეხებს ვაშტერდებოდი. „ეზოში გასულხარ“, ვუთხარი (სანდლებზე ხრემი შევამჩნიე). „ეს-ესაა, ავდექი“, მომიგო მან და დაუმატა (რადგან თვალი მოჰკრა ქვემოთ მიმართულ ჩემს მზერას): „ერთი წუთით გავედი, მიწოდდა მენახა, ხომ არ ბრუნდებოდი“.

მიხვდა, რომ ბანანები მოვიტანე და მაგიდისკენ შებრუნდა. მქონდა თუ არა ეჭვიანობის საფუძველი? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ეს დანისლული, მეოცნებე თვალები და მისი სხეულიდან გამოსხივებული უცნაური სითბო მაინც დამაფიქრებელი იყო. არაფერი მითქვამს, მხოლოდ გავხედე გზას, ეგზომ თვალნათლივ რომ მოჩანდა ფანჯარაში. ჩემი ნდობის ბოროტად გამოყენების მსურველი ადამიანისთვის ეს ფანჯარა შესანიშნავ სადაზვერვო პუნქტს წარმოადგენდა. ლოლიტა მადიანად შეექცა ხილს. უეცრად გამახსენდა მეზობელი კოტეჯის მკვიდრი ჭაბუკის პირფერული ღიმილი. ეზოში გავვარდი. არც ერთი ავტომობილი არ ჩანდა, შარაბანის გარდა, რომელშიც იმ ტიპის ახალგაზრდა, ფეხმძიმე ცოლი ჩვილითურთ ჩამჯდარიყო. იქვე დავინახე მეორე, მეტ-ნაკლებად გაუქმებული ბავშვიც. „რა მოხდა, სად მიდიხარ?“ დაიყვირა ლოლიტამ პარმადიდან. არაფერი მითქვამს. ფაფუკი გოგონა ოთახში შევაგდე და შევეყვი. მაისური ჩამოვგლიჯე. ელვა-შესაკრავმა გაიტკრციალა და ყველაფერი ერთად გავხადე. სწრაფად გავაძრე ფეხსაცმელი. გამმაგებით ვეძებდი ღალატის კვალს, მაგრამ ის იმდენად მკრთალი იყო, რომ შეშლილის გამოწვინისგან ვერ განასხვავებდით.

17. ახირებულ გასტონს მეგობრების დასაჩუქრება უყვარდა. ეს იყო მისი გემოვნების შესაბამისი გამოაგნებელი ან, ყოველ შემთხვევაში, უჩვეულო საჩუქრები. ერთხელ შენიშნა, რომ ჭადრაკის კოლოფი გამიტყდა. მეორე დილას თავის ერთ-ერთ კატამიტვიკოსს გამოატანა სპილენძის ზარდახმა, რომლის სახურავი აღმოსავლური ტვიფრით იყო შემკული და მეტად საიმედოდ იკეტებოდა. პირველი შეხედვისთანავე ვიცანი ფულის შესანახად განკუთვნილი იაფფასიანი ყუთი, რომელსაც რატომღაც „ლუიზეტს“ უწოდებენ, სადღაც, მალაგასა თუ ალჟირში, გზად ყიდულობენ ხოლმე და შემდეგ არ იციან, რა უყონ. ყუთი ძალზე ბრტყელი იყო და ჭადრაკისთვის არ გამოდგებოდა, მაგრამ სრულიად სხვა დანიშნულებით გამოვიყენე. ბედის მიერ დაგებულ მახეში რომ არ გავბმულიყავი, გადავწყვიტე (ლოლიტას დაუფარავი წყენის მიუხედავად), „წაბლნარის“

კოტეჯებში ზედმეტი ღამე გამეთია. დილის ოთხ საათზე საბოლოოდ გამეღვიძა და დავრწმუნდი, რომ გოგონას ჯერ კიდევ ეძინა (პირი ისე დაეღო, თითქოს უხალისო გაოცებას გამოთქვამდა იმის გამო, თუ რაოდენ უცნაური და უხეირო ცხოვრება მოვუწყვე). „ლუიზეტის“ ძვირფასი შიგთავსი ხელუხლებელი იყო. იქ შენახული

მქონდა თეთრი შალის ყელსახვევში შეფუთული ჯიბის პისტოლეტი: კალიბრი – ნოლ ოცდათორმეტი, ტევადობა – რვა ვაზნა, სიგრძე – ლოლიტას სიმაღლის დაახლოებით ერთი მეცხრედი, ტარი – კაკლის ხისა, უჯრედებიანი, ფოლადის მოსამართები – მთლიანად მოსევადებული; ის კატალოგთან ერთად მემკვიდრეობით მივიღე განსვენებული ჰაროლდ ჰეიზისგან. კატალოგში უდარდელი უმეცრებით ეწერა: „გამოსადეგია სახლისა და ავტომობილის, აგრეთვე – პერსონის მიმართ“. პისტოლეტი მზად იყო პერსონის ან პერსონების მიმართ გამოსაყენებლად. შემართული ჩახმახის „მოსრიალე საკეტს“ მცველი იფარავდა უნებლიე გასროლისაგან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პისტოლეტი წინაპართა ცენტრალური კიდურის ფროიდისტული სიმბოლოა. მიხაროდა, რომ პისტოლეტი თან მქონდა, - განსაკუთრებით მახარებდა ის, რომ მისი ხმარება ვისწავლე ორი წლის წინათ, ჩემი და შარლოტასეული ტბის მახლობლად, ქვიშის საათს რომ წააგავდა. ფარლო, რომელსაც ამ უღრან ტყეში დავყვებოდი, ჩინებულად ისროდა: მოახერხა, „კოლტი“ კოლიბრი მოეკლა. ამასთან, ნადავლი ბდღვნად არ ღირდა - ჩიტუნასაგან მხოლოდ ცოტადენი ფერადოვანი ბუმბული დარჩა. ერთხელ მსუქანი პოლიციელი, გვარად კრესტოვსკი (რომელმაც ოციან წლებში მარჯვედ მოკლა ორი გაქცეული ტუსადი), შემოგვიერთდა და სანადირო ჩანთას პაწაწა კოდალა დაუმატა - ეს წელიწადის იმ დროს მოხდა, როდესაც ნადირობა სრულიად აკრძალული იყო. ამ ნამდვილ მსროლელებთან შედარებით მე, რა თქმა უნდა, ახალბედა ვიყავი და განუწყვეტლივ ვაცდენდი მიზანს, სამაგიეროდ, როდესაც სანადიროდ მარტო წავედი, ბედმა გამიღიმა და ციყვი მოვკალი. „იწყე, იწყე“, - წავჭურჩულე ჩემს პორტატიულ, კომპაქტურ „მამიკოს“ და მის სადღეგრძელოდ ერთი ყლუპი ჯინანასი გადავკარი.

18. ახლა მკითხველმა წაბლნარისა და კოლტის ამბავი უნდა დაივიწყოს და დასავლეთის მიმართულებით გამოგვეყვს. გზაში რამდენიმე ძლიერმა გრიგალმა მოგვისწრო. შესაძლოა, ერთი და იგივე გრიგალი მთელ ქვეყანაში ბაყაყივით მიიმედ დახტოდა და მას ისევე ვერ ვაწევდით თავს, როგორც - მაძებარ ტრასს: ვინაიდან სწორედ ამ დღეებში ჩემ წინაშე დაისვა იდუმალი ამოცანა აცტეკისფერ-მოწითალო „იაკისა“, რომელსაც გადასახსნელი სახურავი ჰქონდა, ამან სრულიად დამავიწყა ლოლიტას სატრფოების თემა.

საინტერესოა! წინათ ყოველი შემხვედრი ბიჭის გამო ვეჭვიანობდი, ახლა კი ძალზე ზერელებდ მოვეკიდე ბედისწერისეულ მინიშნებებს! შესაძლოა, ამ ზამთრის განმავლობაში ლოლიტას მოკრძალებულმა ქვევამ მოადუნა ჩემი სიფხიზლე. ყოველ შემთხვევაში, გიჟი კი ვერ იფიქრებდა, რომ მავანი ჰუმბერტ მეორე ახლა ვრცელსა და ძალზე ულამაზო ველებში ვისრისტეხით მისდევდა (ზევისის მაშხალების თანხლებით) ჰუმბერტ პირველსა და მის ნიმფეტს. ამიტომ ვივარაუდე, ალუბლისფერ „იაკში“, რომელიც დისკრეტულ მანძილზე უკან მოგვდევდა, მაძებარი იჯდება-მეთქი. ეს უკანასკნელი, ალბათ, რომელიმე მოცლილ, შფოთიან კაცს უნდა დაექირავებინა ჰუმბერტ ჰუმბერტისა და მისი მცირეწლოვანი ვერის ურთიერთობაში გასარკვევად. ჩვეულებრივ, ატმოსფეროში ელექტრული მოვლენებისა და ელვათა ტკაცატკუცის პერიოდებში ჰალუცინაციები მაწუხებს. ახლაც ასე იყო. დასაშვებია, რომ ამჯერად ჰალუცინაციებზე უფრო არსებითი რამ მაწამებდა. არც ვიცი, ერთხელ რა ბანგით შეაზავა ლოლიტამ ან მაძებარმა ჩემი ჯინი, მაგრამ მან მხოლოდ ოდნავ გამაბრუა და ღამით მკაფიოდ გავიგონე კაკუნი; კოტეჯის კარი გამოვადე და მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ დედიშობილა ვიყავი. ზღურბლზე მდგარი კაცი მკრთალად ციმციმებდა წვიმით გაჟღენთილ წყვდიადში. მის სახეზე აფარებული ნიღაბი გამოსახავდა „ჩინს“, მსხვილნიკაპიან გროტესკულ დეტექტივს, რომლის თავგადასავლები კომიქსებში ქვეყნდებოდა. მოჩვენებამ ყრუდ გადაიხარხარა და გაიძურწა; ბარბაცით დავუბრუნდი ჩემს საწოლს და მაშინვე დამეძინა - უცნაურია, მაგრამ ჯერაც ვერ დავადგინე, ეს სინამდვილე იყო თუ ბანგით გამოწვეული ზმანება; ამასთან, მას შემდეგ საფუძვლიანად შევისწავლე ტრასის თავისებური იუმორი და ეს საქციელი მის საკმაოდ დამაჯერებელ ნიმუშად წარმომიდგება. ო. რა ტლანქი და ღვარძლიანი ჩანაფიქრი იყო! ალბათ, ვიღაც კომერსანტი იმ ურჩხულებისა და ბრიყვების ნიღბების გაყიდვის მემშვეობით დიდძალ ფულს ხვეტდა. მეორე დღეს შევნიშნე, რომ ორი ბიჭუნა ნაგვის ყუთში იქექებოდა და „ჩინის“ ნიღაბს იზომებდა. ეს თანხვედენა იყო თუ მეტეოროლოგიური პირობების

შედეგი? მოწყალეო ქალბატონებო და ბატონებო, მე გახლავართ მკვლელი, რომელსაც საოცარი, მაგრამ, ამასთან, ძალზე ჭირვეული მეხსიერება აქვს. ამიტომ ვერ გაუწყებთ ჩემ მიერ ალუბლისფერი „იაკოს“ შემქნევის ზუსტ თარიღს. სამაგიეროდ, კარგად მახსოვს, როგორ დავინახე პირველად მისი მძლოლი. ერთ საღამოს მანქანა ნელა მიმყავდა კოკისპირულ წვიმაში. გვერდით სარკეში მოჩანდა ვნებისგან ათრთოლებული და ფორმამეცვლილი წითელი აჩრდილი. მალე წარღვნის ზრიალი შენელდა, წვიმა წვეთ-წვეთად აკაკუნდა, შემდეგ კი საერთოდ შეწყდა. მოელვარე მზემ ღრუბლები გააპო და გზატკეცილს სხივები მათრახებივით გადაუჭირა. მუქმინიანი სათვალის ყიდვა მომინდა და ბენზინგასამართ სვეტთან შევჩერდი. ყოველივე ავადმყოფობად, ავთვისებიან სიმსივნედ მიმაჩნდა, რის წინააღმდეგაც ვერაფერს გავხდებოდი. ამიტომ, გადავწყვიტე, უბრალოდ, ყურადღება არ მიმექცია ჩვენი აუღელვებელი მდევრისთვის; ამ უკანასკნელმა მანქანა ცოტათი უკან შეაჩერა, რომელიღაც კაფესთან თუ ბართან, სადაც იდიოტური ფირნიში იყო გაკრული: „ტურნიურები“, ქვემოთ კი ეწერა: „მონაწილეობა მიიღეთ ცეკვის ტურში ნიურასთან ერთად“. მანქანამ წყურვილი დაიოკა, მე კი კანტორაში წავედი სათვალის საყიდლად და ბენზინის საფასურის გადასახდელად. როდესაც სამგზავრო ჩეკს ხელს ვაწერდი, შევეცადე, მომესაზრებინა, სად ვიმყოფებოდი და

შემთხვევით ფანჯარაში გავიხედე. ნანახმა შემზარა: მხარბეჭიანი, მელოტი, ჩალისფერ სპორტულ პიჯაკსა და ყავისფერ შარვალში გამოწყობილი მამაკაცი ლოლიტას უსმენდა; ჩვენი ავტომობილის ფანჯარაში თავგამოყოფილი გოგონა სხაპასხუპით ლაპარაკობდა და თითებგაფარჩხულ ხელს ზევით-ქვევით აქნევდა. ასე მაშინ იქცეოდა, როდესაც სერიოზულ და გადაუღებელ საკითხზე მსჯელობდა. განსაკუთრებით განმაცვიფრა - მტანჯველად განმაცვიფრა - მისი ქცევისა და მეტყველების ენით აუწერელმა სილადემ. ისინი თითქოს დიდი (ალბათ, თვეზე მეტი) ხნის ნაცნობები იყვნენ; შემდეგ მამაკაცმა ლოლიტას თავი დაუქნია, ლოყა მოიქექა, მიტრიალდა და თავისი მანქანისკენ გაემართა. ეს ჩასხმული, ჩემი ხნოვანების კაცი რამდენადმე წააგავდა მამაჩემის შვეიცარიელ ბიძაშვილს, გუსტავ ტრაპს. მას, ძია გუსტავის მსგავსად, მზემოკიდებული (ჩემსაზე გაცილებით მრგვალი) პირისახე და მოკლედ შეკრეჭილი შავი უღვაში ჰქონდა. დეგენერატული პირი ვარდის კოკორს მიუგავდა. როდესაც ავტომობილთან მივედი, ლოლიტა საგზაო რუკას ეცნობოდა. „რა გკითხა იმ თავხედმა, ლოლიტა?“ „რომელმა თავხედმა? ოჰ - იმან? ოჰ - რა ვიცი. მკითხა, რუკა ხომ არ გაქვსო. ალბათ, გზა აერია“. მანქანა დაგმარი და დავიწყე: „ყური მიგდე, ლოლიტა. არ ვიცი, მატყუებ თუ არა, ან იქნებ ჰკუიდან შეიშალე. ამჟამად ეს ჩემთვის სულ ერთია; მაგრამ ის ვაჟბატონი მთელი დღის განმავლობაში უკან მოგვდევს (ვფიქრობ, პოლიციის აგენტია); გუშინ მისი მანქანა ჩვენს ქარვასლასთან იდგა. კარგად იცი, რა მოხდება და სად გავგზავნიან, თუ პოლიცია რაიმეს შეიტყობს. ახლა კი აბსოლუტურად ზუსტად მითხარი, რა გკითხა და რა უპასუხე“. ლოლიტას სიცილი წასკდა. „თუ ის კაცი მართლაც პოლიციელია“, წამოიძახა ხმამაღლა, მაგრამ საკმაოდ გონივრულად, „მაშინ არ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ შეგვეშინდა. ყურადღება არ მიაქციო, მამიკო“. „გკითხა თუ არა, საით მივემართებით?“ „ეს თვითონაც იცის“, იყო დამცინავი პასუხი. „ყოველ შემთხვევაში“, დავუთმე მე, „მის სიფათს თვალი შევავლე. საკმაოდ შეუხედავია. სხვათა შორის, გასაოცრად ჰგავს ჩემს ერთ ბიძას, გვარად ტრაპს“. „იქნებ მართლაც ტრაპია. შენს ადგილას რომ ვიყო, - ოჰ, შეხე, სამი ცხრიანი ათასად იქცა. როდესაც სულ პატარა ვიყავი“, ანაზადად დაუმატა და ოდომეტრზე მიუთითა, „მჯეროდ, რომ თუ დედა მანქანას უკუსვლით წაიყვანდა, ნულები კვლავ ცხრიანებად იქცეოდა“.

მგონი, პირველად გაიხსენა თავისი ჰუმბერტამდელი ბავშვობა; შეიძლება, სცენაზე ასწავლეს ამგვარი რეპლიკების მეშვეობით საუბრის თემიდან გადახვევა. სრულ სიჩუმეში გზას განვაგრძობდით. საბედისწერო ავადმყოფობისას მორფის ზეგავლენით ტკივილი ქრება, შემდეგ კი ხელახლა იჩენს თავს, როდესაც წამლის მოქმედება სუსტდება და იმედი ილევა. ზუსტად ასევე, მეორე დღეს კვლავ გამოჩნდა წითელი ნადირი. გზატკეცილზე იმ დღეს არცთუ ისე ბევრი მგზავრი იყო; არავინ უსწრებდა ერთმანეთს; და არავინ ცდილობდა, ჩვენს სადა ლურჯ მანქანასა და მის მორჭმულ წითელ ორეულს შორის მოქცეულიყო: ცუდლუტმა გრძნეულმა თილისმით შეკრა ჩვენ შორის არსებული ინტერვალი და ამ ზონის ბროლივით ნატყვი სიზუსტე და ურყეობა თითქოს ხელოვანის ნაღვაწს წარმოადგენდა. ჩვენი მდევრის ბამბით დატენილი მხრები და ბიძაჩემისგან ნასესხები უღვაშები ვიტრინაში გამოდგმულ მანეკენს მაგონებდა, ხოლო მისი ავტომობილი, ერთი შეხედვით, მხოლოდ იმით მოძრაობდა, რომ უხილავი და ფარული ბაგირით იყო დაკავშირებული ჩვენს უბადრუკ „სედანთან“. დიდებულ, გალაქულ „იაკთან“ შედარებით გაცილებით ნაკლები ძალა შეგვწევდა, ასე რომ, არც კი გვიცდია თავის დამგრენა. „ო, ნელა

გაგვეცალეთ, დამეულო დრაკონებო!" o lente currite, noctis equi! აუჩქარებლად ვიპყრობდით ციცაბო აღმართს, შემდეგ კი ქვემოთ ვეშვებოდით. ნებადართული სიჩქარის მითითებებს ვექვემდებარებოდით. ბავშვებს მომდევნო კლასში გადასვლის საშუალებას ვაძლევდით. ხელის ნარნარი მოძრაობებით ვიმეორებდით ყვითელ ფარებზე დახატულ შავ, კლანკილ ხაზებს, მოსახვევის შესახებ რომ გვაფრთხილებდნენ; და სადაც უნდა ვყოფილიყავით, მონუსხული ინტერვალი უცვლელად მისრიალებდა ჩვენ უკან, მათემატიკური მირაჟის ან ჯადოსნური ხალიჩის საგზაო დუბლიკატის მსგავსად. ამასთან, გამუდმებით ვგრძნობდი, როგორ გიზგიზებდა ჩემს მარჯვენა მხარეს პაწაწინა ინდივიდუალური ხანძარი: ლოლიტას აღტყინებული თვალი, მისი შეფაკვლი ლოყა. საფაბრიკო ქალაქის გარეუბნის გზაჯვარედინზე (დღის ოთხ საათსა და ოც წუთზე) ჯოჯოხეთური მოძრაობის განმგებელმა პოლიციელმა ბედისწერის კარნახით საცთური გააქარწყლა. ხელით მანიშნა, გზა გააგრძელო, შემდგომ კი იმავე ხელით შეაჩერა ჩემი აჩრდილი. ჩემსა და „იაკს“ შორის, გადამკვეთ ქუჩაზე, ავტომობილების ჯერი დაიდრა. მანქანა გავაქროლე, შემდეგ კი მარჯვედ გავუხვიე. მაღლიდან ბელურა ჩამოფრინდა, პურის მოზრდილი ნამცეცი ჩამოიტანა. მას მეორე ბელურამ შეუტია და ლუკმა გააგდებინა. გულდამძიმებულმა, მანქანა რამდენჯერმე შევაჩერე და გზა განზრახ დავხლართე. როდესაც გზატკეცილზე დავბრუნდი, ჩემი ორეული არსად ჩანდა. ლოლიტამ გამკილაავად ჩაიფრუტუნა და მითხრა: „თუ ის კაცი მამებარია, მისგან დამალვა სისულელეა“. „ამჟამად მდგომარეობა სხვაგვარად წარმომიდგება“, ვუპასუხე მე.

„მამებართან კონტაქტი რომ არ გაგეწყვიტა, შენი წარმოდგენის გვარობას შეამოწმებდი, ძვირფასო მამიკო“, შენიშნა ლოლიტამ, რომელიც საკუთარი სარკაზმის რგოლებში იკლავებოდა. „მანინგ როგორი ფლიდი ხარ“, დასძინა ჩვეულებრივი ხმით. პირქუში დამე ამაზრზენ მოტელში გავატარეთ. თქრიალა თქემი ხმაურობდა. ჩვენს თავზე განუწყვეტლივ გაისმოდა მართლაც რომ წარღვნამდელი მეხის გრუხუნნი. „ქალბატონი არა ვარ და ელვა არ მიყვარს“, უცნაური აზრი გამოთქვა ლოლიტამ და ჩამეკონა (სამწუხაროდ, ეს მხოლოდ იმიტომ მოიმოქმედა, რომ ქარიშხლებისა ავადმყოფურად ემინოდა). დილას ვისაუზმეთ ქალაქში, რომელსაც ერქვა მი, მოს. 1001 კაცი. „თუ ამ ერთიანის მიხედვით ვიმსჯელებთ“, შევნიშნე მე, „ჩვენი თავგასიებული მდევარი უკვე აქაა“. „შენი იუმორი“, შემესიტყვა ლოლიტა, „სწორედ რომ სასეიროა, ჩემო ძვირფასო მამიკო“. ამ დროისთვის უკვე აბზინდის ტრამალს მივადწიეთ და ორიოდ დღის განმავლობაში ვტკებოდი გოგონას ლმობიერებით (ბრიყვო, ვეუბნებოდი ჩემს თავს, ყველაფერი კარგადაა, უსიამოვნება მხოლოდ დაგროვილი გაზებით იყო გამოწვეული); და მალე მართკუთხა ზეგნებმა ადგილი დაუთმეს ნამდვილ მთებს და ქალაქ უეისს დათქმულ ვადაში მივადწიეთ. აი, უბედურება! თურმე რაღაც შეგვშლოდა; ლოლიტას თავის დროზე არასწორად წაეკითხა მეგზურში აღნიშნული თარიღი - ჯადოსნურ მღვიმეში გამართული როკვა დიდი ხნის წინათ დასრულებულიყო! ლოლიტამ ამის გამო წარბიც არ შეიხარა, - და როდესაც აღმოჩნდა, რომ კურორტ უეისის საზაფხულო თეატრში საგასტროლო სეზონი დაწყებულიყო, გულმა იქით გაგვიწია (იენისის შუა რიცხვებში, ერთ მშვენიერ საღამოს). ღმერთმანი, ვერ მოგიტხრობთ ნანახი პიესის სიუჟეტს; ეს იყო მდარე წარმოდგენა ელვის გამომხატველი პრეტენზიული შუქური ეფექტებით. მთავარ როლს უნიჭო მსახიობი ქალი ასრულებდა. ერთადერთი ვარგისი დეტალი გახლდათ სცენაზე მეტ-ნაკლებად უძრავად გახევებული შვიდი პაწაწინა გრაციისგან შედგენილი ყვავილწული - შვიდი რეტდასხმული, სახეშეღებილი, ხელშიშველი, ფეხშიშველი სასკოლო ასაკის გოგონა. ფერადი მარმამის კაბები ეცვათ და ადგილობრივი წარმომავლობისა იყვნენ (ამაზე მიუთითებდა მიკერძოებული მღელვარება, დროდადრო რომ შეიმჩნეოდა მაყურებელთა დარბაზის სხვადასხვა ნაწილში): გოგონებს უნდა გამოესახათ ცოცხალი ცისარტყელა, რომელიც მთელი უკანასკნელი მოქმედების განმავლობაში საკმაოდ შთამბეჭდავად, თანდათანობით იმარცვებოდა უამრავი ვუალისგან. მახსოვს, ვიფიქრე, კლერ კუილტიმ და ვივიან დამორ-ბლოკმა „ბავშვებისგან შედგენილი ცისარტყელის“ იდეა ჯოისს მოჰპარეს-მეთქი. ისიც მახსოვს, რომ ამ ცისარტყელის ორი ფერი უჩვეულოდ მომხიბვლელი არსებებით იყო წარმოდგენილი: ნარინჯისფერი განუწყვეტლივ ცმუტავდა განათებულ სცენაზე, ზურმუხტისფერმა კი მალე შეაჩვია თვალი მაყურებელთა დარბაზის სიბნელეს და უეცრად გაუღიმა დედას თუ მეურვეს.

როგორც კი წარმოდგენა დამთავრდა და ირგვლივ ტაშისცემა გაისმა (რაც ჩემს ნერვებს აუტანლად აღიზიანებს ხოლმე), ლოლიტა ბიძგის კვრით წავიყვანე გასასვლელისკენ. მსურდა, ბუნებრივი სატრფიალო აღზნება დამეცხრო ჩვენი ნეონურ-ცისფერი კოტეჯის საიმედო სიმყუდროვეში, გაცეხული ღამის საფარველქვეშ: ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ ბუნებას აოცებს მისი იდუმალი დამეული დაკვირვებები. ლოლიტა შეყოვნდა, თვალები მოწკურა და ვარდისფრად გახვედა;

მხედველობამ იმდენად შთანთქა მისი სხვა გრძობები, რომ მოდუნებულ ხელისგულს ერთმანეთს არ აკარებდა, თუმცა მექანიკურად განაგრძობდა ტამისკვრას. ბავშვებში ადრეც შემინიშნავს ამგვარი ექსტაზი, მაგრამ ეს, ეშმაკმა დალაზვროს, განსაკუთრებული ბავშვი იყო. ბეცი თვალების სხივიერი მზერა შორეული რამპისთვის მიეპყრო - იქ შევამჩნიე პიესის ორივე ავტორი (უფრო ზუსტად - მათი საერთო მოხაზულობა): სმოკინგში გამოწყობილი მამაკაცი და ძალზე მაღალი, შავგვრემანი ქალი, რომელსაც შიშველი მხრები და ქორული პროფილი ჰქონდა. „მხეცო, ისევ მატკინე მაჯა“, - დაიწუწუნა წვრილი ხმით ლოლიტამ და ჩემ გვერდით დაჯდა ავტომობილში. „მაპატიე, ჩემო თვალისჩინო - ჩემო ულტრაიისფერო თვალისჩინო“, - დავუყვავე და ამაოდ ვცადე, იდაყვზე ხელი წამეველო; მინდოდა, საუბრის თემა შემეცვალა - და ბედის მიზანმიმართულება სხვა გზით წარმემართა. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო: „ვივიანი ძალზე სანდომიანი ქალბატონია. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ გუშინ ვნახეთ ქალაქ მიმოსში, სადილობისას“. „ზოგჯერ საშინლად ყვეყჩი ხარ“, შენიშნა ლოლიტამ. „ჯერ ერთი, ვივიანი მამაკაცია, ქალი კი - კლერი. მეორეც, ის ორმოცი წლისაა, გათხოვილია და ძარღვებში ზანგის სისხლი უჩქეფს“. „მე კი“, განვაგრძე და ალერსით წავეხუმრე, „მე კი კულიტი შენი ყოფილი სატრფო მეგონა - გახსოვს, მასზე ვსაუბრობდით ჩვენს ძვირფას რამზდეღში, მაშინ, როდესაც გიყვარდი?“ „რაო?“ შემედავა ლოლიტა დამაბული გრიმასით, „რამზდეღელი ბებერი დანტისტი? შენ, ალბათ, ვიდაც სხვა, კახა გოგონაში გეშლები“. მე კი ვიფიქრე, რომ ამ გოგონებს ყველაფერი, ყველაფერი ავიწყდებათ, ჩვენ კი, ნიმფეტების ბებერი თავყანისმცემლები, მათ ყოველ სანუკვარ გოჯს დავკანკალებთ...

19. ბერდსლეიში ყოფნისას (ლოლიტას ნებართვით) იქაურ ფოსტის უფროსს ვთხოვე, ჩვენი წერილები გადმოგზავნა მოკითხვამდე ჯერ უეისში, თხუთმეტი ივნისის შემდეგ კი - ელფინსტონში. მეორე დილას ვეწვიეთ უეისის ფოსტამტს, სადაც მოკლე, მაგრამ ხანგრძლივ რიგში ლოდინი მოგვიხდა. ლოლიტა აუღელვებლად ათვალერებდა შუაკედლისზე გამოფენილ გაიძვერების ფოტოსურათებს. ლამაზი არამზადა ანატოლ ბრიანსკი, იგივე ანტონი ბრიანი, იგივე ტონი ბრაუნი, თვალები - თაფლისფერი, სახის ფერი - მკრთალი, ბრალი ედება ბავშვის მოტაცებაში, იძებნება პოლიციის მიერ. თვალებში სევდაჩამდგარი ხანდაზმული ბატონის **Faux pas**[96] ის იყო, რომ საფოსტო უწყება მოატყუა. გარდა ამისა, თითქოს ეს არ კმაროდა - ტერფების უკურნებელი დეფორმაცია აწუხებდა. ვიდაც შუბლშეკრული შუბერტის სურათზე მიწერილი იყო გაფრთხილება: ალბათ, შეიარაღებულია და საკმაოდ საშიშად უნდა ჩაითვალოს. თუ გასურთ, ჩემი წიგნი ფილმად გადააკეთოთ, ამგვარ ტრიუკს გთავაზობთ: სანამ დამნაშავეთა ფიზიონომიებს ვათვალერებ, ერთ-ერთი მათგანი თანდათან გარდაიქმნება ჩემს სახედ. ვნახე დაკარგული გოგონას ჭუჭყიანი სურათიც. თოთხმეტი წლისა იყო, უჯრედებიანი ქვედატანი ემოსა, ბერეტი ეხურა, მიმართეთ შერიფ ფიშერს, ფიშერიფს... მგონი, წერილები არ მიმიღია, რაც შეეხება დოლის, მისი სასკოლო შეფასება გამოგვიგზავნეს. გარდა ამისა, მიიღო ძალზე უჩვეულო, ძალზე გრძელკონვერტიანი წერილი, რომელიც უყოყმანოდ გავხსენი და წავიკითხე. ლოლიტამ გულგრილი გამომეტყველებით ზურგი შემაქცია და გასასვლელთან მიყუჟული კიოსკისკენ გაემართა. დავასკვენი, რომ ჩემი მოქმედება წინდახედულად გაითვალისწინა. „დოლი-ლო! ესეც ასე - პიესამ უდიდესი წარმატებით ჩაიარა. სამივე ქოფაკი წყნარად იწვა - ალბათ, ჩვენმა ძვირფასმა ექიმმა მათ რაიმე წამალი შეუშაპუნა. ლინდამ (შენმა შემცვლელმა), მშვენივრად ითამაშა, ერთდროულად მკვირცხლიც იყო და თავდაჭერილიც, მაგრამ ამაო იქნებოდა ლინდაში შენი გულითადობისა და უშუალო აღმაფრენის ძიება; მასში არ შეიმჩნევა ჩემთვის - და ავტორისთვის - მეტად ძვირფასი დიანას ხიბლი; ამასთან, ავტორი ამჯერად თეატრში არ მოვიდა, ხოლო უჩვეულო გრიგალმა რამდენადმე ჩაახშო ჩვენი მოკრძალებული „კულისებში გავარდნილი მეხის“ ხმა. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა დაუოკებელია ცხოვრების დინება! ახლა, როდესაც ყველაფერი დამთავრდა - სკოლა, სპექტაკლი, ჩემი ურთიერთობა როისთან, დედაჩემის ფეხმძიმობა (სამწუხაროდ, ბავშვი ძალე გარდაიცვალა). ყოველივე ეს უხსოვარდროინდელი ამბავი მგონია, თუმცა სინამდვილეში გრიმი ჯერ კიდევ მილიტინებს სახეზე. საუზმის შემდეგ ნიუ-იორკში მივყავართ და, ალბათ, მშობლებთან ერთად, ევროპაში გავემგზავრები, თუმცა ეს სულაც არ მსურს. უარესი ამბავიც უნდა გაუწყო, დოლი - ლო! არ ვიცი, დაბრუნდები თუ არა ბერდსლეიში, მაგრამ თუ დაბრუნდები, შეიძლება, იქ არ დაგხვდე. ჩემი ერთი რომანი შენთვის ცნობილია, მეორის შესახებ კი ბევრი არაფერი იცი, - ასეა თუ ისე, მამაჩემი ჩაერია და პარიზში სასწავლებლად მაგზავნის ერთი წლით; თვითონაც აქ იცხოვრებს. მე ხომ ფულბრაიტის სტიპენდია მომანიჭეს.

მოლოდინისამებრ, საბრალო პოეტი დაიბნა მესამე სცენაში, იმ ადგილას, სადაც ყოველთვის ვბორძიკობდი, იმ სულელურ სტრიქონებზე. გახსოვს? ხიმენას სატრფოს ტბამ როგორი უჩვენა ძირი, შემკული თეთრი შროშანათი, ილხენს თუ ტირის. აქ ხაზი გავუსვი ძნელად წარმოსათქმელ ადგილებს. აბა, ჭკვიანად მოიქეცი, გოგოცუნა! პოეტი გულითად სალამს გიძღვის, მამაშენს კი მოწიწებით მოიკითხავს. შენი მონა. P.S. ჩემი თავგადასავლის გამო (რომელშიც მამაჩემი ჩაერია) ისე მოხდა, რომ კორესპონდენციას მკაცრად მიმოწმებენ. ამიტომ ჯერ არაფერი მიპასუხო, სანამ ევროპიდან არ მოგწერ". როგორც ჩანს, მონამ არ შეასრულა დაპირება. მით უკეთესი; მისი წერილი შეიცავდა უსიამო მინიშნებებს, რომელთა შესახებ მსჯელობა ახლა ძალზე მიმდის. ის დიდი ხნის შემდეგ ვიპოვე ჩვენი ერთ-ერთი მეგზურის ფურცლებს შორის და აქ უბრალოდ, დოკუმენტაციის სახით მოვიყვანე. წერილი ორჯერ გადავიკითხე. თავი ავწიე და დავაპირე - ესეც ახალი ამბავი - დიანა სადღა? სანამ მონას გრძნებით ვინუსხებოდი, ლოლიტამ მხრები აიჩეჩა და გაუჩინარდა. „შემთხვევით ხომ არ შეგიმჩნევიათ...“ - მივმართე კუზიან კაცს, გასასვლელთან დერეფანს რომ ხვეტდა. რა თქმა უნდა, შეამჩნია. ბებერი მრუში. მისი აზრით, ლოლიტამ ვიღაც დიანახა გარეთ და გავარდა. მეც გავვარდი. ტროტუარზე შეეჩერდი, მაგრამ იქ გოგონა ვერ ვნახე. კვლავ გავიქეცი. შეეჩერდი. ამგვარად - აღსრულდა. სამუდამოდ გაქრა. მომდევნო წლებში ხშირად ვეკითხებოდი თავს, რატომ სამუდამოდ არ გაქრა ლოლიტა იმ დღეს. ჩემს ჩაკეტილ ავტომობილში შენახულმა ახალმა საზაფხულო კაბებმა ხომ არ შეაკავა? ან, იქნებ, საერთო გეგმის რომელიმე ნაწილი არ იყო სათანადოდ მომზადებული? ან კიდევ, უფრო მარტივად: უნდოდა, ელფინსტონში მიმეყვანა (სწორედ ეს ქალაქი იყო საბოლოო პუნქტი). მახსოვს, იმ წუთს ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ საბოლოოდ მიმატოვა. ქალაქს ნახევარწერდ გარს ვვლავდნენ იისფერი მთები, რომლებიც ჩემს შეკითხვებს უგულუბელყოფდნენ. მომეჩვენა, თითქოს მათზე მიბობლავდნენ აქომინებული ლოლიტები, რომლებიც ბორძიკობდნენ, კისკისებდნენ, სულ უფრო მძიმედ ხვნეშობდნენ და გამჭვირვალე ნისლში უჩინარდებოდნენ. ციცაბო ფერდობზე თეთრი ქვების მეშვეობით გამოსახული იყო ქალაქის სახელწოდების უზარმაზარი პირველი ასო, რაც ჩემი უსასოობის ინიციალად მივიჩნიე. ფოსტამტის ახალი, მშვენიერი შენობა ჯერ კიდევ მთვლემარე კინემატოგრაფსა და შეთქმულებივით თავშეყრილ ალკებს შორის იდგა. მთიანი ზონის დროის მიხედვით, დილის ცხრა საათი იყო. ქუჩას „მთავარი“ ერქვა. მის ლურჯ მხარეზე მივაბიჯებდი და ვათვალიერებდი მოპირისპირე ტროტუარს; ეს უკანასკნელი უკვე მოაჯადოვა და დაამშვენა ზაფხულის

დასაწყისის ერთ-ერთმა სათუთმა დილამ, რომელშიც აქა-იქ მინა ლაკლაპებდა და თაკარა შუადღის პერსპექტივის წინაშე მერყეობაცა და გულის შემადონებელი უილაჯობაც იგრძნობოდა. ქუჩა გადავჭერი. დაგხეტიალებდი და სახლების გრძელი რიგის ფირნიშებს „ვფურცლავდი“: „აფთიაქი“, „უძრავი ქონება“, „მოდები“, „საავტომობილო ნაწილები“, „კაფე“, „სპორტული საქონელი“, „უძრავი ქონება“, „ავეჯი“, „ელექტროხელსაწყოები“, „ტელეგრაფი“, „სამღებრო“, „საბაყლო“; ოჰ, პატრულო, პატრულო, ჩემი გოგონა გამეცქა... მამებარს შეუთანხმდა! შანტაჟისტი შეუყვარდა! ჩემი სრული უმწეობით ისარგებლა! ვყოყმანობდი, რომელიმე გამვლელს ხომ არ გამოველაპარაკო-მეთქი. შემდეგ ეს განზრახვა უკუვაგდე. ერთხანს მანქანაში ვიჯექი. ვერ გავძელი და ქალაქის ბადის ჩრდილიანი მხარის დასათვალიერებლად გავეწიე. შემდეგ „მოდებსა“ და „ავტომობილის ნაწილებს“ დავუბრუნდი. გაშმაგებით, – un ricanement[97] – ვუთხარი თავს, რომ მხოლოდ შეშლილს შეეპარებოდა ეჭვი ლოლიტაში, რომ ის ახლავე გამოჩნდებოდა... გამოჩნდა. სწრაფად მივტრიალდი და სახელოდან მოვიცილე მისი ხელი. მოკრძალებული, ბრიყვული ღიმილით შემომციცინებდა. „მანქანაში ჩაჯექი“, ვუბრძანე. დამემორჩილა; ტროტუარზე ბოლთას ვცემდი, ბუნდოვან აზრებს ვებრძოდი და ვცდილობდი, მოღალატეს რამენაირად მივდგომოდი. რამდენიმე ხნის შემდეგ ავტომობილიდან გადმოვიდა და შემომიერთდა. მღელვარება თანდათან დავიოკე და მიმღები ლო-ს ტალღაზე დავაყენე. ლოლიტა განმიმარტავდა, რომ ნაცნობ გოგონას შეხვდა. „მართლა? მაინც ვის?“ „მხოლოდ მისი სახელი ვიცი“. „მერი თუ ჯენი?“ „არა, დოლი - ჩემსავით“. „ეს ჩიხია (ესე იგი, სარკე, ცხვირპირს რომ მიამტვრევ ხოლმე). კეთილი. ახლა სხვაგვარად ვცადოთ. ოცდარვა წუთის განმავლობაში არ იყავი. რას აკეთებდა ორივე დოლი?“ „რძის ბარს ვეწვიეთ“. „რა შეუკვეთეთ?“ „ოჰ, უბრალოდ კოკა-კოლა“. „მიფრთხილდი, დოლი! ამის შემოწმება შემიძლია“.

„ყოველ შემთხვევაში, მან კოკა-კოლა დალია, მე კი - წყალი“. „კეთილი. აი, იქ იყავით?“ „ჰო, მგონი“. „კეთილი. წავიდეთ, მესიფონე დავკითხოთ“. „დაიცა, დარწმუნებული არა ვარ, შეიძლება, სხვა ბარი იყო, უფრო მოშორებით“. „სულ ერთია, ჯერ აქ შევიდეთ. შედი, გეთაყვა. ახლა ვნახოთ (გადავშალე სატელეფონო წიგნი, რომელიც ჯაჭვით იყო მიმაგრებული პიუპიტრზე). კარგი.

„კეთილშობილი დამკრძალავი ბიურო“. არა, სხვაგან მოვძებნოთ. აი, „აფთიაქები“ და „რძის ბარები“: ერთი „მთის შესახვევში“, მეორეში, ლარკინის სააფთიაქო მაღაზიაში ახლა ვიმყოფებით, და კიდევ ორია. და ეს ყველაფერია, რაც უეისს ან, ყოველ შემთხვევაში, მის სავაჭრო კვარტალს შეუძლია შემოგვთავაზოს გაზიანი წყლებისა და ნაყინის თვალსაზრისით. რას იზამ, თითოეულ მათგანი უნდა მოვინახულოთ“. „ჯანდაბას შენი თავი!“ - წამოიძახა ლოლიტამ. „უზრდელობა არ გიშველის, პატარავ!“ „კარგი“, - თქვა მან. - მაგრამ არ გაბედო ჩემი ხაფანგში მომწყვდევა. კარგი, მართალი ხარ, არსად არ შევსულვართ. უბრალოდ, ვსაუბრობდით და ვიტრინებში გამოფენილ კაბებს ვათვალიერებდით“. „რომელ ვიტრინებში, ამაში?“ „დიახ, ამაშიც“. „ოჰ, ლოლიტა! კარგად შეხედე!“, და მართლაც ულაზათო სანახაობა წარმოგვიდგა. კოპწია ახალგაზრდა ნოქარი მტვერსასრუტით წმენდდა ნოხს, რომელზეც ორი (თითქოს აფეთქების შედეგად დაზიანებული) ფიგურა დაედგათ. ერთ-ერთი მათგანი სრულიად გაეშვიშვლებინათ, პარიკი არ ეხურა, ხელებიც არ ჰქონდა მიმაგრებული. ფიგურის მცირე ზომა და მანერული, კეკლუცი პოზა ააშკარავებდა, რომ ის ლოლიტას სიმაღლის გოგონას შეესაბამებოდა. ამასთან, ახლა მას გარკვეული სქესის ნიშნები არ ეტყობოდა. იქვე იდგა თავსაბურავიანი პატარძლის შედარებით მაღალი და დასრულებული (მაგრამ ცალხელია) ფიგურა. იატაკზე, პატარძლის ფერხთით, სადაც ნოქარი გულმოდგინედ დაფორთხავდა, ეგდო ქერა პარიკი და სამი მოხრილი, შიშველი ხელი. ორი მათგანი შემთხვევით შეერთებულიყო და სასოწარკვეთილების, ვედრების შემადრწუნებელ ჟესტს მაგონებდა. „შეხე, ლოლიტა“, ვუთხარი აუღელვებლად. „კარგად შეხედე. განა ეს წარმოუდგენელი უბედურების შესანიშნავი სიმბოლო არაა? თუმცა (განვაგრძე და ავტომობილში ჩავჯექი), უკვე მივიღე წინასწარი ზომები. აი, აქ (ხელთათმანების განყოფილება გამოვალე) ამ პატარა ბლოკნოტში ჩვენი ძვირფასი მეგობრის მანქანის ნომერი მიწერია“.

სიბრიყვის გამო თავი არ შევიწუხე და ეს ნომერი მეხსიერებაში არ აღვბეჭდე. მხოლოდ საწყისი ასო და ბოლო ციფრი დამამახსოვრდა. სხვა ციფრებმა თითქოს ნახევარწრე შეკრეს მქრქალი ფერადი მინის მიღმა. ამიტომ კიდური ნიშნების - ლათინური P-სა და ექსიანის გარდა, ვერაფერს ვარჩევდი. ამ დეტალებს (რომლებიც თავისთავად მხოლოდ პროფესიულ ფსიქოლოგს თუ დააინტერესებს) იმიტომ აღვწერ, რომ ჩემმა მკითხველმა (ნეტავ ის ქერაწვერიანი ერუდიტი იყოს, ვარდისფერი ბაგეებით რომ წუწნის la pomme de sa cannes[98]-ს და ჩემი მანუსკრიპტით ტკბება) სრულად შეაფასოს ანაზდეული ელდის სიმძაფრე: ასო P-ს ხაზარდა კაბა ჩაეცვა და B-დ ქცეულიყო, ექსიანი კი საერთოდ აღარ ჩანდა. ცენტრალურ ნაწილსაც საშლელის კვალი ეტყობოდა: ციფრების ნაწილი ვიღაცას გაეთხუპნა, სხვები კი ბავშვური ხელწერით გადაეკეთებინა. ასე რომ მთელი რიგი ლოგიკური ხერხებით მიუწევდომელ მავთულხლართს დამსგავსებოდა. უკვე მხოლოდ ერთადერთი რამ ვიცოდი (ამას ჩემ მიერ დამახსოვრებული ასო მოწმობდა): მტერი ბერდსლეის მეზობელი შტატიდან იყო. არაფერი მითქვამს. ბლოკნოტი შევინახე და უეისიდან გავემგზავრეთ. ლოლიტამ ხელი სტაცა უკანა სავარძელზე დაგდებულ ახალ კომიქსებს და მორიგი ყყვივის თავგადასავალს ჩაულრმავედა. მის თეთრ ბლუსს ქარი აფრიალებდა. მარჯვენა ყავისფერი იდაყვი ფანჯარაში გაეყო. უეისს ოთხიოდ მილით რომ დავშორდით, გადავუხვიე საპიკნიკო მოედნის ჭრელი ჩრდილისკენ, სადაც დილას ცარიელ მაგიდაზე მიმოებნია თავისი მზიური ნაშუსრევი; ლოლიტამ ჟურნალს თვალი აარიდა და გაოცებით გაიღიმა. არაფერი მითქვამს, ისე ლაზათიანად შემოვკარი სილა თბილ, მკვრივ, პაწია ყვრიმალზე. შემდეგ კი - მონანიება, გულამომჯდარი ქვითინის სიამე, ფეხქვეშ გაგება, ვნებიანი, უიმედო შერიგება. ღამის ხავერდოვან წყვილიადში, მოტელში, რომელსაც „მირანა“ (მირანა!) ერქვა, ლოლიტას მოყვითალო ფეხისგულებს ვკოცნიდი - ამაზე მეტად არასოდეს დამიმცირებია თავი... მაგრამ ყოველივე ამაო იყო. განწირულნი ვიყავით. და მალე ჯოჯოხეთური წამების ახალ წრეში გადავინაცვლე. როდესაც უეისიდან გავემგზავრეთ, ერთ-ერთ განაპირა ქუჩაზე... შემიძლია, დავიფიცო, რომ ეს არ მომლანდებია. ამ განაპირა ქუჩაზე თვალი მოვკარი ნაცნობ ალუბლისფერ „იაკს“ (ან მის ორეულს). ტრაპის ნაცვლად, იქ იჯდა სხვადასხვა სქესის ოთხი თუ ხუთი ხმამაღალი წარმომადგენელი - რომლებიც მსახიობებს მივამსგავსე. ამაზე ლოლიტასთან არაფერი მითქვამს. ამასთან, უეისიდან გამგზავრებისთანავე სრულიად სხვა რამ შევნიშნე. თავდაპირველად, ერთი-ორი დღის განმავლობაში, შინაგანი თავდაჯერებით ვირწმუნებდი თავს, არც ახლა, არც ადრე არავინ გამოგვიკიდებია-მეთქი; შემდეგ კი გავერკვიე, რომ ტრაპს ტაქტიკა გამოეცვალა და კვლავ მოგვდევდა, მაგრამ ამჯერად დაქირავებულ მანქანებს იცვლიდა. ეს ჭეშმარიტი პროტევის განსაცვიფრებელი სისწრაფით ხტებოდა ერთი ტიპის ავტომობილიდან მეორეში. გადაადგილების ამგვარი ხერხი საჭიროებს საგარეო პუნქტებს, რომლებიც მგზავრებს ამარაგებს „საფოსტო“ მანქანებით; პირადად მე ზუსტად ვერასოდეს

დავადგინე ამ სადგურების ადგილმდებარეობა. თავდაპირველად ტრაპი უპირატესობას „შევროლეს“ მოდელს ანიჭებდა - დაიწყო „კოლუჯ კრემის“ ფერის ღია მანქანით, გადავიდა პატარა „სედანზე“ („ლურჯი ლაგუნა“), შემდეგ კი გამოხუნდა და „ჭაღარა ჭიუხად“ და „გამხმარ გოგრად“ გადაიქცა. ამის შემდგომ მანქანების სხვა მარკებს მიმართა და კვლავ განვლო კომერციული ფერების მქრქალი ცისარტყელა. იძულებული გავხდი, დამედგინა ფაქიზი განსხვავება ჩემს „ლურჯი ოცნების“ ფერის იკაროსსა და მის „ლურჯი მთების“ ფერის ოლდსმობილს შორის. ამასთან, ყველაზე მეტად მაინც რუხი ფერი უყვარდა და მტანჯველ კომპარებში ხშირად ამაოდ ვცდილობდი იმ ნიუანსების გარჩევას, რომლებიც ურთიერთისგან განასხვავებდა კრასილერის „რუხ მგელს“, შევროლეს „რუხ აბრემუმს“ ან დოჯის „რუხ პარიზს“... გამუდმებით ვუთვალთვალებდი მის ულვაშსა და გაღებულ საყელოს - ან მის მელოტ თავსა და ფართო მხარბეჭს. ამიტომ ყურადღებით ვზვერავდი მზის სხივებში მოციმციმე ყველა შემხვედრ მანქანას. ასეთი იყო, მაგალითად, შვებულემაში მყოფი დარბაისელი მამაკაცის ავტომობილი, რომლის უკანა ფანჯარასთან ქაღალდის ხელსაწმენდებით სავსე მუყაოს კოლოფი იდო; დატაკი ოჯახის ძველისძველი „ფორდი“, რომელსაც შეჯახების შედეგად ცალი ფრთა შეხნიქოდა. მის ფანჯარაში, ფერმკრთალი ბავშვების გარდა, გაბურძნილი ძაღლის თავიც მოჩანდა; მარტოხელა ჭაბუკის „სედანი“, რომელიც პატრონს მთლიანად გაეცსო საკიდრებიანი კოსტიუმებით; უშველებელი, ვაგონგანიერი მანქანა (ნამდვილი მოძრავი სახლი) არხეინად რომ მიგორავდა და სრულ სიმშვიდეს იჩენდა მის უკან მბობლავი ავტომობილების რიგის მიმართ; სპორტული მანქანა - აქ ქალიშვილს თავაზიანობა გამოეჩინა და სავარძლის შუაგულში დამჯდარიყო, რათა საჭესთან მჯდარ ვაჟკაცს მიახლოებოდა. ერთ-ერთი ავტომობილის სახურავზე გადაბრუნებული ნავი დაემგრებინათ... რუხი მანქანა ჩვენ წინ ამუხრუჭებდა, რუხი მანქანა გვეწოდა... ერთხელ, „კლდოვანი მთების“ რაიონში, სადღაც სნოუსა და ჩამპიონს შორის, ოდნავ შესამჩნევ დადმართზე მივგორავდით. სწორედ მაშინ (მეორედ!) მკაფიოდ დავინახე „შეყვარებული მამებარი“. რუხი აჩრდილი, რომელიც უკან გვდევდა, გამუქდა, კომპაქტურ სილურჯედ გადაიქცა. უეცრად „სედანი“ თითქოს გამოეხმაურა ჩემი ბედშავი, გაწამებული გულის ძგერას - აქეთ-იქით ქანაობა და სრიალი დაიწყო, ქვემოდან კი უმწყო ფრატუნის მომესმა. „სალტე კაპუტ, მისტერ“, - მხიარულად წამოიძახა ჩემმა კეთილმა გოგონამ. მანქანა მთის უფსკრულის პირას შევაჩერე. ლოლიტამ გულზე ხელები დაიკრიფა და ფეხი ხელსაწყოთა დაფას მიაბჯინა. გამოვძვერი და მარჯვენა უკანა ბორბალი შევამოწმე. საბრალო სალტის ქვედა ნახევარს შემზარავი ოთხკუთხა ფორმა მიელო. ტრაპი ჩვენგან ორმოცდაათიოდე იარდის მანძილზე შეჩერდა. მისი სახე მხოლოდ ბინმურ ლაქად აღიქმებოდა, მაგრამ ეს იყო მოცინარი ლაქა. გადავწყვიტე, შემთხვევით მესარგებლა და მისკენ გავემართე. გამიჩნდა ბრწყინვალე იდეა, ტრაპისთვის ბერკეტი გამომერთმია (თუმცა საკუთარი ბერკეტიც მქონდა). მან ცოტათი უკან დაიხია. ქვას ფეხი წვაკარი, მეტკინა - და საყოველთაო მხიარულების ატმოსფერო წარმოიქმნა. ამ დროს ტრაპის მანქანის უკან უზარმაზარი

სატვირთო ავტომობილი გამოჩნდა, გრუხუნით გამიარა და, უეცრად, დამისიგნალა. უნებლიედ მოვტრიალდი და დავინახე, რომ ჩემი მანქანა ხელ-ნელა მიგორავდა დადმართზე. შორიდან გავარჩიე ლოლიტა, რომელიც მოუხერხებელ პოზაში მისჯდომოდა საჭეს. ძრავა მუშაობდა, თუმცა კარგად მახსოვდა, რომ გამოვრთე. შიშისგან ავცახცახდი და თავქუდმოგლეჯით გავექანე მანქანისკენ, რომელიც ახრიგინდა და, ბოლოს, შეჩერდა. სანამ მასთან მივირბენდი, ვიაზრე, რომ ორი წლის განმავლობაში ჩემი გოგონა უეჭველად დაეუფლებოდა მანქანის მართვის ელემენტარულ წესებს. კარს გაშმაგებით ვტაცე ხელი და გამოვაღე. ალბათ, ლოლიტამ ძრავა იმიტომ ჩართო, ჩემი ყურადღება ბატონი ტრაპისგან „სედანზე“ რომ გადაეტანა. ეს ფანდი ზედმეტი აღმოჩნდა. როდესაც მანქანას მივდევდი, ტრაპმა სწრაფად შეატრიალა მანქანა გზის შუაგულში და გაქრა. დავჯექი, სული მოვითქვი. ლოლიტამ მკითხა, მადლობას ხომ არ გადამიხდი იმისთვის, რომ ასე მარჯვედ დავამუხრუჭე დაქანებული ავტომობილი. როდესაც პასუხი არ მიიღო, საგზაო რუკას ჩაულრმავდა. ავტომობილიდან გამოვედი და „დაბორბლვას“ (განსვენებული შარლოტა ასე უწოდებდა ამ ოპერაციას) შევუდექი. გონება მიბნელებოდა. ბორბალი გამოვცვალე და ჩვენი ეგრეთ წოდებული „მოგზაურობა“ გავაგრძელებე. უხალისო და სრულიად ზედმეტი დადმართის შემდეგ გზატკეცილმა მთის კალთებისკენ აუხვია. განსაკუთრებით ციცაბო ადგილას გზა გადაგვიღობა უზარმაზარმა სატვირთო მანქანამ, რომელმაც დიდი ხნის წინათ გაგვისწრო. საზარელი გმინვით მიბობლავდა კლაკნილ აღმართზე; გვერდს ვერ ავუქცევდით; მისი კაბინიდან ვერცხლის ბრტყელი ნაკუწი გამოფრინდა - საღეჭი რეზინის შესახვევი - და წამით ჩვენს წინა მინას მიეკრო. ვიფიქრე, თუკი მართლაც ვგიჟდები, შეიძლება, ვინმე შემომაკვდეს-მეთქი. ყოველ შემთხვევისთვის (უთხრა ხმელეთზე მჯდარმა ჰუმბერტმა იმ ჰუმბერტს, რომელიც სადღაც, წყალში

ფართხალებდა) კარგი იქნებოდა, მოვმზადებულიყავი, - მაგალითად, პისტოლეტი კოლოფიდან ჯიბეში გადამედო, რათა თავის დროზე ლაღად მესარგებლა სიგიჟის მიერ ბომბეული თავისუფლებით.

20. როდესაც ლოლიტას თეატრით თავის შექცევის ნება დავრთე, გოგონა სიცრუეში გაიწაფა. გამოირკვა, რომ საქმე არ იფარგლებოდა მზა პასუხების გაცემით ისეთ შეკითხვებზე, როგორცაა: რას წარმოადგენს „ჰედა გაბლერის“ მთავარი კონფლიქტი; ან პიესის -

„სიყვარული თელამუშებქვეშ“ - რომელ სცენებში შეიმჩნევა მოქმედების აღმავლობა; როგორ განვსაზღვრავთ „ალუბლის ბაღის“ ძირეულ განწყობილებას; სინამდვილეში მას ღალატის სხვადასხვა ხერხებს ასწავლიდნენ. ო, რა აღშფოთებით ვიხსენებდი ახლა „ხუთი გრძნობის სიმულაციას“, რაშიც ლოლიტა ასე ხშირად ვარჯიშობდა ბერდსლეიში, ჩვენს სასტუმრო ოთახში! შეუმჩნევლად ვუთვალთვალებდი, როდესაც მონუსხული ადამიანივით ან მისტიკური რიტუალის მონაწილესავით მოძრაობდა; ეს იყო იმ ბავშვური თამაშის დახვეწილი ვერსია, როდესაც გოგონები პრიმადონებად წარმოიდგენენ ხოლმე თავს; ლოლიტა მიმიკით განასახიერებდა, თუ რას იზამდა წყვილიაღმადმი ვიღაცის კვნესის გაგონებისას, „ახალთახალი“ დედინაცვლის პირველად დანახვისას, უგემური ლუკმის (მაგალითად, მოყვითალო ყელეს) გადაყლაპვისას, ხეხილის ბაღში ცვრიანი გაქედილი ბალახის სურნელის დაყნოსვისას ან ნიმფეტის გრძნეული, ნატიფი თითებით ამა თუ იმ არარსებული საგნის მოსიწვევისას. ჩემს ქაღალდებში აქამდე შემორჩა ქვემოჩამოთვლილი დავალებების მიმეოგრაფიული ნუსხა. „შეხებითი ვარჯიში. წარმოიდგინე, რომ ხელს ჰკიდებ პინ-პონგის ბურთს, ვაშლს, მწებვარე ფინიკს, ტენისის ახალ, ფაფუკ ბურთს, ცხელ კარტოფილს, ყინულის კუბურას, კნუტს, ნალს, ჯიბის ცილინდრული ფორმის ფარანს“. „თითებით შეეხე ქვემოჩამოთვლილ წარმოსახულ საგნებს: პურის გულს, რეზინს, ახლობელი ადამიანის მტკივან საფეთქელს, ხავერდის ნაჭერს, ვარდის ფურცელს“. „შენ ბრმა გოგონა ხარ. ხელი შეავლე (სახიდან დაწყებული) შემდეგ ადამიანებს: ბერძენ ჭაბუკს, სირანო დე ბერჟერაკს, თოვლის პაპას, ჩვილს, ღიტიანსგან ახითხითებულ ფაგნუსს, მძინარე უცნობს, საკუთარ მამას“. მაინც, რა მშვენიერი იყო მეოცნებე ლოლიტა, როდესაც ამა თუ იმ ტკბილ საცთურს მოუხმობდა ან სხვაგვარ ჯადოსნურ მოვალეობებს ასრულებდა. ბერდსლეიში, განსაკუთრებით მუყაითი ღამეული ჯაფის შემდეგ, გოგონას რაიმე სიამოვნებას ან საჩუქარს აღვუთქვამდი ხოლმე, თუკი ის ჩემთვის იცეკვებდა. ლოლიტას ერთფეროვანი ნახტომები პარიზელი Petits rats[99]-ის ნარნარ და, ამასთან, რამდენადმე მოუქნელ მოძრაობებს როდი წაგავდა. ისინი უფრო მაგონებდა მოკლე ქვედატანებსა და სქელ სვიტერებში გამოწყობილი იმ გოგონების როკვას, ორგანიზებული ყვირილითა და გიმნასტიკური სიმშაგით რომ აქეზებენ ამერიკული რეგბის მოთამაშე სტუდენტებს. ძალზე მომწონდა მისი ჯერ კიდევ განუვითარებელი კიდურების რიტმიკა. მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა იმ ენით აუწერელ ნეტარებას, რასაც მანიჭებდა ჩოგბურთის თამაშში ლოლიტას მონაწილეობა. ასეთ წუთებში არგაგონილ აღტყინებას განვიცდიდი - მეჩვენებოდა, თითქოს არამქვეყნიური ჰარმონიის, ზებუნებრივი სხივმოსილი არის ნაპირას ვეკიდე. ხანდაზმულობის მიუხედავად, თეთრ საჩოგბურთო ტანისამოსში გამოწყობილ ატმისფერ ლოლიტას ჭეშმარიტი ნიმფეტის იერი ჰქონდა. ფრთოსანო მსაჯულნო! არავითარი საიქიო არ მჭირდება, თუ მასში ვერ ვიპოვი ლოლიტას - ისეთს, როგორც ის იყო კოლორადოს კურორტზე. მოვითხოვ, რომ აქაც ყოველივე სწორად განმეორდეს: ფართო, თეთრი ტრუსები,

ვიწრო, გარუჯული, შიშველი წელი, თეთრი სამკერდე მოსახვევი, რომლის ლენტები კისერზე ჰქონდა გასკვნილი - და რომელიც არ ფარავდა ატმისებრი ღინღლით დაფარულ ბეჭებს, თვალწარმტაც, ნაზ ძვლებსა და კრიალა ზურგს! მის კეპს თეთრი წინაფრა ჰქონდა. მისი ჩოგანი ძალზე ძვირი დამიჯდა. დოყლაპია, დოყლაპია! ხომ შემემლო კინოფირზე ლოლიტას გადაღება! ის ახლაც ჩემთან იქნებოდა, ჩემ თვალწინ, ჩემი სასოწარკვეთილების საპროექციო კამერაში მეყოლებოდა გამომწყვდეული! სერვისამდე ლოლიტა ცარცით გახაზულ მიჯნასთან ისვენებდა. დროდადრო ბურთს მიწაზე აგდებდა, ან თეთრი ფეხსაცმლის წვერით მიწას ჩხაპნიდა. ყოველთვის ლაღი, მხიარული და მშვიდი იყო - მაგრამ რა იშვიათად ლაღობდა უღიმღამო ოჯახურ გარემოცვაში! ასე მგონია, ამ ნორჩამ არსებამ ჩოგბურთის თამაში სასცენო ხელოვნების დონემდე აიყვანა. ამასთან, თვით ლოლიტასთვის, ეს, ალბათ, მხოლოდ ცხოვრებისეული, ძირეული სინამდვილის გეომეტრიულ არსს წარმოადგენდა. გოგონას მიხრა-მოხრის მკაფიო მოხდენილობას შეესაბამებოდა მისი თითოეული დარტყმის წმინდა, მსუყე ჟღერადობა. როდესაც ბურთი მისი ძალაუფლების სფეროში ექცეოდა, თითქოს თეთრდებოდა და კიდევ უფრო მეტ დრეკადობას

იმენდა. ლოლიტას პრეციზიული ჩოგანი ბურთს არაჩვეულებრივად მჭიდვდ და აუჩქარებლად ეხებოდა. მეტსაც ვიტყვი: მისი სტილი ჩოგბურთის იმ მართლაც რომ საუკეთესო სტილის სრულიად ზუსტი იმიტაცია გახლდათ, რომელიც არავითარ პრაქტიკულ შედეგს არ იძლეოდა. ბადის მერხი ჩემ ქვეშ თრთოდა, როდესაც ვაკვირდებოდი დოლორეს ჰეისს, მთელ კორტზე რომ არბენინებდა კოპწია ლინდა ჰოლს (ამ უკანასკნელმა მაინც დაამარცხა ლოლიტა). ერთ-ერთ ასეთ მომენტში ედუზა გოლდის დამ, ელექტრამ (გასაოცარმა ახალგაზრდა მწვრთნელმა) მითხრა: „თქვენს დოლის თითქოს მაგნიტური ჩოგანი აქვს, მაგრამ, ღმერთმანი, ვერ გამიგია, რატომ იჩენს ასეთ თავაზიანობას?“ აჰ, ელექტრა, რა მნიშვნელობა აქვს ამას, თუ გოგონა ესოდენ გრაციოზულია! მახსოვს, როდესაც მათ პირველ თამაშს დავესწარი, ამ მშვენიერების ხილვისას ტანში მართლაც რომ აუტანელმა ჟრუანტელმა დამიარა. სასერვისო ციკლის ლაღსა და მოქნილ დასაწყისში ლოლიტას, უჩვეულო მანერით, ნახევრად მოხრილი მარცხენა ფეხის აწევა სჩვეოდა. ამ დროს იბმებოდა და წამიერად იჭიმებოდა გამაწონასწორებელი ცოცხალი ბადე მზით გაცისკროვნებულ ოთხ წერტილს - ფეხის წვერს, ოდანვ შედინდლულ ილღიას, მზემოკიდებულ ხელსა და უკან გაწეული ჩოგნის ოვალს შორის. გოგონა ელვარე ღიმილს ადაპრობდა ზევით: იქ, მაღლა, ძლევამოსილსა და მწყობრ კოსმოსში ეკიდა პაწაწინა პლანეტა, რომელსაც ლოლიტა მსუსხავი ოქროს მათრახით უნდა დასხმოდა თავს. მის მიერ ლაღად, ლამაზად, ყმაწვილურად მიწოდებული ბურთის ტრანექტორია კლასიკური სიწმინდით გამოირჩეოდა. ამასთან, ის ადვილი მოსაგერიებელი იყო, რადგან ბურთის გრძელ, ელეგანტურ ნახტომს არავითარი ეშმაკური ჩანაფიქრი არ ედო საფუძვლად. ო, როგორ ვნანობ! რა იოლად შემეძლო ამ ჯადოსნური ნაყმების უკვდავყოფა და ცელულოიდის ლენტზე მათი აღბეჭდვა! რამდენად აჯობებდა ისინი მყისიერ ფოტოსურათებს, რომლებიც მე („შემლილმა!) დავწვი! მისი „სმემის“ მიმართება სერვისთან წაგავდა სონეტში

სექტეტისა და ოქტეტის ურთიერთდამოკიდებულებას. ბურთის მიწოდების შემდეგ ჩემი თვალისჩინი მყისვე ბადისკენ მიცუნცულებდა თავისი მკვირცხლი, თვალისმომჭრელი, თეთრხამლიანი ფეხებით. ვერავინ იტყოდა, რა უფრო ეხერხებოდა - დრაივი მარჯვნიდან თუ დრაივი მარცხნიდან: ყოველი მათგანი მეორის სარკისებრ ასახვას წარმოადგენდა. წელში ახლაც ჭვალი მადგება ამ დარტყმების პისტოლეტისმაგვარი ბათქაბუთქის მოგონებისას (რასაც ეხმიანებოდა ელექტრას წამომახილები და მკვეთრი ექო). დოლის თამაშში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოკლე დარტყმა, რომელიც სახელგანთქმულმა ნედ ლითამმა ასწავლა კალიფორნიაში. ლოლიტა ცურვასთან შედარებით სცენას ანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ ჩოგბურთის თამაშს ცურვა ერჩინა; და მაინც ვამტკიცებ: გოგონა სულიერად რომ არ გამეტება (მაშინ ეს არ მესმოდა!), მისი იდეალური სტილი შეუერთდებოდა გამარჯვების წადილს და ლოლიტასგან ნამდვილი ჩემპიონი დადგებოდა. დოლორესი, რომელსაც ორი ჩოგანი ამოუიღლიავებია უიმბლდონში (1952), დოლორესი „დრომადერად“ წოდებული პაპიროსების რეკლამაზე (1960), პროფესიონალ მოთამაშედ ჩამოყალიბებული დოლორესი (1961), დოლორესი, რომელიც ჩოგბურთის ჩემპიონს თამაშობს კინოდრამაში (1962). დოლორესი და მისი მხცოვანი, თვინიერი, მდუმარე ქმარი, მისი ყოფილი მწვრთნელი, ღრმად მოხუცებული ჰუმბერტი (2000). თამაშის ლოლიტასეული მანერა არავითარ ხრიკს არ შეიცავდა - თუ ნიმფეტურ ეშმაკობად არ მივიჩნევთ თამაშის ანგარიშისადმი მხიარულებით აღსავსე განურჩევლობას. ყოველდღიურ ცხოვრებაში ის ძალზე უმოწყალო და ცბიერი იყო, მაგრამ აქ იმგვარ უმანკოებას, გულითადობასა და კეთილმოსურნეობას იჩენდა, რომ უხეირო, ტლანქი, მაგრამ ჯიუტი მოთამაშე ყოველთვის მოახერხებდა გამარჯვებისკენ გზის გაჩიქნას. მომცრო ტანის მიუხედავად, თამაშის რიტმში ჩართული ლოლიტა არაჩვეულებრივად სწრაფად დაჰქროდა მოედნის საკუთარ ნახევარზე (1053 კვადრატულ ფუტზე) და ამ რიტმს მართავდა; მაგრამ მოწინააღმდეგის ყოველი მძაფრი იერიში, მისი ტაქტიკის ყოველგვარი ცვლილება სრული უმწეობის მდგომარეობაში აგდებდა. თუკი მხოლოდ ერთი პუნქტი აკლდა პარტიის მოსაგებად, მაშინ მეორე, კიდევ უფრო ძლიერი და მოხდენილი სერვისი, რომელშიც არ იგრძნობოდა ფრთხილი მოთამაშეების დამახასიათებელი შინაგანი ყოყმანი, წკრიალით ხვდებოდა ბადის მუსიკალურ სიმს - შემდეგ კი სხლტებოდა და აუტში ვარდებოდა. ლოლიტას მიერ მძივის მოელვარე მარცვლივით გასროლილ ბურთს იჭერდა და კუთხეში აბრუნებდა მოწინააღმდეგე, რომელსაც თითქოს ოთხი ფეხი ჰქონდა და გაღუნული ნიჩაბი ეჭირა; დრამატულად გაგზავნილი ლოლიტასეული ბურთები გულუბრყვილოდ ეცემოდა მოწინააღმდეგის ფეხებთან. ის კვლავ და კვლავ აცდენდა ჩოგანს ადვილად დასაჭერ ბურთებს - და სიცილით განასახიერებდა წყენას: ბალერინასავით მოხდენილად წინ იხრებოდა - და შუბლზე კულულები ეყრებოდა. ლოლიტას გრაციოზული, ბრწყინვალე თამაში იმდენად უნაყოფო იყო, რომ მან ვერ დაამარცხა თვით ძველმოდური მოთამაშე, აქომინებული ჰუმბერტი.

ვფიქრობ, განსაკუთრებით მგრძობიარე ვარ თამაშის მაგიის მიმართ. როდესაც გასტონთან ერთად ჭადრაკის სესიებს ვმართავდი, დაფის ნაცვლად წარმომიდგებოდა ზღვის გამჭვირვალე წყლით ავსებული კვადრატული ფოსო, რომლის ბრტყელ მოზაიკურ ფსკერზე ვარდისფრად ციმციმებდნენ იშვიათი ნიჟარები და ხაფანგები. ჩემს შეუსმენელ პარტნიორს კი ყოველთვის ეს მღვრიე შლამი ან სეპიის ღრუბელი ეგონა. ამასთან, ჩოგბურთით ლოლიტას წამებასა და წვრთნას ახლა ვიხსენებდი როგორც უხალისო დავიდარაბას (სანამ გამოჩენილი კალიფორნიელი ოსტატის გაკვეთილებმა თვალი აუხილა ამ თამაშის არსზე) - და არა მარტო იმიტომ, რომ უნიათო შეგირდს ასე აუტანლად აგულისებდა ჩემი ყოველი რჩევა - არამედ იმიტომაც, რომ კორტის ფაქიზი სიმეტრია საბოლოოდ იბღალბებოდა პედაგოგის უნიჭობით დაღლილი და გაბოროტებული ბავშვის მიერ. შემდგომ ყოველივე შეიცვალა და იმ დღეს, კოლორადოს ნათელ ატმოსფეროში, „ოტელ ჩამპიონისკენ“ მიმავალი ქვის ციკაბო კიბის ძირას გაშენებულ შესანიშნავ კორტზე მომეჩვენა, თითქოს ლოლიტას გაურკვეველი დალატის კომპარისგან გამათავისუფლებდა მისი სტილის, სულისა და გრაციის სინატიფე. წყნარი ამინდი იდგა. ლოლიტა ხელმარჯვედ, ბრტყლად, ლაღად სცემდა ჩოგანს და ბურთებს კორტის სიღრმეში ისროდა. დარტყმების რიტმი კლასიკური სისადავით გამოირჩეოდა, რის გამოც კორტზე ჩემი გადაადგილება მხოლოდ დინჯ ბოლთის ცემაზე დაიყვანებოდა (ქეშმარიტი მოთამაშეები მიმიხვდებიან, რისი თქმაც მსურს). თამაშის მანერა მემკვიდრეობით გადმომცა მამაჩემმა (რომელმაც ის, თავის მხრივ, ფრანგი დეკიუჟისა თუ ბელგიელი ზორმანისგან შეითვისა - ეს მისი ძველი მეგობრები და სახელგანთქმული ჩემპიონები იყვნენ); ლოლიტასთვის მრავალი დაბრკოლების წარმოქმნა შემემლო, მაგრამ ვინ აწყენინებდა ასეთ თვალაუწყუნა პაწია ფერიას? მოგახსენეთ თუ არა, რომ მკლავზე რვიანივით აჩნდა ნაჭდევი, ყვავილის აცრის შემდეგ რომ შემორჩენოდა? რომ ის უსასოოდ მიყვარდა? რომ მხოლოდ თოთხმეტი წლისა იყო? ცნობისმოყვარე პეპელამ ნელი ფარფატიტ გაიფრინა ჩვენ შორის. უეცრად, სად იყო და სად არა, საჩოგბურთო ტანისამოსში გამოწყობილი წყვილი გამოჩნდა. ჩემზე, ალბათ, რვა წლით უმცროს წითურ მამაკაცს მუხლები გარუჯოდა: საკმაოდ ფერმკრთალ (ლოლიტაზე ორიოდ წლით უფროს) გოგონას ჭირვეულად დადრეცილი პირი და სუსხიანი მხერა ჰქონდა. კეთილსინდისიერი ახალბედა მოთამაშეების ჩვეულებისამებრ, ჩოგნები შალითებსა და ჩარჩოებში შეეფუთათ და ბუნებრივად, მარჯვედ როდი ეკავათ; თითქოს ვეება უროები, მუშვეტები, ციბრუტები ან ჩემი საკუთარი უშველებელი, ამაზრზენი ცოდვები მოჰქონდათ. ახალმოსულნი რამდენადმე უტიფრად დასხდნენ მოედნის მარცხენა მხარეს დადგმულ მერხზე ჩემი ძვირფასი (გარკვეული გაგებით) პიჯაკის მახლობლად. ძალზე ხმამაღალი აღტაცება გამოთქვეს უწყვეტი, თანმიმდევრული დარტყმების გამო, როდესაც ბურთმა თითქმის ორმოცდაათჯერ გადაინაცვლა ბადის ორივე მხარეს. ლოლიტა უხადოდ თამაშობდა, სანამ სერიის გაწყვეტის გამო არ ამოიკვნესა - მისი „სმეში“ მოედნის ხაზს გასცდა. გოგონა (ჩემი სიხარული!) წამით წელში მოიხარა სიცილისგან.

მომწყურდა და წყლის შადრევნისკენ გავემართე. წითურმა ამით ისარგებლა, მომიახლოვდა და თავაზიანად შემთავაზა, ოთხივეს ერთად გვეთამაშა. „ბილ მიდი მქვია, ეს კი ფეი პეიჯია, მსახიობი, მა ფიანსე“, დაუმატა (და ულაზათოდ შეხვეული ჩოგნით მიმითითა ფეიზე, რომელიც უკვე ეტიტინებოდა ლოლიტას). ვუპასუხე: „გმადლობთ, მაგრამ...“ (ვერ ვიტან, როდესაც ჩემს ჯიშთან გოგონას მეჯღანებთან ურთიერთობას ახვევენ თავს) და იმავე წამს საოცრად მუსიკალურმა წამომახილმა სიტყვა შემაწყვეტინა: ოტელის მსახური ბიჭი ბაკაბუკით ჩამორბოდა კიბეზე, ჩვენი მოედნისკენ და რაღაცას მანიშნებდა. თურმე ტელეფონთან მიხმობდნენ საქალაქთაშორისო ექსტრაორდინარული გამოძახების გამო - რაც იმდენად სასწრაფო იყო, რომ ჩემთვის ხაზიც კი დაეკავებინათ. მოვდივარ-მეთქი, დავუყვირე, პიჯაკს ხელი ვტაცე (თან შიდა ჯიბეში შენახული კოლტის სიმძიმე ვიგრძენი) და ლოლიტას ვუთხარი, რომ მალე დავბრუნდებოდი. გოგონა მიწაზე დავარდნილ ბურთს იღებდა (ევროპული წესით, ესე იგი, ფეხის წვერითა და ჩოგნის კიდით) და გამიღიმა, - ლოლიტამ გამიღიმა! ავბედითი შტილის მეშვეობით გულმა როგორღაც გამიძლო, სანამ ბიჭს ოტელისკენ მივყვებოდი. გამახსენდა, რომ ერთ ამერიკულ მოკლე ფრაზაში მხილება, შურისგება, საწამებელი ჯურღმული, სიკვდილი და მარადისობა გამოიხატება საოცრად უმსგავსი ფორმულით: „დუის ის ით“, - „აი ის!“, „ეს სწორედ ისაა!“ ლოლიტა საკმაოდ უსიამო საზოგადოებაში დავტოვე, მაგრამ არა უშავს. რა თქმა უნდა, ვიბრძოლებ, გააფთრებით ვიბრძოლებ. უმაღ ყოველივეს აღვგვი პირისაგან მიწისა, ვიდრე მას დავთმობ. დიახ, მართლაც ციკაბო კიბეა. სასტუმროს ბიუროში ცხვირკეხიანმა მამაკაცმა (რომლის ბნელი წარსული, ალბათ, საგანგებო გამოძიებას საჭიროებდა) თავისი ხელით ჩაწერილი ცნობა გადმომცა. საქალაქთაშორისო ხაზმა ვეღარ მომიცადა. ცნობაში ნათქვამი იყო: „მისტერ ჰუმბერტ. დაგირეკათ ბურდოლეის (სწორედ ასე ეწერა!) სკოლის დირექტორმა. საზაფხულო ნომერი: ბურდოლეი - 2-82-82. გეთაყვა, სასწრაფოდ

დაურეკეთ. ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა". ჩემი გრძელი სხეული მოვკეცე და სატელეფონო ჯიხურში შევატეე. შემდეგ აბი გადავყლაპე და ათი წუთის განმავლობაში მოჩვენებებით დასახლებული სივრცის ნაშიერებს ვეომებოდი. თანდათან აიწყო კვარტეტი; სოპრანომ წაიმღერა, რომ ბერდსლეიში ასეთი ნომერი არ იყო; ალტმა განაცხადა, მისს პრატი ევროპაში გაემგზავრაო; ტენორმა მაუწყა, რომ ბერდსლეის სკოლიდან არავის დაურეკავს; ბანმა კი წაიბუბუნა, რომ მისს პრატი ვერ დარეკავდა - არავინ იცოდა, რომ ზუსტად ამ დღეს კოლორადოს სწორედ ამ სასტუმროში ვიქნებოდი. გულნატკენი ცხვირკეხიანი მოსამსახურე თავაზიანად დამთანხმდა, გაერკვია, მართლაც დარეკეს თუ არა „ბურდოლეიდან“. აღმოჩნდა, რომ არავის დაერეკა. ალბათ, რომელიმე ადგილობრივმა ცუდლუტმა მოზარდმა ნომერი აკრიფა და მიიმალა. მოსამსახურეს მაძლობა გადავუხადე. მან მიპასუხა, არაფრისო. მოჩქრიალე პისუარში შევიარე, შემდეგ კი ბარში სასმელი გადავკარი. ლოლიტასკენ გავეშურე. პირველივე ტერასიდან თვალი მოვკარი ჩვენს კორტს - და ცუდად გაწმენდილ გრიფელის დაფას მივამგვანე. ოქროსფერი ლოლიტა შერეული წყვილების თამაშში მონაწილეობდა; ფლამანდიური სკოლის სამ გონჯ ხეიბარს შორის მოხვედრილ

მშვენიერ იტალიელ ანგელოსს ჰგავდა. ერთ-ერთმა პარტნიორმა ადგილი გაუცვალა და ხუმრობით ჩოგანი გაუტყაპუნა უკანაღზე. ამ კაცს უჩვეულოდ მრგვალი თავი ჰქონდა; მისი ყავისფერი შარვალი საჩოგბურთოდ არ იყო განკუთვნილი. ანაზდად შეკრთა - კიბეზე დამინახა. ჩოგანი (ჩემი ჩოგანი) ძირს დააგდო და შეეცადა, აბობლებულიყო ციცაბო გაზონზე, რომელიც ბულვარსა და კორტს მიჯნავდა. კომიკურად განასახიერებდა მოკლეფრთიან ფრინველს, რისთვისაც მაჯებსა და იდაყვებს აქნევდა; და აი, ასე, გაღუნული ფეხებით ავიდა ქუჩამდე, სადაც ნაცრისფერი ავტომობილი ელოდებოდა. მომდევნო წუთს ისიც გაქრა და მანქანის გამონაბოლქვიც. როდესაც კორტზე მივედი, დარჩენილი სამეული უკვე აგროვებდა, ათვლიერებდა და ახარისხებდა ბურთებს: დილას ექვსი ახალი ბურთი ვიყიდე, სხვისაზე კი სისხლისფერი ნიშნები იყო დასმული. „მითხარით, მისტერ მიდ, ვინ იყო ის ვაჟბატონი?“ ჯერ მიდმა, შემდეგ კი ფეიმ ძალზე სერიოზული გამომეტყველებით, უარყოფითად გააქნიეს თავები. „წარმოგიდგენიათ“, ამისხნა ფეიმ, „ვიღაც ახირებული თავხედი კაცი შემოგვიერთდა, რათა მეორე წყვილი შეგვედგინა. ხომ ასე, დოლი?“ ისინი უკვე „დოლის“ ეძახდნენ ლოლიტას. ჩემი ჩოგნის სახელური გულისამრევად თბილი იყო. ოტელში დაბრუნებამდე ლოლიტა ვიწრო ხეივანში წავიყვანე. იქ, ლურჯყვავილებიან სურნელოვან ბუჩქნარში უკვე დავაპირე, ქვითინით შევედრებოდი მოჯადოებულ, უნდილ გოგონას, სიცრუით მაინც გაეფანტა გაუსამლისი შიშის ზარი, - რომ უცნაურად მოკრუნჩხული წყვილი დავინახეთ. ასე შეეტაკება ხოლმე ურთიერთს ორი წყვილი ძველი კომედიების იდილიურ გარემოცვაში. ბილი და ფეი სიცილით კვდებოდნენ - ალბათ, მათ რომელიმე პრივატულ ხუმრობას შევესწარით. ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ლოლიტამ მითხრა, რომ საბანაო კოსტიუმს ჩაცვამდა (ისეთი კილო ჰქონდა, თითქოს ცხოვრება კვლავ ავტომატურად ტრიალებდა ყოველდღიური გასართობი საქმიანობის წრეში) და სადამომდე აუზის მახლობლად იყიალებდა: ამინდი ხომ ისეთი ჩინებული იყო, ლოლიტა!

21. „ლო! ლოლა! ლოლიტა!“ - ასე გავყვიროდი ზღურბლიდან მზიურ შორეთში. დროის ტალანების აკუსტიკას ჩემს ხრინწიან მახლში იმდენი მღელვარება, ვნება და ტანჯვა შეაქვს, რომ თვით მკვდარი ლოლიტას ელვა-შესაკრავით დაგმანული ნეილონის სუდარა მყისიერად გაიხსნებოდა. მას ხასხასა მოლით დაფარულ ტერასაზე დავეწიე (სანამ ტანთ ვიცვამდი, გამეცა). ო, ლოლიტა! გოგონა ძალს ეთამაშებოდა - ძალს, და არა - მე! მურია (უცნაური ნახევარტერიერი) ძირს ანარცხებდა, შემდეგ კი კვლავ კბილებით იჭერდა და ყბასთან მოიგდებდა ხოლმე წითელი გუტაპერჩის სველ ბურთს, შემდეგ წინა თათებით სწრაფ აკორდებს იღებდა დრეკად გაზონზე და სადღაც გარბოდა. მხოლოდ ის მაინტერესებდა, სად იმყოფებოდა ლოლიტა; გულის მძიმე მდგომარეობის გამო (რაც არავის აინტერესებდა) მაინც ვერ ვიბანავებდი. და აი, გოგონა ძალს ეთამაშებოდა, მე კი იქვე ვიდექი და აღარ ვეძახდი; უცრად მის მოძრაობებში რაღაც მნიშვნელობა ამოვიკითხე... წითელ საბანაო კოსტიუმში ჩაცმული ლოლიტა აქეთ-იქით დახტოდა და ეს უგონო ლაღობა ბევრად ჭარბობდა ჩვეულებრივ მხიარულებას. ძალსაც კი ეუცხოებოდა მისი გაზვიადებული აღტყინება. ირგვლივ მივიხედე-მოვიხედე და მკერდზე წყნარად მივიდე ხელი. ფირუზისფერმა აუზმა ჩემს მკერდში გადმოინაცვლა და შინაგანი ორგანოები შიგ ისე ატივტივდნენ, ადამიანის სკორე რომ ტივტივებს ხოლმე ზღვის ცისფერ ტალღებში ნიცის სანაპიროსთან. ერთ-ერთი მობანავე აუზს გასცილდა და ფოთლების ფარშავანგისებრ ჩრდილში გახეცდა. მხრებზე მოხურული პირსახოცის კიდეებისთვის ხელები ჩაველო და ქარვისფერ მზერას ლოლიტას არ აცილებდა. ასე იდგა შუქრდილში მიმალული, იაგუარისებრი ათინათებით

აჭრელებული და საკუთარი სიშიშვლით შენიღბული ეს მეთვალყურე; სველი შავი თმა - უფრო ზუსტად, თმის ნარჩენები - მრგვალ თავზე მისწებებოდა; წითელ ტუჩებს უღვაშის სველი ნაღვენითი „უმშვენებდა“, მკერდზე ბალანი ორმხრივი ალამივით ირხეოდა, ჭიპი უტოკავდა, გაბანჯგვლულ ბარძაყებზე წყლის მოციმციმე წვეთები ასხდა, ვიწრო შავი საბანაო ტრუსი ტანზე თითქმის ასკდებოდა იქ, სადაც გამოზნექილი, უშველებელი, ზემოთ აჭიმული სათესლე დიდრონი ფარავით ეკვროდა სატირის გადაწეულ ანკესს. უეცრად მივხვდი, რომ მის მრგვალ, ყავისფერ სახეზე ჩემი ასულის სახე ირეკლებოდა - ეს იყო ნეტარების იგივე გრიმასა. გარდა ამისა, ვიაზრე, რომ გოგონამ, ჩემმა გოგონამ იცოდა, ვინც უთვალთვალებდა, დამკვირვებლის ჟინიანი მზერით ტკბებოდა და სწორედ მისთვის ლაღობდა და ხტოდა. სამაგელი, სათაყვანო როსკიპი! ლოლიტა ბურთს გაეკიდა, ვერ დაიჭირა, ზურგზე გადაკოტირალდა და ნორჩი, უხამსი ფეხები ჰაერში ააფართხალა; შორიდანვე ვიყნოსე მისი აღზუნების სურნელი; და მაშინვე წმიდათა წმიდა ზიზღისგან გაქვავადი - დავინახე, როგორ მილულა თვალები მამრმა, შემდეგ სწორი, მომცრო, ბილწი კბილები დაკრიჭა და მიეყრდნო ხეს, რომლის ფოთლებში დაწინწკლული პრიაპოსების მთელი გუნდი ცახცახებდა. მაშინვე შევესწარი უცნაურ მეტამორფოზას. ეს სატირი ჩემს ძალზე კეთილმოსურნე და ბრიყვ შვეიცარიელ ბიძად გარდაისახა - ზემოთ არაერთხელ ვახსენე გუსტავ ტრაპი, რომელიც ღრეობათა შედეგების (მსუნაგს რძენარევი ლუდის სმა უყვარდა) ნეიტრალიზების მიზნით ნამდვილი შტანგისტივით სწევდა სიმძიმეებს, ტორტმანებდა და ხვნიშოდა ტბის პირას; ცალ მხარზე ჩაშვებული ძველმოდური საბანაო კოსტიუმი ვაჟკაცურ იერს

ანიჭებდა. აწინდელმა ტრაპმა თვალი მომკრა, გაჭიმული პირსახოცით კეფის ზელა განაგრძო და მოჩვენებითი დაუდევრობით გაემართა აუზისკენ. ლოლიტა გაყუჩდა და ისე აუჩქარებლად წამოდგა, თითქოს კაშკაშა მზე ღრუბლებს მიჰფარებოდა. არც კი შეუხედავს ბურთისთვის, რომელიც ცუგამ მარჯვედ დაუდო წინ. ვინ იცის, რამდენ ღრმა წყენას ვაყენებთ ძაღლებს იმით, რომ თამაშს ვწყვეტთ ხოლმე! რაღაც წარმოვთქვი, მაგრამ უეცრად ბალახში მოწყვეტით დავეცი გულის აუტანელი ტკივილისგან და ყავისფერ-მომწვანოდ ვაღებინე, მსგავსი კი არაფერი მეჭამა. ლოლიტას თვალებს წავაწყდი: მის მზერაში უფრო ფხიზელი ანგარიშიანობა გამოსჭვიოდა, ვიდრე შიში. გავიგონე, როგორ უთხრა მოახლოებულ კეთილ ქალბატონს, მამაჩემს „რადაცის შეტევა“ აქვსო. შემდეგ დიდხანს ვიწეე შეზღონგზე და სულმოუთქმელად ვცლიდი სირჩებს. მეორე დილას უკვე მოვმჯობინდი და გზა გავაგრძელეთ (რაც მოგვიანებით არ დაიჯერეს ჩემმა მკურნალმა ექიმებმა).

22. „ვერცხლის დეზის“ ნიშნიანი, ოროთახიანი კოტეჯი, ელფინსტონში წინასწარ რომ ვიქირავეთ, იმ გალაქულ, მუქი ფიჭვისგან ნაგებ ქოხებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ჩვენი პირველი მგზავრობისას ლოლიტას ეგზომ მოსწონდა. ო, ახლა ყველაფერი შეიცვალა... ტრაპს ან ტრაპებს როდო ვგულისხმობ... ბოლოს და ბოლოს... ხომ გესმით... ბოლოს და ბოლოს, ბატონებო, მივხვდი, რომ სხვადასხვა ავტომობილში მსხდარ ამ იდენტურ დეტექტივებს დევნის ჩემი მანია წარმოშობდა; განმეორებადი ლანდები შემთხვევითი მსგავსებებისა და თანხვედნის საფუძველზე ცოცხლობდნენ. Soyons logiques[100], მამლაყინწობდა ჩემი ცნობიერების გალური ნაწილი და ებრძოდა ყოველგვარ წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ლოლიტას მიერ მოჯადოებული რომელიმე კომივოიაჟორი ან კინოკომედიიდან გამოსული განგსტერი და მისი ამფსონები მდევდნენ და ათასნაირი მასხრული ხერხით მასულებდნენ - მათ ხომ იცოდნენ კანონის წინაშე ჩემი უცნაური მდგომარეობის საიდუმლო; მახსოვს, პანიკის დასამლევადა რაღაცას ვლიდინებდი ხოლმე. საგანგებო თეორიაც კი მოვიფიქრე, რითაც განვმარტავდი

„ბურდოლეის“ დირექტორის მიერ ჩემთან დარეკვის ფაქტს... შემეძლო, გამედევნა ფიქრები ჩამპიონის მდელოზე კონფულსიების, აგრეთვე ტრაპის შესახებ, მაგრამ ვერაფრით დავძლიე სხვა სახის სიმძიმით: ლოლიტა ჩემთან ასე ახლოს იმყოფებოდა და, ამასთან, ასე მიუწვდომელი იყო! როგორ მიყვარდა, როგორ მიყვარდა იმ ახალი წელთაღრიცხვის მოლოდინში, როდესაც, ჩემი გრძნეული აღრიცხვის თანახმად, გოგონა ნიმფეტობის ასაკიდან უნდა გამოსულიყო და აღარ გავეწვავლებინე... ელფინსტონში ბედმა დამატებითი, სამაგელი და სრულიად ზედმეტი საზრუნავი გამიჩინა. ჩემი გოგონა დაღვრემილი და მდუმარე იყო უკანასკნელი ორასი მილის მანძილზე მგზავრობისას, როდესაც რუხი მამებრებით ან ზიგზაგით მოსიარულე ტაკიმასხარებით წაუბილწავი მთები გადავკვეთეთ. შეხედვის ღირსადაც არ ჩათვალა სახელგანთქმული, უჩვეულო, დიდებული ალისფერი კლდე, მთების თავზე რომ იყო გადმოკიდებული. სწორედ აქედან ისკუპა ნირვანაში ერთმა ფიცხმა მსახიობმა ქალმა. ქალაქი ახალი გაშენებული ან ხელახლა გაშენებული იყო ზღვის

დონიდან შვიდი ათასი ფუტის სიმაღლის მქონე ველზე; ვნატრობდი, ლოლიტას ელფინსტონი მალე მობეზრებოდა; მაშინ სამხრეთი კალიფორნიისკენ გავემუშრებოდით, სადაც მექსიკის საზღვარი, ზღაპრული ყურეები, საგუარის უდაბნოები და ფატამორგანები გველოდებოდა. ხოზე ლიზაჩოვენდოს (მერიმეს ცნობილ რომანში) სურდა, თავისი კარმენი Etats Unis-ში[101] წაეყვანა. წარმოვიდგინე მექსიკაში გამართული საჩოგბურთო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ დოლორეს ჰეიზი და კალიფორნიელი კოხტა გოგოცუნები. კეთილმეზობლური ტურნეები ამ ღიმილიან დონეზე წარხოცავენ განსხვავებას პასპორტსა და სპორტს შორის. რატომ მეგონა, რომ საზღვარგარეთ ბედნიერნი ვიქნებოდით? იქნებ გარემოს შეცვლა ტრადიციული შეცდომაა, რომელზეც იმედს ამყარებენ განწირული სიყვარული და განუკურნავი ჭლექი? მოტელის დიასახლისის გვარი წარმოითქმებოდა როგორც „ჰეიზი“ (მაგრამ სხვაგვარად იწერებოდა). ამ მხნე, ცისფერთვალემა ქვრივმა, აგურისფერ სახეზე ფერუმარილი რომ ჰქონდა წასმული, მკითხა, შვეიცარიელი ხომ არ ხართ? თურმე მისი და სათხილამურო სპორტის შვეიცარიელ ინსპექტორზე გათხოვილიყო. კვერი დაფუკარი და დაფუმატე, ჩემი ქალიშვილი ნახევრად ირლანდიელი არის-მეთქი. ჟურნალში ხელი მოვაწერე და სახეგაბრწყინებულმა მისის ჰეიზმა გასაღები გადმომცა, შემდეგ კი მანქანების სადგომი მაჩვენა. ლოლიტა ავტომობილიდან გამომძვრა და მოიბუზა: სადამოს სხივიერი ჰაერი მართლაც გრილი იყო. გოგონა კოტეჯში შევიდა, გასაშლელ მაგიდას მიუჯდა, თავი იდაყვზე დადო და მითხრა, ძალიან ცუდად ვარო. თვალთმაქცობს, ვიფიქრე მე, თვალთმაქცობს, რომ ჩემი ალერსი თავიდან აიცილნოს; ვნებით ვიდაგებოდი, მაგრამ როდესაც მოვეფერე, ბედშავი გოგონა ძალზე საწყალობლად ასლუკუნდა. ლოლიტა ავადაა! ლოლიტა კვდება! მთლად ვარვარებდა. პირში თერმომეტრი ჩავუდე, შემდეგ ბლოკნოტში ჩაწერილ ფორმულას ჩავხედე და ბოლოს გაუგებარი ფარენგეიტის ციფრი ჩემთვის ბავშვობიდან ნაცნობ ასტროლოგიას შკალაზე გადავიტანე. აღმოჩნდა, რომ ორმოცდაორი გრადუსი ჰქონდა. ისტერიულ ნიმფეტებს ზოგჯერ ფანტასტიურად მაღალი სიცხე აქვთ ხოლმე - იმ წერტილზე მეტი, ჩვეულებრივი ადამიანები რომ ვერ იტანენ და კვდებიან; ვაპირებდი, ცხელი გლინტვაინი და ორიოდ აზი ასპირინი

დამელევინებინა ლოლიტასთვის, შემდეგ მის მხურვალეებას ბაგეებით დავეწაფებოდი და მთლიანად გამომეწოვა. მაგრამ რბილი სასის თვალწარმტაცი გამონაზარდი (მისი სხეულის ერთ-ერთი მთავარი მარჯანი) ცეცხლოვანი შეფერილობისა აღმოჩნდა. გოგონას ტანისამოსი გავხადე. მომწარო-ტკბილი სუნთქვა ჰქონდა. ყავისფერ ვარდს სისხლის გემო დაჰკრავდა. თავით ფეხებამდე კანკალებდა. როდესაც შემომჩვილა, კისერი ისე მტკივა, თავს ვერ ვატრიალებო, მე (როგორც ყველა ამერიკელმა მშობელმა) პოლიომიელიტი ვივარაუდე. სქესობრივი ურთიერთობის იმედი გამიქარწყლდა, ბავშვი შოტლანდიურ პლედში გავახვიე, ავიტატე და ავტომობილში ჩავსვი. ამასობაში კეთილმა მისის ჰეიზმა ადგილობრივ ექიმს დაურეკა. „კიდევ კარგი, რომ ყოველივე აქ მოხდა“, თქვა მან, რადგან არა მარტო ეს ექიმი ითვლებოდა სახელმწიფო მკურნალად, არამედ ელფინსტონის ჰოსპიტალიც, შეზღუდული ფართობის მიუხედავად უახლესი მოწყობილობით იყო აღჭურვილი. გოეთესეული „ელფების ხელმწიფის“ მსგავსად (ამასთან, მისგან განსხვავებით, ბიჭუნების მოყვარულ კი არ ვიყავი, არამედ - გოგონებისა) ისე გამალებით გავექანე დაბლობის მხარეს

დამაბრმავებლად მოკაშკაშე მზისკენ, თითქოს ტყის მეფე მომდევდა. ჩემი მეგზური იყო პორტატიული კუდიანი დედაბრის მსგავსი ბებრუცუნა (შესაძლოა, Erlikönig[102]-ის ერთ-ერთი ნათესავი), რომელიც მისის ჰეიზმა მათხოვა და რომელიც შემდგომ აღარ მინახავს. თვითონაც არ ვიცი, რატომ მმაგხართ, ექიმო ბლუ. თქვენთან საუბარი მიმძიმს. ალბათ, ფიქრობთ, რომ ენაბლუ ვარ, ექიმო ბლუ. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ მედიკოსის განსწავლულობა გაცილებით ჩამორჩებოდა მის რეპუტაციას. მარწმუნებდა, ლოლიტას „ვირუსული ინფექცია“ აქვსო და როდესაც გოგონას მიერ ცოტა ხნის წინათ გადატანილი ინფლუენცა ვახსენე, ცივად მიპასუხა, რომ ამჯერად სრულიად სხვა მიკრობთან გვექონდა საქმე და ორმოცი ამგვარი პაციენტი ჰყავდა (ყოველივე ეს ძველი ბელეტრისტების „ციებ-ცხელებას“ წააგავს). დავაპირე, ღიმილით მეთქვა, ყოველ შემთხვევისთვის (ვინ იცის, როგორ გასინჯავდნენ ლოლიტას), ახლახან ჩემმა თხუთმეტი წლის ქალიშვილმა „ავარია“ განიცადა, როდესაც მეგობარ ყმაწვილთან ერთად, წვეტიან მესერზე ძვრებოდა-მეთქი; ამასთან, ძალზე მთვრალი ვიყავი და გადავწყვიტე, ეს ცნობა უფრო ხელსაყრელ მომენტში მიმეწოდებინა. დოლორესი კვლავ იზრდებოდა: შუბლშეკრულ ქერა მდივან ქალს (ქეციან ტუკნას) ვუთხარი, ჩემი ასული, საერთოდ, თექვსმეტი წლისაა-მეთქი. სანამ მოვტრიალდებოდი, გოგონა ხელიდან ამაცალეს! ამაოდ დავიჟინე, რომ დამეს ჭილობზე (რომელზეც ეწერა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!) გავატარებდი ამ წყეული საავადმყოფოს რომელიმე საკუჭნაოში. კონსტრუქტივისტულ კიბეზე დავრბოდი და ჩემს თვალისჩინს ვეძებდი. ვშიშობდი, არაფერი

წამოეროშა, თავი ხომ ჩემსავით გაბრუებული ჰქონდა; უკმეხად დაველაპარაკე ძალზე ახალგაზრდა და ძალზე თავხედ ექთანს, რომელსაც აქატიფერი თვალები და ჰიპერტროფირებული უკანალი ჰქონდა; როგორც შემდგომ შევიტყვე, ბასკური წარმომავლობისა გახლდათ. მამამისი ერთ-ერთი იმ მწყემსთაგანი იყო, ნაგაზების საწვრთნელად რომ შემოჰყავთ ხოლმე ესპანეთიდან. ბოლოს ავტომობილში დავბრუნდი, მოვიკუნტე და არ ვიცი, რამდენი საათი გავატარე წყვილიადასა და უჩვეულო მარტოობაში. პირდაღებული ვუცქერდი ხან სუსტად განათებულ, კოლოფისებრ, ბრტყელსახურავიან ჰოსპიტალს, რომელიც კვადრატულ მდელოზე თითქოს ოთხზე

დამდგარიყო, ხან კი ვარსკვლავთა ნისლეულსა და ვერცხლისფერ, თვალუწვდენელ მთებს ვზევრავდი, სადაც ამ დროს მარიას მამა, მარტოხელა ჟოზეფ ლორი ოლორონის, ლაგორის, როლასის ღამეებზე ოცნებობდა - ზოგჯერ კი ცხვარს აცთუნებდა. ამგვარი სურნელოვანი აბდაუბდა ყოველთვის მანუგეშებდა სულიერი დამაბულობის მომენტებში; მათარას ხშირ- ხშირად ვიყუდებდი, მაგრამ უძილობისა და ღამის სიცივისგან მალე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მოტელში დაბრუნება გადავწყვიტე. კუდიანი მეგზური გაქრა, გზას კი ცუდად ვიცნობდი. შენობათა ბუნდოვან მარტოკუთხედებს ხრემმოყრილი ფართო ქუჩები ჰკვეთდნენ. თვალი მოგვარი სახრჩობელას სილუეტს, მაგრამ ეს, ალბათ, სკოლის ეზოში დადგმული სატანვარჯიშო ღერძი იყო. უკაცრიელი კვარტლის გუმბათისებრ სიჩუმეში ჩემ წინ ანაზადად რომელიღაც ადგილობრივი სექტის მკრთალი ტაძარი ამოიზარდა. ბოლოს გზატკეცილს მივაღწიე და მალე დავინახე „ვერცხლის დეზის“ მოკიაფე ნიშანი და ლილისფერი წარწერა „ადგილები არ არის!“ მის გარშემო მილიონობით პეპელა ფარფატებდა, რომელთაც (მოთეთრო ფერის გამო) „მეწისქვილეებს“ უწოდებენ. ძალზე ადრე - დილის სამ საათზე - ვიბანავე, რამაც, ფიქსაჟის მსგავსად, მხოლოდ განამტკიცა ჩემი სასოწარკვეთილება და უილაჯობა. შემდეგ ჩავწექი ლოგინში - მის ლოგინში, რომელსაც წაბლის, ვარდის, პიტნის, ყინულკარამელისა და იმ ფრანგული მეტად ნაზი, მეტად თავისებური სუნამოს სურნელი უდიოდა, რომლის ხმარების უფლება ბოლო დროს მივეცი ლოლიტას. ვერაფრით ვერ შევეგუე იმ აზრს, რომ ორი წლის განმავლობაში პირველად დავცილდი მას. უეცრად გავიფიქრე, რომ ლოლიტას სენი მხოლოდ ძირითადი თემის უცნაურ განვითარებას წარმოადგენდა; რომ ამ სენს ისეთივე გემო და კილო ჰქონდა, როგორც ურთიერთდაკავშირებული შთაბეჭდილებების გრძელ რიგს, გზაში რომ მადლელებდა და მაწამებდა; წარმოვიდგინე საავადმყოფოს გარშემო მოხეტიალე რომელიმე აგენტი, ან იდუმალი მიჯნური, ან საზიზღარი, ცელქი არსება, ან ჩემი ჰალუცინაციების ნაყოფი - სულ ერთია, ვინ; ავრორამ ოდნავ „გაითხო ხელები“ (ასე ამბობენ ლავანდის მკრეფავები ჩემს სამშობლოში), როდესაც კვლავ მივადექი ლოლიტას ციხესიმაგრეს და მის მწვანე კარზე დავაკაკუნე. უსასრულო ტანჯვისგან გათანგულს, არ მისაუზმია; არც კუჭს უმოქმედია. ეს იყო სამშაბათს, ხოლო ოთხშაბათს თუ ხუთშაბათს ჩემი გოგონა რომელიღაც (სპილოს სპერმისა თუ ნერბის ნერწყვისგან შემზადებული) შრატის ზეგავლენით საგრძნობლად მომჯობინდა და ექიმმა მითხრა, ორი დღის შემდეგ ისევ ბეკეკასავით იხტუნებსო. დღეში ორჯერ ვნახულობდი - სულ, ალბათ, რვაჯერ ვეწვიე - მაგრამ გარკვევით მახსოვს მხოლოდ უკანასკნელი სტუმრობა. იმ დღეს ჩემთვის დიდ გმირობას წარმოადგენდა შინიდან სადმე გასვლა; გრიპმა ერთიანად დამაოხრა. ვერავინ გაიგებს, რა ვაი-ვაგლახით მივუტანე ძღვენი - თაიგული, სიყვარულის კირთი და წიგნები, სამოცი მილის დაცილებით განლაგებულ მაღაზიაში რომ ვიყიდე: ბრაუნინგის „დრამატული თხზულებები“, „ცეკვის ისტორია“, „კლოუნები და კოლომბინები“, „რუსული ბალეტი“, „კლდოვანი მთების ყვავილები“, „თეატრალური გილდიის ანთოლოგია“ და „ჩოგბურთი“; ამ უკანასკნელის ავტორმა, ელენ ვილსმა თავის პირველ ეროვნულ ჩემპიონატზე თხუთმეტი წლის ასაკში გაიმარჯვა. როდესაც ბარბაცით მივუახლოვდი ლოლიტას კერძო პალატას (დღეში ცამეტი დოლარი რომ მიჯდებოდა), მარია

ლორმა (ეს იყო ლოლიტას მესასთუმლე ახალგაზრდა ასპიტი, რომელმაც პირველივე დღიდან შემიძულა) იქიდან ნასუფრალიანი სინი გამოიტანა. მან მარჯვედ დაახეთქა სინი დერეფანში მდგარ სკამზე და გავის რხევით კვლავ ოთახში შევარდა, - ალბათ, იმისთვის, რომ საწყალი პატარა დოლორესი გაეფრთხილებინა, ბებერი ტირანი რეზინისძირიანი ფეხსაცმლით უჩუმრად მოიპარება, თან ბუკინისტური ხარახურა და თაიგული მოაქვსო. მინდვრის ყვავილები და ლამაზი ფოთლები ჩემი განტირებული ხელებით დავკრიფე მთის უღელტეხილზე, გამთენიისას (იმ საბედისწერო კვირას თითქმის არ მიძინია). როგორ კვებავენ ჩემს კარმენსიტას? სინს თვალი შევავლე. კვერცხის გულით დასვრილ თეფშზე მოჭმუჭნილი კონვერტი შევამჩნიე. მასში ადრე წერილი იდო, რასაც მოხეული კიდე ამტკიცებდა. მისამართი არ ეწერა; მწვანე, უხამს, ყალბ ჰერალდიკურ ვინიეტზე აღნიშნული იყო მხოლოდ მოტელის სახელწოდება „პონდეროზის ფიჭვი“. ოთახიდან გამოსულ

მარიასთან ერთად პატარა შასე-კრუაზე შევასრულე - უცნაურია, როგორ ფუსფუსებენ და რა ცოტას ასწრებენ ეს ფართოგავიანი ფისუნები. მან მრისხანე მზერა ესროლა კონვერტს, რომელიც გავასწორე და ისევ თეფშზე დავდე. „აჯობებდა, ხელი არ გეხლოთ, - წაიბუზღუნა და თავი ისე გააქნია, თითქოს პელენგს ეძებდა. - თითები არ დაიწვანო“. პასუხის გაცემა არ ვიკადრე და მხოლოდ ფრანგულად შევესიტყვე: „Je croyais que c'était un 'bill'[103] - pas un billet doux.“[104] შემდეგ მზით გაცისკროვნებულ ოთახში შევედი და ლოლიტას მივმართე: „Bonjour, mon petit!“[105] „დოლორეს!“ წამოიძახა მან (ზორზოხმა ფეთხუმმა!), თვლები დაახამხამა, თეთრი ფლანელის საბანი დაკეცა და თვლები კვლავ დაახამხამა. „დოლორეს, მამათქვენს ჰგონია, რომ შეყვარებულისგან წერილებს ღებულობთ. ეს მე (და ამაყად დაიტყაპუნა ხელი მოოქრულ ჯვარზე), მე ვღებულობ მათ. და მამაჩემს პარლე-ფრანსე მამათქვენზე ნაკლებად როდი ეხერხება“. მარია გავიდა. დოლორესს შიშველი ხელები საბანზე ეწყო და გულუბრყვილოდ იღიმებოდა (არ ვიცი, მე მიღიმოდა თუ სიცარიელეს). სახე ვარდისფრად უღვიოდა, ტუჩები ახლახან შეედება, ოქროსფერი თმა კი ისე გულმოდგინედ დაევარცხნა ჯაგრისით, მხოლოდ ამერიკელ გოგონებს რომ სჩვევიათ. მაგიდაზე, ქაღალდის ხელსაწმენდსა და ფანქარს შორის მისი ტოპაზის ბეჭედი კიაფობდა. „რა შემზარავი, სამგლოვიარო ყვავილებია, - მითხრა ლოლიტამ და ყვავილები გამომართვა. - მაგრამ მაინც გმადლობ. ოღონდ, თუ შეიძლება, ფრანგულად ნუ ლაპარაკობ - ამით მხოლოდ ალიზიანებ ადამიანებს“. ამ დროს მწიფე ახალგაზრდა აშაღლარი კვლავ შემოვარდა (შარდითა და ნივრით ყარდა) და ლოლიტას გაზეთი „დეზერეთი“ შემოუტანა; მომხიბვლელმა პაციენტმა ხარბად სტაცა მას ხელი და ყურადღება არ მიაქცია ჩემ მიერ მიტანილ საუცხოოდ დასურათებულ ტომებს.

„ჩემი და, ანა, - უთხრა ბასკმა, ქალმა (ადრე ნათქვამის დასასრულებლად), - პონდეროზში მსახურობს“. ცნობილ ზღაპრის, „ლურჯწვერას“ პერსონაჟი ყოველთვის მეცოდებოდა. ეს ბრუტალური ძმები... Est-ce que tu ne m'aimes plus, ma Carmen?[106] არასოდეს ვუყვარდი. ჩემი სიყვარული უიმიედო იყო; ამასთან, ვხვდებოდი, რომ ისინი რაღაცას მიმზადებდნენ და ურთიერთს ბასკურ თუ ზემფირულ ენაზე უთანხმდებოდნენ ჩემი უიმიედო სიყვარულის წინააღმდეგ. მეტსაც ვიტყვი: ლოლიტა ორპირობდა და ასულელებდა ბრიყვ, სანტიმენტალურ მარიას. ალბათ, დაარწმუნა, ხალისიან ბიძასთან მსურს ცხოვრება და არა მკაცრ, უკარება მამასთან ყოფნაო. ამ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელებაში მონაწილეობდა მეორე მესასთუმლეც, აგრეთვე - საწოლებისა და კუბოების ლიფტით გადამტანი ერთი ბეჩავი კაცი და, ბოლოს, ორი იდიოტი. მარიას წარმოდგენით, კომედიური მამა - პროფესორი ჰუმბერტოლდი ხელს უშლიდა სასიყვარულო ინტრიგას დოლორესსა და მამამისის მოადგილეს, გარუმბულ რომეს შორის (არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი რომეო საკმაოდ ჩასორსლილი იყო, ყველა ამ ნარკოტიკის - „ფიფქის“, „სისხარულის წვენის“ და ა.შ. მიუხედავად). ყელი მტკიოდა; ფანჯარასთან მდგარი, ნერწყვის გადაყლაპვას ვცდილობდი და ვუმზერდი რომანტიკულ კლდეს, მოღიმარ ცაში მაღლა რომ ეკიდა. „ჩემო კარმენ“, მივმართე გოგონას (ზოგჯერ ასე ვეძახდი), „როდესაც ადგომის ნებას მოგცემენ, მივატოვოთ ეს გადაბუგული, მნთებარე ქალაქი“. „ჰოდა, ჩემი ნივთები მჭირდება“, წაიდუღუნა პატარა ხიტანამ, მუხლები მოხარა და გაზეთის მეორე გვერდის კითხვას შეუდგა. „იმიტომ, რომ“ განვაგრძე მე, „აზრი არა აქვს ამ ქალაქში დაყოვნებას“. „არსად დაყოვნებას არა აქვს აზრი“, თქვა ლოლიტამ. სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ სიჩუმე ზუზუნებდა პაპანაქებისგან. კრეტონის სავარძელში ჩავჯექი და ლამაზი ბოტანიკური ატლასი გადავშალე. შევეცადე, ჩემი ყვავილები მომეძებნა. ვერ შევძელი. ცოტა ხნის შემდეგ დერეფანში მუსიკალური ზარის ხმა გაისმა. არ მგონია, ამ პრეტენზიულ ჰოსპიტალში თორმეტზე მეტი ავადმყოფი ჰყოლოდათ (მათგან სამი თუ ოთხი გიჟიაო, მხიარულად განაცხადა ერთხელ ლოლიტამ); თანამშრომლებს ძალზე ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ. ამასთან - მეტი ლაზათისთვის - წესებს მკაცრად იცავდნენ. ვაღიარებ, რომ ლოლიტასთან ხშირად მოვდიოდი მნახველთათვის აკრძალულ საათებში. მეოცნებე ცბიერებით

აღტყინებულმა, ხილვებს ჩვეულმა მარია ლორმა (მის მორიგ ხილვას Une belle dame toute en bleu[107] წარმოადგენდა, ნიუ-ლურდში ნაპირის გასწვრივ რომ მიცურავდა) ხელი მტაცა და ჩემი გაყვანა დააპირა. ხელზე ალმაცერად შევხედე და ქალი გამერიდა. როდესაც მივდიოდი, - ჩემი ნებით მივდიოდი, - გავიგონე, რომ დოლორესს ჰეიზი მიმეორებდა, ხვალ, დილას მომიტანეო - და ვერ გაიხსენა, რომელი ტანისამოსი და სხვა ნივთები სჭირდებოდა. „მომიტანე“, დაიძახა (უკვე ველარ ვხედავდი, რადგან კარი ამომრავდა,

კარი იხურებოდა, კარი დაიხურა. „მომიტანე ახალი რუხი ჩემოდანი და კიდევ ის, დედაჩემის ნაყიდი!“; მაგრამ მეორე დღეს მაჩრჟოლებდა, და ძალზე მთვრალი ვიყავი, და კვდებოდი

მოტელის საწოლში, სადაც მან მხოლოდ რამდენიმე წუთი გაატარა. ამ აუტანელ მდგომარეობაში მხოლოდ ის მოვახერხე, რომ ჩემი ქვრივი დიასახლისის საყვარლის, სატვირთო მანქანის ახმახი და კეთილი მძღოლის ხელით ორივე ჩემოდანი გავუგზავნე. ნათლად წარმოვიდგინე, როგორ აჩვენებდა ჩემი გოგონა მარიას თავის საგანძურს. თავბრუ მესხმოდა... მეორე დღესაც ძალზე რყევადი და გაუფორმებელი ვიყავი; როდესაც სააბაზანოს ფანჯრიდან მეზობელ მძღოლს გავხედე, დავინახე ჩემი დოლის მშვენიერი, ნორჩი ველოსიპედი. ამასთან, წინა გრაციოზულ ბორბალს, როგორც ყოველთვის, ზურგი შეექცია ჩემთვის, უნაგირზე კი ბელურა ჩამომჯდარიყო. მაგრამ ეს დიასახლისის ველოსიპედი აღმოჩნდა. ნაზ ოცნებას სუსტი ღიმილით გავაყოლე თვალი, თავი გადავაქნიე და ძლივს მივლასლასდი საწოლთან. დიდხანს ვიწევი. წყნარი და წმინდა (როგორც რობერტ ბრაუნინგი ამბობს - ზუსტი ციტატა არ გეგონოთ) ვიყავი. „ო, წმინდა? ფორსიტი! როს ჩვილ კონდარზე შავტუხა დოლორესს გართობა ენება - ათას სისულელის ამოჭრა იტაცებს, კინო-ღვთაებზე რაც კი იწერება -“ ჭრის ჭრელი ჟურნალებიდან, რომლებიც დოლორესის გარშემო ყრია ხოლმე ყოველ ჩვენს სადგომში. ამ დროს კი ქალაქში დიდი ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავი ზეიმი დაიწყო; მძღავრი ტკაცუნები (ნამდვილი ყუმბარები) განუწყვეტლივ სკდებოდა და ზუსტად დღის პირველ საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე კოტეჯის ნახევრად ღია კართან ვიღაცის სტვენა, შემდეგ კი - კაკუნი მომესმა. ეს იყო სატვირთო მანქანის მძღოლი, ფრანკი - ვებერთელა ვაჟკაცი: ზღურბლზე შედგა, კარის წირთხლს ხელი შეავლო და ოდნავ წინ გადმოიხარა. „სალამი. საავადმყოფოდან რეკავენ. მესასთუმლე ლორი ვითხულობს, მისტერ ჰუმბერტი თუ გამომჯობინდა და დღეს ხომ არ შემოვიღისო“. ოცი ნაბიჯის მანძილზე ფრანკი სახელაჟღაჟა, ჯანსაღ დევგმირს ჰგავდა; ხუთ ნაბიჯზე (როგორც ახლა) კი ნათლად ეტყობოდა მოწითალო-ლურჯი ნაჭრეების მოზაიკა. იტალიაში, უკანასკნელი ომის დროს, ყუმბარის აფეთქებისას ჰაერის ტალღამ აიტაცა და კედელი გაანგრევინა. ენით აუწერელი სახიზრობის მიუხედავად, ფრანკი უზარმაზარ მანქანას მართავდა, მეთევზეობით ერთობოდა, ნადირობდა, ლოთობდა და დაულალავად სარგებლობდა გზისპირა ქალებით. ამ დღეს - დიდი დღესასწაულის გამო თუ ავადმყოფის შექცევის მიზნით - მან წაიძრო ხელთათმანი მარცხენა ხელიდან (რომელიც წირთხლზე ჰქონდა მიდებული) და მოჯადოებულმა მარტივლმა იხილა არათითისა და ნეკის სრული არარსებობა, აგრეთვე - დამახინჯებული ხელის ზურგზე მომხიბვლელად ამოსვირინებული შიშველი

გომბიო, რომელსაც სინგურისფერი კერტები და კობალტისფერი დელტა ამკობდა: საჩვენებელი და შუა თითები მის ფეხებს გამოსახავდა, მაჯაზე კი ყვავილების გვირგვინით დამშვენებული თავი მიეხატათ. ოჰ, მართლაც რომ ლამაზი რამ იყო... განსაკუთრებით, როდესაც ის ცუდლუტ ფერიასავით ძელს ეყრდნობოდა, როგორც ახლა. ვთხოვე, მარია ლორისთვის გადაეცა, რომ დღეს ლოგინში ვიწვებოდი, ხვალ კი ჩემს ქალიშვილს დავურეკავდი, თუ პოლინიზიური წარმომავლობისად ვიგრძნობდი თავს (აზრებში ჯერ კიდევ ბეჭდვით შეცდომებს ვუშვებდი). ამ დროს ფრანკმა ჩემი მზერა დაიჭირა და ხელი ისე შეათამაშა, რომ ქალის მარჯვენა თემო ავხორცულად შეტოკდა. „ოკი-დოკი“, წაიმღერა გოლიათმა, კარის წირთხლს ხელი მიარტყა და სტვენა-სტვენით გაემართა ჩემი დავალების შესასრულებლად. სმა განვაგრძე და დილისთვის სიცხემ დამიწია. თუმცა გომბემოსავით დონდლო ვიყავი, მაინც მოვახერხე ყვითელ პიჟამაზე იისფერი ხალათის გადაცმა. გავეშურე მოტელის კანტორისკენ, სადაც ტელეფონი მეგულეობდა. ყოველივე კარგად იყო. წკრიალა ხმამ მაუწყა, რომ დიახ, ყოველივე კარგად იყო, ჩემი ქალიშვილი გუშინ, დღის ორ საათზე გამოწერილიყო საავადმყოფოდან. თურმე ბიძამისმა, მისტერ გუსტავმა შავი კადილი იაკით გამოუარა თავისი კოკერ-სპანიელის ჯიშის ლეკვთან ერთად და ყველა მოიკითხა; მან დოლის ანგარიში ნალდი ფულით გაისტუმრა და მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა, რომ არ შეწუხდეთ და თბილ ლოგინში გამოშუშდეთ, ისინი კი ბაბუას რანჩოზე გაემგზავრებიან, როგორც ადრე შეგითანხმდნენო. ელფინსტონი კოპწია ქალაქი გახლდათ (ვიმედოვნებ, ახლაც ასეთია). მაკეტს წააგავდა - თითქოს მწვანე ბამბისგან ნაკეთი კოხტა ხეებითა და ველის პარკეტზე გეგმაზომიერად მიმოფანტული წითელსახურავიანი მომცრო სახლებით. მგონი, უკვე ვახსენე მისი სანიმუშო სკოლა, ტაძარი და ვრცელი მართკუთხა საკარმიდამო ნაკვეთები; ამასთან, ზოგიერთ მათგანზე ნახავდით მხოლოდ ბაკს, სადაც ივლისის ნისლიან რიჟრაჟზე ჯორი ან მარტორქა ბალახს ძოვდა. სასაცილოა: ერთ მკვეთრ, ხრეშიან-მოდრჭიალე მოსახვევში გვერდი გავკარი ტროტუართან მდგარ მანქანას, მაგრამ ჩემს თავს აპათიურად (მანქანის გააფთრებულ მძღოლს კი - ტელეპათიურად) ვუთხარი, რომ თავის დროზე დავბრუნდებოდი. მისამართი: ბურდის სკოლა, ბურდის შესახვევი, ქალაქი ქაბურა; ჯინი გულს მიმაგრებდა, მაგრამ გონებას მიმღვრევდა. სიზმარეული ეპიზოდებისთვის ჩვეული რამდენიმე ხარვეზისა და მარცხის შემდეგ, საავადმყოფოს მისაღებში აღმოვჩნდი. აქ ექიმის მიბეგვა ვცადე. ვუყვიროდი სკამებქვეშ დამალულ ადამიანებს და

ვუხმობდი მარიას, რომელიც, მისდა საბედნიეროდ, იმ დღეს საავადმყოფოში არ მისულა; ტლანქი ხელები ხალათის კალთებზე მეჯაჯგურებოდნენ და ბოლოს ჯიბე მომაგლიჯეს; აღმოვაჩინე, რომ ვიღაც შავგვრემან, მელოტ პაციენტზე ვიჯექი და ის ექიმი ბლუ მეგონა. ბოლოს და ბოლოს ეს კაცი იატაკიდან წამოდგა და ანეკდოტური აქცენტით შენიშნა: „გვეითებით, ვინაა აქ ნევროტიკი?"; ამის შემდეგ მაღალმა, პირქუშმა მოწყალების დამ შვიდი დიდებულიად ილუსტრირებული, დიდებულიადიანი წიგნი და იდეალურად დაკეცილი შოტლანდიური პლედი გადმომცა, თან ხელწერილი მომთხოვა; უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში შევამჩნიე პოლიციელი, რომელსაც წელან ნანახი კოლეგა-

ავტომობილისტი ჩემზე მიუთითებდა; ამიტომ თვინიერად ხელი მოვაწერე წიგნებისა და პლედის მიღების საბუთს - ეს იყო სიმბოლური ქუსტი, რომლის ძალით ამ მაკაკებს ლოლიტას ვუთმობდი, მაგრამ სხვა რა შემეძლო? ერთი მარტივი, თითქოს დედიშობილა აზრი მედგა თვალწინ: მთავარი იყო თავისუფლების შენარჩუნება. ნებისმიერი წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში ჩემი დანაშაულებრივი ცხოვრების ყველა წვრილმანის განმარტება მომიწევდა. თავი ისე მოვიკატუნე, თითქოს სიმთვრალისგან გამოთავისებულ ვიყავი. კოლეგა-ავტომობილისტს სადაზღვევო თანხაზე გაცილებით მეტი ფული გადავუხადე. ცისფერთვალემა ექიმ ბლუს, რომელიც ახლა ხელზე მეფერებოდა, ქვითინით შევჩვილე: ძალზე ბევრს ვსვამ, რათა გავიმხნეო არასაიმედო, თუმცა კი სავსებით ჯანსაღი გული-მეთქი; საავადმყოფოს მთელი პერსონალის წინაშე ბოდიში მოვიხადე და თავი ისე მდაბლად დავუკარი, რომ კინაღამ ძირს დავვარდი; დავუმატე, რომ ჰუმბერტების კლასის სხვა წარმომადგენლებთან ცუდი დამოკიდებულება მქონდა. ჩემს თავს კი წავჭურჩულე, რომ პისტოლეტი გამაჩნდა და თავისუფლება ჯერ კიდევ არ დამეკარგა - შემეძლო გაქცეული გოგონას დაბრუნება და „მის“ მზის დაბნელება.

23. აბრეშუმით გლუვი გზატკეცილის ათასი მილი ურთიერთისგან აცილებდა ქასბიმსა (სადაც წითელი ემშაკი პირველად გამოჩნდა) და საბედისწერო ელფინსტონს (რომელსაც დამოუკიდებლობის დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე ვეწვიეთ). ეს მოგზაურობა მაშინ ივნისის უმეტესი დროის განმავლობაში გაგრძელდა, რადგან დღეში ას ორმოცდაათ მილზე მეტს იშვიათად გავდიოდით. დღე-ღამის დანარჩენ დროს სხვადასხვა სადგომებში ვატარებდით. მახსოვს, სადაც ხუთი დღეც დავყავით, რაც, ალბათ, დეტალურად იყო გათვალისწინებული მდევრის მიერ. ამგვარად, სწორედ აქ უნდა მეძებნა ემშაკის ნაკვალევი; ამიტომ რამდენიმე გაუსადმისი დღის შემდეგ უკვე ელფინსტონის გარეუბნების უმოწყალოდ განტოტვილ გზებზე დავმწოდდი. წარმომიდგინე, მკითხველო! მე ხომ ძალზე მოკრძალებული ვიყავი და არ მიყვარდა, როდესაც ყურადღებას მაქცევდნენ. გარდა ამისა, წესიერების თანდაყოლილი გრძნობით გამოვიჩინე. ამიტომ მეტისმეტად ვეწამებოდი, როდესაც უსაზღვრო მწუხარებას გულში ვიკლავდი და გაუბედავი, პირფერული ღიმილით ვიგონებდი ათას საბაზს, რათა მოჩვენებითი დაუდევრობით გადამეფურცლა სასტუმროს დავთარი და გადამეთვალისწინებინა მგზავრების გვარები, მისამართები და ავტომობილების ნომრები. „მისმინეთ“, ვამბობდი მე, „გონი, აქ

ერთხელ უკვე ვიყავი. ნება მომეცით, ივნისის შუა რიცხვების ჩანაწერებს თვალი გადავავლო. მამ ასე, არა, შეემცდარვარ - ქალაქის რა სასაცილო ქუჩაზე ცხოვრობს ეს მისტერ კუკი. მაპატიეთ, რომ შეგაწუხებ“. ანდა: „ერთი ჩემი კლიენტი თქვენთან ცხოვრობდა. მისი მისამართი დავკარგე. იქნებ, ნება დამრთოთ...“ და თუ დირექტორი უფუნებო მამაკაცი იყო, დავთრის დათვალისწინების უფლებას არ მაძლევდნენ. ჩანიშნული მაქვს: 5 ივლისსა და 18 ნოემბერს შორის ხელი მოვაწერე (თუმცა დამე ყოველთვის არ გამითევია) 342 სასტუმროსა და მოტელის დავთრებში. ეს ციფრი მოიცავს ქასბიმსა და ბერდსლეის შორის განლაგებულ რამდენიმე დაწესებულებას; ერთ-ერთმა მათგანმა ემშაკის მკაფიო ჩრდილი დამანახა: „რობერტ რობერტი, მოლბერტი, ალბერტა“. ძიებას ძალზე ფრთხილად ვანაწილებდი დროსა და სივრცეში, რათა ეჭვის თვალით არავის შემოეხედა. დაახლოებით ორმოცდაათ პუნქტში უბრალო გამოკითხვას არავითარი შედეგი არ მოუტანია; თუმცა, კეთილმოსურნეობისა და დამაჯერებლობის პლატფორმის შესაკოწიწებლად, ჩემთვის სრულიად უსარგებლო ოთახის საფასურს ვიხდიდი. ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ დაახლოებით სამასი დავთრიდან ოცი მაინც მათ მიერ დატოვებულ კვალს შეიცავდა: დინჯი ემშაკი ან ჩვენზე უფრო ხშირად ჩერდებოდა, ან - რისი უნარიც მას გააჩნდა - დამატებით ჩანაწერებს აკეთებდა და უხვად აბნევდა დამცინავ ქარაგმებს. მხოლოდ ერთხელ შეჩერდა იმავე სასტუმროში (და იმავე დროს), სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, - და მის საწოლს ლოლიტას ბალიშიდან რამდენიმე ნაბიჯი აცილებდა. რამდენჯერმე იმავე, ან მეზობელ კვარტალში იქირავა ბინა; ხშირად საფარში, ან

ორ დათქმულ სადგომს შორის განლაგებულ შუალედურ პუნქტში იცდიდა. კარგად მახსოვდა, რომ ბერძნულიდან გამგზავრების წინ ლოლიტა ხალიჩაზე იწვა და მეგზურებსა და რუკებზე პომადით აღნიშნავდა ჩვენი მოგზაურობის მოსალოდნელ ეტაპებსა და შეჩერებებს. ყოფილმა მდევარმა გაითვალისწინა ჩემი ძიება და დამატებით მომწოდა უამრავი დამამცირებელი ფსევდონიმი, კალამბური და სხვაგვარი ნართაული გამოთქმა. როდესაც პირველსავე მოტელს (ეს იყო „პონდეროზის ფიჭვი“) ვეწვიე, თორმეტობდე აშკარად ადამიანურ მისამართს შორის ასეთ სისამაგლეს წავაწყდი: „ადამ ს. არდაულებია, ნოემოსვა“. ჩემმა მახვილმა მზერამ ეს ფრაზა მყისვე დაშალა ორ თავხედურ წინადადებად. დიასახლისმა ინება და მაუწყა, რომ მისტერ არდაულებია ხუთი დღის განმავლობაში ლოგინად ჩაადო მწვავე გრიპმა; რომ მან ავტომობილი შესაკეთებლად დატოვა გარაჟში და მოტელიდან ახალი მანქანით გაემგზავრა 4 ივლისს. დიახ, ქალიშვილი, რომელსაც ანა ლორი ჰქვია, აქ მართლაც მუშაობდა, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ. ახლა ანა სიდარ სიტელი მებაყლის ცოლია. ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეს დავუდარაჯდი მარიას, რომელიც ცარიელ ქუჩაზე მესასთუმლის თეთრი ფეხსაცმლით მიაბიჯებდა. ეს ქალი, სხვა მრავალივით, ავტომატი იყო და დაკვივება დააპირა, მაგრამ საკმაოდ მარტივი ხერხით ვაქციე ადამიანად - მუხლი მოვიყარე და ხრინწიანი ყვირილით, წმინდანთა მოხსენიებით შევევედრე, დამხმარებოდა. ქალი მეფიცებოდა, არაფერი ვიცო. ვინ არის ეს არდაულებია? მარია თითქოს შეეყოყმანდა. სწრაფად ამოვიღე ასდოლარიანი ბანკნოტი. მან მთვარის შუქზე გასინჯა ფული. „თქვენი ძმია“, წაიჩურჩულა ბოლოს. ფრანგულად შევიგინე, მთვარიანი, ცივი ხელიდან ფული გამოვგლიჯე და

მოვკურცხლე. ამგვარად, მხოლოდ ჩემს თავს უნდა მივწოდებოდი. რა თქმა უნდა, ვერც ერთი მამებარი ვერ იპოვიდა იმ სანიშნო ძაფებსა და მისახვედრ ნაჭდევებს, რომლებსაც ტრაპი სწორედ ჩემს გონებას უსადაგებდა, სწორედ მე მიძაბებდა. უეჭველია, ის ნამდვილ გვარს არსად ჩაწერდა, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ ამა თუ იმ ზედმეტად ინდივიდუალური დეტალის მეშვეობით ფეხი წაუცდებოდა თავის დახვეწილ გონებაზე; ან იქნებ უმნიშვნელო რაოდენობრივი ნაწილებისგან შედგენილი მთელის თვისებრიობას გაემჟღავნებინა რაიმე? ერთი კი მოახერხა: დემონური ბადით შებოჭა ჩემი აფართხალებული, მფეთქავი დარდი. ჯამბაზის უსაზღვრო ოსტატობით ტორტმანებდა და ბორძიკობდა და მანაც როგორღაც იბრუნებდა წონასწორობას. ამასთან, ყოველთვის მიტოვებდა სპორტულ იმედს - თუკი შეიძლება ასე ითქვას, როდესაც ლაპარაკია დალატის, სიმმაგის, მჭმუნვარების, ძრწუნვისა და სიძულვილის შესახებ, - რომ შემდეგში, ბოლოს და ბოლოს, გადაამეტებდა. ეს არასოდეს ხდებოდა, თუმცა მტერი ძალზე კადნიერი იყო. ყველანი აღტაცებულნი ვართ ხოლმე ბრჭყვიალა ტანისამოსში გამოწყობილი აკრობატით, რომელიც პროექტორების მოთეთრო შუქში კლასიკური გრაციითა და სიზუსტით მოძრაობს დაჭიმულ სიმზე; მაგრამ რამდენად მეტი ოსტატობა სჭირდება ჩაწეულ თოკზე მოსიარულე სპეციალისტს, რომელსაც საფრთხობელას კონკები აცვია და მთვრალის ბარბაცს ბაძავს! ამას როგორ ვერ დავაფასებდი... ტრაპის მიერ დატოვებული მასხრული კვალი არ მეხმარებოდა მისი პიროვნული თვისებების გარკვევაში, მაგრამ მასში გამოსჭვიოდა მტკიცე და დაუცხრომელი ხასიათი. იუმორის მის ჟანრში (ან, ყოველ შემთხვევაში, ამ იუმორის საუკეთესო გამოვლინებებში) და გონების „კილოში“ ჩვეულ ნიშნებს ვამჩნევდი. ის ჩემს იმიტირებასა და გაქილიკებას ცდილობდა. ქარაგმები გარკვეული დახვეწილობით გამოირჩეოდა. ნაკითხი კაცი იყო. ფრანგულ ენას ფლობდა. დედალოგიასა და ლოგომანტიაში ერკვეოდა. ეროტიკა ფრიად უყვარდა. ქალური ხელწერა ჰქონდა. გვარის შეცვლა შეეძლო, და თუმცა ზედმიწევნით ცდილობდა ზოგიერთი ასოს, - მაგალითად, თავისებური ტ-სა და უ-ს შენიღბვას, არაფერი გამოსდიოდა. კუნძული Quelquepart[108] მის ერთ-ერთ უსაყვარლეს ადგილსამყოფელს წარმოადგენდა. თვითმწერი კალმით არ სარგებლობდა, ეს კი (რასაც ყველა ფსიქიატრი დაგიმოწმებთ) იმას ადასტურებდა, რომ პაციენტი რეპრესიულ უნდინისტს წარმოადგენდა. კაცთმოყვარეობის ზეგავლენით ვუსურვოთ, რომ სტიქსის ტალღებში წყლის პატარა ფერიებს წააწყდეს! ძირითადად მეტოქის გაქირდვით ერთობოდა. ღმერთო ჩემო, როგორ მოსწონდა ამ უბადრუკ არსებას ჩემი აზუჩად აგდება! ჩემს ერუდიციაში ეჭვი ეპარებოდა. საკმაოდ ფართო ცოდნა გამაჩნია იმისათვის, რათა თავმდაბლად ვაღიარო, რომ რაღაც-რაღაცეები ჩემთვისაც კი უცნობია. შესაძლოა, რაიმე გამომრჩა ამ კრიპტოგრაფიულ პეკერ-ჩესში. ლხენისა და ზიზლის როგორი ჟრუანტელი მივლიდა სათუთ სხეულში, როდესაც სასტუმროს დავთრის მარტივ, უმანკო გვარებში ამოვიკითხავდი ხოლმე მის მიერ შედგენილი თავსატეხის იდუმალ შინაარსს. ეშმაკეული თესლის შხეფები პირდაპირ სახეზე მცემდა! ვამჩნევდი, რომ ტრაპი მტრის მისატყუებლად საგანგებოდ ამარტივებდა თვით ჩემნაირი ექსპერტისთვისაც გაუგებარ გამოცანებს.

„არსენ ლუპენზე“ ნაცნობი რაღა იქნებოდა ნახევრად ფრანგისთვის, რომელსაც ახსოვდა ბავშვობაში გატაცებით წაკითხული დეტექტიური მოთხრობები; და, ალბათ,

კინემატოგრაფის ცოდნა აუცილებელი არ იყო ისეთი უხამსი ქარაგმის ამოსაცნობად, როგორცაა: „პ. ო. ტომპინი, ოდესა, ტეხასი“. მის ამაზრზენ გემოვნებაში თავს იჩენდა კულტურული ადამიანი და არა პოლიციელი, რიგითი ბანდიტი, ან უწმაწური კომივოიაჟორი. ერთ დავთარში ამოვიკითხე „ერუტარ რომში“ („Le Bateau Bleu“ [109]-ს ავტორის გადაკეთებული სახელი) - ნება მომეცით, ცოტათი მეც ვილაზღანდარო, ბატონებო! - მეორეში კი - „მორის შმეტერლინგი“ „L'Oiseau Ivre“ [110]-ის ავტორი, ცნობილი დრამატურგი. (ხომ ხათაბალაა, მკითხველო?) სულელური, მაგრამ სასაცილო „დ. ორგონი, ელმირა, ნიუ-იორკი“, რა თქმა უნდა, მოლიერიდან იყო ნასესხები; არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შევეცადე, დამეინტერესებინა ლოლიტა მეთვრამეტე საუკუნის სახელგანთქმული კომედიით; ამიტომ ძველი ნაცნობივით მივესალმე „ჰარი ბუმპერს, შერიდანი, ვაიომინგი“. ბერმუდის უბიწო კუნძულებიდან ტრაპმა შეთხზა კალამბური, რომელსაც, წესიერების მოთხოვნების გამო, აქ ვერ მოვიყვან. ყოველი საქმეში ჩახედული გერმანელი წარმომავლობის ფროიდისტი, რომელიც ოდნავ მაინც გათვითცნობიერებულა რელიგიური პროსტიტუციის სფეროში, მყისვე მიხვდება სახელში - „დრ. კიტცლერი, ერიქსი, მისს“. - ნაგულისხმევ ქარაგმას. რას ვიზამდი, უნდა ამეტანა. ეს იყო საკმაოდ უღიმღამო (მაგრამ პირადი გამოხდომებისგან თავისუფალი) და უწყინარი გართობა. არ მომყავს აშკარად დამიფრული, მაგრამ გაუგებარი ჩანაწერები; ვგრძნობდი, რომ ხელის ცეცებით მივივლევდი გზას სასაზღვრო ბურუსში, სადაც სიტყვიერი მაქციები ზოგჯერ ცოცხალ ტურისტებად გარდაისახებოდნენ. რას ნიშნავდა, მაგალითად: „ფრატერ გრიმი, ოკეანი, კელკეპარი?“ იქნებ ნამდვილად არსებობდა (და მხოლოდ ჩემი მდევრის იდენტური ხელწერა ჰქონდა) „კატაგელაში“ მცხოვრები ვიღაც „ნ. ს. არისტოფი?“ სადაა შენი ნესტარი, კატაგელა? რაღაა „ჯემს მანორ მორელი, კალამბურგი, ინგლისი?“ „არისტოფანე“, „კალამბურგი“ - ძალიან კარგი, მაგრამ რა ვერ გავიგე? ნაყალბევ ზმებში განმეორებული ერთი ნიშანი ავადმყოფურ ჟრუანტელს მგვრიდა. ჩანაწერი: „გ. ტრაპი, ჟენევა, ნიუ-იორკი“ ჩემი გოგონას მუხანათობაზე მიუთითებდა. კომბინაცია „ო. ბერდსლეი, ლოლიტა, ტეხასი“, ტეხასში ასეთი ქალაქის არსებობის მიუხედავად (და ჩამპიონის დამახინჯებულ სატელეფონო უწყებაზე უფრო მკაფიოდ) ამტკიცებდა, რომ მთელი ამ ამბის სათავე ატლანტიკის სანაპიროზე უნდა მეძებნა. „ლუკა პიკადორი, მერი მეი. მერილანდი“ შეიცავდა საშინელ მინიშნებას იმაზე, რომ პატარა კარმენმა არამზადას აუწყა ჩემ მიერ შეთხზული საალერსო სახელების უბადრუკი შიფრი. უგემოვნო „ჰაროლდ ჰეიზი, მავზოლეუმი, მექსიკა“ გოგონას წარსულის ცოდნას გულისხმობდა - და წამიერად გამიელვა საზარელმა აზრმა - იქნებ ნევადის შტატის ქალაქ სიერას მკვიდრი „დონალდ ოტო კიხი“ ოჯახის ძველი მეგობარი (და, შესაძლოა, შარლოტას სატრფოც) იყო და უანგაროდ იცავდა ბავშვებს. მაგრამ ყველაზე მეტად გამაოგნა ჩვენი პირველი (1947 წლის) დაუფიქარი თავშესაფრის მკრეხელურმა ანაგრამამ, ქასბიმის მოტელის (სადაც მან ჩვენ გვერდით გაათია ღამე) დავთარში რომ ვიპოვე: „თომას ჯად მოშე ლუბორი, თაფარი, ნევადა“. ყველა ამ თომასების, ფატამორგანებისა და ტრაპების მიერ დატოვებული შეცვლილი საავტომობილო ნომრები მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ სასტუმროთა პატრონები ჯეროვნად არ ამოწმებენ მგზავრთა მიერ აღწერილ მანქანებს. უეისსა და ელფინსტონს შორის

ჩემი მდევრის მიერ დაქირავებული მანქანების სწორად მითითებულ ან შეცვლილ ნომრებს, რა თქმა უნდა, ვერ შევამოწმებდი. მისი პირველი (ალბათ, საკუთარი) „იაკის“ ნომერი მოციმციმე ცვალებადი ციფრების სახით წარმომიდგებოდა. ზოგიერთს ის გადასვამდა ხოლმე, სხვებს კი ცვლიდა ან ტოვებდა; თვით ამ ციფრების კომბინაციები რაღაცით წააგავდა ურთიერთს (მაგალითად, 3შ - 1564 და 3შ - 1616 ან კუ - 6969 დმ კუკუ - 9933); ამასთან, ამ ეშმაკურად შედგენილი ნომრების გაერთმნისწველიანება ვერაფრით მოვახერხე. თუმცა ტრაპმა ალუბლისფერი „იაკი“ თავის უეისელ დამქაშებს გადასცა და „საფოსტო“ ტრანსპორტის სისტემაზე გადავიდა, მაგრამ მის ნაკლებად წინდახედულ მემკვიდრეებს შეეძლოთ ამა თუ იმ სასტუმროს დავთარში დაეტოვებინათ ურთიერთდაკავშირებული ნომრების პროტოტიპი. უცნობი მარშრუტებით მოსიარულე ავტომობილისტების ძებნა კიდევ უფრო რთული, უაზრო და უიმედო საქმე იყო, ვიდრე ეშმაკის დევნა მის მიერ განვლილი გზებზე.

24. როდესაც ბერდსლეის მივადღწიე, წარმოსახვამ ტრაპის საკმაოდ სრული სახე დამიხატა. ავადმყოფმა გონებამ და მერყევმა მეხსიერებამ ეს სახე გამორიცხვის (ყოველთვის სარისკო) გზით დაიყვანა სავარაუდო კონკრეტულ პირველწყარომდე. ღირსი მამის, „რიგორ მორტისისა“ (ასე

შეარქვეს გოგონებმა პასტორს) და დარბაისელი ბერიკაცის (რომელიც ფაკულტატურ გერმანულსა და ლათინურ ენებს ასწავლიდა) გარდა, ბერდსლესის გიმნაზიაში მამრობითი სქესის მუდმივი პედაგოგები არ ჰყავდათ, მაგრამ 1948-49 სასწავლო წლის განმავლობაში ბერდსლესის უნივერსიტეტიდან ორ-სამჯერ მოვიდა ხელოვნებათმცოდნე. მან გოგონებს დაათვალიერებინა ფრანგული სასახლეების ფერადი სურათები და იმპრესიონისტული ფერწერის ნიმუშები. მის პროექციებსა და ლექციებზე დასწრება დავაპირე, მაგრამ დოლიმ ამიკრძალა და მეც დავემორჩილე. გარდა ამისა, მახსოვდა, რომ გასტონი სწორედ ამ პედაგოგს ბრწყინვალე garçon[111]-ს უწოდებდა; ეს იყო და ეს. მეხსიერებამ არ მომაწოდა ძველებური შატოების მოყვარულის სახელი. მისი სიკვდილით დასჯისთვის განკუთვნილ დღეს უნივერსიტეტის ჭყაპიანი ეზო გავიარე და მივადექი ერთ-ერთ შენობას. მითხრეს, რომ ხელოვნებათმცოდნის გვარი იყო რიგის (რაც

რამდენადმე წააგავდა კულტის ჩვენთვის ნაცნობი მსახურის გვარს), რომ უცოლო იყო და ათი წუთის შემდეგ გამოვიდოდა უნივერსიტეტის მუზეუმიდან, სადაც ახლა ლექციას კითხულობდა. ჩამოვჯექი მარმარილოს მერხზე (ეს ვიღაც ცეცილია რამბლის ძღვენი იყო), მუზეუმის სალექციო დარბაზის კართან რომ იდგა. წინამდებარე ჯირკვალი უსიამოდ მიფეთქავდა. ალკოჰოლისა და უძილობისგან დაოსებული, მაკინტოშის ჯიბეში ჩაყოფილ ხელს მაგრად ვუჭერდი კოლტს. უეცრად ვიაზრე, რომ სისულელეს ჩავდიოდი. წარმოუდგენელი იყო, დოცენტ ალბერტ რიგს ლოლიტა თავის სახლში („დაულევიას“ ქუჩა, 69 - ეს სახელწოდება მეცნობოდა) გამოემწყვდია... არა, ის არ იქნებოდა ჩემი დამაქცევარი. სისულელეა. ჭკუიდან ვიშლებოდი და დროს ამაოდ ვკარგავდი. ახლა ისინი კალიფორნიაში იმყოფებიან და არა ბერდსლეში. მალე ვესტიბიულის თეთრ ქანდაკებებთან ბუნდოვანი გამოცოცხლება შევამჩნიე. კარი - ის კი არა, რომელსაც ხარბად ვუთვალთვალებდი, - არამედ მეორე, უფრო შორეული, სწრაფად გაიღო და სტუდენტი ქალიშვილების გუნდში საცობივით ახტუნავდა კაფანდარა ლექტორის მელოტი თავი, შემდეგ კი მისი მოციმციმე ყავისფერი თვალები მომიახლოვდა. არასოდეს მენახა, თუმცა მან დაიჟინა, ერთმანეთი ბერდსლესის სკოლის ბაღში გამართულ წვეულებაზე გავიცანიით. როგორაა თქვენი მომხიბვლელი, ჩოგბურთის მოყვარული ქალიშვილი? სამწუხაროდ, კიდევ ერთი ლექცია უნდა ჩავატარო. ნახვამდის! ტრაპის ამოცნობის სხვა ცდები ასე სწრაფად როდი დასრულდა. ლოლიტას მიერ დატოვებულ ერთ-ერთ ჟურნალში წავაწყდი კერძო მამებრის (ყოფილი მოკრივის) განცხადებას. რათა ამ ახალი ნაცნობისთვის გარკვეული წარმოდგენა შემექმნა ჩვენი მდევრის მეთოდის შესახებ, ჩემ მიერ გზაში შეგროვილი ზოგიერთი სახელი და მისამართი ვაჩვენე. მამებარმა საკმაოდ დიდი ავანსი მოითხოვა. ოცი თვის განმავლობაში - ოცი თვის განმავლობაში, მკითხველო! - ეს ყვეფი გულმოდგინედ ამოწმებდა ამ ამკარად ნაყალბე მონაცემებს! მასთან უკვე გაწყვეტილი მქონდა ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობა, როდესაც უეცრად მესტუმრა და ძლევამოსილი იერით შემდეგი რამ მაუწყა: ბოზ ბრაუნინგი თურმე მართლაც ცხოვრობდა დაბა დოლორესის მახლობლად, კოლორადოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და ის ოთხმოცზე მეტი წლის წითელკანიანი კინოსტატისტი იყო.

25. ეს წიგნი ლოლიტას ეძღვნება (მის უკანასკნელ ნაწილს „Dolorès Disparue“[112]-ს დავარქმევდი, ერთ-ერთ სხვა მარტვილს - ჩემსავით შიდაწვის მსხვერპლს - რომ არ დაესწრო), ამიტომ უკანასკნელი სამი ცარიელი წლის (1949 წლის ივლისიდან 1952 წლის ნოემბრის შუა რიცხვებამდე) დაწვრილებით აღწერა უსარგებლოა. რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალს, ალბათ, მივუთითებ, მაგრამ, საერთოდ, ზოგადი შთაბეჭდილებით შემოვიფარგლები: ცხოვრების სწრაფ ხომალდში ჯახუნით გაიღო გვერდითი კარი და დაგვაცურა შავი მარადისობის ღმუილმა, ადამიანის განწირული ყვრილი კი ქარბუქმა ჩაახშო. უცნაური - სიზმრად არასოდეს მინახავს ისეთი ლოლიტა, როგორც ის წარმომიდგებოდა ცხადში, წარმოსახვაში (ავადმყოფისთვის ჩვეული ახირებით), აგრეთვე - ჰალუცინაციებით აღსავსე დღეებისა და უძილო ღამეების განმავლობაში. გაუჩინარების შემდეგ თუ მაინც მესიზმრებოდა, უცნაური, შეუსაბამო სახე ჰქონდა - ეს იყო ვალერია ან შარლოტა, ან ორივე მათგანის ნაჯვარი. შეჯვარებული ზმანება მიახლოვდებოდა და თანდათან იხდიდა ტანისამოსს უდიდესი მელანქოლიის ან უდიდესი ზიზღის ატმოსფეროში. ცრუ-ლოლიტა (და ცრუ-ვალერია) უხალისოდ მიწვევდა, მასთან ერთად გამეზიარებინა მაგარი დივანი, ან, უბრალოდ, ვიწრო ფიცარი, ან გინეკოლოგიური სარეცლის მსგავსი საწოლი. გატეხილი ან საბოლოოდ დაკარგული კბილის პროთეზით საძაგელ იაფფასიან სასტუმროში ვხვდებოდი, სადაც ჩემთვის ვივისექციის ძალზე მოსაწყენი სადამოები ეწყობოდა. ბოლოს, ჩემს სისხლიან მკლავებში ქვითინებდა შარლოტა თუ ვალერია, რომელსაც ძმური ალერსით ვკოცნიდი. სიზმარში გარშემორტყმული ვიყავი აუქციონზე გასაყიდი ვენური აბდაუბდის, სიბრაღის, იმპოტენციისა

და ყავისფერი პარიკების (რომლებიც ახლახან აირით მოწამლულ ტრაგიკულ დედაბრებს ეხურათ) სრული დომხალით. ერთხელ საბრალო „იკაროსიდან“ გამოვიღე და გავანადგურე საყმაწვილო ჟურნალების მთელი გროვა. ამგვარ გამოცემებში აღწერილია ქვის ხანის დროინდელი განცდები; ჰიგიენის მხრივ, ისინი, ალბათ, მიკენის ეპოქას განეკუთვნება. ლამაზი, მაგრამ უკვე მეტისმეტად მოწიფული მსახიობი ქალი, რომელსაც უზარმაზარი წამწამები და წითელი, ფაფუკი ქვედა ტუჩი აქვს, ახალ შამპუნს გვთავაზობდა. რეკლამების ბედლამი. ნორჩ მოსწავლე გოგონებს მოსწონთ ნაოჭიანი ქვედატანები - que c'était loin, tout cela! [113] როდესაც სტუმრებს ღამისთევით იწვევთ, დიასახლისმა ყოველი სტუმარი ქალისთვის ხალათი უნდა გაამზადოს. აზნეული დეტალები თქვენს მეტყველებას ყოველგვარ ლაზათს უკარგავს. კანტორის მოსამსახურეთათვის გამართულ სადამოს წვეულებაზე ყველას შეგვხვედრია „ჩიჩქნია“ - ქალიშვილი, რომელიც სახის კანს ფრჩხილებით იჩიჩქნის. მხოლოდ ძალზე ხანდაზმულმა ადამიანმა ან დიდი თანამდებობის პირმა არ უნდა გაიძროს ხელთათმანები, როდესაც ქალს ართმევს ხელს. ყველას გულს დაიპყრობ ჩვენი „მუცელდამძალავის“ ტარებისას: არც თემოები გამოგიჩნდება, არც მუცელი. ტრისტანი და სამი ქალის ტანი კინოში. დიახ-დიახ, ბატონებო: ბერტის და ბერტას ქორწინება ნაცნობების ბურტყუნს იწვევს. შეგიძლია, სწრაფად და იაფად გადაიქცე რომანტიკულ ლამაზმანად. კომიქსები: ცუდი (შავგვრემანი) გოგონა, მისი მსუქანი,

სიგარიანი მამა; კარგი (წითური) გოგონა, მისი ლამაზი (მოკლეულვაშიანი) მამიკო; ან ამაზრზენი სერია, რომლის პერსონაჟებსაც წარმოადგენდნენ გორილისმაგვარი ახმახი და მისი ცოლი - გნომის მსგავსი არჯალი დედაკაცი. Et mois qui t'offrais mon génie... [114] გამახსენდა საკმაოდ დახვეწილი სალაღობო ლექსები, რომელთაც პატარა ლოლიტას ვუწერდი. „სალაღობო კი არა“, ამბობდა ის დაცინვით, „უბრალოდ, სულელური“: ციკქნა კოლიბრები აეროპლანებზე სხედან და აპობენ სივრცეს, გველს კი ჯიბეებში უწყვია ხელები, მიდის, მისრიალებს ისე... ან მამალი ბოცვერი დედალს უკეთებს ისეთ რამეს, რომ მეზოცვრეები იქვე სიცილით წაიქენენ ღამის. ლოლიტას ზოგიერთი ნივთის გადაგდება მეტად გამიჭირდა. 1949 წლის ბოლომდე ვეფერებოდი, და ვაღმერთებდი, და კოცნით, ცრემლითა და ლორწოთი ვბილწავდი მის ძველ ფლოსტებს, ნახმარ ბიჭურ პერანგს, გაცრეცილ კოვბოურ შარვალს, მოწაფურ დაჭმუჭნილ ქუდას და სხვა ამგვარ საგანძურს, რაც ავტომობილის საბარგულში ვიპოვე. როდესაც მივხვდი, რომ ვგიჟდებოდი, ეს ნივთები მოვაგროვე, დავუმატე ბერდსლეის საწყობში დარჩენილი წიგნებით სავსე ყუთი, ველოსიპედი, ძველი პალტო, ბოტები და ლოლიტას დაბადების თხუთმეტი წლის თავზე ყოველივე ეს ინკოგნიტოდ გავუგზავნე ობოლთა თავმესაფარს, რომელიც კანადის საზღვართან, ქარიანი ტბის მახლობლად მდებარეობდა. ვფიქრობ, კარგი ჰიპნოტიზიორი ჩასწვდებოდა და ლოგიკური ნაყმის მიხედვით განალაგებდა ზოგიერთ შემთხვევით მოგონებას, რომლებიც წინამდებარე თხზულების ქსოვილში გაცილებით მკვეთრად გამოსჭვივის, ვიდრე ჩემი მეხსიერების არეში იჩენს ხოლმე თავს. ახლა, როდესაც უკვე ვიცი, რა და ვინ უნდა ვემიღ წარსულში, ეს კიდევ უფრო ნათელია. ზამთრის დასასრული და გაზაფხულის დიდი ნაწილი კვებეკის მახლობლად გავატარე, იმ სანატორიუმში, სადაც ადრეც მძკურნალობდნენ. შემდეგ გადავწყვიტე, ნიუ-იორკში ჩემი საქმეები მომეგვარებინა და კალიფორნიაში გავმგზავრებულებიყავი უფრო საფუძვლიანი მივებისთვის. აი, ლექსი, რომელიც სანატორიუმში შევთხზე: ეძებენ, ეძებენ დოლორეს ჰეიზს, ვარდისფერტუჩებამ, ქერამ გამიმეტა. იგი ხუთიათას სამასი დღისაა.

რად უნდა ჩავთვალოთ ეკრანის ნიმფეტად? თქვი, სად მემალეები, დოლორეს ჰეიზ? ვერ ვაგნებ სიმართლეს, პატარა ქალო. ვბოდავ ჯოჯოხეთში: ველარ გამოვდივარ" - სტვენს სტერნის შოშია, ამ ხმაზე გალობს. სად დამოგზაურობ, დოლორეს ჰეიზ? სად ფრენს ჯადოსნური ხალიჩა შენი? მოდამი თუ არის თეთრი კაგუარი? მითხარ, რომელ პარკში გიხილავ შთენილს? ვის სახავ შენ გმირად, დოლორეს ჰეიზ? ცისფერ მოსასხამში მოგწონს სუპერმენი? ო, შორო მირაჟო, ზღვისპირა პალმებო! ძვირფას მანქანაში მჯდომი ხარ კარმენი! ღამის გამაყრუა ჯაზის ხმამ, დოლორეს, შენ ვის ეცეკვები, რომ გითრთის კანჭები? ტანზე ძველმანები აცვია ორივეს, მე ვზივარ კუთხეში, ჩუმად ვიტანჯები. სვებედნიერია ბერი მაკ-ფატუმი, სადღა არ მიმოდის. ცოლი ჰყავს პაწია. ყოველ შტატში ჰმუჭნის იგი თავის მოლის, თუმცადა კანონი იცავს თვით ბაჭიას. დოლი, ტკივილი ხარ! ნაცრისფერ მზერას ალერსი ვერ ბინდავს და რჩება ფხიზელი. ერთი სუნამოა - „Soleil Vert-ი...“ [115] რაო, ეს თქვენა ხართ, მისტერ, პარიზელი? L'autre soir un air froid d'opéra m'alita :

Son féfé-bien fol est qui s'y fie! Il neige, le décor s'écroule, Lolita! Lolita, qu'ai-je fait de ta vie? [116] ვწვალობ, ვწვამები, ლოლიტა ჰეიზ, ეს არის მუქარაც და მონანიებაც, სასოწარკვეთილი

მჯიღს ვიქნევ ბალნიანს, კვლავ ვხედავ შენს ცრემლებს, დაცვენილს იებად. პატრულო, პატრულო, აი, იქ, წვიმაში, დამე შუქნიშანმა დათრგუნა, გაქელა... თეთრწინდებიანი ჩემი ზღაპარია, დოლორეს ჰეიზი ჰქვია მას სახელად. პატრულო, პატრულო, ისინი მოდიან - დოლორეს ჰეიზს თან ახლავს კაცი. ჩქარა, დაეწიე, დაადრე კოლტი და გადმო მანქანიდან, იქავე გაწეე! ეძებენ, ეძებენ დოლორეს ჰეიზს, მზერა დანისლული კვლავ ისრებს ისვრის, თხზმოდდაათამდე ფუნტია წონა და სამოცი დიუმი სიმაღლე მისი. ჩემი იკაროსი დაკოჭლდა, დოლორეს, ძნებია ბოლო გზა. ბედს ვწყევლი უნდილს... მალე ჩამადგებენ გზისპირა შამბნარში, სხვა ყველა ჟანგია და ვარსკვლავთ გუნდი. ამ ლექსის ფსიქოანალიზირებისას ვამჩნევ, რომ ესაა შეშლილის შედეგრი. მკვეთრი, ტლანქი, მყვირალა რითმები საკმაოდ ზუსტად შეესაბამება იმ ბრტყელ ლანდშაფტებსა და ფიგურებს (და მათ გაზვიადებულ ნაწილებს), რომელთაც ხატავენ ფსიქოპათები მათი ცბიერი

მხედნელების მიერ მოგონილი ცდებისას. სხვაგვარი ლექსებიც ბლომად შევთხზე. ზოგჯერ სხვისი პოეზიით ვიქარვები დარდს. მაგრამ შურისგების წყურვილი წამითაც არ გამწელებია. ამასთან, ლოლიტას დაკარგვის შედეგად განცდილმა ელდამ პატარა გოგონებისადმი ლტოლვისგან როდი განმკურნა. მართალია, ლოლიტა ახლა სხვაგვარად შევიყვარე, მაგრამ ჩემი წყეული ბუნება ამის გამო არ შეცვლილა. სათამაშო მოედნებზე, ზღვისა და ტბების სანაპიროებზე ამღვრეული, ქურდული მზერით უნებლიეთ ვეძებდი ნიმფეტის შიშველ ფეხებს ან ლოლიტას იმ ფარეშთა და მესაიდუმლეთა სანუკვარ ნიშნებს, რომელთაც ვარდების თაიგულები ეპყრათ ხელთ. მაგრამ ერთი მთავარი ზმანება გამოხუნდა: ახლა აღარ ვოცნებობდი რომელიმე უკაცრიელ და უხიფათო ადგილას პატარა (კერძო ან განზოგადებულ) გოგონასთან შესაძლო ბედნიერებაზე; აღარ მეგონა, რომ ოდესმე დავტკებობდი ლოლიტას რომელიმე დაიკოს სათუთი სხეულით სადღაც, შორს-შორს, მოლანდებული კუნძულების კლდეებს შორის, ქვიშიან თავშესაფარში. ეს დამთავრდა - ან, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით დამთავრდა. მეორე მხრივ... სამწუხაროდ, ორი წლის განმავლობაში შემზარავი ჟინის ნებაზე მიშვებამ შემაჩვია სქესობრივი ცხოვრების გარკვეულ წესს. ვშიშობდი, რომ აწინდელი სიცარიელის ზეგავლენით უეცარ, სიგიჟისთვის ჩვეულ თავისუფლებას ვიგრძნობდი და რომელიმე ვიწრო ქუჩაზე შინ მიმავალ მოსწავლე გოგონასთან შეხვედრისას შემთხვევით ცთუნებას ავყვებოდი. მარტოობამ ვნება კიდევ უფრო გამიღვივა. საერთოდ, მზრუნველი მეგობარი მჭირდებოდა - ჩემი გული ხომ ისტერიული, არასაიმედო ორგანო იყო. აი, ასე მოხდა, რომ რიტას დავუახლოვდი.

26. რიტა ლოლიტაზე ორჯერ უფროსი, ხოლო ჩემზე - ათი წლით ახალგაზრდა იყო. წარმოიდგინეთ მოწიფული შავგვრემანი, ძალზე ფერმკრთალი, ძალზე ტანწერწეტი (მხოლოდ ას ხუთ ფუნტს იწონიდა) ქალი, რომელსაც მომხიბვლელი ასიმეტრიული თვალები, წამახვილებული, თითქოს სწრაფად მოხაზული პროფილი ჰქონდა და მოქნილ ზურგზე ძალზე მიმზიდველი ამონაზნექი - Ensellure ეტყობოდა. მგონი, ესპანელი (ან - ბაბილონელი) იყო. მას მისში შევეყარე, „ბიწიერ მისში“, როგორც ელიოტი ამბობს, სადღაც, მონრეალსა და ნიუ-იორკს შორის ან, თუ უფრო დავაკონკრეტებთ, ტოილესტონსა და ბლეიკს შორის. დამის ჯუნგლებში, „ვეფხვისებრი პეპელას“ ნიშნის ქვეშ მრუმედ მოციმციმე ბარში ის მეტად

სიმპათიურად დათვრა: მარწმუნებდა, რომ ერთსა და იმავე გიმნაზიაში ვსწავლობდით; განუწყვეტლივ ჰკიდებდა მთროთოლვარე პაწია ხელს ჩემს მაიმუნისებრ თათს. ქალი არცთუ ძლიერად მალელებდა, მაგრამ გადავწყვიტე, მაინც მესინჯა; ცდამ წარმატებით ჩაიარა და რიტა ჩემს მუდმივ სატრფოდ იქცა. ისეთი გულჩვილი, ისეთი გულისხმიერი იყო, რომ ბუნების ნებისმიერ პათეტიკურ განსახიერებას - ძველ, გადატეხილ ხეს ან დაქვრივებულ მაჩვზღარბს - დანებდებოდა. როდესაც რიტა გავიცანი (1950 წელს), ის იყო, მესამე ქმარს გასცილდა, შემდეგ კი მეშვიდე ოფიციალურმა საყვარელმა მიატოვა. არაოფიციალური ხანმოკლე თავგადასავლების აღრიცხვა ხომ შეუძლებელი იყო. მის პოლიტიკან მმას სახე ჯიქანს მიუგავდა, აზღუდებსა და ხელით მოხატულ ჰალსტუხს ატარებდა და მერი იყო ქალაქ გრეინბოლისა, სადაც ბეისბოლისტები, ბიბლიის გულმოდგინე მკითხველები და ხორბლის ყიდვა-გაყიდვით გართული საქმოსნები ცხოვრობდნენ. უკანასკნელი წლების განმავლობაში თავის შესანიშნავ დაიკოს თვეში შვიდას დოლარს უხდიდა აბსოლუტური პირობით, რომ რიტა არასოდეს, არასოდეს, არასოდეს სწვეოდა ამ შესანიშნავ ქალაქს. რიტამ მიაგმო (თან გაკვირვებისგან ზმუოდა), რომ რატომღაც - ეშმაკმა იცის, რატომ - ყოველ ახალ სატრფოს ის სასწრაფოდ მიჰყავდა გრეინბოლში; გრეინბოლს საბედისწერო მიმზიდველი ძალა ჰქონდა, და რიტას მყისვე ისრუტავდა მშობლიური ქალაქის მიზიდულობის ველი, და ქალი დიდხანს მთვარესავით ბრუნავდა ხოლმე პროექტორებით გაჩირაღდნებულ

წრიულ ბულვარზე. მას აღმოაჩნდა ორადგილიანი კოპჩია ავტომობილი, რომლითაც კალიფორნიაში გავემგზავრეთ (ჩემ მხცოვან იკაროსს დასვენება სჭირდებოდა). საჭესთან, ჩვეულებრივ, რიტა იჯდა - და საათში ოთხმოცდაათი მილის თანდაყოლილი სისწრაფით მიჰქროდა. ჩემი ძვირფასი რიტა! ერთად ვმოგზაურობდით ორი ბუნდოვანი წლის განმავლობაში (შესვენებებით) და ვერ წარმოიდგენთ სხვა ასეთ სანდომიან, მიამიტ, ნაზ, სრულიად უტვინო რიტას! მასთან შედარებით ვალერია შლეგელი იყო, შარლოტა კი ჰეგელი! სიმართლე რომ ითქვას, არ ვიცი, საერთოდ რატომ მოვიხსენიე ჩემს სევდიან მემუარებში, მაგრამ მაინც მინდა ავიხსნათ (გესალმები, რიტა, სადაც უნდა იყო, მთვრალი ხარ თუ ფხიზელი, გესალმები!), რომ ამ ყველაზე უწყინარმა, ყველაზე გულისხმიერმა მეგობარმა უთუოდ მიხსნა სიგიჟისგან. ავუხსენი, რომ გაპარული მიჯნურის მოძებნა და მისი კუროს ჩამადლება მინდოდა. რიტამ დიდმნიშვნელოვნად დამიქნია თავი. სან-ჰუმბერტინოს მახლობლად ქალი თავად შეუდგა ძებნას (თუმცა საქმის შესახებ არაფერი იცოდა) და ვიღაც ბანდიტს გადაეკიდა: ჯოჯოხეთურად გავწამდი, სანამ დავიხსნიდი - ნახმარი და შელახული იყო, მაგრამ საკმაოდ მხნედ გრძნობდა თავს. ერთხელ ჩემი წმიდათა წმიდა პისტოლეტი იპოვა და „რუსული რულეტი“ ვითამაშოთო, შემომთავაზა; ვუპასუხე, რომ ეს შეუძლებელი იყო, პისტოლეტს „დოლი“ არ ჰქონდა. მან წართმევა მოინდომა და ბოლოს პისტოლეტმა გაისროლა; ტყვია მოხვდა ჩვენი ნომრის კედელს, საიდანაც ცხელი წყლის ძალზე წვრილმა და ძალზე სასაცილო ჩქერმა ამოხეთქა; მახსოვს, როგორ კისკისებდა და სიცილისგან კვნესოდა რიტა.

მისი უცნაური, ბავშვურად გაზნეკილი ზურგი, ხორბლისფერი კანი, დინჯი, ნაზი, მტრედისებრი ამბორი ხიფათისგან მიცავდა. ხელოვანის ნიჭი კი არაა მეორეული სქესობრივი ნიშანი (როგორც ზოგიერთი შამანი და შარლატანი ამტკიცებს), არამედ პირიქით: სქესი მხოლოდ მსახურია ხელოვნებისა. ჩვენს ერთ საკმაოდ ბუნდოვან ქეიფს კომიკური შედეგი მოჰყვა. ის იყო, ძებნა შევწყვიტე, რადგან ეშმაკი არსად ჩანდა - ან ქვესკნელში ჩამძვრალიყო, ან მხიარულად იწვოდა ჩემს ნათხემში (სადაც ოცნება და დარდი ცეცხლს აღვივებდნენ), ყოველ შემთხვევაში, მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა სან-დიეგოში გამართულ ჩოგბურთის ტურნირთან, სადაც ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა თექვსმეტი წლის ტლანქმა, აწოწილმა დოროთეა ჰააზმა. როდესაც აღმოსავლეთში ვბრუნდებოდით, ყოვლად სამაგელ სასტუმროში (ისეთში, სადაც კომერციულ ყრილობები იმართება ხოლმე და ბარბაცით დახეტიალეზენ იარლიყებიანი, სავაჭრო გარიგებებით გართული სქელ-სქელი მამაკაცები, ერთმანეთს „ჯოს“ ან „ჯიმს“ რომ უწოდებენ) ნაშუადღევს, გამოღვიძებისას აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს ნომერში კიდევ ერთი ადამიანი იმყოფებოდა. ეს იყო ფერმკრთალი ქერა ჰაბუკი, თითქმის ალბინოსი; თეთრი წამწამები და ფართო, გამჭვირვალე ყურები ჰქონდა. მას არც რიტა იცნობდა (უწინდელ სევდიან ცხოვრებაში), არც - მე. ოფლიანი, ფლანელის ჭუჭყიან კომბინეზონსა და თასმებით შეკრულ ძველ სამგზავრო ჩექმებში გამოწყობილი კაცი ჩემი უბიწო სატრფოს გვერდით, ორადგილიანი საწოლის საბანზე გაშხლართულიყო და ხვრინავდა. წინა კბილი აკლდა. შუბლს ქარვისფერი ბუფი უმკობდა. რიტამ მოხდენილი სხეული ჩემი მაკინტოშით შეიმოსა - პირველად ეს მოხვდა ხელში; მე კი ტრუსი ჩავიცვი. შემდეგ ოთახი დავათვალიერეთ. სინზე იდგა ხუთი ბინძური ჭიქა, რაც მხოლოდ ართულეზდა საქმეს; კარი მჭიდროდ არ იყო მიხურული. იატაკზე ეგდო მამაკაცის სვიტერი და წყვილი ხაკისფერი უფორმო სამხედრო შარვალი; ბოლოს ამ უბედურმა გაიღვიძა. მეხსიერება სრულიად დაჰკარგოდა. მის აქცენტში რიტამ „ბრუკლინური გამოთქმა“ შეიცნო. ნაწყენმა უცნობმა დაგვაბრალა, რომ ჩვენ (როგორ?) მისი (მეტად უმნიშვნელო!) პიროვნება მიგვეთვისებინა. სასწრაფოდ ტანთ ჩავაცვით და უახლოეს საავადმყოფოში წავიყვანეთ. როგორც გზაში გამოვარკვით, თურმე ყოველივე ყბადაღებულ გრეინბოლში შეგვემთხვა. ნახევარი წლის შემდეგ რიტამ მისწერა იქაურ ექიმს და ამ უკანასკნელმა გვიპასუხა, რომ „ჯეკ ჰუმბერტსონს“ (ასეთი უგემოვნო სახელი მისცეს უცნობს) ჯერ კიდევ ვერ დაემყარებინა კავშირი თავის წარსულთან. ო, მნემოსინე, მუხათა შორის ულაღესო და უტკბესო! ამ შემთხვევას არ გავიხსენებდი, მაგრამ მან დასაბამი მისცა აზრებს, რომელთა ზეგავლენით სამეცნიერო ჟურნალ „ქანთრიფში“ (რაც შოტლანდიურად ჯადოსნობას ნიშნავს) გამოვაქვეყნე ეტიუდი „მიმირი და მნემოსინე“; ზოგადად მოვნიშნე „პერცეფციული დროის“ თეორია, რომელიც ამ საუცხოო ყოველთვიური ჟურნალის კეთილმოსურნე მკითხველთა აზრით, ორიგინალური და მნიშვნელოვანი იყო. პერცეფციული დრო ემყარებოდა „სისხლის მიმოქცევის“ შეგრძნებას და კონცეფციურად გამომდინარეობდა (მოკლედ რომ ვთქვათ) ჩვენი გონების განსაკუთრებული თვისებებიდან. გონება ხომ არამართო საგანთა სამყაროს აღიქვამს, არამედ საკუთარ არსსაც შეიმეცნებს. ამის გამო მყარდება მუდმივი ურთიერთკავშირი ორ პუნქტს შორის: ერთი მათგანია მომავალი (რომელიც საწყობში უნდა გაიგზავნოს), მეორე კი -

წარსული (რომელიც უკვე გაგზავნილია საწყობში). ამ სტატიამ დაასრულა ჩემი ადრინდელი, საკმაოდ გახმაურებული ნაშრომების რიგი. მისი გამოქვეყნების შედეგად ერთი წლით მიმიწვიეს ქანთრიფის უნივერსიტეტში; ის მდებარეობდა ნიუ-იორკიდან (სადაც მე და რიტამ ბინა დავიქირავეთ) ოთხასი მილის მანძილზე. ბინის ფანჯრებიდან ხშირად ვხედავდი ცენტრალური პარკის წყლისმფრქვევ მუხნარში მოთამაშე ბიჭუნებისა და გოგონების გლუვ სხეულებს. ქანთრიფის პოეტებისა და ფილოსოფოსებისთვის განკუთვნილ საგანგებო აპარტამენტებში ვცხოვრობდი 1951 წლის ოქტომბრიდან 1952 წლის ივნისამდე, ხოლო რიტა მგონი, არც ისე წესიერად - არსებობდა გზისპირა სასტუმროში, სადაც მას კვირაში ორჯერ ვნახულობდი. შემდეგ ის გაქრა, არანაკლებ უღმობლად, ვიდრე - ლოლიტა. ერთი თვის შემდეგ ქალი ქანთრიფის ციხეში ვიპოვე. ღირსეულად ეჭირა თავი, ციხის საავადმყოფოში ჭიანჭლისა და მთხრანების მოვლით და საკმაოდ დამაჯერებლად შემომფიცა, რომ საუცხოო ცისფერი ბეწვი (რომელიც ერთი მედიდური ქალბატონის, მისი მაკ-კრუმის თქმით, რიტამ მოიპარა) სინამდვილეში ცოტათი შეზარბოვებულ მისტერ მაკ-კრუმს ერქვნა მისთვის. ჩემი სატრფო ციხიდან ისე ვიხსენი, რომ მისი ნერვული ძმა არ შემიწიფებია. მალე ნიუ-იორკში დავბრუნდით და კვლავ ცენტრალური პარკის დასავლეთით დავსახლდით. გზად ბრაისლანდი მოვინახულეთ, სადაც მე და რიტა წინა წელსაც ვიყავით. ბრაისლანდში დამეუფლა გაუსამლისი სურვილი, კვლავ გვერდით მყოლოდა ლოლიტა. გაქცეული გოგონასა და მისი გამტაცებლის პოვნის იმედი რომ დავკარგე, არსებობის ახალ ფაზაში გადავინაცვლე. ახლა ძველ დეკორაციებს ვებღაუჭებოდი და ვცდილობდი, წარსულის ჰერბარიუმი მაინც გადამერჩინა: *souvenir, souvenir, que me veux-tu?*[117] ბროლის ჰაერში ვერლენისეული შემოდგომა წკრიალებდა. როდესაც პროფესორმა ჰამბურგერმა ღია ბარათით ორსაწლიანი და აბაზანიანი ნომერი შეუკვეთა, ზრდილობიანი უარი მიიღო. ყველა ნომერი დაკავებული აღმოჩნდა. თავისუფალი იყო მხოლოდ სარდაფის ერთადერთი ოთხსაწლიანი, უაბაზანო ოთახი, მაგრამ ის არ გამომადგებოდა. აი, მათი საფოსტო ქაღალდის სათაური: მოჯადოებულ მონადირეთა თავშესაფარი ყოველგვარი სასმელი (სპირტიანის გარდა) ეკლესიები მორწმუნეთათვის მოსახერხებელ სიახლოვეს ძაღლები არ დაიშვება პირველ განცხადებაში ეჭვი შემეპარა. ყოველგვარი? განა ევროპის ტროტუარებზე განლაგებული კაფეების მსგავსად, გრენადინიც ჰქონდათ? იმითაც დავინტერესდი, ხომ არ გაიმეტებდა მოჯადოებული ან ნორმალური მონადირე ეკლესიაში მის კუთვნილ ადგილს ძაღლისთვის. უცერად მტკივნეული სპაზმი ვიგრძენი და გამახსენდა დიდ ხელოვანის საკადრისი სცენა: *Petite Nymphe Accroupie*[118]; მაგრამ ის აბრეშუმით მზინვარე კოკერ-სპანიელი, შესაძლოა, მონათლული იყო. არა - არ ძალმიძდა ნაცნობი ჰოლის ნახვით გამოწვეული ტანჯვის ატანა. შემოდგომის ალერსიან, მტვერისფერ ბრაისლანდში წარსულის

გაცოცხლების სხვა საშუალებებიც მოიპოვებოდა. რიტა უახლოეს ბარში დავტოვე და ქალაქის ბიბლიოთეკას მივაშურე. შინაბერა ბიბლიოთეკარმა ჭიკჭიკით გამოთქვა უდიდესი მზადყოფნა, დამხმარებოდა 1947 წლის აგვისტოს შუა რიცხვების „ბრაისლანდის მოამბის“ აკნძული ნომრების მოძებნაში. და აი, უკვე განმარტოებულ კუთხეში ვიჯექი შიშველი ლამპის ქვეშ და ვათვალიერებდი კუბოსავით შავი და ლოლიტასავით თხელი ტომის უშველებელ, სიფრიფანა ფურცლებს. მკითხველო! ბრუდერ! რა ბრიყვი ჰომბურგი იყო ეს ჰომელბურგი! მისი ზემგრძნობიარე სული სინამდვილეს უფრთხობდა და მხოლოდ ამ სინამდვილის ნაფლეთით ტკბობას ლამობდა. ასე აფარებს ხოლმე მოძალადეთა რიგში მოთმინებით მდგარი მეთაუ-მეოცე ფრიცი თუ ივანი ქალის თეთრ სახეს შავ შალს, რათა მის აუტანელ თვალებს არ ხედავდეს, როცა ბოლოს და ბოლოს თავის ჯარისკაცურ სიამოვნებას მოიპოვებს პირქუშ, გაპარტახებულ სოფელში. მინდოდა, მომენახა სურათი, რომელზეც გაზეთის ფოტოგრაფს დ-რ ბრადოკთან და მის ჯგუფთან ერთად მეც უნდა აღვებეჭდე. მგზნებარედ ვოცნებობდი, შემონახულიყო „უცნობი მტარვალის პორტრეტი“. უმანკო აპარატის მიერ აღბეჭდილი, ლოლიტას სარეცლისკენ ბნელი გზით მიმავალი ბოროტმოქმედი - რა საუცხოო თემაა მნემოსინესთვის! ამაოდ ვცდილობ ჩემი სურვილის არსის წვდომას. ალბათ, ის უნდა შევადაროთ გულშემალენებელ ცნობისმოყვარეობას, რომლის ზეგავლენით გამადიდებელი შუშით ვაკვირდებით ხოლმე საჯალათო კუნძთან დილაადრიან შეგროვილ მომცრო მწუხარე ფიგურებს (მოკლედ, ნატურ-მორტია - და ახლა ყველას გული აერევა), მაგრამ პაციენტის გამომეტყველებას მაინც ვერ ვარჩევთ. ასეა თუ ისე, სული მეხუთებოდა, და საბედისწერო ფოლიანტის ერთი კუთხე მტკივნეულად ირქინებოდა, სანამ გაზეთებს ვათვალიერებდი და ვფურცლავდი. კვირას, 24-ში, ერთ-ერთ ადგილობრივ (სულ ორი იყო) კინოთეატრში აჩვენებდნენ ფილმს „შემილიები“, მეორეში კი - „ტლანქ ძაღს“. თამბაქოს დამოუკიდებელი აუქციონისტი მისტერ პურდომი ამტკიცებდა, რომ 1925 წლიდან მხოლოდ „omen fuastum“-ს ეწეოდა. ახოვანი ახმენი (ფეხბურთელი) და მისი მინიატურული საცოლეს სადამოს წვეულებაზე ესტუმრნენ მისის

ჰუმბერტ პერიბოის, ერანის ავენიუ, 58. არსებობს პარაზიტი, რომლის სიდიდე შეადგენს მისი დამტვევი ორგანიზმის ერთ მეექვსედს. დიუნკერკი პირველად მეათე საუკუნეში გაამაგრეს. იყიდება წინდები გოგონებისთვის, 39 ცენტი; საბავშვო სპორტული ოქსფორდული ფეხსაცმელი, 3 დოლარი და 98 ცენტი. ღვინო, ღვინო, ღვინო, წარმოთქვა „ბნელი ასაკის“ ავტორმა (რომელმაც არ მოინდომა, ჩვენს ფოტოგრაფს მისთვის სურათი გადაეღო), ალბათ, გამოადგება სპარსულ ბულბულს, მაგრამ, ჩემი აზრით, სოლყავრის სახურავზე ახმაურებული წვიმა, წვიმა, წვიმა ვარდებისა და შთაგონების საუკეთესო მეგობარია. ეგრეთ წოდებული „ნაჩვრეტების“ საფუძველია კანის შეზრდა შედარებით ღრმად განლაგებულ ქსოვილებთან. ბერძნებმა მოიგერიეს პარტიზანთა ძლიერი იერიში. ოჰ, აი, ისინიც: თეთრკაბიანი გოგონა და თალხებში გამოწყობილი პასტორი ბრადოკი; მაგრამ თუ პასტორის ზორბა სხეულს ვიღაცის მხარი აჩრდილის დარად ეხებოდა, სურათზე ვერაფერს ვცნობდი ისეთს, რაც მე შემეხებოდა. პარანოიდული პარაზიტი რიტას მოსანახად ბარში შევიდა. ქალმა ნაღვლიანი ღიმილით (ჭარბი ალკოჰოლის გავლენით რომ უცისკროვნებდა ხოლმე სახეს) გამაცნო ვიღაც მთვრალი,

აგრესიული ბერიკაცი; მითხრა, რომ - თქვენი გვარი დამავიწყდა, ძვირფასო, - სკოლაში ერთად სწავლობდნენ. თავხედმა კავალერმა რიტას შეეყოვნება მოინდომა, რასაც ცემა-ტყეპა მოჰყვა. ცერი მტკივნეულად ვიღრძე მეტოქის მეტად მკვირვ თავზე. შემდეგ „მოჯადოებულ მონადირეთა“ შემოდგომის მიერ შეფერადებულ პარკში რიტას გასეირნება და განიავება მომიხდა. ის ქვითინებდა და იმეორებდა, რომ მალე, მალე, გავწირავდი, როგორც ყველამ გაწირა. ხმადაბლა ვუძღერე ნაღვლიანი ფრანგული ბალადა და მის გასართობად სააღბომო ლექსიც შევთხზე: ნეკერჩხლების პალიტრა ჭრილობასავით ირეკლება. ისინი, რათა დაკლას მთლიანად, მიჰყავს ქალღმერთს მშვენიერს. მოწისფერ მოსასხამით, ცისფერი სასტუმროს წინ მიიხრება დიანა. მკითხა: „რატომ ამბობ, ცისფერი, როდესაც ის თეთრია? რატომ - ღმერთო ჩემო...“ - და კვლავ აქვითინდა. ხელი მოვკიდე, ავტომობილისკენ წავიყვანე და ნიუ-იორკში გავემგზავრეთ. იქ რიტა კვლავ მეტ-ნაკლებად ბედნიერად ცხოვრობდა; ოცდამეათე სართულზე განლაგებულ ჩვენს პატარა ტერასაზე, დაბინდული ლურჯი ცის ქვეშ ნებივრობდა. ვამჩნევ, რომ ურთიერთში საბოლოოდ ამერია ორი განსხვავებული ეპიზოდი - ჩემი ვიზიტი ბრასილანდის ბიბლიოთეკაში და ქანთრიფში გამგზავრების წინ პარკში გასეირნება, მაგრამ მხატვარმა-მნემოსინისტმა არ უნდა ითაკილოს გათითხნილი საღებავების ამგვარი ნაზავი.

27. შენობის ვესტიბილში მიმაგრებული ჩემი საფოსტო ყუთის შემინულ ნაპრაღში ნაწილობრივ მოჩანდა ფოსტალიონის მიერ მოტანილი გზავნილები. მინაში გარდატეხილი შუქის არლექინული ციმციმის გამო ადრე უკვე რამდენჯერმე ვიღაც-ვიღაცების ხელწერა ლოლიტას ხელს მივამსგავსე და თითქმის გრძნობა დავკარგე. ასეთ წუთებში ვეყრდნობოდი უახლოეს ურნას, რომელიც კინაღამ ჩემს სამგლოვიარო ურნად გადაიქცა. ყოველთვის, როდესაც ეს ხდებოდა, ყოველთვის, როდესაც საყვარელი, დვლარჭნილი, ბავშვური ბატიფეხური ნაჯღაბნი

შემზარავი სისწრაფით კვლავ იქცეოდა ხოლმე ჩემი ან რიტას ერთ-ერთი მცირერიცხოვანი კორესპონდენტთაგანის ერთფეროვან ხელწერად, ავადმყოფური ღიმილით ვიგონებდი ეგზომ შორეულ, მიმდობ, დოლორესამდელ წარსულს. რამდენჯერ გამცრუებია იმედეები განათებულ ფანჯარასთან, რომლის მიღმა მსუნაგი მზერით - საკდემელი ბიწიერების თვალფხიზელი პერისკოპით - ვუთვალთვალედი ნახევრად შიმველ, გახვევებულ (თითქოს კინოფირზე ალბეჰდილ) ნიძფეტს; გრძელი (დავარცხნილი ან დასავარცხნი) თმა მას სასწაულთა ქვეყანაში მყოფ ალისას (ჩემი უფრო იღვლიანი თანამომის პაწაწინა თვალისჩინს) ამსგავსებდა. ცეცხლოვანი ლანდის სრულყოფილება ჩემს უზომო ნეტარებასაც სრულყოფილებას ანიჭებდა - ლანდი ხომ მიუწვდომელი იყო და ტკბობას ხელს ვერ შეუშლიდა მისაწვდომი სიამოვნების თანმხლები აკრძალვები. ვინ იცის, ეგებ ჩემი „მანკიერების“ ჭემმარიტი არსი გოგონების გამჭვირვალე, წმინდა, ნორჩი, აკრძალული, ჯადოსნური მშვენების უშუალო ხიბლით არაა განპირობებული; შესაძლოა, ის ეფუძნება იმ უსაფრთხოების შეგნებას, რაც უზადო სრულქმნილებას ანიჭებს შუალედს მცირეოდენ საბოძვარსა და აღთქმულ განუზომელ განცხრომას შორის, აუხდენელი ზმანებების უკიდევანო, თვალისმომჭრელ არეებში რომ გამოსჭვივის. Mes fenêtrés![119] მიმწუხრის ღრუბლებითა და მოძალებული ღამით გარემოცული, კბილების ღრჭიალით ვაგროვებდი ჩემი ვნების ყველა დემონს და უკვე ატოკებული აივნის მოაჯირზე ვასრესდი: წამიც და, ეს სურათი ნესტიანი მარაოს ჭერმისფერ ბინდში განზავდება; და მართლაც, შორეულ ფანჯარაში ირხეოდა განათებული სილუეტი - და ევა კვლავ იქცეოდა ნეკნად, ხელახლა ისხამდა ხორცს და ფანჯარაში უკვე არაფერი

ჩანდა, ნახევრად შიშველი ოტროველას გარდა, გაზეთს რომ კითხულობდა. გამონაგონისა და სინამდვილის მოცილეობაში ხანდახან მაინც ვიმარჯვებდი. ამიტომ ზოგჯერ გაწბილებასაც ვურიგდებოდი. ვერ ვურიგდებოდი მხოლოდ ჩარევას მტანჯველი შემთხვევითობისა, რომელიც ჩემს კუთვნილ ტკბილ განცხრომას მართმევდა. „Savez-vous qu’a dix ans ma petite était folle de vous?“ [120] - მითხრა ერთმა ქალბატონმა პარიზში, ჩაის სმის დროს; ამასთან, გოგონას უკვე მოესწრო სადღაც, ცხრა მთას იქით გათხოვება, მე კი არც მახსოვდა, შევამჩნიეთ თუ არა ის ოდესღაც ამ ბაღში, ჩოგბურთის კლუბის ტერასაზე, განმარტოებული მღვიმის სიახლოვეს. და აი, ახლა, შემთხვევამ (და ჩემი სატრფოს შემცირებულმა, თითქოს გაცრეცილმა ხელწერამ) აღმიკვეთა ნაპრალის მოციმციმე მინაში წინასწარი მხედველობითი სიამოვნებისა და დაიმედების შესაძლებლობა. იმედი მაცდუნებლად იყო სიმულირებული და კეთილშობილურად უნდა აღსრულებულიყო. როგორც ხედავთ, ჩემი ფანტაზია პროკრუსტეს სარეცელზე პროუსტისეულ წამებას განიცდიდა, - რადგან იმ დღეს, 1952 წლის 22 სექტემბერს, როდესაც ფოსტის ამოსატანად ჩავედი, სუფთად ჩაცმულმა და მეტად ღვარძლიანმა შვეიცარმა, რომელთანაც საზიზღარი ურთიერთობა მქონდა, მისაყვედურა. მისი თქმით, რიტას რომელიღაც ახალმა თანამეინახემ ქალი შინ მოაცილა და „ძალივით არწყია“ სადარბაზოს საფეხურებზე. სანამ მას ვუსმენდი და ფულს ვაძლევდი, შემდეგ კი ამბის მეორე, უფრო დახვეწილ ვერსიას ვისმენდი, ბუნდოვანმა აზრმა გამიელვა: იმ კურთხეული ფოსტით მოსული ორი წერილიდან ერთ-ერთი რიტას დედის გამოგზავნილი უნდა ყოფილიყო. ეს საკმაოდ გულფიცხი ქალბატონი ერთხელ მოვიინახულეთ კვიპ კოდზე და მას შემდეგ

მოგზაურობის სხვადასხვა პუნქტებში ჩემი კანტორიდან ხშირად გვიგზავნიდნენ მის უამრავ წერილს. ის იწერებოდა, რომ რიტა და მე საოცრად ვუხდებოდით ერთმანეთს და კარგი იქნებოდა, დავექორწინებულიყავით; მეორე წერილი, რომელიც ლიფტში გავხსენი და სასწრაფოდ გავხსენი, ჯონ ფარლოსგან იყო. ხშირად შემიმჩნევია, რომ ჩვენს მეგობრებს ურყევ თვისებებსა და ბედს მივაწერთ ხოლმე. ასევე აღიქვამს მკითხველი ლიტერატურულ გმირებს. რამდენჯერაც უნდა გადავიკითხოთ „მეფე ლირი“, კეთილი ბერიკაცი ვერასოდეს დაივიწყებს საკუთარ ვაი-ვაგლახს და საოჯახო ნადიმზე ვერასოდეს დალევს სადღეგრძელოს თავისი ქალიშვილისა და მათი გომიების გარემოცვაში. კნეინა N არასოდეს გაემგზავრება იტალიაში ონეგინთან ერთად. ემა ბოვარის ვერასოდეს იხსნის ავტორის მამის სიმპათიკური მარილებით გაჯერებული დროული ცრემლი. რა სახის ევოლუციაც უნდა განვლოს ამა თუ იმ ცნობილმა პერსონაჟმა ეპიგრაფსა და წიგნის დასასრულს შორის, მისი ბედ-იღბალი ჩვენს აზრებში წინასწარ არის დადგენილი. ზუსტად ასევე ველით, რომ მეგობრებიც ერთგულად დაიცავენ ჩვენ მიერ მათთვის ნაგულისხმევ ამა თუ იმ ლოგიკურ და საყოველთაოდ მიღებულ პროგრამას. მაგალითად, იქსი ვერასოდეს შექმნის უკვდავ მუსიკალურ ნაწარმოებს, ვინაიდან ის მკვეთრად დაუპირისპირდება ადრე შეთხზულ მდარე სიმფონიებს. იგრევი არასოდეს ჩაიდენს მკველლობას. ზეტი არავითარ შემთხვევაში არ გვიღალატებს. რაც უფრო იძვიათად ვხედავთ კონკრეტულ პიროვნებას, მით უფრო სასიამოვნოა იმაში დარწმუნება, თუ რა თვინიერად ექვემდებარება ის ჩვენს წარმოდგენებს. ამგვარად შემუშავებული ბედ-იღბლისგან ყოველგვარი გადახვევა არა მარტო არანორმალურად მიგვაჩნია, არამედ - უკადრის საქციელადაც ვთვლით. გვირჩევენია, დავივიწყოთ დიდი ხნის ნაცნობობა (სოსისებით ყოფილ მოვაჭრესთან), თუ აღმოჩნდება, რომ მან ახლახან გამოუშვა ამ საუკუნის საუკეთესო ლექსთა კრებული. ამას იმიტომ ვამბობ, რათა ავიხსნათ, როგორ დამაბნია ჯონ ფარლოს ისტერიულმა წერილმა. ვიცოდი მისი ცოლის სიკვდილის ამბავი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ველოდი, რომ უნუგეშო ქვრივი სიცოცხლის ბოლომდე დარჩებოდა მოსაწყენ, თავდაჭერილ და დადებით ადამიანად. ის მწერდა, რომ შეერთებულ შტატებში ხანმოკლე ყოფნის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში დაბრუნდა და გადაწყვიტა, თავისი საქმეები გადაეცა ერთი რამზდელები ადვოკატისთვის, რომელიც ჩვენი საერთო ნაცნობი იყო. მას ჯეკ ვინდმიულიერი ერქვა. ჯონს განსაკუთრებით სიამოვნებდა „ჰეიზების კომპლიკაციებისგან“ გათავისუფლება. თურმე ახლახან ცოლად შეირთო ესპანელი ქალი. ოცდაათი ფუნტით გასუქდა მას შემდეგ, რაც თამბაქოს წევა მიატოვა. მისი სულ ახალგაზრდა ცოლი სათხილამურო სპორტის ჩემპიონი გახლდათ. თაფლობის თვე ინდოეთში უნდა გაეტარებინათ. ჯონი „საოჯახო ერთეულების ინტენსიურ წარმოებას“ აპირებდა და აღარ ეცალა ჩემი „ძალზე უცნაური და საკმაოდ გამაღიზიანებელი“ საქმეებისთვის. ვიღაც ზედმეტად ცნობისმოყვარე ადამიანებისგან (რომელთაც მთელი კომიტეტი ჩამოეყალიბებინათ) შეეტყო, რომ პატარა დოლი ჰეიზის ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებული იყო, ხოლო მე სამხრეთ კალიფორნიაში ვცხოვრობდი გარკვეულ წრეებში კარგად ცნობილ ქმარგაცილებულ ქალთან ერთად.

მისი სიმამრი მდიდარი გრაფი იყო. ოჯახს, რომელიც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჰეიზების სახლს ქირაობდა, ახლა ამ სახლის ყიდვა სურდა. ფარლო მირჩევდა,

დაუყოვნებლივ წარმომედგინა დაკარგული გოგონა. თვითონ ფეხი მოეტეხა. წერილს ერთვოდა ჯერ კიდევ საღსალამათი ჯონისა და თეთრი შალის კოსტიუმში გამოწყობილი შავგვრემანი ქალის ფერადი ფოტოსურათი. ისინი ტკბილად უდიმოდნენ ერთმანეთს ჩილეს ლურჯი თოვლის ფონზე. მახსოვს, ბინაში შევედი და ხმამაღლა გავიფიქრე: რას იზამ, ყოველ შემთხვევაში, ახლა მივაგნებთ-მეთქი - და უეცრად მეორე წერილი საქმიანი ხმით გამომელაპარაკა: ძვირფასო მამიკო, როგორ ხარ? მე გავთხოვდი. ფეხმძიმედ ვარ. ვფიქრობ, უშველებელი ბავშვი მეყოლება. ვფიქრობ, რომ ეს, ალბათ, საშობაოდ მოხდება. მიჭირს ამ წერილის წერა. მაგივრად, რომ ვერაფრით მოვახერხებ ვალების გასტუმრებასა და აქედან გაღწევას. დიკს შესანიშნავ სამუშაოს ჰპირდებიან ალასკაში (მექანიკაში მისი ვიწრო სპეციალობით). ამის გარდა, არაფერი ვიცი, მაგრამ ჩინებული პერსპექტივებია. მაპატიე, რომ ჩემს მისამართს არ გაძლევ. ჩემი ვარაუდით, შენ ჯერ კიდევ საშინლად ბრაზობ, დიკმა კი არაფერი არ უნდა იცოდეს. რა საშინელი ქალაქია. ჭვარტლის გამო აქაურთა კრეტინულ სახეებსაც კი ვერ დაინახავს კაცი. თუ შეიძლება, მამიკო, ჩეკი გამოგვიგზავნე. სამასი ან ოთხასი დოლარი გვეყოფა, მაგრამ ნაკლებზეც, ნებისმიერ თანხაზეც მაღლობელი ვიქნებით. შეგიძლია, მაგალითად, გაყიდო ჩემი ძველი ტანისამოსი, რადგან ალასკაზე უამრავ ფულს ვიშოვით. მომწერე, თუ შეიძლება.. ბევრი დარდი და გასაჭირი განვიცადე. შენი მომლოდინე დოლი (მისის რიჩარდ ფ. სქილერი).

28. კვლავ გზას დავადექი, კვლავ ლურჯი „სედანის“ საჭესთან ვიჯექი, კვლავ მარტო ვიყავი. როდესაც ამ წერილით გამოწვეულ განუზომელ სიმძიმის ვუმკლავდებოდი, რიტას ღრმად ეძინა. თვალი შევაკვლე: ძილში ილიმებოდა. ნამიან შუბზე ვაკოცე და სამუდამოდ მივატოვე: ახლახან საწყალმა ქალმა ჩემთან მოსვლა მოინდომა, მაგრამ არ ვღებულობ საიქიოს (თქვენთვის - „საქაოს“) მკვიდრთ. ალერსიანი გამოსამშვიდობებელი წერილი საღბუნით მივაწებე ჭიპზე - სხვაგვარად, ალბათ, ვერ იპოვიდა.

მარტო-მეთქი? არა, ასე არ იყო. შავი „მამიკო“ მახლდა და როგორც კი განმარტოებული ადგილი მოვნახე, გულმშვიდად შევემზადე მისტერ რიჩარდ ფ. სქილერის მკვლელობისთვის. ავტომობილის საბარგო განყოფილებაში - რომელიც აურაცხელ საგანძურს შეიცავდა - მოვნახე ჩემი ყველაზე ძველი, ყველაზე ბინძური სვიტერი და უწყინარ კორომში (სადაც გზატკეცილის განტოტებამ მიმიყვანა) ერთი ხის ტოტზე დავკიდე. განაჩენის შესრულება იმან შეაფერხა, რომ გაშეტის მოძრაობას რაღაც უშლიდა. ჩემთვის გაუგებარ ამ ნივთს, ალბათ, გაპოხვა ესაჭიროებოდა, მაგრამ დროის დაკარგვა არ მსურდა. ავტომობილში დაბრუნდა მკვდარი რუხი სვიტერი, რომელსაც სხვადასხვა ადგილას ახალი ნახვრეტები გაუჩნდა; ჩემი ჯერ კიდევ თბილი „მამიკო“ კი ხელახლა დავტენე და გზა გავაგრძელე. წერილი 1952 წლის 18 სექტემბერს იყო დაწერილი, ხოლო ლოლიტას მიერ მოცემული მისამართი იყო „მოთხოვნამდე“, კოულმონტი (არა ვირჯინიაში, არა პენსილვანიაში, არა ტენესიში - და, საერთოდ, არა „კოულმონტი“ - ყველაფერი შევნიღბე, ჩემო საყვარელო). გამოირკვა, რომ ეს იყო ნიუ-იორკიდან რეასიოდე მილის დაცილებით განლაგებული სავაჭრო ქალაქი. გადავწყვიტე, არსად შეგჩერებულყავი, მაგრამ ვერ შევეძელი. გარიჟრაჟზე კოულმონტის მახლობელ მოტელს მივადექი. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს სქილერი ადრე ნახმარი ავტომობილებით ვაჭრობდა და, ალბათ, ჩემი ლოლიტა ბერდსლესის გარეუბანში გაიგნო - მაგალითად, იმ დღეს, როდესაც მუსიკის გაკვეთილზე მიმავალ გოგონას ველოსიპედის საღტე გაუსკდა. შემდგომ ის, როგორც ჩანს, განსაცდელში ჩავარდა. სიკვდილით დასჯილი სვიტერის გვამი უკანა სავარძელზე ეგდო და განუწყვეტლივ ცდილობდა - რაც უნდა შემესწორებინა მისი ნაკეცი - ტრაპ-სქილერის სრულ, ვულგარულ სხეულს დამსგავსებოდა. მისი უხეში და ბიწიერი გემოვნების გასანეიტრალელებლად გადავწყვიტე, განსაკუთრებით მოხდენილად ჩამეცვა. ამ აზრით გამეღვიძა და მოვასწარი მალვიძარას ღერძზე თითის დაჭერა, რათა დანიშნულ დროზე არ აფეთქებულიყო, შემდეგ დუელზე მიმავალი კაცის მკაცრი და რომანტიკული გულმოდგინებით შევამოწმე, წესრიგში იყო თუ არა საბუთები, ვიბანავე, სუნამო დავიპკურე, სახე და მკერდი გავიპარსე, სუფთა პერანგი და პერანგის ამხანაგი შევარჩიე და გამჭვირვალე, მუქი ფერის წინდები ჩავიცვი. მეტად გამიხარდა, რომ სკივრში კოხტა ტანისამოსი აღმოვაჩინე. ასეთი იყო, მაგალითად, სადაფისლილებიანი ნატის ჟილეტი და ქიშმირის მკრთალი ჰალსტუხი. სამწუხაროდ, საუზმის შემდეგ გულს მაზიდა, მაგრამ ასეთ უმნიშვნელო გასაჭირს ყურადღება არ მივაქციე, სახელოდან (ინგლისური მოდის მიხედვით) ბატისტის ცხვირსახოცი ამოვიღე და პირი მოვიწმინდე. მკერდში

გულის ნაცვლად ყინულის ბელტი მოვათავსე, პირში აბი ჩავიგდე, კარგა მძიმე სიკვდილს კი შარვლის უკანა ჯიბეში მივუჩინე ადგილი. კოლუმონტის სატელეფონო ჯიბურში მარჯვედ შევედი (აპ-აპ-აპ, წარმოთქვა ამ დროს დასაკეცმა კარმა); გაქუცულ წიგნში ერთადერთი სქილერის (სქილერი, პოლ, ავეჯი) ნომერი მოვნახე და ავკრიფე. ხრინწიანმა პოლმა მიპასუხა, რომ რიჩარდი მისი ძმისწულია, ის ცხოვრობს - ახლავე ვნახავ - ქილერის ქუჩაზე, ათ ნომერში (ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი ფსევდონიმებია). აპ- აპ-აპ, კვლავ წაილაპარაკა კარმა.

ქილერის ქუჩის მეათე ნომერი მრავალბინიანი, გავერანებული შენობა აღმოჩნდა. ინტერვიუ ჩამოვართვი რამდენიმე უხალისო მოხუცსა და ორ გრძელთმიან, ვარდისფერ, არაჩვეულებრივად ბინძურ ნიმფეტს (ვალარებ, რომ საკმაოდ უგულისყუროდ ვარჩევდი ამა თუ იმ გოგონას, ვისაც მკვლელობის შემდეგ - როდესაც ყველაფერი ნებადართული იქნებოდა - ჩავკონებოდი). დიახ, დიკ სქილერი აქ მართლაც ცხოვრობდა ერთხანს, მაგრამ ქორწინების შემდეგ სხვაგან გადასახლდა. მისი ახალი მისამართი არავინ იცოდა. „შეიძლება, მაღაზიაში იციან“, ამომძახა ბოხი ხმით ტროტუარის ჭაში მომუშავე ხელოსანმა, რომლის მახლობლადაც შემთხვევით შევჩერდი და ორ ბუნდოვან დედაბერს გავესაუბრე (თან თვალი შევავლე მათი შიშველფეხება შვილიშვილების ნატივ ტიტველ მკლავებს). სხვა მაღაზიაში მოვხვდი და ფრთხილმა ჭაღარა ზანგმა უარყოფითად გააქნია თავი, სანამ რაიმეს ვკითხავდი. ქუჩა გადავჭერი და მომცრო ალაფხანაში შევედი. იქ ჩემი თხოვნით გამოძახებული ქალის აჩრდილმა უძირო სარდაფიდან ხმამაღლა მიპასუხა (რითაც ტროტუარის ჭის ბინადარი მამრობითი სქესის აჩრდილის თემა განმეორდა): ჰუნტერის ქუჩა, უკანასკნელი სახლი. ჰუნტერის ქუჩა ძალზე შორეულ გარეუბანში მოვნახე, ნაგვის მომალლო გროვებსა და ღრმა თხრილებს, მატლებით გაჭედებულ ბოსტნებსა და დაღრევილ კასრებს, რუხ წვიმასა და წითელ თიხნარს შორის, ახრჩოლებული საქარხნო მილების მახლობლად. უკანასკნელ სახლთან შევჩერდი. ეს იყო ფიცრებისგან შეკოწიწებული ქოხმახი, რომლის მიღმა, გზიდან მოშორებით, კიდევ ორი-სამი ასეთი ხუხულა და დამჭკნარი სარეველათი დაფარული ფართო, უშენი ადგილი მოჩანდა. სახლს უკან ვიდაც ჩაქუჩს აკაკუნებდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩემს ბებრეკ მანქანაში გაუნძრევლად ვიჯექი. თვითონაც ბებრეკი და უსუსური, როგორც იქნა, მიგუახლოვდი ხანგრძლივი გზის დასასრულს. მივადექი უღიმღამო მიზანს და ფინის, მეგობრებო, ფინის, ავაზაკებო. დღის ორი საათი იქნებოდა. მაჯისცემა ხან მინელდებოდა, ხან კი წუთში ასს აღწევდა. იკაროსის კაპოტზე ჟუჟუნა წვიმა ჩქრიალებდა. პისტოლეტი შარვლის მარჯვენა ჯიბეში გადავდე. გაბურძენილი ქოფაკი, რომელსაც მუცელზე სველი ჭუჭყიანი ბეწვი ეკიდა, სახლიდან გამოვიდა, გოცებით მომაჩერდა, თვალები მოჭუტა, მხიარული წკმუტუნით ცხვირის ქნევას მოჰყვა, დადუმდა, შორიახლოს გაისეირნა და ერთხელ კიდევ შემომჭკმუტუნა.

29. ავტომობილიდან გამოვედი და კარი მივკეტე. რაოდენ ერთმნიშვნელოვნად და პროზაულად გაისმა გაჯახუნების ხმა უმზეო დღის სიცარიელეში! „წკავ“, კომენტარი გააკეთა ძალღმა. ზარის დილაკს თითი დავაჭირე; მისი ვიბრაციისგან მთელი სხეულით ავცახცახდი. **Personne: არავინაა! Je resonne, repersonne:** ვრეკავ კვლავ, არა ვკვლავ! საიდან, რომელი სიღრმეებიდან ამოტივტივდა ეს განმეორებადი სისულელე? „წკავ“, ჩაურთო ძალღმა. ანაზდად ვიდაცის ფეხის ფრატუნე და კარის გაღების (წკავ) ხმაური მოისმა. ორი დუმიტით გაზრდილა. ვარდისფერჩარჩოიანი სათვალე უკეთია. ახლებური მაღალი ვარცხნილობა, ახლებური ყურები. რა მარტივია ყოველივე! ეს წამი, ეს სიკვდილი, რომელსაც სამი წლის განმავლობაში მოვუხმობდი, უეცრად ნაფოტივით მარტივი და ხმელი აღმოჩნდა. ლოლიტა აშკარად და უზომოდ ორსული იყო. სახე თითქოს დალეოდა (ამასობაში სულ ორმა წამმა განვლო, მაგრამ მინდა, ხისებრი დღეგრძელობა მივანიჭო დროის ამ პაწაწინა მონაკვეთს); ჭორფლი გაცრეცოდა, ლოყები ჩაცვენოდა, გამიშვლებულ ხელ-ფეხს მზისფერი აღარ დაჰკრავდა და ზედ ღინღლი ემჩნეოდა; ზამბის ყავისფერი, უსახელო კაბა და ქერის ფლოსტები ემოსა. „ღმერთო ჩემო!“ ამოიხვნეშა პაუზის შემდეგ განცვიფრებისა და სიხარულის მთელი სისრულით. ჯიბიდან ხელი არ ამომიღია, ისე დავიჩხავლე: „შენი ქმარი შინაა?“ ლოლიტას მოკვლა (რასაც, ალბათ, ზოგიერთი მოელოდა) ვერ შევძელი. მე ხომ მიყვარდა ჩემი გოგონა: ეს იყო ერთი ნახვით, უკანასკნელი ნახვით, სამარადისო ნახვით გულში აღბეჭდილი სიყვარული. „შემოდი“, მითხრა მხიარულად და მტკიცედ. დოლი სქილერი ხის მკვდარ, დახეთქილ კარს აეკრა და შეეცადა, შეძლებისდაგვარად მეტი გასავლელი ადგილი დაეტოვებინა (ფეხის წვერებზეც კი აიწია) და წამით ასე, ჯვარცმულივით გახევდა თავისი ჩაცვნილი ლოყებით, მრგვალი ყვრიმალეებითა და წყალნარევ რძესავით თეთრი, გაშლილი მკლავებით. ზღურბლს უღიმოდა. ისე გავიარე, რომ მის ამობურცულ ზავშვს არ შევხებვივარ. დოლის ნაცნობი სითბო შევიგრძენი, რასაც სამზარეულოს ოდნავ საგრძნობი სურნელი დაჰკრავდა. კბილები რეგვენით მიკაწკაწებდა. არა,

შენ გარეთ დარჩებიო, უბრძანა ძაღლს, კარი მიხურა და თავისი მუცლით შემომყვა ღარიბულ, პატარა ოთახში. „დიკი იქაა“, მითხრა, ტენისის უხილავი ჩოგნით მიმითითა და თითქოს შემომთავაზა, წარმოსახვით გამეველო სასტუმრო და საძინებელი ოთახები, შემდეგ - ერთი ციციქნა სამზარეულო და გამეღწია იმ ადგილისკენ, სადაც, უკანა კარის ჭრილის საკმაოდ პრიმიტიულ პერსპექტივაში, სამუშაო კომბინეზონში გამოწყობილი შავთმიანი ახალგაზრდა უცნობი მოჩანდა (მისი სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილება მყისვე გავაუქმე). ვაჟი ჩემკენ

ზურგშექცევით, კიბეზე იდგა და მეზობლის (კიბესთან მდგარი ცალხელა ჩაფსკვნილი ჭაბუკის) ქოხზე რაღაცას აჭედებდა. ქალმა ეს სურათი მოზოდიშების გამომხატველი ოხვრით განმარტა („მამაკაცებს შენება უყვარს“) და მკითხა, ქმარს ხომ არ დავუძახო. „არა“. ოდნავ დამრეცი იატაკის შუაგულში მდგარმა დოლიმ კითხვის გამომხატველი ჩუმი ბგერები გამოსცა და ხელების ნაცნობი აღმოსავლური მოძრაობებით ხალისიანად შემთავაზა, ამერჩია სარწეველა ან დივანი (რომელიც დამ-დამობით საწოლად იქცეოდა ხოლმე). ვამბობ, „ნაცნობი“-მეთქი, რადგან ერთხელ ბერდსლეიში ასეთივე „ხელების როკვით“ მიმიპატიჟა ჩვენს სასტუმრო ოთახში გამართულ სადამოს წვეულებაზე. ორივენი დივანზე დავსხედით. საინტერესოა: თუმცა მისი სილამაზე, არსებითად, დაჭკნა, მაგრამ მხოლოდ ახლა - ჩემი ცხოვრების ამ უიმედო, გვიანდელ ქამს - მივხვდი, როგორ ჰგავდა ის - და როგორ ჰგავდა ყოველთვის - ბოტიჩელის მოწითურო ვენერას - ისეთივე ნატიფი ცხვირი, ისეთივე მიბნედილი მშვენიერება. ჯიბის სიღრმეში ხელი ვუშვი გამოუყენებელ კოლტს. „ეს ის არაა, ვისაც დავეძებ“, ვუთხარი. მისი თვალებიდან გულითადობის გამომხატველი ბუნდოვანი გამომეტყველება გაქრა. შუბლი შეიჭმუნხა, როგორც მაშინ, მწუხარე დღეებში. „ვინ - ის?“ „სადაა? სწრაფად!“ „მისმინე“, შემესიტყვა დოლი, თავი გვერდზე გადასწია და ასეთ მდგომარეობაში მის ქნევას მოჰყვა: „მისმინე, თავიდან ნუ დაიწყებ ყველაფერს“. „დიახაც დავიწყებ“, ვუპასუხე მე, ორივენი ავიფხოვრეთ და ერთი წუთის განმავლობაში (უცნაურია, მაგრამ ეს იყო ჩვენი შეხვედრის ერთადერთი სასიკეთო, სასიამოვნო წუთი) ერთმანეთს ისე ვუცქერდით, თითქოს დოლი ისევ მე მეკუთვნოდა. ჭკვიანმა გოგონამ დამასწრო და თავი შეიკავა. მისი შემდეგი მონაცოლიდან გამოირკვა, რომ დიკმა არაფერი იცოდა ამ ამბის შესახებ; ეგონა, რომ დოლი ჩემი ქალიშვილი იყო; ეგონა, რომ ის წარჩინებულ ოჯახში დაიბადა და სახლიდან გაიქცა, რათა დუქანში ჭურჭელი ერეცხა. ყველაფრისა სჯეროდა. რა საჭირო იყო ისედაც რთული მდგომარეობის გამწვავება, რა საჭირო იყო ამ სიბინძურეში ქექვა? ვუპასუხე, რომ ის კეთილგონიერი - დიდად კეთილგონიერი გოგონა (თხელი ყავისფერი მატერიის ქვეშ ამობერილი ამხელა მუცლით) უნდა ყოფილიყო და თუ ჩემგან დახმარებას მოელოდა, ყველაფერი უნდა ეუწყებინა.

„აბა, გეთაყვა, მისი სახელი!“ როგორ - განა აქამდე ვერ მიხვდიო, მითხრა. ეს იყო ისეთი (აქ მან ეშმაკურად და ნაღვლიანად გაიღიმა) სენსაციური სახელი, რომ მე არ დავიჯერებ. თვითონაც არ სჯერა. „მისი სახელი, ჩემო შემოდგომის ნიმუჯა!“ „ოჰ, ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მოწევა ხომ არ გინდა?“ „არა. მისი სახელი!“ დოლიმ ძალზე მტკიცე გამომეტყველებით გადააქნია თავი. მიაჩნდა, რომ ახლა უკვე გვიან იყო სკანდალის მოწყობა - და რომ მაინც არასოდეს დავიჯერებ არაჩვეულებრივ, წარმოუდგენელ... ავდექი, ვუთხარი, უნდა წავიდე, ქმარი მომიკითხე, სასიამოვნო იყო შენი ნახვა-მეთქი. მომიგო, რომ ამაოდ დავიჟინე. არასოდეს დაასახელებს... თუმცა, მეორე მხრივ... ბოლოს და ბოლოს... „შენ მართლა გინდა, იცოდე, ვინ იყო? კეთილი, ეს იყო -“ თხელი წარბები მაღლა აწვიპა, გამშრალი ტუჩები გამოზურცა და ჩუმად, კონფიდენციალურად, მსუბუქი ირონიით და ოდნავი სინაზით. თითქოს ყრუდ დაუსტვინაო, ისე წარმოთქვა სახელი, რომელსაც გამჭრიახი მკითხველი დიდი ხნის წინ მიხვდებოდა. უოტერპრუფია, თქვა შარლოტამ. რატომ გამიელვა მოგონებამ ტბის პირას გატარებული ზაფხულის უმნიშვნელო დღის შესახებ? მეც დიდი ხნის წინათ გამოვიცანი მისი ვინაობა, მაგრამ ქვეცნობიერად, შეუგნებლად ჩავწვდი. ახლა არც ტკივილი განმიცდია, არც - გაოცება. შერწყმა აუჩქარებლად განხორციელდა, დეტალებმა თავისი ადგილი დაიკავე; დავასრულე ურთიერთგადახლართული ლერწების ნაყში, რომელსაც ჩემი თხრობის დასაწყისიდან მოყოლებული, ნელ-ნელა ვადგენდი, იმ მიზნით, რომ მომწიფებული ნაყოფი საჭირო მომენტში ჩამოვარდნილიყო. დიახ, გარკვეული და ბიწიერი მიზანი მამოძრავებდა (დოლი ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, მაგრამ უკვე ოქროსფერ სიმშვიდეში ჩავიძირე და აღარ ვუსმენდი): ჩემი ოქროსფერი, საზარელი სიმშვიდე იმ ლოგიკური დაკმაყოფილების მეშვეობით უნდა გამომეხატა, რომელსაც ახლა განიცდის თვით ჩემი ყველაზე არაკეთილმოსურნე მკითხველი. უკვე აღვნიშნე, რომ დოლი კვლავ ლაპარაკობდა. ბოლოს და ბოლოს მოვახერხე მისი ლაღი მეტყველების ნაკადში ჩართვა. თურმე ერთადერთი მამაკაცი, ვინც უყვარდა, სწორედ ის იყო. „დაიცა, დიკი არ გიყვარს?“

„ოჰ, დივი შესანიშნავი ჭაბუკია, სრულ ოჯახურ ბედნიერებას განვიცდით და ასე შემდეგ, მაგრამ ეს არ მიგულისხმია“. „კეთილი, მაგრამ მე - მე სათვალავში ჩასაგდება არა ვარ?“

ერთხანს დოლი ისე მიმზერდა, თითქოს მხოლოდ ახლა გაიცნობიერა გაუგონარი და, ალბათ, საკმაოდ აბეზარი, რთული და უსარგებლო ფაქტი, რომ მის გვერდით მჯდარი ორმოცი წლის ყველასთვის უცხო, გამბდარი, მოხდენილად ჩაცმული, სათუთი, ჯანგატეხილი, ხავერდის პიჯაკში გამოწყობილი ჯენტლმენი ოდესღაც მისი ბავშვური სხეულის ყოველ გოჯს, ყოველ ჩანასახობრივ ბუსუსს აღმერთებდა. ბაც ნაცრისფერ თვალეში, უცნობი სათვალის მინებს მიღმა წამით აირეკლა ჩვენი უბადრუკი რომანი. დოლიმ აწონ-დაწონა ის და მყისვე კვლავ დაივიწყა, როგორც ივიწყებდა მოსაწყევ ვიზიტს, ან ღრუბლიან ამინდში გამართულ პიკნიკს (რომელზეც მხოლოდ ყველაზე უნტერესო ადამიანები გამოცხადდნენ), ან ერთფეროვან სავარჯიშოს, ან კიდევ - გამხმარი ტალახის ქერქს, მის ბავშვობას რომ მიეწება. ძლივს მოვასწარი, სწრაფი მოძრაობით დამეხსნა მუხლი სქემატური მუჯღუგუნისგან, რაც მისი ერთ-ერთი ახალი ჟესტი იყო. მთხოვა, სისულელეებზე არ მელაპარაკა. რაც იყო, იყო. აღიარა, რომ საერთოდ კარგი მამა ვიყავი - ეს მაინც აღიარა. განაგრძე, დოლი სქილერ. ვიცოდი თუ არა, მაგალითად, რომ ჩვენი მდევარი შარლოტას იცნობდა და ოჯახის ძველ მეგობრად ითვლებოდა? რომ ის ბიძამისთან ჩამოვიდა რამზდელში - ოჰ, ძალზე დიდი ხნის წინათ - და ლექცია წაიკითხა შარლოტას კლუბში, და უცებ ხელი ჩაავლო დოლის შიშველ მკლავს და მუხლებზე დაისვა ყველა იმ ქალბატონის თვალწინ, და ჩაკოცა, გოგონა კი მხოლოდ ათი წლისა იყო და გაბრაზდა? ვიცოდი თუ არა, რომ მან ჩვენ შეგვამჩნია იმ რადიკალური მონადირეების სასტუმროში, სადაც სწორედ იმ პიესას წერდა - დიახ, „მოჯადოებულებს“ - რომელშიც დოლი ბერდსლეიში თამაშობდა ორი წლის შემდეგ. რომ ის საოცარ სიტყვებს ეუბნებოდა ქვემოთ, ჰოლში? ვიცოდი თუ არა, რომ - ოჰ, რა ცუდად მოიქცა დოლი, რომ თავგზა ამიზნია და დამარწმუნა, კლერი ხანდაზმული მანდილოსანიაო - და, ღმერთო ჩემო, რა ადვილად დავიჭერდი სიცრუეში, უეისის გაზეთში გამოქვეყნებული იმ კაცის პორტრეტი რომ მენახა! ბრაისლანდის გაზეთს პორტრეტი არ დაუბეჭდავს. მართლაც სასაცილო იყო. - დიახ (განაგრძობდა ის), სიცოცხლე კომიკური ნომრების სერიაა. რომანისტს რომ დოლის ცხოვრება აეწერა, არავინ დაუჯერებდა. ამ დროს სამზარეულოდან მოგვესმა მხნე, ოჯახური ყოფის დამახასიათებელი ბგერები - იქ დივი და ბილი ლუდს ეძებდნენ. ღია კარში სტუმარი დაინახეს და დივი ოთახში შემოვიდა. „დივი, ეს ჩემი მამიკოა!“ დაიყვირა დოლიმ წკრიალა, დაძაბული ხმით; მისი ხმა ჩემთვის უცხო იყო, და სიხარულით აღსავსე, და ნაცნობი, და ნაღვლიანი, რადგან ყმაწვილი კაცი შორეული ომის ვეტერანი გახლდათ და ყურთ თითქმის არაფერი ესმოდა. ზღვისფერი თვალეში, მოკლედ შეკრეჭილი შავი თმა, ვარდისფერი ლოყები და გაუპარსავი ნიკაპი ჰქონდა. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. დისკრეტული ბილი, როგორც ჩანს, ამყობდა იმით, რომ ცალი ხელით სასწაულებს ჩადენა შეეძლო და ლუდის გახსნილი

თუნუქელები მოგვიტანა. პროლეტარებისთვის დამახასიათებელი გადამეტებული ზრდილობით წასვლა დააპირა. აიძულეს, დარჩენილიყო. ოჯახური სურათი ლუდის რეკლამაზე. არსებითად, არც მე და არც სქილერებს პირისპირ დარჩენა არ გვსურდა. გადავჯექი სარწევლაში, რომელიც ნერვულად აქანავდა. ფეხმძიმე დოლი ხარბად ნთქავდა და მეც მთავაზობდა ალთეს კვერებს, არაქისსა და კარტოფილის ბურბუშელას. მამაკაცები უთვალთვალეზდნენ მის სუსტი აღნაგობის, მცივანა, მინიატურულ, ახალგაზრდული, მაგრამ ავადმყოფური იერის მქონე მამას, რომელსაც ხავერდის პიჯაკი და ჩალისფერი ჟილეტი ეცვა: შესაძლოა, ვიკონტი იყო. ეგონათ, რომ რამდენიმე დღით ჩამოვედი და დაძაბული აზროვნების ნიშნად შუბლშეკრუნილმა დივიმ შემომთავაზა, ამაღამ მე და დოლი სამზარეულოში დავიძინებთო. ხელი ოდნავ გაავაქნიე და ავუხსენი დოლის (მან კი ჩემი ნათქვამი ხმამაღლა გაუმეორა დიკს), რომ, უბრალოდ, ერთი საათით შემოვიარე და ლექტორებში მეგობრები და თაყვანისმცემლები მელოდებოდნენ. ამ დროს შევამჩნიეთ, რომ უიღბლო სასწაულთმოქმედს, ბილს, თითი გაეჭრა და სისხლი სდიოდა. რაოდენ ქალური იყო დახრილი დოლის მკრთალი მკერდის ჩრდილოვანი განაყოფი, როდესაც ის ხეიბრის ხელს ათვალეებდა! მან ბილი შესაკეთებლად გაიყვანა სამზარეულოში (სააბაზანო არ ჰქონდათ). მე და დივი მარტონი დავრჩით და ჩვენი გულითადი გრძნობებისგან სამი-ოთხი პაწაწინა მარადისობა გაიბუხა. ის სკამზე იჯდა, წინა კიდურებს ისრესდა და შუბლს კვლავ იჭმუხნიდა; მინდოდა, მის გაოფლილ ცხვირზე ჩემი გრძელი, ბრჭყვიალა ჭანგებით ფერისმჭამელები გამომერწყა. მომეწონა ჭაბუკის სათნო, სევდიანი თვალეები და ძალზე თეთრი კბილები. ნაკლებად მომეწონა უშველებელი, გაბანჯგვლული ხვანჩი. რატომ უფრო ხშირად არ იპარსებიან ეს ახალგაზრდა, ჩასხმული ყმაწვილები? მას და დოლის, ალბათ, ას ოთხმოცი თავაწყვეტილი სქესობრივი კავშირი მაინც

ექნებოდათ ამ დივანზე მას შემდეგ, რაც ქალმა მუცლად იღო. მანამდე კი - როდიდან იცნობდნენ ერთმანეთს? უცნაურია, მაგრამ მის მიმართ მტრობას როდი ვგრძნობდი; მხოლოდ ტანჯვასა და ზიზღს განვიცდიდი. დივი ახლა ცხვირს ისრესდა და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ პირის გაღებისთანავე (თავის ქნევით) მეტყოდა: „ეჰ, მართლაც უმაღლესი ხარისხის ქალიშვილი გყავთ, მისტერ ჰეიზ. ასეა. და უმაღლესი დედაც იქნება“. საწყალმა პირი დაალო - და ლუდი მოსვა. ამან თავდაჯერება შემატა და ყლუპ-ყლუპად სმა განაგრძო, სანამ თვალებიდან ცრემლები არ წამოსცვივდა. შესანიშნავი ჭაბუკიაო, თქვა დოლიმ. ის ხელისგულებით ელაციცებოდა ქალის ფლორენციულ მკერდს. თვალი მოვკარი შავსა და დატეხილ ფრჩხილებს, მაგრამ ფალანგები, მაჯის სახსრები და ღონიერი, ნატიფი მტევანი ჩემს ხელთან შედარებით გაცილებით, გაცილებით დახვეწილი ჰქონდა. იმდენი მსხვერპლი დავეჯიჯგნე ჩემი საბრალო, დაღრეცილი ხელებით, რომ საამაყო არაფერი მაქვს: ფრანგული ფრაზები, დორსეტელი გლეხის მსხვილი ძვლები, ავსტრიელი თერძის ბრტყელი თითები - აი, ასეთია ჰუმბერტ ჰუმბერტი. კეთილი. თუ ჭაბუკი დუმს, მეც გავჩუმდები. კაცმა რომ თქვას, არ მაწყენდა ამ გაყურებულ, შიშისგან მისიკვდილებულ სარწეველაში დასვენება, სანამ ნადირის ბუნაგის საძებრად გავემუშები. იქ პისტოლეტის ჩუჩას გადავწევ და სასხლეტის ორგაზმით დავტკბები -

ყოველთვის ვენელი შამანის ერთგული ვიყავი. თანდათან სიბრალული მომერია საწყალი დივის მიმართ, რომელსაც საშინელი, თითქმის ჰიპნოზური ხერხით ხელს ვუშლიდი, წარმოეთქვა მის მიერ მოფიქრებული ერთადერთი ფრაზა („უმაღლესი ხარისხის ქალიშვილი გყავთ...“). „ამგვარად“, ვკითხე მე. „კანადაში მიემგზავრებით?“ სამზარეულოში დოლი იცინოდა ბილის სიტყვების თუ საქციელის გამო. „ამგვარად, დავიღობლე მე, „კანადაში მიემგზავრებით? უფრო სწორად, კანადაში კი არა“, დავიყვირე ხელახლა, „ალასკაში?“ დივი ხელისგულები ჭიქას მოუჭირა, ბრძნული გამომეტყველებით თავი დააქნია და მიპასუხა: „დიახ. ვფიქრობ, რომ ბასრი კიდით გაიჭრა. ხელი კი იტალიაში დაკარგა“. საუცხოო, ისფერ-მოვარდისფრო, აყვავებული ნუშის ხეები. მათ პუანტილისტურ ფონზე დაკიდებული, მოგლეჯილი სიურრეალისტური ხელი, რომლის ზურგზე პატარა მეყვავილე ქალი იყო ამოსვირინგებული. დოლი და დაწებებული ბილი კვლავ შემოვიდნენ. ალბათ, ქალის ორაზროვანი სილამაზე და ყავისფერი კაბით ხაზგასმული მკრთალი კანი ალაგზნებდა ხეივანს. დივი შვებით გაიღიმა და სკამიდან წამოდგა. მიაჩნდა, რომ ბილთან ერთად სამუშაოს უნდა დაბრუნებოდა; მიაჩნდა, რომ მისტერ ჰეიზს და დოლის ბევრი რამ ჰქონდათ სალაპარაკო; მიაჩნდა, რომ ჩემს წასვლამდე კიდევ მნახავდა. რატომ მიაჩნიათ ამდენი ამ ადამიანებს, და რატომ იპარსებიან ასე უხეიროდ, და რატომ არ იყენებენ სასმენ აპარატებს? „დაჯექი“, მითხრა დოლიმ და ხელი ბარძაყზე დაიტყაპუნა. შავ სარწეველაში კვლავ ჩავჯექი. „ამგვარად, საქმეს მივუბრუნდეთ. მაშასადამე, შენ მილაღატე. საით გაემგზავრეთ? სად არის ახლა?“ დოლიმ ბუხრის თავიდან პრიალა შეხუთილი ფოტოსურათი აიღო. ჩათქვირული, კოჭლი, ძალზე მოკლე თეთრ კაბაში გამოწყობილი ხანდაზმული ქალი; ჟილეტიანი მამაკაცი: გრძელი უღვაში, საათის მეწვეი. ქმრის მშობლები. დივის ძმის ოჯახთან ერთად ჯუნოში ცხოვრობენ. „მოწვეა მართლა არ გინდა?“ და პაპიროსი გააბოლა. პირველად ვხედავდი მწვეელ დოლის. ჰუმბერტ მრისხანის მეფობის ეპოქაში ეს სასტიკად იყო აკრძალული. მოლურჯო ნისლეულით გარემოცული შარლოტა ჰეიზი ნარნარად წამოდგა საფლავიდან. რა თქმა უნდა, ადვილად ვიპოვი დანტისტი ბიძის დახმარებით, თუ დოლიმ არაფერი მითხრა. „გიღალატე? არა“. პაპიროსი ბუხარს მიუშვია და საჩვენებელი თითი დედამისივით სწრაფად დაუკაკუნა და, ღმერთო ჩემო, ზუსტად შარლოტას მსგავსად, ფრჩხილით მოიცალა ქვედა ტუჩიდან პაპიროსის ქალაღდის ნაგლეჯი. არა, მას არ უღალატია. ყოველივე მეგობრულად მოხდა. ედუზამ თავის დროზე გააფრთხილა, რომ კუს მოსწონდა პატარა გოგონები - ერთხელ,

სხვათა შორის, კინაღამ დააპატიმრეს; დოლიმ იდაყვი ხელისგულს დააყრდნო, ნაფაზი დაარტყა, გაიღიმა, კვამლი გამოუშვა და ფერფლი ისევ გატყორცნა ბუხრის მიმართულებით. მოგონებებში ჩაეფლო. საქმე ისაა, რომ ადამიანებს შესანიშნავად იცნობდა, იმიტომ, რომ შენნაირი ან ჩემი მსგავსი არსება კი არა, გენიოსი გახლდათ. და შესანიშნავი ადამიანი იყო. და ისეთი მხიარული. კინაღამ სიცილით მოკვდა, როდესაც დოლიმ ჩვენი ურთიერთობის შესახებ მოუთხრო. განა ეს ღალატია, თუ მისთვის ყველაფრის გაზიარება სავსებით უხიფათო იყო? „მამ ასე. კუ - მას ყველა კუს ეძახდა -“ შემოკლებით ასე ეძახდნენ ლოლიტას საზაფხულო ბანაკსაც (კუდრაჭა). სასაცილო თანხვდენაა. მაშასადამე, კუმ დოლი წაიყვანა საუცხოო რანჩოზე, რომელიც იქიდან... ელევანტიდან (ელფინსტონიდან) სამასი მილის დაცილებით მდებარეობდა. რა ერქვა რანჩოს? ოჰ, ძალზე სულელური სახელწოდება: დუკ-დუკი - უაზრო სიტყვა (არც ისე უაზრო)... მაგრამ ეს ახლა

სულ ერთია, რადგან რანჩო აღარ არსებობს, აორთქლდა. ლამაზი კი იყო - მე ვერ წარმოვიდგენ ამ რანჩოს ფენომენალურ ფუფუნებას - იქ ყველაფერი იყო, ყველაფერი - სახლში ჩანჩქერიც კი იყო მოწყობილი! იქნებ მახსოვს წითური კაცი, ჩვენ (ჩვენ!) ჩოგბურთს რომ ვეთამაშებოდით? რანჩო, სიმართლე რომ ითქვას, იმ წითურის ძმას ეკუთვნოდა, მაგრამ მან ზაფხულის განმავლობაში კუს დაუთმო. როდესაც დოლორესი და კუ რანჩოს მიადგნენ, წყვილს კორონაციის მაგვარი რამ მოუწყვეს, შემდეგ კი აუზში ჩააყარეს, კინაღამ დაახრჩვეს, როგორც ეკვატორის გადაკვეთისას სჩადიან ხოლმე, ხომ იცი... დოლიმ ხელოვნური მორჩილების ნიშნად თვალები გადაატრიალა. „განაგრძე, თუ შეიძლება“. ჰოდა, იგულისხმებოდა, რომ სექტემბერში ის დოლის ჰოლივუდში წაიყვანდა. იქ შეეცდებოდა, გოგონასათვის ეპიზოდური როლი მიეცათ ფილმში, რომელსაც კუს პიესის („ოქროს სიმები“) მიხედვით იღებდნენ. ლო იმედოვნებდა, აგრეთვე, რომ მას ერთ-ერთი სახელგანთქმული მსახიობი ქალის დუბლირების უფლებას მისცემდნენ ჩოგბურთის გაჩახახებულ კორტზე. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. „ახლა სადაა ის არამზადა!“ რატომაა არამზადა? ყოველმხრივ შესანიშნავი ადამიანია. მაგრამ რანჩოზე მხოლოდ ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით იქცევდნენ თავს. და კუ, რა თქმა უნდა, ნამდვილი სექსუალური ურჩხული იყო; მეგობრები კი ბრმად ემონებოდნენ. მე ვერ წარმოვიდგენ (მე, ჰუმბერტი, ვერ წარმოვიდგენ!) რაებს სჩადიოდნენ დუკ-დუკური რანჩოს მობინადრეები. დოლიმ უარი განაცხადა ამ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღებაზე და კუმ ის გააგდო. „რაებს სჩადიოდნენ?“ „ოჰ, უცნაურად, ბინძურად, ფანტასტიურად იქცეოდნენ. ბიჭები, გოგონები და რამდენიმე მამაკაცი (იქ რომ ჰყავდა) უნდა გაშიშვლებულიყვნენ და ღმერთმა იცის, რა ეკეთებინათ, სანამ

მადამ დამორი კინოს იღებდა“. (მარკიზ დე სადის ჟიუსტინა თავდაპირველად თორმეტი წლისა იყო)“. „მაინც, რას აკეთებდნენ?“ „ოჰ, საშინელებებს... ოჰ, არა, ღმერთმანი, მე...“ ეს „მე“ შეკავებული ყვირილივით, თითქოს გულის გამაწვრილებელი ტკივილის ნიშნად აღმოხდა; შესაფერი სიტყვები ვერ იპოვა და გაფარჩხული თითები ჰაერში ირიბად აიქნია. არა, უარს ამბობდა, უფრო დაწვრილებით ეუწყებინა მის სხეულში მოკალათებული ჩვილის თანდასწრებით. რას იზამ. „თანაც, განა ამას ახლა რაიმე მნიშვნელობა აქვს“, თქვა დოლიმ, მუშტით ბალიში მოსრისა და დივანზე პირადმა გაიშოტა. „გაუგონარ, უკადრის რამეებს სჩადიოდნენ. ვუთხარი, რომ არაფრის გულისთვის არ... (აქ მან გულუბრყვილოდ იხმარა უხამსი ვულგარიზმი ჩემთვის და მისთვის კარგად ნაცნობი ახირების აღსანიშნავად) შენს საძაგელ ბიჭებს, რადგან მხოლოდ შენ მჭირდები-მეთქი. ჰოდა, გამომადგო“. მოსაყოლი ცოტადა დარჩა. იმ ზამთარს (1949-1950) ფეი და დოლი მძიმე შრომით შოულობდნენ ლუკმაპურს. ორი წლის განმავლობაში გოგონა ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, მუშაობდა პატარა გზისპირა რესტორნებში, შემდეგ დიკს შეხვდა. არა, არ იცის, სად იმყოფება ის კაცი. ალბათ, სადმე ნიუ-იორკშია. ისეთი სახელგანთქმულია, რომ დოლი ადვილად იპოვიდა, თუკი მოინდომებდა. ფეიმ რანჩოში დაბრუნება სცადა, მაგრამ ის, უბრალოდ, აღარ არსებობდა - მთლიანად დამწვარიყო, არაფერი დარჩენილიყო, ნაგვის შავი გროვის გარდა. დოლის აზრით, ყოველივე უცნაური იყო, ისეთი უცნაური... რას იზამ, მაკ-კუს მსგავსი გვარი ჰქონდა და სახლი მასაც დაეწვა. დოლი ბალიშზე გადაწვა, პირი დააღო, ცალი ქეჩიანი ფეხი ძირს ჩამოუშვა და თვალები მილულა. იატაკი ოდნავ დაქანებული იყო, ფოლადის ბურთულა აქედან პირდაპირ სამზარეულოში შეგორდებოდა. ახლა ყველაფერი ვიცოდი, რისი გაგებაც მსურდა. არ მიწოდდა ჩემი თვალისჩინის წვალება. სადღაც, ბილის ქოხის უკან, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, რადიო ამღერდა უგონო, განწირული სიყვარულის შესახებ და სწორედ მისი განსახიერება ჩემ წინ დივანზე იწვა. ვამჩნევდი ქალის უკვე შელახულ იერს, ვიწრო ხელებზე არაბავშვურად ამობერილ ძარღვებს, წინამხრების მკრთალ, ხორკლიან კანს, სიფრიფანა, „მაიმუნისებრ“ ყურებსა და გაუპარსავ ილიებს. ის (ჩემი ლოლიტა!) საბოლოოდ დამჭკნარიყო ჩვიდმეტი წლის ასაკში. მუცელში მჯდარი ბავშვი, ალბათ, უკვე ოცნებობდა, ბობოლა კაცი გამოსულიყო და 2020 წელს სამსახურიდან გადამდგარიყო, - მე კი ვუცქერდი, და ცქერით ვერ ვძლებოდი, და ვიცოდი (ისევე მტკიცედ, როგორც ის, რომ მოვკვდები): ლოლიტა ყველაფერზე მეტად მიყვარდა, რაც კი მინახავს, ან წარმომიდგენია ამქვეყნად, ან რის ნახვასაც ვიმედოვნებდი საიქიოში. მისგან იმ ნიმფეტის ოდნავ შესაგრძნობი იისებრი სურნელი თუ ფოთოლცვენის ექოლა დარჩენილიყო, რომელსაც ყვირილით ვაცხრებოდი ხოლმე

წარსულში; ეს ექო გაისმოდა წითელი ხევის ნაპირას, იქ, სადაც თეთრი ცის ქვეშ შორეული ტყე შრიალებდა, ნაკადულის ფსკერი ჩამუქებული ფოთლებით იყო მოფენილი, ხმელ შამბნარში კი ერთადერთი, უკანასკნელი ჭრიჭინა იჯდა... მაგრამ, მადლობა ღმერთს, მარტოოდენ ექოს როდი შევტრფოდი. შეცოდება, რომელსაც ოდესღაც გულის გადახლართულ ლერწებში ვუნანავებდი, mon

grand péché radieux[121], დაპატარავდა და თავის ჭეშმარიტ არსს დაემთხვა: ეს იყო უნაყოფო და ეგოისტური ბიჭი; სწორედ მას ვირეცხდი გულიდან და ვწყევლიდი. შეგიძლიათ, მასხრად ამიგდოთ და სასამართლოს დარბაზიდან გაყვანით დამემუქროთ, მაგრამ სანამ პირში ალიკაპს ამომიღებენ და მომგუდავენ, ყვირილით მოვდებ ქვეყნიერებას ჩემს გულსაკლავ სიმართლეს. ყელში მძვინვარე სურვილი მებჯინება - მინდა, ყველამ გაიგოს, როგორ მიყვარს ჩემი ლოლიტა, ეს ფერმკრთალი და შებღალული ლოლიტა, სხვის ბავშვს რომ ატარებს გულქვეშ. ჯერ ისევ ნაცრისფერთვალეზაა, ჯერ ისევ შავი, გრძელი წამწამები და ოქროსფერი თმა აქვს, ჯერ ისევ დამატრობელი კარმენსიტაა, ჯერ ისევ ჩემია, ჩემი... Changeons de vie, ma Carmen, allons vivre quelque part où nous ne seront jamais séparés.[122] ოჰაიო? მასაჩუსეტის უღრანები? მერი მეი? სულ ერთია, მაინც მეყვარები, თუნდაც ამ თვალეზამ თვეზის თვალეზის სიბეცემდე დაკარგონ მშვენება, კერტები შესივდეს და დასკდეს, ხოლო მშვენიერი, ნორჩი, ხვერდოვანი კოპწია შესართავი წაბილწოს და დახეთქოს მშობიარობამ - მაინც უგონო სინაზით მეყვარება შენი ძვირფასი, გამხდარი სახე, შენი ღრმა, ყმაწვილური ხმა, ჩემო ლოლიტა. „ლოლიტა“, ვუთხარი, „ეს, შეიძლება, უაზრო და უსარგებლოა, მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრა. სიცოცხლე მეტად ხანმოკლეა. აქედან შენს ნაცნობ ძველ ავტომობილამდე ოცი-ოცდახუთი ნაბიჯია. ძალზე ხანმოკლე გასეირნება მოგიწევს. გადაადგი ოცდახუთი ნაბიჯი. და ტკბილად ვიცხოვროთ უკუნისამდე“ „Carmen, voulez vous venir avec moi?“[123] „შენ იმის თქმა გსურს“, მიპასუხა მან, თვალეზი გაახილა და ოდნავ წამოიწია (იერიშისთვის გამზადებული გველი), „იმის თქმა გსურს, რომ ჩვენ (ჩვენ!) ფულს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემ, თუ სასტუმროში დაგნებდები? შენ ამის თქმა გსურს?“ „არა, არა. ვერ გამოიგე. მინდა, რომ მიატოვო შემთხვევითი დიკი და ეს საშინელი ჯურღმული, და ჩემთან გადმოხვიდე საცხოვრებლად - ჩემთან იცოცხლო, ჩემთან დალიო სული, ყველაფერი, ყველაფერი ერთად გადავიტანოთ“ (ნათქვამის ზოგად არსს წარმოგიდგენთ). „არანორმალური ხარ“, მითხრა და ბავშვურად დაიმანჭა. „მოიფიქრე, ლოლიტა. არავითარი განსხვავება არ იქნება, ერთი რამის გარდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს (სიკვდილით დასჯას გავაუქმებ-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ არ ვთქვი). ყოველ შემთხვევაში, უარიც რომ მითხრა, მაინც მიიღებ შენს... მზითევს“. „არ ხუმრობ?“ მკითხა.

პასუხად გადავეცი კონვერტი, რომელშიც იდო ოთხასი დოლარი და ჩეკი სამი ათას ექვსას დოლარზე. ქალმა გაუბედავად, ფრთხილად გამომართვა mon petit cadeau[124] და უცერად შუბლი მომხიბვლელად შეუფაკლდა. „დაიცა“, წარმოთქვა ვაი-ვაგლახით, „შენ ოთხი ათას მონეტას გვამღევ?“ სახეზე ხელები ავიფარე და ავტირდი - ასე ცხარედ არასოდეს მიტირია. ვგრძნობდი, როგორ იღვენებოდა ცხელი ცრემლები თითებს შორის და ნიკაპს მისველებდა, და სუნთქვა შემეკრა, და ტირილს ვერაფრით ვიკავებდი, და მაჯაზე ხელი მომკიდა. „თუ შემეხები, მოვკვდები“, ვუთხარი. „საესებით დარწმუნებული ხარ, რომ არ წამომყვები? ოდნავი იმედი მაინც არ მქონდეს, რომ წამოხვალ? მხოლოდ ამაზე მიპასუხე“. „არა“, მომიგო მან, „არა, ჩემო კარგო, არა“. ჩემს სიცოცხლეში პირველად მომმართა ასე. „არა“, გაიმეორა დოლიმ. „არავითარ შემთხვევაში. კუს უფრო დავუბრუნდები, ვიდრე შენ. საქმე ისაა, რომ...“ როგორც ჩანს, სიტყვები არ ჰყოფინდა. წარმოვიდგინე, რისი თქმა სურდა („...მან გული მომიკლა, შენ მხოლოდ ცხოვრება დამინგრეე“). „რა კარგია“, განაგრძო მან. „უფს! (კონვერტი დივანიდან იატაკზე ჩაცურდა და დოლიმ ის აიღო). „რა არაჩვეულებრივი საქციელია შენი მხრივ... ამდენი ფული! ეს ყველა საკითხს გადაწყვეტს. შეგვიძლია, თუნდაც მომავალ კვირას გავემგზავროთ. ნუ ტირი. გთხოვ! უნდა გამიგო. კიდევ ხომ არ მოგიტანო ლუდი? ოჰ, ნუ ტირი. ვნანობ, რომ ასე გატყუებდი, მაგრამ ახლა ვერაფერს გამოვასწორებ“. სახე და თითები გავიმშრალე. დოლი იღიმებოდა და საჩუქარს უყურებდა. ზეიმობდა. დიკის დამახება უნდოდა. ვუთხარი, რომ მალე უნდა წავსულიყავი და სულაც არ მინდოდა მისი ქმრის ნახვა. შევეცადეთ, სხვა სასაუბრო თემა მოგვეძებნა. რატომღაც განუწყვეტლივ თვალწინ მედგა (ეს სახე სველ ბადურაზე ტოკავდა და აბრეშუმით ეღვარებდა) თორმეტი წლის მწყაზარი გოგონა, ზღურბლზე რომ იჯდა და კენჭებს მარჯვედ ესროდა ცარიელ თუნუქელას. უკვე დავიწყე ლაპარაკი - უმნიშვნელო რეპლიკას ვეძებდი - „ნეტავ, რა დაემართა პატარა მაკ-კუს - გამოჯანმრთელდა თუ არა?...“ - მაგრამ დროზე დავდუმდი. შემეშინდა, რომ დოლი შემესიტყვებოდა: „ნეტავ, რა დაემართა პატარა ჰეიზს?“ ბოლოს იძულებული გავხდი, ფულის პრობლემას დავბრუნებოდი. მისთვის მიცემული ჩეკი წარმოადგენდა დედისეული სახლის გაქირავების შედეგად მიღებულ წმინდა მოგებას. ქალს გაუკვირდა - ეგონა, რომ ის დიდი ხნის წინათ გავყიდე. ჯერ არა-მეთქი, ვუთხარი (თუმცა თავის დროზე ამაში დავარწმუნე, რათა რამზედელთან ყოველგვარი კავშირი გამეწყვიტა). რწმუნებული მალე გამოუგზავნის სრულ ანგარიშს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მდგომარეობა - შესანიშნავია. შეიძლება, სახლი

გვარიან ფასად გაიყიდოს. დედამისის კუთვნილი ზოგიერთი აქცია არაჩვეულებრივად გამვირდა. არა, მართლა ჩემი წასვლის დროა. უნდა წავიდე, ვიპოვო მტერი და მოვსპო. ვიცოდი, რომ მის ამბორს ვერ ავიტანდი. ამიტომ საკმაოდ დიდხანს უკან ვიხევედი (რაც მანერულ ცეკვას წააგავდა), როგორც კი ის და მისი მუცელი მიახლოვდებოდა. დოლიმ და ძაღლმა გამაცილეს. გამიკვირდა (არა, ეს რიტორიკული გამოთქმაა - სულაც არ გამკვირვებია), რომ მასზე არავითარი ზემოქმედება არ იქონია ხილვამ ნაცნობი ავტომობილისა, რომლითაც ამდენი იმოგზაურა ბავშვობისა და ნიმფეტობის ასაკში. მხოლოდ შენიშნა, ზოგ-ზოგან სიბერისგან იისფერი დაჰკრავსო. ვუპასუხე, რომ „სედანი“ მისი იყო, მე კი ავტობუსით წავიდოდი. დოლიმ მთხოვა, სისულელეები არ მელაპარაკა. ისინი თვითმფრინავით გაემგზავრებიან იუპიტერზე თუ იუკონზე და იქ იყიდონ მანქანას; ვუთხარი, რომ ასეთ შემთხვევაში ხუთას დოლარად გამოვისყიდდი „იკაროსს“. „ასეთი ტემპით თუ გავმდიდრდით, მალე მილიონრები გავხდებით!“ მიმართა აღფრთოვანებულმა დოლიმ აქოშინებულ ძაღლს - რომლის წაყვანასაც არ აპირებდნენ. Carmencita, lui demandais-je...[125] „კიდევ ერთ რამეზე უნდა გეაჯო“, ვუთხარი ჩემი აუტანლად გამართული ინგლისურით. „დარწმუნებული ხარ თუ არა, რომ - კარგი, ეს არც ხვალ იქნება და არც ზეგ - რომ ოდესმე, სულ ერთია, როდის, არ ჩამოხვალ ჩემთან საცხოვრებლად? სრულიად ახალ კერპს შევიქმნი და გულგამგმირავი ყვირილით შევწირავ მადლობას, თუკი შენ ამ მიკროსკოპულ იმედს მომცემ“ (ასეთი იყო ზოგადი აზრი). „არა“, მითხრა ღიმილით, „არა“. „უნდა გითხრა, რომ ეს ერთ რამეს შეცვლიდა“, თქვა ჰუმბერტ ჰუმბერტმა. შემდეგ მან პისტოლეტი ამოიღო... მკითხველი, ალბათ, მოელის, რომ ასე „სულელურად“, „ლიტერატურულად“ მოვიქცეოდი. ეს თავშიც არ მომსვლია. „გუდ-ბაი-აი!“ წაიძვრა მან, ჩემმა ამერიკელმა, ძვირფასმა, უკვდავმა, მკვდარმა სიყვარულმა, რადგან ის მკვდარია და უკვდავი, თუ ამ სტრიქონებს კითხულობთ (ვგულისხმობთ ეგრეთ წოდებულ ხელისუფლებასთან ოფიციალურ თანხმობას). გამგზავრებისას მესმოდა, რომ დოლი ძაღზე ხმამაღალი ყვირილით ეძახდა თავის დიკს; ძაღლი, მსუქანი დელფინის მსგავსად, ხტუნვა-ხტუნვით გამოეკიდა ავტომობილს, მაგრამ ბებერი და მძიმე გახლდათ და მალე უკან ჩამომრჩა. დღე კვდებოდა; უკვე გზატკეცილზე მივქროდი ჟუჟუნა წვიმაში და, რა ენერგიულადაც უნდა ესრიალა წინა მინაზე ორ ტყუპისცალს, ჩემს ცრემლებს ვერაფერი შეაშრობდა.

30. კოლუმონტიდან სადამოხანს გავედი („იქს“ - გზატკეცილით - ნომერი არ მახსოვს) და შემემლო, გამთენიისას რამზდელამდე მიმეღწია, გზის შემოკლებას რომ არ დავხარბებოდი. „იგრეკ“ ავტოსტრადაზე უნდა მოვხვედრილიყავი. რუკა უშფოთველად მოწმობდა, რომ სადამო ხანს, ვუდბაინის გავლისას, შემემლო „იქს“ გზატკეცილიდან მოუკირწყლავი განივი გზით ავტოსტრადამდე მიმეღწია. ამ გზაზე ერთი საათის განმავლობაში უნდა მევლო (ორმოცი მილი დამეფარა). წინააღმდეგ შემთხვევაში მომიხდებოდა „იქს“ გზატკეცილზე კიდევ ასი მილის გავლა და მხოლოდ მაშინ გადავინაცვლებდი კლანკილ, ზანტ „ზეტ“ გზატკეცილზე, საიდანაც საჭირო ავტოსტრადაზე მოვხვედებოდი. მაგრამ მოუკირწყლავი გზა სულ უფრო უარესდებოდა, ღრანტეები სულ უფრო ხშირდებოდა, ტალახი სულ უფრო სქელდებოდა და როდესაც ბრმა, ნელი, ჯოჯოხეთურად დამქანცველი გადაადგილების შემდეგ შევეცადე, უკან დავბრუნებულყავი, ჩემი ბებერი, უნიათო „იკაროსი“ ღრმა ტალახში ჩაეფლო. ბნელოდა. ყველაფერი ნესტიან და უიმედობით იყო გამსჭვალული. ჩემი ფარების შუქი წყლით სავსე თხრილს ანათებდა. თავის დაღწევა ვცადე, მაგრამ მანქანის უკანა ბორბლები ჭყაპში ნაღვლიანად აბუყბუყდა. თავბედი დავიწყველე, კოხტა კოსტიუმი გავიხადე, სამუშაო შარვალი, კალოშები და ტყვიებით დაცხრილული სვიტერი ჩავიცვი და ტალახში ოთხი მილი ვიჩანჩალე, სანამ გზისპირა ფერმას მივადგებოდი. კოვისპირულად წვიმდა, მაგრამ ძალა აღარ მეყო, დავბრუნებულყავი და მაკინტოში ამელო. ამგვარმა თავგადასავლებმა დამარწმუნა, რომ ახლახან დადგენილი დიაგნოზების მიუხედავად, არსებითად, ჯანმრთელი გული მქონდა. შუალამისას ხელოსანმა ჩემი მანქანა გამოიხსნა. ვაი- ვაგლახით დავბრუნდი „იქს“ გზატკეცილზე და გზა განვაგრძე. ერთი საათის შემდეგ უკიდურესად დავშვერი. ანონიმურ პაწია ქალაქში ტროტუართან შევჩერდი და წყვდიადში გული ვიჯერე ტკბილი ჯინით, რომელსაც ერთგულ მათარაში ვინახავდი. წვიმა კარგა ხნის გაუქმებული იყო. შავი, თბილი აპალაჩური ღამე იდგა. იშვიათად ვხედავდი ავტომობილებს: შორეულ ლალებს, მოახლოებულ ბრილიანტებს; მაგრამ ქალაქს ეძინა. ტროტუარებზე არ ჩანდა მხიარული ბრბო, ღამდამობით რომ დასეირნობს ხოლმე ტკბილ, მწიფე, დამყაყებულ ევროპაში. მარტოდმარტო ვტკბებოდი უცოდველი ღამის ლმობიერებითა

და ჩემი საზარელი ფიქრებით. ტროტუართან დადგმული მავთულის კალათა მეტისმეტად პუნქტუალური იყო მისაღები ნივთების მიმართ: „ნაგვისა და ქალაღების, მაგრამ არა

ნაყარნუყარისთვის", ეწერა ზედ. ფოტოაპარატების მაღაზიის თავზე ხერხისფერი ასოები ციმციმებდა. აფთიაქის ფრონტონზე უმიზნოდ ეკიდა უზარმაზარი თერმომეტრი, რომელზეც სასაქმებელი წამლის სახელწოდება ეწერა. საიუველირო მაღაზიის ვიტრინა თავს იწონებდა წითელ სარკვეში არეკლილი ხელოვნური ფერადი ქვებით. „მომენტად“ წოდებული სამრეცხაოს ტილოთი შემოსილ სიღრმეში ტივიტივებდა ფოსფორწასმული მწვანეისრიანი საათი; ქუჩის მეორე მხარეს გარაჟი მიღში ბოდავდა, „ავტორი მოკლესო“ (სინამდვილეში - „ავტომობილები“ ეწერა). თვითმფრინავმა გუგუნით გადასერა ხავერდოვანი ცის კამარა. რამდენი ძილქუშით მოცული ქალაქი განვვლე! არც ეს იყო უკანასკნელი. ნება მიბოძეთ, კიდევ ცოტა ხანს უსაქმოდ ვიყიადლო - მტრის ბედ-იღბალი ხომ გადაწყვეტილია. ქუჩის ორივე მხარეს მოციმციმე ნათურების რიტმი ორჯერ ჩამორჩებოდა ჩემი გულისცემის სიჩქარეს. რესტორნის თავზე ყოველ ორ წამში ზურმუხტისფრად ინთებოდა დიდი ყავადნის აბრისი და, როგორც კი ქრებოდა, მის ადგილს მყისვე იკავებდა ვარდისფერი წარწერა: „შესანიშნავი სამზარეულო“, - ამასთან, ყავადანი ჯერ კიდევ ლატენტურად აღიზიანებდა თვალს, სანამ ხელახლა ზურმუხტისფრად აღდგებოდა მკვდრეთით. რენტგენის სურათებს ვიღებდით ხოლმე, ითვლებოდა, რომ ეს ძალზე სასიერო რამ იყო. ლალისფერ- ზურმუხტისფერი ქალაქი „მოჯადოებულ მონადირეთაგან“ არც ისე შორს მდებარეობდა. კვლავ ვქვითინებდი და წარსულის გაუგონარი ამბებით ვიბანგებოდი.

31. კოლმონტსა და რამზდელს შორის (ესე იგი, უმანკო დოლი სქილერსა და ჟოვიალურ მია აივორს შორის) შეეჩერდი და ჩემი საქმის ყველა გარემოებას გადავხედე. უაღრესი სიცხადითა და სიმარტივით წარმომიდგა ჩემი სიყვარულიცა და ჩემი თავიც. ყველა წინანდელი ანალიზი არაზუსტი მეჩვენებოდა. ორიოდ წლის წინათ მეტაფიზიკური ცნობისმოყვარეობა მომეძალა და ჭკვიან, ფრანგული ენის მცოდნე მოძღვარს მივმართე. სწორედ მას ვანდე პროტესტანტის უდიდამო ურწმუნოება და მკურნალობის ძველმოდური პაპისტური კურსი გავიარე. ვიმედოვნებდი, რომ ცოდვის შეგრძნება გამიჩნდებოდა და, შესაბამისად, უზენაესი

მოსამართლის არსებობასაც ვირწმუნებდი. იმ სუსხიან დღეებში, თრთვილის მაქმანით დაფარულ კვებეკში კეთილი აბატი უფაქიზესი სისათუთითა და გაგებით მექცეოდა. უსაზღვრო მაღლიერებას განვიცდი ამ კაცისა და მისი ორგანიზაციის მიმართ. სამწუხაროდ, ვერ ავმალდი იმ მარტივ ადამიანურ ფაქტზე, რომ ვერანაირი სულიერი ნუგეში ან წინასწარ მომზადებული ლითოფანური მარადისობა ვერ აიძულებდა ჩემს ლოლიტას, დაევიწყებინა ყოველივე ველური და ამაზრზენი, რის ატანასაც ჩემი ჟინი აიძულებდა. ჩრდილოამერიკელ მცირეწლოვან გოგონას, დოლორეს ჰეისს ბავშვობა მანიაკმა წაართვა და მე (ისეთს, როგორც ახლა ვარ, გულით ავადმყოფ, წვერმოშვებულ კაცს, რომელსაც უკვე ფიზიკური გახრწნის ნიშნები ეტყობა) ვერავინ დამიმტკიცებს, რომ ამ მანიაკის ქცევას არც ფასი აქვს და არც წონა მარადისობის თვალსაზრისით. და ვინაიდან ამას ვერავინ დამიმტკიცებს (ხოლო თუ ამის დამტკიცება შესაძლებელია, მაშინ სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა უხამსი ფარსი), ამიტომ ტანჯვასაც ვერაფერი შემიმსუბუქებს, კაზმულსიტყვაობის უდიდამო და ძალზე ვიწრო მნიშვნელობის მქონე პალიატივის გარდა. ამ თავს დავასრულე ერთი ძველი და (ალბათ, არარსებული) პოეტის ციტატით: უხამსი ბაჟი ზნეობისა გაშობს ჩვენში, ო, სილამაზის სათუთო გრძნობავ!

32. მახსოვს, ჩვენი პირველი მოგზაურობისას (როდესაც სამოთხის პირველი წრე განვვლეთ) საკუთარი ფანტასმაგორიებით ლაღად დატკბობა მსურდა და ამიტომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღე: ყურადღება არ მიმექცია იმ აშკარა ფაქტისთვის, რომ, ლოლიტას აზრით, მისი სატრფო არ ვიყავი, არც უსაზღვროდ მომხიბვლელი მამაკაცი, ახლო მეგობარი და, საერთოდ, ადამიანიც კი არ გახლდით, არამედ – მხოლოდ ორი თვალი და ერთი ფუტის სიგრძის მსხვილი ფალოსი (თანაც აქ მომყავს მხოლოდ ზრდილობის კუთხით დასაშვები რამეები). ერთხელ, როდესაც წინა დღეს გამორჩენის მიზნით მიცემული წმინდა პრაქტიკული ხასიათის დაპირება გავაუქმე (ჩემს სასაცილო გოგონას, მგონი, მგზნებარედ სურდა საგანგებო პლასტიკატივით მოპირკეთებული საციგურაო მოედნის დათვალიერება თუ კინოში, დღის სენსზე უჩემოდ დასწრება), სააბაზანოდან, ორი სარკისა და გამოდებული კარის წყალობით, თვალი მოვკარი ლოლიტას სახის გამომეტყველებას. ეს იყო სრული უმწეობა, რაც ჭკუასუსუტი

ადამიანებისთვის ჩვეულ უდრტვინველობას წააგავდა. მისი მიზეზი იყო უსამართლობისა და გარკვეული აკრძალვების წინაშე უძლურების შეგრძნება. ეს აწვიპული წარბები და გადახსნილი ბაგეები ბავშვს მიეკუთვნებოდა და ადვილი მისახვედრია, ჟინის როგორმა მოძალეზამ და მეორედ

განცდილმა როგორმა სასოწარკვეთილებამ შემაკავა იმისგან, რომ მის ძვირფას ფეხებთან არ დაფრქვილიყავი, ცრემლები არ დამედვარა, - და ჩემი ეჭვიანობა მსხვერპლად არ შემეწირა იმ უცნობი სიამოვნებისთვის, რომელსაც ლოლიტას მიაწიქებდა ბინძურ და საშიშ ბავშვებთან ურთიერთობა გარესამყაროში, რომელიც მას ჭეშმარიტ სამყაროდ მიაჩნდა. ნახევრად მოგუდული ზოგიერთი მოგონება განუვითარებელ ურჩხულს წააგავს და გულს მიღრღნის. ერთხელ, როდესაც ბერდსლესის ქუჩას ჩამავალი მზის სხივები ეფინებოდა, მან რაღაცა უთხრა პატარა ევა როზენს (ორივე ნიმფეტი კონცერტზე მივიყვანე და სალაროსთან შეგროვილ ხალხში მათთან ისე ახლოს ვიდექი, რომ განუწყვეტლივ ვეჯახებოდი). გავიგონე ევას ნათქვამი, სიკვდილი მირჩენია მილტონ პინსკისთან (ნაცნობ გიმნაზიელთან) შეხვედრასა და მუსიკის შესახებ მისი მსჯელობის ატანასო. ამაზე ლოლიტამ არაჩვეულებრივად მშვიდად და სერიოზულად უპასუხა: „იცი, სიკვდილის საშინელება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ბედის ანაბარა მიგდებულა“; აცახცახებული ფეხები ავტომატურად გადავდგი - განმაცვიფრა იმან, რომ არაფერი ვიცოდი ჩემთვის ესოდენ საყვარელი გოგონას შინაგანი სამყაროს შესახებ. იქნებ (სანამ ჩემს კონკრეტულ უბადრუკი სპაზმებით ვბილწავდი) მოზარდებისთვის ჩვეული აუტანელი შტამპების მიღმა ვერ შევამჩნიე აყვავებული ბაღი, და ბინდბუნდი, და სასახლის კარიბჭე - ჩემთვის მიუწვდომელი, დანისილი, მომაჯადოებელი მხარე; ჩვენ ხომ, რასაც ხშირად ვამჩნევდი, აბსოლუტური ბოროტების განკერძოებულ საუფლოში ვიმყოფებოდით და ძალზე გვიჭირდა ბაასი განყენებულ საკითხებზე (რაზეც უნდა ესაუბრათ ლოლიტასა და მის უფროს მეგობარს, ლოლიტასა და მის მშობელს, ლოლიტასა და მის ნორმალურ სატრფოს, მე და ანაბელას, ლოლიტასა და სუბლიმირებულ, გალოკილ, გაანალიზებულ, გაღმერთებულ ჰაროლდ ჰეისს), მაგალითად, ხელოვნებაზე, პოეზიაზე, ჰოპკინსისეული კალმახის ფორეჯებზე, ბოდლერის გადაპარსულ თავზე, ღმერთზე, შექსპირზე და, საერთოდ, ნებისმიერ ჭეშმარიტ საგანზე. ნურას უკაცრავად! გოგონა თავის უმწეობას იაფფასიანი უტიფრობისა და მოჩვენებითი მოწყენის ჯავშნით იცავდა; მე კი საცოდავ მეცნიერულ კომენტარებს იმგვარი ყალბი კილოთი ვღაღადებდი, რომლისგანაც თვითონვე მტკივდებოდა უკანასკნელი დარჩენილი კბილები, ხოლო ჩემს აუდიტორიაში უხეშობის იმგვარ აფეთქებებს ვიწვევდი, რომ საუბრის გაგრძელება შეუძლებელი ხდებოდა. ო, ჩემო ბედშავო,

გაწამებულ გოგონავ! მიყვარდი. ხუთფეხა ურჩხული ვიყავი, მაგრამ მიყვარდი. ულმობელი, სულმდაბალი არსება ვიყავი, *mais je t'aimais, je t'aimais!*[126] ზოგჯერ ვხვდებოდი, რას გრძნობდი და ამისგან უზომოდ ვიტანჯებოდი, ჩემო შვილიკო, ჩემო პატარა ლოლიტა, მამაცო დოლი სქილერ... მახსოვს ისეთი წუთებიც - მათ სამოთხისეული აისბერგები დავარქვათ - როდესაც ლოლიტათი გულმოყვრებულს, საარაკო, გაუსაძლისი შრომისგან გათანჯულს, სხეულზე ლაყვარდისფერი შუქის ზოლი მეფინებოდა და გოგონას ადამიანური (ბოლოს და ბოლოს) ალერსითა და კვენსით ვეხვეოდი.

მოტელის ეზოდან ქალუზში შემოჭრილ ნეონის სხივში ლოლიტას კანი უბზინავდა, ნახშირივით შავი წამწამები ურთიერთს შესწებებოდა, უნდელი ნაცრისფერი თვალები ჩვეულებრივზე უფრო უხალისოდ იმზირებოდნენ. ის ძალზე წააგავდა სერიოზული ოპერაციის შემდეგ ჯერ კიდევ ნარკოზით გაბრუებულ პატარა პაციენტს; და სინაზის ნაცვლად, სირცხვილითა და შიშნეულობით ვიგვემებოდი, და ვუყვავებდი, და ვუნანავებდი ჩემს მარმარილოს მკერდზე მწოლარე ობოლ პაწაწინა ლოლიტას, და ვხვენეშოდი, და გოგონას თბილ კულულებს სახით ველამუნებოდი, და მთელ სხეულზე ვეფერებოდი, და, ღირვივით, პატიებას ვითხოვდი, და ამ ტანჯვით აღსავსე უსახდერო სინაზის მწვერვალზე (როდესაც ჩემი სული თითქოს მის სიშიშვლეს თავს დასტრიალებდა და მონანიებისთვის ემზადებოდა), უეცრად, ამაზრზენი ირონიით ხელახლა მეძალეებოდა წადილი... „აჰ, არა!“ - ამბობდა ოხვრით ლოლიტა, თვალებს ცისკენ აღაპყრობდა, და მომდევნო წუთში სინაზეცა და ლაყვარდისფერი სხივიც სადღაც უჩინარდებოდნენ. მამისა და მისი ასულის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ჩვენი თანამედროვე წარმოდგენები დიდადაა შებღალული სქოლასტიკური აბდაუბდითა და ეგრეთ წოდებული ფსიქოანალიტიკური „სკოლის“ ყალბაზანდური სტანდარტიზებული სიმბოლოებით; ამასთან, ვიმედოვნებ, ქვემოთ ეპიზოდს მკითხველი მიუკერძოებლად აღიქვამს: ერთხელ ლოლიტას მეგობრის (ფუნჩულა ავის ჩაპმანის) მამამ ავტომობილის ხმამაღალი სიგნალით ქუჩიდან მიაწიქა თავის უსახურ ქალიშვილს, რომ მის წასაყვანად მოსულიყო. თავი ვალდებულად ჩავთვალე, ეს კაცი სასტუმრო ოთახში მიმეწვია; ერთი წუთით ჩამოჯდა, ჩვენი საუბრის განმავლობაში ავისი ეფერებოდა მამამისს, ბოლოს კი მიმიმედ დაუჯდა მუხლებზე. სხვათა შორის, არ მახსოვს, ზემოთ აღვნიშნე თუ არა, უცხო პირებისთვის ლოლიტას მეტად მომხიბვლელი ღიმილი ჰქონდა შემონახული, - ხშირი წამწამებით დაჩრდილულ, მოჭუტულ თვალებსა და მთელ სახეს საყვარელი, მეოცნებე გამომეტყველება უსხივოსნებდა. ეს

დიმილი, რა თქმა უნდა, არაფერს ნიშნავდა, მაგრამ იმდენად მშვენიერი, თავისებური და კდემამოსილი იყო, რომ ძნელი იქნებოდა მისი ახსნა ატავიზმით, მაგიური გენით, რომელიც გოგონას სახეს, მისდა უნებლიეთ, ანათებდა მისალმების უძველესი წესის (სტუმართმოყვარე პროსტიტუციის, იტყვის უხეში მკითხველი) ნიშნად. ლოლიტა მოშორებით იდგა. მისტერ ჩაპმანი მესაუბრებოდა და ქუდს ხელეზში ატრიალებდა. შემდეგ კი - ოჰ, შეხეთ, რა მომივიდა, არ აღვნიშნე ლოლიტას დიმილის უმთავრესი თავისებურება, კერძოდ, ის, რომ ნექტარივით ტკბილი ციმციმი არასოდეს იყო მიმართული სტუმარზე; ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი, შორეული, უკაცრიელ წალკოტით ტკბებოდა ან შემპარავად აცეცებდა თვალეზს შემთხვევით საგნებზე. ახლაც ასე იყო. იმ წუთს, როდესაც ჩათქვირული ავისი მამიკოსთან მივიდა და ამ უკანასკნელმა ქუდის ტრიალი შეწყვიტა, ლოლიტა წყნარად იდგა, მაგიდის კიდეზე დადებულ დანას ათვალეზებდა და სინჯავდა. ჩემგან შორს, შორს იდგა. ავისმა ახლა მამამისს კისერსა და ყურზე წაავლო ხელი და მისტერ ჩაპმანი ჩვეულებისამებრ მიეფერა ტლანქსა და ჩასუქებულ შვილს. უეცრად შევნიშნე, რომ ლოლიტას დიმილი თანდათან ჩაიფერფლა და დიმილის გაყინულ აჩრდილად გადაიქცა, და ხილის დანა ჩამოსრილად მაგიდიდან, და ვერცხლის ტარით კოჭზე ისე მტკივნეულად დაეცა, რომ ლოლიტამ დაიკვნესა, მოიკუნტა და შემდეგ ასკინკილით ახტუნავდა

(სახე იმ საშინელმა გრიმსამ დაუმაწა, ბავშვის დაბრეცილ ტუჩებზე რომ ყოვნდება ხოლმე ტირილის წინ) და ოთახიდან გავარდა. მას სამზარეულოში გაჰყვა და ნუგეშისცემას შეუდგა გულჩვილი ავისი, რომელსაც ჰყავდა ასეთი შესანიშნავი, ტანსრული, ვარდისფერი მამა, და პატარა მსუქანლოყება მამიკო, და ახლახან დაბადებული დაიკო, და ორი შოტლანდიური ნაგაზი, და ჰქონდა მყუდრო ოჯახური კერა, ლოლიტას კი არაფერი ჰქონდა. ამ სცენის დახვეწილი დამატებაც გავამზადე. ბერდსლეიში ვართ, ლოლიტა, წიგნით ხელში, ბუხარს მისჯდომია, იზმორება, ოხრავს და მეკითხება: „მანც სად დაკრძალეს?“ „ვინ?“ „ოჰ, შენ კარგად იცი, ვინც - ჩემი მოკლული დედა...“ „შესანიშნავად იცი, სადაცაა მისი საფლავი“, ვუპასუხე თავდაჭერილად და სასაფლაო დაფუსახელე - რამზდელის ახლოს, რკინიგზასა და იმ ბორცვს შორის, საიდანაც ტბა მოჩანს. „გარდა ამისა“, დავუმატე მე, „საჭირო არაა დედაშენის შემთხვევითი სიკვდილის ტრაგედიის გაუხამსება იმ ეპითეტით, რომელიც შენ გამოიყენე. და თუ მართლაც გსურს საკუთარ თავში სიკვდილის იდეის დამლევა...“ „გააბა ისევე აჭია-ბაჭია“, წარმოთქვა ლოლიტამ და ოთახიდან გავგომანდა. თვალცრემლიანი დიდხანს ვუშხერდი ცეცხლს, შემდეგ იატაკიდან ავიღე მისი წიგნი. ეს იყო მოზარდებისთვის განკუთვნილი უნიჭო აბდაუბდა. უკარება პატარა მარას არ ეგონა, რომ მისი დედინაცვალი ხალისიანი, გულისხმიერი, წითური ახალგაზრდა ქალი იქნებოდა. მან განუმარტა მარას, რომ გოგონას დედამ გმირული საქციელი ჩაიდინა, რადგან განზრახ არავითარი სიყვარული არ გაუმჟღავნებია სათაყვანო შვილის მიმართ. გმირი დედა უკურნებელი სენისგან კვდებოდა და არ სურდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ გოგონას მონატრებოდა. ჩემს ადგილას სხვა კაცი ყვირილით გაექანებოდა ლოლიტასთან; მე კი ყოველთვის ჩაურევლობის ზნეობრივ ჰიგიენას ვამჯობინებდი. მაგრამ ახლა, როდესაც ჭიასავით ვიკლაკნები და წარსულს ვჩხიბავ, მაგონდება, რომ არასოდეს ვაქცევდი ყურადღებას ლოლიტას მდგომარეობას, რათა ფლიდი ჰუმბერტის სიმშვიდე არ დამერღვია. წვიმით გაწუწული დედაჩემი, შემოწოლილ ბურუსში დროდადრო ელვის სხივი რომ ანათებდა (ასე წარმომედგინა მისი სიკვდილი) ქოშინით არბოდა მოლინეტოს თავზე აღმართული მთის თხემზე; სწორედ იქ იმსხვერპლა მეხმა. მაშინ ჩვილი ბავშვი ვიყავი და შემდეგში ვერ მოვახერხე მეგრძნო ობოლთა საყოველთაოდ აღიარებული დარდის ნასახიც კი, თუმცა გვიანდელი დეპრესიის პერიოდში ფსიქოთერაპისტები უღმობლად მიფათურებდნენ ხელეზს სულში. ამასთან, ესოდენ ძალუმი წარმოსახვით დაჯილდოებული ადამიანი ვერ დაიმოწმებს საერთო-ადამიანური ემოციების უცოდინრობას. შესაძლოა, აგრეთვე, რომ ზედმეტად მივენდე შარლოტასა და მისი ქალიშვილის არანორმალურად გულცივ ურთიერთდამოკიდებულებას. მაგრამ მთელი ამ პრობლემის საშინელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩემს შაბლონურ ლოლიტას ჩვენი გაუგონარი, უზნეო თანაცხოვრების განმავლობაში თანდათან ჩამოუყალიბდა შეხედულება იმის შესახებ, რომ თვით ყველაზე უიღბლო ოჯახური ყოფა ბევრად სჯობდა სისხლის აღრევის პაროდიას - უსახლკარო გოგონას კი ამაზე უკეთესს ვერაფერს მივცემდი.

33. რამზდელში დაბრუნება. ქალაქს ტბის მხრიდან ვუახლოვდებოდი. მზიან შუადღეს თვალეზი დაექყიტა: მტვრიანი ავტომობილიდან ფიჭვებს შორის ვხედავდი ალმასივით მოციმციმე ნაპერწკლებს. სასაფლაოსკენ შევუხვიე, მანქანიდან გადმოვედი, სხვადასხვა კალიბრის ბეგლებს შორის გავისეირნე. Bonjour, Charlotte! [127] ზოგიერთ საფლავში ჩარჭობილი ნახევრად გამჭვირვალე ეროვნული აღმები უძრავად გაშემებულიყო კვიპაროსების უქარო ჩრდილში. ეჰ, ედ,

ბედი არ გწყალობს-მეთქი, გავიფიქრე ედუარდ გრამარის შესახებ. ეს იყო ნიუ-იორკში კანტორის მფლობელი ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის კაცი, რომელიც ახლახან დააპატიმრეს მისი ცოლის, დოროთეას მკვლელობის ბრალდებით. ედმა იდეალური ბოროტმოქმედება ჩაიფიქრა - ცოლს თავი გაუტეხა და გვამი ავტომობილის საჭესთან დასვა. რაიონის საგზაო პოლიციის ორმა ჩინოვნიკმა შორიდან დაინახა, რა დამთხვეული სისწრაფით ჩაგორდა დაღმართზე გრამარის მიერ ცოლისთვის დაბადების დღის აღსანიშნავად ნაჩუქარი დიდი, ახალი, ლურჯი „კრაისლერი“ (ღმერთმა დაიცვას ჩვენი მხნე პოლიციელები). მან გვერდი გაჰკრა ბოძს, აფრინდა ფხიანი ბალახით, მარწყვითა და მცოცავი ფოთლებით დაფარულ მიწაყრილზე და გადაბრუნდა. ბორბლები ჯერ კიდევ ტრიალებდა მზის გულზე, როდესაც პატრულებმა ქალბატონი გრამარის სხეული ამოათრიეს. თავდაპირველად მოეჩვენათ, რომ ქალი ჩვეულებრივი ავარიის შედეგად დაიღუპა. საუბედუროდ, მისი სიკვდილის გამომწვევი ჭრილობები არ შეესაბამებოდა ავტომობილის მსუბუქ დაზიანებას. მე უფრო მარჯვედ მოვიქეცი. გზა განვაგრძე. უცნაური გრძნობები აღმიძრა თეთრი ტაძრის ვიწრო კოშკმა და ვეებერთელა თელამუშებმა. დამავიწყდა, რომ ამერიკულ გარეუბნებში ქვეითად მარტო მოსიარულე კაცი მეტ ყურადღებას იქცევს, ვიდრე მარტოხელა ავტომობილისტი. მანქანა ბულვარზე დავტოვე და ლოუნ-სტრიტზე ჩავისეირნე, 342-ე ნომრის გასწვრივ. მომავალი დიდი სისხლისღვრის წინ უფლება მქონდა, ცოტათი დამესვენა და მოგონებებით გამოწვეული ჟრუანტელით დავმტკბარიყავი. გადამდგარი მეძველმანის სახლის თეთრი დარბები მიეხურათ. ტროტუარის მახლობლად ჩარჩობილ ჭოკზე შევნიშნე აბრა „იყიდება“, რომელზეც ვიღაცას თმის შავი ლენტის ჩამოეკიდებინა. აბეზარი ძალი ადარსად ჩანდა. შეზალე არავის ურეკავდა. ავადმყოფი მოხუცი ვიზავი აღარ იჯდა ვაზის ფოთლებით დაჩრდილულ ვერანდაზე. აქ ორმა ახალგაზრდა ქალმა, რომელთაც შეკრული თმა კუდებივით ეკიდათ და ერთნაირი შავკობლებიანი წინსაფრები ეკეთათ, ვერანდის დალაგებას თავი მიაწვებდა. ისინი მარტოხელა გამვლელს მიაჩერდნენ. დედაბერი, ალბათ, კარგა ხნის წინათ მიიცვალა, ესენი კი მისი ფილადელფიელი დისწულები იქნებოდნენ.

შევიდე თუ არა ჩემს ყოფილ სახლში? სასტუმრო ოთახის ღია ფანჯრიდან (ტურგენევის რომანში აღწერილი ამბის მსგავსად) იტალიური მუსიკა იღვრებოდა; რომელი რომანტიკული არსება უკრავდა როიალზე იქ, სადაც არავითარი კლავიშები არ ადი-ჩამოდოდა იმ გრძნობით შეკრულ კვირადღეს, როდესაც მზე ელაციცებოდა ლოლიტას შიშველ ფეხებს? ანაზღად შევნიშნე, რომ ჩემ მიერ ოდესღაც გაკრეჭილი გაზონიდან მზემოკიდებული, შავთმიანი, თეთრტრუსიანი ათიოდ წლის ნიმფეტი მომჩერებოდა. დიდრონი შავ-მოლურჯო თვალების მონუსხულ მზერაში რაღაც უცნაური გამოკრთოდა. ორი-სამი სააღერსო, სრულიად უწყინარი სიტყვა ვუთხარი, - ეს იყო ძველმოდური ქათინაური, მგონი, რა ლამაზი თვალები გაქვს-მეთქი, მაგრამ მან სასწრაფოდ უკან დაიხია, და მუსიკა შეწყდა, და მეტად ფიცხი, შავთმიანი, გაოფლილი მამაკაცი ბაღში გამოვარდა და თავხედურად მომაშტერდა. მინდოდა, მისთვის თავი გამეცნო, მაგრამ მძაფრი სირცხვილით (სიზმარს რომ სჩვევია) შევამჩნიე ჩემი თიხით დასვრილი ლურჯი სამუშაო შარვალი, და ბინძური, დაგლეჯილი სვიტერი, მოვისინჯე გაუპარსავი ნიკაპი და ვიგრძენი, რომ ჩასისხლიანებული თვალებით, არამზადას თვალებით ვიმზირებოდი... უსიტყვოდ შევეტრიალდი და ავტომობილისკენ გავემართე. ტროტუარის იმ სამახსოვრო ნაპრაღში ასტრის მსგავსი მჭკნარი პატარა ყვავილი ამოსულიყო. არხეინად გაცოცხლებული მისს ვიზავი დისწულებმა ვერანდაზე ისე გამოაგორეს, თითქოს ეს ვერანდა ლოჟას წარმოადგენდა, მე კი მსახიობი ვიყავი. უხმოდ ვევედრებოდი, არ დაემახა ჩემთვის და ნაბიჯს ავუჩქარე. რა ციკაბო ქუჩა იყო! ბულვარის მუქ ჩრდილს შევაფარე თავი. აკრძალულ ადგილას შეჩერებისთვის ჯარიმის აღმნიშვნელი წითელი ბილეთი პოლიციელს ერთ-ერთ მინასაწმენდის ქვეშ ამოედო. ეს ბილეთი გულმოდგინედ დავაქუცმაცე ორ, ოთხ, რვა ნაწილად. გავბრაზდი, რომ დროს უქმად ვვარგავდი და სწორედ იმ სასტუმროს მივაშურე, რომელსაც ხუთი წლის წინ ახალი ჩემოდნით ვეწვიე. აბაზანიანი ოთახი ვიქირავე, ტელეფონით ორი - საქმიანი და სამედიცინო - პაემანი დავნიშნე, პირისახე გავიპარსე, ვიბანავე, შავი კოსტიუმი ჩავიცვი და ბარში ჩავედი. იქ ყველაფერი ძველებურად იყო. ვიწრო დარბაზს კვლავ მქრქალი, მოწისფერი, აუტანელი შუქი ანათებდა. ევროპაში ამგვარ განათებას მხოლოდ საროსკიპოში თუ ნახავთ, აქ კი, რიგიან, „საოჯახო ტიპის“ ოტელში ის, უბრალოდ, „განწყობილებას წარმოქმნიდა“. იმავე მაგიდას მივუჯექი, რომელთანაც რამზდელში ჩემი ცხოვრების პირველ დღეს ვიჯექი, იმ დღეს, როდესაც შარლოტას მდგმური გავხდი, ახალმოსახლეობის აღსანიშნავად მასთან ერთად ნახევარი ბოთლი შამპანური დავლიე და საბედისწეროდ დავიპყარი ქალის საბრალო, გრძნობით აღსავსე გული. მრგვალსახიანი ლაქია ახლაც ასტრალური სქემის მიხედვით ანაწილებდა ხერესით გავსებულ ორმოცდაათ სირჩას საქორწინო წვეულებისთვის განკუთვნილ დიდ სინზე (მურფი ამჯერად ფანტაზიაზე დაქორწინდა.) სამს რვა წუთი აკლდა. ჰოლი გავიარე და იძულებული

გავხდი, გვერდი ამეკცია მანდილოსანთა ჯგუფისთვის, რომლებიც mille grâces[128]-ით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს კლუბში გამართული საუზმის შემდეგ. ერთ-ერთი მათგანი მისალმების გამომხატველი ყაშყაშით მეცა. ეს იყო ჩაგოდრებული, ტანდაბალი, რუხ ტანისამოსში გამოწყობილი ქალი; ქუდი რუხი ფრთით შეემკო. მისის ჩატვილდი შევიცანი. დათაფლული ღიმილით მომვარდა, ბოროტი ცნობისმოყვარეობით იწვოდა (დოლის ისევე ხომ არ მოვექეცი, ორმოცდაათი წლის

ფრანკ ლასალი რომ მოექცა სალი ჰორნერს 1948 წელს?). ეს ხარბი სიძულვილი მყისვე მოვთოკე. მას ეგონა, რომ კალიფორნიაში ვცხოვრობდი. როგორაა...? დახვეწილი სიამოვნებით ვუპასუხე, რომ ჩემი გერი ეს-ესაა, გათხოვდა ბრწყინვალე ახალგაზრდა სამთო ინჟინერზე, რომელიც მთავრობის დავალებას ასრულებს ჩრდილო-დასავლეთის ერთ-ერთ შტატში. მოულოდნელობისგან დაბნეული ქალი შემესიტყვა, რომ არ მოსწონს ასეთი ნადრევი ქორწინებები, რომ არასოდეს მისცემდა ნებას ფილისს, რომელიც ახლა თვრამეტი წლისაა... „დიახ, რა თქმა უნდა“, ვუთხარი დინჯად. „რა თქმა უნდა, მახსოვს ფილისი. ფილისი და ბანაკი „კუდრაჰა“. დიახ, რა თქმა უნდა. ჰო, მართლა, თქვენს ქალიშვილს არასოდეს მოუყოლია, როგორ რყენიდა ჩარლი ჰოლმის თავისი ბილწი დედის პანსიონერ პატარა გოგონებს?“ „გრცხვენოდეთ“, შეჰყვირა მისის ჩატვილდმა. „გრცხვენოდეთ, მისტერ ჰუმბერტ! საწყალი ბიჭი ახლახან მოკლეს კორეაში“. „მართლა?“ ვკითხე მე (სიზმრებისთვის დამახასიათებელი საკვირველი თავისუფლებით), „რა ბედი ჰქონია! საწყალი ბიჭი არღვევდა უსათუთეს, საოცრად აღუდგენელ აპკებს, გველის გესლს ანთხევდა - და არაფერი, ბატონკაცურად ცხოვრობდა, სიკვდილის შემდეგ ორდენიც კი მიიღო. თუმცა, უკაცრავად, ადვოკატთან მაგვიანდება“. ვინდმიულერის კანტორამდე სულ ორი კვარტალი იყო გასავლელი. ადვოკატმა ძალზე დინჯად, ძალზე საფუძვლიანად, ძალზე მაგრად ჩამომართვა ხელი. ამასთან, თითქოს უსიტყვოდ რაღაცას მეკითხებოდა. ეგონა, რომ კალიფორნიაში ვცხოვრობდი. ერთხანს ბერდსლეის უნივერსიტეტში ხომ არ ვასწავლიდი? იქ, ეს-ესაა, სწავლა დაიწყო მისმა ქალიშვილმა. როგორაა?... მე სრული ანგარიში ჩავაბარე მისის სქილერის შესახებ. საქმიანმა საუბარმა მეტად სასიამოვნოდ ჩაიარა. მთელი ჩემი ქონება ლოლიტას სახელზე გადავაფორმე და, უზრუნველი ბოგანო, სექტემბრის ცხელ დღეს გარეთ გამოვედი. საქმეები მოვამთავრე და შემემლო, მთლიანად მივცემოდი რამზდელში ჩამოსვლის მთავარ მიზანს, აქამდე ჩემი სამაყო თვისების - მეთოდურობის გამო ნიღაბს არ ვხსნიდი კლერ კუილტის; ის ჩემი წარმოსახვის ხაროში იჯდა და ელოდა, როდის ვესტუმრებოდი კულტის მსახურისა და დალაქის თანხლებით: „Réveillez-vous, Tropman, il est temps de mourir!“[129] ახლა არა მცალია და ვერ განვიხილავ სახეების დამახსოვრების პრობლემას (ბიძამისისკენ მივეშურები, სწრაფი ნაბიჯით მივდივარ); მაგრამ თავს ნებას მივცემ, აღვნიშნო შემდეგი: მღვრიე მეხსიერების სპირტში ერთი გომბეშოსმაგვარი სახე შემოვინახე. მას რამდენჯერმე მოვკარი თვალი და მიახლოებით მივამსგავსე ჩემს გულმხიარულ და საკმაოდ უსიამოვნო ნათესავს, რომელიც შვეიცარიაში ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა. მახსოვს მისი ჰანტელები, მყრალი ტრიკო, მსხვილი, ბანჯგვლიანი ხელები, მელოტი თავი და ღორის მსგავსი მოახლე-მხევალი, - მაგრამ, საერთოდ, ეს აუტანელი ვაცი საკმაოდ უწყინარი იყო, რის გამოც ჩემს მომავალ მსხვერპლთან ვერ გავაიგივებდი. გონების მაშინდელ უცნაურ მდგომარეობაში დავკარგე კავშირი გუსტავ ტრაპის ხატებასთან; ის მთლიანად შთანთქა დრამატურგ კლერ კუილტის

სახემ, მხატვრული სიზუსტით რომ იყო წარმოდგენილი პაპიროს „დრომადერის“ რეკლამისა და ბიძამისის საწერ მაგიდაზე დადგმულ საკაბინეტო ფოტოსურათზე. თავის დროზე, როდესაც ბერდსლეელი კბილის ექიმის, ძალზე სიმპათიური დოქტორ მოლნარის პაციენტი გახლდით, სერიოზული ოპერაცია გადავიტანე, რის შედეგადაც წინა კბილები მომაკლდა. ხარვეზების შემავსებელი ხელოვნური კბილები პლასტიკატის ფირფიტებითა და ზედა ღრძილზე გამავალი შეუმჩნეველი მავთულის საშუალებით იყო დამაგრებული. ეს პროთეზი ნამდვილი შედეგრი გახლდათ, მით უმეტეს, რომ გვერდითი კბილები სრულიად სადი მქონდა. ამასთან, იდუმალი ჩანაფიქრის დამაჯერებელი საბაბით აღჭურვის მიზნით, ექიმ აივორ კუილტის განვუცხადე, რომ პირისახის ნევრალგიის გასაყუჩებლად ყველა კბილის ამოღება მსურდა. რა დამიჯდება აპარატი? რამდენ დროს დაიკავებს ეს ოპერაციები, თუ ექიმი პირველ ვიზიტს, ვთქვით, ნოემბრის დასაწყისში დამინიშნავს? სად იმყოფება ახლა მისი სახელგანთქმული ძმისწული? შესაძლებელია თუ არა ყველა კბილის ერთბაშად ამოძრობა? ექიმ აივორ კუილტის, თეთრ ბალახონში ჩაცმულ ჩასუქებულ კაცს, პოლიტიკან-მასონის მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა თმა და ბრტყელი, ფართო ლოყები ჰქონდა. ის საწერი მაგიდის კიდზე ჩამოჯდა; ცალ ფეხს მეოცნებედ და მაცდუნებლად

აქნევდა, თან ჩემ წინაშე ავითარებდა გრანდიოზულ, შორსმჭვრეტელურ გეგმას. მითხრა, რომ თავდაპირველად გამიკეთებდა წინასწარ აპარატს და ღრძილების შეხორცებამდე ის უნდა მეტარებინა. შემდეგ პერმანენტულ პროთეზს გაამზადებდა. კარგი იქნებოდა, ახლავე დაეთვალე რეზინა ჩემი პირის ღრუ. ექიმი ორჯერ ფეხსაცმელს ატარებდა. „არამზადა“ 1946 წლიდან არ ენახა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მისი ნახვა შეიძლებოდა საგვარეულო სასახლეში, გრიმის ქუჩაზე, პარკინგტონის გარეუბანში. ხელოვანი დანტისტის ოცნებამ ფრთები შეისხა. ფეხი ქანაობდა. მზერა შთაგონებით ბრწყინავდა. ყველაფერი ექვსასი დოლარი დამიჯდება. ის მთავაზობდა, ახლავე აელო საჭირო ზომები წინასწარი პროთეზისთვის. ჩემი პირი ფასდაუდებელი საგანძურით სავსე ჯადოსნურ მღვიმედ ესახებოდა, მაგრამ შიგ არ შევუშვი. „არა“, ვუთხარი მე. „გადავიფიქრე“, ყოველივე ამას ექიმი მოლნარი გამიკეთებს. მისი ფასები უფრო მაღალია, მაგრამ როგორც დანტისტი ის, რა თქმა უნდა, თქვენზე გაცილებით უკეთესია“. არ ვიცი, ოდესმე მოუხდება თუ არა ჩემს მკითხველს ამგვარი ფრაზის წარმოთქმა. ქალბატონ ჩატვილდთან საუბრისას უკვე განვიცადე სიზმარეული თავისუფლების განსაცვიფრებელი შეგრძნება. ჩემი კლერის ბიძა მაგიდაზე იჯდა, სახეზე ჯერ კიდევ მეოცნებე გამომეტყველება ეფინა, მაგრამ ფეხი აღარ არწევდა ვარდისფერი იმედების აკვანს. სამაგიეროდ, მდივანმა, ფერმკრთალმა, მჭლე ქალიშვილმა, რომელსაც უიღბლო ქერა ქალებისთვის დამახასიათებელი ტრაგიკული თვალები ჰქონდა, ყველაფერი გაიგონა და გამომეკვიდა, რათა ჩემ ზურგს უკან კარის მიჯახუნება მოესწრო.

მჭიდვ სახელურში ჩატენეთ. ხელი დააჭირეთ, სანამ გაიგებთ ან იგრძნობთ, როგორ ჩაჯდება სასხლეტი. დამატობლად მკვიდრად. ტევადობა: რვა ვაზნა. ყორნისფერი ელვარება. მტანჯველად მზადაა განმუხტვისათვის.

34. პარკინგტონის პირველსავე ბენზინგასამართ სადგურში ძალზე მკაფიოდ ამიხსნეს, როგორ მიმეგნო გრიმის ქუჩისთვის. მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ კუილტის შინ მივუსწრებდი და დარეკვა ვცადე, მაგრამ ტელეფონი ახლახან გამოეთიშათ. იქნებ სადმე გაემგზავრა? მივაშურე მის სახლს, რომელიც ქალაქიდან თორმეტი მილის დაცილებით (ჩრდილოეთის მიმართულებით) მდებარეობდა. ამ დროისთვის ლანდშაფტის უმეტესი ნაწილი ღამემ წაშალა და როდესაც ვიწრო, კლაკნილ გზატკეცილს დავადექი, რეფლექტორიანი თეთრი ბომბები ჩემსავე შუქს დამეესხნენ, რათა გზის ესა თუ ის მოსახვევი გაენათებინათ. ცალ მხარეს ბუნდოვნად მოჩანდა მდინარის ველი, მეორე მხარეს კი მთების ტყიანი კალთები ილანდებოდა. მრუმე წყვილიდან ფარვანები უსახლკარო ფიფქებით მოფარვატებდნენ ჩემი ფარების ცნობისმოყვარე შუქისკენ. როგორც გამაფრთხილეს, მეთორმეტე მილზე დავინახე უჩვეულო, ვერმონტული ყაიდის გადახურული ხიდი, რომელიც შალითასავით გადამეფარა. მის მარჯვენა მხარეს შეეთერებული კლდე შევამჩნიე; რამდენიმე საჟინის შემდეგ კი მარჯვნივ, ხრეშიან გზაზე გავუხვიე. ეს იყო „გრიმის ქუჩა“. ორი-სამი წუთის განმავლობაში ნესტიან, ბნელ, უღრან ტყეში მივსრიალებდი. ბოლოს მრგვალ ველობზე ამოიზარდა საშინელებათა სასახლე, უზარმაზარი, კოშკიანი ხის შენობა. ფანჯრებში წითელ-ყვითელი შუქი ენთო, ხოლო მისასვლელი ხეივანი ექვსი მანქანით იყო გაჭედული. ხეების საფარქვეშ შევჩერდი, ფარები ჩავაქრე და მომდევნო სვლისთვის მოვემზადე. ბატონი კუ, ალბათ, თავისი დამქაშებითა და ჰეტერებით იქნებოდა გარშემორტყმული. ჩემდა უნებურად ვხედავდი ამ საზეიმოდ განათებული და ძალზე მოუვლელი შატოს შიდა მორთულობას. ლოლიტას ერთ-ერთ იაფფასიან ჟურნალში გამოქვეყნებულ მოთხრობაში - „სიყრმის მღელვარე განცდები“ - ნაამბობი იყო ზუსტად ასეთ სასახლეში გამართული საკმაოდ შფოთიანი ორგიების ამბავი, აღწერილი იყო მოწიფული ბოროტმოქმედი, პრიაპოსისეული სიგარა რომ ეჭირა ხელში.

ნახსენები იყო აგრეთვე ნარკოტიკები და მცველები. ყოველ შემთხვევაში, კუ აქ იმყოფებოდა. არა უშავს რა, დილას, ძილის შემდგომი განცხრომისას ვეწვევი. აუჩქარებლად დავბრუნდი პარკინგტონში ძველი ერთგული „იკაროსით“, რომელიც ასე მშვიდად, ასე მხნედ მემსახურებოდა. ჩემო ლოლიტა! ხელთათმანების განყოფილების სიდრემში ჯერ კიდევ ეგდო მისი თმის სარჭი. ჯერ კიდევ მოფარვატებდნენ ფერმკრთალი ფარვანები, რომელთაც ჩემი შუქი ღამიდან ისრუტავდა. გზატკეცილის გასწვრივ ჯერ კიდევ აღმართულიყვნენ ხელჯოხებზე დაყრდნობილი ჩამუქებული ბელლები. ადამიანები ჯერ კიდევ უყურებდნენ ფილმებს. დამის გასათევი ადგილის ძებნისას გავუარე „დრაივისს“ - საზაფხულო კინოთეატრს. უმთვარო, უფორმო ღამესთან შედარებით გიგანტური ეკრანი თითქმის მისტიკურად ქათქათებდა, და ირიბად კვეთდა მთვლემარე, უდანაშაულო მინდვრების წყვილადს, და მასზე ვიწრო აჩრდილი პისტოლეტს მალა სწევდა; მალე

უკან დარჩენილი დამრეცი სამყარო სულ უფრო მეტად ჩაიზნეოდა, აჩრდილი თითქოს საპნიანმა წყალმა დაფარა - და მომდევნო წამს უსხეულო ჟესტიკულაცია ალვების რიგის მიღმა გაუჩინარდა.

35. „უძილო მაძიებლების თავშესაფარი“ დილის რვა საათზე დავტოვე და გარკვეული დრო ქალაქში გავატარე. მოსვენებას არ მაძლევდა ფიქრი, რომ გამოუცდელი ჯალათი ვიყავი და, ალბათ, შეცდომას დავუშვებდი; მაგალითად, გავიფიქრე, რომ მჭიდში ჩადებული ვაზნები ერთი კვირის უმოქმედობის განმავლობაში გამოიფიტებოდა. ისინი ახლებით შევცვალე. ჩემი „ძამიკო“ საფუძვლიანად ვაზნავე ზეთში (და შავი სისამაგლე დიდხანს ვერ მოვიცილე). შემდეგ, დაშავებულ ასოსავით, ჩვარში გავახვიე, მეორე ჩვარში კი სამარქაფო ტყვიები შევიწახე. გზაში ქარიშხალმა მომიხწრო, მაგრამ როდესაც ავბედით სასახლეს მივალწიე, მზე უდრეკი მარტვილივით იწვოდა და ფრინველები ყიჟინებდნენ სველ, ორთქლიან ფოთლებში. სტუმრები წასულიყვნენ. უცნაური, ძველი სახლი თითქოს ბურანში იყო და ჩემს მდგომარეობას ეთანხმებოდა: როდესაც დრეკად და არამყარ მიწაზე ფეხი დავდგი, ვიგრძენი, რომ ძალზე მთვრალი ვიყავი.

ჩემს ზარს მხოლოდ დაძაბული, ირონიული სიჩუმე გამოეხმაურა. ამასთან, ღია გარაჟში მედიდურად იდგა ავტომობილი. ამჯერად ეს იყო შავი მანქანა, რომელიც მეკუბოვის ლიმუზინს ჰგავდა. კარზე ჩაქუჩით დავაკაკუნე. მოუთმენელი ბრდღვინვით მივაწეკი კარს და აი, სასწაული! ისე გაიღო, როგორც შუა საუკუნეების ზღაპარში. წყნარად მივხურე, გავიარე ვრცელი და მეტად ულაზათო ვესტიბიული; თვალი შევაავლე მარჯვნივ განლაგებულ სასტუმრო ოთახს, სადაც ხალიჩიდან ამოზრდილი რამდენიმე ბინძური ჭიქა შევამჩნიე; გადავწყვიტე, რომ მასპინძელი ჯერ კიდევ საძინებელ ოთახში იქნებოდა. რას იზამ, ზემოთ ავლასლასდეთ. მარჯვენა ხელით ჩვარში გახვეულ „ძამიკოს“ ვბლუჯავდი, მარცხენას კი მწებვარე ბალუსტრადას ვუტყავუნებდი. სამი საძინებელი ოთახიდან უკანასკნელში ვიდაცას დამე გაეთენებინა. საბიბლიოთეკო ოთახი ყვავილებით იყო გაჭედული. ვნახე უცნაური ოთახი, სადაც ავეჯი არ იდგა, მაგრამ უხვად იყო ფართო, ღრმა სარკეები, ხოლო პრიალა პარკეტზე თეთრი დათვის ტყავები ეყარა. სხვა სათავსოებიც დავათვალიერე. ბედნიერმა აზრმა გამიელვა: მასპინძლის გამოჩენის შემთხვევაში (იქნებ პარკში სეირნობს ან იდუმალ სოროში იმალება?) ძვირფასი პარტნიორისთვის რომელიმე ოთახში ჩაკეტვის საშუალება არ უნდა მიმეცა, რადგან, ჩემი ფიზიკური სისუსტის გამო, მკვლელობის პროცესის გაჭიანურება იყო მოსალოდნელი. ამიტომ ხუთი წუთის განმავლობაში დავდიოდი (როგორც გონიერი და შლეგი, უგონო და უშფოთველი, მოჯადოებული და გაღეშილი მონადირე) და კარებში გასაღებებს ვატრიალებდი, შემდეგ კი თავისუფალი ხელით მარცხენა ჯიბეში ვიდებდი. ძველი სახლი განმარტოების გაცილებით მეტ საშუალებას იძლეოდა, ვიდრე თანამედროვე ელევანტური კოლოფები, სადაც ცოლ-ქმარს საპირფარეოში (ესა ბინის ერთადერთი სათავსო, რომელიც იკეტება) მალვა უწევს ბავშვების გეგმიური წარმოების მოკრძალებული საჭიროებისთვის. ჰო, მართლა, საპირფარეოების შესახებ. როდესაც მესამე საძინებელი ოთახის დაკეტვა დავაპირე, მეზობელი კლოზეტიდან მასპინძელი გამოვიდა და უკან მოიტოვა ხანმოკლე ჩანჩქერის ხმაური. დერეფნის მოსახვევი მთლიანად როდი მფარავდა. დანტისტის სავსების საცნაურ ძმისწულს ნაცრისფერი სახე, შესივებული თვალები და გაჩეჩილი ღინღლით დაფარული მელოტი თავი ჰქონდა. დინჯად გამიარა გვერდზე: ჩემნაირი იისფერი ხალათი ეცვა. ან ვერ შემამჩნია, ან უმნიშვნელო, უწყინარ ჰალუცინაციად ჩამთვალა და გაბანჯგვლული წვივებით სომნამბულასავით ჩავიდა კიბეზე. უკან გავეყვი. ვესტიბულში პირი და შესასვლელი კარი გააღო და მზით გაჩახახებულ ღრიჭოში გაიხედა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ეძებდა გაუბედავ სტუმარს, რომელიც ზარის დარეკვისთანავე გაეცალა იქაურობას. შემდეგ კუილტიმ კვლავ უგულვებელჰყო კიბეზე შეჩერებული საწვიმრიანი აჩრდილი და, ჰოლის გავლით, სასტუმრო ოთახის პირდაპირ, მყუდრო ბუდუარში შევიდა. ვიცოდი, რომ ვერსად წამივიდოდა. რა მეჩქარება-მეთქი, ვიფიქრე და გავეშურე იმ ოთახისკენ, რომელიც ერთდროულად ბარც იყო და სამზარეულოს დანიშნულებასაც ასრულებდა. იქ ზიზღიანად შემოვხსენი ჩვარი ჩემს პატარა თხუპნიას; შევეცადე, ქრომზე წინწკლები არ დამეჩნია - მგონი, შეუსაბამო პროდუქტი ვიხმარე, ზეთი კუპრს წააგავდა და საშინლად მწებვარე იყო. გაშიშვლებული „ძამიკო“ ჩემთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით სუფთა ნიშში მოვათავსე

- და კვლავ ჰოლში გავედი. მსუბუქად დავდიოდი, შესაძლოა, ზედმეტად მსუბუქადაც, რაც საქმის წარმატებას ხელს შეუშლიდა. ამასთან, ხარბი მხიარულებისგან გული ძალუმად მიძვრდა და მახსოვს, როგორი ტკაცუნით გატყდა ჩემ ფეხქვეშ სირჩა. ძვირფასი მასპინძელი ეგრეთ წოდებულ „თურქულ ბუდუარში“ დამხვდა. „ვერ გამიგია, ვინ ბრძანდებით“, განაცხადა მაღალი ხრინწიანი

ხმით, ხალათის ჯიბეებში ხელები ღრმად ჩაიყო და ჩემი თავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით რომელიღაც პუნქტს მიაშტერდა. „შემთხვევით ბრუსტერი ხომ არა ხართ?“ ამკარა იყო, რომ ეს გაბრუებული კაცი მთლიანად ჩემს განკარგულებაში იმყოფებოდა. პაწია თავგვივით ავათამაშე. „სწორია“, ვუპასუხე თავაზიანად, *Je suis Monsieur Brustère*[130]. მოდიოთ, ვისაუბროთ, სანამ საქმეს შევუდგებოდეთ“. ეს მოეწონა. მელნის ნაღვენივით მუქი უღვაში შეუტოკდა. მაკინტოში გავიხადე. შავი ტანისამოსი მეცვა - შავი კოსტიუმი, შავი პერანგი. ჰალსტუხი არ მეკეთა. ღრმა სავარძლებში ჩავსხედით ერთმანეთის პირდაპირ. „იცით, რა“, მითხრა მან, ხმაურით მოიქექა მსუქანი, აქერცლილი, უფერული ლოყა და ცალი ყბით გაიღიმა (წვრილი, მარგალიტივით თეთრი კბილები ჰქონდა), „არც ისე ჰგავხართ ჯეკ ბრუსტერს. მსგავსება არც ისე მკვეთრია. ვიღაც მეუბნებოდა, რომ მისი ძმა იმავე სატელეფონო კომპანიაში მსახურობს“. უნდა გავამწარო მონანიებითა და სიმმაგით აღსავსე ამდენი წლის შემდეგ... ასი თვალით ვაკვირდებოდი მისი ფაფუკი ხელების შავ ბალანსს, ლილისფერ ლოყებს, აბურმგნულ მკერდს, და წინასწარ ვტკბებოდი მომავალი ნახვრეტებითა და გმინვის მუსიკით... ძლივს შევიპყარი ეს ნახევრად გასულიერებული არსება, ეს მასხარა, ეს ავაზაკი, რომელიც სოდომური წესით დატკბა ჩემი თვალისჩინით - ო, ჩემო სიცოცხლე, წარმოუდგენელ სიხარულს განვიციდი. „არა, სამწუხაროდ, ბრუსტერის ძმა არა ვარ, - და არც თვით ბრუსტერი გახლავართ“. მან კიდევ უფრო კმაყოფილი გამომეტყველებით თავი გვერდზე გადასწია. „აბა, კიდევ გამოიცანი, მასხარავ“. „კეთილი“, - თქვა მასხარამ, „მაშასადამე, თქვენ სატელეფონო კომპანიაში არ გამოგზავნათ და თავს არ შემაწყენთ გაუნადღებელი ფანტასტიური საუბრებით“. „თქვენ რა, არასოდეს რეკავთ?“ „მაპატიეთ?“ ვუთხარი, რომ მომეჩვენა, რომ მან თქვა, რომ ის არასოდეს...

„არა, სხვებზე ვამბობდი - საერთოდ, ადამიანებზე. თქვენ არ გადანაშაულებთ, ბრუსტერ, მაგრამ, ღმერთმანი, ადამიანები ძალზე ბრიყვული მანერით დაუპატიჟებლად შემოდიან ამ სულელურ სახლში, სარგებლობენ საპირფარეშოთი, სარგებლობენ სამზარეულოთი, სარგებლობენ ტელეფონით. ანტონი ბოსტონში რეკავს, მარია კი როიში. არაფერსაც არ გადავიხდით. ისე, უცნაური აქცენტი გაქვთ, სინიორ“. „კუილტი“, მივმართე, „გახსოვთ თუ არა პატარა გოგონა, რომელსაც დოლორეს ჰეიზი ერქვა? დოლი ჰეიზი? დოლორესი კოლორადოში? ჰეიზერი ვაიომინგში?“ „დიახ, დიახ, სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ მან დარეკა ყველა ამ ადგილას. სულ ერთი არაა?“ „ჩემთვის სულ ერთი არაა, კუილტი. საქმე ისაა, რომ მამამისი ვარ“. „სისულელეა. არავითარი მამა არა ხართ. თქვენ უცხოელი სალიტერატურო აგენტი ბრძანდებით. ერთმა ფრანგმა ჩემი „ცოცხალი ხორცი“ გადათარგმნა როგორც „*La Vie de la Chair*“[131], რა იდიოტობაა!“ „ის ჩემი ბავშვი იყო, კუილტი“. ახლა მას, რა თქმა უნდა, შემფოთების უნარი არ ჰქონდა, მაგრამ პასუხებში უკვე ყოყმანი იგრძნობოდა. თვალეში დამაბული გულისხმისყოფის ნაპერწკალი აუგიზგიზდა. ამასთან, ეს ნაპერწკალი მყისვე ჩაქრა. „მეც მიყვარს ბავშვები“, მითხრა მან, „და მათ მშობლებთან ვმეგობრობ“. კუილტი მიტრიალდა და რაღაცის ძებნას შეუდგა. ჯიბეებზე ხელები დაიტყაპუნა და სცადა, ამდგარიყო. „კუმ!“ - ვუბრძანე. ალბათ, ძალზე ხმამაღლა მომივიდა. „ნუ ყვირით“, დაიწუწუნა უცნაური, დედაკაცური ხმით, „უბრალოდ, პაპიროსს ვეძებ. თუ არ მოვწიე, სულს გავაფრთხობ“. „ისედაც მალე გააფრთხობთ“. „კარგი ერთი“, შემესიტყვა კუილტი, „ეს უკვე მომბეზრდა. რა გინდათ? ფრანგი ხართ, მისტერ? ვულე-ვუ-ბუარ? ბარში წავიდეთ და გადავყლურწოთ“. ამ დროს ჩემს ხელისგულზე დაინახა პატარა შავი პისტოლეტი, რომელსაც თითქოს ვთავაზობდი. „ა-ა!“ გააჭიანურა მან (ახლა ერთ-ერთი კინოგმირის, ბრიყვი განგსტერის ტიპს ბაძავდა), „რა საუცხოო პისტოლეტი გაქვთ. რამდენად ყიდიოთ?

გამოწვდილ ხელზე ხელი დავარტყი და მან სავარძელთან მდგარი დაბალი მაგიდიდან უნებლიეთ ჩამოაგდო კოლოფი. კოლოფმა ათიოდე პაპიროსი ამოტყორცნა. „აი, ისინიც!“ თქვა კუილტიმ მხიარულად. „გახსოვთ, რას ამბობს კიპლინგი: „*Un femme est un femme, mais un Caporal est une cigarette*“[132]. ახლა ასანთი გვჭირდება“. „კუილტი“, მივმართე მე, „სცადეთ, ყურადღება მოიკრიბოთ. ერთი წუთის შემდეგ მოკვდებით. შესაძლოა, საიქიო ძალზე მტანჯველი სიმლეგის მარადიულ მდგომარეობას წარმოადგენდეს. თქვენი უკანასკნელი პაპიროსი გუმინ მოსწიეთ. ყურადღება მოიკრიბეთ. შეეცადეთ, გაიგოთ, რა ხდება თქვენს თავს. ამასობაში ის პაპიროს „დრომადერს“ აქუცმაცებდა და ნაკუწებს ღეჭავდა. „მზად ვარ, შევეცადო“, წაილაპარაკა მან. „თქვენ ან ავსტრალიელი ხართ, ან გერმანელი ლტოლვილი. როგორ მოხდა, რომ მე მესაუბრებთ? გაითვალისწინეთ - ეს არიელების სახლია. სჯობს, წახვიდეთ აქედან. და გთხოვთ, ნუ აქნევთ ამ კოლტს. სხვათა შორის, მეზობელ ოთახში ძველი ნაგანი მაქვს“. ჩემი „მამიკო“ მის ფლოსტს მივუშვირე და ჩახმახის კაუჭს თითი დავაჭირე. პისტოლეტი არ გავარდა. კუილტიმ შეხედა თავის

ფებს, შემდეგ - პისტოლეტს და კვლავ - ფებს. კიდევ ერთი აუტანელი ძალისხმევის შედეგად პისტოლეტმა სუსტი, თითქოს ბავშვური ხმით გაისროლა და ტყვიამ ფაფუკი მოვარდისფრო ხალიჩა გახვრიტა: ადგილზე გავშემდი. რატომღაც წარმოვიდგინე, რომ ტყვია მხოლოდ ჩაგორდა ხალიჩაში და უკან ამოხტომა შეეძლო. „აბა, ვინ იყო მართალი?“ თქვა კუილტიმ, „უფრო ფრთხილად უნდა მოიქცეთ. ეშმაკმა დალახვროს, მომეცით პისტოლეტი“. და მასხარამ კოლტისკენ ხელი გამოიწვინა, მაგრამ კვლავ სავარძელში ჩავაგდე. ხალისი ცოტათი გამინელდა. მკვლელობის ჟამი დადგა, ამასთან, მინდოდა, რომ წინასწარ შეეგნო, რისთვის ვკლავდი. მისი მდგომარეობა გადმომედო. მომეჩვენა, თითქოს იარაღი დამძიმდა და გაუხეშდა. „ყურადღება მოიკრიბეთ“, ვუბრძანე მე, „გაიხსენეთ დოლი ჰეიზი, რომელიც მოსტაცეთ -“ „სიცრუეა!“ დაიყვირა მან. „რას ჩმახავთ! მე ის გარყვნილ არამზადას მოვაცილე. თუ მაძებარი ხართ, სჯობს თქვენი ბალთა მაჩვენოთ, ვიდრე ფეხში მესროლოთ, პირუტყვო! ბალთა სადაა? სხვის გარყვნილებაზე პასუხს არ ვაგებ. რას ჩმახავთ? ვაღიარებ, რომ ის გასართობი მოგზაურობა სულელური ხუმრობა იყო, მაგრამ გოგონა ხომ დაიბრუნეთ? გეყოფათ - წავიდეთ და თითო სირჩა გადავკრათ“. ვკითხე, სიკვდილი დამჯდარს ერჩინა, თუ ფეხზე ადგებოდა. „ეს უნდა მოვიფიქრო“, მიპასუხა მან. „სერიოზული საკითხია. სხვათა შორის, შეცდომა დავეუშვი. ძალზე ვნანობ. მე ხომ არავითარი სიამოვნება არ მომანიჭა თქვენმა დოლიმ. სამწუხაროა,

მაგრამ იმპოტენტი ვარ. გარდა ამისა, ჩინებული არდადეგები მოვუწყვე. ტეხასში შესანიშნავი ადამიანები გაიცნო. ვსმენიათ, მაგალითად -“ ანაზდად წინ წამოიწია და მეკვთა; პისტოლეტი კომოდის ქვეშ შევარდა. საბედნიეროდ, ის უფრო ფიცხი იყო, ვიდრე ღონიერი და კვლავ ადვილად ჩავაგდე სავარძელში. კუილტიმ სული მოითქვა, გულზე ხელები დაიკრიფა და თქვა: „თქვენსას ხომ მიღწიეთ? Vous voilà dans de beaux draps, mon vieux“.[133] დავიხარე. ის არ განძრეულა. კიდევ უფრო დავიხარე. „ძვირფასო სერ“, მითხრა მან, „ნუ ჟონგლიორობთ სიცოცხლითა და სიკვდილით. მე დრამატურგი ვარ. ბევრი ტრაგედია, კომედია, ფანტაზია შევთხზე. კერძო პირთათვის შევქმენი ფილმები სადის „ჟიუსტინასა“ და მეთვრამეტე საუკუნის სხვა სისამაგლეების მიხედვით. ორმოცდათორმეტი კარგი სცენარის ავტორი ვარ. ყველას და ყველაფერს ვიცნობ. მომეცით საშუალება, გავაკეთო ეს. მეორე ოთახში, მგონი, ქარცახია. ნება მიბოძეთ, მოვიტანო და მისი საშუალებით ვიპოვოთ თქვენი საკუთრება“. ლაპარაკისას ფუსფუსით, საქმიანად, მზაკვრულად ხელახლა წამოდგა. კომოდის ქვეშ ხელი მოვაფათურე, თან თვალს არ ვაცილებდი. უეცრად შევნიშნე, რომ ჩემი „მამიკო“ კომოდის მახლობლად, რადიატორის ქვეშ ეგდო. კუილტი კვლავ მეძებერა, ხალიჩაზე დავგორდით, ორი უზარმაზარი, უმწეო ბავშვივით დავეჭიდეთ ერთმანეთს. ხალათის ქვეშ არაფერი ეცვა და ნადირივით ყარდა. როდესაც ზემოდან მაწვებოდა, სული მეხუთებოდა. ზოგჯერ მე გადავგორდებოდი ხოლმე მასზე. ან ჩვენ გადავგორდებოდით ჩემზე. ისინი გადაგორდებოდნენ ხოლმე მასზე. ჩვენ ვგორავდით ჩვენს თავზე. ეს წიგნი, ალბათ, მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში დაისტამბება (1935-ს ოთხმოცდაათ წელს მივეუმატებ, დიდხანს იცოცხლე, ჩემო სიყვარულო) და ხანდაზმული მკითხველები აქ გაიხსენებენ ბავშვობაში ნანახი კოვბოური ფილმების „აუცილებელ სცენას“. ამასთან, ჩვენს ცემატყეპას აკლდა ღონიერი მუჯღლუგუნები და მფრინავი ავეჯი. ბინძური ბამბითა და ჩვრებით დატენილ ორ დიდ თოჯინას ვგავდით. მოკლედ რომ ვთქვათ, ერთმანეთი უსიტყვოდ და უაზროდ დაბუზნა ორმა ლიტერატორმა, რომელთაგან ერთი ნარკოტიკებისაგან იყო რეტდასხმული, მეორეს კი გულის ნევროზი აწუხებდა და, ამასთან, მთვრალი იყო. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ძვირფასი იარაღი ხელში ჩავიგდე და სცენარისტი კვლავ მის ღრმა სავარძელში ჩავსვი, ორივენი ისე ვხვნეშოდით, როგორც ხვნეშის ხოლმე ყველაზე გამგებლებული მგელი ან ყველაზე გაცხარებული ცხვარი. გადავწყვიტე, პისტოლეტი გამესინჯა - ჩვენი ოფლისგან რაიმე ხომ არ დაუზიანდა-მეთქი - და სული მომეთქვა, სანამ პროგრამის მთავარი ნომრის შესრულებას შევუდგებოდი. პაუზის შევსების მიზნით, ჩემ მიერ სალექსო ფორმით დაწერილი განაჩენის წაკითხვა შევთავაზე. ტერმინი „პოეტური შურისგება“ ამ კონტექსტში განსაკუთრებით მიესადაგება სიტუაციას. მანქანაზე სუფთად გადაბეჭდილი ფურცელი გადავეცი.

„კეთილი“, თქვა მან. „მშვენიერი აზრია. სათვალეს მოვიტან“ (და ადგომა დააპირა). „არა“. „როგორც გინდოდეთ. ხმამაღლა წავიკითხო?“ „დიახ. დავიწყეთ“. „აჰა, გალექსილი ყოფილა: „იმისთვის, ცოდვილს თავს რომ დამესხი, მოულოდნელად თავს რომ დამესხი, მხოლოდ იმიტომ, რომ უცაბედად დაუდევრობას შეესწარ ჩემსას... იცით რა, კარგია, ძალიან კარგი!“ ...როს ადამივით შიშველი ვიდექ ფედერალური კანონისა და ვარსკვლავთა მსუსხავ გუნდის წინაშე - „მართლაც რომ შესანიშნავია!“ იმისთვის, რომ შენ გამოიყენე ეს ჩემი ცოდვა, როცა უმწეოდ მე კანს

ვიცვლიდი, სოველი, ნაზი, ველოდი ბედის უკეთესობას - შტატში, მთიანში, ქორწინებას და დაჩეკვას ციციქნა ლოლიტებისას... „ეს კი კარგად ვერ გავიგე“. იმისთვის, ჩემი უცოდველობის ფუძით და ძირით რომ ისარგებლე, იმისთვის, რომ შენ - „აზრს ხომ არ იმეორებთ? სად შეგჩერდი?.. ჰო“. იმისთვის, რომ შენ მომატყუე და

ჩემს ცოდვას ველარ გამოვისყიდი, იმისთვის, რომ შენ წამართვი იგი, ისეთ ასაკში, როცა ბიჭები ათამაშებენ თავიანთ ჩახმახს... „ასე. პირველი უწმაწური გამოთქმა“. იგი მთლად ნორჩი გოგონა იყო, დაატარებდა ყაყაჩოს გვირგვინს, პარკი ეჭირა, შეექცეოდა შებრაწულ მარცვლებს ბატიბუტისას ფერად წყვილიადში, სად ინდიელნი ფულზე ხტებოდნენ ძირს ცხენებიდან, იმის გამო, რომ შენ ის მოჰპარე მცველს, მფარველს მისას - ის დიდებული იყო ნამდვილად, შუბლი სანთლისა, შენ კი შიგ თვალში, სქელ ქუთუთოზე შეაფურთხე და დაფხრიწე ტოგა მისი ყვითელი, დააჯიჯგინე წამებას ახალს, ლურჯი იების საშინელებას და ტრფობას შორის, სასომიხდილი, შენ კი თოჯინას, ძველს, მობეზრებულს, დაავლე ხელი, დაფლითე, თავი ცალკე ისროლე სადღაც. ამისთვის, ყველაფრისათვის, რაც გააკეთე, ყველაფრისათვის, რაც ვერ შესძელი, - შენ უნდა მოკვდე!”

„უნდა ვაღიარო, სერ, რომ საუცხოო ლექსია! რამდენადაც მესმის, ეს თქვენი საუკეთესო ნაწარმოებია“. ფურცელი დაკეცა და გადმომცა. ვკითხე, სიკვდილის წინ რაიმე მნიშვნელოვანი სათქმელი ხომ არ ჰქონდა. კოლტი კვლავ მასზე იყო მიმართული. კულიტიმ შეხედა. ღრმად ამოიოხრა. „მისმინეთ, ზიმაჩემო“, დაიწყო მან, „თქვენ მთვრალი ხართ, მე კი - ავადმყოფი. მოდი, ეს საქმე გადავდოთ. სიმშვიდე მესაჭიროება. ჩემს იმპოტენციას უნდა მოვუარო. დღეს მეგობრები მოვლენ და დიდ მატჩზე წამიყვანენ. პისტოლეტიანი ფარსი საშინლად მოსაწყენია. ჩვენ ხომ დახვეწილი ადამიანები ვართ, რაც ყველაფერში უნდა გამოვავლინოთ, ეროტიკული გემოვნება იქნება ეს, თეთრი ლექსი თუ ზუსტი სროლა. თუ გაწყენინეთ, მზად ვარ, სამაგიეროდ არაჩვეულებრივი კომპენსაციები გავიღო. არ გამოვრიცხავ თვით ძველმოდურ ორთაბრძოლას ხმლებით ან პისტოლეტებით, ბრაზილიაში ან სხვა ხელსაყრელ ადგილას. ჩემი მეხსიერება და მჭევრმეტყველება დღეს მოიკოჭლებს, მაგრამ, ძვირფასო ბატონო ჰუმბერტ, იდეალური მამინაცვალი სულაც არ იყავით და იძულებით როდი მოგტაცეთ თქვენი პატარა პროტექე. მან თვითონ მაიძულა, უფრო მხიარულ თავშესაფარში წამეყვანა. ეს სახლი იმდენად მარჯვედ მოწყობილი არაა, როგორც რანჩო, სადაც ჩემს ძვირფას მეგობრებთან ერთად ვცხოვრობდით; და მაინც, ტევადია და ზამთარ-ზაფხულ გრილი. ერთი სიტყვით, კომფორტულია და ამიტომ - იმის გამო, რომ ინგლისსა ან ფლორენციაში სამუდამოდ დასახლებას ვაპირებ, - გთავაზობთ, აქაურობას დაესაკუთროთ. სახლი თქვენია, უსასყიდლოდ, იმ პირობით, რომ აღარ მომიშვერთ ამ (და მან უშვერად შეიგინა) პისტოლეტს. სხვათა შორის, იქნებ უცნაური მოვლენები გაინტერესებთ, და თუ გაინტერესებთ, შემიძლია, ასევე უსასყიდლოდ შემოგთავაზოთ, შინაური ცხოველის ფუნქციით, ქალიშვილი, რომელსაც სამი ძუძუ აქვს. ერთ-ერთი მათგანი მართლაც მშვენიერია და, საერთოდ, ესაა ბუნების იშვიათი და მომხიბვლელი სასწაული. ახლა კი - *soyons raisonnable*[134]. თქვენ მხოლოდ საზოხრად დამასახიჩრებთ და შემდეგ ციხეში დალპებით, მე კი გამოვმჯობინდები ტროპიკულ გარემოცვაში. პირობას გაძლევთ, ბრუსტერ, რომ ბედნიერად იცხოვრებთ, ისარგებლეთ აქ დაცული შესანიშნავი სასმელებით და ჩემი მომდევნო პიესით მიღებული მთელი შემოსავლით, - ახლა ბანკში ბევრი არაფერი მაქვს, მაგრამ არა უშავს, ვალეებით ვიცხოვრებ, როგორც, პოეტის თქმით, მამამისი ცხოვრობდა. აქ კიდევ ერთი უპირატესობაა, კერძოდ, ძალზე საიმედო და ანგარებიანი დამლაგებელი, მისის ვიბრისა - საინტერესოა გვარია, - რომელიც სოფლიდან კვირაში ორჯერ მოდის ხოლმე, - სამწუხაროდ, დღეს არ მოვა, - მას მდებრობითი და მამრობითი სქესის შვილიშვილები ჰყავს და ისეთი რამ ვიცი ადგილობრივი პოლიციის უფროსის შესახებ, რომ მონასავით მემსახურება. დრამატურგი ვარ. ამერიკელ მეტერლინკს მიწოდებენ. ამაზე ვპასუხობ: მეტერლინკი - შმეტერლინგი. საკმარისია. ყოველივე ეს ძალზე შეურაცხმყოფელია და სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ სწორად ვიქცევი. ჰერკულანტიანში რომი არ გაურიოთ. ახლა კი კეთილგონივრულად მოიქეცით და პისტოლეტი შეინახეთ. ოდესღაც თქვენი დაუვიწყარი მეუღლე გავიცანი. მთელი ჩემი გარდერობი თქვენს

განკარგულებაშია. ჰო, კიდევ რაღაც გამახსენდა. ეს მოგეწონებათ. ზემოთ ვინახავ ეროტიკის არაჩვეულებრივად ფასეულ კოლექციას. დავასახელებ თუნდაც დიდებულ ფოლიანტს „ბაგრატიონის კუნძული“, რომლის ავტორია ცნობილი მოგზაური და ფსიქონალიტიკოსი მელანია ვაისი - განსაცვიფრებელი ქალია და ნაშრომიც განსაცვიფრებელია, - გასწიეთ პისტოლეტი! - მან ბარდინის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე, 1932 წელს გაზომა და აღწერა მამაკაცის რვაასზე მეტი

ასო, რომელთა ფოტოები და კეთილგანწყობილი ცის ქვეშ დიდი სიყვარულით შედგენილი. მეტად ყურადსაღები დიაგრამები დაურთო აღნიშნულ ნაშრომს, - გასწიეთ პისტოლეტი! - გარდა ამისა, შემძლია, სიკვდილით დასჯის ცერემონიაზე დაგასწოროთ, ყველამ როდი იცის, რომ ელექტროსკამი შედებილია ყვითელ -" გავისროლე. ამჯერად ტყვია რაღაც მაგარს მოხვდა. ეს იყო კუთხეში მიდგმული შავი სარწვეველას (რომელიც სქილერების სარწვეველას წაგავდა) საზურგე. იმდენად სწრაფად და ყოჩაღად აქანავდა, რომ ოთახში უცერად შემოსულ ადამიანს ორმაგი სასწაული გააკვირვებდა: განმარტოებული სარწვეველას რხევა და იმ სავარძლის სიცარიელე, რომელშიც, ეს- ესაა, იჯდა ჩემი იისფერი სამიზნე. კუილტი ზეაწეული ხელების ქნევითა და გავის ტრიალით გაძუნძულდა, მეზობელ ოთახში შევარდა და მომდევნო წამს ჩვენ ორივე მხრიდან ქოშინით ვეჯაჯგურებოდით კარს, რომლის გასაღების შენახვა დამავიწყდა. კვლავ გავიმარჯვე. კლარიუს ნოვიუსი მკვირცხლად მიუჯდა როიალს და რამდენიმე ღონიერი, მაგრამ ულაზათო, არსებითად, ისტერიული, მქუხარე აკორდით დამატკბო: ლაშები უთრთოდა, გაფარჩხულ, დამაბულ ხელებს კლავიშებს ურტყამდა და ისე გაშმაგებით ქმინავდა, რომლის მსგავსი ხმაური ჩვენი კინოჩხუბის ბგერათჩანაწერში ჯერაც არ აღბეჭდილა. რის ვაი-ვაგლახით დუდღუნებდა გაურკვეველ მელოდიას, თან ამაოდ ცდილობდა, ფეხით გაეღო როიალის მახლობლად მდგარი საზღვაო ტიპის სკივრი. ჩემი მომდევნო ტყვია თემოში მოხვდა და კუილტიმ ტაბურეტიდან მალა იაწია, შემდეგ კი კიდეც უფრო მალა, საგიჟეში ჩამწყვდეული ნიჟინსკის ან ვაიომინგის „ერთგული ჰეიზერის“, ან ჩემი რომელიღაც ოდინდელი კომპარის მსგავსად, და ფენომენალურ სიმაღლეს მიაღწია, ან, იქნებ, ასე მეჩვენებოდა, და ყმულით ჰაერს აზრიალებდა, ერთი ხელი შუბლზე ედო, მეორეთი კი ილიას ჩაფრენოდა, თითქოს ონავარამ უკბინაო; ამის შემდეგ კვლავ მიწაზე დაეშვა, ხალათში ჩაცმული ჩასუქებული მამაკაცის სახე მიიღო და ჰოლისკენ მოკურცხლა. გავეკიდე. ორმაგი, სამმაგი, კენგურუსებრი ნახტომებით, მუხლმუხურელად მივრბოდი, გავასწარი, სადარბაზოს ღიად დარჩენილ კარს ავეფარე და დამაბულ-მოქნილი როკვის მეშვეობით გასვლის საშუალება არ მივეცი. კუილტი კვლავ გარდაისახა. ახლა მედიდურად და პირქუშად შეუდგა ფართო კიბეზე ასვლას. შორიდან ერთიმეორის მიყოლებით სამ-ოთხჯერ ვესროლე და ამდენივე ჭრილობა მივაყენე. ამ საშინელებას რომ ჩავდიოდი, სახე უცნაურად უტოკავდა, თითქოს ტკივილს კლოუნისებრი გრიმასებით აზვიადებდა; თან ნაბიჯს ანელებდა, ნახევრად დახუჭულ თვალებს ატრიალებდა, მაღალი ხმით კვენესოდა, ყოველ მოხვედრას თრთოლით პასუხობდა და როდესაც ჩემი ბრმა, ტლანქი ტყვიები მის სხეულში აღწევდა, კულტურული კუ ხმადაბლა, განზრახ ბრიტანული

გამოთქმით ამბობდა - თან გამუდმებით ცახცახებდა, ძრწოდა, იღრიჯებოდა, მაგრამ განყენებულ და, ასე გასინჯეთ, თავაზიან იერსაც კი ინარჩუნებდა: „ოჰ, ეს ძალზე მტკივნეულია, სერ, ნუღარ აკეთებთ ამას... ოჰ, ეს პირდაპირ აუტანლად მტკივნეულია, ჩემო ძვირფასო სერ. გთხოვთ, თავი შეიკავოთ. ოჰ, რაოდენ მტკივნეულია... ღმერთო ჩემო! უჰ! აუტანელია... იცით, თქვენ არ უნდა...“ როდესაც ბაქანს მიაღწია, დადუმდა, მაგრამ მის ფაფუკ სხეულში ჩარჭობილი ტყვიების რაოდენობის მიუხედავად, კვლავ არაჩვეულებრივად მტკიცედ აბიჯებდა. უცერად მივხვდი (და უსასოო დაბნეულობამ შემიპყრო), რომ არა მარტო ვერ მოვკალი, არამედ ეს ბედმავე კაცი ახალი ენერგიითაც დავმუხტე, თითქოს ტყვიები ახალგაზრდობის ელექსირით იყო დატენილი. შავი, სისხლიანი ხელებით კვლავ დავტენე ცარიელი კოლტი და შევეხე რაღაცას, რაც მისი სქელი სისხლით იყო გაპოხილი. შემდეგ სწრაფად ავედი მეორე სართულზე. გასისხლიანებული და ამპარტავანი კუილტი გალერეაში დადიოდა, ღია ფანჯარას ეძებდა, თავს აქნევდა და ჯერ კიდეც ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ მკვლელობა არ ჩამედინა. შევეცადე, საფეთქელში მომეხვედრებინა. მან საწოლი ოთახისკენ დაიხია. ყურის ნაცვლად ალისფერი, უფორმო რაღაც ეკიდა. „გაეთრიეთ, გაეთრიეთ აქედან!“ წაილაპარაკა მან ხველებითა და ფურთხებით; გავოგნდი, როდესაც ეს სისხლით მოსვრილი, მაგრამ ჯერ კიდეც მოძრავი კაცი ლოგინში ჩაწვა და ზეწრებისა და საბნების ქაოსში გაეხვია. თითქმის მიბჯენით ვესროლე. ის უკან გადაწვა, ტუჩებზე დიდი ვარდისფერი ბუშტი (რომელმაც რაღაცით ბავშვობა მომაგონა) ამოეზარდა, სათამაშო ბუშტის ზომამდე გაიბერა და გასკდა. ვგონებ ორი-სამი წუთის განმავლობაში სინამდვილესთან კავშირი დავკარგე, მაგრამ ეს არ ჰგავდა გონების იმგვარ დაბინდვას, რასაც ჩვეულებრივი ბოროტმოქმედები იმოწმებენ ხოლმე. პირიქით, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პასუხისმგებელი ვარ მისი ბუშტოვანი სისხლის ყოველი წვეთისთვის. ამასთან, დრომ თითქოს უკან დაიხია: რამზდელში, ჩვენს საძინებელ ოთახში ვიმყოფებოდი და ავადმყოფი შარლოტას საწოლთან ვიჯექი. კუილტი კვდებოდა, პისტოლეტის (რომელზეც ვიჯექი) ნაცვლად ხელში მისი ფეხსაცმელი მეჭირა. გონს მოვედი, სავარძელში უფრო მოხერხებულად მოვეწყვე და მაჯის საათზე დავიხედე. მინა

გამტყდარიყო, მაგრამ საათი მაინც მუშაობდა. ეს სევდიანი ამბავი ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. კულიტი ბოლოს და ბოლოს გაყურდა. შვებას სულაც არ ვგრძნობდი, ახლა თითქოს კიდე უფრო მტანჯველი ტვირთი დამაწვა; თავი ვერ ვაძულე, შევხებოდი და მის სიკვდილში დავრწმუნებულიყავი. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მკვდარს წააგავდა: სახის თითქმის მეოთხედი აღარ ჰქონდა, და ჭერიდან ჩამოფრინდა ორი ბუზი, რომელთაც არ სჯეროდათ თავიანთი გაუგონარი ბედნიერებისა. ხელები კულიტზე უკეთეს მდგომარეობაში როდი მქონდა. მეზობელ სააბაზანოში როგორღაც დავიბანე. ახლა კი იქაურობას უნდა გავცლოდი. კიბის ბაქანზე სიურპირიზი მელიოდა: თურმე ადრე გაგონილი ხალისიანი ზუზუნის სხვა არაფერი იყო, თუ არა ხმებისა და გრამოფონის მუსიკის ნაერთი, რომელიც ქვედა სასტუმრო ოთახიდან მოისმოდა.

იქ ახლახან მოსული ადამიანების ჯგუფი ვნახე. სტუმრები უდარდელად მიერთმევდნენ მასპინძლის არაყს. სავარძელში ვეება კაცი გამოტილიყო; ორი შავთმიანი, ფერმკრთალი, ნორჩი, მშვენიერი ქალი (ერთ-ერთი მათგანი თითქმის ბავშვი იყო; უეჭველად დები იქნებოდნენ) მოკრძალებულად, გვერდიგვერდ იჯდა ტახტის კიდეზე. ლოყაწითელმა კაცმა, რომელსაც კამკამა ცისფერი თვალები ჰქონდა, მათ სამზარეულოდან ორი ჭიკით სასმელი მოუტანა; სამზარეულოში ორი-სამი ქალი ყბედობდა და ყინულის ნატყებებს აჭახუნებდა. კარებში შევჩერდი და ვთქვი: „ბატონებო, ეს-ესაა, კლერ კულიტი მოვკალი“. „კარგად მოქცეულხართ“, ჩაილაპარაკა ლოყაწითელმა ტიპმა და უფროს დას სასმელი შესთავაზა. „ვინმეს დიდი ხნის წინ უნდა აეგო მისთვის წესი“, შენიშნა მსუქანმა კაცმა. „რაო, რას ამბობს, ტონი?“ იკითხა ბარის თაღქვეშ მდგარმა დამჭკნარმა ქერა ქალმა. „ის ამბობს“, უპასუხა ლოყაწითელმა, „რომ კუ მოკლა“. „რას იზამ“, წარმოთქვა სასტუმრო ოთახის კუთხეში ჩაცვუცულმა ვაჟბატონმა, „რას იზამ, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ ყველანი უნდა შევგროვილიყავით და ეს ჩაგვედინა“. „ასეა თუ ისე“, თქვა ტონიმ, „დროა, ჩამოვიდეს. დიდხანს ვერ მოვუცდით. თამაშის დასაწყისს ხომ უნდა მივუსწროთ“. „მიეცით ამ კაცს რაიმე სასმელი“, თქვა მსუქანმა. „ლუდს მიერთმევთ?“ იკითხა შარვლიანმა ქალმა და შორიდან ტოლჩა დამანახა. მხოლოდ ის ორი, შავტანისამოსიანი ლამაზმანი დუმდა. უმცროსი განუწყვეტლივ ავლებდა ხელს თეთრ კისერზე ჩამოკიდებულ მედალიონს, მაგრამ ორივე დუმდა. ისეთი ნორჩები, ისეთი თვინიერები იყვნენ! მუსიკა წუთით შეწყდა, ფირფიტა უნდა გამოეცვალათ, და ამ დროს კიბიდან ყრუ ხმაური მოისმა. ტონიმ და მე ჰოლს მივაშურეთ. კულიტი, რომელსაც სრულიად არ მოველოდი, ზედა ბაქანზე როგორღაც გამობობლებულიყო, იქ მძიმედ ცოდვილობდა და ფარფლებს ატყლაშუნებდა, მაგრამ მალე დაეცა. ისფერი ზვინი სამუდამოდ გახვედა! „იჩქარე, კუ“, სიცილით ასძახა ტონიმ და სიტყვებით: „ალბათ, გუშინდლის შემდეგ არც ისე მალე...“, სასტუმრო ოთახში შებრუნდა, სადაც მუსიკამ ჩაახშო მისი ფრაზის ბოლო ნაწილი. აი, ესაა (გავიფიქრე მე) ჩემთვის კლერ კულიტის მიერ დადგმული მახვილგონიერი სპექტაკლის დასასრული. ამ ხის სასახლიდან გულდამძიმებული გამოვედი, მზის კლაკნილი შუქი გავარდვიე და ჩემს „იკაროსს“ დავუბრუნდი. სტუმრებს ორი მანქანა ისე ახლოს დაეყენებინათ, რომ ავტომობილი უცებ ვერ გამოვიყვანე.

36. მომდევნო ამბავი საკმაოდ უდიდამო და უფერულია. დინჯად ჩავიარე დაღმართი და გარკვეული დროის შემდეგ გამახსენდა, რომ ეს გზა პარკინგტონში არ მიმიყვანდა. მაკინტოში ბუდუარში დავტოვე „მამიკო“ კი - სააბაზანოში. არა, ეს არ იყო ის სახლი, სადაც ცხოვრებას მოვისურვებდი. გამიელვა სულელურმა აზრმა, რომ რომელიმე გენიალური ქირურგი კარიერას გაიკეთებდა და, ვინ იცის, კაცობრიობის ბედ-იღბალსაც შეცვლიდა იმით, რომ კულიტის, კლერ-დრომადერს გააცოცხლებდა. ისე კი, ჩემთვის სულ ერთი იყო; მიწოდდა, დამევიწყებინა მთელი ეს საშინელება, - და როდესაც შემდგომ გავიგე, რომ კულიტი არ გაცოცხლებულა, მხოლოდ ერთი რამ გამიხარდა - მაშასადამე, იძულებული არ ვიქნებოდი, მრავალი თვის განმავლობაში წარმოსახვით თვალი მედევნებინა მისი გამოჯანმრთელების მტანჯველი, ამაზრზენი პროცესისათვის, რასაც დროდადრო შეწყვეტდა ყოველგვარი მოულოდნელი გაუარესებები და ოპერაციები. ამას დაავიწყებინებდა მასთან ჩემი ვიზიტი, რომლის მეშვეობითაც კულიტი აჩრდილის მდგომარეობიდან საგნობრივ რეალობაში გადმოინაცვლებდა. მოციქული თომა არც ისე ბრიყვი იყო. მაგრამ განა უცნაური არაა, რომ შეხების გრძნობას, რასაც ადამიანი მხედველობაზე გაცილებით ნაკლებ ღირებულებას ანიჭებს, არა მარტო ყველაზე იშვიათად ვკარგავთ, არამედ კრიტიკულ მომენტში ის ჩვენი მთავარი (და, შესაძლოა, ერთადერთი) კრიტერიუმიცაა რეალობის შესაფასებლად? მთლიანად გაჟღერებული ვიყავი ბედშავი კულიტით, მთლიანად გამსჭვალული - სისხლისღვრის წინამორბედი შერკინების თანმხლები შეგრძნებებით... გზატკეცილი ახლა მინდვრებს შორის მიიკლაკნებოდა. გავიფიქრე (პროტესტის ან სიმბოლოს, ან რაიმე ამგვარის ნიშნად კი არა, არამედ ახალი განცდის შესაძლებლობის სახით), რომ ვინაიდან ადამიანური კანონი

დავარდვიე, საგზაო მოძრაობის კოდექსის დარღვევაც შემემლო. შესაბამისად, გზატკეცილის მარცხენა მხარეს გადავინაცვლე და შევამოწმე - როგორი იყო? ძალიან კარგი აღმოჩნდა. გულის კოვზთან საამო ლობა ვიგრძენი, რასაც „გავრცელებული შეხების“ ლიტინი ერთვოდა. გარდა ამისა, საგზაო მოძრაობის წესების გაუთვალისწინებლობა ფიზიკის კანონების დარღვევას უდრიდა. საერთოდ, ჩემ მიერ განცდილი დამატობელი გრძნობა ძალზე ამალელებული იყო. წყნარად, ფიქრიანად, საათში არა უმეტეს ოცი მილის სიჩქარით ვუღრმავდებოდი უჩვეულო, სარკისებრ სამყაროს. გზატკეცილზე არც ისე ხშირი მოძრაობა იყო. იშვიათი ავტომობილები, რომლებიც ჩემ მიერ დათმობილ მხარეს მოძრაობდნენ, დამაყრუებლად მისიგნალებდნენ, შემხვედრი ავტომობილები განზე იწევდნენ და შიშით გაჰყვიროდნენ. მალე უფრო მჭიდროდ დასახლებულ ადგილებს მივუახლოვდი. როდესაც წითელ შუქზე გავიარე, ბავშვობისას მალულად გასინჯული ბურგუნდიული ღვინის ყლუპი გამახსენდა. მოძრაობა თანდათან გართულდა. უკან მომდევენენ, გვერდით მახლდნენ. ჩემ წინ კი ორმა საპატრულო მანქანამ გზა სრულიად გადაკეტა. ნარნარი მოძრაობით გზატკეცილიდან გადავუხვიე. მანქანა ორ-სამჯერ შეხტა, ბალახით დაფარულ ფერდობზე ავიდა

და იქ, გაცეხულ ძროხებს შორის გაჩერდა. ჯერ კიდევ ქანაობდა. აქ ორ მიცვალეულს აერთიანებს ჰეგელიანური სინთეზის მსგავსი საწყისი. ახლა ავტომობილიდან უნდა გამოვეყვანეთ (მშვიდობით, „იკაროს“, გმადლობთ, ბებრუცუნავ!) და წინასწარ ვტკბებოდი იმის წარმოდგენით, თუ როგორ დავენებდებოდი და არაფრით დავენებდებოდი მრავალრიცხოვან ხელებს. არხეინად, მარჯვედ გავიშხლართებოდი, პაციენტით ზანტად მივცნობოდი ყველაფერში და უჩვეულოდ დავტკბებოდი საკუთარი მოთენთილობით, აგრეთვე - პოლიციელებისა და სასწრაფო დახმარების წარმომადგენლების აბსოლუტურად საიმედო მხარდაჭერით. სანამ ვუცდიდი, როდის ამოირბენდნენ ჩემს მაღალ ფერდობზე, წარმოდგენაში გავაცოცხლე უკანასკნელი მირაჟი, განცვიფრებითა და უიმედობით აღსავსე ხატება. როგორღაც, ლოლიტას გაუჩინარების შემდეგ, გულისრევის სამაგელმა შეგრძნებამ მაიმულა, მანქანა გამეჩერებინა ძველ, ბალახით დაფარულ მთის გზაზე, რომელიც ხან გვერდზე მიჰყვებოდა, ხან კი კვეთდა ახალ გზატკეცილს. ამ ძველ გზაზე, ზაფხულის დასასრულისთვის დამახასიათებელი მკრთალი ცისფერი დღის განელებულ სითბოში, ველური ასტრები ნებივრობდნენ. მტანჯველი კრუნჩხვების შემდეგ დასასვენებლად კაჭარზე ჩამოვჯექი. მერე გავიფიქრე, რომ მთის სუფთა ჰაერი მარგებდა და რამდენიმე ნაბიჯი გავიარე გზატკეცილის ციცაბო მხარეს გაყოლებული ქვის დაბალი პარაპეტისკენ. გზისპირა ხმელი შამშნარი პაწაწინა კალიებს აფრქვევდა ჰაერში. მსუბუქი ღრუბელი თითქოს მკლავებს შლიდა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა თავის უფრო ტანსრულ მეგობარს, რომელიც სხვა, ჩამორჩენილ, ლაჟვარდში ნახევრად ჩაძირულ სისტემას განეკუთვნებოდა. როდესაც ალერსიან უფსკრულს მივუახლოვდი, იქიდან მომესმა მელოდიურად შეთანხმებული ხმაური. ის ორთქლივით იწევდა ცისკენ სამთო მრეწველობის პატარა ქალაქის თავზე, რომელიც ჩემ ფეხთქვეშ, ველის ნაკეცში გამლილიყო. კვადრატულ წითელ და რუხ სახურავებს შორის ვხედავდი ქუჩის გეომეტრიას, ხეების მწვანე ბურუსს, კლავნილ მდინარეს, პატიოსანი თვლებივით მოელვარე ქალაქის სანაგვეს, მოშორებით გავარჩიე შეჯვარებული გზები, რომლებიც მინდვრების მუქსა და ნათელ საკერებლებს ერთმანეთისგან მიჯნავდნენ. ყველაფრის მიღმა ტყით დაფარული ვეება მთები მოჩანდა. მაგრამ ამ უსიტყვო, ალტყინებულ ფერებზე უფრო ხასხასა - რადგან არის ფერები და მათი ნიუნსები, რომლებიც გრძნობამორევით ზეიმობენ ხოლმე თავიანთ შეხვედრას - უფრო ხასხასა და მეოცნებე იყო ბგერების ჰაეროვანი ვიბრაცია, რომელიც წუთითაც არ შეწყვეტილა. ის აღწევდა გრანიტის იმ თარომდე, სადაც უწმინდურ პირს ვიმშრალედი. ანაზდად მივხვდი, რომ ყველა ბგერა ერთგვაროვანი იყო და გამჭვირვალე ქალაქის ქუჩებიდან არავითარი სხვა ხმაური არ მოისმოდა. მკითხველო! ეს მელოდია სხვა არაფერი იყო, თუ არა მოთამაშე ბავშვების ხმები, მხოლოდ ისინი, და ბროლის ჰაერში, დიდებული და მინიატურული, განყენებული და, ამასთან, ჯადოსნურად მახლობელი, გულწრფელი და საკვირველად იდუმალი ხმების შორეულ ერთობლიობაში სმენა ზოგჯერ არჩევდა საერთო ხმაურიდან გამოცალკეებულ, უდარდელ სიცილს, ან ჩოგნის ტყაპუნს, ან სათამაშო ურიკის გრუხუნს, მაგრამ ყოველივე ეს ქვემოთ და იმდენად შორს იყო, რომ თვალი ვერაფერს ამჩნევდა თითქოსდა სპილენძზე ამოტვიფრულ ქუჩებში. ვტკბებოდი ამ მუსიკალური ვიბრაციით, თანაბარი, ყრუ ხმაურის ფონზე უეცრად

აფეთქებული ცალკეული წამომახილებით და სწორედ მაშინ ვიაზრე: ჩემი მდგომარეობის გულგამგმირავი, სასოწარმკვეთი საშინელება ის კი არ იყო, რომ ლოლიტა ჩემ გვერდით არ იმყოფებოდა, არამედ ის, რომ ამ გუნდში მისი ხმა არ მოისმოდა. აი, თქვენ წინაშეა ჩემი ნაამბობი,

რომელიც გადავიკითხე. მას ძველი ტვინის ნაფლეთები და შედედებული სისხლი მიეწება და ლამაზი, ზურმუხტისფერი ბუხები ასხდებიან. ამა თუ იმ გადახვევისას ჩემი მოლიპული „მე“ ხელიდან მისხლტება და ისეთ ღრმა და ბნელით მოცულ წყლებში იძირება, რომ იქ შეღწევა არ ძალმიძს. შევნიღბე ყველაფერი, რაც ცოცხალი ადამიანების თავმოყვარობას შელახავდა. თვითონაც არა ერთი ფსევდონიმი მოვიგონე (მაგალითად, „ოტო ოტო“, „მესმერ მესმერი“ ან „ჰერმან ჰერმანი“), სანამ ჩემს შესაფერ სახელს მოვძებნიდი... რატომღაც მგონია, რომ საბოლოოდ შერჩეული სახელი ყველაზე უკეთ გამოხატავს საჭირო სიბილწეს. როდესაც, ორმოცდათექვსმეტი დღის წინ, „ლოლიტას“ წერას შევუდექი - ჯერ ფსიქოპათების საავადმყოფოში, სადაც გონებას მიმოწმებდნენ, შემდეგ კი ამ თბილ საპყრობილეში, რომელიც ძალზე წააგავს სამარეს, - ვგულისხმობდი, რომ ჩემს ჩანაწერებს მთლიანად გამოვიყენებდი სასამართლოზე; ჩემი სიცოცხლის ხსნა კი არ მწადდა, არამედ - სულისა. როდესაც თხზულების ნახევრამდე მივალწიე, მივხვდი, რომ ცოცხალ ლოლიტას საქვეყნოდ ვერ შევარცხვენდი. შესაძლოა, რამდენიმე ჩანაწერით ვისარგებლო დახურულ სხდომებზე, მაგრამ ჩემს ნაამბობს ჯერჯერობით არ დავსტამბავ. გარკვეულ მიზეზების გამო, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ვარ; ვიმედოვნებ, რომ ამ შეხედულებას, ალბათ, ჩემი მოსამართლეებიც დაეთანხმებიან. ჩემი თავი მევე რომ გამესამართლებინა, ბავშვის გახრწნისთვის ოცდათხუთმეტ წელს მივისჯიდი, სხვა ყველაფერში კი თავს გავიმართლებდი. ამასთან, ასეც რომ იყოს, დოლი სქილერი, ალბათ ჩემზე ბევრად დიდხანს იცოცხლებს. ქვემოთ გადაწყვეტილებას ვღებულობ ხელმოწერილი ანდერძის კანონიერი ძალითა და მხარდაჭერით: მსურს, რომ წინამდებარე ჩანაწერები გამოქვეყნდეს მხოლოდ ლოლიტას სიკვდილის შემდეგ. მამასადამე, არც შენ და არც მე ცოცხლები აღარ ვიქნებით მაშინ, როდესაც მკითხველი ამ წიგნს გადაშლის. მაგრამ სანამ ჩემს მარჯვენაში სისხლი ჩქეფს, შენ სამყაროს კურთხეული მატერიის განუყოფელ ნაწილად დარჩები და შემოდღია, დაგაკავშირდე, თუმცა მე ნიუ-იორკში ვარ, შენ კი ალასკაში იმყოფები. არ უღალატო დიკს. უფლება არ მისცე სხვა მამაკაცებს, შეგებონ, ნუ დაელაპარაკები უცხოებს. ვიმედოვნებ, გეყვარება შენი შვილი. ვიმედოვნებ, იგი ბიჭი იქნება. ვიმედოვნებ, ქმარი ყოველთვის კარგად მოგეცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი აჩრდილი შავ კვამლს ან გაგიჟებულ კოლოსს დაემსგავსება და დაუნდობლად დაგლეჯს მას. და ნუ გებრალეხა კ. კ. იძულებული გავხდი, არჩევანი გამეკეთებინა კ. კ.-სა და ჰ. ჰ.-ს შორის და მინდოდა, ჰ. ჰ.-ს ორი თვით მეტ ხანს გაემლო ამქვეყნად, რათა მისი მუშევრებით შენი ხატება მომდევნო თაობათა ცნობიერებაში გაცოცხლებულიყო, - ვგულისხმობ მოგზაურობასა და ანგელოზებს, გამძლე პიემენტების იდუმალებას, სონეტში გამოთქმულ წინასწარმეტყველებას და ხელოვნების წყალობით მიღწეულ ხსნას. და ეს უკვდავების ერთადერთი სახეობაა, რომელიც შეგვიძლია ზიარად მოვიპოვოთ, ჩემო ლოლიტა.

დასასრული

წიგნის შესახებ, რომლის სათაურია „ლოლიტა“ (1958 წლის ამერიკული გამოცემისათვის დართული ბოლოსიტყვა) მას შემდეგ, რაც „ლოლიტას“ ერთ-ერთი პერსონაჟის, ყოველმხრივ სასიამოვნო ჯონ რეის როლში მოგვევლინეთ და ამ რომანის „წინასიტყვა“ შემოგთავაზეთ, ჩემი სახელით მოწოდებული ნებისმიერი კომენტარის გაცნობისას მკითხველს, ალბათ, მოეჩვენება - და, შესაძლოა, მეც კი ასე წარმომიდგეს - რომ ესაა მიზამვა ვლადიმირ ნაბოკოვისადმი, რომელიც ანალიზებს თავის წიგნს. ამასთან, ზოგიერთი დეტალის განხილვა აუცილებელია და ავტობიოგრაფიული ხერხის გამოყენება, სავარაუდოდ, გაუადვილებს მიმიკრიის უნარის მქონე ორგანიზმს თავის მოდელთან შერწყმას. ლიტერატურის პროფესორებს იტაცებთ ისეთი პრობლემების გამოგონება, როგორიცაა: „რას ესწრაფვის ავტორი?“, ან კიდევ უფრო საზიზღრად: „რისი თქმა სურს წიგნს?“ მე კი იმ მწერლებს ვეკუთვნი, რომლებსაც წიგნის ჩაფიქრების შემდეგ ამოძრავებთ ერთადერთი მიზანი - ამ წიგნისგან თავის დახსნა, ნაწარმოების შექმნის შესახებ მსჯელობისას კი უხდებათ ისეთი მოძველებული ტერმინების გამოყენება, როგორიცაა ურთიერთქმედება შთაგონებასა და კომბინაციურ ხელოვნებას შორის, რაც, ვაღიარებ, ისე ჟღერს, თითქოს ილუზიონისტი თავის ერთ ფანდს მეორის საშუალებით განმარტავდეს. „ლოლიტას“ პირველმა, ოდნავ შესაგრძობმა პულსაციამ ტანში დამიარა 1939 წლის ბოლოს ან 1940 წლის დასაწყისში, პარიზში, რიუ ბუალოზე, როდესაც ნევნთაშორისი ნევრალგიის სერიოზულმა შეტევამ საწოლს მიმაჯაჭვა. რამდენადაც მახსოვს, შთაგონების საწყისი ჟრჟოლა რაღაცნაირად უკავშირდებოდა საგაზეთო სტატიას პარიზის ზოოპარკის ბინადარი მაიმუნის შესახებ, რომელმაც, მავანი მეცნიერის მიერ მრავალკვირიანი მოთაფლვის შემდეგ, ნახშირით სახელდახელოდ დახატა

სახვითი ხელოვნების პირველი ნიმუში, რაც კი ოდესმე შეუსრულებია ცხოველს, კერძოდ – იმ გალიის გისოსები, რომელშიც საბრალო ცხოველი გამოემწყვდიათ.

ბიძგი თემატურად არ უკავშირდებოდა აზრთა შემდგომ მსვლელობას, რომლის შედეგი, მიუხედავად ამისა, გახლდათ წინამდებარე წიგნის პროტოტიპი: თუ არ ვცდები, ოცდაათგვერდიანი მოთხრობა „გრძნეული“. ის დავწერე რუსულად, ანუ იმ ენაზე, რომელზეც, 1924 წლიდან მოყოლებული, ვწერდი რომანებს (ყველა ეს ნაწარმოები, პოლიტიკური მიზეზებით, აკრძალულია რუსეთში). მოთხრობის გმირი, სახელად არტური, ცენტრალური ევროპის მკვიდრი გახლდათ, უსახელო ნიმფეტი ფრანგი იყო, ხოლო მოვლენები პარიზსა და პროვანსში ვითარდებოდა. ეს ჩემი გმირი დაქორწინდა გოგონას ავადმყოფ დედაზე, მალე დაქვრივდა და სასტუმროს ნომერში ობლის მიაღერსების უიღბლო მცდელობის შემდგომ სატვირთო მანქანას ჩაუვარდა ბორბლებქვეშ. ომის პერიოდში, ერთ-ერთ ღამეს, როდესაც პარიზელები ნათურების შუქს ლურჯი ქაღალდით აბნელებდნენ, ეს მოთხრობა წავუკითხე მეგობართა მცირერიცხოვან ჯგუფს. ჩემს მსმენელთა შორის იყვნენ: მ. ა. ალდანოვი, ი. ი. ფონდამინსკი, ვ. მ. ზენზინოვი და ექიმი ქალი კოგან-ბერნშტეინი; მაგრამ ნაწარმოებმა უკმაყოფილების გრძნობა დამიტოვა და ამერიკაში გადასახლებისას, 1940 წელს, ის გავანადგურე კიდევ. ცხრა წლის შემდეგ, საუნივერსიტეტო ქალაქ ითაკაში (ნიუ-ორკის შტატში), სადაც რუსულ ლიტერატურას ვასწავლიდი, პულსაცია, რომელიც ბოლომდე არასოდეს შენელებულა, კვლავ გამიმძაფრდა. შთაგონებას ახალი კომბინაცია შეუერთდა და მაიძულა, თემის ახლებურ დამუშავებას შევდგომოდი, მაგრამ ამჯერად ავირჩიე ინგლისური ენა

– ჩემი პირველი პეტერბურგელი გუვერნანტი ქალის (სამოცზე მეტი წლის წინ), მისს რეჩელ ოუმის ენა. გერმანული და ირლანდიური სისხლის ნაზავის (წმინდა ფრანგული სისხლის ნაცვლად) მიუხედავად, ნიმფეტი იგივე დარჩა, და დედაზე ქორწინების თემაც, არსებითად არ შეცვლილა; მაგრამ სხვა მხრივ ნაწარმოებმა სრულიად ახლებური სახე მიიღო; მას ფარულად ამოეზარდა რომანის ჭანგები და ფრთები. წიგნი ნელა, ხშირი შეფერხებებით იწერებოდა. ოდესღაც ორმოც წელზე მეტი დავხარჯე იმისათვის, რომ გამომეგონებინა რუსეთი და დასავლეთი ევროპა, ახლა კი საჭირო იყო ამერიკის შეთხზვა. ადგილობრივი ინგრედიენტების მოპოვება, რომლებიც საშუალებას მომცემდნენ, ჩემი პირადი ფანტაზიის ხსნარი საშუალო „რეალობის“ (უცნაური სიტყვა, რომელიც ბრჭყალების გარეშე არაფერს ნიშნავს) მცირე რაოდენობით შემეზავებინა, ორმოცდაათი წლის ასაკში გაცილებით უფრო სამწიგნო აღმოჩნდა, ვიდრე ჩემს სიყრმისდროინდელ ევროპაში, როდესაც აღქმისა და დამახსოვრების მექანიზმი მაქსიმალურად ზუსტად მოქმედებდა. ხელს მიშლიდა სხვა წიგნებზე მუშაობაც. ორჯერ კინაღამ დავწვი დაუმთავრებელი შავი ხელნაწერი და მახსოვს, ერთ საღამოს თითქმის მივიტანე კიდევ ჩემი ჟუანიტა დარკი ეზოს გაზონზე დადგმული, გვერდმოქცეული ნაგავსაწვავის მიმწუხრის ჩრდილამდე, როცა იმ აზრმა შემაჩერა, რომ სიკვდილით დასჯილი წიგნის აჩრდილი ჩემს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იხეტიანებდა ჩემს კარტოთეკებში. ყოველ ზაფხულს ცოლთან ერთად მივემგზავრები პეპლების საჭურად. შეგროვილ ეგზემპლარებს ვაგზავნი სამეცნიერო ინსტიტუტებში, მაგალითად, ნიუ-ორკის

საბუნებისმეტყველო ისტორიის ამერიკულ მუზეუმში, ან ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებულ შედარებითი ზოოლოგიის მუზეუმში, ან კორნელის უნივერსიტეტის ენტომოლოგიურ მუზეუმში. პეპელა ქინძისთავით მაგრდება ეტიკეტზე, რომელზეც აღინიშნება ხოლმე პეპლის დაჭერის ადგილი, თარიღი და დამჭერის გვარი; ყველა ეს ჩემი ეტიკეტი ოცდამეერთე საუკუნეში ძალზე გამოადგება ლიტერატურის იმ მკვლევარს, რომელიც დაინტერესდება ჩემი ნაკლებად ცნობილი ბიოგრაფიით, და სწორედ პეპლების ჭერის ადგილებში, ანუ „სადგურებზე“, ტელურიდაში (კოლორადო), აფტონში (ვაიომინგი), პორტალში (არიზონა), აშტონში (ორეგონი) კვლავ მოვკიდე ხელი „ლოლიტას“, რომელზეც საღამომობით ან წვიმიან დღეებში ვმუშაობდი. ჰუმბერტ ჰუმბერტმა ის ჩემზე ოცდაათჯერ უფრო სწრაფად დაწერა. „ლოლიტა“ მხოლოდ 1954 წლის გაზაფხულზე ითაკაში გადავათეთრე, ცოლმა ის საბეჭდო მანქანაზე სამ ეგზემპლარად გადააკაკუნა და მაშინვე გამომცემლის ძებნა დავიწყე. თავიდან უდრტვინველად დავუჯერე ფრთხილი მეგობრის რჩევას და დავაპირე, რომანი ანონიმურად გამომეცა. მისი ერთ-ერთი პერსონაჟის სახელი და გვარი ჩემი სახელისა და გვარის ანაგრამაა, რაც ამ ფარული ავტორობის ძეგლს წარმოადგენს. მალე მივხვდი, რომ ნიღაბი ავენებდა ჩემს სიმართლეს და გადავწყვიტე, „ლოლიტაზე“ ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი წამეწერა; მეექვსეა, რომ ოდესმე ვინანო ეს. წიგნი რიგრიგობით შევთავაზე ოთხ ამერიკულ გამომცემელს – აქსს, იაქსს, ექსს და იქსს, რომელთა რედაქტორებმა თვალი გადაავლეს „ლოლიტას“ და გაცილებით მეტად აღშფოთდნენ, ვიდრე ამას ჩემი ძველი მეგობარი ვარაუდობდა. ბოლოს და ბოლოს წიგნი გადავუგზავნე პარიზის ლიტერატურულ სააგენტოს, მან კი ის გადასცა

ჩემთვის სრულიად უცნობ გამოცემლობას, „ოლიმპია პრესს“, რომელიც ინგლისურად აქვეყნებდა ინგლისსა და ამერიკაში რაიმე მიზეზით აკრძალულ წიგნებს და სწორედ მან გამოსცა რომანი 1955 წლის შემოდგომაზე. თუმცა უდავოა, რომ ძველად, მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე (აქ უნებურად გვახსენდება მაგალითები ფრანგული ლიტერატურიდან) აშკარა ბილწისტიყვაობა არ გამოიციხავდა კომედიურ ენამხვილობასა და მარჯვე სატირულ ისრებს, ან თვით ქარაფშუტულ განწყობილებას აყოლილი პოეტის მხატვრულ ძალმოსილებას, მაგრამ ისიც არანაკლებ სამართლიანია, რომ ჩვენს დროში გამოთქმა „პორნოგრაფია“ აღნიშნავს უნიჭობას, კომერციულ გაქნილობასა და კლიშეების მკაცრად დაცვას. უხამსობა უნდა უერთდებოდეს ბანალურობას, რადგან ყოველგვარ ესთეტიკურ ტკბობას მთლიანად უნდა ჩაენაცვლოს სქესობრივი სტიმულაცია, ის კი მოითხოვს საყოველთაოდ გავრცელებული გამოთქმების გამოყენებას პაციენტზე უშუალო ზემოქმედების მიღწევის მიზნით. პორნოგრაფმა ძველი, ნაცადი წესების გამოყენებით პაციენტი უნდა გარემოიცვას დაკმაყოფილების საიმედო ატმოსფეროთი, იმ ატმოსფეროთი, რომელიც ეცნობათ და უყვართ დეტექტიური მოთხრობების მკითხველებს – ამ მოთხრობებში, თუ თვალყურს კარგად არ მიაღვევებთ, ნამდვილი მკვლელი შეიძლება აღმოჩნდეს (რაც მეტად ადაშფოთებთ ხოლმე მოყვარულ მკითხველებს) ავტორის მხატვრული თვითნებობა (ვის სჭირდება, მაგალითად, დეტექტიური მოთხრობა, რომელშიც არც ერთი დიალოგი არაა ჩართული?). ამგვარად, პორნოგრაფიულ რომანებში მოქმედება შაბლონების ჯაჭვზე დაიყვანება. სტილმა, სტრუქტურამ, სახეებმა

მკითხველის ყურადღება არ უნდა აარიდოს საამო ჟინს. ამგვარი რომანი შედგება ეროტიკული სცენების მონაცვლეობისგან, შუალედური ადგილები კი ეთმობა მხოლოდ აზრობრივ ნაწიბურებს, უმარტივესი კონსტრუქციის მქონე ლოგიკურ რგოლებს, თხრობისა და განმარტებისთვის დათმობილ მოკლე პარაგრაფებს. ამ უკანასკნელთ მკითხველი, როგორც წესი, ტოვებს, მაგრამ ის დარწმუნებული უნდა იყოს მათ არსებობაში, რათა თავი მოტყუებულად არ იგრძნოს (ეს იმ „ნამდვილი“ ზღაპრებიდან გამომდინარე აზროვნების წესია, რომელთაც ბავშვობისას გატაცებით ვუგდებთ ხოლმე ყურს). გარდა ამისა, წიგნში სექსუალური სცენები აუცილებლად უნდა ვითარდებოდეს კრემჩენდოთი, სულ ახალ-ახალი ვარიაციებით, ახალი კომბინაციებით, ახალი ქარქაშებითა და ხმლებით, და მონაწილეთა სულ უფრო მზარდი რაოდენობით (სადის ცნობილი პიესის ბოლოს ბალიდან მებაღეს იხმობენ), და ამიტომ წიგნის დასასრული ეროტიკული ყოფითობით უფრო მძლავრად უნდა იყოს გაჯერებული, ვიდრე მისი დასაწყისი. „ლოლიტას“ პირველ თავებში (მაგალითად, ჰუმბერტის დღიურში) გამოყენებულმა გარკვეულმა ხერხებმა აიძულა ზოგიერთი ჩემი პირველი მკითხველი-ტურისტი, შეცდომით აღექვა ეს ნაწარმოები სკაბრეზულ რომანად. ისინი ელოდნენ ეროტიკული სცენების მზარდ სერიას; როდესაც სერია შეწყდა, კითხვაც შეწყდა და საბრალო მკითხველმა მოწყენა და იმედგაცრუება იგრძნო. ალბათ, სწორედ ამიტომ, რომ ოთხივე გამომცემლობამ ბოლომდე როდი წაიკითხა მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი. ნაკლებად მაინტერესებს, იყო თუ არა, მათი აზრით, „ლოლიტა“ მეტისმეტად უხამსი ნაწარმოები, მაგრამ საინტერესოა, რომ მათი უარი ემყარებოდა არა თემის დამუშავებას, არამედ – თვით თემას, რადგან ამერიკაში მაშინ არსებობდა გამომცემლისთვის მიუღებელი სამი თემა. ორი დანარჩენი გახლდათ უღრუბლო ბედნიერებით აღსავსე შავ-თეთრი ქორწინება, დაგვირგვინებული უამრავი შვილითა და შვილიშვილით; და ბედი აბსოლუტური ათეისტისა, რომელიც ბედნიერი და ღვაწლმოსილი სიცოცხლის ბოლოს, ას ექვსი წლის ასაკში, ძილში კვდება. ზოგიერთი გამომცემლობის გამომხატურებით ძალზე გავერთე. ერთმა რედაქტორმა შემომთავაზა კომპრომისი, რომლის მიღების შემთხვევაში მისი ფირმა, შესაძლოა, დასთანხმდებოდა ჩემი რომანის გამოცემას, კერძოდ, ლოლიტა უნდა მექცია თორმეტი წლის ბიჭად, რომელსაც ჰუმბერტი (ტენესიელი ფერმერი) აცდუნებს ბელელში, პირქუშ და გადამხმარ ველებს შორის, სხარტი, ძლიერი, „რეალისტური“ ფრაზებისგან შედგენილი ნახევრად-შინაგანი მონოლოგებით. („ის დამთხვეული ბიჭია“, „ჩემი აზრით, ჩვენ ყველანი დამთხვეულები ვართ“, „მგონი, თვით ღმერთიც დამთხვეული ვინმეა“ და ასე შემდეგ). მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია ჩემი ძველისძველი სიძულვილი ყოველგვარი სიმბოლოებისა და ალეგორიების მიმართ (ეს სიძულვილი ემყარება ჩემს მტრულ დამოკიდებულებას ფროიდისტული შამანობისა და, მეორე მხრივ, ლიტერატურულ მითომანთა და სოციოლოგთა მიერ მოგონილი განზოგადებებისადმი), ერთ-ერთმა, ყველა სხვა გაგებით ჭკვიანმა მკითხველმა გადაფურცლა „ლოლიტას“ პირველი ნაწილი და მისი თემა ამგვარად განსაზღვრა: „ბებერი ევროპა რყვნის ახალგაზრდა ამერიკას“, – მაშინ, როდესაც სხვა რედაქტორმა წიგნი აღიქვა „ახალგაზრდა ამერიკად, რომელიც რყვნის ბებერ ევროპას“. გამომცემელმა იაქსმა, რომლის მრჩევლებს

ჰუმბერტმა ისე მოაბეზრა თავი, რომ მათ მხოლოდ წიგნის ნახევარი წაიკითხეს, გულუბრყვილოდ მომწერა, მეორე ნაწილი ძალზე გაჭიანურებულიაო. გამომცემელმა ექსმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ რომანში არ არის არც ერთი კარგი ადამიანი. გამომცემელმა იქსმა თქვა, რომ თუ ის გამოაქვეყნებს „ლოლიტას“, ჩვენ ორივენი ციხეში ამოვყოფთ თავს. თავისუფალ ქვეყანაში არც ერთი ნამდვილი მწერალი, რა თქმა უნდა, არ უნდა ზრუნავდეს სამანის გავლენაზე იქ, სადაც მთავრდება გრძნობა და იწყება მგრძნობელობა. ჭეშმარიტად კომიკური დავალებაა! მე შემიდლია აღტაცება გამოვთქვა, მაგრამ არ შემიდლია მივბამო ფოტოგრაფთა თვალის სიზუსტეს, რომელნიც იმგვარად უღებენ სანდომიან ნორჩ მუქმწოვრებს საჟურნალე სურათებს, რომ მათი დეკოლტეს საზღვარი სწორედ საკმარისად დაბლაა, რათა ფილისტერმა კბილები გადმოყაროს და საკმარისად მაღლაა საიმისოდ, რომ ფოსტმაისტერმა კოპები არ შეკრას. ვფიქრობ, არსებობს მკითხველი, რომელსაც ალაგზნებს ღობეებისთვის დამახასიათებელი სიტყვების უბრალოდ დანახვაც კი იმ უზარმაზარ, უიმედოდ უხამს რომანთაგან რომელიმეში, საბუქდ მანქანაზე ყოვლად უნიჭო ყოჩალი ბიჭის ბლაგვი საჩვენებელი თითის კაკუნით რომ იშობა და რომელთაც რეგვენი რეცენზენტი მისეალმება ოჩოფეხება ქება-დიდებათ. ვიცი, მოიძებნებიან ნათელი პიროვნებებიც, რომლებიც „ლოლიტას“ უმინაარსო წიგნად მიიჩნევენ, იმის მომიზეხებით, რომ იგი არაფერს გვასწავლის. მე არც ვკითხულობ და არც ვქმნი დიდაქტიკურ ბელეტრისტიკას, და რასაც უნდა ჩმახავდეს ძვირფასი ჯონ რეი, „ლოლიტა“ სულაც არ არის ბუქსირი, რომელიც მორალის ოჩხომელს ეხიდება. ჩემთვის მოთხრობა ან რომანი არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენად იგი მანიჭებს იმას, რასაც უბრალოდ ვუწოდებ ესთეტიკურ ტკბობას, ხოლო, უკანასკნელი, თავის მხრივ, მე მესმის როგორც განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელშიც თავს გრძნობ – როგორღაც, სადაც, რაღაცით – ყოფიერების სხვა ფორმებთან დაკავშირებულად, სადაც ხელოვნება (ე. ი. ცნობისმოყვარეობა, სინაზე, სიკეთე, სიმწყობრე, აღფრთოვანება) არის ნორმა. ყოველივე დანარჩენი ან ჟურნალისტური აბდაუბდაა, ან, ასე ვთქვათ, დიდი იდეების ლიტერატურა, რომელიც, თუმცაღა, ხშირად არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი აბდაუბდისგან, მაგრამ ამის მიუხედავად მას წარმოგვიდგენენ თაბამირის უზარმაზარი კუბების სახით, რომლებიც უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით გადააქვთ საუკუნიდან საუკუნეში, სანამ არ გამოჩნდება ვინმე მამაცი, ჩაქუჩით ხელში, და ერთს კარგად არ დასცხებს ბალზაკს, გორკის, თომას მანს. „ლოლიტას“ ანტიამერიკანიზმშიც სდებდნენ ბრალს. ეს გაცილებით ნაკლებად მტკენს გულს, ვიდრე იდიოტური ბრალდება უზნეობაში. ტექნიკური მოსაზრებების, საჰაერო სივრცის სიღრმისა და პერსპექტივის შესახებ ზრუნვის კარნახით (აქ – ქალაქგარე გაზონი, იქ – მთის ველობი) ავაგე ჩრდილო-ამერიკულ დეკორაციათა გარკვეული რაოდენობა. აუცილებლად მჭირდებოდა შთამაგონებელი გარემოცვა. ამქვეყნად არაფერია უფრო შთამაგონებელი, ვიდრე მეშჩანური ვულგარულობა. მაგრამ მეშჩანური ვულგარულობის გაგებითაც არ არსებობს არავითარი ძირეული განსხვავება მსოფლიოს ძველსა და ახალ ნაწილებს შორის. ნებისმიერი ჩიკაგოელი პროლეტარი შეიძლება ისევე ბურჟუაზიული იყოს (ფლობერისეული

გაგებით), როგორც – ესა თუ ის ინგლისელი ლორდი. მე მხოლოდ იმიტომ ავირჩიე ამერიკული „მოტელები“ შვეიცარიული სასტუმროებისა ან ფრანგული დუქნების ნაცვლად, რომ ვცდილობ, ვიყო ამერიკელი მწერალი და განზრახული მაქვს, ვისარგებლო იმ უფლებებით, რომლებითაც სარგებლობენ ამერიკელი მწერლები. მეორე მხრივ, ჩემ მიერ გამოგონილი ჰუმბერტი – უცხოელი და ანარქისტი; და ბევრ რამეში (არა მარტო ნიმიფეტების საკითხში) არ ვეთანხმები მას. გარდა ამისა, ჩემი ემიგრანტული ნაწარმოებების მკითხველებმა იციან, რომ ჩემ მიერ ოდესღაც აგებული რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული მოედნები და აივნები ისეთივე ახირებული და სუბიექტური გემოვნების ნიმუშებია, როგორც ჩემი ახალი მაკეტი. იმისთვის, რათა ზემონათქვამი წყენის გამოძახილის სახით არ იქნას აღქმული, დავემენ: „კრავების“ გარდა, რომლებმაც „ლოლიტა“ ტიპოსკრიფტის სახით ან „ოლიმპიას“ მიერ გამოცემულ ეგზემპლარებში წაიკითხეს და ებადებოდათ შეკითხვები: „კაცმა რომ თქვას, რატომ დაწერა მან ეს?“, ან „რატომ უნდა ვიკითხოთ მანიაკის შესახებ?“, მრავლად იყვნენ გონიერი, გულისხმიერი და მტკიცე ადამიანები, რომლებიც ჩემზე გაცილებით უკეთ ჩასწვდნენ ჩემი წიგნის შინაგან აგებულებას. ასე მგონია, ყოველი ჭეშმარიტი მწერალი ინარჩუნებს კავშირს გამოქვეყნებულ წიგნთან, გამუდმებით შეიგრძნობს რა ამ უკანასკნელის მანუგეშებელ არსებობას. ეს კავშირი თანაბარი ალით გიზგიზებს, როგორც – აირის ალი სადაც, სარდაფში, და ჩვენს იდუმალ თერმოსტატთან ოდნავი შეხებაც კი დაუყოვნებლივ იწვევს ნაცნობი სითბოს პატარა ყრუ აფეთქებას. სხვიმოსილი წიგნის ამგვარი არსებობა ნიადაგ ხელმისაწვდომ მანძილზე საოცრად შთამბეჭდავი შეგრძნებაა და რაც უფრო ზუსტად ემოხვევა წიგნი მის წარმოსახულ მოხაზულობასა და ფერებს, მით უფრო სრული და თანაბარია მისი ნათება. მაგრამ როგორი სრულყოფილიც უნდა იყოს წიგნი მთლიანობაში, ავტორს გააჩნია თავისი

საყვარელი ადგილები, სანუკვარი კუნჭულები, რომელთაც ის უფრო ცოცხლად იხსენებს და რომლებითაც ამჟამად უფრო მძაფრად ტკბება, ვიდრე წიგნის დანარჩენი ნაწილებით. მე არ გადამიკითხავს „ლოლიტა“ მას შემდეგ, რაც პირველი გამოცემის კორექტურა შევასწორე, თითქმის ორი წლის წინ, მაგრამ მისი ხიბლი ჯერ კიდევ ძალუმად იგრძნობა და სახლს ეხვევა დილის თხელი ნისლივით, რომლის მიღმა ზაფხულის დღის ციმციმი იგრძნობა. და როდესაც „ლოლიტას“ ვიხსენებ, საგანგებო ტკბობას რატომღაც ისეთი სახეები მანიჭებს, როგორცაა თავაზიანი ტაქსოვიჩი, ან რამზდელის სკოლის მოსწავლეთა საკლასო სია, ან შარლოტა, რომელიც წარმოთქვამს „უოტერპრუფია“, ან ლოლიტა, რომელიც, თითქოს შენელებულ ფირზე, უახლოვდება ჰუმბერტის მიერ ნაჩუქარ ნივთებს, ან გასტონ გოდენის სტილიზებული მანსარდის დამამშვენებელი ფოტოსურათები, ან ქასბიმელი პარიკმახერი (რომელიც ერთი თვის შრომად დამიჯდა), ან ლოლიტა, რომელიც ტენისის ბურთს ჩოგანს ურტყამს, ან ჰოსპიტალი ელოფინსტონში, ან ფერმკრთალი, მაკე, სამუდამოდ დაკარგული დოლი სქილერი და მისი სიკვდილი გრეი სთარში – „რუხ ვარსკვლავში“, წიგნის დედაქალაქში, და, ბოლოს, ქვემოთ, ტაფობში განლაგებულ ქალაქში აგუგუნებული ზარები, რომელთა ხმა ზემოთ, მთის ბილიკამდე აღწევს (სახელდობრ – ტელურიდამი, სადაც პირველად დავიჭირე ჩემ მიერ მამალი

ეგზემპლარების მიხედვით აღწერილი ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი დედალი პეპელა (Lycaeides sublivens Nabokov). აი წიგნის ნერვული სისტემა. აი მისი მოხაზულობის იდეალური წერტილები, ქვეცნობიერი კოორდინატები – თუმცა, მეორე მხრივ, სავსებით შეგნებული მაქვს, რომ ამ და სხვა ადგილებს მხოლოდ გაკვრით გადახედავს, ან გამოტოვებს, ან მათ არასოდეს მიაღწევს ზოგიერთი მკითხველი, რომლის ვარაუდით, „ლოლიტა“ წააგავს „კურტიზანი ქალის მეშუარებს“ ან „კულუბიაკინის სასიყვარულო თავგადასავლებს“. ჩემს რომანში არაერთხელაა მითითებული ავხორცი ადამიანის ფიზიოლოგიური სურვილები – ამას ვერ უარვყოფ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ჩვენ არც ბავშვები ან უმცარი მცირეწლოვანი დამნაშავეები ვართ, და არც – ინგლისური დახურული საშუალო სასწავლებლის აღსაზრდელები, რომლებიც ჰომოსექსუალურ შექცევებში გატარებული დამის შემდეგ უნდა შეურიგდნენ ძველი პოეტების „განწმენდილ“ ნაწარმოებთა გარჩევის პარადოქსულ ჩვეულებას. მხოლოდ ძალზე უბირი მკითხველი შეისწავლის ბელეტრისტულ ნაწარმოებებს იმ მიზნით, რათა შეაგროვოს ცნობები მოცემული ქვეყნის, სოციალური კლასის ან ავტორის პიროვნების შესახებ. თუმცა, ერთ-ერთი ჩემს მცირერიცხოვან ახლო მეგობართაგანი „ლოლიტას“ წაკითხვის შემდეგ გულწრფელად შეწუხებული იყო იმით, რომ მე (მე!) ვცხოვრობ „ასეთ აბეზარ ადამიანებს შორის“, მაშინ, როდესაც ერთადერთი უხერხულობა, რომელსაც მართლაც განვიცდი, ისაა, რომ ვცხოვრობ სახელოსნოში, შეუსაბამო კიდურებსა და დაუმთავრებელ ტორსებს შორის. მეორე ამერიკელმა კრიტიკოსმა ახლახან გამოთქვა შეხედულება, რომ „ლოლიტა“ არის ანგარიში „რომანტიკულ რომანთან ჩემი რომანის“ შესახებ. პირველი ორი სიტყვის შეცვლა გამოთქმით „ინგლისურ ენასთან“ დააზუსტებდა ამ დახვეწილ ფორმულას. მაგრამ აქ ვგრძნობ, რომ ჩემს ხმაში ზედმეტად მყვირალა ნოტი ცდილობს შემოჭრას. არც ერთ ჩემს ამერიკელ მეგობარს არ წაუკითხავს ჩემი რუსული წიგნები, ამიტომ ჩემს ინგლისურ ბელეტრისტიკაზე დამყარებული ყოველგვარი შეფასება გარდაუვალად ზედაპირული იქნება. ჩემი პირადი ტრაგედია – რომელიც არ შეიძლება და, არც უნდა შეეხოს ვისმე – ისაა, რომ მომიხდა ბუნებრივი, ლალი, მდიდარი, უსაზღვროდ დამყოლი რუსული მეტყველების დათმობა ინგლისური ენის მეორეხარისხოვანი ვარიანტის სასარგებლოდ. ეს უკანასკნელი ჩემს შემთხვევაში მოკლებულია მთელ იმ აპარატურას – მრუდე სარკეს, შავ-ხავერდოვან დეკორაციულ ფონს, ნაგულისხმევ ასოციაციებსა და ტრადიციებს – რომლებითაც ასე ჯადოსნურად სარგებლობს ხოლმე უცხოელი ილუზიონისტი, ფრაკის ბოლოებს ჰაერში რომ აფრიალებს, რათა თავისებურად გადალახოს მამა-პაპათა მემკვიდრეობა. 1956 წლის 12 ნოემბერი, კორნელის უნივერსიტეტი, ითაკა, აშშ

პოსტსკრიპტუმი რუსული გამოცემისთვის მეცნიერულმა კეთილსინდისიერებამ მაიძულა, ზემომოყვანილი ამერიკული ბოლოსიტყვაობის უკანასკნელი აბზაცი რუსულ ტექსტშიც შემენარჩუნებინა, მიუხედავად იმისა, რომ მან შეიძლება მხოლოდ დააზნისოს რუსი მკითხველი, რომელსაც არ ახსოვს, ან არ ესმის, ან საერთოდ არასოდეს წაუკითხავს „ვ. სირინის“ წიგნები, ოციან და ოცდაათიან წლებში რომ გამოდიოდა საზღვარგარეთ. მე ისეთი ვნებით ვუმტკიცებ ამერიკელ მკითხველს ჩემი რუსული სტილის უპირატესობას ინგლისურთან შედარებით, რომ ზოგიერთმა სლავისტმა შეიძლება მართლა იფიქროს, თითქოს „ლოლიტას“ ჩემეული თარგმანი ასმაგად სჯაბნის ორიგინალს. სინამდვილეში კი მე მხოლოდ მაზიდებს ჩემი ჩაჟანგული რუსული სიმების ჟღერიალისგან. ამ თარგმანის ისტორია არის იმედგაცრუების ისტორია. სამწუხაროდ, აღმოჩნდა,

რომ არ არსებობს ის „საკვირველი რუსული ენა“, რომელიც, როგორც მეჩვენებოდა, სულ მელის სადღაც, ჰყვავის, როგორც ერთგული გაზაფხული საგულდაგულოდ ჩარაზული კარიბჭის მიღმა, რომლის გასაღებს ამდენი წლის განმავლობაში ვინახავდი, და რომ კარიბჭის მიღმა არაფერია, ჩანახშირებული კუნძებისა და გაზაფხულის უიმედო სიმორის გარდა, ხოლო გასაღები, ხელთ რომ მიპყრია, უფრო საღებელას (ОТМЫЧКА) ჰგავს. თავს, პირველ ყოვლისა, იმით ვიმშვიდებ, რომ წარმოდგენილი თარგმანის მოუხეშობაში ბრალი მიუძღვის არა მარტო მშობლიურ მეტყველებას გადაჩვეულ მთარგმნელს, არამედ სულსაც იმ ენისა, რომელზედაც თარგმანი სრულდება. რუსულ „ლოლიტაზე“ ნახევარწლიანი მუშაობის განმავლობაში მე არა მხოლოდ დავრწმუნდი მრავალი პირადი სამშვენიისისა და აღუდგენადი ენობრივი უნარ-ჩვევისა თუ საგანძურის დაკარგვაში, არამედ გარკვეულ ზოგად დასკვნებამდე მივედი ორი გასაოცარი ენის ურთიერთ თარგმნადობის საკითხში. სხეულის მოძრაობები, მანჭვა-გრეხა, ლანდშაფტები, ხეების ჭმუნვა, სუნები და სურნელები, ბუნების მიმქრალი და მოღალანე ელფერები, ყოველივე ნაზად ადამიანური (რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს!), აგრეთვე ყოველივე მდაბიური, ტლანქი, ძარღვიანად უწმაწური, რუსულად უკეთ თუ არა, უარესად არ გამოდის, ვიდრე ინგლისურად; მაგრამ ინგლისურისთვის ესოდენ ჩვეული ნატიფი ნახევართქმები, აზრის პოეზია, მყისიერი გადაძახილი უგანყენებულეს ცნებათა შორის, ერთმარცვლიანი ეპითეტების ორომტრიალი, ყველაფერი ეს და, აგრეთვე, ყოველივე, რაც მიეკუთვნება ტექნიკას, მოდათა სახეობებს, სპორტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და უკუღმართ ვნებებს – რუსულად ხდება ტლანქი, სიტყვაგარძელი, ხშირად კი – მიუღებელი, სტილისა და რიტმის თვალსაზრისით. ეს შეუთანხმებლობა გამოხატავს ძირითად

განსხვავებას, რაც ისტორიული თვალსაზრისით არსებობს უმწიფარ რუსულ ლიტერატურულ ენასა და გახლეჩილი ლედვის ნაყოფივით მწიფე ინგლისურ ენას შორის: გენიალურ, მაგრამ ჯერ არასაკმარისად განათლებულ, ზოგჯერ კი საკმაოდ უგემოვნო ჭაბუკსა და მცოვან გენიოსს შორის, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს მრავალმხრივი ცოდნის მარაგსა და სულის სრულ თავისუფლებას. სულის თავისუფლება! ამ სიტყვათშეთანხმებაშია მოქცეული მთელი კაცობრიობის სუნთქვა. ბიბლიოგრაფიული მონაცემები, რომლებიც ამერიკული გამოცემის ბოლოსიტყვაობაშია მიყვანილი (პუტნამი, 1958) ამჟამად შეიძლება შეივსოს. პირველ გამოცემას, რომელიც მრავალი ბეჭდვითი შეცდომით ორ მცირე ტომად გამოვიდა პარიზში (ოლიმპია პრესი, 1955), საკმაოდ უხალისოდ ყიდულობდნენ ინგლისელი ტურისტები, სანამ თვალში არ მოხვდა გრეკემ გრინს, რომელიც ქებით გამოეხმაურა წიგნს ლონდონის ერთ გაზეთში. მასა და „ლოლიტას“ ლონდონის სხვა გაზეთში თავს დაატყდა რეაქციული ფელეტონისტი, ვინმე ჯონ გორდონი; სწორედ მისმა კეთილშობილმა აღმფოთებამ მიიზიდა „ლოლიტასადმი“ საყოველთაო ყურადღება. ხოლო რაც შეეხება მის ბედს შეერთებულ შტატებში, უნდა აღინიშნოს, რომ იგი იქ არასოდეს ყოფილა აკრძალული (ისე, როგორც აკრძალულია დღემდე ზოგიერთ ქვეყანაში). „ლოლიტას“ პარიზული გამოცემის პირველი ეგზემპლარები, რომლებიც კერძო პირებმა გამოიწერეს, დააკავეს და წაიკითხეს ამერიკულ საბაჟოზე, მაგრამ იქ მომსახურე უცნობმა მეგობარ-მკითხველმა ჩემი „ლოლიტა“ ლეგალურ ლიტერატურად მიიჩნია და ეგზემპლარები მისამართების მიხედვით დაიგზავნა. ამან გააქარწყლა ფრთხილი ამერიკელი გამომცემლების ეჭვები და მე უკვე შემეძლო, მათ შორის ჩემთვის ყველაზე ხელსაყრელი შემერჩია. პუტნამისეული გამოცემის (1958) წარმატებამ, როგორც იტყვიან, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამავდროულად, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, პირველი ინგლისური გამოცემა, რომელიც პარიზში ჯერ კიდევ 1955 წელს გამოვიდა, უეცრად აკრძალული აღმოჩნდა. მე ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს, როგორ მოვიქცეოდი იმ დღეებში, როცა „ოლიმპია პრესთან“ მოლაპარაკებები დაიწყო, თუკი მაშინ ჩემთვის ცნობილი გახდებოდა, რომ ნიჭიერი, თუმცა რიდს მოკლებული ნაწარმოებების ბეჭდვასთან ერთად, გამომცემელი თავის მთავარ შემოსავალს ღებულობდა სინდისგარეცხილი არარაობებისათვის შეკვეთილი უხამსი ვაი-წიგნებიდან, რომელნიც სახეობრივად სრულად იყო იმ სურათების იგივეობრივი, ბნელ შუკვებში რომ სთავაზობდნენ გამვლელებს და რომლებზეც გამოსახული იყო მონაზონი ქალი სენბერნართან ან მეზღვაური მეზღვაურთან ერთად. ასეა თუ ისე, უკვე კარგა ხანი იყო, ინგლისელი მეზაჟეები, არდადეგებიდან დაბრუნების მკაცრსა და ფხიზელ ნისლში, ართმევენდნენ ამ პორნოგრაფიულ ნაყარნუყარს – ისეთივე ბალახისფერ გარეკანებში, როგორშიც ჩემი „ლოლიტა“ იყო. აწ კი ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა სთხოვა თავის ფრანგ კოლეგას, იმდენადვე უვიცს, რამდენადაც გულის მოგებაში გაწაფულს, აეკრძალა „ოლიმპიის“ გამოცემათა მთელი ნუსხის გაყიდვა, და გარკვეული ხნის განმავლობაში „ლოლიტა“ პარიზში „ოლიმპიის“ უწმაწური გამოცემების ბედს იზიარებდა. ამასობაში კი გამოიძებნა ლონდონელი გამომცემელი, რომელმაც

მისი დაბეჭდვის სურვილი გამოთქვა. საქმე დაემთხვა ცენზურის შესახებ ახალი კანონის განხილვას (1958-59 წ.), თანაც

„ლოლიტას“ არგუმენტად იყენებდნენ როგორც ლიბერალები, ისე კონსერვატორები. პარლამენტმა ამერიკიდან ეგზემპლარების გარკვეული რაოდენობა გამოიწერა და წევრები წიგნს გაეცნენ. კანონი მიიღეს და „ლოლიტა“ გამოვიდა ლონდონში, ვეიდენფელდისა და ნიკოლსონის გამომცემლობაში 1959 წელს. იმავდროულად გალიმარმა პარიზში მოამზადა მისი ფრანგულენოვანი გამოცემა, – და „ოლიმპია პრესის“ პირველი დანავსული ინგლისური გამოცემა საქმიანად და აღშფოთებით გაიმართა წელში: იგი კვლავ გამოჩნდა კიოსკებში. მას შემდეგ „ლოლიტა“ მრავალ ენაზე ითარგმნა: იგი ცალკე წიგნად გამოვიდა არაბულ ქვეყნებში, არგენტინაში, ბრაზილიაში, გერმანიაში, დანიაში, თურქეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ისრაელში, იტალიაში, მექსიკაში, ნორვეგიაში, საბერძნეთში, საფრანგეთში, ურუგვაიში, ფინეთში, შვეიცარია და ჰოლანდიაში. მისი გაყიდვა სულ ახლახან დაუშვეს ავსტრალიაში, მაგრამ იგი ჯერ კიდევ აკრძალულია ესპანეთსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. აქამდე არ გამოჩენილა იგი პურიტანულ ქვეყნებშიც რკინის ფარდის მიღმა. ყველა ამ თარგმანს შორის, სიზუსტისა და სისრულის თვალსაზრისით, მე პასუხს ვაგებ მხოლოდ ფრანგულზე, რომელიც მე თავად შევემოწმე დაბეჭდვამდე. წარმომიდგენია, საცოდავს რა დღე აწიეს ეგვიპტელებმა და ჩინელებმა; და კიდევ უფრო ცხადად წარმომიდგენია, რას უზამდა (მე რომ დამეშვა)

„გადაადგილებული ქალბატონი“, რომელმაც ეს-ესა ისწავლა ინგლისური, ან ამერიკული, რომელიც რუსულ ენას უნივერსიტეტში „იღებდა“. ხოლო შეკითხვა – სინამდვილეში ვისთვის ითარგმნება „ლოლიტა“, მეტაფიზიკისა და იუმორის სფეროს განეკუთვნება. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია რეჟიმი, ლიბერალური იქნება ის თუ ტოტალიტარული, ჩემს მეტისმეტად თავდაჭერილ სამშობლოში, რომლის დროსაც ცენზურა „ლოლიტას“ დაუშვებდა. სიტყვამ მოიტანა და არ ვიცი, განსაკუთრებულად ვის სცემენ პატივს ამჟამად რუსეთში – მგონი, გემინგვის, მაინ-რიდის თანამედროვე მოადგილეს, აგრეთვე უბადრუკ ფოლკნერსა და სარტრს, დასავლური ბურჟუაზიის ამ ნებიერთ. საზღვარგარეთ მყოფი რუსები კი გაბმით კითხულობენ საბჭოთა რომანებს; მათ იზიდავთ მუყაოს წყნარი დონელი კაზაკები მუყაოსავე კუდ-სადგარებზე ან ის ლირიკული დოქტორი, პრიმიტიულ-მისტიკური ზრახვებით, მეშხანური მეტყველებითა და გრძნეული ქალით ჩარსკაიდან, რომელმაც საბჭოთა მთავრობას ეგზომ ბლომად მოახვეჭინა ფარსაგი უცხოური ვალუტა. „ლოლიტას“ რუსულ ენაზე გამოცემით მე მეტად მარტივ მიზანს ვისახავ: მსურს, რომ ჩემი საუკეთესო ინგლისური წიგნი – ან უფრო მოკრძალებით ვთქვათ, ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ინგლისური წიგნი – სწორად იყოს ნათარგმნი ჩემს მშობლიურ ენაზე. ეს ბიბლიოფილის ახირებაა, სხვა არაფერი. როგორც მწერალი, მე მეტისმეტად მივეჩვიე იმას, რომ აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა, შავ ბურუსშია გახვეული ჩემი ცნობიერების აღმოსავლეთი

– ლაპარაკიც კი არ ღირს „ლოლიტას“ საბჭოთა გამოცემებზე! როგორც მთარგმნელი, მე პატივმოყვარე არა ვარ, გულგრილად ვიღებ მცოდნეთა შესწორებებს და ოდენ იმით ვამაყოფ, რომ რკინის ხელით ვაკავებდი დემონებს, რომლებიც გამოტოვებისა და ჩამატებებისათვის მაქეზებდნენ. როგორც მკითხველს, მეხერხება უსასრულოდ გამრავლება და იოლად შემიძლია გავავსო უზარმაზარი გულისხმიერი დარბაზი საკუთარი ორეულებით, წარმომადგენლებით, სტატისტიკითა და იმ დაქირავებული ვაჟბატონებით, რომლებიც

დაუყოვნებლივ გამოდიან ხოლმე სცენაზე სხვადასხვა რიგებიდან, როგორც კი ჯადოქარი პუბლიკას სთავაზობს დარწმუნდეს, რომ არ ატყუებენ. მაგრამ რა მეთქმის სხვა, ნორმალური მკითხველების შესახებ? ჩემს მაგიურ კრისტალში ცისარტყელები თამაშობენ, ირიბად ირეკლება ჩემი სათვალე, იკვეთება მინიატურული ილუმინაცია – მაგრამ ის ცოტა ვინმეს თუ მიჩვენებს: რამდენიმე ძველ მეგობარს, ემიგრანტების ჯგუფს (რომლებიც ზოგადად ლესკოვს ანიჭებენ უპირატესობას), გასტროლიორ-პოეტს საბჭოთა ქვეყნიდან, მოგზაური დასის გრიმიორს, სამ პოლონელ თუ სერბიელ დელეგატს მრავალსარკიან კაფეში, ხოლო სულ სიღრმეში – ბუნდოვანი მოძრაობის დასაწყისს, ენთუზიაზმის ნიშნებს, ახალგაზრდების ფიგურებს, რომლებიც ხელების ქნევით მიახლოვდებიან... მაგრამ ეგ სხვა რამეა, მე უბრალოდ გზიდან გაცლას მთხოვენ, ესაა და ეს – საცაა მოსკოვში რომელიღაც პრეზიდენტის ჩამოსვლის გადაღებას დაიწყებენ. ვლადიმირ ნაბოკოვი 1965 წ. 7 ნოემბერი პალერმო